ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა

კულტუროლოგია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა
თბილისი, 2003

УДК 008(09)
კ 897

სახელმძღვანელო თსუ კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრის თანაშრომელთა კოლექტიური ნაშრომია. იგი ქართულ ენაზე დაწერილი კულტუროლოგიის (კულტურის ისტორიისა და თეორიის) პირველი ორიგინალური წიგნია. მასში განხილულია კულტურისა და ცივილიზაციის რაობა, კულტურის სტრუქტურა და ფუნქციები, კულტურათა ისტორიული ტიპოლოგია, კულტუროლოგიური სკოლები და კონცეფციები, მსოფლიო კულტურის ისტორიის ეტაპები, დაწყებული ბრეისტორიული ხანიდან ძველაღმოსავლური ცივილიზაციებითა და აღორძინება-რეფორმაციის ხანით დამთავრებული.

განკუთვნილია სტუდენტებისა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი პროფესორი გ. ლორთქიფანიძე,
პროფესორი ლ. გორდეზიანი

რეცენზენტები: პროფესორი ნ. ფირცხალავა
დოცენტი ნ. თუშაბრამიშვილი
დოცენტი ტ. გვალია

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001

კ 0503000000 608(06)-01

ISBN 99928-838-4-7

ეძღვნება აკადემიკოს
გეორგი ხიტაიას ხსოვნას

წინასიტყვაობა

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა ინტერესი ახალი საუნივერსიტეტო პუმანიტარული ინტერდისციპლინის — კულტუროლოგიის მიმართ, რომელიც, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო მიმართულება, XX საუკუნის შუა ხანებში ჩამოყალიბდა. დღეს კულტურის ისტორია და თეორია მსოფლიოს ყველა წამყვან უნივერსიტეტში იკითხება. კულტუროლოგია, როგორც საზოგადოებათმცოდნეობის ცალკე დარგი, შეიქმნა ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის, ისტორიის ,ფილოსოფიის, კულტურული ანთროპოლოგიის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის მიღწეულთა სინთეზის საფუძველზე. იგი შეისწავლის ისეთ ფენომენს, როგორიცაა ადამიანის მიერ შექმნილი სულიერი და ნივთიერი ღირებულებების ერთიანობა, ანუ კულტურა. ის იწყება ანთროპოგენეზსა და სოციოგენეზთან ერთად და გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს კაცობრიობის არსებობისათვის ბრძოლის მრავალათასწლიან პროცესში. კულტუროლოგიის კელვეის ობიექტია კულტურებისა და მსოფლიო ცივილიზაციების განვითარების პროცესები, მისი კონკრეტული მემკვიდრეობის კანონზომიერებისა და ცალკეულ კულტურულ მონაპოვართა მსოფლმხედველობითი გააზრება, რისი მეთოდოლოგიური საფუძველიც ისტორიზმია.

კულტუროლოგია ახალგაზრდა მეცნიერებაა. არ არსებობს სახელმძღვანელოს დადგენილი ოპტიმალური სქემა. ამასთანავე, სასწავლო მასალის დაჯგუფება-დალაგების უამრავი შესაძლებლობაა, რაც უშუალოდ გამომდინარეობს კულტურის თეორიისა და ისტორიის ძირითადი პოსტულატების, ცნებების დეფინიცია-კლასიფიკაციისადმი განსხვავებული მიდგომიდან.

ჩვენ შეეცადეთ არ დაეკარგნობოდით რომელიმე ერთ, მათ შორის ბოლო მიმდინარეობას და შეეიმუშავეთ ჩვენი ქარგა: თეორიულ ბლოკში (დოც. ნ. ჩიქოვანი) განხილულია კულტუროლოგიის ჩამოყალიბების პროცესი, მის წინაშე მდგომი პრობლემები, მათი გადაჭრის გზები და შესაძლებლობები. შესაბამისად მიმოხილულია ცალკეულ მეცნიერთა და სამეცნიერო სკოლათა თეორიები, რომლებმაც გარკვეული ეტაპები შექმნეს კულტუროლოგიის ისტორიაში.

სახელმძღვანელოს თეორიული ნაწილის შემდეგ მეორე, დიდ მონაკვეთს შეადგენს თავად მსოფლიო კულტურის ისტორია. აქ მასალა დალაგებულია ძირითადად ქრონოლოგიურად, მაგრამ გათვალისწი-

ნებულია კულტურათა და ცივილიზაციათა ურთიერთმიმართება კულტუროლოგიის ჭრილში. კულტურის საწყისი ეტაპები (კულტუროგენეზი), პირველყოფილი, პრეისტორიული საზოგადოების ნაკლებდიფერენცირებული სინკრეტული კულტურა განხილულია ერთიანად, დინამიკაში (პროფ. გ. ლორთქიფანიძე), ძველი სამყარო, როგორც მკვეთრად დიფერენცირებული – ცალკეული ქვეყნების მიხედვით, რომლებიც ერთიანდებიან აღმოსავლურ და დასავლურ „ბლოკებად". ძველი აღმოსავლეთი, პირველი ცივილიზაციების კერა – შუამდინარეთი (დოც. მ. მშვილდაძე), ძველი ეგვიპტე (პროფ. ზ. ბაბუნაშვილი), ინდოეთი, ჩინეთი, ირანი (პროფ. ნ. გელაშვილი) შევიდა სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში. ახალი ნაკვეთი იწყება ძველი ებრაული კულტურის ისტორიით (პროფ. გ. ლორთქიფანიძე, რომელიც აღმოსავლური და დასავლური კულტურების შემაერთებელ რგოლად გვესახება. ანტიკური სამყაროს კულტურა ასევე დიფერენცირებული სახითაა წარმოდგენილი: ბერძნული (პროფ. ლ. გორდეზიანი), ელინისტური (დოც. ზ. კეიციანი), ეტრუსკულ-რომაული (პროფ. ე. ავალიანი, პროფ. გ. ლორთქიფანიძე, დოც. ს. ნონეშვილი). მსოფლიო რელიგიების გავრცელება იძლევა საშუალებას მომდევნო პერიოდების განხილვისას დაეძლიოთ ეთნიკურ-პოლიტიკური საზღვრები და დიდი კულტურული რეგიონები ბიზანტიურ – ქრისტიანული (პროფ. ქ. პაველიაშვილი, დოც. ბ. ჯაფახია) და ისლამური (პროფ. ნ. გელაშვილი) ერთიანად წარმოვაჩინოთ.

ამ კულტურების შესახებ სხვადასხვა სახისა და მოცულობის ინფორმაცია შემოგვრჩა. თავად მათი თავისებურება კარნახობდა ავტორებს როგორ განხილულიყო ისინი – დინამიკასა თუ სტატიკაში. მიუხედავად ამისა, ყველა შემთხვევაში შეეცადეთ წარმოგვეჩინა მათი არსი, კულტურათა ძირითადი განმსაზღვრელები, გვეჩვენებინა ადამიანის ადგილი მსოფლაღქმის პროცესში და საზოგადოებაში. შესაძლოა, ამგვარმა აგებამ ნაშრომს გარკვეულწილად ერთიანობა დააკარგვინა, მაგრამ, სამაგიეროდ, მკითხველს ვთავაზობთ კონცენტრირებულ ინფორმაციას და რიგ შემთხვევაში დასკვნების თავად გამოტანის შესაძლებლობას.

ახალი და უახლესი ხანის კულტურის ისტორიის, მათ შორის XX საუკუნის პრობლემები მუშავდება კათედრის თანამშრომლების მიერ და გამოიცემა ცალკე ნაკვეთად.

სახელმძღვანელო ძირითადად გამიზნულია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის.

ავტორები მადლიერების გრძნობით მიიღებენ საქმიან შენიშვნებს და გაითვალისწინებენ შემდგომი გამოცემისას.

I. კულტურის თეორია

კულტუროლოგიის საგანი და რაობა

კულტურის კელეეას ღრმა ფესვები აქვს. იგი მრავალი სხვადასხვა დარგის — ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და სხვ. შესწავლის ობიექტია. რაც შეეხება კულტუროლოგიას, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერულ დისციპლინას, მას საფუძველი XX საუკუნის შუა ხანებში ჩაეყარა და დღეს ჩამოყალიბების სტადიაშია. განსჯისა და კამათის საგანია კულტუროლოგიის რაობის, შესწავლის ობიექტის, მეთოდის, სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შორის მისი ადგილის საკითხები.

მიჩნეულია, რომ სიტყვა Kulturologie პირველად შემოიტანა ცნობილმა გერმანელმა ქიმიკოსმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ვილჰელმ ოსტვალდმა (1853-1932 წწ.) 1913 წელს. „სპეციფიკურ ადამიანურ თავისებურებებს, რომლებიც განარჩევენ homo sapiens-ის მოდგმას ცხოველთა ყველა სხვა სახეობისაგან, მოიცავს სახელწოდება „კულტურა"; შესაბამისად, მეცნიერებას საქმიანობის სპეციფიკური ადამიანური საშუალებების შესახებ თავისუფლად შეიძლება ეწოდოს „კულტუროლოგია", — აღნიშნავდა იგი, — და მიუთითებდა, რომ მას უფრო ადრეც შემოუთავაზებია აღნიშნული დარგის სახელწოდებად „მეცნიერება ცივილიზაციის შესახებ" ან „კულტუროლოგია".

„უკანასკნელი ასწლეულის მანძილზე სულ უფრო თვალსაჩინო ხდება, რომ კულტურა წარმოადგენს... განსაზღვრულ სფეროს, რომლის შესწავლა საგანგებო მეცნიერებას მოითხოვს," — წერდა ჩ.გ. ლოუი.

1929 წელს სოციოლოგ რიდ ბეინს მოხსენიებული აქვს „კულტუროლოგია" კრებულის — „ამერიკული სოციოლოგია" — მის მიერ დაწერილ თავში. 1943 წელს აშშ-ში გამოიცა დოქტორ ჩენგ ჩე ინეს წიგნი „აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა კონტრასტი", ქვესათაურით „კულტუროლოგიის შესავალი".

1949 წელს ტერმინი culturology, როგორც სინონიმი მეცნიერებისა კულტურის შესახებ, გამოყენებულ იქნა ცნობილი ამერიკელი კულტურანთროპოლოგის ლესლი უაიტის (1900-1975 წწ.) მიერ, რომელიც ამტკიცებდა მეცნიერების ცალკე დარგად კულტუროლოგიის გამოყოფისა და თვით ამ ტერმინის დამკვიდრების აუცილებლობას. „ჩვენ ისე შევეჩვიეთ აღტაცებას საბუნებისმეტყველო

მეცნიერებათა მიღწევებით და აგდებულ დამოკიდებულებას საზოგადოებრივი მეცნიერებებისადმი, რომ ბევრს შეიძლება უაზროდ მოეჩვენოს მტკიცება: კულტურის, როგორც კვლევის ცალკე დარგის, გამოყოფა თანამედროვე მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა. სრულიადაც არ ვაპირებთ დაეამციროთ ფიზიკის, ქიმიის, გენეტიკის ან მედიცინის უკანასკნელ წარმატებათა მნიშვნელობა, მაგრამ ადამიანის დანიშნულება დედამიწაზე არ დაიყვანება გალაქტიკათა შესწავლამდე, ატომის გახლეჩასა თუ ახალი სასწაულმოქმედი პრეპარატის შექმნამდე. კულტურები, რომელთა ფარგლებში ცხოვრობს, სუნთქავს და მრავლდება ადამიანია მოდგმა, გაცილებით მნიშვნელოვანია კაცობრიობის მომავლისათვის", — აღნიშნავდა იგი. კულტურის „აღმოჩენა", ლ. უაიტის აზრით, მეცნიერების ისტორიაში ოდესმე დაიკავებს ადგილს კოპერნიკის ჰელიოცენტრული თეორიისა და სიცოცხლის ყველა ყაერმის უჯრედოვანი საფუძველის აღმოჩენის გვერდით.

ლ. უაიტს კარგად ესმოდა, რომ ახალი მეცნიერების დამკვიდრების გზაზე მრავალი დაბრკოლება იქნებოდა გადასალახი: ღრმა ცვლილებები მეცნიერებაში ნელა იკაფავს გზას. დიდი დრო დასჭირდა ჰელიოცენტრული თეორიის, ბიოლოგიური ევოლუციის კონცეფციის, არაცნობიერის შესახებ წარმოდგენის დამკვიდრებას. ამდენად, არაფერია საკვირველი იმაში, რომ მეცნიერების წინსვლა ახალ — კულტურის სფეროში — გარკვეულ წინააღმდეგობას აწყდება.

ერთ-ერთი წინააღმდეგობა უკავშირდებოდა ახალი მეცნიერების სახელწოდებას. ისევე, როგორც თავის დროზე ჰ. სპენსერის მიერ დამკვიდრებულ ტერმინ „სოციოლოგიას", ბევრი „კულტუროლოგიასაც" ბარბარიზმად მიიჩნევდა, მიუღებლად თვლიდა ლათინურ ძირზე ბერძნული დაბოლოების დართვას. თუმცა, როგორც ე. გორდონ ჩაილდი აღნიშნავდა, ასეთი „ჰიბრიდები" მშვენიერად მკვიდრდებოდა ენაში. ამერიკული ინგლისურის ცნობილი სპეციალისტი ჰ.ლ. მენკენი კი მიუთითებდა, რომ „კულტუროლოგია" თუმცა მოუქნელი, მაგრამ ლოგიკურად სწორი სიტყვაა და იგი 'მეიძლება გამოყენებულ იქნეს. ჩვენი სიმბოლოების მოხერხებულობასა და გამოყენებას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მათი წარმოების კანონიერებას, — წერდა იგი.

მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავდა ლ. უაიტი, წინააღმდეგობის საფუძველი ფილოლოგიისა და ლინგვისტიკის სფეროში კი არა, სულ სხვაგან იყო საძიებელი. კულტუროლოგია გამოიყოფდა და შესწავლის ობიექტად აცხადებდა რეალობის

რომელიდაც სფეროს, რითაც „უფლებებში ეცილებოდა“ სოციოლოგიას, ფსიქოლოგიასა და, პირველ რიგში, ფილოსოფიას. ამ დისციპლინებს არ სურდა ელიარებინა ადამიანთან დაკავშირებული პრობლემების არსებობა, რომლებიც თავიანთი კვლევის სფეროს სცილდებოდა.

კულტუროლოგიის, როგორც ცალკე დარგის, ჩამოყალიბება რამდენიმე მომენტმა განაპირობა. მდიდარი ემპირიული მასალის გაჯერება, კულტურის ისეთი გაგების ჩამოყალიბება, რომელიც ერთიანობასთან დაკავშირებს მასზე თეორიულ წარმოდგენას და ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში მის ხორცშესხმას, ადემატება ცალკე აღებული რომელიმე კლასიკური საისტორიო ან ფილოსოფიური დისციპლინის შესაძლებლობებს. საჭიროა ისეთი მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს როგორც კულტურის ადეკვატურ შესწავლას კერძო მეცნიერებათა მიერ, ისე ამ შესწავლის შედეგების საგნობრივ ერთიანობას. გარდა ამისა, სხვადასხვა კულტურათა კონტაქტის გაძლიერება (კომუნიკაციის საშუალებათა განვითარების კვალობაზე) განაპირობებს „საერთო მნიშვნელის“, მათი საერთო ბუნების ძიებას, რომელიც თავს იჩენს ლოკალურ მრავალფეროვნებაში. გარკვეცა იმისა, არსებობს თუ არა ცნება „კულტურით“ დაფიქსირებული ნომინალური ერთობა რეალურად, კულტუროლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა.

კულტუროლოგია ჩამოყალიბდა როგორც ცოდნის იმ დარგთა სინთეზი, რომელთაც აერთიანებს ინტერესი ადამიანის ფენომენისადმი. ესენია: ისტორია, ფილოსოფია, ეთნოლოგია, ანთროპოლოგია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ენათმეცნიერება, ხელოვნებათმცოდნეობა, პოლიტოლოგია და სხვ. სწორედ ამ დარგების სწრაფმა განვითარებამ XIX საუკუნის ბოლო მეოთხედიდან შეუწყო ხელი კულტურის კვლევის გაღრმავებას და დააგროვა მდიდარი ემპირიული მასალა, რითაც განაპირობა კულტუროლოგიის განვითარება.

მაგალითად, ანთროპოლოგიამ — მეცნიერებამ ადამიანის წარმოშობისა და ევოლუციის, აგრეთვე რასათა ჩამოყალიბების შესახებ — ეურადღება გაამახვილა კულტუროგენეზის პრობლემასა და კულტურის ბიოლოგიურ ძირებზე. კულტუროლოგიაში ჩამოყალიბებულმა ანთროპოლოგიურმა მიმართულებამ (ე. ტაილორი, ლ.ჰ. მორგანი, ჯ. ფრეზერი და სხვ.) სცადა დაესაბუთებინა ადამიანის ბუნების ერთგვაროვნება და პირველყოფილი ტომების ერთიანობა მთელ პლანეტაზე. ამის საფუძველი გახ-

და დასკვნა განათხარი ადამიანის მატერიალური კულტურის ძეგლთა, სხვადასხვა ხალხების მითოლოგიისა და ფოლკლორის მსგავსების შესახებ.

ეთნოლოგიამ (ეთნოგრაფიამ) მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კაცობრიობის წარსული და თანამედროვე კულტურის მრავალფეროვნების დასაბუთებასა და გააზრებაში.

სოციოლოგიასთან დაკავშირებულია კულტუროლოგიური ცნებები: მასობრივი კულტურა, ელიტარული კულტურა, მარგინალური კულტურა და სხვ.

კულტუროლოგიური გამოკვლევებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალური ფსიქოლოგიის მონაცემებს, რომელიც სწავლობს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წევრთა ქცევისა და საქმიანობის კანონზომიერებებს.

ეთნოფსიქოლოგია იკვლევს სხვადასხვა ტომისა თუ ხალხის ფსიქოლოგიურ წყობას, რაც კულტუროლოგებს ეხმარება ეროვნული კულტურებისა და მათი კერძო გამოვლინებების თავისებურებათა ახსნაში.

ასევე საყურადღებოა დემოგრაფიის მონაცემები, რამდენადაც იგი იკვლევს ხალხთმოსახლეობის განვითარების კანონზომიერებას სოციალურ ფაქტორებთან კავშირში, ხოლო კულტურათა აღმავლობა-დაქვეითება („მცირე" ხალხების კულტურათა თუ მთელი ძველი ცივილიზაციების დაღუპვა), სხვა მიზეზებთან ერთად, ასეთი ფაქტორებითაცაა განპირობებული.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ახალი მეცნიერების — სემიოტიკის — გავლენა კულტუროლოგიაზე. ეს დარგი იკვლევს ნიშნების (სიმბოლოების) და ნიშანთა სისტემების თავისებურებებს, ბუნებრივ და ხელოვნურ ენებს. სემიოტიკასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ინფორმატიკა და კიბერნეტიკა — მეცნიერება ინფორმაციის მიღების, შენახვის, გადაცემის, გადამუშავებისა და გაერცელების თავისებურებათა და ზოგად კანონზომიერებათა შესახებ, ანუ იმის შესახებ, რაც თანამედროვე ცივილიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს წარმოადგენს.

ჯეიმს ფეიბლმანი აღნიშნავდა, რომ, გარკვეული თვალსაზრისით, კულტურის შესახებ მეცნიერების არსებობას შესაძლებელად თვლიდა ყველა მკვლევარი, ვინც საგანგებოდ იკვლევდა ამ ფენომენს. ამდენად, წერდა იგი 1968 წელს, — იდეა კულტურის შესახებ მეცნიერების თაობაზე ერთ-ეროი იმ იდეათაგანია, რომელიც დიდი ხანია არსებობს და რომლის ხორცშესხ-

მის საჭიროება სულ უფრო აშკარა ხდება". მეცნიერებამ კულტურის შესახებ უნდა გააეროვანოს მრავალი ქვედარგი, კერძოდ, ანთროპოლოგია, ეთნოლოგია, სოციოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, კულტურის ისტორია. კვლევის სხვადასხვა მიმართულების თავმოყრა, მათთვის ერთიანი მიზნის დასახვა და შესწავლის საერთო საგნის განსაზღვრა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ამ მეცნიერების ჩამოყალიბების გზაზე.

კულტუროლოგიის საგნის განსაზღვრის სირთულე განპირობებულია თავად „კულტურის" ცნების სიროულით და მრავალფეროვნებით. თუ გავიხსენებთ კულტურის განსაზღვრებას, რომლის თანახმად ეს არის ადამიანთა მიერ შექმნილი (ხელოვნური) ობიექტებისა და წესრიგის სამყარო (მატერიალური — საგნები, ნაგებობებანი, გარდაქმნილი გარემო; იდეალური — ცოდნა, მსჯელობა, სახე, აზრი, სიმბოლო, სახელწოდება; სოციალური — ადამიანთა სხვადასხვა სახის გაერთიანება; ტექნოლოგიური — მოღვაწეობის, ურთიერთქმედების, კომუნიკაციის სხვადასხვაგვარი ხერხი და საშუალება და ა.შ.), რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემა არა ბიოლოგიურად, არამედ შესწავლისა და მიბაძვის გზით (აღზრდის, განათლების, სხვა ადამიანებთან სოციალური ურთიერთქმედების პროცესში), მაშინ ყველა პუმანიტარული თუ სოციალური მეცნიერება, საბოლოოდ, არის მეცნიერება კულტურის შესახებ, ანუ ცოდნა ადამიანის მოღვაწეობის სახეების, ფორმებისა და შედეგების შესახებ.

დღეს ტერმინს — „კულტუროლოგია" ფართო და ვიწრო მნიშვნელობით ხმარობენ.

ვიწრო მნიშვნელობით, კულტუროლოგია მოიცავს ორ ძირითად მხარეს: კულტურის თეორიასა და კულტუროლოგიურ მოძღვრებათა ისტორიას.

ფართო მნიშვნელობით, კულტუროლოგია გაიგება როგორც კრებითი ცნება, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მეცნიერების წარმოდგენებს კულტურის, მისი არსის, ფუნქციონირებისა და განვითარების დინამიკის, კანონზომიერებათა შესახებ. აქ შედის ისეთი დისციპლინები, როგორიცაა კულტურის ისტორია, კულტურის თეორია, კულტურანთროპოლოგია, კულტურის შესახებ მოძღვრებათა ისტორია, კულტურის ფილოსოფია, კულტურის ფსიქოლოგია და სოციოლოგია, კულტურის ეკოლოგია, გამოყენებითი კულტუროლოგია. ხშირად კულტუროლოგიის სინონიმად, ცოდნის იგივე დარგის აღსანიშნავად, გეხვდება ტერმინი კულტურული ანთროპოლოგია, რომელიც მოიცავს კიდევ სპე-

ციალურ თეორიებსა და კონცეფციებს ცალკეულ ხალხთა კულტურის განვითარების თავისებურებათა შესახებ.

'სოგი მკვლევარი კულტურულ ანთროპოლოგიას კულტუროლოგიის წინამორბედ ინტეგრალურ ჰუმანიტარულ დისციპლინად მიიჩნევს, რომელმაც კულტუროლოგიის, როგორც დარგის ჩამოყალიბების შემდეგაც განაგრძო არსებობა მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის სახით.

კულტურული ანთროპოლოგიის განვითარებაში გამოიყოფა რამდენიმე ეტაპი:

1. ეთნოგრაფიული ეტაპი (XIX საუკუნის დამდეგიდან 60-იან წლებამდე).

2. ევოლუციონისტური ეტაპი (XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ამ საუკუნის ბოლომდე).

3. ისტორიო ეტაპი (XIX საუკუნის ბოლო-XX საუკუნის 20-იანი წლები).

4. ფსიქოლოგიური ეტაპი (XX საუკუნის 20-50-იანი წლები).

5. სტრუქტურულ-ფუნქციონალისტური ეტაპი (XX საუკუნის 30-50-იანი წლები).

6. ნეოევოლუციონისტური ეტაპი (XX საუკუნის 50-80-იანი წლები).

7. პოსტსტრუქტურალისტური ეტაპი (80-იანი წლებიდან დღემდე).

ეტაპები გამოიყოფა მეთოდოლოგიური მიდგომის მიხედვით, რომელიც უპირატესობით სარგებლობდა ამა თუ იმ პერიოდში და რომლიდანაც მოდის ეტაპის სახელწოდება.

პირველ ეტაპზე, ძირითადად, ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდები გამოიყენებოდა. ეთნოგრაფია, როგორც ცნობილია, საისტორიო მეცნიერებაა ეთნიკურ ერთობათა, მათი ყოფისა და კულტურის შესახებ. ეთნოგრაფიულმა კვლევამ მდიდარი ემპირიული მასალა დააგროვა კულტურათა მრავალფეროვნებისა და მათი ურთიერთმიმართების ნათელსაყოფად.

ევოლუციონისტური ეტაპისათვის ძირითადია „ევოლუციის" ცნება, რომლის დამკვიდრებაში არსებითი როლი ითამაშა დარვინიზმმა. თუმცა, წარმოდგენა ადამიანისა და მისი კულტურის ევოლუციური განვითარების შესახებ ბევრად უფრო ადრინდელია და ჯერ კიდევ ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში გვხვდება. ევოლუციონისტური მიმართულების ფუძემდებლად ითვლება ინგლისელი მკვლევარი **ედუარდ ბერნეტ ტაილორი (1832-1917 წწ.)**, რომლის ნაშრომში „პირველყოფილი კულტურა" (1871 წ.) მოცემულია კულტურის ევოლუციური განვითარების ერცელი

სურათი. ამ მიმართულების წარმომადგენელთაგან უნდა დაეასახელოთ აგრეთვე **ჰერბერტ სპენსერი (1820-1903 წწ.), ჯონ-ფერგიუსონ მაკ-ლენონი (1881-1927 წწ.), ჯეიმს ჯორჯ ფრეიზერი (1854-1941 წწ.), ლუის ჰენრი მორგანი (1818-1881 წწ.).**

ევოლუციონისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა იდენტური კულტურული მოვლენების წარმოშობისა და გადაცემის მექანიზმის საკითხი. კულტურანთროპოლოგიაში ჩამოყალიბდა დიფუზიონიზმი — მიმართულება, რომელიც მიიჩნევს, რომ საზოგადოებრივი განვითარების საფუძველია კულტურის გავრცელებისა და შეღწევის პროცესი გარკვეული ცენტრიდან სხვადასხვა მიმართულებით. ყველა კულტურული სიახლე ითვლება სხვა კულტურიდან შემოსულად, ნასესხებად, მათი გავრცელების საშუალებებად კი მიჩნეულია დაპყრობა, კოლონიზაცია, ვაჭრობა, მიგრაცია, ნებაყოფლობითი მიბაძვა. კულტურის დიფუზიას ბიოლოგიურ ევოლუციაში ანალოგი არა აქვს. ეს გარემოება ევოლუციონისტებს სერიოზული პრობლემის წინაშე აყენებდა და აქტუალურს ხდიდა საკითხს ადამიანთა საზოგადოებასთან მიმართებაში დარვინიზმის პრინციპების გამოყენების მართლზომიერების შესახებ.

არსებობს დიფუზიონიზმის კონცეფციის სამი ძირითადი ვარიანტი: 1) ინვაზიონიზმი (ლათ. **invasion** — შეჭრა), რომლის თანახმად, ყველა სერიოზული ცვლილება საზოგადოებასა და მის კულტურაში გამოწვეულია კულტურული განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ უცხოტომელთა ან გადმოსახლებულთა შეჭრით; 2) კულტურული ცენტრის თეორიები, რომელთა მიხედვით, ცივილიზაციის საერთო ცენტრებიდან (ძველი ეგვიპტე, შუმერი და სხვ.) გამოდიოდნენ „მისიონერული ელიტები", რომლებიც იყვნენ კულტურის მატარებლები და გამავრცელებელნი; 3) კულტურული წრეების თეორიები.

XX საუკუნის შუა ხანებში ჩამოყალიბდა კულტურის ევოლუციის ახალი კონცეფციები: 1) კულტურის უნივერსალური ევოლუციის კონცეფცია (ლ. უაიტი, გ. ჩაილდი); 2) მულტიხაზობრივი ევოლუციის კონცეფცია (ჯ. სტიუარდი); 3) სპეციფიკური ევოლუციის კონცეფცია (მ. სალინსი, ე. სერვისი).

ხაისტორიო ეტაპი დაიწყო კულტურულ-ისტორიული სკოლის ჩამოყალიბებით, რომელიც ზემოთ ნახსენებ კულტურულ წრეთა თეორიას ავითარებდა. მისი ცნობილი წარმომადგენლები არიან გერმანელი ეთნოგრაფები **ფრიც გრებნერი (1877-1934 წწ.), ლეო ფრობენიუსი (1873-1938 წწ.)** და სხვ. ფ. გრებნერი მიიჩნეოდა, რომ

კულტურის ეგილა მოელენა უნიკალურია, ამიტომ ისინი შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ ერთ ადგილას (ერთ კულტურულ წრეში) და შემდეგ გაერცელდეს დიფუზიის გზით. ლ. ფროობენიუსი, კულტურულ წრეთა თეორიაზე დაყრდნობით, მიიჩნევდა, რომ ყოველი კულტურა იქმნება გარკვეული გეოგრაფიული ფაქტორებისა და სამეურნეო საქმიანობის განსაზღვრული ტიპის ზეგავლენით, რაც დამოკიდებული არ არის ადამიანის ნებაზე. კულტურას, ცოცხალი ორგანიზმის მსგავსად, გააჩნია სიცოცხლის შინაგანი რიტმი.

ყრილად გავლენიანი იყო ამერიკელი არქეოლოგის, ეთნოგრაფისა და ლინგვისტის **ფრანც ბოასის (1858-1942 წწ.)** ისტორიული სკოლა. ფ. ბოასი თვლიდა, რომ კულტურა მრავალშრიანი წარმონაქმნია. აქედან გამომდინარე, იგი ცდილობდა ერთმანეთისგან განეცალკევებინა „ნასესხები" და „ძირძველი" შრეები და ასე მიეღწია „სუფთა" კულტურამდე.

ფსიქოლოგიური ეტაპი ამერიკულ ფილოსოფიაში პრაგმატიზმის (ბერძნ. pragma – საგანი, საქმე, მოქმედება) მიმდინარეობის გაბატონებას უკავშირდება. მის თანახმად, სუბიექტი იზოლირებულია გარემოსა და არსებობის კონკრეტული პირობებისგან, ყურდნობა მხოლოდ საკუთარ ინდივიდუალურ გამოცდილებას. ეს უკანასკნელი განიხილება როგორც იმთავითვე მოცემული და მისი წყვარიები უკავშირდება ადამიანის ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს, ინსტინქტებს, ფსიქიკას, ფსიქოლოგიური მიდგომიდან გამომდინარე, კულტურა არ განიხილება როგორც ობიექტურად არსებული მთლიანობა, არამედ დაკავშირებულია ამ კულტურის ადამიანის პიროვნულ მახასიათებლებთან. აღნიშნული მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან ამერიკელი მკვლევრები **მარგარეტ მიდი (1901-1978 წწ.), რუთ ფულტონ ბენედიქტი 1887-1948 წწ.), ედუარდ სეპირი (1884-1939 წწ.)** და სხვ. მათი მეთოდოლოგიური პრინციპების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ზ. ფროიდის ფსიქოანალიზმა.

სტრუქტურულ-ფუნქციური ეტაპისათვის დამახასიათებელია კულტურის განხილვა ერთიანი, ჰარმონიულად ფუნქციონირებადი მთელის სახით, რომლის თითოეული ნაწილი ასრულებს გარკვეულ ფუნქციას და, რომლის გარეშე კულტურა ვერ იარსებებს როგორც მთლიანობა. ფუნქციონალიზმის ცნობილი წარმომადგენლები არიან **ბრონისლავ კასპერ მალინოვსკი (1884-1942 წწ.)** და **ალფრედ რეჯინალდ რადკლიფ-ბრაუნი (1881-1955 წწ.)**. ფუნქციონალიზმისა და სტრუქტურალიზმის იდეათა ურთიერთ-

დაკავშირებამ წარმოშვა კულტურის კვლევისადმი სტრუქტურულ-ფუნქციური მიდგომა, რომლის ფუძემდებლად მიჩნეულია ფრანგი მეცნიერი **კლოდ ლევი-სტროსი (დაიბადა 1908 წ.).** კულტურის შესწავლის მთავარ მიზნად იგი თვლის სტრუქტურათა გარკვეული ერთობლიობის გამოვლენას, რომელიც სხვადასხვაგვარად რეალიზდება სხვადასხვა კულტურაში.

ნეოევოლუციონისტები უბრალოდ კი არ დაუბრუნდნენ კლასიკური ევოლუციონიზმის იდეებს, არამედ საფუძვლიანად გადასინჯეს ისინი. გამოყოფენ ნეოევოლუციონიზმის სამ სახეს: 1) კულტურული მატერიალიზმი, 2) ნეოდარვინიზმი („კულტურული სელექციონიზმი"), 3) ევოლუციური ფუნქციონალიზმი.

კულტურული მატერიალიზმის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელია ამერიკელი მკვლევარი **უილიამ ფუტ უაიტი,** აგრეთვე „ნეოლითური რევოლუციის" კონცეფციის ავტორი, ინგლისელი არქეოლოგი **ვერ გორდონ ჩაილდი (1892-1957 წწ.).** კულტურული მატერიალიზმის მიმდევრები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კულტურის ტექნიკურ-ეკონომიკური ბაზის საკითხებს.

ნეოდარვინიზმი საზოგადოებას განიხილავს ცვალებად მოვლენათა (დასახლების ტიპები, ნათესაობის ინსტიტუტები, პოლიტიკური ხელისუფლების ფორმები) ერთობლიობად და იკვლევს სოციოკულტურულ ცვლილებათა კანონზომიერებებს. ამ ცვლილებების მიზეზებს ეძიებენ შეცდომებსა და ნოვაციებში კულტურის თაობიდან თაობაზე გადაცემის დროს, ხოლო შეცდომები და ნოვაციები ითვლება ბიოლოგიურ პროცესში მიმდინარე მუტაციათა ანალოგიურად, რომლებიც ბუნებრივი შერჩევის კანონს ემორჩილებიან. მნიშვნელოვანი როლი ენიჭება „გენურ-კულტურული კოევოლუციის თეორიას", რომლის მიხედვით ბიოლოგიური და კულტურული ევოლუციების პროცესები ერთობლივად მიმდინარეობს.

ნეოდარვინიზმისაგან განსხვავებით, ევოლუციური ფუნქციონალიზმი კულტურის კვლევის მოდელად იღებს არა პოპულაციას, არამედ ორგანიზმს. მიჩნეულია, რომ ადამიანები გაუცნობიერებლად გამოიმუშავებენ საქმიანობის ისეთ ფორმებს, რომლებიც აკმაყოფილებენ საზოგადოებისა და კულტურის ფუნქციურ მოთხოვნილებებს. ეს ისევე ხდება, როგორც ორგანიზმის ბიოლოგიური ევოლუციის პროცესში: შემთხვევით გაჩენილი ნოვაცია მკვიდრდება მაშინ, თუ ხელს უწყობს ორგანიზმის გადარჩენას.

პოსტსტრუქტურალისტური ეტაპისათვის დამახასიათებელია კულტურასა და მთლიანად სამყაროზე პრინციპულად ახალი

ოჯალსაბრისის ნამოყალიბების მცდელობა, „მოდერნისა“ და „პოსტმოდერნის“ გააზრების საყუძველზე. მისი წარმომადგენლები არიან **ჟან-ფრანსუა ლიოტარი (დაიბადა 1924 წ.), ჟილ დელეზი (1926-1995 წწ.), ჟაკ დერიდა (დაიბადა 1930 წ.), ჟან ბოდრიიარი (დაიბადა 1929 წ.)** და სხვ. მათი ყურადღება კონცენტრირებულია იმ კულტურულ მოელენებზე, რომელთაც არ გააჩნიათ მკაფიო სტრუქტურა და არამყარია.

თავდაპირველად (XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე) ამერიკელი მკვლევრები კულტურულ ანთროპოლოგიას წარმოიდგენდნენ როგორც „კულტურის ბუნებრივ ისტორიას“, რომელიც მოიცავდა არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ელემენტებს. პირველყოფილი კულტურების სხვადასხვა ფენომენის (მითები, მაგია, რიტუალები და სხვ.) კვლევისას კულტურანთროპოლოგები ფართოდ იყენებდნენ საისტორიო მეცნიერების მეთოდებსა და მდიდარ ემპირიულ გამოცდილებას.

XX საუკუნის პირველ ნახევარში შეიცვალა მიმართება კულტურულ ანთროპოლოგიასა და ისტორიულ დისციპლინებს შორის. არქეოლოგია, ეთნოგრაფია და კულტურის ისტორია საისტორიო მეცნიერების ფარგლებში ვითარდება, კულტურული ანთროპოლოგია კი, კულტუროლოგიის სახით, თანდათან ყალიბდება დამოუკიდებელ დარგად, რომელიც კვლევის საკუთარ პრინციპებსა და მეთოდებს იმუშავებს (მაგალითად, ობიექტის მეშვეობის მრავალსაფეხურიანობა, „დისტანციურობისა“ და უშუალო დაკვირვების კრიტერიუმები, ორიენტაცია ლატენტური სტრუქტურების ანალიზზე და სხვ.).

მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ისტორია შეიძლება განვიხილოთ როგორც მეცნიერება, რომელიც სწავლობს უნიკალურ და განუმეორებელ ფაქტებსა და მოვლენებს, კულტუროლოგია (კულტურული ანთროპოლოგია) კი ცდილობს წარმოაჩინოს და ახსნას სოციოკულტურული მოვლენების ზოგადი, განმეორებადი ნიშნები. ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი პ. სოროკინი, კვლევის მეთოდების მიხედვით, პირველს მაინდივიდუალიზებელ, მეორეს კი – მაგენერალიზებელ მეცნიერებას უწოდებს.

კულტურის ფენომენის კვლევის დროს კულტუროლოგია დღესაც სარგებლობს საისტორიო მეცნიერებისა და მისი ცალკეული დარგების (განსაკუთრებით – არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, კულტურის ისტორიის) მონაცემებით, იყენებს კულტურის ფენომენის შესახებ სხვა მეცნიერებათა მიერ დაგროვილ ცოდნას. მაგრამ კულტუროლოგიას ამ ფენომენისადმი სპეცი-

ფიკური ინტერესი, მისი კელეეის საკუთარი მეთოდები და ხერხები გააჩნია. საისტორიო მეცნიერებისაგან მას დროის პრობლემისადმი მიდგომაც განასხვავებს. საისტორიო მეცნიერებაში ჭარბობს დიაქრონული მიდგომა – დროში მონაცელე ფაქტებისა და მოვლენების შესწავლის მიზნით. კულტუროლოგიაში კი, დიაქრონულის გვერდით, ფართოდ გამოიყენება სინქრონული ანალიზი, რომელიც ორიენტირებულია ერთდროულად მიმდინარე კულტურულ მოელენათა კელეეაზე. საისტორიო მეცნიერებებსა და კულტუროლოგიას თვით ერთდროულობის ცნებისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომა ახასიათებს.

საზოგადოების კულტუროლოგიური შესწავლის მიზანი, ცნობილი მკელეერის კ. ლევი-სტროსის აზრით, მისი „სინქრონული ჭრილის" გამოელენაა, ანუ ურთიერთობათა ფორმალური სტრუქტურის კვლევა, რომლებიც კოლექტიურ ფენომენთა არაცნობიერი ბუნებიდან მომდინარეობენ. ეს „არაცნობიერი" მეღაენდება ყველა დროისა და ხალხისათვის უნიეერსალური მისწრაფების სახით, მოაქციოს სინამდვილის მრავალფეროვნება ტრადიციათა, რიტუალთა და, პირველ რიგში, ენის სიმბოლურ ფორმებში.

როგორც ზემოთ ითქვა, კულტუროლოგიის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანწილად განაპირობა ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარებამ. ზუსტი ზღვარის გაელება ეთნოგრაფიასა (ეთნოლოგია) და კულტურანთროპოლოგიას შორის დღესაც ძნელია, თუმცა, მიჩნეულია, რომ პირველი ორიენტირებულია ძირითადად აღწერილობითი მონაცემების დაგროვებაზე, მეორე კი ცდილობს თეორიულად გაიაზროს კულტურის ფუნქციონირება და ცელილებანი კულტურაში.

არქეოლოგიისგან განსხვავებით, რომელიც კულტურას მატერიალური ძეგლების (იარაღი, ნაგებობანი, ამა თუ იმ სახის ნაკეთობანი, საკულტო საგნები და სხვ.) მიხედვით სწავლობს, კულტუროლოგიას, ამ ძეგლების გარდა, საქმე აქვს ადამიანთა წარმოდგენებთან და ინსტიტუტებთან, რომელთაც განიხილავს როგორც სოციალურ მოელენებს გარკვეულ კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში.

კულტურის ისტორიისაგან კულტუროლოგიას განასხვავებს ორიენტაცია არა უნიკალური და განუმეორებელი მოვლენების შესწავლაზე, რომელთაც ადგილი პქონდა ისტორიაში, არამედ „იდეალური ტიპების", „სოციოკულტურული ნიმუშების", „კულტურულ ინვარიანტთა", „სოციალური ქცევის მოდელების" (სხვაგვარად

რომ ვიქვათ, სოციალური ქცევის სტანდარტიზებული (ტიპური) და კულტურულად განპირობებული ფორმების) დადგენაზე.

ერთობლივი ცხოვრებისათვის ადამიანებს სჭირდებათ ერთმანეთის შეუთანხმონ თავიანთი გაზრახვანი და ქმედებანი, მოახდინონ მათი ნორმირება და რეგულირება, გამოავლინონ დასახული მიზნების მიღწევის ყველაზე ეფექტური საშუალებანი, გადასცენ ისინი მომავალ თაობებს. ეოველივე ამის გადასაწყვეტად საჭიროა, პირველ რიგში, ქცევისა და საქმიანობის ეფექტურობის შეფასების ერთიანი კრიტერიუმები, რომლებიც გამოიხატებიან ასრთა და ფასეულობათა იერარქიზებული სისტემით, მეორე — აღნიშვნათა (სიმბოლოთა და სახელწოდებათა) სისტემა, რომლის მეშვეობით ხორციელდება ინფორმაციული გაცვლა (სოციალური კომუნიკაცია) ადამიანებს შორის. კულტუროლოგიის შესწავლის საგანია სწორედ ეს ფასეულობითი, ნორმატიულ-რეგულაციური და სიმბოლურ-კომუნიკაციური სისტემები.

1968 წელს ლ. უაიტი კულტუროლოგიას შემდეგნაირად განმარტავდა: „ანთროპოლოგიის დარგი, რომელიც განიხილავს კულტურას (ინსტიტუტებს, ტექნოლოგიებს, იდეოლოგიებს) როგორც დამოუკიდებელ ერთობლიობას ფენომენებისა, რომლებიც ორგანიზებული არიან საკუთარი პრინციპების შესაბამისად და არსებობენ საკუთარი კანონებით“.

კულტუროლოგია სწავლობს კულტურის, როგორც არსებობის სპეციფიკურ-ადამიანური ფორმის გენეზისს, ფუნქციონირებასა და განვითარებას, მისი მემკვიდრეობით გადაცემისა და მდგრადობის საკითხებს, აგრეთვე მისი გამოვლენის მთელ ისტორიულ მრავალფეროვნებას. იგი ცდილობს უპასუხოს კითხვებს: რას წარმოადგენს კულტურა როგორც ფენომენი? როგორია მისი მიმართება ბუნებასთან? არსებობს თუ არა საერთო საკაცობრიო კულტურა? შესაძლებელია თუ არა კულტურათა იერარქიული დალაგება? და სხვ. მოკლედ რომ ვთქვათ, კულტუროლოგია არის სისტემატიზებული ცოდნა კულტურის, როგორც სპეციფიკური და უნიკალური ფენომენის შესახებ.

კულტუროლოგიის ამოცანაა გამოიკვლიოს კულტურის „გენეტიკა“, რომელიც არა მხოლოდ ახსნის კულტურულ-ისტორიულ პროცესს მის კონკრეტულ გამოვლინებაში (მხატვრულში, პლასტიკურში თუ სხვ.), არამედ შესაძლებლობას მოგვცემს აღვადგინოთ სხვადასხვა ტიპის კულტურათა მოდელი და განვახორციელოთ მათი შედარებითი ანალიზი.

ჯ. ფეიბლმანის სიტყვით, „კულტურის შესახებ მეცნიერების უპირველესი მიზანია უცვლელი ფუნქციების ძიება ადამიანური კულტურის ცვალებად სამყაროში“; ამ ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ რეალურ კულტურათა შესწავლით, ჰიპოთეზათა შემუშავებისა და ემპირიულ კულტურულ მასალაზე მათი შემოწმების გზით.

კულტუროლოგიის შესწავლის საგანია მრავალი როული და მნიშვნელოვანი პრობლემა, მათ შორის:

– კულტურის გენეზისი: ანთროპოგენეზი – კულტუროგენეზი – სოციოგენეზი; კულტურის წარმოშობის ფაქტორები; პირველყოფილობის პრობლემა; პირველყოფილი კულტურის მოდელი; ტრადიციული და თანამედროვე (მოდერნისტული) კულტურები და მათი წარმოშობის თავისებურებანი.

– კულტურის მორფოლოგია: კულტურა როგორც სისტემა; კულტურის სტრუქტურა და ფუნქციები; ენა, მითი, რელიგია; სხვა-სხვადასხვა ნებანი და რიტუალები; ქცევის პატერნები (ნიმუშები); ხელოვნება; პოლიტიკური, სამეურნეო და სამართლებრივი კულტურა; მეცნიერება და ტექნიკა; სოციოკულტურული გამოცდილების ტრანსლაცია.

– კულტურის დინამიკა: კულტურული ეროვნულები და ევოლუციური უნიკალურობანი; კულტურული დინამიკის წყაროები და ფაქტორები (ადაპტაცია, ინოვაცია, მემკვიდრეობითობა, დიფუზია); კულტურა როგორც ადაპტაციური სისტემა; მოდერნიზაცია როგორც სოციოკულტურული პროცესი.

– კულტურათა მრავალფეროვნება და ურთიერთქმედება; კულტურათა ტიპოლოგია; სუბკულტურა, კონტრკულტურა; აკულტურაციის პრობლემა; კულტურათა ურთიერთქმედების დონეები და მექანიზმები. კულტურული ინტეგრაციის ფაქტორები.

– კულტურა და სოციალური სტრუქტურა: კულტურული მრავალფეროვნება და საზოგადოების დიფერენციაცია; სოციალური სტრატიფიკაციის სოციობიოლოგიური და კულტურული საფუძვლები.

– ეთნოსი და კულტურა: ეთნიკური ჯგუფების კულტურული თავისებურებანი; ეროვნული ხასიათი და ეთნიკური თვითშეგნება; ერთა შორისი ურთიერთობის პრობლემები; ეთნიკური კონფლიქტები; ეთნიკური კულტურული ტრადიციის მიზანმიმართული კონსტრუირების პრობლემა.

– კულტურა და პიროვნება: პიროვნული (ფსიქოლოგიური) იდენტურობა; პიროვნების სოციალური და პიროვნული იდენ-

ტურობა; ინკულტურაცია და სოციალიზაცია; სოციალიზაციის ეთნოკულტურული თავისებურებანი.

– ყოველდღიურობის (ყოფითი) კულტურა: ყოფითობის ლოგიკა და სტრუქტურა. ცხოვრების სტილი.

როგორც ვხედავთ, კულტუროლოგია დამოუკიდებელ მეცნიერებად ყალიბდება, რომელსაც საკმაოდ რთული სტრუქტურა გააჩნია, შესაბამისად, მრავალფეროვანია კვლევის მისეული ხერხები და მეთოდები. იგი თავს უყრის და განაზოგადებს კულტურის შესახებ ცალკეული დისციპლინების მიერ დაგროვილ ფაქტობრივ თუ განმაზოგადებელ ცოდნას.

ალბათ, სწორედ კვლევის ობიექტის სირთულე და მრავალფეროვნება, აგრეთვე ყოფილ საბჭოთა კავშირში კულტუროლოგიური კვლევის ტრადიციის არარსებობა განაპირობებს სკეპტიკურ დამოკიდებულებას ამ მეცნიერებისადმი. ერთნი მის „დასაკუთრებას“ და ერთი რომელიმე მეცნიერების (მაგალითად, ფილოსოფიის) ფარგლებში მოქცევას ცდილობენ, მეორენი საერთოდ უარყოფენ კულტუროლოგიის როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების არსებობის ფაქტსაც და საჭიროებასაც.

ასეთი დამოკიდებულების ნიმუშად გამოდგება ჟურნალ «Социологические исследования»-ს მიერ მოწყობილი დისკუსიის დროს ა.ი. კრავჩენკოს მიერ გამოთქმული თვალსაზრისი, რომელიც აღნიშნავდა, რომ არსად მთელ მსოფლიოში არ არსებობს კულტუროლოგია, სამაგიეროდ არსებობს სოციოანთროპოლოგიური ცოდნის განტოტვილი სისტემა. ყოფილ საბჭოთა და პოსტსაბჭოურ სივრცეზე, ასეთი ცოდნის არარსებობის საკომპენსაციოდ შეიქმნა ის, რაც არსად არსებულა – კულტუროლოგია. „კულტუროლოგია“ განმაზოგადებელი სახელწოდება და, თუ გნებავთ, მითია, – ასკვნის ა.ი. კრავჩენკო, – მაგრამ იმდენად რეალური მითი, რომ იგი პასუხობს ჩვენი განათლებისა და შემეცნების უღრმეს მოთხოვნებს. დაე, იარსებოს დედამიწის ერთ მეექვსედზე ამ გამოგონილმა მეცნიერებამ“.

სკეპტიკოსთა საპასუხოდ შეიძლება ითქვას, რომ დღეს კულტუროლოგია როგორც მეცნიერება ყველგან აღიარებულია, მაგრამ სხვადასხვა ქვეყანაში იგი განსხვავებული სახელწოდებით მოიხსენება: Culturology, a Study of Culture, Culture Sciences და სხვ., რაც სრულიადაც არ ნიშნავს თვით მეცნიერების ამ დარგის არარსებობას. სხვა საქმეა, რომ როგორც სხვა, შედარებით ახალ მეცნიერებებს, კულტუროლოგიასაც საბოლოო ჩამოყალიბებამდე ჯერ კიდევ რთული და გრძელი გზა აქვს გასავლელი.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ერთი გარემოების აღნიშვნაც, რომელიც კულტუროლოგიური კელეეის აქტუალობასა და მის წინაშე მდგომ ამოცანათა სირთულეზე მეტყველებს. როგორც ამერიკელი მკელეერები ლემონტ ლინდსტრომი და ჯოფრი მ. უაიტი მიუთითებენ, კულტურის სფერო სულ უფრო მეტად იქცევა აქტუალურ პოლიტიკურ პრობლემად, რაც, სხვა მიზეზებთან ერთად, იმითაცაა განპირობებული, რომ იგი აქტიურად დგება ახლად განთავისუფლებული ქვეყნების პოლიტიკურ რეჟიმთა მოღვაწეობის დღის წერიგში. თუ ადრე, როცა პოლიტიკური ძალები ოპერირებდნენ ცნებებით – „კლასი", „პარტია", „სოციალური ჯგუფი" და სხვ., კულტურის პრობლემატიკა ძირითადად აკადემიური კელეეის საგანს წარმოადგენდა, დღეს ყველას გაუჩნდა კულტურის „დაუფლების" პრეტენზია, რის მეშვეობითაც ცდილობენ იდენტურობის, პოლიტიკური ავტონომიისა და სხვა მისწრაფებათა ლეგიტიმაციას. კულტურის საკითხების განხილვაში ერთვებიან პოლიტიკური ექსპერტები, ბიოლოგები და რიგი სხვა მეცნიერებების წარმომადგენლები. ასეთ ვითარებაში კულტუროლოგებს უხდებათ თავიანთი პროფესიული ინტერესის სფეროს განსაზღვრა და კულტურის გამიჯვნა მისი პოლიტიკური ფიქციისაგან.

სოგჯერ წმინდა აკადემიური კულტუროლოგიური ნაშრომები პოლიტიკური დისკუსიის საგნად იქცევა ხოლმე. ზემოთ დასახელებული მეცნიერები აღნიშნავენ, რომ რიგ ახალგანთავისუფლებულ ქვეყნებში (განსაკუთრებით – წყნარი ოკეანის კუნძულებსე) თავად კულტუროლოგ-მკელეერის არსებობის ფაქტი აღნიშნავს ტრადიციისა და თანამედროვეობის, მკელეერისა და საკელეი ობიექტის ოპოზიციას. აქედან გამომდინარე, მათივე სიტყვით, „დღეს კულტურა ომია, და ჩვენ ვიცით, რომ ბრძოლას თავს ვერავინ აარიდებს".

კულტურისა და ცივილიზაციის ცნებები

"კულტურა" ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული სიტყვაა როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ისე ყოფით მეტყველებაში. მას მრავალი მნიშვნელობა აქვს, რაც თვით კულტურის ფენომენის სირთულითა და მრავალფეროვნებითაა განპირობებული.

ტერმინი "კულტურა" მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან cultura, რომელსაც, თავის მხრივ, საფუძველად ედო ზმნა colere. ამ უკანასკნელს მრავალი მნიშვნელობა გააჩნდა: დასახლება, კულტივირება, მფარველობა, თაყვანისცემა და სხვ. ზოგიერთი მათგანი შემდგომში დამოუკიდებელ ტერმინებად ჩამოყალიბდა, მაგალითად, "დასახლება" – colonus – კოლონია, "თაყვანისცემა" – cultus – კულტი. ლათინურ ენაში cultura, ძირითადად, მიწის დამუშავების მნიშვნელობით იხმარებოდა, თუმცა უკვე კლასიკურ ლათინურში გვხვდება მისი გამოყენება აღზრდის, გონების სრულყოფის, გონებრივი შრომის მნიშვნელობითაც.

ანტიკურ ეპოქაში ჩამოყალიბდა წარმოდგენა გარემომცველი სამყაროს ორ სფეროზე: ბუნება – ნატურა – ანუ ის, რაც შეიქმნა და ვითარდება ადამიანისაგან დამოუკიდებლად, და კულტურა – მეორე ბუნება, რომელიც შექმნილი ან გარდაქმნილია ადამიანის მიერ.

თანამედროვე მნიშვნელობით, ტერმინი "კულტურა" XVII საუკუნიდან იხმარება. მიჩნეულია, რომ დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულის სახით იგი პირველად გამოიყენა გერმანელმა იურისტმა და ისტორიკოსმა სემუელ პუფენდორფმა (1632-1694), რომელიც კულტურას ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობას უპირისპირებდა.

შევეხებით იმ ძირითად მნიშვნელობებს, რომლითაც "კულტურა" გამოიყენება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში.

ამერიკელი სოციოლოგების ა.კრიობერისა და კ.კლაკჰონის მიერ 1952 წ. ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, 1871 წლიდან 1919 წლამდე კულტურის ცნების სულ 7 დეფინიცია იყო შემოთავაზებული (პირველი, როგორც ითვლება, ცნობილ ინგლისელ მეცნიერს ე.ბ.ტაილორს ეკუთვნის); 1920-დან 1950 წლამდე კი მათ სხვადასხვა ავტორთან იგივე ცნების 157 განსაზღვრება დათვალეს. 1963 წელს კრიობერმა და კლაკჰონმა ხელახლა გამოსცეს თავიანთი ნაშრომი. ამჯერად დეფინიციათა რიცხვი გაცილებით დიდი იყო,

რადგან პირველი გამოცემიდან გასული ათი წლის განმავლობაში გაჩნდა კულტურის ცნების ახალი ინტერპრეტაციები. კულტურის განსაზღვრებათა ეს მიმოხილვა ყველაზე სრული იყო იმჟამად არსებულთაგან, თუმცა ზოგიერთი ნაკლი მაინც ჰქონდა: ავტორები, ძირითადად, ინგლისურ-ამერიკულ ლიტერატურაში არსებული მიდგომებით იფარგლებოდნენ და ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ გერმანულ და ფრანგულენოვან ლიტერატურაში არსებულ მრავალფეროვან განსაზღვრებებსა და კონცეფციებს.

დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა კულტურის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია: ისტორიული, სტრუქტურული, სტრუქტურულ-ფუნქციური, სისტემური (ფ.ბოასი, კ.ლევი-სტროსი, ბ.მალინოვსკი, ა.რადკლიფ-ბრაუნი, ლ.უაიტი) და სხვ.

კულტურის ფენომენი სხვადასხვა მეცნიერების შესწავლის ობიექტია. თვით ცნების უნივერსალურობა და ყოვლისმომცველობა საშუალებას იძლევა, განვიხილოთ იგი მრავალ ასპექტში: როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო; სოციალური ინსტიტუტი; პიროვნების განვითარების დონის მახასიათებელი; საზოგადოების მარეგულირებელი ნორმების სისტემა; სოციალური გამოცდილების გადაცემის მექანიზმი; თვითდეტერმინაციის ფენომენი და ა.შ. ამდენად, სრულიად ბუნებრივია განსაზღვრებათა ზემოთ ნახსენები სიმრავლეც.

ფართო აზრით, კულტურის ცნება ხაზს უსვამს ადამიანის განსხვავებას ყველა სხვა ბიოლოგიური არსებისაგან. კულტურაში იგულისხმება არა ცალკეული შემოქმედებითი აქტი, არამედ შემოქმედება როგორც ადამიანის უნივერსალური დამოკიდებულება სამყაროსადმი, რომლის მეშვეობით იგი ქმნის "ახალ სამყაროს" და საკუთარ თავს. თითოეული კულტურა განუმეორებელი სამყაროა, რომლის შიგნით არსებობს ადამიანის (ადამიანთა) სწორედ ასეთი დამოკიდებულება გარემომცველი სინამდვილისა და საკუთარი თავისადმი.

ა.კრიობერმა და კ.კლაკჰონმა ზემოთ დასახელებულ ნაშრომში სცადეს კულტურის განსაზღვრებათა კლასიფიცირება და ეს დეფინიციები 6 ძირითად ჯგუფად დაჰყვეს. მივყვეთ ამ სქემას, შევეხოთ ზოგიერთ განსაზღვრებას, რომლებიც ფართოდ გამოიყენება სამეცნიერო ლიტერატურაში.

კულტურის ცნების დეფინიციები შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს:

1. აღწერილობითი ხასიათის განსაზღვრებანი. ამ ტიპის განსაზღვრებათა ფუძემდებლად ითვლება ე.ტაილორი, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კულტურის პირველი, დღეისათვის ქრესტომათიულად ქცეული მეცნიერული დეფინიციის ავტორად მიიჩნევა: "კულტურა ანუ ცივილიზაცია, ფართო ეთნოგრაფიული აზრით, შედგება ცოდნის, რწმენა-წარმოდგენების, ხელოვნების, ზნეობის, კანონების, ზნე-ჩვეულებებისა და ზოგი სხვა უნარ-ჩვევისაგან, რომლებიც შეძენილია ადამიანის როგორც საზოგადოების წევრის მიერ". როგორც ვხედავთ, ტაილორი არა მხოლოდ ჩამოთვლის კულტურის შემადგენელ ელემენტებს, არამედ ხაზს უსვამს მის არაბიოლოგიურ, სოციალურ ბუნებას. ამ თვალსაზრისით, ტაილორის ტრადიციას სხვა ტიპის განსაზღვრებათა მომხრეებიც აგრძელებენ, რასაც ქვემოთ შევეხებით.

2. ისტორიული განსაზღვრებანი, რომლებშიც აქცენტირებულია სოციალური მემკვიდრეობითობა, განვითარება, ტრადიცია. ცნობილი ლინგვისტის ე.სეპირის განმარტებით, კულტურა არის "მოღვაწეობის ხერხებისა და რწმენა-წარმოდგენათა კომპლექსი, რომელიც მიღებულია სოციალური მემკვიდრეობის გზით და რომელიც წარმოადგენს ჩვენი ცხოვრების ქსოვილს". ანთროპოლოგ ე.ჰიობელის განსაზღვრებით, "კულტურა არის ინტეგრირებული სისტემა ქცევის შესწავლილი მოდელებისა, რომლებიც დამახასიათებელია საზოგადოების წევრთათვის და რომლებიც არ წარმოადგენენ ბიოლოგიური მემკვიდრეობის შედეგს".

3. ნორმატიული განსაზღვრებანი, რომლებიც ორ ჯგუფად იყოფა: ა) დამყარებული ცხოვრების წესის კრიტერიუმზე. მაგალითად, ანთროპოლოგ კ.უისლერის განმარტებით, "ცხოვრების წესი, რომელსაც მისდევს მოცემული თემი თუ ტომი, არის მისი კულტურა... ეს არის სტანდარტიზებულ რწმენა-წარმოდგენათა და პრაქტიკის ერთობლიობა, რომელსაც მისდევს თემი".

თავად ა.კრიობერი და კ.კლაკჰონი აღნიშნავდნენ, რომ "კულტურის საფუძველია სქემატიზებული და ეტალონური აღქმის, რეაგირების წესი, რომლებიც იქმნება და გადაეცემა, უმთავრესად, სიმბოლოების დახმარებით... კულტურის ძირითად ბირთვს შეადგენს ტრადიციული (ე.ი. ისტორიულად შერჩეული და გადაცემული) იდეები და, უწინარესად, ამ იდეებთან დაკავშირებული ფასეულობანი". აქვე საინტერესო იქნება ფილოსოფოს კ.მანჰაიმის თვალსაზრისის გახსენება, რომლის თანახმად, არსებობს "არა ერთი კოლექტიური გამოცდილება, ერთი განსაზღვრული მიმართულებით, არამედ სამყარო შეიმეცნება

ხვადასხვაგვარად; აზროვნების რამდენიმე ერთდროულად არსებული (თუმცა, ფასეულობათა წარმოშობის თვალსაზრისით, არა ერთნაირი), ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია იბრძვის "საერთო სამყაროს" საკუთარი ხედვის დამკვიდრებისათვის, რომელიც მას გამოცდილებით გააჩნია". ბ) განსაზღვრებანი, ორიენტირებული იდეალებსა და ფასეულობებზე. "კულტურა – ესაა ადამიანთა ნებისმიერი ჯგუფის მატერიალური და სოციალური ფასეულობანი (ინსტიტუტები, ზნე-ჩვეულებანი, ქცევითი რეაქციები), მიუხედავად იმისა, ველურებზეა საუბარი თუ ცივილიზებულ ადამიანებზე", – წერდა სოციოლოგი უ.თომასი. "კულტურა, ანუ ადამიანთათვის საერთო იდეები და სტანდარტები, არის ის, რაც ჭეშმარიტად აკავშირებს მათ ერთმანეთთან".

ამერიკელი სოციოლოგი ნ.სმელზერი კულტურას განსაზღვრავს როგორც რწმენათა, ფასეულობათა და გამომსახველობით საშუალებათა ერთობლიობას, რომლებიც საერთოა რაღაც ჯგუფისათვის და ემსახურება ამ ჯგუფის წევრთა გამოცდილების მოწესრიგებასა და ქცევის რეგულირებას. კულტურის ძირითად ელემენტებად გვევლინება ცნებები (კონცეპტები), რომელთაც შეიცავს ენა, აგრეთვე ურთიერთობანი, კავშირები, ფასეულობები, რომელთა მიხედვით ადამიანები აყალიბებენ საკუთარ მიზნებსა და წესებს, განსაზღვრავენ, რა შეიძლება და რა არ შეიძლება. ამრიგად, აქ კულტურა გაგებულია როგორც ფასეულობათა, ქცევის ნორმათა და სტანდარტთა ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს ადამიანთა ურთიერთობებს ერთმანეთთან, საზოგადოებასა და ბუნებასთან.

თანამედროვე ინგლისელი სოციოლოგი ე.გიდენსი აგრეთვე მიიჩნევს, რომ კულტურა მოიცავს ცალკეული ჯგუფების შექმნილ ფასეულობებს, ნორმებს, რომელთაც ისინი იცავენ, და მათ მიერ წარმოებულ მატერიალურ საგნებს. ფასეულობათა როლში გამოდის აბსტრაქტული იდეალები, ნორმები კი, რომლებიც განსაზღვრავენ ნებადართულსა და აკრძალულს, წარმოადგენენ პრინციპებს ან წესებს, რომლებიც ადამიანებმა უნდა დაიცვან ცხოვრების მანძილზე.

4. ფსიქოლოგიური განსაზღვრებანი, თავის მხრივ, დაყოფილი ოთხ ჯგუფად:

ა) აქცენტი კეთდება გარემოსთან ადაპტაციაზე. "სასიცოცხლო პირობებთან შეგუების საშუალებათა ერთობლიობა არის კულტურა. ეს საშუალებანი ყალიბდება ვარირების, სელექციისა და მემკვიდრეობით

გადაცემის გზით", — აღნიშნავდნენ სოციოლოგები უ.სამნერი და ა.კელერი.

ბ) აქცენტირებულია შესწავლის, სწავლების პროცესი. "კულტურა არის სოციოლოგიური აღნიშვნა შესწავლილი ქცევისა, რომელიც არ ეძლევა ადამიანს დაბადებიდან, არ არის ჩადებული ჩანასახოვან უჯრედებში, როგორც კრაზანებთან ან ჭიანჭველებთან, არამედ ათვისებული უნდა იქნას ყოველი ახალი თაობის მიერ, უფროსთაგან შესწავლის გზით", — წერდა რ.ბენედიქტი.

გ) ყურადღება ექცევა ჩვევათა ჩამოყალიბებას. "კულტურა — ეს არის ქცევის ჩვეული ფორმები, რომლებიც საერთოა ჯგუფის, ერთობის ან საზოგადოებისათვის. იგი შედგება მატერიალური და არამატერიალური ელემენტებისაგან" (სოციოლოგი კ.იანგი). ლ.გუმილიოვის სიტყვით, "კულტურა არის ქცევისა და მსოფლმხედველობის სტერეოტიპი". ცნობილმა ინგლისელმა ისტორიკოსმა თ.კარლაილმა კულტურას "ჩვევათა გარსი" უწოდა. ამ "გარსის" ანუ ჩვევათა სისტემის გარეშე არ არსებობს არც ერთი საზოგადოება. როცა "გარსი", დედამიწის ქერქის მსგავსად, იბზარება, ამოხეთქავს ქაოსის, ნგრევისა და ზნეობრივი დაცემის ტალღა. გაიელის არეულობისა და ბრძოლის მრავალი წელი, ვიდრე ეს ქაოსი ახალ წესრიგად ჩამოყალიბდება და წარმოიქმნება ახალი "ჩვევათა გარსი".

დ) "წმინდა ფსიქოლოგიური" განსაზღვრებანი. ფსიქოანალიტიკოს გ.როხაიმის განმარტებით, "კულტურად მივიჩნევთ ერთობლიობას ყველა სუბლიმაციისა, შედეგიანი რეაქციისა და ყოველივე იმისა, რაც თრგუნავს იმპულსებს ან ქმნის მათი გაუკუღმართებული რეალიზაციის შესაძლებლობას".

5. სტრუქტურული განსაზღვრებანი, რომელთა ავტორებისათვის აშოსავალია კულტურის სტრუქტურული ორგანიზაცია. მაგალითად, ანთროპოლოგ რ.ლინტონის განმარტებით, "კულტურები, საბოლოოდ, სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოების წევრთა ორგანიზებული, განმეორებადი რეაქციები... ეს არის შესწავლილი ქცევისა და ქცევის შედეგების ერთობლიობა, რომლის კომპონენტები მემკვიდრეობით გადაეცემა. კოგნიტური ანთროპოლოგიის სკოლის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ კულტურა შედგება ფსიქოლოგიური სტრუქტურებისაგან, რომელთა მეშვეობით ინდივიდები ან ინდივიდთა ჯგუფები განსაზღვრავენ თავიანთ ქცევას. ამ სკოლის ერთ-ერთი

ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის უ.გუდინაფის სიტყვით, "საზოგადოების კულტურა შედგება იმისაგან, რაც საჭიროა ვიცოდეთ და საჭიროა გვწამდეს, რათა ჩვენი ქცევა მისაღები იყოს საზოგადოების სხვა წევრებისათვის... კულტურა ადამიანთა გონებასა და გულშია.

6. გენეტიკური განსაზღვრებანი, დამყარებული მისი წარმოშობის ფაქტორზე. ეს განსაზღვრებებიც ოთხ ჯგუფად იყოფა:

ა) კულტურა განიხილება როგორც შედეგი ან არტეფაქტი. კულტურა, "სიტყვის ყველაზე ფართო აზრით, აღნიშნავს ერთობლიობას ყოველივე იმისა, რაც შექმნილი ან მოდიფიცირებულია ორი ან მეტი ინდივიდის ცნობიერი ან არაცნობიერი საქმიანობით, ინდივიდებისა, რომლებიც ურთიერთქმედებენ ან ზემოქმედებენ ერთმანეთის ქცევაზე", — წერდა სოციოლოგი პ.სოროკინი.

ბ) აქცენტი კეთდება იდეებზე. სოციოლოგ ჰ.ბეკერის მიხედვით, "კულტურა — ეს არის შედარებით მუდმივი არამატერიალური შინაარსი, რომელიც საზოგადოებაში განზოგადების პროცესის მეშვეობით გადაეცემა".

გ) აქცენტირებულია სიმბოლოთა როლი. ამ მხრივ ფრიად საინტერესო და ფართოდ ცნობილი განსაზღვრება ეკუთვნის ლ.უაიტს: "კულტურას ვუწოდებთ ერთობლიობას საგნებისა და მოვლენებისა, რომლებიც დაკავშირებულია მხოლოდ ადამიანთა სახეობისთვის დამახასიათებელ მენტალურ უნართან — სიმბოლიზაციის უნართან. უფრო ზუსტად, კულტურა შედგება მატერიალური საგნების, მოქმედებების, რწმენა-წარმოდგენებისა და ურთიერთობებისაგან, რომლებიც ფუნქციონირებენ სიმბოლურ კონტექსტში. იგი წარმოადგენს რთულ ექსტრასომატურ მექანიზმს, რომელსაც ადამიანი იყენებს გადარჩენისა და არსებობისათვის ბრძოლაში".

დ) კულტურა განისაზღვრება როგორც არაკულტურიდან წარმოშობილი ფენომენი. "იმას, რაც განასხვავებს ადამიანს ცხოველისაგან, ვუწოდებთ კულტურას", წერდა ვ.ოსტვალდი.

როგორც ვხედავთ, ა.კრიობერმა და კ.კლაკჰონმა სცადეს, გარკვეული კრიტერიუმების საფუძველზე, დაეჯგუფებინათ კულტურის დეფინიციები. ჩვენის მხრივ, მათ მიერ მოტანილ მაგალითებს ზოგი შედარებით ახალი დეფინიცია დავუმატეთ. მიღებული სურათი ფრიად საინტერესოა, მაგრამ, ცხადია, არსებულ დეფინიციებს სრულად არ მოიცავს. სქემის მიღმა რჩება კულტურის უამრავი საინტერესო განსაზღვრება. გარდა

ამისა, კლასიფიკაციაში მოხვედრილი დეფინიციები რიგ შემთხვევებში ერთმანეთს გადაფარავენ, მაგალითებად კი ყველაზე მკაფიოდ ფორმულირებული განსაზღვრებებია შერჩეული.

დასასრულ, არ გვინდა გვერდი ავუაროთ კულტურის კიდევ რამდენიმე განსაზღვრებას.

ო.შპენგლერმა კულტურა ცოცხალ ორგანიზმთან გააიგივა, რომელიც სულიერი ცხოვრების იდუმალი ჭაობიდან იბადება და ცოცხალი ორგანიზმისათვის დამახასიათებელ ყველა საფეხურს გადის: ბავშვობას, სიმწიფეს, სიბერესა და სიკვდილს. კულტურათა დასახასიათებლად მან შემოიტანა ბიოლოგიაში გამოყენებული "ჰაბიტუსის" ცნება, რომელიც აღნიშნავს მცენარის დამახასიათებელ გარეგნულ მახასიათებლებს, განვითარების მსვლელობასა და ტემპს, სიცოცხლის ხანგრძლიობას, რის წყალობითაც იგი, თავისი თითოეული ნაწილით, განვითარების ყოველ საფეხურზე განსხვავდება მცენარეთა სხვა სახეობებისაგან. შპენგლერის აზრით, ეს ცნება შეიძლება გამოყენებულ იქნას დიდ სოციალურ ორგანიზმებთან მიმართებაშიც; აქრიგად, შესაძლებელია ლაპარაკი ინდური, ეგვიპტური, ანტიკური, დასავლეთევროპული და სხვა კულტურების ჰაბიტუსზე. იგი აისახება ცალკეული ადამიანების ქცევასა და აზროვნებაში, თავდაჭერასა და მსოფლმხედველობაში. კულტურის არსებობის მანძილზე იგი მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა ხელოვნება, მეცნიერება, ადმინისტრაციული და პოლიტიკური სისტემის არჩევა, სამართალი, ურთიერთობისა და ქცევის ნორმები და სხვ. თითოეული კულტურა თავისი მასალით ქმნის საკუთარ ფორმას, იდეას, გრძნობებსა და საკუთარ აღსასრულს. როგორც ფოთლები, ყვავილები, ნაყოფი თავიანთი ფორმითა და სახით გამოავლენენ მცენარის სახეს, ასევე რელიგიური, მეცნიერული, ფილოსოფიური, სამეურნეო სისტემები გამოხატავენ კულტურის სახეს. როგორც მცენარე, კულტურაც მთელი სიცოცხლე მიჯაჭვულია იმ ნიადაგს, საიდანაც აღმოცენდა.

კულტურის დეფინიციათა სისტემატიზატორი კ.კლაკჰონი თავის ნაშრომში "სარკე ადამიანისათვის" კულტურის ათზე მეტ განსაზღვრებას იძლევა: "ხალხის ცხოვრების განზოგადებული წესი"; "სოციალური მემკვიდრეობა, რომელსაც ინდივიდი იღებს თავისი ჯგუფისაგან"; "აზრთა, გრძნობათა და რწმენა-წარმოდგენათა სახე"; "ქცევის აბსტრაქცია"; "ადამიანთა ჯგუფის ქცევის ანთროპოლოგთა მიერ შექმნილი ვერსია"; "კოლექტიური ცოდნის საგანძური";

"განმეორებად პრობლემებში ორიენტაციის სტანდარტული ნაკრები"; "შესწავლადი ქცევა"; "მექანიზმი ქცევის ნორმატიული რეგულირებისათვის"; "გარემოსა და სხვა ადამიანებთან შეგუების ხერხების ერთობლიობა"; "ნალექი, რომელსაც ტოვებს ისტორია"; "რუკა, მატრიცა".

ამერიკელმა ანთროპოლოგმა კ.გირცმა სცადა გადაესინჯა კულტურის ცნების ადრინდელი ინტერპრეტაციები და ჩამოაყალიბა კულტურის სემიოტიკური კონცეფცია. გაიზიარა რა მაქს ვებერის თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ ადამიანი ცხოველია, რომელიც გარშემორტყმულია აზრთა მის მიერვე მოქსოვილი ბადით, გირცმა ამ ბადედ სწორედ კულტურა მიიჩნია. მისი აზრით, თუ ადამიანის ქცევა განხილული იქნება როგორც სიმბოლური ქმედება, რომლითაც რაღაც აღინიშნება, მაშინ აზრს დაკარგავს ანთროპოლოგთა უსასრულო კამათი კულტურის სუბიექტურობისა თუ ობიექტურობის, აგრეთვე იმის შესახებ, კულტურა პატერნირებული ქცევაა, სულიერი მდგომარეობა, თუ ერთიცა და მეორეც. გირცი თვლის, რომ კულტურა — ესაა შექმნილი და შექმნის პროცესში მყოფი ნიშნების (სიმბოლოების) ურთიერთმოქმედ სისტემათა ერთობლიობა. კულტურა შედგება საზოგადოების მიერ დადგენილ მნიშვნელობათა სტრუქტურებისაგან, რომელთა მეშვეობით ადამიანებს შეუძლიათ გაგზავნონ და მიიღონ საიდუმლო სიგნალები, აღიქვან შეურაცხყოფა და უპასუხონ მას.

შეიძლება დავასახელოთ კიდევ მრავალი საინტერესო და ორიგინალური დეფინიცია, მაგრამ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ვფიქრობთ, ნათელია, რომ კულტურის ცნების ნებისმიერი განსაზღვრება მოიცავს ამ ფენომენის ერთ ან რამდენიმე მხარეს, ავტორის ინტერესისა და კვლევის ობიექტიდან გამომდინარე. ყოვლისმომცველობისა და ამოუწურაობის პრეტენზია კი ვერც ერთს ვერ ექნება. კვლევის პროცესში ვსარგებლობთ ე.წ. სამუშაო განსაზღვრებებით, რომლებიც შეესაბამება ჩვენი კონკრეტული მუშაობის მიზანს.

კულტურის ცნების გვერდით, კულტუროლოგიაში ფართოდ გამოიყენება ცივილიზაციის ცნება. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნება, დღეს ცივილიზაცია დომინირებად კულტურულ-ისტორიულ კატეგორიად იქცა. ყურადღება ხალხებიდან და ქვეყნებიდან გადატანილ იქნა უფრო დიდ სტრუქტურებსა და პროცესებზე, რომლებიც ცივილიზაციის მასშტაბებში თავსდება.

იზრდება ინტერესი ლოკალური ცივილიზაციებისადმი, რომელთა ურთიერთობა არსებით გავლენას ახდენს მსოფლიო ისტორიულ პროცესზე. ცივილიზაციის ფენომენისადმი ინტერესის ზრდა განპირობებულია როგორც წმინდა აკადემიური, ასევე პრაქტიკული ინტერესით.

შევეცადოთ, მოკლედ მიმოვიხილოთ ცივილიზაციის ცნების დამკვიდრების ისტორია.

"ცივილიზაცია" ლათინურიდან მომდინარეობს: civis, civilitas აღნიშნავდა სამოქალაქოს, სამოქალაქო საზოგადოებას.

XVIII საუკუნეში ტერმინი "ცივილიზაცია" დამკვიდრდა ისტორიული განვითარების გარკვეული სტადიის აღსანიშნავად. ხშირად მისი პირველი გამოყენების თარიღად სახელდება 1752 წელი, როცა იგი გვხვდება ფრანგი ფილოსოფოსისა და სახელმწიფო მოღვაწის ჟ.ტიურგოს მიერ სორბონაში წარმოთქმულ სიტყვაში, მაგრამ ლ.ფევრი, რომელმაც "ცივილიზაციის" ცნების დამკვიდრების ისტორიის შესწავლას ერთ-ერთი ყველაზე სოლიდური ნაშრომი მიუძღვნა, თვლიდა, რომ ტერმინს იყენებდა არა თავად ჟ.ტიურგო, არამედ მისი გვიანდელი გამომცემლები, კერძოდ, დიუპონ დე ნემური.

1766 წელს სიტყვა "ცივილიზაცია" გვხვდება გზებისა და ხიდების ინჟინრის ბულანჟეს ნაშრომში "წარსული, წარმოდგენილი ზნე-ჩვეულებებით", რომელიც ამსტერდამში გამოვიდა მალე მისი გარდაცვალების (1759 წ.) შემდეგ. მართალია, დასახელებულ ნაშრომში ეს ტერმინი ერთადერთხელაა გამოყენებული, მაგრამ მას ახლავს საინტერესო განმარტება: "როცა ველური ხალხი ცივილიზებული ხდება, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩავთვალოთ ცივილიზაციის აქტი დასრულებულად მას შემდეგ, რაც ხალხს მიეცა მკაფიო და შეუვალი კანონები: საჭიროა, რომ იგი განიხილავდეს ამ კანონებს, როგორც განვითარებად ცივილიზაციას", — წერდა ბულანჟე. მის "თანაავტორად" მიიჩნევა ბარონი დე ჰოლბახი, რომელმაც გადააშუშავა ბულანჟეს ნაშრომი და რომელიც სიტყვა "ცივილიზაციას" იყენებს თავის თხზულებაშიც "საზოგადოების სისტემა". ამგვარად, დასახელებული ტერმინის სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანას უკავშირებენ ბულანჟესა და ჰოლბახის სახელებს.

1765-1775 წლებს შორის ტერმინი "ცივილიზაცია" თანდათანობით მკვიდრდება. 1768 წელს იგი გამოყენებული აქვს მარკიზ დე მირაბოს ტრაქტატში "კანონთა მეგობარი". როგორც ლ. ფევრი

აღნიშნავდა, "რევოლუციის მოახლოებასთან ერთად სიტყვა "ცივილიზაცია" გამარჯვებას ზეიმობს". 1798 წ. იგი პირველად შეიტანეს "აკადემიის ლექსიკონში", რომელიც მანამდე ამ სიტყვას არ სცნობდა.

საინტერესოა, რომ საფრანგეთშიც და ინგლისშიც, რომლებიც დღემდე ერთმანეთს ეცილებიან ტერმინ "ცივილიზაციის" დამამკვიდრებლის პატივს, ზმნა "civiliser" – "to civilize" და ზმნიზედა "civilisé" – "civilized" შესაბამის არსებით სახელზე ბევრად ადრე გაჩნდა.

იმ დროს, როცა წარმოიშვა ტერმინი "ცივილიზაცია", ადამიანთა საზოგადოების ისტორიის შემეცნება იმ საფეხურზე იდგა, რომელიც აყალიბებდა წარმოდგენას ერთიან და ერთგვაროვან საკაცობრიო ცივილიზაციაზე, და არა რელატივისტურ თვალსაზრისს ეთნიკურ ან ისტორიულად არსებულ ცივილიზაციებზე. მის საფუძვლად და სათავედ ცხადდებოდა დაგროვილი გამოცდილება, მიწის საკუთრება, ადამიანის მიჯაჭვა მიწაზე, ვაჭრობა, სიმდიდრის დაგროვება ან რომელიმე სხვა ფაქტორი, პირველ რიგში – ადამიანის გონების სრულყოფა. ცივილიზაციის მახასიათებლებსა და სათავეებზე კამათობდნენ, ხანდახან – ცხარედაც, მაგრამ შეხედულება ცივილიზაციაზე, როგორც საერთო-საკაცობრიო ფენომენსა და კაცობრიობის საერთო მომავალზე, ეჭვს არ იწვევდა.

შოტლანდიელმა ისტორიკოსმა და ფილოსოფოსმა ა.ფერგიუსონმა (1723-1816) პირველმა გამოიყენა ცივილიზაციის ცნება მსოფლიო-ისტორიული პროცესის განსაზღვრული საფეხურის აღსანიშნავად.

თავდაპირველად ცივილიზაციის ცნება გამოიყენებოდა საზოგადოების პროგრესული განვითარების თეორიის ფარგლებში, "ველურობისა" და ბარბაროსობის" მომდევნო საფეხურის აღსანიშნავად. ფრანგი განმანათლებლები თვლიდნენ, რომ ცივილიზაცია წარმოადგენს სოციალურ წყობას, რომელიც ემყარება გონისა და სამართლიანობის საწყისებს.

შარლ ფურიემ კაცობრიობის ისტორია 7 საფეხურად დაჰყო: 1) ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა: ადამიანები თავისუფალნი და თანასწორნი იყვნენ, საკვები უხვად ჰქონდათ, ცხოვრობდნენ ჯგუფებად, არ იცნობდნენ მონოგამიას. 2) ველურობის საფეხური: მოსახლეობის რიცხვი იზრდება. მას თავს ატყდება წინა საფეხურისათვის უცნობი უბედურებანი. 3) პატრიარქატი: ძლიერები ბატონობენ სუსტებზე, მამაკაცები – ქალებზე. გაჩნდა კერძო საკუთრება. 4) ბარბაროსობა:

ჩნდება ცივილიზაციის ჩანასახები, პირველ რიგში ხელოსნობა და ვაჭრობა. 5) ცივილიზაცია: პირადი ინტერესი უპირისპირდება საზოგადოებრივს, ქრება სამართლიანობის გრძნობა. თუმცა ცივილიზაციას დადებითი მომენტებიც აქვს: სტიმულს აძლევს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას, იზრდება შრომის ნაყოფიერება. 6) გარანტიზმი. 7) სოციენტიზმი, რომლის ფარგლებში მიიღწევა კაცობრიობის ბედნიერება და ჰარმონია.

ფურიე თვლიდა, რომ ცივილიზაციური წყობის სამეურნეო წესრიგი საზოგადოებრივი უბედურებაა, ღმერთის მიერ ადამიანთა მოდგმის დასასჯელად მოვლენილი. ბატონობს სიღატაკე, ტყუილი, ომი — ყველასი ყველას წინააღმდეგ. პირადი და საზოგადოებრივი ინტერესი შეურიგებელ წინააღმდეგობაშია. მაგრამ ცივილიზაციას დროებითი, წარმავალი ხასიათი აქვს. კაცობრიობის ისტორიისათვის იგი ისეთივე ავადმყოფობაა, როგორც ყრმისათვის კბილების ამოჭრა. როგორც ადამიანის ორგანიზმი, ცივილიზაციური წყობაც თავის განვითარებაში გადის ოთხ ფაზას: ბავშვობის, სიჭაბუკის, სიმწიფის, მოხუცებულობის.

ტ.ჰ.ბოკლი, რომელმაც დაწერა "ინგლისის ცივილიზაციის ისტორია", მიიჩნევდა, რომ ცივილიზაციის ჩამოყალიბების და განვითარების წყაროა ცოდნის პროგრესი: "გონებრივი ფაქტორი ისტორიის მეფეა". ბოკლი ასახელებდა ოთხ ფაქტორს, რომლებიც განმსაზღვრელ ზეგავლენას ახდენენ კაცობრიობის ისტორიაზე: კლიმატს, საკვებს, ნიადაგს და "საერთო სახის ბუნებას", ანუ ბუნებრივ წესრიგს. მისი აზრით, ცივილზაციის საფუძველია ადამიანთა მიერ შექმნილი სიმდიდრე. "მის გარეშე არ იქნება არც სურვილი, არც დრო იმ ცოდნის გამოყენებისა, რომელზეც დამოკიდებულია ცივილიზაციის წარმატება". სანამ არ არსებობდა სიმდიდრე, ადამიანი მთლიანად დამოკიდებული იყო ბუნებაზე, ნიადაგსა და კლიმატზე. მაგრამ ბუნების ძალები შეზღუდულია, ადამიანის ძალები კი — ამოუწურავი. კლიმატით განპირობებულმა ენერგიამ უზრუნველყო ევროპელი ხალხებისათვის ცივილიზაციის შექმნისა და განვითარების უნარი. ცივილიზაცია ბოკლს ესმოდა, როგორც ხელოვნების შექმნის, ქალაქების მშენებლობის, სკოლების, ბიბლიოთეკების შექმნის უნარი. ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ სიმდიდრის შექმნის შემდეგ. ხალხები, რომელთაც არ გააჩნდათ სიმდიდრე, ვერ გახდნენ ცივილიზებული.

რაც შეეხება ცივილიზაციათა მსგავსებასა და განსხვავებას, ბოკლი წერდა, რომ "ბუნების საერთო სახე" მოქმედებს წარმოსახვასა და გონებაზე. ერთ ვითარებაში ბუნება ჯაბნის ადამიანს, მეორეში — ადამიანი ბუნებას. პირველ შემთხვევაში დომინირებს ბუნების სტიქიური მოვლენების ზემოქმედებით აღძრული წარმოსახვა, რაც დამახასიათებელი იყო ძველი ცივილიზაციებისათვის. მეორე შემთხვევაში ჭარბობს გონება. ბოკლის აზრით, ევროპაში უპირატესი ტენდენცია იყო ადამიანისადმი ბუნების დაქვემდებარება, ევროპის მიღმა — ადამიანის დაქვემდებარება ბუნებისადმი.

საზოგადოების განვითარების სტიმულს ბოკლი ხედავდა არა რელიგიებში, რომლებიც იცვლებიან და ქრებიან, არამედ "გონებით ჭეშმარიტებებში". "ბარბაროსობიდან ცივილიზაციაზე გადასვლას, — წერდა იგი, — ევროპა უნდა უმადლოდეს მხოლოდ თავის გონებრივ მოღვაწეობას. მხოლოდ გენიოსთა აღმოჩენებია მუდმივი... შეიცავენ რა ახალი ცხოვრების ჩანასახებს, ისინი მიედინებიან მუდმივი, ამოუწურავი ნაკადის სახით და რამდენიმე საუკუნის შემდეგ შეიძლება უფრო დიდი ძალა გამოამჟღავნონ, ვიდრე აღმოჩენის მომენტში".

მოგვიანებით გაჩნდა ტერმინ "ცივილიზაციის" მრავლობითი რიცხვი. ამას საფუძვლად დაედო უზარმაზარი მასალის დაგროვება ე.წ. "მოგზაურობათა ეპოქაში". ნათელი გახდა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურათა მრავალფეროვნება დედამიწის სხვადასხვა რეგიონში.

XIX საუკუნის დასაწყისში ისტორიის მონისტური ინტერპრეტაცია პლურალისტურმა შეცვალა. ლ.ფევრის თანახმად, სიტყვა "ცივილიზაცია" პირველად მრავლობით რიცხვში 1819 წელს იქნა გამოყენებული, რაც ცივილიზაციური წყობის მრავალფეროვნების აღიარების დასაწყისი იყო. "მოგზაურობათა ეპოქაში" დაგროვილმა მასალამ ცხადყო კულტურათა და ცივილიზაციათა მრავალსახეობა მსოფლიოში, აგრეთვე მათი განვითარების სასრულობა. ლ.ფევრის მოხდენილი ნათქვამით, "ადამიანებმა, რომლებმაც გამოიარეს რევოლუცია და იმპერია, გაიგეს ის, რაზეც წარმოდგენა არ ჰქონდათ მათ წინაპრებს; მათ გაიგეს, თანაც არა წიგნებიდან, რომ ცივილიზაცია შეიძლება მოკვდეს." მოგვიანებით ჟ.ა. დე გობინო წერდა: "ცივილიზაციათა დაცემა — ყველაზე უცნაური და, ამავე დროს, იდუმალებით მოცული რამაა ისტორიულ ფენომენთაგან".

მოგზაურთა, ლინგვისტთა, მეცნიერთა ერთობლივი ძალისხმევით, ცნება "ცივილიზაციის" შინაარსი გამდიდრდა და გამრავალფეროვნდა.

რესტავრაციის ეპოქაში დაიწყო ცივილიზაციის მეტ-ნაკლებად მწყობრი თეორიების ჩამოყალიბება. ცივილიზაციის "ეთნოგრაფიული" კონცეფციის თანახმად, რომელიც ტ.ჟუფრუას ეკუთვნოდა, ყველა ხალხს თავისი ცივილიზაცია გააჩნია.

ნაშრომში "ევროპის ცივილიზაციის ისტორია" (1829) ფ.გიზომ სცადა, გადაეჭრა წინააღმდეგობა კაცობრიობის საერთო პროგრესის იდეასა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალის მრავალფეროვნებას შორის. მან საფუძველი ჩაუყარა ცივილიზაციის ეთნოისტორიულ კონცეფციას, რომლის თანახმად, ერთი მხრივ, არსებობენ ლოკალური ცივილიზაციები, მეორე მხრივ კი არსებობს ცივილიზაცია როგორც კაცობრიობის საერთო პროგრესი: არსებობს ხალხთა ოჯახები, მაგრამ ყველა მათგანი მოქცეულია "ცივილიზაციის ხის ჩრდილქვეშ, რომელიც დროთა განმავლობაში თავისი ფოთლებით შემოსავს მთელ დედამიწას". "დარწმუნებული ვარ, რომ კაცობრიობას საერთო ბედი აქვს და ცივილიზაციის საერთო ისტორია უთუოდ უნდა დაიწეროს, — წერდა იგი, — განვითარების, პროგრესის იდეა სიტყვა "ცივილიზაციის" ძირითადი შინაარსია". არსებობენ ცივილიზაციები, და ისინი შესწავლილ უნდა იქნან, მაგრამ მათ ზემოთ არის კიდევ ცივილიზაცია და მისი მოძრაობა, უწყვეტი პროგრესი.

გიზოსვე ეკუთვნის ფრიად მნიშვნელოვანი დებულება იმის შესახებ, რომ ცივილიზაცია ისეთივე მოვლენაა, როგორც სხვა ისტორიული მოვლენები, და მიუხედავად იმისა, რომ იგი ძნელად აღსაქმელია, ძნელად ექვემდებარება აღწერას, თვალისათვის მიუწვდომელია, იგი რეალურად არსებობს და შესწავლადია. ცივილიზაცია ისტორიულ მოვლენათა იმ კატეგორიას ეკუთვნის, რომლებიც შეუძლებელია გამოვრიცხოთ ისტორიიდან ისე, რომ არ დავამახინჯოთ ეს უკანასკნელი.

ზემოთ დასახელებული წინააღმდეგობის დაძლევის შემდგომი ცდები ევროპულ ისტორიულ და ფილოსოფიურ ლიტერატურაში ისტორიის სწორხაზობრივი პროგრესული განვითარების იდეის გაბატონებით აღინიშნა. მის თანახმად, კაცობრიობის ისტორია უნივერსალურ, საყოველთაო კანონზომიერებათა მიხედვით ვითარდება, ცალკეული ქვეყნებისა თუ ხალხების ისტორია კი მხოლოდ ამ კანონზომიერებათა გამოვლინების კერძო შემთხვევებია. მსოფლიო ისტორია — ესაა თანამიმდევრული გადასვლა ერთი საფეხურიდან მეორე, უფრო მაღალ საფეხურზე. ხალხები და ქვეყნები პროგრესის ამ გზაზე სხვადასხვა ტემპით მოძრაობენ.

აღნიშნულ თვალსაზრისს ემყარებოდა ისტორიის ევროპოცენტრისტული ხედვა. მისსავე საფუძველზე ჩამოყალიბდა თვალსაზრისი "ისტორიულ" და "არაისტორიულ" ხალხებზე, ზნეობის განვითარების სამი საფეხურის (ოჯახი, სამოქალაქო საზოგადოება, სახელმწიფო) ჰეგელისეული კონცეფცია, კონტის აზროვნების განვითარების სამი საფეხურის (თეოლოგიური, მეტაფიზიკური, პოზიტიური) კანონი.

ლ.ჰ.მორგანმა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში "ძველი საზოგადოება" (1877) ერთმანეთისაგან განასხვავა პრიმიტიული და ცივილიზებული საზოგადოებები. მათგან პირველი ემყარება საერთო წარმომავლობისა და ნათესაობის პრინციპებს, მეორისათვის კი დამახასიათებელია საწარმოო ძალების განვითარება, შრომის ფუნქციური დანაწილება, მიწაზე კერძო საკუთრების გაჩენა, სიმდიდრის კონცენტრაცია, საზოგადოების კლასებად დაყოფა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

ლ.ჰ.მორგანის თეორიამ დიდი გავლენა იქონია კ.მარქსისა და ფ.ენგელსის შეხედულებებზე. ისტორიის მკაცრმა მატერიალისტურმა ხედვამ ისინი ფორმაციული თეორიის შექმნამდე მიიყვანა, რომლისთვისაც ცივილიზაცია "კლასობრივი საზოგადოების" ერთ-ერთ, თანაც არა პირველხარისხოვან მახასიათებლად იქცა.

"მატერიალისტური მონიზმის" დაძლევასა და მორგანისეული მრავალფაქტორული მიდგომისაკენ მიბრუნებას შეეცადა ინგლისელი არქეოლოგი ვირ გორდონ ჩაილდი (1892-1957), რომელმაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა "ნეოლითური რევოლუციის" ეპოქას: მიწათმოქმედების განვითარებას თან სდევდა სასოფლო თემების ჩამოყალიბება და "ურბანისტული რევოლუცია", ანუ ქალაქების ზრდა და ახალი სოციალური წესრიგის ჩამოყალიბება. ჩაილდის კონცეფციის თანახმად, ქალაქი ცივილიზაციური პროცესის სიმბოლო და შედეგია, რომლის როლი და მნიშვნელობა განისაზღვრება პროფესიული და სოციალური დიფერენციაციის სტიმულირებით. ჩაილდმა ჩამოაყალიბა ცივილიზაციის მახასიათებელთა შემდეგი ჩამონათვალი: ქალაქებისა და დამწერლობის წარმოშობა, მეურნეობის განვითარების გარკვეული დონე, საგადასახადო სისტემის მეშვეობით სახელმწიფოს ხელში ცენტრალიზებული სიმდიდრე, სავაჭრო-სააღებმიცემო ურთიერთობათა განვითარება, მეცნიერებისა (არითმეტიკა, ასტრონომია) და ხელოვნების განვითარება.

ცივილიზაციის დაახლოებით იგივე კრიტერიუმებს ასახელებს ფ.არშილასი "სოციალურ მეცნიერებათა საერთაშორისო ენციკლოპედიაში".

უ.ადამსის განმარტებით, ცივილიზაციას ქმნის საზოგადოების განვითარების დონე, რომლისთვისაც დამახასიათებელია განვითარებული ტექნოლოგიის არსებობა, სამეურნეო სპეციალიზაცია, ფუფუნების საგნების არსებობა, შორეული ვაჭრობა, ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვა, სოციალური სტრატიფიკაცია, ქალაქები ან მსხვილი ადმინისტრაციული ცენტრები, განვითარებული სამართლებრივი ინსტიტუტები, მუდმივი არმია, სამხედრო უწყებანი, შეიარაღების სპეციალიზაცია, მმართველობის სახელმწიფოებრივი ფორმა, ოლიმპიური ან მონოთეისტური ტიპის რელიგია, კოდიფიცირებული ისტორია, მონუმენტური არქიტექტურა და ხელოვნება.

რ.რედფილდი, ცენტრალურ ამერიკაში წარმოებული კულტურანთროპოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე, ერთმანეთს უპირისპირებდა "სახალხო" და "სამოქალაქო" საზოგადოებებს. პირველისათვის დამახასიათებელია სოციალური ერთგვაროვნება, ძლიერი ჯგუფური სოლიდარობა, კულტურის სინკრეტიზმი და იზოლირებულობა, "ხალხური სიბრძნე", წერილობითი ტრადიციის არარსებობა. რედფილდის აზრით, სწორედ ქალაქს უკავშირდება ცხოვრების ცივილიზაციური მოწყობა, რომელიც მოიცავს კომუნიკაციისა და ინტეგრაციის ახალ სისტემებს, დამყარებულს პოლიტიკურ ხელისუფლებაზე, დამწერლობასა და რელიგიაზე. სწორედ ქალაქებში ყალიბდება "მაღალი" კულტურა, რომელიც მოიცავს განცალკევებულ კომპონენტებს: ცოდნას, სოციალურ მოძღვრებებს, ფილოსოფიასა და ესთეტიკას. ამ კომპონენტების მატარებლად იქცევა განათლებული ელიტა, რომელიც თავისუფალია მატერიალურ წარმოებაში უშუალო მონაწილეობისაგან.

ევოლუციურ-მატერიალისტური მიდგომის ფარგლებში თავსდება ე.ჰანთინგტონის თვალსაზრისიც, რომელიც ჩამოყალიბებულია 1945 წ. იელის უნივერსიტეტში გამოცემულ წიგნში "ცივილიზაციის მამოძრავებელი ძალები". ცივილიზაციის ზუსტი განსაზღვრა ძნელია, — აღნიშნავდა იგი, — ისევე როგორც ბარბაროსობიდან ცივილიზაციაზე გადასვლის ზუსტი დროის დადგენა. ასეთი განსაზღვრა არც არის აუცილებელი. შეიძლება ითქვას, რომ ცივილიზაცია იწყება იქ, სადაც ხდება გადასვლა სოფლის მეურნეობაზე, მკვიდრ ცხოვრებაზე, მყარდება

მმართველობის გარკვეული ფორმა და ჩნდება დამწერლობა. ძირითად ფაქტორებად, რომლებიც განსაზღვრავენ საზოგადოების ცივილიზაციურ განვითარებას, ე.ჰანთინგტონი მიიჩნევდა გეოგრაფიულ, კლიმატურ, ბიოლოგიურ, დემოგრაფიულ (ჭარბი მოსახლეობა აფერხებს სიმდიდრის ზრდას), დიეტურ (მომთაბარე ხალხების მწირი რაციონი აბრკოლებს მათ სოციალურ ეოლუციას) ფაქტორებს.

ამრიგად, კულტურული მატერიალიზმის წარმომადგენელთა მიერ ცივილიზაციის მთავარ მახასიათებლებად მიჩნეულია მეურნეობის მწარმოებლური ხასიათი, ცხოვრების სხვადასხვა სფეროსა და დონის ფუნქციური დანაწევრება, გარკვეული სისტემური ორგანიზებულობა. ეს ნიშნები განიხილება "პრიმიტიული" საზოგადოების საპირისპიროდ, რომელიც "ბუნებრივ" მდგომარეობაში იმყოფება. ცივილიზაციის ნიშნების ჩამონათვალი (მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის განვითარება, ქალაქები, ვაჭრობა, კერძო საკუთრება, მონუმენტური ხუროთმოძღვრება, განვითარებული რელიგია, დამწერლობა დ სხვ.) ფრიად ვრცელი და ეკლექტურია, ნაკლებად ჩანს მათი ურთიერთმიმართება. სწორედ ამან მისცა საბაბი პ.სოროკინსა და კულტურული მატერიალიზმის სხვა კრიტიკოსებს, ცივილიზაციის კრიტერიუმთა ამ ჩამონათვლისათვის ირონიულად ეწოდებინათ "სამრეცხაოში ჩასაბარებელი თეთრეულის ნუსხა".

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან თანდათანობით ყალიბდება ცივილიზაციის რაობის რადიკალურად განსხვავებული გაგება, რომლის თანახმად, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალის მრავალფეროვნება აღასტურებს ცივილიზაციის ფორმათა მრავალგვარობას; არ არსებობს საერთო საკაცობრიო ცივილიზაცია, როგორც განვითარების უმაღლესი საფეხური, რომელსაც კაცობრიობის ერთმა ნაწილმა მიაღწია, მეორე კი მისკენ მიემართება. კაცობრიობის სხვადასხვა ნაწილი განვითარების სხვადასხვა გზას გადის და არავითარი საერთო, საყოველთაო ხაზი აქ არ არსებობს. საფუძველი ჩაეყარა ლოკალურ ცივილიზაციათა თეორიებს, რომელთა წარმომადგენლები არ იზიარებენ კაცობრიობის საერთო პროგრესის იდეას. ეს თეორიები წარმოადგენდა საკმაოდ ლოგიკურ რეაქციას ევოლუციონიზმსა და ევროპოცენტრიზმზე, თუმცა ამ უკანასკნელთ, ცხადია, არსებობა არ შეუწყვეტიათ; შემდგომში ევოლუციონიზმისა და, განსაკუთრებით, ნეოევოლუციონიზმის წარმომადგენლებმა არაერთი საინტერესო არგუმენტით სცადეს თავიანთი თვალსაზრისის განმტკიცება, ლოკალურ ცივილიზაციათა თეორიების

თანამედროვე ვერსიები კი მსოფლიოს ცივილიზაციური ხედვის სახით ჩამოყალიბდა.

ერთ-ერთი პირველი, ვინც სცადა მოეცა ლოკალურ ცივილიზაციათა მწყობრი თეორია, გახლდათ რუსი მეცნიერი ნ.დანილევსკი. იგი "ცივილიზაციის" მნიშვნელობით იყენებდა "კულტურულ-ისტორიული ტიპის" ცნებას. ნაშრომში "რუსეთი და ევროპა" (1871) მან უარყო უსასრულო პროგრესის იდეა და განაცხადა, რომ კულტურულ-ისტორიული ტიპი (ცივილიზაცია), ისევე როგორც ყველა ბიოლოგიური ორგანიზმი, გადის განვითარების განსაზღვრულ სტადიებს – ზრდას, დასუსტებასა და კვდომას. ცივილიზაცია – ესაა შედარებით ხანმოკლე პერიოდი, "ხარჯვის პერიოდი", რომლის დროს ხალხები გამოდიან ხანგრძლივი ეთნოგრაფიული მდგომარეობიდან და ხარჯავენ ყველაფერ იმას, რაც "ეთნოგრაფიული ხანის" მანძილზე დაგროვდა. საერთო-საკაცობრიო ცივილიზაცია არასოდეს არსებულა და არც იარსებებს. იგი სხვა არაფერია, თუ არა ცალკეული ცივილიზაციების ერთობლიობა.

ლოკალურ ცივილიზაციათა თეორიის ფარგლებში ჩამოყალიბდა გერმანელი მეცნიერის ო.შპენგლერის კონცეფცია. იგი თვლიდა, რომ არ არსებობს არავითარი ერთიანი მსოფლიო ისტორია, ამ ისტორიას ქმნის რამდენიმე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი კულტურის სურათი, რომელთაგან თითოეულს თავისი ბედი აქვს. კულტურის განვითარების ზედა ზღვარს წარმოადგენს ცივილიზაცია, რომელიც წერტილს უსვამს კულტურის არსებობას და რომელიც დგება მაშინ, როცა კულტურა ამოწურავს განვითარების ყველა შინაგან შესაძლებლობას, როცა მასში განხორციელებული სული – აპოლონური, მაგიური თუ ფაუსტური – მთლიანად გამოავლენს თავის თავს ხალხთა, ენათა, რწმენა-წარმოდგენათა, ხელოვნებათა, სახელმწიფოთა, მეცნიერებათა სახით.

ლოკალური ცივილიზაციების თეორიის კულმინაციად მიჩნეულია ინგლისელი ისტორიკოსის ა.ჯ.ტოინბის 30-წლიანი შრომის შედეგი – მრავალტომიანი "ისტორიის კვლევა". იგი თვლიდა, რომ ცივილიზაცია – ეს არის დროსა და სივრცეში განსაზღვრული კულტურულ-ისტორიული სისტემა, რომელიც ხასიათდება სულიერი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების შედარებითი ერთგვაროვნებით და რომელიც წარმოადგენს ურიცხვი ინდივიდისა და მრავალი თაობის ქმნილებას.

ცივილიზაციური პრობლემატიკის დამუშავებაში დიდი წვლილი შეიტანა "ანალების" ფრანგულმა სკოლამ, რომლის მთავარი წარმომადგენლები არიან ლ.ფევრი, მ.ბლოკი, ფ.ბროდელი და სხვ. ისინი თვლიდნენ, რომ სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურულ-ფსიქოლოგიური ქვესისტემების ერთობლიობა ქმნის მთლიან სისტემას, რომელიც შეიძლება განისაზღვროს როგორც ცივილიზაცია.

ლ.ფევრის აზრით, ცივილიზაცია – ესაა "მატერიალური და სულიერი, ინტელექტუალური და რელიგიური ძალების ტოლქმედი, რომელიც დროის მოცემულ მონაკვეთში, მოცემულ ქვეყანაში ზემოქმედებს ადამიანთა ცნობიერებაზე". მსოფლაღქმის ხასიათი, ცხოვრების სტილი, კულტურის ენა და სხვ. დამოკიდებული არ არის სოციალურ ჯგუფებსა და ინდივიდებზე; ისინი "მოცემულია" ცივილიზაციის მიერ და განისაზღვრება ეპოქით. ცივილიზაციის საზღვრები შეიძლება კვეთდეს ხალხებს და ინდივიდებზეც კი გადიოდეს.

ფ.ბროდელთან ცივილიზაცია წარმოგვიდგება როგორც რაღაც სივრცე, "კულტურულ-გეოგრაფიული ზონა" (განსაზღვრული გეოგრაფიითა და დემოგრაფიით), გარკვეული სახით მოწესრიგებული კულტურის ელემენტებით, რომელთაც ახასიათებთ მდგრადობა სივრცესა და დროში. ასეთ "ზონას" გააჩნია თავისი ცენტრი-ბირთვი, საზღვრები და განაპირა მხარეები. მასში შედის მრავალი საზოგადოება და სოციალური ჯგუფი, ამიტომ ცივილიზაციის შესწავლისას ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ მცირე კულტურულ- არეალებს, აღნიშნავდა მეცნიერი.

რუსული წარმოშობის ცნობილი ამერიკელი სოციოლოგის პ.სოროკინის აზრით, სოციოკულტურულ მოვლენათა უკიდეგანო ოკეანეში არსებობს მსხვილი კულტურული სისტემები, რომელთაც სხვაგვარად კულტურული ზესისტემები ან ცივილიზაციები ეწოდება. ისინი ფუნქციონირებენ როგორც რეალური მთლიანობა, არ ემთხვევიან სახელმწიფოს, ერს ან ნებისმიერ სხვა რომელიმე სოციალურ ჯგუფს. ჩვეულებრივ, ეს კულტურული ერთობები გადაფარავენ ეროვნულ, პოლიტიკურ ან რელიგიურ საზღვრებს. ისინი წარმოადგენენ არა მრავალფეროვან მოვლენათა კონგლომერატს, რომლებიც თანაარსებობენ, მაგრამ არაფრით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, არამედ მთლიანობას, ინდივიდუალობას, რომლის შემადგენელი ნაწილები გამსჭვალული არიან ერთი ფუძემდებლური პრინციპით და გამოხატავენ ერთ, ძირითად ფასეულობას. საზოგადოების განვითარების პროცესში

ყალიბდება შემეცნებითი, რელიგიური, ეთიკური, ესთეტიკური, სამართლებრივი და სხვ. სისტემები, რომელთაც ახასიათებთ უმაღლესი რანგის სისტემად გაერთიანების ტენდენცია. "ამის შედეგად ყალიბდება კულტურული ზესისტემები, რომელთაგან თითოეულს გააჩნია დამახასიათებელი მენტალიტეტი, ჭეშმარიტებისა და ცოდნის საკუთარი სისტემა, საკუთარი ფილოსოფია და მსოფლმხედველობა, რელიგია, წარმოდგენა სამართლიანობაზე, მხატვრული სიტყვიერებისა და ხელოვნების საკუთარი ფორმები, ქცევის კოდექსი, საკუთარი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ორგანიზაცია, და ბოლოს, პიროვნების საკუთარი ტიპი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მენტალიტეტითა და ქცევით".

ცივილიზაციის რაობის თავისებური გაგება და მსოფლიოს ორიგინალური ცივილიზაციური ხედვა შემოგვთავაზა ამერიკელმა კულტუროლოგმა ფ.ბეგბიმ. ცივილიზაციას იგი განმარტავდა როგორც ქალაქებთან დაკავშირებულ კულტურას. ცივილიზაციის ძირითად მსაზღვრელებად ფ.ბეგბიმ იდეათა და ფასეულობათა სისტემა მიიჩნია და ამის საფუძველზე რვა ცივილიზაცია გამოჰყო: ეგვიპტური, ბაბილონური, ჩინური, ინდური, კლასიკური (რომელშიც სუბკულტურების სახით შედის ბერძნული და რომაული), პერუს (ინკების), ცენტრალურამერიკული (მოიცავს აცტეკების, მაიასა და ტოლტეკების სუბკულტურებს) და დასავლეთევროპული. აქედან ექვსი ცივილიზაცია ქმნის სამ "ტყუპ ცივილიზაციას", რომლებიც თანაარსებობენ დროსა და სივრცეში: ეგვიპტური და ბაბილონური, ჩინური და ინდური, პერუსა და ცენტრალურამერიკული. სხვა ცივილიზაციები წარმოიშობა ერთიმეორის მიყოლებით, ქრონოლოგიური თანამიმდევრობით. გარდა ამისა, ბეგბი გამოყოფს კიდევ ერთ ცივილიზაციას (კულტურას) — ახლოაღმოსავლურს, რომელიც ჩამოყალიბდა თავის დროზე კლასიკური ცივილიზაციების მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე და მათი ძლიერი გავლენა განიცადა. ამ ცივილიზაციას მიაკუთვნებს ბეგბი ბიზანტიას, მუსლიმურ აღმოსავლეთს, სომხეთს, აგრეთვე სახელმწიფოებრიობის არმქონე ეთნორელიგიურ ჯგუფებს — ებრაელებს, კოპტებს, ფარსებს, მარონიტებს, ნესტორიანელებს. მისი აზრით, ახლოაღმოსავლურმა ცივილიზაციამ დიდი გავლენა იქონია აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის კულტურებზე.

ცივილიზაციის კიდევ ერთი განსაზღვრება, რომელიც ლოკალურ ცივილიზაციათა თეორიის ფარგლებში თავსდება, შემოთავაზებულია

რუსი მკვლევარის ი.ვ.

სახელმწიფოს, არც რომელიმე სოციალურ ჯგუფს; იგი სცილდება გეოგრაფიულ და რასობრივ საზღვრებს. ამავე დროს, ცივილიზაცია განსაზღვრავს ყველა წერილი სოციალური წარმონაქმნის ხასიათს და წარმოადგენს ჭეშმარიტ მთლიანობას სოციალურ და კულტურულ ფენომენთა ოკეანეში. ცივილიზაციურ მახასიათებლებად მიჩნეულია დროისა და სივრცის აღქმა; სამყაროს ხედვა და მასში ადამიანის ადგილის განსაზღვრა; ბუნების აღქმა და მასზე ზემოქმედების (მისი შემეცნების) ხერხები — მაგიური, რაციონალური, ტექნიკური თუ სხვ.; ინდივიდისა და კოლექტივის ურთიერთმიმართება; დამოკიდებულება შრომისადმი; დამოკიდებულება სამართლის, როგორც სოციალურ ურთიერთობათა რეგულატორისადმი; ამქვეყნიურისა და იმქვეყნიურის ურთიერთმიმართება; დამოკიდებულება სიკეთილისადმი; რელიგიურობის ფორმები; ისტორიის აღქმა და მისი მიმართულების გააზრება (პროგრესი, წრებრუნვა, რეგრესი); დამოკიდებულება მშობლებსა და შვილებს, თაობებს, საერთოდ, სოციალური მთელის სხვადასხვა ჯგუფებს შორის და სხვ.

დღეს საუბარი შეიძლება ცივილიზაციის ცნების სამ ძირითად ინტერპრეტაციაზე:

1) ლოკალურ-ისტორიული (ნ.დანილევსკი, ო.შპენგლერი, ა.ტოინბი, ს.ჰანთინგტონი და სხვ.). დასახელებული მკვლევრები სხვადასხვა რაოდენობისა და სახელწოდების ცივილიზაციებს ითვლიან და მათი ურთიერთობაც სხვადასხვანაირად წარმოუდგენიათ, თუმცა მათ აერთიანებთ ცივილიზაციის ერთგვაროვანი გაგება.

2) ისტორიულ-სტადიური, რომელიც, ამა თუ იმ კრიტერიუმზე დაყრდნობით, განარჩევს სხვადასხვა ტიპის ცივილიზაციებს: ზეპირ, წერილობით, წიგნისა და ეკრანის; კოსმოგენურ, ტექნოგენურსა და ანთროპოგენურს; ტრადიციულსა და თანამედროვეს; ევოლუციურსა და ინოვაციურ ცივილიზაციებს და სხვ. გვხვდება ისეთი ტერმინებიც, როგორიცაა "შუბის ცივილიზაცია", "მშვილდ-ისრის ცივილიზაცია" და ა.შ.

3) მსოფლიო-ისტორიული, რომლის თანახმად, ლოკალურ ცივილიზაციათა ურთიერთობის გარკვეულ საფეხურზე ჩნდება მსოფლიო ისტორიის ფენომენი. ამ ინტერპრეტაციის ფარგლებში თავსდება ცივილიზაციის გაგება როგორც კაცობრიობის ისტორიული განვითარების საფეხურისა, რომელიც მოსდევს ველურობისა და ბარბაროსობის საფეხურებს (ლ.ჰ.მორგანი, ფ.ენგელსი); საკაცობრიო

ცივილიზაციის სამი ტალღის (აგრარული, ინდუსტრიული და ინფორმაციული) კონცეფცია (უ.როსტოუ, დ.ბელი, ო.ტოფლერი); აგრეთვე კაცობრიობის ისტორიული განვითარების სქემები, შემუშავებული კ.იასპერსისა და შ.იტოს მიერ.

ცივილიზაციის განსაზღვრის სირთულე რამდენიმე მომენტითაა განპირობებული. ჯერ ერთი, რთულია თავად ცივილიზაციის შემადგენლობა. თითოეულ მათგანში მიმდინარეობს დაძაბული შინაგანი ბრძოლა ბუნებრივი და ადამიანური რესურსებისათვის, ჰეგემონიისათვის იდეოლოგიისა და რელიგიის სფეროში. ამასთან, ამ ბრძოლაში ცალკეული ჯგუფები თუ კოალიციები ეძებენ გარეშე მხარდაჭერას ცივილიზაციელ თანამოძმეთა წინააღმდეგ. ამის მაგალითს იძლევა XX საუკუნის არაბულ-მუსლიმური ცივილიზაციის ისტორია.

გარდა ამისა, ცივილიზაციას შინაგანი დინამიკურობა ახასიათებს. ძველი თავისებურებანი ქრება, ჩნდება ახალი. თავს იჩენს გარედან მოსული და შინაგანი იმპულსების, რაციონალიზმისა და ტრადიციონალიზმის ურთიერთქმედების რთული პროცესი. იცვლება ცივილიზაციათა საზღვრები. ისიც უნდა ითქვას, რომ ოიკუმენა არ იყოფა ცივილიზაციებად ნაშთის გარეშე. იგი მოიცავს ცივილიზაციის მიღმა, ცივილიზაციათაშორის და ცივილიზაციათა თანხვედრის არეალებსაც.

კულტურა როგორც სისტემა

კულტურას, ტრადიციულად, ყოფენ მატერიალურ და სულიერ სფეროებად. მატერიალურ და სულიერ რეალიებს, რომლებიც შექმნილია ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად, ეწოდება **არტეფაქტი**, ანუ ხელოვნურად შექმნილი. ე.ი. არტეფაქტები – მატერიალური და სულიერი ფასეულობანი, ბუნებრივი წარმოშობის კი არაა, არამედ საფიქრებული და შექმნილია ადამიანის მიერ. ცხადია, იგი ამისათვის იყენებს ბუნებრივ მასალას, ენერგიას, ნედლეულს და მოქმედებს ბუნების კანონების გათვალისწინებით.

თავად ადამიანი, ერთი მხრივ, ბუნებრივი წარმოშობისაა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, მეორე მხრივ, იგი სულიერი და სოციალური არსებაა, ცხოვრობს და მოქმედებს როგორც შემქმნელი, მატარებელი და მომხმარებელი სულიერი ფასეულობებისა, რომელთა შექმნა ბუნებას არ შეუძლია.

ამრიგად, ადამიანი არა მხოლოდ ბუნების შვილია, არამედ კულტურისაც. ადამიანის არსი მოიცავს ნიშან-თვისებებს — როგორც საკუთრივ ბუნებრივს, მატერიალურს, პირველ რიგში ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიურს, ასევე სულიერს, არამატერიალურს, შექმნილს კულტურით, ინტელექტუალური შრომით, მხატვრული, მეცნიერული თუ ტექნიკური შემოქმედებით.

ადამიანი — სულიერ-მატერიალური არსება — მოიხმარს როგორც მატერიალურ, ისე სულიერ არტეფაქტებს. მატერიალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იგი ქმნის და მოიხმარს საკვებს, ტანსაცმელს, საცხოვრებელს, ქმნის ტექნიკას, ნაგებობებს, გზებს და ა.შ. სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის იგი ქმნის მხატვრულ ფასეულობებს, ზნეობრივ და ესთეტიკურ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ, რელიგიურ იდეალებს, მეცნიერებასა და ხელოვნებას. ამიტომ ადამიანი განიხილება როგორც სისტემაწარმომქმნელი ფაქტორი კულტურის განვითარებაში. ადამიანის ადგილი კულტურაში — ესაა კულტურის ცენტრის, არტეფაქტების სამყაროს ცენტრის ადგილი. ეს იმ რეალობათა სამყაროა, რომელიც დედამიწაზე ადამიანის გაჩენამდე არ არსებობდა, რომელიც გაჩნდა, არსებობს და ეთანარსებება ადამიანთან ერთად და იარსებებს მანამ, სანამ იარსებებს კაცობრიობა.

კულტურა ფუნქციონირებს როგორც ფასეულობათა ცოცხალი სისტემა, რომლის რეგულირებას ახდენს ადამიანი. იგი მოიხმარს, ინახავს, ანაწილებს როგორც მატერიალური, ასევე სულიერი კულტურის პროდუქტებს და ამ პროცესში ქმნის საკუთარ თავს როგორც კულტურის სუბიექტს, სოციალურ არსებას.

კულტურის გენეზისი და განვითარება მიმდინარეობს როგორც ერთიანი პროცესი წარსულის ფასეულობათა შენახვა-ათვისებისა, მათი გამდიდრებისა და გადაცემისა, როგორც ამოსავალი მასალისა მომავლის კულტურისათვის.

სტრუქტურული მთლიანობა იმაში ელინდება, რომ კულტურული ფასეულობანი იერარქიულად ლაგდება. მათ ნაწილს ცენტრალური და ფუნდამენტური ადგილი უჭირავს, მეორე ნაწილს

— მეორეხარისხოვანი; ზოგ მათგანს ზოგადი და საყოველთაო მნიშვნელობა აქვს, ზოგს — ლოკალური და კონკრეტული.

კულტურის მთლიანობა, რომელსაც ადამიანი ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდება, ესაა ადამიანის მატერიალური და სულიერი ცხოვრების, საერთოდ მატერიალური და სულიერი კულტურის მთლიანობა. მათ შორის ზღვარი პირობითია.

მატერიალური კულტურა უფრო უშუალოდ და პირდაპირაა დაკავშირებული მატერიალურ რესურსებთან, რომელთაც ადამიანი იყენებს როგორც მასალას. ზოგჯერ მას უწოდებენ „კულტურას საგნობრივ სამოსელში“.

მატერიალური კულტურა მოიცავს სხვადასხვა ტიპისა და ყოფიერების არტეფაქტებს, რომლებშიც ბუნებრივი მასალა ტრანსფორმირებულია ისე, რომ მიიღოს საგნის ან ნივთის ფორმა, რომელიც ნაკარნახევია ადამიანის შემოქმედებითი უნარით და აკმაყოფილებს მისი როგორც „homo sapiens“-ის მოთხოვნილებებს.

მატერიალურ კულტურაში შედის მატერიალური წარმოების საშუალებანი, არქიტექტურული ძეგლები, შენობა-ნაგებობანი, კომუნიკაციისა და სატრანსპორტო საშუალებანი, პარკები, ადამიანის მიერ ხახვეცილი ლანდშაფტი და ა.შ. გარდა ამისა, მატერიალური კულტურა მოიცავს წარსულის ძეგლებს, არქეოლოგიურ ობიექტებს და სხვ.

სულიერი კულტურა მოიცავს, ერთი მხრივ, სულიერი მოღვაწეობის შედეგებს, მეორე მხრივ, თვით ამ მოღვაწეობას. სულიერი კულტურის არტეფაქტები სხვადასხვა ფორმით არსებობს. ესენია ზნე-ჩვეულებანი და ადამიანთა ქცევის ნორმები, ჩამოყალიბებული კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში; ზნეობრივი, ესთეტიკური, რელიგიური და პოლიტიკური იდეალები, მეცნიერული ცოდნა და სხვ. ესაა ინტელექტუალური, სულიერი მოღვაწეობის შედეგები.

ზნე-ჩვეულებანი სულიერი კულტურის ერთ-ერთი უძველესი ელემენტია. ეთნოგრაფიული გამოკვლევები ადასტურებს, რომ ისინი ქცევის ძირითადი რეგულატორების როლს ასრულებენ არქაულ საზოგადოებებში; თანამედროვე, დინამიურ საზოგადოებებში მათი როლი მცირდება, თუმცა, ისინი არსებობენ ყველა განვითარებულ კულტურაში.

ზნე-ჩვეულებანი არის ცხოვრების სხვადასხვა სფეროსა და სხვადასხვა სიტუაციაში ადამიანის ქცევის მყარი სისტემა, რომელსაც ნორმის სახე აქვს და თაობიდან თაობას გადაეცემა. იღებს რა გარკვეული სტერეოტიპის ფორმას, ზნე-ჩვეულებანი

სიმკაცრითა და კონსერვატიულობით გამოირჩევა და თან სდევს ამა თუ იმ ხალხს საუკუნეთა მანძილზე. ისინი გაცილებით ძნელად აქქემდებარებიან ცვლილებას, ვიდრე მორალისა და სამართლის ნორმები; უფრო მეტად ატარებენ ეროვნულ ელფერს, ვიდრე ეს უკანასკნელნი. ზნე-ჩვეულება ნაკლებად გაცნობიერებულია, დამკვიდრებულია საზოგადოებრივ მეხსიერებაში. თაობიდან თაობაში გადასული ზნე-ჩვეულება შეესისხლხორცება ქცევის შინაგან მოტივებს, რაც წარმოშობს მათი დაცვის მოთხოვნილებას.

სულიერ კულტურაში შეიძლება მოქმედებდეს **ნორმები,** რომლებიც გამოვეკვნენ ზნე-ჩვეულებებს და დამოუკიდებელი არსებობა შეიძინეს ან საგანგებოდ არიან შემუშავებული ადამიანის სპეციალიზებული ქცევისათვის. ეს შეიძლება იყოს ეკონომიკური და პოლიტიკური, ტექნიკური და ტექნოლოგიური, ზნეობრივი, სამართლებრივი და სხვა ნორმები, რომელთაც შეიძლება არ გააჩნდეთ რიტუალური ხასიათი, მაგრამ რომლებიც რაღაც სახით სანქციონირდებიან და, როგორც ზნე-ჩვეულებანი, მოქმედებენ ნების დართვის ან აკრძალვის ფორმით.

ნაკეტილ კულტურებში ზნე-ჩვეულებანი და ნორმები რეგლამენტირებულია და მათი დაცვა სავალდებულოა. გახსნილ კულტურებში შესაძლებელია ზნე-ჩვეულებათა და ნორმათა პლურალიზმი, რაც შემწყნარებლობის ატმოსფეროს ქმნის.

სულიერი კულტურის განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მეტ მნიშვნელობას იძენენ ფასეულობები როგორც რეგულატორები. ეს სულიერი კულტურის უფრო რთული პროდუქტია. ფასეულობა ყალიბდება არა მხოლოდ ნორმებისა და ზნე-ჩვეულებათა სინთეზის შედეგად, არამედ იგი მოიცავს აგრეთვე ინტერესსა და მოთხოვნილებას, მოყალეობასა და იდეალს, მოტივაციას.

მკვლევართა ნაწილი გამოყოფს ფასეულობათა სხვადასხვა ტიპს: ვიტალური ფასეულობები, დაკავშირებული ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღის იდეალებთან, ცხოვრების იდეალურ წესთან, სოციალური ფასეულობანი, პოლიტიკური, ზნეობრივი, რელიგიური და იდეოლოგიური, მხატვრულ-ესთეტიკური, ოჯახურ-ნათესაური და სხვა ფასეულობანი.

ფასეულობანი უფრო მოქნილად საზღვრავს ქცევის ნორმებს. ისინი უშვებენ გრადაციას უმდაბლესიდან უმაღლესისაკენ და პირიქით. ფასეულობათა სოციერო სისტემაში ისინი პერსონიფი-

ცირდებიან (წმინდანები, გმირები, ბელადები, კლასიკოსები და ა.შ.)

რაც უფრო მაღალი დონისაა სულიერი კულტურა, მით უფრო მრავალფეროვანია ფასეულობები. კულტურა რომ გამდიდრდეს, მას უნდა ჰქონდეს ფასეულობათა ასიმილირების და სინთეზის უნარი. ასეთი კულტურები უფრო ეფექტურად პასუხობს როგორც შინაგან, ასევე გარეგან გამოწვევებს. აქვთ რა ფასეულობათა უმდიდრესი სისტემა, ისინი ფლობენ უფრო ფართო შესაძლებლობებს როგორც პასუხის კონსტრუირებისათვის, ასევე მოქნილი რეაქციისათვის. შესაბამისად, მათ გადარჩენის მეტი შესაძლებლობა აქვთ.

განვითარებულ კულტურათა მდგრადობა იმითაა განპირობებული, რომ მათ აქვთ ფასეულობათა შეთანხმების მექანიზმი მათი ურთიერთგანადგურების გარეშე, ფასეულობების აზრის დადგენის გზით. მაგრამ შეთანხმების მექანიზმმა რომ იმუშაოს, კულტურას უნდა გააჩნდეს ფასეულობათა იერარქიული სისტემა, შეეძლოს ფასეულობათა განაწილება, მათი სოციალური შედეგების გათვალისწინებით.

მოქნილი, განვითარებული კულტურა გამოიმუშავებს ელიტარულ ფასეულობათა და ყოველდღიურ მოთხოვნილებათა ინტეგრაციის მექანიზმს. ამისკენაა მიმართული იდეოლოგთა, პოლიტიკოსთა, ფილოსოფოსთა და სხვ., ძალისხმევა.

მკვლევართა ნაწილი (რუსი მკვლევარები ზ.ა. ორლოვა, ვ.ს. პოლიკარპოვი) განასხვავებს კულტურის არასპეციფიკურ და სპეციალიზებულ ფორმებს. არასპეციფიკურ ფორმებია პირადი ცხოვრება, საოჯახო და არაფორმალური ჯგუფური ურთიერთობანი, მორალი, პრაქტიკული ცოდნა, ყოფითი ესთეტიკა, ცრურწმენანი და სხვ., რასაც უწოდებენ ყოფით. ცხოვრებას, კულტურის ყოფით შრეს. კულტურის სპეციალიზებულ ფორმებს წარმოადგენს საზოგადოების ფუნქციონირების ინსტიტუირებული სფეროები. მათი ნაწილი უზრუნველყოფს საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობას, სოციალურ წესრიგს, ურთიერთობებს მის წევრთა შორის (კულტურის ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი სფეროები), ნაწილი — სოციალურად მნიშვნელოვან ცოდნასა და ქცევას (მეცნიერება, ხელოვნება, რელიგია). პირველ შემთხვევაში ადამიანი აუცილებელ ცოდნასა და ჩვევებს ეუფლება ყოველდღიური გამოცდილებით, ურთიერთობით სხვა ადამიანებთან; მეორე შემთხვევაში აუცილებელია სპეციალური მომზადება.

კულტურის ყველა სპეციალიზებულ სფეროს გააჩნია თავისი „ენა“, „კოდი“. ამის წყალობით მათ ახასიათებს ავტონომიის მაღალი ხარისხი ერთმანეთთან და ყოფით კულტურასთან მიმართებაში.

კულტურის ფუნქციები (დანიშნულება). კულტურის უმთავრესი ფუნქციაა კაცობრიობის სულიერი გამოცდილების შენახვა და კელაკწარმოება, მისი გადაცემა თაობებისათვის და მისი გამდიდრება. ამ ამოცანის განხორციელების პროცესში წარმოიშვა სულიერი მოღვაწეობის სხვადასხვა ფორმა და ტიპი.

კულტურა იქცა მრავალფეროვან და რთულ სულიერ წარმონაქმნად. ზნეობა, რელიგია, ხელოვნება, მეცნიერება, იდეოლოგია, პოლიტიკა, მითი, მსოფლმხედველობა და სხვა სისტემები (მათი არტეფაქტები) ქმნის კულტურის მთლიან სურათს. შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პროცესის გაღრმავება განაპირობებს სულიერი მოღვაწეობის ამ სფეროთა ღრმა დიფერენციაციასა და სპეციალიზაციას. განვითარებულ კულტურებში ისინი იქცევიან მოღვაწეობის შედარებით დამოუკიდებელ სფეროებად და, საბოლოოდ, ყალიბდებიან როგორც კულტურის დამოუკიდებელი ინსტიტუტები.

თითოეული ეს ინსტიტუტი ფლობს მეთოდების სპეციფიკურ სისტემას, ფასეულობათა განსაზღვრულ ტიპს და გარკვეულ კულტუროგენურ ფუნქციებს. მაგალითად, მხატვრული ფასეულობანი და მხატვრული შემოქმედება არსებითად განსხვავდება მეცნიერული ფასეულობებისა და შემოქმედებისაგან, ისინი წარმოადგენენ სამყაროს სულიერი ათვისების განსხვავებულ საშუალებებს, სხვადასხვა სულიერი ფასეულობის წარმოების ხერხებს.

კულტურა ასრულებს კიდევ **შემეცნებით (გნოსეოლოგიურ) ფუნქციას.** ეს ფუნქცია ორი მიმართულებით ხორციელდება: ერთია, ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონების შემეცნება, მეორე კი, ადამიანის მიერ საკუთარი თავის თვითშემეცნება.

ინფორმაციული ფუნქცია უზრუნველყოფს ისტორიულ მემკვიდრეობითობას და სოციალური გამოცდილების გადაცემას. კულტურა არ გადაეცემა ბიოლოგიური, გენეტიკური გზით (თუმცა ტემპერამენტი, ნიჭი, ტალანტი მემკვიდრეობით გადადის). იგი სოციალური გზით გადაეცემა თაობიდან თაობას. ინფორმაციული ფუნქცია ხორციელდება როგორც დროში, ასევე სივრ-

ცე'ში. ბერნარდ შოუს სიტყვებს თუ გავიხსენებთ, „თუ თქვენც გაქვთ ვაშლი და მეც, და ჩვენ ვაშლებს ერთმანეთს ვუცვლით, თითოეულ ჩვენგანს ისევ თითო ვაშლი რჩება. მაგრამ, თუ თითოეულ ჩვენგანს გვაქვს იდეა, და ჩვენ მათ ერთმანეთს გადავცემთ, სიტუაცია იცვლება: ორივე ერთბაშად ემდიდრდებით — თითოეული ორი იდეის მფლობელი ხდება". ინფორმაციულ ფუნქციასთან დაკავშირებულია **სოციალიზაციის ფუნქცია**. იგი მდგომარეობს ინდივიდის მიერ ცოდნის, ნორმებისა და ფასეულობათა გარკვეული სისტემის ათვისებაში, რაც მას საზოგადოების სრულუფლებიან წევრად აქცევს.

ინფორმაციის გადაცემა ხდება არა მხოლოდ სულიერი, არამედ მატერიალური კულტურის მეშვეობითაც. როგორც ე. ტაილორი აღნიშნავდა, შრომის ნებისმიერი იარაღი ან მოხმარების საგანი წარმოადგენს ერთ-ერთ რგოლს მონათესავე საგნებისა და მოვლენების რიგში და, სემიოტიკის კანონების მიხედვით, ატარებს გარკვეულ ინფორმაციას თავისი ეპოქისა და ქვეყნის ადამიანის თუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შესახებ. არქეოლოგი ცალკეული ნამტვრევებით აღადგენს წარსულის ცოცხალ სურათს, ეთნოლოგი — რომელიღაც შორეული ტომის ყოფასა და რწმენა-წარმოდგენებს.

კულტურის ინფორმაციულ ფუნქციასთან მჭიდროდაა დაკავშირებული **კომუნიკაციური ფუნქცია**. მის განმახორციელებლად გვევლინება, პირველ რიგში, სამეტყველო ენა, ხელოვნების (მუსიკა, თეატრი, კინო, ფერწერა და სხვ.) სპეციფიკური „ენები", აგრეთვე მეცნიერების ენა მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის და სხვა სიმბოლოებითა და ფორმულებით. ხანგრძლივი დროის მანძილზე თავდაპირველ ნიშანთა სისტემები თაობიდან თაობას, ადამიანიდან ადამიანს გადაეცემოდა მხოლოდ გრაფიკულად, შედარებით მცირე მანძილზე და დროში. ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა განვითარების შედეგად კულტურის კომუნიკაციური შესაძლებლობანი წარმოუდგენლად გაიზარდა.

კომუნიკაციური ფუნქცია უზრუნველყოფს ურთიერქმედებასა და გაცვლას კულტურული პროცესის მონაწილეთა შორის.

რეგულაციური (ნორმატიული) ფუნქცია თავს იჩენს როგორც ნორმებისა და მოთხოვნათა სისტემა საზოგადოების წევრთა მიმართ. იგი საშუალებას იძლევა, შენარჩუნებულ იქნეს სოციალური წონასწორობა ამა თუ იმ საზოგადოებაში.

რეგულაციური ფუნქცია ხორციელდება რამდენიმე დონეზე. მათგან უმაღლესია ზნეობის (მორალის) ნორმები, შემდეგ – სამართლებრივი ნორმები. კიდევ ერთი დონე, რომელზეც მეღავნდება ნორმატიული ფუნქცია ესაა სამართალი და ზნე-ჩვეულებანი.

კულტურის შეფასებითი (აქსიოლოგიური) ფუნქციის მეშვეობით საზოგადოებაში ყალიბდება წარმოდგენა ნებადართულსა და აკრძალულზე, სასარგებლოსა და საზიანოზე, სიკეთესა და ბოროტებაზე.

მკვლევართა ნაწილი აღნიშნავს აგრეთვე ადამიანთა ჯგუფების გამიჯვნისა და ინტეგრაციის ფუნქციას. კულტურა ყოველთვის წარმოგვიდგება კონკრეტულ-ისტორიული ფორმით. ეთნოსებს, ერებს, ქვეყნებს ერთმანეთისაგან მიჯნავს არა იმდენად გეოგრაფიული და პოლიტიკური საზღვრები, რომლებიც შედარებით ადვილად იცვლება, არამედ კულტურულ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი, რომელთაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვთ და გარეშე გაელენა-ასიმილაციისადმი დიდი მდგრადობა ახასიათებთ. მსოფლიო ისტორია გვასწავლის, რომ ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის, დიდი იმპერიების შექმნის მრავალრიცხოვან მცდელობათა მიუხედავად, მცირე ეთნოსები არსებობას განაგრძობდნენ და აღორძინდებოდნენ სწორედ კულტურის, ფსიქიკური წყობის, ცხოვრების წესის, ზნე-ჩვეულებათა მეშვეობით.

ამრიგად, კულტურა გვევლინება როგორც ადამიანთა მცირე და დიდი ჯგუფების, ზოგჯერ კი ფრიად მნიშვნელოვან ერთობათა (გაიხსენოთ დიხოტომია 'დასავლეთი-აღმოსავლეთი") დიფერენციაციის მძლავრი ფაქტორი.

გარდა ამისა, კულტურა ასრულებს საზოგადოებრივი მეხსიერების ფუნქციას. იგი ქმნის სულიერი გამოცილების დაგროვების ხერხებსა და საშულებებს. ამის წყალობით შესაძლებელი ხდება ადამიანის კულტურული ქცევის ღრმა, ქვეცნობიერი ნიმუშების ფორმირება, ე.ი. ფორმირება არქეტიპებისა, რომლებიც განამტკიცებენ ქცევით ნორმებსა და მოდელებს ფსიქო-ფიზიოლოგიურ დონეზე. როგორც კ.გ. იუნგი მიუთითებდა, არქეტიპები მოქმედებს როგოც თანდაყოლილი ფსიქიკური წარმონაქმნები, მაგრამ ისინი წარმოშობილია ადამიანის კულტურული განვითარების შედეგად.

მკვლევარები მიუთითებენ კიდევ კულტურის რეკრეაციულ ფუნქციაზე, რომელიც ვლინდება, იმ საშუალებათა თუ დაწესე-

ბუნებათა შექმნაში, რომელთა მეშვეობით ადამიანი აღიდგენს სულიერ ძალებს. ასეთი შეიძლება იყოს თეატრი, ტაძარი თუ კარნავალი.

გახსნილ კულტურებში ადამიანს თავისუფალი არჩევანის საშუალება გააჩნია, ამიტომ მისთვის მისაწვდომია კულტურის ყველა ფორმა და ფუნქცია.

ბუნება და კულტურა. კულტურა თავის ფუნქციათა რეალიზაციას ახდენს რეალურად არსებულ ობიექტებთან მიმართებაში. ეს ობიექტებია ან ბუნება, ან „მეორე ბუნება" — კულტურა, ის, რაც ხელოვნურადაა შექმნილი. კულტურისათვის ერთიცა და მეორეც ობიექტურად რეალურია.

ისტორიულად ადამიანის კულტურული (გარდამქმნელი) საქმიანობის პირველ ობიექტად იქცა ბუნება — არა მხოლოდ როგორც ობიექტური რეალობა, არამედ როგორც თავად ადამიანის არსიც.

ნ. ბერდიაევი მიუთითებდა ბუნებრივ და კულტურულ მოვლენათა შორის არსებულ განსხვავებაზე. პირველ შემთხვევაში წარმოშობის პრინციპი თვით მოვლენაშივე დევს, არტეფაქტებში — კულტურის მიერ შექმნილ მოვლენებში კი წარმოშობის პრინციპი მოვლენის მიღმაა, ადამიანის გონებაში, რომელიც აპროექტებს და ქმნის არტეფაქტებს.

„პირველი", „ძირითადი" ბუნების მიღმა არავითარი კულტურა არ არსებობს. კულტურა გარდაქმნის იმას, რაც მოცემულია „პირველი" ბუნებით.

შინაგანად ადამიანი ეკუთვნის როგორც ბუნებას, ასევე კულტურას, იგი ნაწილი და შედეგია როგორც ბუნებრივი, ასევე შემოქმედებითი ევოლუციისა. ბუნებისაგან გამოცალკევებისაკენ პირველი ნაბიჯი ადამიანმა მაშინ გადადგა, როცა დაიწყო ბუნებაში საკუთარი სამყაროს — კულტურის სამყაროს — შექმნა. გარდაქმნის რა ბუნებას, ადამიანი მკვიდრდება როგორც კულტურის სუბიექტი, მისი შემქმნელი. არტეფაქტებში სინთეზირებულია რეალობის ორი სახე — ბუნებრივ-ორგანული და სულიერ-ტექნიკური.

ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობაში კულტურა მეკავშირის როლს ასრულებს. იგი ერთ მთლიანობაში აერთიანებს ბუნებრივ ლანდშაფტს, საცხოვრებელს, საკვების მოპოვების წესს და თავად ადამიანს. ბუნება გავლენას ახდენს ეთნოფსიქოლოგიის, ეროვნული ხასიათის წამოყალიბებაზე, ადამიანის პრაქტიკული საქმიანობის ხასიათზე. სხვადასხვა ხალხებს

შეიძლება ერთისაირი სოციალური ორგანიზაცია, განვითარების ტექნოლოგიური და ეკონომიკური დონე ჰქონდეთ, მაგრამ განსხვავდებიან კულტურით – მხატვრული გემოვნებით, ზნე-წესებებით, ტრადიციებით და ა.შ.

კულტურის განვითარების კვალობაზე მისი, როგორც მეკავშირის როლი ბუნებასა და ადამიანს შორის სულ უფრო რთულდება და ღრმავდება. იზრდება არტეფაქტების მასა და სირთულე, მათში სულიერ-ტექნიკური კომპონენტების ხვედრითი წილი. ყოველივე ამის შედეგად იზრდება ბუნებისგან ადამიანის გაუცხოების ხარისხი. ქმნის რა ახალ რეალობას, ადამიანი თანდათან შორდება თავის ბუნებრივ ფესვებს, არსებობის ბუნებრივ დეტერმინაციას. ადამიანის ტექნიცირებულმა ყოფამ მოიტანა უამრავი ეკოლოგიური პრობლემა.

კულტურისა და ბუნების ურთიერთობა თანდათან იქცევა კულტურის ობიექტად. ყალიბდება ადამიანის ეკოლოგიური მოღვაწეობის კულტურა, ანუ, როგორც ხშირად ამბობენ, ეკოლოგიური კულტურა. მისი ამოცანაა კულტურულ ფასეულობათა სისტემაში ბუნებასთან ურთიერთობის შესახებ ცოდნის დამკვიდრება. ბუნება ადამიანის ინსტინქტური ყოფის გარემოა; მის გარეშე ადამიანი ვერ იარსებებს როგორც ბიოლოგიური სახეობა. მაგრამ ამასთან ერთად, ადამიანის ყოფის არანაკლებ არსებითი და რეალური გარემოა კულტურა, რომელიც ქმნის ქცევის ზეინსტინქტურ, ცნობიერ სისტემას.

საზოგადოება და კულტურა. საზოგადოებრივი განვითარების, ცივილიზაციის ისტორიის მსვლელობაში კულტურა ურთიერთქმედებს საზოგადოებასთან, სოციუმთან.

საზოგადოების ისტორიასა და კულტურის ისტორიას შორის სრული იგივეობა არ არსებობს.

კულტურა ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობის პროდუქტია, ისტორია მოიცავს მის დამანგრეველ საქმიანობასაც – მაგალითად, ომებს, რომელთაც ყოველთვის ახლავს კულტურის განადგურება. ამრიგად, ისტორია მოიცავს ადამიანის საქმიანობის ყველა სახეს – კონსტრუქციულსა და დესტრუქციულს, პროგრესულსა და რეგრესულს და ა.შ. ამავე დროს, კულტურა, მისი ისტორია ელინდება მხოლოდ საზოგადოების ისტორიაში და მის გარეშე შეუძლებელია.

ბევრი მკვლევარი თვლის, რომ კულტურა წარმოიშვა პირველ რიგში სწორედ საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა ზეგავლენით. საზოგადოებამ ფასეულობათა შექმნის პროცესს მყარი და მემ-

ქცევლობითი ხასიათი მიანიჭა. შესაძლებელი გახდა ფასეულობათა დაგროვება, კულტურის განვითარებამ კუმულაციური ხასიათი მიიღო. საზოგადოება ქმნის პირობებს ადამიანის სოციალური განვითარებისათვის. ადამიანი-პიროვნება აღბეჭდილია კონკრეტული საზოგადოებისა და კონკრეტული კულტურის ნიშნით. პიროვნების ინტერესებისა და მოთხოვნილებების განვითარებამ შეიძლება ბიძგი მისცეს კულტურულ ფასეულობათა ცვლილებას. ასეთ სიტუაციაში საზოგადოებამ შეიძლება შეასრულოს როგორც მასტიმულირებელი, ასევე შემაფერხებელი ფაქტორის როლი.

როგორ ზემოქმედებს კულტურა ინდივიდისა და საზოგადოების ცხოვრებაზე? ეს ზემოქმედება ხორციელდება სხვადასხვა გზით:

ა) ცალკეული პიროვნების სოციალიზაციისა (ინკულტურაციის) და ფორმირების მეშვეობით. როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, „ადამიანი ადამიანად კი არ იბადება, არამედ ადამიანად იქცევა აღზრდის პროცესში“ (რ.ე. პარკი). ბავშვი იბადება როგორც ბიოლოგიური ორგანიზმი, რომელსაც აქვს რიგი პოტენციური თვისებები. ამ თვისებებს აკითარებს, მათ მოდელირებას და ფორმირებას ახდენს აღზრდა.

შეადარეთ ერთმანეთს ათი წლის ორი ბიჭი: ერთი – დაბადებული ევროპის რომელიღაც ქალაქში, მეორე – ალიასკის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, ესკიმოსთა სადგომში. პირველმა ბიჭმა იცის გამრავლების ტაბულა, საკუთარი ქვეყნის, თუ მსოფლიო ისტორიის ბევრი თარიღი, ქუჩაში მოძრაობის წესები, მანქანის მუშაობის პრინციპი, შეუძლია ახსნას მზის ამოსვლა და ჩასვლა. ესკიმოს ბიჭს ეს ყველაფერი არც გაუგია. სამაგიეროდ, მან იცის ქამანდის ხმარება, კარაქის დამზადება, გზის გაგნება ქარიშხალსა თუ პოლარულ ღამეში, მარხილში ძაღლების შებმა და სხვ., რაზეც ქალაქელ ევროპელ ბიჭს წარმოდგენაც არა აქვს. მასაც შეუძლია ახსნას მზის ამოსვლა და ჩასვლა, მაგრამ მისი ახსნა სულ სხვანაირია, ისევე როგორც მისი წარმოდგენა ოჯახზე, ზრდილობაზე, მორალზე, სამართალზე, რელიგიასა და ა.შ. ფიზიოლოგიური პროცესები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ორი ბიჭის აღზრდის (სწავლების) ბიოლოგიურ საფუძვლებს, იდენტურია, მაგრამ სწავლების შედეგები – სრულიად განსხვავებული.

ბავშვის სწავლება, მისი ზიარება კულტურასთან (რომლის მატარებელია მოცემული საზოგადოება) არის სოციალიზაციის

(ინკულტურაციის) პროცესი, რომელიც საშუალებას აძლევს საზოგადოების წევრს იმოქმედოს ამ კულტურის ფარგლებში.

ბ) კულტურა აღგენს ფასეულობათა სისტემებსა და მათ განმსაზღვრელ კრიტერიუმებს. ფასეულობანი საზოგადოებრივი ცხოვრების კოლექტიური პროდუქტებია, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე ყალიბდებიან. ყოველი ერთობის კულტურაში მიღებულია ფასეულობათა გარკვეული სისტემები და მათი იერარქია. ფასეულობათა სისტემა ეითარდება კულტურის ფარგლებში და სერიოზულ გაელენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

გ) ყოველი კულტურა აყალიბებს ქცევის ნიმუშებს — გარკვეულ სიტუაციებს მისადაგებულ სქემებს. ისინი ქმნიან ურთიერთგაგების, კონფლიქტების თავიდან აცილების ან მათი გადაწყვეტის შესაძლებლობას. ზოგიერთი ნიმუში ფორმალიზებულია (მაგალითად, სასახლის კარის ეტიკეტი, საჯარისო წესდებები, ქუჩაში მოძრაობის წესები და სხვ.). ქცევის ნიმუშები ურთიერთშეგუების საშუალებას იძლევა, რადგან წინასწარაა ცნობილი ცალკეულ პირთა ქცევის დიაპაზონი გარკვეულ სიტუაციებში.

დ) კულტურა აღგენს ქცევის, ინსტიტუტების, საგნების, ხელოვნების ნაწარმოებთა მოდელებს. მოდელი არის საგანთა სასურველი ვითარების გარკვეული სახე, ანუ სიმბოლური წარმოდგენა, რომელიც დადებითად აფასებს საგანთა ვითარებას. მიღებული მოდელები იქცევა შედარებისა და შეპირისპირების პრინციპად. ამ მნიშვნელობით მათ ზოგჯერ ეტალონებს უწოდებენ.

მითი, რელიგია, ხელოვნება, მეცნიერება — კულტურის ფუძემდებლური ინსტიტუტები. კულტურის განვითარებას თან სდევს ფასეულობათა შედარებით დამოუკიდებელი სისტემების ჩამოყალიბება. თავდაპირველად ისინი კულტურის კონტექსტშია ჩართული, შემდგომში ხდება მათი სულ უფრო ღრმა სპეციალიზაცია და დამოუკიდებელ სისტემებად ჩამოყალიბება. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მითოლოგია, რელიგია, ხელოვნება, მეცნიერება.

მითი ფასეულობათა ყველაზე ძველი სისტემაა. მიიჩნევენ, რომ კულტურა ეითარდება მითიდან ლოგოსისაკენ, პირობითობიდან ცოდნისაკენ. ამ თვალსაზრისით, თანამედროვე კულტურაში მითი არქაულ, რუდიმენტულ როლს ასრულებს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მითმა ამოწურა თავისი თავი. თანამედროვე კულტურაში მითი ქმნის სიმბოლური აზროვნების საშუალებას. მითოსურ ფასეულობებში გრძნობადი და რაციონალური მოცე-

მ'ელია სინკრეტ'ულად, 'ერწ'�ულად, რაც ნაკლებმისაწ'ედომია XX 'საუკ'ენის კ'ულტ'ურის სხვა საშ'უალებებისათვის. გარემომ-ცველი სამყაროს მოელენათა გაადამიან'ურებითა და პერსონი-ფიცირებით მითს ისინი ადამიანის წარმოდგენებამდე დაპყავს. ადრეულ და პრიმიტიულ კ'ულტ'ურებ'ში ამას წამყვანი მნი'შვნ-ელობა ენიჭებოდა. რაც შეეხება განვითარებულ კ'ულტ'ურებს, აქ ასეთ მოელენას ან რეციდივის ხასიათი აქვს, ან წარმოადგენს ამა თუ იმ არქეტიპის რეალიზაციის მექანიზმს, განსაკუთრებით — მასობრივ კ'ულტ'ურასა და ‘ბიზნეს’'ში. XX საუკ'ენეში მითი ხ'შირად გამოიყენება ფასეულობათა გაძლიერებისათვის, მათი ჰიპერტროფირებისა და ფეტი'შიზაციის მეშ'ვეობით.

მითის 'შემდგომ კ'ულტ'ურაში დომინირებს რელიგია. ყველა რელიგია'ში მოიაზარია ღმერთის ან ზებუნებრივი ძალის რწ'მენა, რაც მიუწ'ედომელია გონებით, რაციონალური გ'ზით. ამ პოზიციიდან ყალიბდება რელიგიური ფასეულობანი, რომლებიც ყოველ-ლოფის არ ემოხვევა საერო კ'ულტ'ურის ფასეულობებს. კ'ულ-ტ'ურა გაელენას ახდენს რელიგიის ნამოყალიბებაზე (ახდენს მისი ნამოყალიბების მოდიფიკაციას), მაგრამ დამკვიდრების შემ-დეგ რელიგია მძლავრად ზემოქმედებს კ'ულტ'ურაზე. რელიგიის ფასეულობანი გა'ზიარებულია ერთმორწ'მუნეთა ერთობის მიერ, რელიგია მოქმედებს პირველ რიგ'ში კონსოლიდაციის მოტივების მეშ'ვეობით. იგი აწ'ესებს ფასეულობათა გრადაციას და ანიჭებს მათ სიწ'მინდესა და შეუვალობას. საერო ფასეულობანი უფრო პირობითია, უფრო ადვილად ექვემდებარება ცელილებას დროის 'შესაბამისად.

მითისა და რელიგიის პარალელ'ურად კ'ულტ'ურის ისტორიაში არსებობდა ხელოვნება. იგი მხატვრ'ულად 'შეიმეცნებს გარემომ-ცველ სინამდვილეს. მხატვრ'ულ აზროვნება'ში შემეცნებითი და 'შეფასებითი მხარე გამიჯნ'ული არ არის. წარმოსახვითი სახეე-ბის მეშ'ვეობით ხელოვნება ქმნის ახალ — მხატვრულ რეალობას.

მეცნიერება კ'ულტ'ურის სტრუქტ'ურაში შედარებით ახალი ინ-სტიტ'უტია. სულიერმა ევოლ'უციამ მითის, რელიგიის, ფილო-სოფ'იური აზროვნების გაელით კაცობრიობა მიიყვანა მეცნიერე-ბამდე, სადაც ცოდნის უტყუარობა და ჭეშმარიტება ფასდება და მოწ'მდება სპეციალ'ურად შემუშავებ'ული მეთოდებით. ამრიგად, მეცნიერება არსებობს როგორც ობიექტ'ური ცოდნის მიღების საგანგებო სა'შ'უალება. ობიექტ'ურობა არ გულისხმობს შეფასე-ბით დამოკიდებულებას შემეცნების ობიექტისადმი, ე.ი. ობიექტს დამკვირვებლისათვის რაიმე ფასეულობითი მნიშვნელობა არა

აქვს. თუ კულტურა მთლიანად სულის შემოქმდებითი ლაბორატორიაა, მეცნიერება მხოლოდ გონების შემოქმედებითი ლაბორატორიაა. მეცნიერებას აქვს უზარმაზარი შემოქმედებითი პოტენციალი და იგი სულ უფრო მძლავრად ზემოქმედებს კულტურაზე.

კულტურა დროსა და სივრცეში. კულტურაში განარჩევენ სინქრონულ და დიაქრონულ „ჭრილებს", ანუ მის ისტორიულ განვითარებას და კონკრეტულ დროით 'შრეს".

დიაქრონული, ანუ ისტორიული მიდგომის მიზანია თვალი მიადევნოს კულტურის განვითარებას დროში. საჭირო ხდება კულტურული პროცესის პერიოდიზაციის შემუშავება — ამ პროცესის პირობითი დაყოფა ქრონოლოგიურ პერიოდებად, რაღაც კრიტერიუმის საფუძველზე. კულტუროლოგია უმეტესწილად იყენებს ზოგად ისტორიოგრაფიაში შემუშავებულ პერიოდიზაციის სქემებს, თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ კულტურა საკუთარი კანონებით ვითარდება, კულტურული პროცესები უშუალოდ არ არის განპირობებული პოლიტიკური და სოციალური პროცესებით, ამიტომ არც მათი განვითარების პერიოდები ემთხვევა ყოველთვის ერთმანეთს.

კულტურის თვისებას, გავრცელდეს (გადაეცეს) დროში და გზადაგზა ახალი ნიშან-თვისებები შეიძინოს, მემკვიდრეობითობას ეუწოდებთ. ეს თვისება განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს მატერიალური კულტურის ძეგლების თანდათანობითი სახეცვლილების მაგალითზე, ვთქვათ, აუტომობილის ან თვითმფრინავის გარეგნული მხარისა და ტექნიკური სქემების განვითარებაში თავდაპირველი ნიმუშებიდან თანამედროვე მოდელებამდე ან კიდევ ტანსაცმელის თუ საცხოვრებლის სახეცვლილებაში. როგორც ე. ტაილორი აღნიშნავდა, ყველა ეს ნიმუში დროში ქმნის უწყვეტ სემოიტიკურ მწკრივს.

სულიერ სფეროში მემკვიდეობითობას უზრუნველყოფს პირველ რიგში ენა და ნიშანთა სხვა სისტემები, მათ შორის — იკონოგრაფია (ნახატები, სურათები, სქემები და ა.შ.), რომელიც კაცობრიობის არსებობის ძალიან ადრეულ ეტაპზე ჩაისახა.

დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა აგრეთვე მრავალი ინსტიტუტი, რომლებიც უზრუნველყოფენ მემკვიდრეობითობას — სკოლები თუ სხვა სასწავლო დაწესებულებანი, ბიბლიოთეკები, მუზეუმები და ა.შ.

განვითარების ადრეულ საფეხურზე კულტურისათვის დამახასიათებელია სინკრეტიზმი — დაუნაწევრებლობა (როცა, მაგალითად, მუსიკა, ცეკვა და პოეზია ერთმანეთისგან განუყოფელია).

დროთა განმავლობაში ხდება კულტურული მემკვიდრეობის დაგროვება საკაცობრიო მასშტაბით და მისი ინტერნაციონალიზაცია. მაგალითად, ცალკეული ხალხებისა და ქვეყნების კულტურებიდან წამოყალიბდა ევროპული ცივილიზაცია, შემდეგ მან გადალახა ატლანტის ოკეანე და ერთიან დასავლურ ცივილიზაციად იქცა.

უნდა აღინიშნოს, რომ მემკვიდრეობითობა ხელოვნებასა და მეცნიერებაში სხვადასხვაგვარად ხორციელდება. ხელოვნებაში ყოველი ავტორი თავისი ქმნილების ინდივიდუალური შემქმნელია. აქ მემკვიდრეობითობა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც პუნქტირი, რომლის თითოეული ხაზი წარმოადგენს ხელოვნების ცალკე ნაწარმოებს. მეცნიერებაში ყოველ დიდ აღმოჩენას მოჰყვება გადატრიალება ადრე არსებულ წარმოდგენებში. აქ მემკვიდრეობითობა უფრო „კოლექტიურია", მეცნიერებისა და ტექნიკის წინსვლა წინამორბედთა მიღწევების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. აქ იგი უფრო უწყვეტი ხაზია, ვიდრე პუნქტირი. ხელოვნების ნაწარმოები ცოცხალი და საინტერესოა ყველა ეპოქაში, ტექნიკური მიღწევები კი ძველდება, მათ მიმართ ინტერესი იკარგება.

კულტურის სინქრონული ჭრილი განვითარების რომელიმე ეტაპზე მთლიანად კაცობრიობის კულტურაში მიმდინარე პროცესებია. თუ დიაქრონული ჭრილი კულტურის „ისტორიოგრაფიაა", სინქრონული ჭრილი მის „გეოგრაფიას" წარმოადგენს.

კულტურის ისტორიული ტიპოლოგია

თანამედროვე მეცნიერება დედამიწაზე ადამიანის გაჩენას 1,7-2,5 მილიონი წლის წინანდელი ეპოქით ათარიღებს. დაახლოებით 40 ათასი წლის წინ ადამიანთა საზოგადოებისა და კულტურის წამოყალიბების პროცესი დასასრულს მიუახლოვდა. ანთროპოგენეზი (ადამიანის წარმოშობა), სოციოგენეზი (საზოგადოების წარმოშობა) და კულტუროგენეზი (კულტურის წარმოშობა) ერთიანი პროცესის სამი მხარეა.

დიდი ხნის მანძილზე ადამიანის, საზოგადოებისა და კულტურის განვითარების პროცესი ლოკალურად მიმდინარეობდა —

ცალკეული, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, ხშირად წყვეტილი „ძაფების“ სახით. დაახლოებით 5 ათასი წლის წინ პირველყოფილ ხანისოგადოებათა და არქაულ კულტურათა ზღვაში ნნდება პირველი ხანისოგადოება-ციეილიზაციები. ძვ.წ. მიწურულსა და ახ.წ. დასაწყისში ისინი უკვე ქმნიან ძველ ციეილიზაციათა თითქმის უწყვეტ ზონას დასავლეთით ატლანტის ოკეანიდან (რომის იმპერია) აღმოსავლეთით წყნარ ოკეანემდე (ხანის იმპერია ჩინეთში). შუა საუკუნეებში ეს ზონა საგრძნობლად ფართოვდება (უპირველესად დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ხარჯზე). ახალ დროში, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ, სამრეწველო და, განსაკუთრებით, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად, დედამიწა იქცა სხვადასხვა ხანისოგადოებისა და კულტურის მოქმედების საერთო ასპარეზად.

მსოფლიო კულტურა მეტად მრავალფეროვანია. დღეს იგი არსებობს, ერთი მხრივ, კულტურული შემოქმედების უმაღლეს გამოვლინებათა (განეითარებული მეცნიერება, უახლესი ტექნოლოგიები, ხელოვნების მიღწევები), მეორე მხრივ კი, რელიქტურ, არქაულ წარმონაქმნთა (ე.წ. პრიმიტიული ხალხთა კულტურები) სახით. კიდევ უფრო მრავალფეროვანია კულტურის გამოვლინება ისტორიულ ჭრილში. რომ არაფერი ეთქვათ ისტორიის გარიჟრაჟზე არსებული კულტურის პირველყოფილ ფორმებზე, მყარად დაფიქსირებული ეგვიპტური და შუმერული კულტურებიდან დაწყებულიც კი, მკვლევარი აწყდება კულტურული არსებობის უთვალავ, ხშირად ურთიერთშეუთავსებელ და განუმეორებელ ფორმას.

კულტურათა კლასიფიკაცია, მათი ტიპის განსაზღვრა კულტუროლოგიის ერთ-ერთი ძირითადი სადისკუსიო პრობლემაა. კულტურათა კლასიფიკაციის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს კულტურული პროცესის სხვადასხვა კონცეფცია: ევოლუციური, ციკლური, კულტურულ-ისტორიული ტიპები (ისტორიული და იდეალური) და სხვ. არსებობს ტიპოლოგიური თეორიები, რომლებშიც ამა თუ იმ ტიპის კულტურის სტრუქტურულ საფუძვლად მიისნნეა ადამიანის კულტურულად დეტერმინირებული ქცევა („კულტურის უნივერსალური მოდელი“, ნიმუშები – მატრიცები, პატერნები, კულტურის კონფიგურაცია და სხვ.), გეოგრაფიული, ქრონოლოგიური, ერთეულები (კულტურის განმასხვავებელი ნიშნების შესწავლა ისტორიული განეითარების მანძილზე) და სხვა პრინციპები.

განმანათლებლობის ეპოქიდან მოყოლებული, პირველ მსოფლიო ომამდე კაცობრიობის განვითარება წარმოიდგინებოდა როგორც ერთიანი, აღმავალი პროცესი, დაფუძნებული ადამიანის გონების უსაზღვრო შესაძლებლობებზე. შესაბამისად, კულტურის ეტაპებიც საერთო პროგრესის საფეხურებად განიხილებოდა. კულტურულ-ისტორიული პროცესის ასეთი „სწორხაზობრივი" გაგება აისახა, მაგალითად, ფრანგი ფილოსოფოსისა და სოციოლოგის **ო. კონტის „სამი სტადიის კანონში"**. კონტის აზრით, ადამიანის გონებისა და ინტელექტის განვითარების კვალობაზე, რომლის მეშვეობითაც ხდება სამყაროს შემეცნება, ვითარდება საზოგადოება და კულტურაც; პირველ საფეხურზე ბატონობს რელიგიურ-მითოსური წარმოდგენები, მეორეზე — ფილოსოფია (მეტაფიზიკა), დაბოლოს, მესამეზე მკვიდრდება პოზიტიური, მკაცრად მეცნიერული ცოდნა სამყაროსა და თავად ადამიანის შესახებ.

„სწორხაზობრივი" სქემა ფართოდ დამკვიდრდა XIX საუკუნეში საისტორიო მეცნიერებაში, არქეოლოგიასა და ეთნოგრაფიაში. ისტორიკოსები დღესაც სარგებლობენ ცნობილი ფორმულით: ძველი სამყარო — შუა საუკუნეები — ახალი (და უახლესი) დრო.

ჰეგელის თანახმად, ადამიანის, საზოგადოებისა და კულტურის არსი მათ „სულიერებაშია". სული, ბუნებისაგან განსხვავებით, გაგებულია როგორც თავისუფლება. სული, ანუ თავისუფლება თავს ავლენს სამი ძირითადი ფორმით: სუბიექტური (პიროვნება), ობიექტური (საზოგადოება) და აბსოლუტური (კულტურა). თავის მხრივ, აბსოლუტური სული წარმოდგენილია სამი კულტურული ფორმით: ხელოვნებით, რელიგიითა და ფილოსოფიით. წინაისტორიულ სტადიაზე თავისუფალი სული მაქსიმალურად ჩაძირულია ადამიანის არსებობის „ბუნებრიობაში", ამიტომ თავისუფლება ადამიანთა ურთიერთობის პრაქტიკაში მჟღავნდება როგორც თვითნებობა, რასაც მივყავართ „ყველას ბრძოლამდე ყველას წინააღმდეგ". წინააღმდეგობა გონივრულ თავისუფლებასა (რომელიც მხოლოდ შესაძლებლობაში არსებობს) და რეალობაში გაბატონებულ თვითნებობას შორის, ჰეგელის მიხედვით, გადაიჭრება მსოფლიო ისტორიაში.

საზოგადოებისა და კულტურის მსოფლიო-ისტორიული განვითარების პროცესი პროგრესია, თავისუფლების ეტაპობრივი სრდა — მისი განხორციელების იდეალური მდგომარეობის მიღწევამდე, რაც მოასწავებს ისტორიის „აღსასრულს". სულის

ობიექტური განვითარების პროცესი გაიცლის სამ საფეხურს, რომელთაგან თითოეულზე თავისუფლება ხორციელდება საზოგადოების სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ამა"შვეობით. მინიმალურ თავისუფლებას („ერთის" – მმართველის – თავისუფლებას) იძლევა აღმოსავლური დესპოტია (იგი დახასიათებულია ჩინეთის, ინდოეთის, სპარსეთის მაგალითზე). რესპუბლიკა (ბერძნებთან და რომაელებთან) უზრუნველყოფს ყოველი ადამიანი-მოქალაქის თავისუფლებას, მაგრამ მთლიანობა"ში დამყარებულია მონობის არსებობაზე. სახალხო წარმომადგენლობითი მონარქია (ქრისტიან"ულ-გერმან"ულ სამყარო"ში, მაგრამ მისი არსებობის ბოლო ეტაპზე, ახალ დრო"ში) ახორციელებს „ყველას თავისუფლებას". აღმოსავლეთის, ანტიკური და დასავლეთევროპელი ხალხების კულტ"ურა სრულად შეესაბამება მათი პოლიტიკურ-სამართლებრივი ორგანიზაციის ფორმებს. მთლიანობა"ში კი აღმოსავლური და ანტიკური სამყაროები როგორც საწინააღმდეგო პოლუსები თავიანთ ერთიანობას პოვებს ევროპულ-ქრისტიან"ულ კულტ"ურა"ში.

„ლოკალურ ცივილიზაციათა" თეორიებ"ში (დანილევსკი, შპენგლერი, ტოინბი) კულტურული განვითარების სურათი ცივილიზაციის ეპოქა"ში (პირველყოფილი ეპოქის შემდეგ) არ წარმოიდგინება მკაცრი ხაზოვანი ან დიალექტიკური სქემების სახით. მათთვის ამოსავალია ცალკეული „ჩაკეტილი კულტურების" არსებობა. ამიტომ უკანასკნელი ხუთი ათასწლეულის კულტურულ-ისტორიული სამყარო წარმოდგენილია გაფანტულ ლოკალურ ცივილიზაციათა სახით, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. ამ თეორიის მომხრენი აკრიტიკებდნენ ევროპული საისტორიო მეცნიერების ტრადიციულ სქემას – ძველი სამყარო – შუა საუკუნეები – ახალი დრო, უარყოფდნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაპირისპირებას, საჭიროდ თვლიდნენ ევროპოცენტრიზმის დაძლევას კაცობრიობის კულტურულ-ისტორიული განვითარების გაგებაში.

კულტურათა ტიპოლოგიის პრობლემებისადმი ზოგადევოლუციური მიდგომა საშუალებას იძლევა გამოვლინდეს კულტურულ-ისტორიული პროცესის ძირითადი კანონზომიერებანი, მისი განვითარების საერთო ტენდენცია. ამ მიდგომის ფარგლებში ლესლი უაიტმა, კულტურული განვითარების სტადიის განსაზღვრისა და კულტურათა შედარებითი ანალიზისათვის, შემოიტანა ენერგიის კრიტერიუმი: ენერგია, კაცობრიობის მიერ მისი გამოყენების ხარისხი შეიძლება ჩაითვალოს კულტურის განვითარების

დინის განმსაზღვრელად, რადგან კულტურა (ცივილიზაცია) ენერგიის ორგანიზაციის ფორმაა, კაცობრიობის მიერ განელილი გზა კი — ენერგიის ათვისების ისტორია.

ა. კრიობერმა კულტურათა ტიპოლოგიის საკუთარ სქემას საფუძვლად დაუდო „კულტურის სტილის" ცნება, რომლის შინაარსი „კულტურის ტიპისა" და „ცივილიზაციის ტიპის" ფარგლებამდე გააფართოვა.

„მოდერნიზაციის" თანამედროვე თეორიები კულტურის ისტორიულ განვითარებაში მიჯნას აელებს „ტრადიციულ" (ინდუსტრიულამდელ) და „თანამედროვე" საზოგადოებებს შორის, რომელთა არსებობაში ძირითადი როლი ეკისრება მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, თავისუფალ საბაზრო წარმოებას, კონსტიტუციურ-საპარლამენტო დაწესებულებებს და პირად თავისუფლებას.

ისტორიულ-სტადიური მიდგომის ფარგლებში, სხვადასხვა ტიპის აქსიომატურ კრიტერიუმზე დაყრდნობით, განარჩევენ ზეპირ, წერილობით, წიგნისა და ეკრანის ცივილიზაციებს; კოსმოგენურ, ტექნოგენურ და ანთროპოგენურ ცივილიზაციებს (კულტურებს), ევოლუციურ და ინოვაციურ ცივილიზაციებს; რელიგიურ და საერო, ქალურ (შორეულაღმოსავლური და სხვ.) და მამაკაცურ (ევროპული, ისლამური) კულტურებს. კულტურის მარქსისტულ-მატერიალისტური ტიპოლოგია ემყარება ისტორიის ფორმაციულ გაგებას.

საინტერესო კონცეფცია ეკუთვნის გერმანელ ფილოსოფოსს **კარლ იასპერსს**. იგი ბევრ რამეში ეთანხმებოდა „ლოკალური ცივილიზაციების" თეორეტიკოსებს, ევროპოცენტრიზმის კრიტიკას, მაგრამ ცდილობდა შეენარჩუნებინა მსოფლიო ისტორიისა და კულტურის მთლიანობა. იმას, რაც ქმნის ისტორიის წყაროსა და მიზანს, იასპერსი საიდუმლოებად მიიჩნევდა. „ის, რამაც შექმნა ადამიანი ადამიანად, ჩვენამდე მოღწეული ისტორიის ფარგლებს მიღმაა," — წერდა იგი. იასპერსმა გამოყო ე.წ. „ღერძული დრო" სამივე კულტურული ცენტრის — ჩინეთის, ინდოეთისა და დასავლეთის (რომელსაც მიაკუთვნებდა საკუთრივ დასავლეთსაც ბერძნების სახით და მახლობელ აღმოსავლეთსაც) განვითარებაში. „ღერძული დრო" — ქრონოლოგიურად ძვ.წ. VIII და II საუკუნეებს შორის — იასპერსის მიხედვით, ისტორიის თავისებური „ცენტრია". მის დადგომამდე ადამიანის, საზოგადოებისა და კულტურის განვითარება მიმდინარეობს ძირითადად ლოკალური სახით. მისი დადგომის შემდეგ კი შეიქმნა კაცობრიობის უნი-

კერსალური, ერთიანი განეითარების შესაძლებლობა. მაგრამ ეს შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ არის რეალიზებული, თუმცა, დასავლეთევროპული კულტურული განვითარების ფარგლებში, ბოლო მონაკვეთზე — ახალ დროში, მეცნიერებისა და ტექნიკის წყალობით განხდა მისი რეალიზაციის ემპირიული შესაძლებლობა. ახლა ყველაფერი დამოკიდებული იქნება ადამიანის უნარსა და სურვილზე, თავი გაართვას იმ პრობლემებს, რომლებიც მეცნიერებამ და ტექნიკამ მოიტანა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, იასპერსის მიხედვით, ძირითადი ისტორიული ეტაპები და ფორმები შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

1. არქაული კულტურა.

2. ძველი ლოკალური ცივილიზაციების წინაღერძული კულტურები.

3. დასავლეთისა და აღმოსავლეთის უნივერსალური კულტურები ღერძულ დროში.

4. დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურები ქრისტიანობის ეპოქაში.

რაც შეეხება ამ ტიპების დახასიათებას:

1. არქაული კულტურა. ცნებას „არქაული კულტურა" ორი ძირითადი მნიშვნელობით ხმარობენ. ყველაზე ხშირად იგი გამოიყენება იმის აღსანიშნავად, რაც შეადგენს კულტურის ამ ტიპის სპეციფიკას მომდევნო ხანის კულტურულ-ისტორიული განვითარების ფონზე, რაც გარდაიქმნება ან დაიძლევა ცივილიზაციათა ეტაპზე, რომლებიც ყალიბდება აგრარული ეკონომიკის საფუძველზე და თანდათანობით მოიცავს მთელ კაცობრიობას. ამ შემთხვევაში ხაზგასმულია ზღვარი, რომელიც ერთმანეთისგან ყოფს არქაული ეპოქისა და ცივილიზაციათა ეპოქის კულტურებს. მაგრამ ეს ზღვარი პირობითია. ჯერ ერთი, თანამედროვე ინდუსტრიული, ტექნიკური, საქალაქო ცივილიზაცია „აგრარული" წარმოშობისაა, ხოლო მისი აგრარული სათავეები, თავის მხრივ, არქაული ეპოქის ნეოლითური პერიოდიდან მოდის (თანამედროვე წარმოდგენით, ცივილიზაციის სასოფლო-სამეურნეო საფუძველის არსებობის პერიოდი დაახლოებით ორჯერ აღემატება თვით ცივილიზაციის არსებობის პერიოდს). მეორე, არქაული კულტურა ადამიანისა და საზოგადოების არსებობის საფუძველი და საწყისია.

მეორე მნიშვნელობით არქაიკა სწორედ ისაა, რაც ქმნის კულტურის არსს, მის „არქეს", „პირველსაწყისს", „პირველ-

საფუძველს", რაც ბატონობს ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრებაში არსებობისა და განვითარების ყველა ეტაპზე. ე.ი. კულტურული არქაიკა არის ის, რაც სამუდამოდ რჩება ადამიანის კულტურაში და შეძენილია საწყის ისტორიულ ეპოქაში (პირველყოფილი საზოგადოების ეტაპზე).

კულტურის ამ „არქეს", იასპერსის მიერ მითითებულ ანთროპოგენეზის საიდუმლოს, იმას, რამაც აქცია ადამიანი ადამიანად, მუდამ ეძიებდა ადამიანის გონება. განმანათლებლები კულტურის საფუძვლად და განმსაზღვრელად თვით ადამიანის გონებას თვლიდნენ, რომანტიკოსები და ირაციონალისტები — ცხოვრების წყურვილს ან რელიგიურ გრძნობას, ჰეგელი — სულიერებას, რომელშიც ესმოდა თავისუფალი გონი, მარქსი — იარაღის კეთებას, თანამედროვე კულტუროლოგია — ენას ან კულტურის სხვა სიმბოლურ ფორმას.

კულტურის პირველსაწყისები არ ქრება, მაგრამ სახეს იცვლის იმდენად, რომ ხშირად მისი ცნობა ძნელდება. სწორედ ამის შედეგად ყალიბდება კულტურულ-ისტორიული მრავალფეროვნება ცივილიზაციათა ეპოქაში.

2. ძველი ლოკალური ცივილიზაციების „წინაღვრძული" კულტურა. არქეოლოგიის წყალობით, დღეს ვიცით (და ჩვენი ცოდნა სულ უფრო სუსტდება), რომ ნეოლითის ეპოქაში ხდება „აგრარული რევოლუცია" — ჩნდება მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. მითვისებითი მეურნეობა იცვლება მწარმოებლურით. ამ დროს პირველად ჩნდება ადამიანის მუდმივი არსებობის ხელოვნური ცენტრები — ცივილიზაციის საფუძვლები. ცივილიზაცია იწყება მაშინ, როცა არსებობის ახალი წესიდან გამომდინარე, ყველა შესაძლებლობა რეალიზებულია და, როცა ეს ახალი ელემენტები სისტემად ყალიბდება.

პირველი ცივილიზაციები აღმოცენდა დაახლოებით ერთსა და იმავე დროს (ძვ.წ. IV-III ათასწლ. მიჯნაზე) მახლობელ აღმოსავლეთში (შუმერი) და ჩრდილოეთ აფრიკაში (ძველი ეგვიპტე). მომდევნო ცივილიზაციები იყო: ინდური ცივილიზაცია სამხრეთ აზიაში (ძვ.წ. III ათასწლ.), ჩინეთისა და ეგეოსური ცივილიზაციები (ძვ.წ. II ათასწლ.). სანამ ძველი ცივილიზაციების ჩამოყალიბების ნელი პროცესი მიმდინარეობდა, ისტორიის ასპარეზზე გამოვიდნენ სემიტები და არიელები, რომელთაც ბევრი რამ შეცვალეს ძველი ცივილიზაციების განვითარებაში (აქადისა და ასურეთის კულტურები შუამდინარეთში, ინდოარიული კულტურა სამხრეთ აზიაში, აქეველები ეგეოსის აუზში, ხეთები,

ებრაელები). ამის შედეგად „ღერძული დროის“ დასაწყისისათვის აღმოსავლეთ აზია (სინეთი), სამხრეთ აზია (არიული ინდოეთი), დასავლეთ აზია და ხმელთაშუაზღვისპირეთი (ეგეოსის სამყაროს სათვლით) ქმნიან სამ-ოთხ ცივილიზაციურ ცენტრს. ისინი არსებობენ და ვითარდებიან ლოკალურად, თვითმყოფადი კულტურების სახით, მაგრამ მათ შორის ბევრია საერთოც, რაც საშუალებს იძლევა ვილაპარაკოთ აბსტრაქტულად რაღაც ცივილიზაციურ ნორმაზე. რას წარმოადგენს იგი?

განვითარების მაღალ საფეხურს აღწევს ხელოსნობა, ვაჭრობა და სამხედრო საქმე. ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროში მეღავნდება პროფესიონალიზმი. გვაროვნული ორგანიზაცია ადგილს უთმობს, ერთი მხრივ, ოჯახს, რომელიც იქცევა საზოგადოებრივი სტრუქტურის უმარტივეს უჯრედად, მეორე მხრივ, ე.წ. „დიდ საზოგადოებას“, რომელიც მოიცავს მრავალრიცხოვან სასოფლო თემსა და სახელმწიფოს. მისი მაორგანიზებელი როლის გამოხატულება და დადასტურებაა ქალაქები, მონუმენტური მშენებლობა (სასახლეები, ტაძრები), დამწერლობა, დაწერილი კანონები, ენისა და რელიგიის, მხატვრული სიმბოლიკის (ლიტერატურასა და ხელოვნებაში) ერთიანობა, სოციალურ-პროფესიული სტრუქტურის ერთგვაროვნება, სახელმწიფო აპარატის მაორგანიზებელი როლი ამ საზოგადოებებს ლოკალურ ცივილიზაციათა სახეს ანიჭებს, რომელთაც უნარი აქვთ იარსებონ დამოუკიდებლად და ეფექტურად და შეინარჩუნონ მემკვიდრეობითობა. ამ თვალსაზრისით, ისინი შეიძლება დახასიათდეს როგორც ტრადიციული ცივილიზაციები. ყველა კულტურული კონტაქტები, ყველა დაპყრობები პრინციპულად ვერაფერს ცვლის ამ საზოგადოებათა არსებობის წესში, რომლებიც ნელა და მტკიცედ პროგრესირებენ ყველა არსებული შესაძლებლობის რეალიზაციის გზაზე. ამ ლოკალური ცივილიზაციების ტრადიციული კულტურა სერიოზულად შეირყა (თუმცა, დღემდე ისენს თავს) მხოლოდ ახალ და უახლეს დროში, მოდერნიზაციის პროცესში აგრარული საფუძვლის მოშლის შედეგად. თუმცა, ზოგიერთი ქვრა, თითქოს ყოველად წარმოუდგენელი ამ სტაბილურ და მყარ კულტურულ სამყაროში, მაინც მოხდა მოდერნიზაციის ეპოქამდე დიდი ხნით ადრე.

3. აღმოსავლეთისა და დასავლეთის უნივერსალური კულტურა „ღერძულ დროში“. ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანები მსოფლიო კულტურის ისტორიაში აღინიშნება ორი მოვლენით, რომლებმაც, იასპერსის აზრით, გადამწყვეტი როლი შეასრულეს კულტუ-

რული უნივერსალიზმისაკენ მიმავალ გზასე და სათაევ დაუდეს „ღერძულ დროს“: 1) სულიერი ძვრები და გარდატეხა, რომელსაც შედეგად მოჰყვა ფილოსოფიური აზროვნებისა და მსოფლიო რელიგიების გაჩენა (ამან, თავის მხრივ, პირველად გახადა შესაძლებელი ადამიანისა და, საერთოდ, კაცობრიობის უნივერსალური გააზრება), 2) კულტურაში პირველად გამოისახა დაპირისპირება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

აღნიშნული სულიერი გარდატეხის შედეგად შექმნილი „ღერძული კულტურა“ ჩამოყალიბდა „წარსულის დიდი კულტურების“ სამივე ცივილიზაციურ-ისტორიულ ცენტრში (იასპერსის მიხედვით): ჩინეთში, ინდოეთსა და დასავლეთში (აქ იასპერსი მოიაზრებს საბერძნეთს, პალესტინასა და ირანულ მახლობელ აღმოსავლეთს). ამ ეპოქაში შემუშავდა ძირითადი კატეგორიები, რომლებითაც დღესაც ვაზროვნებთ, საფუძველი ჩაეყარა მსოფლიო რელიგიებს. „ყველა მიმართულებით ხდებოდა გადასვლა უნივერსალიზმზე“, – აღნიშნავდა იასპერსი. სწორედ ამ უნივერსალიზმშია (რომელიც ესოდენ დამახასიათებელია ჩინელი კონფუცისა და ლაო-ძისათვის, ინდური ბუდასათვის, ირანელი ზარატუსტრას, იუდეველი წინასწარმეტყველების, ბერძნების ფილოსოფიის, მეცნიერული და ისტორიული აზროვნებისათვის) „ღერძული“ კულტურის გასაღები.

სულიერი გადატრიალება ლოკალურ ცივილიზაციათა ტრადიციულ კულტურაში არ შეხებია მათ მატერიალურ საფუძველს და მხოლოდ უმნიშვნელოდ აისახა სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურებში (სახელმწიფოებრიობის უნივერსალური იმპერიული ფორმების გაჩენა). ადამიანი-პროფესიონალი კვლავ დარჩა ტრადიციული საზოგადოების წამყვან ფიგურად. მისი სულიერ-კულტურული მენტალიტეტი მცირედ შეიცვალა უნივერსალისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების შედეგადაც. „ღერძული“ სული თითქოს ჩაქრა და თანდათანობით გაითქვიფა ტრადიციული ცივილიზაციური „ნორმის“ მოქმედების ფარგლებში. ორი ათასწლეულის შემდეგ ეს „ნორმა“ მაინც გაირღვა – ცივილიზაციურ-ისტორიული განვითარების მხოლოდ ერთ ნაკად-ში – დასავლეთში.

როგორც ეხედავთ, „აღმოსავლეთი“ და „დასავლეთი“ არ წარმოადგენს ცივილიზაციურ-ისტორიული არსებობის თავდაპირველ ფორმებს. ტრადიციული საზოგადოება მრავალფეროვანია, წარმოდგენილია რიგი ლოკალური ცივილიზაციებით (როგორც წინაღერძულ, ისე ღერძულ დროში; ტრადიციული საზოგადოება

უშვებს თაყდაპირველი სოციოკულტურული „ნორმის“ მრავალ მოდიფიკაციას. მხოლოდ მისი კატასტროფა ქმნის სიტუაციას, რომელშიც იქმნება პრინციპულად ახალი ტიპის სოციოკულტურული წარმონაქმნი, დაფუძნებული მასობრივი სახით არსებულ თავისუფალ და დამოუკიდებელ აზროვნებაზე, რასაც ასახავს ამ ხანგრძლივების სულიერი კულტურა. ასეთი სოციოკულტურული ნოვაციის გეოგრაფიულად დასავლური (ევროპული) წარმოშობა (ელინური ცივილიზაციის სახით) შესაძლებლობას იძლევა ამ კონტექსტში გამოყენებულ იქნეს „აღმოსავლეთის“ ცნებაც — იმ ხანგრძლივებათა და ცივილიზაციათა აღსანიშნავად, რომლებმაც შეინარჩუნეს ტრადიციულობა, არსებობის ბუნებრივი და ნორმალური წესი.

ამრიგად, ისტორიის „ღერძული დრო“ აღინიშნა არა მხოლოდ სულიერი გარდატეხით, რომელმაც არსებითად განაახლა ძველი ლოკალური ცივილიზაციების ტრადიციული კულტურა, არამედ ელინური ცივილიზაციების გადახრით ტრადიციისაგან (სოციალ-პოლიტიკური და კულტურულ-მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით), რასაც მოჰყვა კულტურული განვითარების „აღმოსავლური“ და „დასავლური“ ნაკადების გაჩენა.

4. აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურა ქრისტიანობის ეპოქაში. ისტორიის ასპარეზზე, ქრისტიანობის გამოსვლამდე, კულტურის ძირითადი მსოფლიო ცენტრები, რომელთაც ტიპოლოგიური თავისებურება გააჩნიათ, უკვე ჩამოყალიბებული იყო. მათი ფორმირების კულმინაციური დრო კულტურის განვითარების „ღერძული ეპოქაა“. სწორედ იმ პერიოდში ჩამოყალიბდა სამი დიდი ცივილიზაციურ-ისტორიული ერთობა — ჩინური, ინდური და მახლობელი აღმოსავლეთის, რომლებიც მნიშვნელობას ინარჩუნებენ ჩვენს დრომდე. „ღერძული“ დროის შემდეგ, ახალი წელთაღრიცხვის დამდეგს, როცა დასავლეთში — პალესტინაში, საბერძნეთში, რომში — ქრისტიანობის ქადაგება დაიწყო, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციური ერთობები პოლიტიკურადაც გაფორმდა იმპერიულ სტრუქტურებად: 1) ხანის კონფუციური იმპერია ჩინეთში, 2) ბუდისტური კუშანის სამეფო ჩრდილოეთ ინდოეთსა და შუა აზიაში, 3) პართია მახლობელ აღმოსავლეთში, 4) რომის იმპერია დასავლეთში.

კულტურის განვითარების ეს პოლიტიკური საზღვრები ახალ ისტორიულ ეპოქაში უცვლელი არ რჩებოდა. ახ.წ. I ათასწლ. შუა ხანებიდან — „ხალხთა დიდი გადასახლებიდან“ — მოყოლებული, დაახლოებით ათასი წლის მანძილზე ძველ კულტურულ

სამყაროს დაპყრობათა ტალღებმა გადაუარა (არაბები, გერმანელები, სლავები, პუნები, მონღოლები, თურქები). მაგრამ IV-VII საუკუნეების პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე გაცილებით უფრო მძლავრი ზეგავლენა იქონია სულიერ ცხოვრებასთან დაკავშირებულმა ორმა ფუნდამენტურმა ფაქტორმა: 1) დასავლეთში (ჯერ რომის იმპერიაში, შემდეგ — მისი დაპყრობების შედეგად წარმოშობილ სახელმწიფოებში) ქრისტიანობა დამკვიდრდა სახელმწიფო რელიგიად; 2) აღმოსავლეთში, არაბთა დაპყრობების კვალდაკვალ, რომელთაც მოიცვეს ხმელთაშუა ზღვის აფრიკის სანაპიროც და ევროპული ტერიტორიის ნაწილიც, მკვიდრდება ისლამი. დასავლეთში ერთიანი ქრისტიანული ეკლესია ითიშება კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ნაწილებად. შემდგომში კათოლიკურ ეკლესიას გამოეყო პროტესტანტული ეკლესიები. დაბოლოს, დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში თანდათან ყალიბდება კულტურის ახალი ტიპი, დამყარებული კაპიტალიზმის, სამრეწველო რევოლუციის, მეცნიერების მიღწევებზე.

რაც შეეხება აღმოსავლეთის ცივილიზაციურ-ისტორიულ წარმონაქმნებს, ამ პერიოდში ეს იყო ჩინურ-კონფუციური, ინდურ-ბუდისტური და არაბულ-ისლამური ტრადიციული კულტურები. მათთვის დამახასათებელია მისწრაფება საუკუნეებით გამომუშავებული მკაცრი ნორმების, მყარი სოციალური წესრიგისა და ქცევის რელიგიური და მორალური სტანდარტების შენარჩუნებისათვის. მკვლევართა ნაწილის აზრით, ჩინურ-კონფუციურ სამყაროში განსაკუთრებული განვითარება პოვა კულტურის ფასეულობით-მსოფლმხედველობრივმა ნაწილმა, ინდურ-ბუდისტურში — სოციალურ-კასტურმა სტრუქტურამ, არაბულ-ისლამურში — სამხედრო-პოლიტიკურმა სისტემამ.

აღმოსავლეთთან შედარებით, ევროპული კულტურა ლიტერატურაში ფასდება როგორც უფრო დინამიური, მრავალფეროვანი. მისი მატარებელი საზოგადოების ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებს პიროვნული თავისუფლება, რაც აისახება სამოქალაქო ცხოვრებაში, პოლიტიკურ და სულიერ სფეროში. ცხადია, განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, სხვადასხვა ხალხსა და ქვეყანაში დასავლური ცივილიზაციურ-ისტორიული ტრადიცია სხვადასხვა ინტენსიურობითა და ფორმით ელინდება, რაც განაპირობებს ერთიანი დასავლური კულტურის შიგნით ცალკეული პერიოდებისა და ფორმების გამოყოფას. ტრადიციულია შემდეგი პერიოდიზაცია: წინაქრისტიანული ხანა (ანტიკური, ბერძნულ-

რომაული კულტურა), შუა საუკუნეების ქრისტიანული კულტურა, რენესანსის კულტურა, ახალი დროის კულტურა (ზოგჯერ ორ უკანასკნელს ერთ ეტაპად აერთიანებენ), მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული კულტურები.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო კულტურის სურათის წარმოსადგენად გათვალისწინებული უნდა იყოს დასავლური ცივილიზაციის მძლავრი გავლენა აღმოსავლეთის ტრადიციულ კულტურებზე.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავად დასავლური კულტურაც განვითარების თანამედროვე ეტაპზე და მის მიერ შექმნილი მსოფლიო კულტურული სტანდარტიც სხვადასხვაგვარ შეფასებას იღებს: ერთი მხრივ, დიდი პოტენციური შესაძლებლობები, მეორე მხრივ, მოსალოდნელი კულტურული კრახი.

კულტურის სხვაგვარი ტიპოლოგია შემოგვთავაზა ცნობილმა ამერიკელმა მკვლევარმა **ჯეიმს ფეიბლმანმა**. მან გამოყო კულტურის შვიდი ტიპი: პირველყოფილამდელი, პირველყოფილი, სამხედრო, რელიგიური, ცივილიზაციური, მეცნიერული, პოსტმეცნიერული. აქედან პირველ ოთხს ის უწოდებს „ადრეულს", უკანასკნელ სამს კი – „განვითარებულს". ეს ტერმინები აღწერილობითია და არ აღნიშნავს ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას. კულტურის ტიპებს ფეიბლმანი მიიჩნევს რეალურ ფასეულობათა ლოგიკურ სისტემებად, რომლებიც შეიძლება განლაგდნენ ნებისმიერი თანამიმდევრობით. ესაა იდეალური ტიპები, რომელთაც რეალური კულტურები მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამებიან.

კულტურის ოთხი ადრეული ტიპი:

1) კულტურის პირველყოფილამდელი ტიპი. დიდი ხნის მანძილზე ბატონობდა თვალსაზრისი, რომ არსებობს კულტურის მხოლოდ ორი ტიპი: პირველყოფილი და ცივილიზებული. ითვლებოდა, რომ ყველა პირველყოფილი ხალხი კულტურული განვითარების ერთსა და იმავე დონეზე იდგა, ხოლო ყველა დანარჩენი ხალხი მეტ-ნაკლებად იყო „ცივილიზებული" და განვითარებული. როგორც ფეიბლმანი აღნიშნავს, ეს აზრი შორსაა ჭეშმარიტებისაგან. ე.წ. პირველყოფილი კულტურები, ისევე როგორც ცივილიზაციური, არსებობს განვითარების სხვადასხვა სტადიაზე. ტერმინით „პირველყოფილამდელი" შეიძლება აღინიშნოს განვითარების რიგი ფაზებისა, რომლებიც წინ უსწრებენ პირველყოფილ კულტურას. ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით ამ ფაზების შესახებ. შეიძლება მხოლოდ ვიეარაუდოთ, რომ ადამიანი მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდა, ბინადრობდა გამოქვა-

ბულ'ში, იარაღად იყენებდა. ბუნებრივი წარმოშობის საგნებს, ოღნაე უცვლიდა ფორმას. ნადირობდა საარსებო საშუალების მოსაპოვებლად. ფიზიკური და ბიოლოგიური გარემო მკაცრად ზემოქმედებდა პირველყოფილამდელ კულტურაზე. ადამიანი იღებდა ბუნებას ისეთს, როგორიც ის იყო, პრაქტიკულად ვერ ზემოქმედებდა მასზე. ენა შემოიფარგლებოდა მცირერიცხოვან საგანთა სახელწოდებებით. კულტურათა შორის კონტაქტი არ არსებობდა, საყოველთაოდ გავრცელებული იყო კულტურის პირველყოფილამდელი ტიპი. არსებობდა რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, კერძოდ, პრიმიტიული ხელოვნება დ დაკრძალვის წესი მეზოლითის ეპოქაში მოწმობს სიკვდილსა და იმქვეყნიურ ცხოვრებაზე წარმოდგენის არსებობას. ფეიბლმანი არ ეთანხმება ლევი-ბრიულს, რომელიც თვლიდა, რომ იმდროინდელ ადამიანს ლოგიკურამდელი აზროვნება ჰქონდა; იგი აღნიშნავს, რომ რწმენა-წარმოდგენები და ცრურწმენები მიღებული იყო ლოგიკური დედუქციის გზით. სოციალური ორგანიზაცია განუვითარებელი იყო და, შესაძლოა, ოჯახით შემოიფარგლებოდა. პირველყოფილამდელი კულტურა არსებობისათვის უწყვეტი ბრძოლა იყო.

2) პირველყოფილი კულტურა. ამ საფეხურზე გეხედება მაღალორგანიზებული საზოგადოების უადრესი ტიპი. მისთვის დამახასიათებელია ანიმიზმი, ეგზოგამია და მითოლოგემურობა. თუმცა, საზოგადოების განვითარების კვალობაზე გარემოს გავლენა კლებულობს, მისი როლი პირველყოფილი საზოგადოების ცხოვრებაში ჯერ კიდევ მეტად დიდია. კონტაქტი უფრო მაღალგანვითარებულ კულტურებთან პირველყოფილი კულტურისათვის დეზინტეგრაციისა და განადგურების საფრთხეს შეიცავს. ასეთი შეხვედრა არა მხოლოდ აფერხებს ამ კულტურის წინსვლას, არამედ შეუძლებელს ხდის უკვე მიღწეულის შენარჩუნებასაც. კონტაქტი უფრო მაღალ კულტურასთან პირველყოფილი კულტურისათვის წარმოადგენს გამოწვევას, რომლის მისაღებად იგი მზად არ არის. ენა იმიტაციის საფეხურს აღწევს. ინსტიტუტებიდან წამყვანი ადგილი ეკავა სისხლით მონათესავე ჯგუფებს, რომლებიც წარმოადგენენ ოჯახური ორგანიზაციის რთულ და გაფართოებულ ფორმას. ტოტემიზმი და ეგზოგამია განსაზღვრავს ამ ჯგუფების არსებობის პოლიტიკურ ასპექტებს. მისდევენ მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას. საპატიო ადგილი უჭირავს რელიგიასა და ხელოვნებას. რელიგია ანიმისტურია და

ინარჩუნებს პირველყოფილამდელი კულტურის ღვთაებებს, რომლებიც წარმოადგენენ ბუნების შესახებ მითების ხორცშესხმას.

3) კულტურის სამხედრო ტიპი მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. სამხედრო, ანუ მატერიალისტური კულტურა, პირველ რიგში ეაჭრობასა და სამხედრო საქმეში მჟღავნდება. მიმდინარეობს საეაჭრო გზების დაპყრობა და სასღვრების გაყარიოება. ჩნდება დამწერლობა. ერთ ტექნიკურ სიახლეს მოსდევს მეორე. იქმნება დიდი ბიბლიოთეკები. ხუროთმოძღვრება იქცევა ხელოვნების დომინანტად. ფიზიკური და ბიოლოგიური გარემოს როლი ძალიან დიდია. სამხედროები თავს არ არიდებენ არაკითარ სიძნელეს. გმირობა და თავდადება მთავარ ღირსებად ითვლება. მამაკაცები არსებობენ ომისათვის, ქალები — მეომართა კვლავწარმოებისათვის. წარმოების წესი მონობაზეა დამყარებული.

სხვა კულტურებთან კონტაქტებს, ფსიქოლოგიური და სოციალური თვალსაზრისით, სამხედრო ტიპის კულტურისათვის განსაკუთრებული შედეგები არ მოჰყვებოდა. სხვა კულტურებს ისინი შემდეგნაირად ექცეოდნენ: რის წაღებაც არ შეეძლოთ, ანადგურებდნენ.

სამხედრო ტიპის კულტურა საკმაოდ მყიფეა. იგი არსებობს მახვილის ხარჯზე და მახვილითვე უნდა აღესრულოს. ასეთი კულტურა ნელ-ნელა არ ქრება, იგი ერთბაშად წყვეტს არსებობას. მისი აღსასრული, როგორც წესი, ძალადობრივია.

ინსტიტუტები გამიზნულია სამხედრო პოლიტიკის რეალიზაციისათვის. ვითარდება მიწათმოქმედება, წინაურდება ეკონომიკა, ხდება ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სრულყოფა. მცირდება ოჯახის მნიშვნელობა. ისახება საზოგადოებრივი ინსტიტუტები, მაგრამ მათი რიცხვი მცირეა, სტრუქტურა კი რთული.

რელიგიის დამახასითებელი ნიშანია არა ბუნების ღმერთების (მოსაკლის, ამინდის და სხვ.), არამედ ომის ღვთაებათა თაყვანისცემა.

4) კულტურის რელიგიური ტიპი მკვეთრად განსხვავდება სამხედრო ტიპისაგან და, გარკვეული აზრით, წარმოადგენს რეაქციას მასზე. რელიგიური კულტურა უარყოფს უშუალო და აქტიურ საქმიანობას, მისი იდეალი პასიურობაა. ყველაფერი ექვემდებარება ღმერთის მორჩილებას, ამქვეყნიური ცხოვრება უარყოფილია იმქვეყნიურის მოლოდინში. ამ ტიპისათვის დამახასიათებელია ცხოვრების მკაცრი რეგლამენტაცია და ძლიერი ორგანიზაცია. გარემოს გაელენა, შესაძლოა, ყველა სხვა ტიპზე

ნაკლებია. მთავარ პრინციპად გვეელინება ასკეტიზმი, თავშეკავება და სიმიერება. წარმოების წესი ფეოდალურია, შრომის დანაწილება – იერარქიული. საფუძველი ეყრება აბსტრაქტულ ენას. რელიგიური კულტურა აბსტრაქტული ღმერთების კულტურაა. ისინი განასახიერებენ არა ბუნების კონკრეტულ ძალებს, არამედ სამყაროს მთლიანობას. ძირითადი სოციალური ინსტიტუტი ეკლესიაა. სოფლის მეურნეობაში მთლიანად დამთავრებულია გადასვლა სახნავ მიწათმოქმედებაზე. კვლავ ღორძინდება სახეითი ხელოვნება, ჩნდებიან პროფესიონალი მხატვრები, მუსიკოსები. ჭეშმარიტი მეცნიერება ჩანასახოვან მდგომარეობაშია, ყველის ალქიმია, მაგია, ასტროლოგია, აგრეთვე რელიგიის დოგმებით შეზღუდული ფილოსოფია. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, რომლებიც წარმატებით ვითარდებოდა სამხედრო კულტურის ფარგლებში, ქვეითდება, ისევე როგორც ეკონომიკა. ოჯახი იბრუნებს დაკარგულ მნიშვნელობას. რელიგიური კულტურა „ღიაა", კონტაქტის შემთხვევაში იგი ითვისებს სხვა კულტურათა რელიგიურ ელემენტებს. ამ ტიპის კულტურის მაგალითია შუა საუკუნეების დასავლეთევროპული კათოლიკური კულტურა.

კულტურის სამი განვითარებული ტიპი:

ა) კულტურის ცივილიზაციური ტიპისათვის დამახასიათებელია რაციონალიზმი. აქ არ არსებობს აზროვნების წესები, ფასობს ინდივიდუალიზმი. არ არსებობს იმქვეყნიური ცხოვრების რწმენა, ასეთი კულტურა მკაფიოდ ათეისტურია. გარემოს გავლენა ამ ტიპის კულტურაზე დიდია; ბუნებას ზოგავენ და უყვრთხიან. ადამიანი ცდილობს მაქსიმალური სიამოვნების მიღებას ცხოვრებისაგან, იგი უფრო მეტად ზრუნავს გარემოსაგან თავის დაცვაზე, ვიდრე მის შეცვლაზე. წარმოების წესი კაპიტალისტურია.

ცივილიზებული ადამიანი მრავალფეროვნებას ეძებს, შესაბამისად, კულტურათაშორისი კონტაქტები მასზე დიდ გავლენას ახდენს. იგი ცდილობს სიახლეთა ათვისებას ყველა არსებული კულტურისაგან – ცივილიზებულის თუ რელიგიურის, პირველყოფილისა თუ მეცნიერულის. ენა სულ უფრო აბსტრაქტული ხდება. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, განათლება, მეცნიერება, წმინდა თუ გამოყენებითი ხელოვნება აღმავლობას განიცდის. ამ ტიპის კულტურის ნიმუშად გამოდგება XVII-XVIII საუკუნეების ევროპული კულტურა.

ბ) კულტურის მეცნიერული ტიპი ყველაზე მაღალია დღეისათვის ცნობილი ტიპებიდან. ცხოვრებას მართავს იდეა, რომ

ბუნების კანონთა შეცნობა, ერთი მხრივ, დააკმაყოფილებს ჭეშმარიტების ძიების იდეას, მეორე მხრივ კი, გააუმჯობესებს არსებობის პირობებს. კვლევითი საქმიანობა კულტურული ცხოვრების დომინანტად იქცევა. ამ ტიპის კულტურაც ანიმისტურია – მის მატარებლებს სწამთ, რომ ბუნებაში ყველაფერი ცოცხალია. ფიზიკური და ბიოლოგიური გარემოს გაელენა გამოიხატება ბუნებრივი რესურსების ცოდნასა და გამოყენებაში. ადამიანის ზრუნვის საგანია არა ბუნების დამორჩილება ან იგნორირება, არამედ მისი შემეცნება. ფსიქოლოგიურად და სოციალურად იგი ესწრაფვის უკეთესი საზოგადოების შექმნას, ხოლო წარუმატებლობა ამ მიმართულებით პროპორციულია წარმატებისა მეცნიერულ სფეროში. ენა რთულია, ნდება პროფესიული ენები. ინსტიტუტები მკაფიოდ განსაზღვრულია და თითოეულს თავისი ადგილი უჭირავს ჩამოყალიბებულ იერარქიაში. ამ ტიპის ძირითადი მახასიათებელია მანქანა და მისი გამოყენების სფეროს გაფართოება. ხელოვნებაში უპირატესობა ენიჭება არა წმინდა, არამედ დეკორატიულ დარგებს. პიროვნება უბრუნდება რელიგიას, მაგრამ არა ისე ორგანიზებულს, როგორც ეს იყო რელიგიურ კულტურაში. მისი ღმერთები აბსტრაქტულია, იგი მიმართავს მათ არა ამისათვის საგანგებოდ არსებულ ადგილებში, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაში, მუშაობის დროს და სხვ. ამ ტიპის ადამიანის თეოლოგია კოსმოლოგიაა, რომელსაც საფუძველად უდეს მეტაფიზიკური რეალიზმის რთული პოსტულატები. ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე ევროპისა და ამერიკის კულტურა.

7) კულტურის პოსტ-მეცნიერული ან რაციონალური ტიპი ისევე განსხვავდება მეცნიერულისაგან, როგორც პირველყოფილი პირველყოფილამდელისაგან. პირველყოფილი კულტურის შემეცნებას ართულებს წარსულის სიშორე, პოსტმეცნიერულის – მომავლისა. იგი ბევრი რამით ჰგავს მეცნიერულ ტიპს, რომელსაც იგი შეცვლის, მაგრამ მისი დადგომის შემდეგ გამოსწორდება მრავალი შეცდომა და მიიღწევა ის, რაც ადრე მიუღწეველი ნანდა.

ძირითადი საქმიანობა იქნება მეცნიერება, ფილოსოფია და ხელოვნება, ლიდერობას შეინარჩუნებს კვლევითი მუშაობა. უშუალო ფიზიკური და ბიოლოგიური გარემო ადამიანის კონტროლს დაექემდებარება. დაიწყება ადრე აუთვისებელი ტერიტორიების ათვისება. აღარ იარსებებს კონფლიქტი თეორიასა და პრაქტიკას შორის, რადგან ეს უკანასკნელი იქცევა ფუნდამენ-

ტური კვლევის შედეგების ხორცშესხმის ასპარეზად. ენები, მათ შორის კულტურის საყოველთაოდ მიღებული ენა, ხელოვნური იქნება. სინტაქსი სისტემატიზდება, სიტყვას ექნება მხოლოდ ერთი მნიშვნელობა და გადმოსცემს მხოლოდ ზუსტ აზრს. ამ ტიპის რელიგიის წარმოდგენა ძნელია; შესაძლოა, ადამიანები ისწავლიან განმარტოებით ლოცვას, ისევე როგორც ისწავლეს ერთობლივი კვლევითი მუშაობა.

ჯ. ფეიბლმანი დასძენს, რომ კულტურის ეს ტიპები აბსტრაქტულია. თუ მათ რეალურად არსებულ კულტურებს შეადარებთ, დაეინახავთ მხოლოდ ცალკეულ დამთხვევებს. ეს ტიპები იდეალურია და შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ეტალონი. მაგალითად, თანამედროვე ევროპის კულტურა წარმოადგენს ცივილიზაციური და მეცნიერული ტიპების შერწყმას, რელიგიური ტიპის ნარჩენებით; ბერძნული კულტურა — სამხედრო, რელიგიური, ცივილიზაციური და მეცნიერული ტიპებისა, ორი უკანასკნელის უპირატესობით. ამდენად, რეალური კულტურის მიკუთვნება რომელიმე ტიპისადმი პირობითია. რეალური კულტურა წარმოადგენს რამდენიმე ტიპის შერწყმას.

ტიპოლოგიის კიდევ ერთი ვარიანტია ქცევის ნიმუშის საფუძველზე აგებული კულტურის უნივერსალური მოდელი, რომელიც ანთროპოლოგიაში შედარებითი მეთოდის დამუშავების შედეგად შეიქმნა. კულტურული მრავალფეროვნების შესწავლამ მკვლევრებს საშუალება მისცა, გამოეყოთ ყველა ცნობილი კულტურისათვის საერთო ელემენტები, როგორიცაა: ასაკობრივი დაყოფა, კალენდარი, ნათესაურ კავშირთა სისტემები, საჭმლის მომზადება, ერთობლივი შრომა და შრომის დანაწილება, დეკორაციული ხელოვნება, განათლება, ეთიკა, დღესასწაულები, ტაბუ, დაკრძალვის რიტუალები, თამაშები, საჩუქრები, სტუმარ-მასპინძლობა, ბინათმშენებლობა, ინცესტის აკრძალვა, კანონი, სასჯელი, რელიგიური კულტურები და სხვ. თითოეული ამ ელემენტის ანალიზი მათი არსის ერთიანობაზე მიუთითებს. მაგალითად, მეცნიერები (კ. უისლერი, ჯ. მიორდოკი, ბ. მალინოვსკი, დ. აბერლე, მ. ლარისი და სხვ.) მიუთითებენ, რომ ყოველ კულტურას გააჩნია ენა და ყოველი ენა შედგება მსგავსი კომპონენტებისაგან: ფონემების, სიტყვების, გრამატიკისაგან; დაკრძალვის რიტუალი ყველა კულტურაში შეიცავს მწუხარების გამოხატულებას, ცხედართან მოპყრობის ხერხებს, რიტუალებს, რომლებიც დაკრძალვის მონაწილეებს ბოროტი სულებისაგან იცავენ და ა.შ. მაგრამ, მსგავსების მიუხედავად, მათი კონკრეტული კულტუ-

რული შინაარსი სხვადასხვაგვარია. უნიკერსალური მოდელი არსებობს ყველა კულტურაში – მარტივსა თუ რთულში, ძველსა თუ თანამედროვეში; მისი საფუძველი საძიებელია ადამიანის ბიოლოგიური ბუნების თავისებურებასა და მისი არსებობის პირობებში.

კულტურათა მსგავსებისა და განსხვავების ახსნის მცდელობა ემყარებოდა სხვადასხვა სტიმულსა და ცხოვრების პირობებზე ადამიანის ორგანიზმის რეაქციათა შესწავლას.

ჯ. მიორდოკმა კულტურის უნიკერსალურ მოდელს საყუძვლად დაუდო „კულტურული ჩვევის“ ცნება. იგი სწავლობდა ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებენ „კულტურული ჩვევის“, როგორც უნივერსალური მოდელის განმსაზღვრელი სტრუქტურის სამოყალიბებას. პირველი ფაქტორია სწავლება, ანუ ადამიანი; მეორე – სტიმული, ანუ სიგნალი. ისეთი მუდმივი სტიმულები, როგორიცაა დღე და ღამე, ციური მნათობები, ცხოველთა და მცენარეთა გარკვეული სახეობები, რელიგიური კულტები და სხვ., ასევე მდგრადი რეაქციები მათზე, რომლებიც სპეციფიკურია ყოველი ცალკეული კულტურისათვის, ქმნის საყუძველს საყოველთაო კულტურული ნიშნების კლასიფიკაციისათვის. მესამე მნიშვნელოვანი ფაქტორია „საბაზო“ კულტურული ჩვევა, რომელსაც მიორდოკის მოდელში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მეოთხეა ფსიქოლოგიური განსოგადება, ანუ ერთნაირ პირობებსა და სტიმულებზე ერთნაირი რეაქციის შენარჩუნების უნარი. მაგალითად, ზებუნებრივ ძალებთან ურთიერთობისათვის მათ ანიჭებენ ადამიანურ ფორმას, რაც შესაძლებელს ხდის მათდამი, როგორც ადამიანებისადმი მიმართვას: თხოვნა (ვედრება) – ლოცვა, სასუქრები – მსხვერპლი, თვითდამდაბლება – ასკეტიზმი, ეტიკეტი – რიტუალი და ა.შ. ასეთი განსოგადებებიდან გამომდინარე, მსგავსება კულტურათა შორის უამრავია. მეხუთე ფაქტორია შესაძლებელ რეაქციათა რიცხვის შეზღუდვა, რომელიც მომდინარეობს ადამიანის ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობებიდან და განსაზღვრულია მისი არსებობის პირობებით.

კულტურული ჩვევა და ტრადიცია, გარკვეულ სოციალურ კონტექსტში, ქმნის ურთიერთქმედების პირობებს, რომლებიც მნიშვნელოვანია როგორც კულტურის უნივერსალური მოდელის განსაზღვრისათვის, ასევე კონკრეტული კულტურის შესასწავლად. ჯ. მიორდოკის მოდელი წარმოადგენს უსარმაზარ ფაქტობრივ მასალაზე დამყარებულ ხერხს კულტურათა მსგავსება-

განსხვავების შესწავლისათვის, გამომდინარე ადამიანის კულტურულად დეტერმინირებული ქცევიდან.

როგორც ვხედავთ, XIX-XX საუკუნეებში შექმნილი კულტურის ტიპოლოგიის სისტემები მრავალფეროვანია. მკვლევართა მცდელობა მიმართულია ისეთი მოდელის შექმნისაკენ, რომელიც ახსნის არა მხოლოდ კულტურათა მსგავსება-განსხვავებას, არამედ კულტურის ელემენტთა ურთიერთქმედებასა და ეროვერგავლენასაც. ტიპის მიხედვით კულტურათა კლასიფიკაციის ერთ-ერთი ვარიანტია ცივილიზაციური მიდგომა, რომელიც ერთმანეთთან არ აიგივებს, მაგრამ მჭიდროდ აკავშირებს კულტურისა და ცივილიზაციის ცნებებს. ამ მიდგომის ფარგლებში მეცნიერთა აზრი საერთოა იმის თაობაზე, რომ ცივილიზაცია, ერთი მხრივ, კულტურის განვითარების გარკვეული დონეა, მეორე მხრივ, კულტურის განსაზღვრული ტიპი, მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით. ამ სახის ტიპოლოგიის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ა.ჯ. ტოინბის, ს. ჰანთინგტონისა და სხვ. კონცეფციები.

მასობრივი და ელიტარული კულტურა

კულტურულ ფასეულობათა წარმოებისა და მოხმარების თანამედროვეობანი კულტუროლოგებს საფუძველს აძლევს გამოყონ კულტურის ორი სოციალური ფორმა – მასობრივი კულტურა და ელიტარული კულტურა.

მასობრივი კულტურის ცნება. მასობრივ კულტურას უწოდებენ კულტურული პროდუქციის იმ სახეობას, რომელიც ყოველდღიურად იწარმოება დიდი ოდენობით. ესაა ყველაზე ფართო აუდიტორიის მიერ ყოველდღიური მოხმარებისათვის განკუთვნილი კულტურა, რომელიც მას სხვადასხვა არხით (მათ შორის მასობრივი ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებებით) მიეწოდება.

მასობრივი კულტურის წარმოშობის დროისა და წყაროების შესახებ კულტუროლოგიაში სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს, მათ შორის:

1. მასობრივი კულტურის წანამძღვრები ყალიბდება კაცობრიობის განვითარებაშივე, ყოველ შემთხვევაში, ქრისტიანული ცივილიზაციის გარიჟრაჟზე მაინც. მაგალითად, ასახელებენ წმინდა წიგნების გამარტივებულ ვარიანტებს, რომლებიც განკუთვნილი იყო მასობრივი აუდიტორიისათვის.

2. მასობრივი კულტურის წყაროები დაკავშირებულია XVII-XVIII საუკუნეების ევროპულ ლიტერატურაში სათაგდასაელო, დეტექტიური, ავანტიურული რომანის გაჩენასთან, რამაც დიდი ტირაჟების წყალობით, მნიშვნელოვნად გააფართოვა მკითხველი აუდიტორია.

3. მასობრივი კულტურის განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია 1870 წელს დიდ ბრიტანეთში მიღებულმა კანონმა საყოველთაო წიგნიერების შესახებ, რომელმაც ბევრს მისცა საშუალება აეთვისებინა XIX საუკუნის მხატერული შემოქმედების ძირითადი სახე — რომანი.

და მაინც, მასობრივი კულტურა, სიტყვის საკუთარი გაგებით, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ყალიბდება. ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი ზბიგნევ ბეჟინსკი აღნიშნავს: „თუ რომმა მსოფლიოს მისცა სამართალი, ინგლისმა — საპარლამენტო საქმიანობა, საფრანგეთმა — კულტურა და რესპუბლიკური ნაციონალიზმი, — თანამედროვე აშშ-მა მსოფლიოს მისცა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და მასობრივი კულტურა“.

XIX საუკუნეების მიჯნისათვის დამახასიათებელია ცხოვრების ყველა სფეროს — ეკონომიკის, პოლიტიკის, მართვის გამასობრივება, სხვადასხვა სოციალურ როლში ადამიანთა დიდი მასის ჩართვა. ეს მოვლენა გაანალიზებულია XX საუკუნის რიგ ფილოსოფოსთა შრომებში.

ნაშრომში „მასების ამბოხი“ (1930 წ.) **ხ. ორტეგა ი გასეტის (1883-1955 წწ.)** „მასის“ ცნება „ბრბოს“ ცნებიდან გამოპყავს. ბრბო, რაოდენობრივი და ვიზუალური თვალსაზრისით, არის სიმრავლე, სიმრავლე კი, სოციოლოგიის თვალსაზრისით, მასაა, — აღნიშნავს იგი. საზოგადოება ყოველთვის იყო უმცირესობისა და მასის მოძრაკი ერთიანობა. უმცირესობა გამორჩეულ პირთა ერთობლიობაა, მასა — არაფრით გამორჩეულთა. მასა საშუალო ადამიანია. იგი შეიძლება ნებისმიერ სოციალურ ფენას ეკუთვნოდეს — არისტოკრატიით დაწყებული და ლუმპენით დამთავრებული. ამრიგად, წმინდა რაოდენობრივი განსაზღვრა — „ბევრი“ თვისობრიობაში გადადის. ისტორიის ავანსცენაზე მასების გამოსვლას ორტეგა ი გასეტი XIX საუკუნის ევროპას უკავშირებს. „დიდება და პასუხისმგებლობა ისტორიის ასპარეზზე მასების გამოსვლისათვის XIX საუკუნემ უნდა იკისრის, — წერს იგი და აღნიშნავს, რომ თორმეტსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე — VII საუკუნიდან XIX საუკუნემდე — ევროპის მოსახლეობას არც ერთხელ არ გადაუჭარბებია 180 მლნ.

ადამიანისათვის, 1800 წლიდან 1914 წლამდე კი 460 მილიონს მიადწია. ასეთი ზრდა ნიშნავდა „სულ ახალ და ახალ ბრბოებს, რომლებიც ისეთი სისწრაფით ენარცხებიან ისტორიის ზედაპირს, რომ ვერ ასწრებენ ტრადიციული კულტურით გაჟღენთას“.

ამერიკელი სოციოლოგი, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი **დ. ბელი** წიგნში „იდეოლოგიის დასასრული“ (1960 წ.) თანამედროვე საზოგადოების თავისებურებას განსაზღვრავს მასობრივი წარმოებისა და მასობრივი მოხმარების გაჩენით. დ. ბელი იძლევა ცნება „მასის“ ხუთ მნიშვნელობას:

1. მასა — არადიფერენცირებული სიმრავლე (ცნება „კლასის“ საპირისპიროდ); 2. მასა — უმეცრების სიმბოლო (როგორც ამის შესახებ წერდა ხ. ორტეგა ი გასეტი); 3. მასა — მექანიზებული საზოგადოება (ე.ი. ადამიანი ადიქმება როგორც ტექნიკის დანამატი); 4. მასა — ბიუროკრატიული საზოგადოება (პიროვნება კარგავს ინდივიდუალობას ჯოგური პრინციპის სასარგებლოდ); 5. მასა — ბრბო; ბრბო არ განსჯის, არამედ ექვემდებარება ვნებებს. თავისთავად ადამიანი შეიძლება კულტურული იყოს, მაგრამ ბრბოში იგი ბარბაროსია.

დ. ბელი ასკვნის, რომ მასა ჯოგურობის, უნიფიცირებულობისა და შაბლონურობის განსახიერებაა.

კანადელი სოციოლოგი **მ. მაკლუენი (1911-1980 წწ.)**, ისევე როგორც დ. ბელი, მიდის დასკვნამდე, რომ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები წარმოშობს კულტურის ახალ ტიპს. იგი თვლის, რომ „ინდუსტრიული და ტიპოგრაფიული ადამიანი“ მოდის XV საუკუნეში ი. გუტენბერგის მიერ შექმნილი საბეჭდი დანადგარიდან. მასობრივი ინფორმაციის თანამედროვე საშუალებანი კი, მაკლუენის აზრით, ქმნის „გლობალურ სოფელს“ და „ახალ თემურ ადამიანს“, რომელიც დედამიწაზე ოდესღაც მცხოვრები თემური ადამიანისაგან იმით განსხვავდება, რომ მის მითებს აჯალიბებს „ელექტრონული ინფორმაცია“. საბეჭდმა ტექნიკამ შექმნა პუბლიკა, ელექტრონულმა — მასა.

ამრიგად, ცნება „მასობრივი კულტურა“ ახასიათებს კულტურულ ფასეულობათა შექმნის თავისებურებას თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში. ამ ფასეულობათა წარმოება, რომელიც განსაზღვრულია მასობრივი მოხმარებისათვის, გაიგება კონვეიერული ინდუსტრიის ანალოგიით.

სულიერი მოღვაწეობის სფეროში საქონლის შექმნის მისწრაფებამ, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა მძლავრ განვითარებასთან ერთად, შექმნა ახალი ფენომენი — მასობრივი

კულტურა. მხატვრული კულტურის სფეროში გადატანილი იქნა ინდუსტრიული წარმოების სხვა დარგებისათვის დამახასიათებელი ფინანსურ-ინდუსტრიული მიდგომა. მრავალი შემოქმედებითი ორგანიზაცია მჭიდროდაა დაკავშირებული საბანკო და სამრეწველო კაპიტალთან, რაც განსაზღვრავს მათ მიერ (იქნება ეს კინო, ტელევიზია, დისკოთეკა თუ სხვ.) კომერციული, გასართობი ნაწარმოებების შექმნას. თავის მხრივ, ამ პროდუქციის მოხმარება მასობრივი მოხმარებაა, რადგან მათი აუდიტორია არის დიდი დარბაზები, სტადიონები, მილიონობით კინო და ტელემაყურებელი.

სოციალური თვალსაზრისით, მასობრივი კულტურა აყალიბებს ახალ საზოგადოებრივ ფენას, რომელმაც „საშუალო კლასის" სახელწოდება მიიღო. კულტურის სფეროში ამ კლასის ფორმირებისა და ფუნქციონირების პროცესი განხილულია ფრანგი ფილოსოფოსისა და სოციოლოგის ე. **მორენის** წიგნში „დროის სული" (1962 წ.). „საშუალო კლასის" ცნება ერთ-ერთი ძირითადი გახდა დასავლურ კულტურასა და ფილოსოფიაში. სწორედ ამ „საშუალო კლასის" მეშვეობით გახდა პოპულარული მასობრივი კულტურა.

მასობრივი კულტურა აყალიბებს ამ კულტურის პასიურ, არაკრიტიკულ აუდიტორიას. იგი ორიენტირებულია არა რეალისტურ, არამედ ხელოვნურად შექმნილ სახეებსა (იმიჯი) და სტერეოტიპებზე. ფორმულა (სწორედ ესაა ხელოვნურად შექმნილი სახის — იმიჯის ან სტერეოტიპის — არსი) ძირითადია მასობრივ კულტურაში.

მხატვრულ შემოქმედებაში მასობრივი კულტურა ასრულებს ილუზორულ-კომპენსაციურ სოციალურ ფუნქციას: მას ადამიანი შეჰყავს ილუზორული და აუხდენელი ოცნებების სამყაროში. ამას ერთვის ცხოვრების გაბატონებული წესის აშკარა თუ ფარული პროპაგანდა. მასობრივი კულტურა ფართოდ იყენებს ისეთ ჟანრებს, როგორიცაა დეტექტივი, ვესტერნი, მელოდრამა, მიუზიკლი, კომიქსი.

მასობრივი კულტურის როლს თანამედროვე ცივილიზაციის განვითარებაში მკვლევრები სხვადასხვაგვარად აფასებენ. მათი ნაწილი (ო. შპენგლერი, ხ. ორტეგა ი გასეტი, ე. ფრომი, ნ. ბერდიაევი და სხვ.) მას სოციალურ პათოლოგიად და საზოგადოების გადაგვარების სიმპტომად მიიჩნევს, მეორე ნაწილი კი (ლ. უაიტი, ტ. პარსონსი და სხვ.) თვლის, რომ მასობრივი კულტურა შეუქცევადი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კანონზო-

მიერი შედეგია და ხელს უწყობს ადამიანების, პირველ რიგში ახალგაზრდობის შემჭიდროებას მდგრად სოციალურ სისტემად, იდეოლოგიისა და ეროვნულ-ეთნიკური განსხვავების მიუხედავად. მათი აზრით, საყუძველს მოკლებულია მტკიცება, თითქოს მასობრივი კულტურა უბულებელყოფს წარსულის კულტურულ მემკვიდრეობას; პირიქით, ისინი მიიჩნევენ, რომ მასობრივი კულტურა მისაწვდომს ხდის კულტურული მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშებს რადიოს, ტელევიზიისა და სხვა საშუალებებით.

მასობრივი კულტურის ფილოსოფიურ საფუძვლებს შორეულ წარსულში ეძებენ. მკვლევარია ნაწილი მიუთითებს კირენაიკების ბერძნულ სკოლაზე (ძ.წ. V ს.), რომლის ფუძემდებელი იყო სოკრატეს მეგობარი არისტიპი. მათ შექმნეს პედონიზმის ეთიკური მოძღვრება, რომლის მიხედვით, ადამიანის ქცევის საფუძველია სიამოვნების გრძნობა. მასობრივ კულტურაში განმსაზღვრელი სწორედ მხატვრული შემოქმედების პედონისტური ფუნქციაა.

თანამედროვე მასობრივი კულტურის იდეურ საფუძვლად ასახელებენ პოზიტივისტურ ფილოსოფიას, რომელიც საფუძვლად დაედო ნატურალიზმს ხელოვნებასა და ესთეტიკაში (ე. სპენსერი, ე. რენანი, ი. ტენი). ნატურალიზმი როგორც მხატვრული შემოქმედების მეთოდი ნამოყალიბდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპაში. მისი განსაკუთრებით ცნობილი წარმომადგენლები არიან ძმები გონკურები, ემილ ზოლა და სხვები. ხელოვნების ნატურალისტურ ნაწარმოებებში ბიოლოგიური დომინირებს სოციალურზე, მატერიალურ-ნივთიერი გარემო — სოციალურ ფაქტორებზე.

მჭიდრო კავშირი არსებობს პრაგმატიზმის ფილოსოფიასა და მასობრივ კულტურას შორის. მისი ერთ-ერთი ძირეული პრინციპია იმის ჭეშმარიტების აღიარება, რასაც პრაქტიკული სარგებელი მოაქვს. ნებისმიერი იდეა — მეცნიერული, რელიგიური, მხატვრული, პროგრესული თუ რეაქციული — შეიძლება გამართლებული იყოს, თუ იგი უსრუნველყოფს ადამიანთა საქმიანობის წარმატებას. შემოხვევით არ უწოდებენ პრაგმატიზმს „ბიზნესის ფილოსოფიურ გამოხატულებას". პრაგმატიზმის პრაქტიკულ რეალიზაციას მასობრივ კულტურაში წარმოადგენს მისი ისეთი მნიშვნელოვანი სტრუქტურა, როგორიცაა რეკლამა. სწორედ მასში რეალიზდება პრაგმატიზმის ძირითადი კრედო — ჭეშმარიტია ის, რაც სასარგებლოა, რასაც მოაქვს წარმატება და კმაყოფილება.

'ს. ფროიდის მოძღვრება თანდაყოლილი არაცნობიერი სტრუქტურების – ინსტინქტების შესახებ, რომლებიც დომინირებენ ცნობიერება'ზე და განსაზღვრავენ ადამიანის ქმედებას, აგრეთვე ერთ-ერთი საფუძველია თანამედროვე მასობრივი კულტურისა. ეს უკანასკნელი ყოველთვის იყენებს 'ში'შის, აგრესიულობისა და სხვ. ინსტინქტებს.

მკვლევრები მი'უთითებენ, რომ XX საუკუნე კაცობრიობის ისტორია'ში 'ეევა როგორც 'ში'შის საუკუნე. დამანგრეველმა ომებმა, რევოლ'უციებმა, კატასტროფებმა, სტიქიურმა უბედურებებმა მსოფლიო მხატვრ'ულ კულტურა'ში დაამკვიდრა ე.წ. „პატარა ადამიანის" სახე. ამერიკელი სოციოლოგი ე. ფრომი თავის წიგნში „თავისუფლებისაგან გაქცევა" ჩვენი საუკუნის ადამიანს ადარებს უ. დისნეის მიკი მაუსს და აღნიშნავს, რომ ადამიანები არ 'შეხედავდნენ ერთი და იგივე თემის უსასრულო ვარიანტებს, რომ არ ხედავდნენ მათ'ში რაღაც ახლობელსა და ძვირფასს. მაკურებელი თაგუნასთან ერთად განიცდის, ღელავს, ბედნიერი დასასრული კი კმაყოფილებას ანიჭებს მას. ძველმა ბერძნებმა თავიანთ ხელოვნებაში 'შექმნეს გმირის სახე, რომელიც ორგანულად თანაარსებობს გარემომცველ სამყაროსთან, XX საუკუნის მხატვრული შემოქმედების გმირი კი პატარა ადამიანია.

'ში'შის ინსტინქტის რეალიზაციის მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევა კინემატოგრაფი. ფართოდ გავრცელებულ საშინელებათა ყოველმების ძირითადი სიუჟეტებია ბუნებრივი თ'უ ტექნიკური კატასტროფები, ურჩხულები, ზებუნებრივი ძალები, უცხოპლანეტელები და ა.'შ. ეს ყველაფერი გამოძახილს პოულობს ღღეანდელ არასტაბილ'ურ სამყაროში მცხოვრებ ადამიანთა ს'ულებ'ში. ამას ემატება ტეროროზმის, პოლიტიკური ცხოვრების ტრაგიკ'ულ მოულენათა ამსახველი და სხვა მსგავსი სიუჟეტები.

და'ენდობლობის, აგრესიულობის ინსტინქტთა მხატვრულ შემოქმედება'ში რეალიზაციის პრობლემა ახალი არ არის. ბადებს თ'უ არა სისასტიკე სისასტიკეს მაყ'ურებელ'ში, მკითხველსა თ'უ მსმენელ'ში, ჯერ კიდევ პლატონისა და არისტოტელეს დავის საგანი იყო. პლატონს სისხლიან ტრაგედიათა ასახვა სასოგადოებრივად საშ'ი'შ მოელენად მიაჩნდა, არისტოტელე კი მისგან მოელოდა ს'ულიერ კათარზისს, გარკვეულ განმუხტვას, რომელსაც თანაგანცდის მომენტი იწ'ევს. დღესაც ასევე განსხვავებ'ულია აღნი'შნული საკითხებისადმი დამოკიდებ'ულება.

ელიტარული კულტურა როგორც მასობრივი კულტურის ანტიპოდი. მასობრივი კულტურის ანტიპოდად მრავალი მკვლევარი

ელიტარულ კულტურას განიხილავს. მათი აზრით, ამ კულტურის შემქმნელი და მომხმარებელია საზოგადოების უმაღლესი პრივილეგირებული ფენა — ელიტა (ფრანგ. სიტყვიდან elite — რჩეული, საუკეთესო).

საერთოდ, თეორია ელიტის (პირველ რიგში პოლიტიკურის) როგორც ისტორიული პროცესის მამოძრავებელის შესახებ ჯერ კიდევ პლატონმა ჩამოაყალიბა. შემდგომში მის განვითარებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ნ. მაკიაველიმ, თ. კარლეილმა, ფ. ნიცშემ და სხვებმა. განარჩევენ პოლიტიკურ და კულტურულ ელიტას. პირველია, ვ. პარეტოს, გ. მოსკას, რ. მიხელსის, ჩ. მილსის, რ. მილიბანდის, სხვა სოციოლოგთა და პოლიტოლოგთა წყალობით, საკმაოდ კარგადაა შესწავლილი, რასაც ვერ ვიტყვით კულტურულ ელიტაზე.

სხვადასხვა სოციოლოგიური და კულტუროლოგიური თეორიები ელიტას სხვადასხვაგვარად განსაზღვრავს. იტალიელი სოციოლიგების რ. მიხელსისა და გ. მოსკას აზრით, ელიტას, მასასთან შედარებით, ახასიათებს აქტიურობისა და პროდუქტიულობის მაღალი ხარისხი. კულტუროლოგიაში ფართოდ გავრცელებული თვალსაზრისით, ელიტა საზოგადოების განსაკუთრებული ფენაა, რომელსაც სპეციფიკური სულიერი შესაძლებლობანი აქვს. ამ შეხედულების მიხედვით, „ელიტა" არ აღნიშნავს საზოგადოების უმაღლეს ან მმართველ ფენას.

კულტურულ ელიტას აერთიანებს არა ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური ან სახელისუფლებო ინტერესები, არამედ სულიერი ფასეულობანი, სოციოკულტურული ნორმები, იდეური პრინციპები. პოლიტიკური და კულტურული ელიტა ერთმანეთს არ ემთხვევა. მათ შორის ზოგჯერ მყარდება ალიანსი — დროებითი და როგორც წესი, არამყარი. ელიტა ყველა საზოგადოებრივ კლასში არსებობს. ეს საზოგადოების ის ნაწილია, რომელსაც აქვს სულიერი მოღვაწეობის ყველაზე მეტი უნარი და გააჩნია მაღალი მორალური და ესთეტიკური მონაცემები. სწორედ ელიტი უზრუნველყოფს საზოგადოებრივ პროგრესს. ხელოვნებაც ორიენტირებული უნდა იყოს მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე.

ელიტარული კულტურა გვეელინება პროდუქტიული, შემოქმედებითი საწყისის მატარებლად ყველა კულტურაში, მასობრივი კულტურა კი ახდენს ელიტარული კულტურის მიღწევათა შაბლონიზაციას. ელიტარული კულტურის თეორიისა და პრაქტიკის ნაყოფიერება განსაკუთრებით თვალსაჩინო კულტურულ

ეპოქითა მიჯნაზე, როცა იცვლება კულტურულ-ისტორიული პარადიგმები.

კულტურის ელიტარული კონცეფციის ძირითადი ელემენტები გვხვდება უკვე ა. შოპენჰაუერისა და ფ. ნიცშეს ნაშრომებში. 1844 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ა. შოპენჰაუერი კაცობრიობას, სოციოლოგიური თვალსაზრისით, ორ ნაწილად ყოფს: „ბუნების ადამიანები" (ვისაც უნარი აქვს ესთეტიკური აღქმისა და მხატვრულ-შემოქმედებითი საქმიანობისა) და „სარგებლის ადამიანები" (რომლებიც ორიენტირებული არიან წმინდა პრაქტიკულ, უტილიტარულ საქმიანობაზე). ფ. ნიცშეს შრომებში ელიტარული კონცეფცია ვლინდება „ზეადამიანის" იდეაში. სწორედ ეს „ზეადამიანი" ფლობს უნიკალური ესთეტიკური აღქმის უნარს.

XX საუკუნეში შოპენჰაუერისა და ნიცშეს იდეებმა განვითარება პოვა ხ. ორტეგა ი გასეტის კულტუროლოგიურ კონცეფციაში. 1925 წელს გამოქვეყნდა მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაშრომი „ხელოვნების დეჰუმანიზაცია", რომელიც ძველი და ახალი ხელოვნების განსხვავების საკითხს ეძღვნება. მკვლევრის აზრით, ახალი ხელოვნება ძველისაგან ძირითადად იმით განსხვავდება, რომ მიმართულია ელიტის და არა მასისადმი. ამიტომ სრულიადაც არაა აუცილებელი ხელოვნება იყოს საყოველთაოდ გასაგები და მისაწვდომი. ახალმა ხელოვნებამ ადამიანები უნდა გააცხოოს რეალური ცხოვრებისაგან. „დეჰუმანიზაცია" XX საუკუნის ახალი ხელოვნების საფუძველია. „ეს ამიტომ ახალი ხელოვნება პუბლიკას ორ კლასად ყოფს: ისინი, ვისაც ესმის იგი, ანუ შემოქმედნი, და ისინი, ვისაც არ ესმის, ანუ არაშემოქმედნი. ახალი ხელოვნება წმინდა მხატვრული ხელოვნებაა". ორტეგას აზრით, ელიტა არც საგვარეულო არისტოკრატიაა და არც საზოგადოების პრივილეგირებული ფენა. ეს საზოგადოების ის ნაწილია, რომელსაც გააჩნია განსაკუთრებული „აღქმის ორგანო", რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებრივ პროგრესს და, რომელსაც უნდა მიმართავდეს შემოქმედი თავისი ნაწარმოებებით. ახალი ხელოვნება ხელს უნდა უწყობდეს იმას, რომ „საუკეთესოებმა უკეთ შეიმეცნონ საკუთარი თავი,... ისწავლონ საკუთარი დანიშნულების გაგება; იყვნენ უმცირესობაში და ებრძოლონ უმრავლესობას".

XIX-XX საუკუნეების ძირითადი კულტუროლოგიური სკოლები და კონცეფციები

კულტუროლოგია შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებაა და მისი ძირითადი მიმართულებებიც XX საუკუნეში ჩამოყალიბდა. ზოგი მათგანი ცოდნის ძველი, ტრადიციული დარგების ბაზაზე შეიქმნა, ზოგს კი საფუძვლად მეცნიერების ახალ დარგთა მიღწევები დაედო.

კულტუროლოგიური სკოლებისა და მიმართულებების ზუსტი გამიჯვნა ხშირად ძნელია, ისინი ერთმანეთის შეხედულებებსა და მიღწევებს ეყრდნობიან. შეეცადოთ, ზოგადად მიმოვიხილოთ კულტუროლოგიის განვითარების გზა და მასში ჩამოყალიბებული მიმართულებანი.

ჯამბატისტა ვიკოს (1668-1744 წწ.) ისტორიის ფილოსოფიის ფუძემდებლად მიიჩნევენ, მისი ნაშრომი „ახალი მეცნიერების საფუძვლები ერთა საერთო ბუნებაზე" პირველად 1725 წელს გამოქვეყნდა. ჯ. ვიკომ ჩამოაყალიბა ისტორიული წრებრუნვის თეორია. ისტორიას იგი განიხილავდა როგორც ერთი და იგივეს მარადიულ განმეორებას. ყველა ხალხი თავის განვითარებაში გადის სამ საფეხურს, რომლებიც შეესაბამება ძველ ეგვიპტელთა წარმოდგენას სამყაროს სამ ეპოქაზე: ღმერთების, გმირებისა და ხალხის ეპოქაზე. პირველი — ღმერთების ეპოქა სახელმწიფოს არარსებობისა და ქურუმთა მორჩილების ხანაა, მეორე — გმირების ეპოქა — არისტოკრატიული მმართველობისა, მესამე — ხალხის ეპოქა — დემოკრატიული რესპუბლიკის ან წარმომადგენლობითი მონარქიის, როცა ყველა თანასწორია კანონის წინაშე. ეპოქათა ცვლა ხდება გადატრიალებათა გზით.

თითოეულ ხანას თავისი შესაბამისი ენა, წყობა, წეს-ჩვეულება, სამართალი აქვს. მაგალითად, ენის როლს ღმერთების საუკუნეში ვესტიკულაცია ასრულებდა, რაც შემოინახა რელიგიაში. გმირების ეპოქაში არსებობდა იეროგლიფური ენა გერბებისა და სიმბოლოების სახით.

ჯ. ვიკოს დებულებებმა შემდგომი განვითარება პოვა მომდევნო ხანის იმ მოაზროვნეთა შრომებში, რომლებიც ისტორიის ფილოსოფიის საკითხებს იკვლევდნენ. მოგვიანებით წრებრუნვის ვიკოსეული თეორიის საპირისპიროდ ჩამოყალიბდა განმანათლებელთა ისტორიული პროგრესის თეორია, რომელიც ისტორიას განიხილავს როგორც განუწყვეტელი აღმავლობის პროცესს.

კულტურის ყველაზე განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა განმანათლებლობის ეპოქაში, რომელმაც რენესანსიდან მემკვიდრეობით მიიღო თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ ადამიანი შემოქმედი არსებაა; მას აქვს უნარი გარდაქმნას სამყარო და საკუთარი თავი, საკუთარი გონების შესაძლებლობებზე დაყრდნობით. ეს იყო ახალი, საერო (და არა საეკლესიო) თვალსაზრისი კულტურაზე როგორც ადამიანის გონების ყოველმხრივ (პრაქტიკულ და სიმბოლურ) რეალიზაციაზე. გონება წარმოიდგინებოდა როგორც ცალკეული ინდივიდის პრაქტიკულად შეუცვლელი უნარი.

ეს იდეა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო კულტურის გაგების გზაზე, მაგრამ დროთა განმავლობაში ნათელი გახდა, რომ გრანდიოზული პროგრესი პრაქტიკულად არ შეხებია ადამიანის არსებას, გონების შესაძლებლობებს.

ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი **იმანუილ კანტი (1724–1804 წწ.)** მიიჩნევდა, რომ კულტურის არსი მდგომარეობს ადამიანის ცხოველური, გრძნობადი საწყისის დაძლევაში გონებისა და, პირველ რიგში, მორალის ძალით.

დიდი გერმანელი პოეტი **ფრიდრიხ შილერი (1759–1805 წწ.)** კი თვლიდა, რომ კულტურა ამყარებს ჰარმონიას ადამიანის ფიზიკურ და ზნეობრივ ბუნებას შორის.

მათი თანამედროვეები – **ფრიდრიხ ვილჰელმ შელინგი (1775–1854 წწ.), ძმები შლეგელები (1767-1845 წწ. და 1772-1829 წწ.), ნოვალისი (1772-1801 წწ.)** და სხვ. უპირატესობას ანიჭებდნენ კულტურის ესთეტიკურ გაგებას. მის მთავარ შინაარსად ისინი მიიჩნევდნენ მხატვრულ შემოქმედებას, როგორც ადამიანის ცხოველური, ბუნებრივი საწყისის ღვთიური დაძლევის გზას. ნაშრომში „ხელოვნების ფილოსოფია" ფ. შელინგი წერდა, რომ მეცნიერება მხოლოდ უკან მისდევს და ცდილობს დაეწიოს იმას, რაც უკვე მისაწვდომია ხელოვნებისათვის.

პრობლემის ახლებური გააზრება მოცემულია **გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის (1770–1831 წწ.)** ფილოსოფიაში. აქ კულტურა კვლავ გაიგივებულია გონების, გონის რეალიზაციად. ეს მსოფლიო გონია (ან მსოფლიო სული – ჰეგელი ორივე ტერმინს ხმარობს), რომელიც თავის რეალიზაციას ახდენს მთელი ხალხების ბედში, ხორცს ისხამს მეცნიერებაში, ტექნიკაში, რელიგიაში, ხელოვნებაში, საზოგადოებრივი მოწყობის ფორმებში, სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. კულტურა ადამიანებში თავდაპირველად ენის, მეტყველების სახით იღვიძებს. ინდივიდის სუ-

ლიერი განვითარება იმეორებს „მსოფლიო გონის“ თვითშემეცნების სტადიებს, დაწყებული კაცობრიობის „ბავშვური ტიტინით“ და დამთავრებული მეცნიერებით, ზნეობით, რელიგიით, ხელოვნებით, პოლიტიკურ-სამართლებრივი სისტემებით. რასაკვირველია, მთელი კულტურული შემოქმედება ხორციელდება ადამიანთა ინდივიდუალური ძალისხმევით. მაგრამ ყველაფერი, რასაც აკეთებენ ადამიანები, მსოფლიო გონის მიზანთა განხორციელებაა, რომელიც უხილავად დირიჟორობს ისტორიას. მსოფლიო კულტურის განვითარება ამყარებს ისეთ მთლიანობასა და შინაგან ლოგიკას, რომლებიც არ შეიძლება გამოყვანილ იქნეს ინდივიდუალურ ძალისხმევათა ჯამიდან. პირიქით, ცალკეული ადამიანებისა და მთელი ხალხების შემოქმედებაც ექვემდებარება ამ ყარულ ლოგიკას, რომელიც მყარდება მხოლოდ მაშინ, თუ კულტურულ მოღვაწეთა მთელი მრავალფეროვნება გააზრებული იქნება როგორც თვითგანვითარებადი მთლიანობა.

ჰეგელი არ უარყოფს კულტურის ფორმათა მრავალფეროვნებას და თვისებრივ განსხვავებას ნაციონალურ კულტურებს შორის. ყოველი კონკრეტულ-ისტორიული კულტურა მხოლოდ საფეხურია მსოფლიო გონის თვითგამომჟღავნების გზაზე, რომელიც თავისი სრული განხორციელებისაკენ მიისწრაფვის.

ისტორიის მსვლელობას ჰეგელი ფენიქსს ადარებს, მაგრამ აქ ფენიქსი უბრალოდ კი არ აღდგება ფერფლიდან, არამედ ამ ფერფლიდან აღმოცენდება ახალი, უფრო სრულყოფილი სიცოცხლე. მისი წინა ფორმა ხდება მასალა ახალი, უფრო მაღალი საფეხურისათვის.

ჰეგელმა არა მარტო ჩამოაყალიბა თავისი თეორიის ზოგადი პრინციპები, არამედ გააანალიზა მსოფლიო კულტურის განვითარების გზა (ნაშრომებში „ისტორიის ფილოსოფია“, „ფილოსოფიის ისტორია“, „სამართლის ფილოსოფია“, „ესთეტიკა“). კულტურის განვითარება, მთელი თავისი მრავალფეროვნებით (რელიგიით, ხელოვნებით, ფილოსოფიით დაწყებული და სახელმწიფოებრივი ფორმებით დამთავრებული) წარმოდგენილ იქნა როგორც ერთიანი კანონზომიერი პროცესი. ჰეგელს ეკუთვნის მრავალი საყურადღებო აზრი ხელოვნებაზე, მითზე, რელიგიაზე, მეცნიერებაზე, სიმბოლოს ბუნებაზე და ა.შ.

იოჰან გოტფრიდ ჰერდერი (1744–1803 წწ.) ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც დაინტერესდა ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების ისტორიის ურთიერთმიმართების საკითხით. ადამიანი, როგორც ცოცხალი არსება, ბუნების კანონზომიერებებს ექვემდებარება,

მაგრამ ბუნების სამყაროსაგან მას განასხვავებს გონიერება, საზოგადოებრივი ურთიერთობანი და ენა, რომლებიც სიცოცხლის ადამიანურ ფორმებს წარმოადგენენ. ნაშრომში „იდეები კაცობრიობის ისტორიის ფილოსოფიისათვის“ ჰერდერი ეხება მსოფლიო კულტურის განვითარების საკითხს, რომელიც მას წარმოუდგენია როგორც ერთიანი პროცესი; იგი ადამიანის ძალის ზემოქმედების შედეგია, რომელიც ბუნების „ორგანული ძალების“ გაგრძელებაა. ეს უკანასკნელნი, გარემო პირობების სახით, ასევე ზემოქმედებენ კულტურაზე. მაგრამ მისი განვითარება ძირითადად მაინც შინაგან კანონზომიერებებზეა დამოკიდებული, კერძოდ, კულტურის უფრო ადრეული ფორმების მემკვიდრეობის ათვისებაზე. ადამიანები ითვისებენ წინა თაობათა გამოცდილებას, ავითარებენ მას.

კულტურა ჰერდერს ესმოდა როგორც ენის, მეცნიერების, ხელოვნების, ხელოსნობის, ოჯახის, სახელმწიფოს, რელიგიისა და სხვა ელემენტთა ურთიერთქმედება. უმნიშვნელოვანეს ელემენტად კი იგი ენას მიიჩნევდა.

ჰერდერის აზრით, ბუნების კანონთა ერთიანობა და ადამიანის ლვთიური დანიშნულება არ ნიშნავს იმას, რომ კულტურის განვითარებას აქვს საბოლოო მიზანი, ეთქვათ, სახელმწიფოს სახით, და სხვადასხვა ხალხის კულტურათა განვითარება ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. არსებობს მრავალი ხალხი, რომელთაც არ გააჩნიათ სახელმწიფო, მაგრამ ბედნიერი იყვნენ. უფრო მეტიც, სწორედ აქედან იღებს სათავეს ის სიხარული, რომელიც აოცებს ევროპელებს „უცხო ხალხთა სახის გამომეტყველებაში“. სხვადასხვა ხალხთა კულტურები თანამიმდევრულად ცვლება დროში და თანაარსებობს სივრცეში. ყოველი კულტურა უნიკალურია. არ არსებობს ხალხი, რომელიც მთლიანად მოკლებულია კულტურას.

ამრიგად, ჰერდერმა პირველმა დააყენა მემკვიდრეობითობის საკითხი კულტურის განვითარებაში; იგი გადაეცემა თაობიდან თაობას, ხალხიდან ხალხს. ჰერდერი გვეყლინება მსოფლიო კულტურის პოლიცენტრისტულ კონცეფციათა ერთ-ერთ წინამორბედადაც.

ბერლინის თანამედროვემ, გერმანელმა ენათმეცნიერმა და ფილოსოფოსმა **ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტმა (1767-1835 წწ.)** ბერლინისეული „სულის“ ცნება ცალკეულ ხალხთა კულტურებთან მიმართებაში გამოიყენა. იგი მათ განიხილავდა განუმეორებელ მთლიანობად, რომელთა სპეციფიკა გამოიხატება და განი-

საზღვრება უმთავრესად ენით. მიიჩნევდა რა ენას ეროვნული სულის გამოხატვის ფორმად, ჰუმბოლდტი იკვლევდა მას ხალხის კულტურულ ყოფასთან მჭიდრო კავშირში. მისი აზრით, ენა არა მხოლოდ „სულის“ ინსტრუმენტია, არამედ მისი შემოქმედებაც. მის სტრუქტურაში ჩადებულია ამა თუ იმ ხალხის დამახასიათებელი მსოფლშეგრძნება და ქცევის სტერეოტიპი. ჰუმბოლდტმა საფუძველი ჩაუყარა ენისა და კულტურის ორგანული კავშირის კვლევას, აგრეთვე კულტურის ფილოსოფიური გააზრებიდან მის საგნობრივ შესწავლაზე გადასვლას.

„სიცოცხლის ფილოსოფიის“ ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია **ფრიდრიხ ნიცშე (1844-1900 წწ.),** რომლის თეორიამ დიდი ზეგავლენა იქონია კულტურის თეორიაზე. სამყაროში მიმდინარე ყველა პროცესსა და მოვლენას ნიცშე ხსნიდა „ძლიერებისადმი სწრაფვით“. ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ნაშრომში „ასე იტყოდა ზარატუსტრა“ ნიცშე ამბობს: ზეკაცი დედამიწის აზრია. ადამიანი ზეკაცსა და უფსკრულს შორის გაჭიმული ბაგირია; საშიშია მასზე გადასვლა, საშიშია გზაში ყოფნა, საშიშია უკან მიმართული მზერა, საშიშია შეჩერება. ადამიანში მნიშვნელოვანია ის, რომ იგი ხიდია და არა მიზანი.

ნიცშეს აზრით, კაცობრიობა ბაგირზე მოსიარულე ჯამბაზია, რომელიც კუჭისათვის შრომობს. კულტურა ნიღბებია, რომელთაც ირგებს კაცობრიობა, რომელიც საკუთარ თავს ჭეშმარიტებად აცხადებს, სინამდვილეში კი ცრურწმენებს ეფარება. კულტურა ხელოობაა, რომელიც მიითვისა კაცობრიობამ ყოველგვარ აზრს მოკლებული სიცოცხლის გადასარჩენად.

ამრიგად, კატეგორიები, მსჯელობანი, შემეცნების მეთოდები მიზნად ისახავს სიცოცხლის გარკვეული ფორმების შენარჩუნებასა და რეაბილიტაციას. მაგრამ კულტურის ენა, ასრულებს რა ამგვარ დამცავ ფუნქციას, ამახინჯებს ნამდვილ ბუნებას, ანუ სიცოცხლეს. ამასთან, ეს დამახინჯება რამდენიმე ეტაპს გაივლის: თავდაპირველი სახეებიდან, მითებიდან, მეტაფორებიდან, რომლებიც ჯერ კიდევ დაკავშირებულია პირველსახესთან, ქაოსიდან წარმოშობილი ინტუიციური წარმოდგენებიდან ადამიანი გადადის მათ სისტემაზე, კარგავს კავშირს სიცოცხლესთან, რომელსაც ცნებები ფარავს. სიცოცხლის ინტერესებიდან მომდინარე „ფალსიფიკაცია“ იქცევა სიცოცხლესთან დაპირისპირებულ დამოუკიდებელ ძალად.

ნიცშემ ჩამოაყალიბა ევროპული კულტურისათვის ფუნდამენტური იდეა დიონისური და აპოლონური საწყისების ოპოზიციის

შესახებ, რომელიც ულინდება როგორც სიცოცხლის ქაოსიდან წარმოშობილ სამყაროს ორ გაგებას შორის დაპირისპირება, ბრძოლა და შერიგება. სიცოცხლის დიონისური საწყისის (დიონისე – ძალისა და მსქეფარე სიცოცხლის სიმბოლო) სინთეზი აპოლონურ საწყისთან (აპოლონი – წესრიგისა და ზომიერების სიმბოლო) წარმოშობს ხელოვნებას, სამყაროს ესთეტიკურ ახსნას, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს გავიაზროთ, რომ „კულტურა მხოლოდ თხელი კანია გაფარფარებული ქაოსისა“.

დიონისესა და აპოლონის შემარიგებელი ბრძოლის ველად გვევლინება ძველი ბერძნული ტრაგედია (ესქილე, სოფოკლე). მაგრამ სიცოცხლისადმი ურწმუნოება, გონებით მისი დაორგუნვის მცდელობა აღწევს ტრაგედიაში (ევრიპიდეს შემოქმედების გაელით) და ძლიერ მხარდაჭერას პოულობს გარედან, ‘ხეაპოლონი’ზმის ახალი, სოკრატესეული ფორმის სახით. სოკრატე, პლატონი და მათგან მომდინარე ფილოსოფიური და კულტურული ტრადიცია დიონისურ-აპოლონურ მსოფლშეგრძნებას ცვლის იდეათა დიალექტიკით, რომლის მთავარი აზრია სამყაროს აბსოლუტური მოწესრიგება გონების კანონებით. ნიცშეს აზრით, ოგიეს აკეთებს ქრისტიანული რელიგია, რომელიც ცისა და ღმერთის, ცოდვისა და გამოსყიდვა-მონანიების ფიქციით ფარავს ადამიანის ყოფიერების ჭეშმარიტ საწყისებს. სოკრატეს ფილოსოფიის, ქრისტიანობისა და მეცნიერების მრავალსაუკუნოვანმა ბატონობამ ევროპელი კულტურა ღრმა კრიზისამდე მიიყვანა. ნიცშემ აღწერა ამ კრიზისის სიმპტომები, შესაძლო შედეგები, და „ღმერთის სიკვდილის“, „ზეკაცის“, „ფასეულობათა გადაფასების“ კონცეფციებთან ერთად, ფილოსოფოსთა და კულტუროლოგთა მსჯელობის საგნად აქცია.

„ქრისტიანობამ დაღუპა ანტიკური კულტურის მონაპოვარი, შემდეგ – ისლამური კულტურის მონაპოვარი. ესპანეთის მშვენიერი მავრიტანული კულტურული სამყარო, რომელიც უფრო მეტად გვეხათესავებოდა, უფრო ეხმიანებოდა ჩვენს გრძნობებსა და გემოვნებას, ვიდრე რომი და საბერძნეთი, გათელილ იქნა“, – წერდა ნიცშე.

ნიცშეს დასკვნით, „კაცობრიობა არ გვიჩვენებს განვითარების სურათს უკეთესისკენ, უძლიერესისკენ, უმაღლესისკენ, როგორც ეს ჯერ კიდევ სჯერათ. „პროგრესი“ მხოლოდ თანამედროვე იდეაა. ამჟამინდელი ევროპელი თავისი ღირებულებით ბევრად ჩამოუჩარდება ალორძინების ხანის ევროპელს. აღმავალი განვი-

თარება სრულიადაც არ წარმოადგენს ამაღლების, გაძლიერების აუცილებლობას".

XX საუკუნის ერთ-ერთი ფილოსოფიური მიმდინარეობის — ფენომენოლოგიის ძირითადი საკითხია ცნობიერების პრობლემა, რომელსაც იგი განიხილავს როგორც დამოუკიდებელი ღირებულების მქონეს.

ამ მიმდინარეობის ფუძემდებლისა და თვალსაჩინო წარმომადგენლის **ე. ჰუსერლის (1859-1938 წწ.)** აზრით, ცნობიერება გაცილებით უფრო ფართო რამაა, ვიდრე მეცნიერული ცნობიერება და თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ გონისმიერს, არამედ არაგონიერსაც, არა მხოლოდ იმას, რასაც ვჭვრეტთ, არამედ არაჭვრეტადსაც; განსჯასთან ერთად მასში ერთიანდება აგრეთვე რწმენის, ნების, სიყვარულისა და სიძულვილის, სურვილის, ემოციისა და სხვა აქტები.

ყოველი ადამიანის ცხოვრებაში არსებობს მარტივი ამოსავალი მოცემულობა — „ცხოვრებისეული სამყარო". ეს უშუალო-ხილვადის სფეროა, — იმისა, რაც ყველამ იცის და რაშიც ყველა დარწმუნებულია. ეს არის წარმოდგენები, რომლებიც ადამიანის ცხოვრებაში ყალიბდება იმთავითვე, თავდაპირველადვე, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, და პრაქტიკულად შემოწმებულ-ათვისებულია. სწორედ ის უზრუნველყოფს კულტურის იდენტურობას მისი განვითარების ნებისმიერ სტადიაზე. ესაა კულტურულ-შემოქმედებითი ყოფიერების კონკრეტული ნორმატიული სტილი, რომელიც უცველელი რჩება როგორც ზრდის, ასევე სტაგნაციის, თუ დაქვეითების მომენტში.

მაგრამ გარკვეულ მომენტში თავს ინენს კრიზისული პროცესი, ჩნდება მოტივები, რომლებიც უბიძგებენ ადამიანებს „ცხოვრებისეული სამყაროს" შეცველისაკენ.

ევროპული კულტურა დაიბადა როგორც შედეგი გარღვევისა ძველ ბერძენთა მითოსურ ცნობიერებაში, ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში სწორედ იქ ჩამოყალიბდა გარემომცველი სამყაროსადმი დამოკიდებულების ახალი ტიპი.

მითოსური ცნობიერების პირობებში სამყარო გაიაზრება როგორც მთლიანობა. იგი მოიცავს არა მხოლოდ ადამიანებს, ცხოველებს, სხვა ცოცხალ არსებებს, არამედ ზეადამიანურ არსებებს და ძალებსაც.

მითოსური ცნობიერება დიდხანს აკმაყოფილებდა კულტურის მოთხოვნილებებს. მაგრამ თანდათანობით იგი კრიზისის ფაზაში შევიდა. ადამიანი იქცეცა სამყაროს განუყოფელი ნაწილიდან

დამკვირვებლად, ესწრაფვის სამყაროს შემეცნებას. იგი იქცევა ფილოსოფოსად და წარმოიშობა თავად ფილოსოფია. ადამიანი ერომანეთისგან განასხვავებს სამყაროს შესახებ წარმოდგენას და რეალურ სამყაროს. მის წინაშე დგება ჭეშმარიტების პრობლემა, რომელიც უნიკალურია, ერთია ყველასათვის.

ჩნდება ადამიანის ახალი ტიპი, რომლის საქმიანობაა ფილოსოფიის როგორც კულტურის ახალი ფორმის შექმნა.

ახალი კულტურული ტრადიციის მატარებელნი დისტანცირდებიან მითოსური ტრადიციის ერთგულთაგან. ჩნდება კონფლიქტის საფრთხე ფილოსოფოსსა და მის თანამოქალაქეთა შორის (მაგალითად, სოკრატეს დასჯა). მაგრამ თანდათან თვით საზოგადოება'ში (ბერძნულ პოლის'ში) კულტურის ახალი ფორმის – ფილოსოფიის – შემოქმედთა გვერდით ყალიბდება „შუამავალთა" თანმხლები მოძრაობა, რომელიც მოიცავს ფილოსოფოსთან ასე თუ ისე დაკავშირებულ მუსიკოსებს, ორატორებს, პოეტებს, დრამატურგებს. ფილოსოფია, რომელიც სისტემატურად ეჭვქვეშ აყენებდა ტრადიციას, ურიგდებოდა მას ბერძნული ხელოვნების ნაწარმოებებში.

თანამედროვე კულტუროლოგიის ჩამოყალიბება'ში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა **ანთროპოლოგიურმა სკოლებმა**, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს სოციალური ანთროპოლოგიის ბრიტანული სკოლა და კულტურული ანთროპოლოგიის ამერიკული სკოლა. თითოეულ მათგანს საკუთარი მიდგომა აქვს კვლევის ობიექტისადმი, სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ თანაფარდობას ტერმინებს – „კულტურა" და „საზოგადოება" – შორის. ამერიკელი კულტურანთროპოლოგები „კულტურას" უფრო ფართო ცნებად მიიჩნევენ, ხოლო სოციუმს განიხილავენ როგორც მის ქვესისტემას. კულტურული ანთროპოლოგიის ფარგლებში ისინი აკვლევენ ეთნოგრაფიას, როგორც ცალკეული კულტურების სპეციფიკის შესწავლასა და აღწერას; ეთნოლოგიას, როგორც კულტურათა შედარებით-ისტორიულ ანალიზს; თეორიულ ანთროპოლოგიას; არქეოლოგიას; ლინგვისტიკას; ფსიქოლოგიის ზოგიერთ მიმართულებას. ბრიტანული სკოლისათვის „საზოგადოება" ყოველისმომცველი ტერმინია, კულტურა კი განიხილება როგორც სოციუმის ერთ-ერთი ფუნქცია.

სოციალური ანთროპოლოგიის ფუძემდებლად ითვლება ევოლუციონიზმის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი, ინგლისელი მეცნიერი **ედუარდ ბერნეტ ტაილორი (1832-1917 წწ.)**. 1865 წელს მან გამოაქვეყნა პირველი ნაშრომი „გამოკე-

ლექციები კაცობრიობის ძველი ისტორიის სფეროში", რომელშიც განიხილავდა კულტურის პროგრესული განვითარების იდეას ველურობის ეპოქიდან ცივილიზაციამდე. განსხვავების მიზეზად ცალკეული ხალხების ყოფასა და კულტურაში ე. ტაილორი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მათ ყოფნას ასახელებს. კულტურული არსებობის ფორმების ნაირსახეობა მას წარმოდგენილი როგორც თანდათანობითი განვითარების სტადიები, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს წარსულის პროდუქტს და, თავის მხრივ, ასრულებს გარკვეულ როლს მომავლის ფორმირებაში. განვითარების ეს თანამიმდევრული სტადიები აკავშირებს ერთმანეთთან ერთ უწყვეტ რიგად ყველა ხალხს და კაცობრიობის ყველა კულტურას უმდაბლესიდან უმაღლესამდე.

კულტურის განვითარების ევოლუციონისტური კონცეფცია ე. ტაილორმა ყველაზე სრულად ჩამოაყალიბა ცნობილ ნაშრომში „პირველყოფილი კულტურა" (1871 წელი). კულტურის პროგრესული განვითრების იდეას იგი უპირისპირებდა გრაფ ჟ. დე მესტრის თეორიას, რომელიც მიიჩნევდა, რომ დედამიწაზე კულტურის ისტორია იწყება ადამიანთა ნახევრადცივილიზებული რასის გაჩენიდან. ამ დროიდან კულტურის განვითარება ორი გზით წარიმართა: უკან, ველურთა საზოგადოებისაკენ, და წინ, ცივილიზაციისაკენ. ეს თეორია ცდილობდა კრეაციონისტული კონცეფციის ზოგიერთი წინააღმდეგობის შერბილებას. ამ კონცეფციის მიხედვით, ადამიანი შეიქმნა უკვე კულტურის გარკვეული დონით. ადამის ძენი მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევდნენ, მათი შთამომავლები ნოეს კიდობანს აგებდნენ და ბაბილონის გოდოლის აშენებას ცდილობდნენ. მაგრამ მაშინ საიდან გაჩნდნენ ველური მონადირენი და მეთევზენი? — ისინი თანდათან დეგრადირდებოდნენ და უმდაბლესი განვითარების კულტურის მატარებლებად იქცნენ.

საყოველთაოდ ცნობილია კულტურის ე. ტაილორისეული განსაზღვრება: „კულტურა, ანუ ცივილიზაცია, ფართო ეთნოგრაფიული აზრით, შედგება ცოდნის, რწმენა-წარმოდგენების, ხელოვნების, ზნეობის, კანონების, ზნე-ჩვეულებათა და ზოგი სხვა უნარ-ჩვევებისაგან, რომლებიც აითვისა ადამიანმა როგორც საზოგადოების წევრმა".

ტაილორი კულტურის განვითარებას განიხილავდა როგორც ადამიანის გონებისა და შრომის პროდუქტების თანდათანობით განვითარებას მარტივიდან რთულისაკენ, მემკვიდრეობითობის აუცილებლობის შენარჩუნებით. ამ გზას გაიცლის როგორც მა-

ტერიალური კულტურის ელემენტები, ისე ყველა იდეა, დოქტრინა, კანონი, მხატვრული ნაწარმოები თუ სულიერი კულტურის ნებისმიერი სხვა გამოხატულება. მექანიკური ინსტრუმენტების ევოლუციის მაგალითად ტაილორი ასახელებდა შუა საუკუნეების ასტროლაბს, რომელიც თანდათან იქცა კვადრანტად, შემდეგ კი უფრო სრულყოფილ სექსტანტად. კაცობრიობის ყველა დიდი გონება და ტალანტი სრულყოფს წინამორბედთა შემოქმედებას და ეკრდნობა მას. იდეათა და საგანთა გარდაქმნის ეს უწყვეტი „ჯაჭვი" აისახება და ქმნის ე.წ. „სემიოტურ მწკრივებს".

ე. ტაილორი არ გამორიცხავდა კულტურაში რეგრესულ ცვლილებათა შესაძლებლობას, ისტორიული ან ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად, მაგრამ ამტკიცებდა, რომ მაგისტრალურ მიმართულებას კაცობრიობის ისტორიაში წარმოადგენს კულტურის ევოლუციური პროგრესული განვითარება. მისი აზრით, ამას ადასტურებს მრავალი ცნობილი ფაქტი, რომლებიც თანამიმდევრულად შეიძლება დალაგდეს მხოლოდ განსაზღვრული, და არა საპირისპირო მიმართულებით. ტაილორი თვლიდა, რომ ყველა კულტურა გაიელის განვითარების დაახლოებით იგივე სტადიებს, რაც განვლეს ცივილიზებულმა (ევროპელმა) ხალხებმა: უმეცრებიდან განათლებისაკენ, როცა სულ უფრო მეტ როლს შეასრულებს რაციონალისტური მეცნიერება და იდეოლოგია.

ტაილორი ცდილობდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდების გამოყენებას, რომლებიც მას მისაბაძად მიაჩნდა, განსაკუთრებით სისტემატიზაციის სფეროში. კვლევის ერთეულს მისთვის წარმოადგენდა კულტურის ცალკეული ელემენტები: მატერიალური კულტურის ცალკეული კატეგორიები (შრომის იარაღი, მშვილდ-ისარი, ქსოვილი თუ სხვ.) თუ სულიერი კულტურის მოვლენები (მითი, მსხვერპლშეწირვა, რიტუალები და ა.შ.).

„კაცობრიობის ისტორია ბუნების ისტორიის ნაწილი ან შეიძლება ითქვას, ნაწილაკია, და ადამიანის აზრები, მისწრაფებანი და მოქმედებანი ისეთსავე მკაფიოდ განსაზღვრულ კანონებს ექვემდებარება, როგორც ის მოვლენები, რომლებიც განაპირობებენ ტალღების მოძრაობას, ქიმიურ ელემენტთა კავშირს, მცენარეთა და ცხოველთა ზრდას", — წერდა ტაილორი. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა ევოლუციის, მარტივიდან რთულისაკენ განვითარების თანადთანობით ხასიათს.

კვლევის პროცესში ტაილორი ფართოდ იყენებდა „გადმონაშთების მეთოდს". გადმონაშთს იგი განმარტავდა როგორც „წარ-

სულის ცოცხალ მოწმეს ან ძეგლს“, „იმ რიტუალებს, ზნეჩვეულებებს, შეხედულებებს და ა.შ., რომლებიც, ჩვეულების ძალით გადმოტანილნი კულტურის ერთი, მისთვის დამახასიათებელი სტადიიდან მეორე, უფრო გვიანდელში, რჩებიან წარსულის ცოცხალ მოწმედ ან ძეგლად“. ასეთ გადმონაშთებს იგი მრავლად ხედავდა მისი თანამედროვე ევროპის ხალხთა ყოფაში. ტაილორი მიიჩნევდა, რომ გადმონაშთებზე დაყრდნობით შესაძლებელია ძველი კულტურების რეკონსტრუქცია.

ტაილორი რელიგიის ანიმისტური თეორიის (სულის რწმენაზე დამყარებული წარმოდგენები) ავტორია. მის მიერ ჩამოყალიბდა კიდევ რიგი პრობლემებისა, რომლებიც დღემდე ინარჩუნებენ მნიშვნელობას კულტურათა შესწავლისათვის.

ევოლუციონისტთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს **ლუის ჰენრი მორგანს (1818-1881 წწ.)**, რომლის ნაშრომთა შორის უმთავრესია „ძველი საზოგადოება“. მისი დასკვნით, კაცობრიობის ისტორია შეიძლება დაიყოს ორ დიდ პერიოდად: პირველია „სოციალური ორგანიზაცია, დამყარებული გვარზე“, მეორე, მოგვიანო პერიოდი კი — „პოლიტიკური ორგანიზაცია, დამყარებული ტერიტორიასა და საკუთრებაზე“. „გვაროვნული წყობილება, — წერდა მორგანი, — წარმოგვიდგება როგორც კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი და ფართოდ გავრცელებული ორგანიზაცია. იგი წარმოადგენდა თითქმის უნიკალურ სოციალურ საფუძველს ძველი საზოგადოებისათვის — აზიურის, ევროპულის, აფრიკულის, ამერიკულისა და ავსტრალიურისათვის“.

გარდა ამისა, მორგანს ეკუთვნის დებულება მატრიარქატიდან პატრიარქატისაკენ გვაროვნული წყობილების განვითარების, ოჯახისა და ქორწინების ევოლუციის შესახებ. მის სახელთანაა დაკავშირებული აგრეთვე კაცობრიობის ისტორიის პირველი მეცნიერული პერიოდიზაცია: ველურობა — ბარბაროსობა — ცივილიზაცია, თავისი ქვეპერიოდებით.

ევოლუციონიზმის საპირისპიროდ, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ეთნოლოგიაში ჩამოყალიბდა დიფუზიონისტური სკოლა, რომელიც კულტურის დიფუზიას (კულტურის მოვლენათა გავრცელება ხალხთა შორის კონტაქტების — ვაჭრობის, დაპყრობების, ხალხთა გადასახლების — მეშვეობით) მიიჩნევს ისტორიული პროცესის საფუძვლად. ევოლუციონიზმისაგან განსხვავებით, იგი აღიარებს არა ისტორიულ პროგრესს, არამედ კულტურის სიერცით გავრცელებას.

გერმანელმა გეოგრაფმა **ფრიდრიხ რატცელმა (1844-1904 წწ.)** ნაშრომებში — „ანთროპოგეოგრაფია", „ხალხთმცოდნეობა", „დედამიწა და სიცოცხლე" — განიხილა დედამიწაზე კაცობრიობის განსახლების სურათი და კულტურის განვითარება გეოგრაფიულ პირობებთან კავშირში. იგი თვლიდა, რომ ბუნებრივი გარემოთი გამოწვეული კულტურული სხვაობანი ხალხებს შორის თანდათანობით იშლება მათ შორის ურთიერთობის (ტომთა გადასახლება, დაპყრობები, რასების შერევა, ვაჭრობა, სამიმოსვლო გზების განვითარება და სხვ.) შედეგად.

გერმანელი ეთნოგრაფი **ლეო ფრობენიუსი (1873-1938 წწ.)** — აფრიკის ხალხთა კულტურის აღიარებული მკვლევარი — კულტურას განცალკევებულ, ჩაკეტილ ორგანიზმად წარმოიდგენდა. იგი შეეცადა გამოეყო ცალკეული კულტურული პროვინციები — „კულტურული წრეები", რომელთაც ახასიათებდათ რიგი ნიშნებისა, განსაკუთრებით მატერიალური კულტურის სფეროში. იგი იყენებდა "შრეობრივი ჩაღრმავების მეთოდს: თვლიდა, რომ თუ თანამედროვე კულტურას ფენა-ფენა გავათავისუფლებთ გარედან მოტანილი დანალექებისაგან, შეეძლებთ გამოეყოთ უძველესი კულტურა „სუფთა" სახით.

კულტურას ფრობენიუსი ცოცხალი ორგანიზმის ანალოგიით განიხილავდა. მისი აზრით, კულტურები იბადება, ცხოვრობს და კვდება, ისევე როგორც სხვა ცოცხალი არსებანი. ადამიანი კულტურის პროდუქტია და არა მისი შემოქმედი, შემქმნელი. „კულტურა იზრდება თავისთავად, ადამიანის, ხალხის გარეშე", — წერდა იგი. კულტურა იბადება ბუნებრივი პირობებიდან. მას ჭირდება კვება, რაც მეურნეობის განვითარების მეშვეობით ხორციელდება. როგორც ორგანიზმი, კულტურა შეიძლება გადაირგას სხვა ნიადაგზე, და ახალ პირობებში იგი განვითარების ახალ მიმართულებას შეიძენს. ახალი კულტურები იბადება ძველების შეხებისა და ურთიერთქმედების შედეგად. ამავე დროს, კულტურა ადამიანის გარეშე ვერ იარსებებს, რადგან მას არა აქვს ფეხები — გადაადგილების საშუალება. ამიტომ ადამიანი კულტურის გადამტანი, მატარებელია. კულტურას გააჩნია მისტიკური „სული" (პაიდეუმ), რომელიც ადამიანისგან დამოუკიდებლად იბადება, ცხოვრობს და კვდება.

მოგვიანებით, განავითარა რა კულტურისა და ორგანიზმის ანალოგიის თეზისი, ფრობენიუსმა გამოყო მამაკაცური და ქალური კულტურები. აფრიკაში მან ორი ტიპის კულტურა განასხვავა: „ტელურიულ-ეთიოპიურ-პატრიარქალური" და „ქტონიურ-

ქამიტურ-მატრიარქალური". „ტელურიული", მისი განმარტებით, ნიშნავს მიწიდან ზევით მზარდს, „ქტონიური" — ფესვებით მიწაში ჩასწრდილს. ორივე ტიპი მჭიდროდაა დაკავშირებული გარემოსთან. „ტელურიული" დაიბადა აფრიკული სავანების ზონაში, „ქტონიური" — საჰარასა და ჩრდილოეთ აფრიკაში. ისინი ერომანეთისაგან განსხვავდებიან მათში ჩადებული ტენდენციებით („იდეებით"). „ტელურიული" თითქოს ზემოთ მიისწრაფვის, რაც მელავნდება მატერიალური და სულიერი კულტურის თავისებურებებში. მას ახასიათებს მოწნული სახლები, ფეხებიანი საწოლები; ამ კულტურის სული ზემოთ მიიწევს, როგორც მცენარე; ადამიანიც ზემოთ მიიწევს, ასაკობრივი კლასების იერარქიული კიბით. ღმერთები მაღალ, მიუწვდომელ ადგილებში ბინადრობენ. ეს პატრიარქალური კულტურაა. „ქტონიური" მატრიარქალური კულტურა მიწაში ჩაღრმავებას ესწრაფვის: არსებობენ მიწური საცხოვრებლები, ასეთივე მარცველეულის საცავები, მიწის ღუმელები, იდეები სულთა მიწისქვეშა სამყაროზე და ა.შ.

შემდგომში, განავითარა რა კულტურის ორი ტიპის კონცეფცია, ფრობენიუსმა „ქამიტური" და „ეთიოპური" კულტურები „აღმოსავლეთითა" და „დასავლეთით" შეცვალა. „აღმოსავლეთისათვის" დამახასიათებელია „გამოქვაბულის" გრძნობა, უძრაობა, ფატალური ბედის იდეა, „დასავლეთისათვის" — „შორეულის, სივრცის გრძნობა", დინამიურობა, პიროვნებისა და თავისუფლების იდეა. მსოფლიოში ლიდერობა ხან ერთი, ხან მეორე ტიპის ხელშია. ეს „საქანელა" კაცობრიობის განვითარების წყაროა.

ფრობენიუსმა თავის თეორიას კულტურის მორფოლოგია უწოდა, გამოაქვეყნა მასში „კულტურის ანატომიისა" და „კულტურის ფიზიოლოგიის" განხრები. მაინის ფრანკფურტში მან დააფუძნა „კულტურის მორფოლოგიის კელვეიოი ინსტიტუტი", რომელიც ლეგსაც არსებობს.

ფრიც გრებნერმა (1887-1934 წწ.) გაიზიარა „კულტურული წრეების" თეორია და სცადა „ისტორიული" მეთოდის გამოყენება პრიმიტიული კულტურების შესწავლისას. იგი მიეიდა დასკვნამდე, რომ კაცობრიობის კულტურის მთელი მრავალფეროვნება დაიყვანება ერთეულ, ერთჯერად მოვლენებზე. მსგავს კულტურულ მოვლენებს იგი ერთი კულტურული წრის კუთვნილებად, ერთ კულტურულ ცენტრში წარმოშობილად მიიჩნევდა. ნებისმიერი კულტურული ფაქტი — იქნება ეს მშვილდი თუ ისარი, ტოტემიზმი თუ სხვა, ისტორიაში მხოლოდ ერთხელ წარმოიშვა, რომელიღაც ერთ

ადგილას, ეკუთვნოდა ერთ რომელიღაც კულტურას და შემდეგ მასთან ერთად გავრცელდა სხვადასხვა ქვეყანაში.

ამრიგად, კაცობრიობის კულტურის ისტორია განიხილება როგორც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წამოყალიბებული რამდენიმე კულტურული წრის ურთიერთქმედება მათი გადაადგილების, ერთმანეთში მექანიკური შერევის და ერთმანეთზე „კულტურულ შრეებად" დალაგების სახით.

ფ. გრებნერის „კულტურული წრეების" თეორია ავსტრიელმა კათოლიკე პატრმა **ვილჰელმ შმიდტმა (1868-1954 წწ.)** შეავსო შვეიცარიელი ბიოლოგის ი. კოლმანის „პიგმეური" თეორიით, რომლის თანახმად, ცხოველთა ყველა სახეობის განვითარება იწყება მარტივი ფორმიდან, რომელსაც შემდგომ რთული ფორმები ენაცვლება. ამ განზოგადებას კოლმანი ადამიანზეც აერცელებდა და თანამედროვე ჯუჯა ადამიანებს — პიგმეებს — ადამიანის არქაულ ფორმად განიხილავდა. ვ. შმიდტმა სცადა დაესაბუთებინა, რომ „უძველესი კულტურებისათვის, რომლებიც წარმოდგენილია პიგმეებით, ტასმანიელებით, სამხრეთ-აღმოსავლეთ ავსტრალიელებით, სხვა თავისებურებებთან ერთად, დამახასიათებელია წარმოდგენა ერთ ღმერთზე, როგორც უმაღლეს არსებაზე, ქვეყნისა და ადამიანის შემქმნელზე. ვ. შმიდტის აზრით, რწმენის ფორმები — ანიმიზმი, მაგია, ფეტიშიზმი თუ სხვა მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა.

ფ. გრებნერსა და ვ. შმიდტს დიფუზიონისტთა „კულტურულ-ისტორიულ" სკოლას მიაკუთვნებენ.

ინგლისში წამოყალიბდა **„ჰიპერდიფუზიონიზმის"** ან **„პანეგვიპტიზმის"** სახელით ცნობილი მიმდინარეობა. მისი წარმომადგენლები ელიოტ სმითი (1871-1937 წწ.) და უილიამ-ჯეიმს პერი ამტკიცებდნენ, რომ მსოფლიო ცივილიზაცია გაჩნდა ერთ ცენტრში — ეგვიპტეში, საიდანაც გავრცელდა მთელ დედამიწაზე.

სოციალური ანთროპოლოგიის ინგლისური სკოლის ფარგლებში წამოყალიბდა კულტუროლოგიური კელეეის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება — **ფუნქციონალიზმი**. მის ფორმირებაზე დიდი გავლენა იქონია ჰ. სპენსერისა და ე. დიურკჰეიმის შრომებმა. ფუნქციონალიზმის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან ბ. მალინოვსკი და ა. რადკლიფ-ბრაუნი.

ფუნქციონალიზმი კულტურას განიხილავს მთლიანობად, რომელიც ცალკეული ელემენტებისგან შედგება. კელეეის უმთავრესი ამოცანაა მთელის (კულტურის) შემადგენელ ნაწილებად დაშლა და მათ შორის დამოკიდებულების გამოვლენა. თი-

თოველი ნაწილი განიხილება გარკვეული ამოცანის, ფუნქციის შემსრულებლად სოციოკულტურულ მთლიანობაში. ხშირად ცალკეული ელემენტი არა მარტო თავის ფუნქციას ახორციელებს, არამედ წარმოადგენს რგოლს, რომლის გარეშე კულტურა ვერ იარსებებს როგორც მთლიანობა. ფუნქციონალისტებს, ფაქტობრივად, არ აინტერესებდათ კულტურათა ისტორიული ცვლილებანი; მათთვის მნიშვნელოვანი იყო, როგორ მოქმედებს კულტურა „აქ და ახლა", რა ამოცანებს წყვეტს, როგორ ხდება მისი კვლავწარმოება. ცნება „ფუნქცია" მათ მიერ ორი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება: 1) როლი, რომელსაც კულტურის ესა თუ ის ელემენტი ასრულებს მთელთან მიმართებაში; 2) კულტურის ნაწილებს, კომპონენტებს შორის დამოკიდებულება.

ფუნქციონალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია ინგლისელი მკვლევარი **ბრონისლავ კასპერ მალინოვსკი (1884-1942 წწ.)**, წარმოშობით პოლონელი (დაიბადა კრაკოვში). ნაშრომებში „კულტურის მეცნიერული თეორია" (1940 წელი) და „კულტურულ ცვლილებათა დინამიკა" (გამოქვეყნდა სიკვდილის შემდეგ, 1945 წელს), მან ჩამოაყალიბა ფუნქციონალიზმის თეორიული საფუძვლები.

მალინოვსკის კონცეფციის ძირითადი დებულებები ჰ. სპენსერის ძლიერი გავლენით ჩამოყალიბდა. კერძოდ, მალინოვსკიმ გაიზიარა სპენსერის თვალსაზრისი საზოგადოების როგორც თავისებური ბიოლოგიური ორგანიზმის შესახებ. მოთხოვნილებათა თეორია მალინოვსკის კონცეფციის საფუძველი გახდა. ცხოველთა სამყაროსაგან ადამიანს განასხვავებს საბაზო, ძირითადი და მეორადი, წარმოებული მოთხოვნილებები; ეს უკანასკნელნი კულტურული გარემოთია განპირობებული.

ადამიანი ბიოლოგიური არსებაა და მისი უპირველესი ამოცანაა მარტივი ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მის პროცესში ადამიანი მოიპოვებს საკვებს, სათბობს, ქმნის ტანსაცმელს, საცხოვრებელს, ამით გარდაქმნის გარემოს და თავის გარშემო ქმნის ახალ, მეორად, წარმოებულ გარემოს — კულტურას.

გარდა საბაზო (ბიოლოგიური) მოთხოვნილებებისა, არსებობს კიდევ წარმოებული, მეორადი (საკვების განაწილების, შრომის დანაწილების, თავდაცვის, რეპროდუქციის რეგულირების, სოციალური კონტროლის) და ინტეგრაციული (ფსიქოლოგიური უსაფრთხოების, სოციალური ჰარმონიის, შემეცნების სისტემის, კანონების, რელიგიის, მაგიის, მითოლოგიის, ხელოვნების)

მოთხოვნილებანი, რომელთა დაკმაყოფილებას ემსახურება კულტურა. კულტურის ყველა ასპექტს თავისი ფუნქცია აქვს ერთერთში ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნილებებიდან. მაგალითად, მაგალითა, ბ. მალინოვსკის აზრით, იძლევა ფსიქოლოგიურ დაცვას საფრთხისაგან, მითი ისტორიულ ავტორიტეტს ანიჭებს მართვის სისტემასა და ფასეულობებს და ა.შ. კულტურას არ გააჩნია ზედმეტი და უსარგებლო ელემენტები.

ბ. მალინოვსკის აზრით, კულტურა, თავისი არსით, ინსტრუმენტია, რომლის მეშვეობით ადამიანი თავს ართმევს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პროცესში გარემოს მიერ მის წინაშე დაყენებულ სპეციფიკურ პრობლემებს. კულტურა ობიექტთა, ქმედებათა და დებულებათა სისტემაა, რომლის ყველა ელემენტი რადაც მიზნის მიღწევის საშუალებაა. იგი არის მთლიანობა, რომელიც შედგება ნაწილობრივ ავტონომიური, ნაწილობრივ კოორდინირებული ელემენტებისაგან. ადამიანები ახდენენ კულტურის ელემენტთა ორგანიზებას, ურთიერთქმედებენ რა ვერბალური გზით ან სიმბოლურ ქმედებათა მეშვეობით. კულტურული ელემენტები, ადამიანთა ჯგუფები და სიმბოლოთა სისტემები – კულტურული პროცესის სამი შემადგენელი ნაწილია.

ყველა კულტურა, თვლიდა მალინოვსკი, განეთოარების პროცესში შეიმუშავებს მყარი „წონასწორობის" გარკვეულ სისტემას, სადაც მთელის ყოველი ნაწილი თავის ფუნქციას ასრულებს. თუ კულტურის რომელიმე ელემენტს მოვსპობთ (მაგალითად, ავკრძალავთ, ჩვენი აზრით, მაენე რიტუალს), შეიძლება, მთელი ეთნოკულტურული სისტემა და, შესაბამისად, მასში მცხოვრები ხალხი დეგრადაციისა და დაღუპვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს. მკვლევარი მძაფრად აკრიტიკებდა ტაილორისეულ „გადმონაშთების მეთოდს", რომელიც ამა თუ იმ მოვლენას, მისი აზრისა და ფუნქციის ძიების ნაცვლად, დრომოჭმულ გადმონაშთად აცხადებდა.

დიფუზიონიზმის ძირითად ნაკლად მალინოვსკი იმას მიიჩნევდა, რომ იგი კულტურას განიხილავდა არა ცოცხალ ორგანულ მთლიანობად, არამედ საგნების ერთობლიობად, კულტურის ცალკეულ ნიშნებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად სწავლობდა. საერთოდ, მალინოვსკი მიიჩნევდა, რომ ისტორიული პროცესი შეუცნობადია, კულტურის ელემენტთა ხანგრძლივი ევოლუციის შესწავლის ცდები უპერსპექტიოა. მკვლევრის ამოცანაა კულტურულ მოვლენათა ფუნქციების, მათი ურთიერთკავშირის ანალიზი ყოველი ცალკეული კულტურის ფარგლებში.

ევოლუციონისტებსა და დიფუზიონისტებთან კამათში ჩამოყალიბდა კიდევ ერთი საინტერესო მიმდინარეობა, რომელსაც „ფ. ბოასის ისტორიულ სკოლას", ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიას, ხან კი ეთნოფსიქოლოგიურ სკოლას უწოდებენ. თავის მხრივ, იგი საფუძვლად დაედო კულტურული რელატივიზმის (ფარდობითობის) — მსოფლიოს ყველა ხალხთა კულტურის თანაბარი ღირებულების თეორიას.

აღნიშნულ მიმდინარეობას საფუძველი ჩაუყარა ფრანც ბოასმა (1859-1942 წწ.). მან განათლება ჰაიდელბერგის, ბონისა და კილის უნივერსიტეტებში მიიღო და დოქტორის ორი სამეცნიერო ხარისხიც (ფილოსოფიისა და მედიცინის დარგში) კილის უნივერსიტეტში მოიპოვა. 1887 წლიდან აშშ-ში მოღვაწეობდა. ფ. ბოასმა ამერიკულ ანთროპოლოგიაში გერმანული კულტურულ-ისტორიული სკოლის ტრადიცია დაამკვიდრა და, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა ისტორიული ეთნოლოგიის სკოლას, რომელმაც უარი თქვა მორგანის მემკვიდრეობზე და განსაზღვრა ამერიკული ანთროპოლოგიური აზრის განვითარება XIX საუკუნის მიწურულიდან XX საუკუნის შუა ხანებამდე. ხშირად მას თანამედროვე ეთნოლოგიის არქიტექტორს უწოდებენ.

ფ. ბოასი წინააღმდეგი იყო სხვადასხვა ხალხის კულტურათა შესწავლისას საერთო თეორიების და სქემების გამოყენებისა. „ჩვენ უნდა გავიგოთ ინდივიდუალურ კულტურათა განვითარების პროცესი, სანამ შეეცდებით დაეადგინოთ მთელი კაცობრიობის კულტურის განვითარების კანონები", — წერდა იგი. მისთვის ამოსავალი იყო თეზისი იმის შესახებ, რომ ყოველ კულტურას განვითარების საკუთარი, უნიკალური გზა აქვს. განსხვავებით ევოლუციონისტებისაგან, რომლებიც ხაზს უსვამდნენ უნივერსალურ და მსგავს ნიშნებს სხვადასხვა კულტურაში ბოასი მიუთითებდა თითოეული კულტურის თავისებურებებზე როგორც საკუთრივ ამ კულტურის განვითარების შედეგზე. იგი საჭიროდ თვლიდა ყოველი ცალკეული ხალხის ენის, კულტურის, ანთროპოლოგიური ტიპის შესწავლას ისტორიულ ჭრილში: „ყოველი კულტურა, — წერდა ფ. ბოასი, — შეიძლება გაგებულ იქნეს მხოლოდ როგორც ისტორიული მოვლენა". ისტორიზმის პრინციპს იგი ყველა თავის ნაშრომში იცავდა.

ფ. ბოასის აზრით, თვალსაზრისი პრიმიტიული კულტურის სტაბილურობის შესახებ ფაქტებს არ შეესაბამება. ფაქტები გვიჩვენებს საგნებსა და ზნე-ჩვეულებებს მუდმივ მოძრაობაში, მაგრამ ეს არ არის აუცილებლად პროგრესის გზა.

კულტურა, ბოასის მიხედვით, ქცევის მოდელთა ერთობლიობაა, რომელთაც ადამიანი იოეისებს ზრდისა და თავისი კულტურული როლის მიღების პროცესში. არა მხოლოდ ჩვენი ენა, არამედ ემოციებიც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და იმ ხალხის ისტორიის შედეგია, რომელსაც ეეკუთვნით. ყველა კულტურული ელემენტი განხილული უნდა იყოს მხოლოდ მთლიან კულტურულ კონტექსტში, რომლის ნაწილს იგი წარმოადგენს. სწორედ ბოასმა ჩაუყარა საფუძველი კულტურის როგორც მთლიანობის, სისტემის კვლევას, რომელიც მრავალი შინაგანად დაკავშირებული, ურთიერთშეთანხმებული ნაწილისაგან შედგება. ერთი კულტურის ელემენტთა სესხება მეორის მიერ არ შეიძლება იყოს მხოლოდ მათი კონტაქტის ავტომატური შედეგი. მაშინაც კი, როცა სესხება ხდება, ნასესხები ელემენტი სხვა კულტურაში ახალ მნიშვნელობას იძენს.

ფ. ბოასი თვლიდა, რომ ინდიელთა რომელიდაც ტომის კულტურა არანაკლებ რთულია, ვიდრე განვითარებული ევროპული ერის კულტურა. ერთ მათგანს დამწერლობა გააჩნია, მეორეს კი — არა, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვეულებრივი კულტურათშორისი განსხვავებაა. ზნეობრივ შეფასებათა „ჩვენი" კრიტერიუმები არ უნდა გადავიტანოთ სხვა ხალხებზე, რადგან ყოველ ხალხს თავისი სოციალური იდეალები და მორალური ნორმები გააჩნია. საჭიროა დიდი სიფრთხილე კაცობრიობის კულტურის განვითარების ზოგად კანონზომიერებათა დადგენისას; გარეგნულად მსგავსი ნიშნები შეიძლება სხვადასხვა წარმოშობის აღმოჩნდეს და არსებითად განსხვავდებოდეს კიდეც ერომანეთისაგან.

კრიტიკოსები ბრალად სდებდნენ ბოასს იმას, რომ, მისი წყალობით, ანთროპოლოგიამ გადაუხვია კულტურული განვითარების საერთო კანონზომიერებათა ძიების გზას. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მისმა თეორიამ დიდი როლი შეასრულა, ერთი მხრივ, ევოლუციონიზმისა და დიფუზიონიზმის, მეორე მხრივ კი, ფუნქციონალიზმის უკიდურესობათა დაძლევაში.

კულტურული რელატივიზმის თეორიის შემქმნელად ითვლება ამერიკელი ანთროპოლოგი **მელვილ ჰერსკოვიცი (1895-1963 წწ.)**, რომლის კულტუროლოგიური კონცეფცია ჩამოყალიბებულია ნაშრომში „კულტურული ანთროპოლოგია" (1948 წელი).

ჰერსკოვიცი გადაჭრით გაემიჯნა „სამ დეტერმინიზმს": კულტურის რასისტულ თეორიებს, გეოგრაფიული დეტერმინიზმის უკიდურეს ფორმებსა (კულტურის მთელი მრავალფეროვნების ახსნა მხოლოდ გეოგრაფიული გარემოთი) და ეკონომიკურ დე-

ტერმინი'ნმს, რომლის მიხედვით განმსაზღვრელი მნიშვნელობა მატერიალური დოვლათის წარმოების წესს ენიჭება. იგი არ ეთანხმებოდა თეითმყოფადი კულტურების განხილვას ერთიანი მსოფლიო-ისტორიული პროცესის ნაწილად, რომელსაც ასევე საერთო ევოლუციურ-პროგრეს'ული მიმართულება გააჩნია. პერსკოვიცის ა'ზრით, არ არსებობს მსოფლიოს კულტურათა განვითარების ერთიანი კანონზომიერება, რომლის ნიმუშად მიჩნეულია დასავლეთევროპული მოდელი. მსოფლიო-ისტორიული პროცესი მას წარმოედგინა სხვადასხვა მიმართულებით განვითარებად კულტურათა ჯამის სახით; კულტურათა სხვადასხვა ტიპის არსებობის შესაბამისად, არსებობს პროგრესის სხვადასხვა კრიტერიუმი, ამიტომ პროგრესის ცნება ფარდობითია, სუბიექტური. უფრო მეტიც, ზოგ შემთხვევაში ტრადიციული კულტურის განვითარებას ტექნიკური (დასავლური) გზით მისი სიკვდილი, გაანადგურება მოსდევს. განსაკუთრებით მკვეთრად აკრიტიკებდა პერსკოვიცი მსოფლიო ისტორიის მორგანისეულ პერიოდიზაციას — ველურობა, ბარბაროსობა, ცივილიზაცია, ხედავდა რა მას'ში „პრიმიტიული" და „ცივილიზებული" ხალხების ევროპოცენტრისტულ დაპირისპირებას.

პერსკოვიცი კულტურის ცნების ორგვარ ინტერპრეტაციას იყენებდა. ზოგადად, იგი კულტურას განსაზღვრავდა როგორც ადამიანის მიერ შექმნილ გარემოს. ასეთ გაგებას ეყრდნობოდა იგი კულტურის წარმო'მობისა და მისი განვითარების ადრეული საფეხურების კვლევისას. თანამედროვე კულტურების ანალიზის დროს კი იგი კულტურას ფსიქოლოგიურ რეალობად განიხილავდა და განსა'ზღვრავდა მას როგორც იმ ადამიანთა ქცევისა და ა'ზროვნების ხეული წესების ჯამს, რომლებიც მოცემულ სა'ზოგადოებას შეადგენენ.

ყოველ კულტურას აქვს უნიკალური მოდელი, განსაზღვრული მყარი ტრადიციით. იგი ვლინდება ყველა ხალხისათვის დამახასიათებელ ფასეულობათა სპეციფიკური სისტემით, რომელიც ძნელია შეეფარდოს სხვა ხალხის ფასეულობათა სისტემებს. პერსკოვიცი ('შესაძლოა, ა. კრიობერის გავლენით) თვლიდა, რომ ყველა კულტურას გააჩნია ძირეული, მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივი მახასიათებელი — „კულტურის ფოკუსი". თანამედროვე ევროპულ-ამერიკული კულტურისათვის ესაა ტექნოლოგიის განვითარება, შუა საუკუნეების ევროპისათვის — რელიგიური იდეოლოგიის ბატონობა და სხვ.

კულტურულ ფასეულობებს პერსკოვიცი განსაზღვრავდა როგორც განსჯის სასურველზე, სასურველის გააზრებას, ქცევის იდეალური მოდელის წარმოდგენას სხვადასხვა ხალხის მიერ.

სტრუქტურული თვალსაზრისით, მკვლევარი კულტურაში რამდენიმე ასპექტს გამოყოფდა. ესენი იყო: ტექნიკური საშუალებანი, რომელთა მეშვეობით ადამიანი ბუნებრივი გარემოდან მოიპოვებს იმას, რაც საჭიროა არსებობისა და ყოველდღიური საქმიანობისათვის; ეკონომიკური სისტემა მათი განაწილებისათვის; სოციალურ და პოლიტიკურ ორგანიზაციას, ცხოვრების ფილოსოფიას, რელიგიას, ხელოვნებას, ენას, სანქციების სისტემას.

სტადიური განვითარების კანონზომიერებათა ძიებას პერსკოვიცი უპირისპირებდა სხვადასხვა კულტურის შესწავლას დროის ფიქსირებულ ინტერვალში. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა კულტურის ცვლილებათა მექანიზმის ანალიზს. არ აკმაყოფილებდა რა „თანდათანობითი" განვითარების პრიმიტიულ-ევოლუციური ახსნა, კულტურის განვითარების მექანიზმს იგი მისი მდგრადობა-ცვალებადობის დინამიურ ერთობაში ხედავდა. პერსკოვიცის აზრით, კულტურა, ეროსა და იმავე დროს, სტაბილურიცაა და ცვალებადიც. ყოველგვარი ცვლილება შესაძლებელია ზოგიერთი კონსერვატული სტრუქტურის შენარჩუნებით, რომლებიც განვითარების სუბიექტს წარმოადგენენ. ცვლილებათა არარსებობა კულტურის სიკვდილს ნიშნავს, მეორე მხრივ კი, კულტურის მდგრადი სტრუქტურების რღვევა, სწრაფი ცვლილებების (მაგალითად, ტექნოლოგიური ზრდის) ინტერესებიდან გამომდინარე, ნიშნავს მის დეგრადაციას, თვითმყოფადობის დაკარგვას.

ამერიკული ანთროპოლოგიური ტრადიციის შესაბამისად, პერსკოვიცი ერთმანეთისაგან მიჯნავდა „კულტურისა" და „საზოგადოების" ცნებებს. „კულტურა ადამიანთა ცხოვრების წესია, საზოგადოება კი იმ ინდივიდთა ორგანიზებული ურთიერთმოქმედი აგრეგატია, რომლებიც ცხოვრების ამ წესს მისდევენ. უფრო მარტივად: საზოგადოება შედგება ადამიანებისაგან, მათ მიერ არჩეული ცხოვრების წესი კი არის კულტურა", — წერდა პერსკოვიცი.

სპეციფიკური ეთნოკულტურული გამოცდილების ათვისების პროცესს მკვლევარი ინკულტურაციას უწოდებდა. ეს მისი კონცეფციის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა. ინკულტურაცია — ესაა ინდივიდის შესვლა კულტურის კონკრეტულ ფორმაში. მისი ძირითადი შინაარსი მდგომარეობს ამ კულტურის შე-

მადგენელი აზროვნებისა და მოქმედების წესის, ქცევის მოდელის შეფასებაში.

ინკულტურაციას პერსკოვიცი განასხვავებდა სოციალიზაციისაგან, რომელიც, მისი აზრით, წარმოადგენს ბავშვის მიერ საქმიანობის საერთო-საკაცობრიო წესის ათვისების პროცესს.

ამერიკული კულტურანთროპოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია **ლესლი უაიტი (1900-1975 წწ.)**, რომლის დამსახურებათა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ, ერთი მხრივ, ტერმინ „კულტუროლოგიის" დამკვიდრება მეცნიერებაში, მეორე მხრივ კი, კულტუროლოგიის, როგორც მეცნიერების ცალკე დარგის არსებობის უფლების დასაბუთება.

მართალია, ტერმინი „კულტუროლოგია" პირველად გერმანელმა ქიმიკოსმა ვილჰელმ ოსტვალდმა გამოიყენა 1913 წელს, მაგრამ მისი დამკვიდრება ლ. უაიტის სახელს უკავშირდება. 1930 თუ 1931 წელს უაიტმა მიჩიგანის უნივერსიტეტში წაიკითხა „კულტუროლოგიის" სალექციო კურსი, 1949 წელს კი გამოსცა ცნობილი ნაშრომი „მეცნიერება კულტურის შესახებ". მისი კონცეფციის გავრცელებაში დიდი როლი შეასრულა რამდენიმე საპროგრამო სტატიამ, რომელთაგან განსაკუთრებით ცნობილია „კულტუროლოგია", რომელიც შეეიდა სოციალურ მეცნიერებათა საერთაშორისო ენციკლოპედიაში, და „ენერგია და კულტურის ევოლუცია" (1943 წ.).

ლ. უაიტის ძირითად დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე კულტურის ცნების ახალი კონცეფციის ჩამოყალიბება და კულტურის განვითარების ევოლუციონისტური თვალსაზრისის ახლებური გააზრება. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო ნაშრომში — „კულტურულ სისტემათა კონცეფცია" ლ. უაიტმა საგანგებო ყურადღება მიაქცია კულტურის განვითარების პრობლემებს XX საუკუნის ბოლოს.

კულტურა, უაიტის განსაზღვრებით, წარმოადგენს საგანთა და მოვლენათა კლასს, დამოკიდებულს მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელ უნარზე — სიმბოლური მნიშვნელობა მიანიჭოს აზრებს, მოქმედებებს, საგნებს (ანუ მოახდინოს მათი სიმბოლიზაცია) და აღიქვას სიმბოლოთა მნიშვნელობა. ასეთ საგნებსა და მოვლენებს იგი სიმბოლატებს უწოდებს. სიმბოლატებს წარმოადგენს იდეები, რწმენა-წარმოდგენები, ურთიერთობანი, გრძნობები, მოქმედებები, ქცევის მოდელები, ზნე-ჩვეულებანი, კანონები, ინსტიტუტები, ხელოვნების ნაწარმოებები, ორნამენტი, ენა, შრომის იარაღი, ნივთები, საგნები და ა.შ. მათი განხილვა

შეიძლება სიმბოლურ და ექსტრასიმბოლურ კონტექსტში. თუ სიმბოლოები განიხილება სიმბოლურ კონტექსტში, ანუ ადამიანის ორგანიზმთან კავშირში, მაშინ მათ ურთიერთქმედებას ეწოდება ადამიანის ქცევა და მას სწავლობს ფსიქოლოგია. ხოლო ექსტრასიმბოლურ კონტექსტში სიმბოლოთა ურთიერთქმედებას შეიძლება ეწოდოს კულტურა, მის შემსწავლელ მეცნიერებას კი — კულტუროლოგია.

უაიტის თვალსაზრისი უკიდურესი ანტიევოლუციონიზმიდან თანამიმდევრული ევოლუციონიზმისაკენ განვითარდა. 30-იანი წლებიდან მან ააღორძინა იმ დროისათვის არაპოპულარული ევოლუციონიზმის პრინციპი კულტურის კვლევაში, რის გამოც მრავალი უსიამოვნება შეხვდა. უაიტი მკაცრად ებრძოდა კრეაციონიზმს, რისთვისაც ქალაქ ან-არბორის (იქ მდებარეობს მიჩიგანის უნივერსიტეტი, სადაც უაიტი მოღვაწეობდა) კათოლიკურმა ეკლესიამ იგი ეკლესიიდანაც კი განკვეთა. უაიტი მაღალ შეფასებას აძლევდა ე. ტაილორისა და ლ.ჰ. მორგანის შრომებს და უპირისპირდებოდა ფ. ბოასის სკოლას. ამ უკანასკნელის ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი ევოლუციონიზმის წინააღმდეგ ის იყო, რომ იგი ბიოლოგიიდან „ისესხეს", სადაც მისი გამოყენება იმდენადვე ბუნებრივი იყო, რამდენადაც კულტურის ფენომენთა ანალიზისათვის — აბსურდული. უაიტი ასაბუთებდა, რომ კულტურული ევოლუციის თეორია დაკავშირებული არ არის დარვინის მოძღვრებასთან და სათავეს ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქიდან იღებს. „უძველესი საზოგადოების" წინასიტყვაობაში ლ.ჰ. მორგანი დარვინის კი არა, ჰორაციუსის ციტირებას ახდენს. სპენსერის „ჰიპოთეზა განვითარების შესახებ" კი 1852 წელს, დარვინის „სახეობათა წარმოშობაზე" 7 წლით ადრე გამოქვეყნდა.

უაიტი კულტურაში სამ მკაფიოდ გამიჯნულ პროცესს და, შესაბამისად, მათი ინტერპრეტაციის სამ მეთოდს გამოყოფდა: 1) დროითი პროცესი — ერთეული მოვლენების ქრონოლოგიური თანამიმდევრობა, რაც ისტორიის შესწავლის ობიექტია; 2) ფორმალური პროცესი — მოვლენები არადროით, სტრუქტურულ და ფუნქციურ ასპექტებში, მათი შესწავლა ხდება ფუნქციური ანალიზის მეშვეობით; 3) ფორმალურ-დროითი პროცესი, რომელიც მოვლენებს წარმოგვიდგენს ფორმათა დროითი მონაცვლეობის სახით; მათი ინტერპრეტაცია ევოლუციონიზმის საფუძველზე ხერხდება.

უაიტმა ჩამოაყალიბა კულტურის ევოლუციის ენერგეტიკული კონცეფცია. კულტურაში, რომელსაც იგი მიიჩნევდა განვითარების საკუთარი კანონზომიერებების მქონე ინტეგრირებულ სისტემად, სამ ქვესისტემას გამოყოფდა: ტექნოლოგიურს, სოციალურსა და იდეოლოგიურს. ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, ზემოქმედებენ ერთმანეთზე. მათ შორის მთავარ როლს ასრულებს ტექნოლოგიური ქვესისტემა და აი, რატომ: ადამიანი ბიოლოგიური არსებაა და, შესაბამისად, კულტურა დამოკიდებულია ბუნებრივ გარემოსთან შეგუების ხერხებზე. ადამიანმა უნდა მოიპოვოს საკვები, უზრუნველყოს თავშესაფარი, თავდაცვა, ყოველივე ამის გაკეთება მას ტექნოლოგიური საშუალებების დახმარებით შეუძლია. ამიტომ ტექნოლოგიური ქვესისტემა პირველადია და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი: მასზე დამოკიდებულია ადამიანისა და მისი კულტურის სიცოცხლე. სოციალური და იდეოლოგიური ქვესისტემები ტექნოლოგიურიდან გამომდინარეობს და მის ფუნქციას წარმოადგენს.

ტექნოლოგიური ქვესისტემის ფუნქციონირება დაკავშირებულია ენერგიის ხარჯვასთან. ამდენად, კულტურის უპირველეს ფუნქციად იქცევა ენერგიის მოპოვება და სასარგებლო მოხმარება. კულტურის როგორც მთლიანობის ფუნქციონირება განისაზღვრება ამისათვის აუცილებელი ენერგიის რაოდენობით.

ლ. უაიტის წიგნით – „მეცნიერება კულტურის შესახებ" ჰუმანიტარული ცოდნის ახალი ტრადიციის დამკვიდრება დაიწყო. მან პირველმა შეძლო, განესაზღვრა კულტუროლოგიის შესწავლის საგანი, დაესაბუთებინა ტერმინ „კულტუროლოგიის" მართებულობა ამ მეცნიერების აღსანიშნავად, შემოთავაზებინა კაცობრიობის კულტურის როგორც მთლიანობის განხილვისადმი სისტემური მიდგომა. ასტრონომიის, ფიზიკისა და ქიმიის რამდენიმესაუკუნოვანი, ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის რამდენიმე ათწლეულოვანი განვითარების შემდეგ, – აღნიშნავდა უაიტი, – მეცნიერებამ, როგორც იქნა, ყურადღება მიაპყრო იმას, რაც ყველაზე მეტად განსაზღვრავს ადამიანის, როგორც ასეთის, სახესა და ქცევას – კულტურას. სიახლე მეცნიერებაში ნელა იკაფავს გზას. ამიტომ არაფერია საკვირველი იმაში, რომ მეცნიერების ახალი დარგის – კულტუროლოგიის – დამკვიდრებას მრავალი წინააღმდეგობა ხვდება. მაგრამ კულტურის, როგორც კვლევის ცალკე სფეროს „აღმოჩენა", უაიტის აზრით, როდესმე უეჭველ ადგილს დაიკავებს კოპერნიკის ჰელიოცენტრული თე-

ორიისა და სიცოცხლის ყველა ფორმის უჯრედული საფუძვლის მიგნების გვერდით.

XIX საუკუნის დასაწყისში ევროპაში საფუძველი ჩაეყარა სოციოლოგიურ მიმართულებას საზოგადოებისა და კულტურის კვლევაში. მისი წარმომადგენლები კულტურის წყაროებსა და ახსნას ეძებენ არა ისტორიასა და ადამიანის სულის თვითგანვითარებაში, ფსიქიკაში ან კაცობრიობის ბიოლოგიურ წინაისტორიაში, არამედ მის საზოგადოებრივ ბუნებასა და ორგანიზაციაში. მათი ყურადღების ცენტრშია თვით საზოგადოება, მისი სტრუქტურა და სოციალური ინსტიტუტები.

ამ სკოლის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია ფრანგი სოციოლოგ-პოზიტივისტი **ემილ დიურკჰეიმი (1858-1917 წწ.)**. იგი სწავლობდა „სოციალურ ფაქტებს" (საზოგადოებრივი ინსტიტუტები, კანონები) და ცდილობდა დაედგინა მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტებს შორის. იგი თვლიდა, რომ ყველა საზოგადოებრივი ინსტიტუტის საათავე „კოლექტიურ წარმოდგენებში" იძებნება. ისტორიული პროცესის საფუძვლად ე. დიურკჰეიმი საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებას მიიჩნევდა. იგი უარყოფდა საზოგადოების კლასებად დაყოფას და კლასების ადგილს პროფესიულ ჯგუფებს აკუთვნებდა, კლასთა ბრძოლის ნაცვლად კი ისტორიის მამოძრავებელ ძალად „სოციალურ სოლიდარობას" თვლიდა. ეს იყო მარქსიზმის უარყოფის ერთ-ერთი ცდა.

„საზოგადოების" ქვეშ დიურკჰეიმი გულისხმობდა არა აბსტრაქტულ „საეროო-საკაცობრიო" საზოგადოებას, არამედ ადამიანთა კონკრეტულ გაერთიანებებს, რომელთაგან თითოეულს განიხილავდა თვითმყოფად, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ერთეულებად. იგი არ სცნობდა თვალსაზრისს მსოფლიო-ისტორიული განვითარების შესახებ. „სინამდვილეში კაცობრიობის პროგრესი არ არსებობს, — წერდა იგი. — რაც არსებობს, ერთადერთი, რაც აუცილებლად შესასწავლია, ესაა ცალკეული საზოგადოებები, რომლებიც წარმოიშობიან, ეითარდებიან და გადაშენდებიან ერთმანეთისგან დამოუკიდებლად". ამიტომ დიურკჰეიმი საჭიროდ თვლიდა საზოგადოებათა კლასიფიკაციას „სოციალური ტიპის" ან „სოციალური სახეობის" მიხედვით.

ე. დიურკჰეიმის შესწავლის საგანი იყო აგრეთვე რელიგიის წარმოშობისა და განვითარების, მისი ფორმირების პრობლემა. იგი უარყოფდა რელიგიის მიღებულ განსაზღვრებებს „ზებუნებრივის", „ღვთაებრივის" და სხვა ნიშნების მიხედვით და თვლიდა,

რომ რელიგიის ძირითადი ნიშანია სამყაროს აბსოლუტურად მკვეთრი დაყოფა ორ ნაწილად: „წმინდა სამყაროდ“ და „ყოველდღიურ სამყაროდ“.

ჟ. დიურკჰეიმის მიერ დაარსებულმა სოციოლოგიურმა სკოლამ მნიშვნელოვანი გაელენა იქონია დასაელეთის სოციოლოგიასა და ისტორიოგრაფიაზე.

ამ სკოლის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო **მარსელ მოსი (1872-1950 წწ.)**, რომელიც ძირითადად სოციალური კულტურის საკითხებს სწავლობდა.

სოციოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო აგრეთვე ფრანგი ეთნოლოგი და ფილოსოფოსი **ლუსიენ ლევი-ბრიული (1857-1939 წწ.)**, რომელიც იკელეედა პირველყოფილ („პრიმიტიულ“) ადამიანთა აზროვნების წესს აგრეთვე განსხვაეებას პირველყოფილ და თანამედროვე აზროვნების ტიპებს შორის. მის ნაშრომთა შორის აღსანიშნავია „პირველყოფილი აზროვნება“ და „აზროვნების ფუნქციები დაბალ საზოგადოებაში“. ლევი-ბრიული გამოდიოდა ეეოლუციონისტთა ანთროპოლოგიური სკოლის (ე. ტაილორი, ჯ. ფრეზერი და სხვ.) თვალსაზრისის წინააღმდეგ, რომლის თანახმად, პირველყოფილი კულტურის მიღწეევები ეფუძნებოდა „ველური ფილოსოფოსის“ – ინდივიდის – გონებრივ ძალისხმეევას, რომელიც სამყაროს ახსნას ცდილობდა. როგორც დიურკჰეიმის სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენელი, ლევი-ბრიული ამტკიცებდა, რომ პირველყოფილი აზროვნება უპირატესად ორიენტირებული იყო ტრადიციასა და „კოლექტიურ წარმოდგენებზე“, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა და აისახებოდა ზნე-ჩვეულებებში, რიტუალებში, რელიგიაში, მითოსში, ენაში, სოციალურ ინსტიტუტებში და ა.შ.

პირველყოფილი კოლექტივის აზროვნებას ლევი-ბრიულმა „მისტიკური“ ან „ლოგიკურამდელი“ („პრალოგიკური“) აზროვნება უწოდა, რადგანაც იგი არ ეექემდებარებოდა ფორმალური ლოგიკის 4 ძირითად კანონს. მიზეზ-შედეგობრივ კაეშირებს, რომლებიც რაციონალური აზროვნების ანალიზის ობიექტია, „ლოგიკურამდელ“ აზროვნებაში ცელის „პარტიციპაცია“: ყველა საგანი და მოეელენა ერთიერთულად არის ის, რაც არის და კიდევ რაღაც სხეა; ისინი არსებობენ სხვადასხვა სიერცით და დროით განზომილებაში. მაგალითად, ადამიანი არის ადამიანიც და კიდევ რომელიღაც ცხოველიც. პირველყოფილი ადამიანის აზროვნება ექვემდებარებოდა უფრო ემოციას, ვიდრე გონებას.

რაც შეეხება პირველყოფილი ადამიანის ინდივიდუალურ აზროვნებას, ლევი-ბრიული აღნიშნავდა, რომ მას საფუძვლად უდევს პრაქტიკული გამოცდილება, მას აქვს განვითარების უნარი – ცოდნის ზრდასთან ერთად.

ლ. ლევი-ბრიული თვლიდა, რომ „ლოგიკურამდელი“ აზროვნება მედავნდება თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ სფეროებში, როგორებიცაა რელიგია, მორალი და სხვ.

ამავე დროს, ლევი-ბრიული არ ახდენდა პირველყოფილი და თანამედროვე აზროვნების განსხვავების აბსოლუტიზაციას და მიუთითებდა მათ ურთიერთშეღწევადობაზე.

ლ. ლევი-ბრიულის კონცეფციამ გავლენა იქონია იუნგის ფსიქოანალიტიკურ მოძღვრებაზე, რომელსაც „კოლექტიური არაცნობიერის“ არქეტიპები „პირველყოფილი აზროვნებიდან“ გამოაქვავდა.

სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენელია ამერიკელი პოეტი და კრიტიკოსი **თომას სტერნზ ელიოტი (1888-1965 წწ.)**, რომელსაც ეკუთვნის ნაშრომი „შენიშვნები კულტურის განსაზღვრისათვის“. „კულტურის ცნების ქვეშ მე ვგულისხმობ პირველ რიგში იმას, რასაც გულისხმობენ ანთროპოლოგები, – წერდა იგი. – ესაა ერთ ადგილზე მცხოვრები ხალხის ცხოვრების წესი. ამ კულტურის გამოვლინებას ჩვენ ვხედავთ ხელოვნებაში, სოციალურ სისტემაში, ზნე-ჩვეულებებში, რელიგიაში. მაგრამ ყველაფერი ეს, ერთად აღებული, არ შეადგენს კულტურას, თუმცა, ხშირად ასე ეუწოდებთ. ეს მხოლოდ ნაწილებია, რომლებადაც შეიძლება დანაწევრდეს კულტურა – როგორც ადამიანის სხეული ანატომიურ თეატრში. მაგრამ როგორც ადამიანია იმაზე მეტი, ვიდრე მისი სხეულის ცალკეული ნაწილების ერთობლიობა, ასევე კულტურა უფრო მეტია, ვიდრე ხელოვნების, ზნე-ჩვეულებათა და რელიგიურ რწმენა-წარმოდგენათა ნაკრები“.

თ. ელიოტი ეხება XX საუკუნის ევროპული კულტურის კრიზისის პრობლემას, აღნიშნავს მისი ზნეობრივი და ინტელექტუალური სიმდიდრის დაქვეითებას და მიიჩნევს, რომ შემოქმედებითი ენერგიის სიმწირე შეიძლება დაძლეულ იქნეს კულტურული „ელიტის“ მხარდაჭერის გზით.

გერმანელმა ეკონომისტმა და სოციოლოგმა **ალფრედ ვებერმა (1868-1958 წწ.)** ნაშრომში „ისტორიისა და კულტურის სოციოლოგია“ ისტორია დაყო სამ ურთიერთდაკავშირებულ, მაგრამ სხვადასხვა კანონით განვითარებად პროცესად: სოციალურ (სოციალური ინსტიტუტების ფორმირება), ციკლიზაციურ (მეც-

ნიერებისა და ტექნიკის განვითარება, რასაც ცივილიზაციის უნიფიკაციისაკენ მივყავართ) და კულტურულ (შემოქმედება, ხელოვნება, რელიგია, ფილოსოფია) პროცესებად. ამ თეორიის მიხედვით, აშშ-ში უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე უპირატესად ვითარდებოდა სოციალური და ცივილიზაციური პროცესები კულტურის საზიანოდ, XIX საუკუნის რუსეთში კი კულტურის „ოქროს ხანა" იდგა სოციალური კონსერვატიზმისა და მეცნიერულ-ტექნიკური ჩამორჩენილობის ფონზე. ევროპული ქვეყნების უმრავლესობა ინარჩუნებდა ამ სამი პროცესის „წონასწორობას", მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიაში სწრაფად განვითარდა ცივილიზაციური პროცესი.

ამა თუ იმ ქვეყნის ან ეპოქის სპეციფიკურ სახეს ა. ვებერი უკავშირებდა პირველ რიგში კულტურულ ფაქტორებს, და არა სოციალურსა და ცივილიზაციურს, რომლებიც, არსებითად, ინტერნაციონალურია. კულტურის განვითარება, ვებერის მიხედვით, ირაციონალურია, მისი შემოქმედია სულიერ-ინტელექტუალური ელიტა.

ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი **პიტირიმ სოროკინი (1899-1968 წწ.)** ისტორიულ პროცესს წარმოადგენდა როგორც კულტურის განვითარების პროცესს. მისი აზრით, კულტურა, სიტყვის ფართო გაგებით, არის ერთობა ყველაფერ იმისა, რაც შექმნილი ან აღიარებულია მოცემული საზოგადოების მიერ. განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე.

განვითარების პროცესში საზოგადოება ქმნის სხვადასხვა კულტურულ სისტემას: შემეცნებითს, რელიგიურს, ეთიკურს, ესთეტიკურს, სამართლებრივს და ა.შ. ამ კულტურულ სისტემებს ახასიათებს ტენდენცია გაერთიანებისა უმაღლესი რანგის სისტემაში. ამ ტენდენციის განვითარების შედეგად ყალიბდება კულტურული ზესისტემები. თითოეულ მათგანს, სოროკინის აზრით, „გააჩნია დამახასიათებელი მენტალიტეტი, ჭეშმარიტებისა და ცოდნის საკუთარი სისტემა, საკუთარი ფილოსოფია და მსოფლმხედველობა, საკუთარი რელიგია და „სიწმინდის" ნიმუში, საკუთარი წარმოდგენა სამართლიანობაზე, მხატვრული სიტყვიერებისა და ხელოვნების საკუთარი ფორმები, უფლებები, კანონები, ქცევის კოდექსი, სოციალურ ურთიერთობათა დომინირებული ფორმები, საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზაცია, დაბოლოს, პიროვნების საკუთარი ტიპი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მენტალიტეტითა და ქცევით".

ეს კულტურული ზესისტემები სხვადასხვა ზემოთ ჩამოთვლილი სისტემის კონგლომერატს კი არ წარმოადგენს, არამედ ერთიობას, ინდივიდუალობას, რომლის ყველა შემადგენელი ნაწილი განმსჭვალულია ფუძემდებლური პრინციპით და გამოხატავს. გამოაველენს ერთ ძირეულ ფასეულობას.

ამ ძირეული ფასეულობის მიხედვით, სოროკინი გამოყოფდა სამი ტიპის კულტურულ ზესისტემას: იდეაციურს (ideational), იდეალისტურსა (idealistic) და გრძნობადს (sensate).

იდეალისტური ზესისტემა ეფუძნება წარმოდგენას, რომ ერთადერთი რეალობა და ჭეშმარიტება ღმერთია — ზეგონიერი და ზეგრძნობადი. ამ კულტურაში გაბატონებული ზნე-ჩვეულებანი, ცხოვრებისა და აზროვნების წესი ესწრაფვოდა ღმერთთან ერთიანობას, როგორც ერთადერთ და უმაღლეს მიზანს; დამოკიდებულება გრძნობადი სამყაროს, მისი მრავალფეროვნების, ფასეულობების მიმართ უარყოფითი ან გულგრილია. ამ ტიპის კულტურად სოროკინი მიიჩნევს, პირველ რიგში, შუა საუკუნეების ევროპულ კულტურას, აგრეთვე ბრაჰმანული ინდოეთის, ბუდისტურ და ლაოისტურ, ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების ბერძნულ კულტურებს.

კულტურის იდეალისტური სისტემა, სოროკინის აზრით, შუალედურია იდეაციურსა და გრძნობად სისტემებს შორის, რადგან მისი გაბატონებული ფასეულობანი ორიენტირებულია როგორც ზეცაზე, ასევე მიწაზე. ამოსავალი მისთვის არის წარმოდგენა, რომლის თანახმად ობიექტური რეალობა ნაწილობრივ ზეგრძნობადია, ნაწილობრივ — გრძნობადი. იგი მოიცავს ზეგრძნობად და ზერაციონალურ, აგრეთვე სენსორულ და რაციონალურ ასპექტებს. ამ ტიპს სოროკინი მიაკუთვნებს XIII-XIV საუკუნეების დასავლეთევროპულ კულტურას, აგრეთვე ძვ.წ. V-IV საუკუნეების ბერძნულ კულტურას.

თანამედროვე ევროპული კულტურა, სოროკინის აზრით, გრძნობადი კულტურაა. მისთვის ამოსავალია პრინციპი, რომ ობიექტური რეალობა გრძნობადია. „მხოლოდ მას, რასაც ვხედავთ, ეგრძნობთ, ვისმენთ, შევიგრძნობთ და აღვიქვამთ ჩვენი გრძნობათა ორგანოებით — აქვს აზრი, მხოლოდ იგია რეალური. ამ გრძნობადი რეალობის მიღმა არ არსებობს არაფერი ან არსებობს რაღაც ისეთი, რასაც ჩვენ ვერ შევიგრძნობთ, ეს კი არარსებულის, არარეალურის „ეკვივალენტია". გრძნობადი კულტურის ფორმირება იწყება XVI საუკუნეში და აპოგეას აღწევს XX საუკუნის შუა წლებში. ეს კულტურა ცდილობს განთავისუ-

ფლდეს რელიგიის, მორალის და იდეაციური კულტურის სხვა ფასეულობებისაგან. მისი ფასეულობანი კონცენტრირებულია ყოველდღიური ცხოვრების ირგვლივ ამქვეყნიურ სამყაროში.
კულტურის არც ერთი ფორმა არ არის უსაზღვრო შესაძლებლობათა მქონე, ყველა მათგანის შესაძლებლობანი შეზღუდულია. წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებიდა არა ერთი კულტურის რამდენიმე ფორმა, არამედ ერთი, აბსოლუტური, ყველა ფორმის მომცველი კულტურა. როცა შემოქმედებითი ძალები ამოწურულია, ყველა შეზღუდული შესაძლებლობა რეალიზებულია, შესაბამისი კულტურა და საზოგადოება ან მკვდარი და არაშემოქმედებითი ხდება, ან იღებს ახალ ფორმას, რომელსაც მოაქვს ახალი შემოქმედებითი შესაძლებლობანი და ფასეულობანი. ყველა დიდი კულტურა, რომელმაც შეინარჩუნა შემოქმედებითი პოტენციალი, სწორედ ასეთ ცვლილებებს განიცდიდა. მეორეს მხრივ, კულტურები და საზოგადოებანი. რომელთაც ვერ შეძლეს მოენახათ თვითგამოხატვის ახალი გზები და საშუალებანი, ინერტიული და არაპროდუქტიულები გახდნენ.

სორროკინი აღიარებს, რომ XX საუკუნეში გრძნობადმა კულტურამ ამოწურა თავისი შემოქმედებითი პოტენციალი, იგი არსებობას განაგრძობს მხოლოდ მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში, ისიც, გამანადგურებელი ან შემოქმედებითი ძალის სახით. ამ კულტურის გადარჩენა აღაარაფერს შეუძლია. სოროკინის სიტყვით, კაცობრიობის წინაშე დამსახურებისათვის ეს კულტურა მადლიერებითა და პატივისცემით უნდა მოვათავსოთ მუზეუმში. მაგრამ სანამ არსებობს ადამიანი, კულტურა არ დაიღუპება. უკვე ისახება ახალი დიდი იდეაციური კულტურა, რომელიც ემყარება ალტრუისტული სიყვარულისა და სოლიდარობის ეთიკურ ფასეულობებს.

XX საუკუნის ისტორიოგრაფიასა და კულტუროლოგიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია "ანალების" ფრანგული სკოლა, რომელსაც "ახალი საისტორიო მეცნიერების" სახელითაც იხსენიებენ. მისი ჩამოყალიბება დაკავშირებულია ცნობილი ფრანგი ისტორიკოსების ლუსიენ ფევრისა და მარკ ბლოკის მოღვაწეობასთან, რომელთაც 1929 წელს დააფუძნეს ჟურნალი "ანალები". მათ გააგრძელეს ანრი ბერის მიერ "ისტორიული სინთეზის ჟურნალში" დასახული გზა ისტორიის "გაცოცხლების" მიმართულებით და მიზნად დაისახეს "კოპერნიკის მსგავსი რევოლუციის" განხორციელება საისტორიო

მეცნიერებაში. ამ "რევოლუციის" არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ტრადიციული "ისტორის-მოთხრობა" შეცვლილიყო "ისტორია-პრობლემით".

ისტორია-მოთხრობის შექმნა პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის დამსახურება იყო, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა საისტორიო წყაროების გამოვლენის, შესწავლისა და, მათზე დაყრდნობით, ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დადგენის ხაზით. მაგრამ თანდათანობით, როგორც "ანალების" სკოლის ფუძემდებლები აღნიშნავდნენ, გაჩნდა ემპირიზმით შემოფარგვლის საფრთხე, ისტორიკოსი-ერუდიტები თავს იწონებდნენ წერილმანების ცოდნით და ვერ ხედავდნენ ცოცხალ ადამიანებს, რომელთა ცხოვრების შესწავლა საისტორიო მეცნიერების მიზანი უნდა ყოფილიყო. რეალური ცხოვრება წერილობითი წყაროების ტექსტებით იცვლებოდა. ლ.ფევრი დასცინოდა "სპილოს ძვლის კოშკში გამოკეტილ საუნივერსიტეტო ცოდნის "შანდარინებს", რომელთა თხზულებებში გლეხები, სახნისის ნაცვლად, კარტულარიებით ხნავდნენ".

"ისტორიკოსია არა ის, ვინც იცის, არამედ ის, ვინც ეძიებს", — ლ.ფევრის ეს ფრაზა ანალების სკოლის დევიზად იქცა. მათ სცადეს დისციპლინათაშორისი ბარიერების დაძლევა, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ლინგვისტური წყაროების, შესასწავლი ეპოქის ლიტერატურისა და ხელოვნების მონაცემების, ტექნიკის, ბუნებრივი და ხელოვნური ლანდშაფტის გათვალისწინება საისტორიო კვლევის პროცესში. ეს საშუალებას იძლეოდა, შესწავლილი ყოფილიყო ეპოქის ლექსიკონი, სიმბოლური ქმედებები, ქცევა, აზროვნების წესი, მსოფლაღქმა. "უნდა ვაიძულოთ უტყვი საგნები — ალაპარაკდნენ და მოგვითხრონ თავიანთ შემქმნელებზე ის, რასაც ისინი თავად არ გვიამბობენ. სწორედ ეს მუდმივი მცდელობა წარმოადგენს ჩვენი — ისტორიკოსების — ხელობის ყველაზე მიმზიდველ მხარეს", აღნიშნავდა ლ.ფევრი. ამგვარი მიდგომა თავიდან აგვაცილებდა წარსულის ეკრანზე ჩვენი თანამედროვე ეპოქის აზრებისა და გრძნობების პროეცირებას, რასაც შედეგად მოსდევდა რამზეს II-ის, ცეზარის, კარლოს დიდის თუ სხვა ისტორიული პირის წარმოსახვა, "აჭრა" რომელიმე ჩვენი თანამედროვე დიუპონის ან დიურანის "თარგზე".

იმ დროისათვის ეს სრულიად ახალი სიტყვა იყო. ასევე ორიგინალური გახლდათ იდეა იმის თაობაზე, რომ ისტორიული

ფაქტები და მოვლენები "მიმაგრებოდა" ბუნებრივ- გეოგრაფიულ გარემოს, რაც მოგვიანებით ჩვეულებრივ და აუცილებელ მოთხოვნად იქცა.

ანალების სკოლამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კულტურისა და ცივილიზაციის ცნებებს. მათი თვალსაზრისით, ყოველი კულტურა წარმოადგენს ანსამბლს, რომელიც შინაგანად ჰომოგენურია, მისი კომპონენტები, მათ შორის არსებული წინააღმდეგობის მიუხედავად, ერთ მთლიანობას ქმნიან. რაც შეეხება ცივილიზაციას, მასში მთლიანდება მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა მხარე. ცივილიზაციები თვისებრივად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თითოეულ მათგანს განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე აქვს მსოფლაღქმის საკუთარი, განუმეორებელი სისტემა. ცივილიზაციის სპეციფიკის გაგება ნიშნავს მასში მცხოვრები ადამიანის მიერ სინამდვილის აღქმის ხერხების დადგენას, აზროვნების წესის, საკუთარი თავისა და სამყაროს შემეცნების იმ შესაძლებლობათა შესწავლას, რომელთაც ცივილიზაცია "აძლევს" ინდივიდს და რომელთაც ივი იყენებს ავტომატურად, განსჯისა და კრიტიკის გარეშე.

ანალების სკოლის დამსახურებაა აგრეთვე მენტალობის ცნების შემოტანა და დამუშავება. მენტალობა მათ მიერ განიმარტება როგორც მსოფლაღქმის შესაძლებლობანი, განპირობებული კულტურითა და ეპოქით. ეს შესაძლებლობანი, რომელიც გარკვეული ეპოქის ადამიანის განკარგულებაშია, მიღებულია მემკვიდრეობით წინა ეპოქისაგან და შეუმჩნეველად იცვლება ისტორიული პრაქტიკის პროცესში. მენტალობა არ არის ფილოსოფიური, მეცნიერული ან ესთეტიკური სისტემა, ესაა საზოგადოებრივი ცნობიერების დონე, რომელშიც აზრი არცკი გამიჯნული ემოციისაგან. ადამიანები იყენებენ მას ისე, რომ არ არ ფიქრობენ მასზე, ვერ ამჩნევენ მას, არ აანალიზებენ მის არსს, წანამძღვრებს თუ ლოგიკურ დასაბუთებულობას. მენტალობის შესასწავლად აუცილებელია როგორც საისტორიო მეცნიერების, ისე ფსიქოლოგთა და ეთნოლოგთა მიერ ადამიანის ფსიქიკის შესწავლის სფეროში დაგროვილი ცოდნის გამოყენება, რაც გააკეთეს კიდეც ანალების სკოლის წარმომადგენლებმა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლ.ფევრმა და მ.ბლოკმა ტერმინი "მენტალობა" ეთნოლოგებისაგან ისესხეს, მაგრამ თუ ეს უკანასკნელნი მხოლოდ პირველყოფილი ადამიანის სპეციფიკურ მენტალობაზე მსჯელობდნენ (ლ.ლევი-ბრიული და სხვები), ანალების სკოლამ ტერმინის მნიშვნელობა გააფართოვა და იგი უფრო რთული და განვითარებული საზოგადოებების

ანალიზისათვის გამოიყენა: მ.ბლოკმა — ადრეულ და კლასიკურ შუასაუკუნეებთან მიმართებაში, ლ.ფევრმა — აღორძინების ეპოქასთან დაკავშირებით.

ანალების სკოლის წარმომადგენლები მიზნად ისახავდნენ ტოტალური, ან გლობალური ისტორიის შექმნას. ამ ტერმინებს დღეს სხვადასხვა მნიშვნელობით იყენებენ. ანალების სკოლისათვის კი ტოტალური ან გლობალური ისტორია არ გულისხმობს მსოფლიო ისტორიას, — იგი შეიძლება იყოს რომელიმე ადგილის, თემის, ოლქის, მოკლე ქრონოლოგიური მონაკვეთის ისტორია. მაგრამ ეს არის განსაზღვრულ დროსა და სივრცეში მცხოვრებ ადამიანთა ისტორია, განხილული დაკვირვების მაქსიმალურად მრავალი წერტილიდან, სხვადასხვა რაკურსით. ტოტალური ისტორიის მიზანია, დასძლიოს ისტორიის დაყოფა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, რელიგიის, კულტურის და სხვა ისტორიებად. იგი ცდილობს აღადგინოს ისტორიის "მოცულობითი" სურათი. ამ გზაზე ისტორიკოსი მუდმივად აწყდება პრობლემას: როგორ გაამთლიანოს ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურის სფეროები. ამ მხრივ გაწეული მცდელობანი, როგორც წესი, "მკინძავისეული სინთეზის" შედეგით მთავრდება, ანუ ხდება მექანიკური გამთლიანება, სოციალური და კულტურული მხარეები ლოგიკურად შეკრული და ურთიერთგანპირობებული არ ჩანს. სწორედ აქ ეხმარება ისტორიკოსს მენტალობის კატეგორია: მსოფლაღქმა და კულტურული ტრადიცია, რელიგია და ფსიქოლოგია ქმნიან იმ გარემოს, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის რეაქციას ამა თუ იმ გამოწვევაზე. ამიტომ ნებისმიერმა ისტორიკოსმა, კვლევის მიზნის მიუხედავად, მხედველობაში უნდა მიიღოს საკვლევი ეპოქის მენტალობა. წყაროთა "გარეგანი", წყაროთმცოდნეობითი კრიტიკა უნდა შეივსოს "შინაგანი", სოციალურ-ფსიქოლოგიური, კულტუროლოგიური კრიტიკით.

ანალების სკოლის შემდგომი თაობის წარმომადგენლებმა გააღრმავეს მენტალობის ცნების კვლევა და მისი რამდენადმე განსხვავებული ინტერპრეტაცია შემოგვთავაზეს. თუ ლ.ფევრისათვის ამოსავალი იყო ამა თუ იმ ეპოქის საზოგადოების მენტალური მთლიანობა, თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსები გამოდიან ემოციური სამყაროს სოციალურად დიფერენცირებული სურათიდან და ერთმანეთისაგან განასხვავებენ სოციალური ჯგუფებისა და ფენების მენტალობას.

ანალების სკოლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან:

ლუსიენ ფევრი (1878-1956), რომლის მეთოდოლოგიური ხასიათის ნაშრომებმა თავი მოიყარა კრებულებში "ბრძოლა ისტორიისათვის" (1953) და "სხვაგვარად გაგებული ისტორიისათვის" (1962). ამ ნაშრომების გარდა, ლ.ფევრი მრავალი საინტერესო გამოკვლევის ავტორია, რომელთაგან შეიძლება დავასახელოთ "დედამიწა და ადამიანის ევოლუცია: ისტორიის გეოგრაფიული შესავალი" (1922), რომელშიც ჩამოყალიბებულია ზემოთ დასახელებული იდეა გეოგრაფიულ გარემოსთან ისტორიის დაკავშირების შესახებ, "ბედი: მარტინ ლუთერი" (1923), "ურწმუნობის პრობლემა XVI საუკუნეში: რაბლეს რელიგია" (1942) და სხვ. ამ ნაშრომებში ლ.ფევრის ის მეთოდოლოგიური - პრინციპების განხორციელებული, რომლებზეც ზემოთ გექონდა საუბარი.

მარკ ბლოკი (1866-1944) – ლ.ფევრთან ერთად, ჟურნალ "ანალების" დამაარსებელი. როგორც გერმანელი, ნაცისტთა მიერ საფრანგეთის ოკუპაციის დროს იძულებული გახდა, ჟურნალი დაეტოვებინა. მინაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში, 1944 წელს ნაცისტებმა დახვრიტეს. საყოველთაოდ ცნობილია მისი ნაშრომი "ისტორიის აპოლოგია, ანუ ისტორიკოსის ხელობა", რომელიც იატაკქვეშეთში იწერებოდა, დაუსრულებელი დარჩა და მხოლოდ 1949 წელს, ავტორის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა. იგი ისტორიული კვლევის მეთოდოლოგიისა და საისტორიო მეცნიერების საზრისის საკითხებს ეხება. ავტორის აზრით, ისტორია არის არა წარსულის შესწავლა, არამედ მეცნიერება წარსულში მცხოვრები ადამიანების შესახებ. ერთგვარად შემაჯამებელი ხასიათისაა ნაშრომი "ფეოდალური საზოგადოება" (1939-1940), რომელშიც ავტორი ცდილობს, მოგვცეს ფეოდალიზმის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მახასიათებლების ყოვლისმომცველი ანალიზი. ლ.ფევრი მ.ბლოკის შესახებ წერდა: იგი დიდი ისტორიკოსი იყო არა იმიტომ, რომ დაეგროვა დიდი ოდენობით ამონაწერები და დაწერა რაღაც მეცნიერული გამოკვლევები, არამედ იმიტომ, რომ ყოველთვის შეჰქონდა თავის ნაშრომებში სიცოცხლის გრძნობა, რომლის უგულებელყოფა არც ერთ ჭეშმარიტ ისტორიკოსს არ შეუძლია.

ფერნან ბროდელი (1902-1985), რომელმაც თავისი ერთ-ერთი უმთავრესი ნაშრომი —"ხმელთაშუაზღვისპირეთი და ხმელთაშუაზღვისპირა სამყარო ფილიპე II ეპოქაში" გერმანელთა ტყვეობაში, საკუთარ მეხსიერებაზე დაყრდნობით, ბიბლიოთეკებსა და არქივებს მოკლებულმა დაწერა; იგი 1949 წელს გამოქვეყნდა. სხვა ნაშრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია "ისტორია და სოციალური მეცნიერებანი: დიდი ხანგრძლიობის დრო" (1958) და სამტომიანი "მატერიალური ცივილიზაცია, ეკონომიკა და კაპიტალიზმი (XV-XVIII სს.) (1979). ბროდელი გლობალურ ისტორიას ყოფდა ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ სისტემებად და მიიჩნევდა, რომ აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ცვლილებათა განსხვავებული ტემპი სხვადასხვა სისტემაში. იგი განასხვავებდა სამ დროით რიტმს: 1) დიდი ხანგრძლიობის დრო — გეოგრაფიული, მატერიალური და მენტალური სტრუქტურების დრო, რომელშიც ცვლილებები არ შეიგრძნობა; 2) საშუალო ხანგრძლიობის დრო — კონიუნქტურებისა და ციკლების დრო, რომელიც ათწლეულებით იზომება; 3) მოკლე ხანგრძლიობა — ფაქტებისა და მოვლენების დრო. ისტორიული ცვლილებები დიდი ხანგრძლიობის ფარგლებში ხდება, ნელა, ადამიანისათვის შეუმჩნევლად და მათი სურვილისაგან დამოუკიდებლად. სწორედ ეს დრო იყო ბროდელის ინტერესის საგანი.

ამავე სკოლის სხვა წარმომადგენელთაგან უნდა დავასახელოთ ჟაკ ლე გოფი, ჟორჟ დიუბი, ემანუილ ლერუა ლადიური, რომელთაგან ზოგი თავს მიაკუთვნებს არა უშუალოდ ანალების სკოლას, არამედ "ახალი საისტორიო მეცნიერების" მიმართულებას.

XX საუკუნეში ჩამოყალიბდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ფსიქოანალიზი, რომლის ფუძემდებელია ზიგმუნდ ფროიდი (1856-1939 წწ.) — პროფესიონალი ექიმი, ნევროპათოლოგი და ფსიქიატრი. ადამიანის ფროიდისეული კონცეფცია - ფსიქოანალიზის ფილოსოფიური განზოგადება ფროიდიზმი კულტუროლოგიის სფეროსაც მოიცავს.

ფროიდის მოძღვრების ამოსავალია ჰიპოთეზა არაცნობიერის, როგორც ადამიანის ფსიქიკის განსაკუთრებული დონის შესახებ, რომელიც მძლავრად, ხშირად ფარულად ზემოქმედებს ცნობიერების სფეროზე. ფსიქიკა შედგება სამი შრისაგან: "იგი", "მე" და "ზე-მე".

არაცნობიერი „იგი“ „ინსტინქტების მოთუხთუხე ქვაბია“. ესაა ადამიანის მიერ მემკვიდრეობით მიღებული გაუცნობიერებელი ლტოლვა-მიდრეკილებანი და სულის მოძრაობანი.

ცნობიერი „მე“ შუამავალია არაცნობიერსა და გარესამყაროს შორის და ხელს უწყობს ამ სამყაროს გავლენას ინდივიდის არაცნობიერ მოღვაწეობაზე.

„სუპერ-მე“ ინსტანციაა, რომელიც განასახიერებს სოციოკულტურული ხასიათის აკრძალვებსა და ნორმებს.

არაცნობიერი „იგი“ მოლიანად ბუნებრივი წარმოშობისაა. მასში თავმოყრილი ლტოლვები ორ ძირითადზე დადის: 1) სექსუალური ლტოლვა, 2) ლტოლვა სიკვდილისაკენ, რომელიც, გარეთ მიმართული, იქცევა ლტოლვად ნგრევისაკენ. „იგი“-ს უყსკრული ცნობიერების თხელი ფენის ქვეშ ბობოქრობს, ამ შეკანასკნელს კი აზრადაც არ მოსდის ეს.

„მე“, რომელიც ესწრაფვის გადარჩენას ბუნებისა და საზოგადოების სამყაროში, მუდმივად ეჯახება „იგი“-ს უგუნურ ძალას. თუ „მე“ ხელმძღვანელობს რეალობის პრინციპით (ე.ი. ცდილობს შეეგუოს ცხოვრების ობიექტურ პირობებს), „იგი“ მთლიანად სიამოვნების პრინციპიდან გამოდის. აქედანაა მუდმივი ბრძოლა „მე“-სა და „იგი“-ს შორის. „იგი“-სთან მიმართებაში „მე“ ჰგავს მხედარს, რომელმაც უნდა მოთოკოს ცხენის აღმატებული ძალა“, — წერდა ფროიდი, — „შედარება შეიძლება გაეგრძელოთ. როგორც მხედარს, თუ მას არ სურს გამოეთხოვოს ცხენს, ხშირად აღარაფერი დარჩენია იმის გარდა, რომ წაიყვანოს იგი იქით, საითაც ცხენს უნდა, ასევე „მე“, ჩვეულებრივ, „იგი“-ს სურვილს აქცევს მოქმედებად, თითქოს ეს მისი საკუთარი სურვილი ყოფილიყოს“.

გარესამყაროს რეალობასთან შეფარდებით, „მე“ უკან, არაცნობიერში განდევნის მიუღებელ სურვილებსა და იდეებს (სექსუალურს, აგრესიულს, ანტისოციალურს), ეწინააღმდეგება მათ მცდელობას შეაღწიონ ცნობიერებაში. აქტიურობაშენარჩუნებული განუმუხტავი სურვილები მაინც ცდილობს ამას, ინიღბება არაცნობიერის მექანიზმებით. უწინარეს ყოვლისა, ეს ხდება სიზმრების მეშვეობით, აგრეთვე მჟღავნდება შეცდომებში, წამოცდენილ ყრაბებსა და სიტყვებში და ა.შ. ცალკეულ შემთხვევებში არაცნობიერი იმპულსებისა და „მე“-ს შეჯახება ნევროზებისა და სულიერი დაავადებების ხასიათს იღებს.

მაგრამ ადამიანს შეუძლია არსებობა იმდენად, რამდენადაც გონებასა და კულტურას შეუძლია დაუმორჩილოს „იგი“ თავი-

ანი მიზნებს. ცხადია, კულტურა ვერ დაამარცხებს „იგი“-ს პირდაპირ შეჯახებაში, რადგან ამ უკანასკნელში თავმოყრილია ადამიანის მო

მორალს შორის. „რა ძლიერი უნდა იყოს კულტურის მხრივ აგრესიის საწინააღმდეგოდ მიმართული დაცვა, თუკი ამ უკანასკნელს შეუძლია არანაკლები უბედურება მოუტანოს ადამიანებს, ვიდრე თვით აგრესიას!" – ასკვნიდა ფროიდი.

ფროიდის მოძღვრებამ უდიდესი გავლენა იქონია ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ფსიქიატრიის, კულტუროლოგიის განვითარებაზე XX საუკუნეში.

ფროიდის მოძღვრებამ დიდი გავლენა იქონია **ნატურალისტური სკოლის** ჩამოყალიბებაზე, რომელიც ცდილობს დაასაბუთოს კულტურის ბიოლოგიური განპირობებულობა. მისი წარმომადგენლები, ძირითადად ექიმები, ფსიქოლოგები და ბიოლოგები, კულტურას ხსნიან ადამიანის ფსიქობიოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე, მიიჩნევენ რა, რომ კულტურა წარმოადგენს ბუნებასთან ადამიანის ისეთსავე შეგუებას, როგორც ეს არსებობს ცხოველთა სამყაროში. ავსტრიელმა ზოოლოგმა **კონრად ლორენცმა**, პოლანდიელმა **ნ. ტინბერგენმა** და გერმანელმა **კარლ ფონ ფრიშმა** საფუძველი ჩაუყარეს ახალ მეცნიერებას – ეთოლოგიას, რომელიც სწავლობს ცხოველთა ქცევას, „ჩვევებსა" და „ფსიქიკას" ბუნებრივ პირობებში. გადაიტანეს რა თავიანთ დაკვირვებათა შედეგები ადამიანზე, მათ ჩამოაყალიბეს „ადამიანის კულტურის ინსტინქტურ საფუძველთა" თეორია. ცხოველთა ინსტინქტებს, რომლებიც აისახება მათ მდგრად ქცევაში („საქორწინო ცეკვები", ბუდისა და საცხოვრებლის აშენება, შთამომავლობაზე ზრუნვა, ხმოვანი და ვიზუალური სიგნალების გადაცემა, ფუტკრის სკებისა და ჭიანჭველათა ბუდეების კოლექტიური „ყოფა", შინაური ცხოველების – ძაღლის, ცხენის – „გონიერება") ისინი ადამიანთა კულტურის ბუნებრივ საწყისებად თვლიან.

ეთოლოგიამ მრავალი საინტერესო მონაცემი დააგროვა, მაგრამ მათი გადატანა ადამიანის სამყაროზე გადაჭარბებული ჩანს. ცხოველთა და ადამიანთა სამყაროებს შორის იმდენად ღრმა უფსკრულია, რომ ძნელია წარმოვიდგინოთ მათი გამაერთიანებელი, მთლიანი (ერთიანი) კულტურული ხაზის არსებობა. თანაც, ცხოველები პირწმინდად არიან მოკლებული უნარს, სრულყონ და გააფართოვონ თავიანთი სახეობრივი „კულტურა" და შეგნებულად გადასცენ იგი თაობიდან თაობას.

კარლ გუსტავ იუნგმა (1875-1961 წწ.), რომელიც ერთხანს თანამშრომლობდა ზ. ფროიდთან და ბევრი რამ აიღო ფსიქო-

ანალიზიდან, ჩამოაყალიბა კონცეფცია არაცნობიერის თავდაპირველი კულტურული საწყისების შესახებ.

იუნგისეული არაცნობიერი ბუნებრივი კი არა, კულტურული ხასიათისაა და წარმოიშვა კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე კოლექტიური ფსიქიკური გამოცდილებიდან. იუნგი მას კოლექტიურ არაცნობიერს უწოდებს. იგი წარმოადგენს წინა თაობათა გამოცდილების ასახვას, რომელიც ჩაბეჭდილია ტვინის სტრუქტურებში. ეს გამოცდილება ინახება ე.წ. „კულტურულ არქეტიპებში" – თავდაპირველ წარმოდგენებში სამყაროზე, რომლებიც საყოველთაოდ უდევს საერთო-საკაცობრიო ფსიქიკას და გამოხატულებას პოულობს მითებში, რწმენა-წარმოდგენებში, სიზმრებში, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებში და ადამიანის სულიერი ცხოვრების სხვა სფეროებში. „არქეტიპული მატრიცა" აყალიბებს ფანტაზიასა და შემოქმედებით აზროვნებას, საყოველთაოდ უდევს მითების, ზღაპრების, ზნე-ჩვეულებათა განმეორებად მოტივებს, მსოფლიო კულტურის მარადიულ თემებსა და სახეებს.

არქეტიპები წარმოადგენს კაცობრიობის თავდაპირველი სულიერი გამოცდილების თავისებურ ნაშთს, ნალექს. „უსაზღვროდ ძველი ფსიქიკური საწყისი ქმნის ჩვენი გონების საფუძველს სწორედ ისევე, როგორც ჩვენი სხეულის აგებულება სათავეს იღებს ძუძუმწოვართა საერთო ანატომიური სტრუქტურიდან", – წერდა იუნგი.

კოლექტიური არაცნობიერი, იუნგის აზრით, კულტურული წარმოშობისაა, მაგრამ მემკვიდრეობით ბიოლოგიური გზით გადაეცემა. საქმე ისაა, რომ კოლექტიური არაცნობიერის არქეტიპები თავისთავად არ არის იგივე, რაც კულტურული სახეები ან სიმბოლოები. არქეტიპი სახე კი არა, ადამიანის ფსიქიკის რაღაც ფუნდამენტური განცდა, მიდრეკილებაა, რომელიც თავისთავად მოკლებულია საგნობრივობას (სახე – სიმბოლო კი ყოველთვის საგნობრივია). არქეტიპი სუფთა სახის ფსიქიკური აზრია, პირველაზრი, რომელიც უხილავად ხელმძღვანელობს და წარმართავს ჩვენს სულიერ ცხოვრებას (უნდა აღინიშნოს, რომ, საერთოდ, ფსიქიკური აზრი მოკლებულია საგნობრივობას: მაგალითად, ერთ-ერთი აზრია სიყვარულის წყურვილი, რომელიც თავდაპირველად დაკავშირებული არ არის კონკრეტულ სახესთან ან ადამიანთან).

არქეტიპები წარმოადგენს არადროით სქემებს, რომელთა მიხედვითაც ყალიბდება ადრე თუ ამჟამად მცხოვრები ადამიანების

ასრები და გრძნობები; არქეტიპები ინახავს სამყაროს შეცნობის პირველყოფილ ფორმებს, კოლექტიურ ისტორიულ გამოცდილებას, გამოხატულს მითებში, სიმბოლურ გამოსახულებებში.

იუნგი არქეტიპს ადარებს კრისტალური სტრუქტურის ღერძს, რომელზეც იზრდება კრისტალი ნაჯერ ხსნარში. სწორედ ასევე, არქეტიპებზე აგებულია ადამიანის მთელი ფსიქიკა: ყველა გაცნობიერებულ ასრს გააჩნია არქეტიპული საფუძველი და, ასე თუ ისე, გამოხატავს შესაბამის არქეტიპს.

ფსიქიკური გამოცდილების უძველესი, ამოსავალი ფორმაა მითი, ამიტომ ყველა არქეტიპი, ასე თუ ისე, დაკავშირებულია მითოსურ სახეებთან და განცდებთან. იუნგის დასკვნით, მითი ძევს ადამიანის (მათ შორის, თანამედროვე ადამიანის) სულის საფუძველში. სწორედ მითი აძლევს ადამიანს სიცოცხლის პირველსაწყისებთან ეროობის გრძნობას, განაპირობებს სულის თანხმობას არაცნობიერ არქეტიპებთან.

ფროიდის მიხედვით, კულტურული ადამიანის ცხოვრება გადაუჭრელი წინააღმდეგობაა, რადგან ადამიანის სული ორად იგლეჯება თავის თავდაპირველ ბუნებასა და კულტურის მიერ დანერგილ შეზღუდვებს შორის. იუნგის წარმოდგენა ადამიანისა და კულტურის თანაფარდობის შესახებ განსხვავებულია: თუმცა სულის საფუძველი (არაცნობიერი) არქაული წარმოშობისაა, მას მაინც შეუძლია კულტურასთან მშვიდობიანი თანაარსებობა. „სულის დემონების" დამორჩილება შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია მათი მოთვინიერება და კულტურის სამსახურში ჩაყენებაც კი.

ადამიანი კი არ უნდა უგულებელყოფდეს არაცნობიერ ძალებს, არამედ უნდა მოუძებნოს მათ ადეკვატური კულტურულ-სიმბოლური გამოხატულება. არაცნობიერი ხომ სიცოცხლის ძალების ჯეშმარიტი წყაროა, რომელიც ანიჭებს ადამიანს შთაგონებას და შემოქმედებით ენერგიას.

კულტურულ სიმბოლოთა გამოყენება იძლევა „ფსიქიკური დემონების" კონტროლირების, მათი ბნელი ძალისადმი კულტურის ნათელი ძლიერების დაპირისპირების საშუალებას. აქ განსაკუთრებული როლი ენიჭება რელიგიას. მაგალითად, მორწმუნეს, რომელსაც ცოდვილი სურვილები აღეძრა („ეშმაკები აცდუნებენ"), შეუძლია ილოცოს და საშველად ღმერთი მოიხმოს. იუნგის მიხედვით, „ღმერთიცა" და „ეშმაკიც" თავად ადამიანის ფსიქიკური ძალებია (არქეტიპები), რომლებიც სიმბოლურადაა გამოხატული შესაბამის კულტურულ სახეებში.

ამრიგად, იუნგის მიხედვით, კულტურა მოწოდებულია არაცნობიერთან დიალოგისაკენ, რამაც უნდა უზრუნველყოს ადამიანის სულის მთლიანობა. მაგრამ ეს დიალოგი თანდათან იკარგება ცივილიზაციის განვითარებისა და ცხოვრების ტოტალური რაციონალიზაციის კვალობაზე. ცხოვრება რაციონალიზდება, მაგრამ ადამიანი არ ხდება უფრო რაციონალური თავისი ფსიქიკური წყობით. ინგრევა ძველ სიმბოლოთა სამყარო, მასთან ერთად კი წარსულს ბარდება არქეტიპთა კულტურული გამოხატულება და ხორცშესხმა. დგება „საშინელი სიმბოლური სიდატაკე", რომლის დროსაც ადამიანის ცხოვრება უფერულდება და უყალსურდება. იკარგება „სულის მძლავრი დემონების" მართვის ხაშუალება სიმბოლოთა მეშვეობით. „დემონები" თავს აღწევენ შესუსტებული კულტურის მხრივ კონტროლს, და XX საუკუნე იქცევა გაუგონარი ფსიქიკური ეპიდემიების საუკუნედ, რომლებიც ერცელდებიან, შენიღბულნი იდეოლოგიური ელფერით. „მე იმასაც ეფიქრობ, რომ ფსიქიკური საფრთხე გაცილებით საშიშია, ვიდრე ეპიდემიები და მიწისძვრები. ყვავილისა და შავი ჭირის ეპიდემიებმა შუა საუკუნეებში გაცილებით ნაკლები სიცოცხლე შეიწირა, ვიდრე სამყაროს მოწყობის შესახებ შეხედულებათა სხვადასხვაობამ 1914 წელს ან პოლიტიკური იდეალებისათვის ბრძოლამ რუსეთში", — წერდა იუნგი.

ესწრაფვის რა თავის დაღწევას „საშინელი სიმბოლური სიდატაკისაგან", ადამიანი მზერას მიაპყრობს აღმოსავლურ რელიგიებს, მაგრამ ისინი სხვა კულტურებს შეესაბამებიან და სრულად ვერ გამოხატავენ არქეტიპებს, რომლებიც იმალებიან დასავლეთის ადამიანის ფსიქიკაში. იუნგის აზრით, ადამიანის ამოცანაა შეაღწიოს არაცნობიერში და მისაწვდომი გახადოს იგი ცნობიერებისათვის, მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დარჩეს არაცნობიერის სფეროში, არ უნდა გააიგივოს თავი მასთან. „ადამიანის არსებობის ერთადერთი აზრი ისაა, რომ აანთოს სინათლე პრიმიტიული ყოფის წყვდიადში. ალბათ, შეიძლება ვიფარაუდოთ, რომ არაცნობიერი იმდენადვე ბატონობს ჩვენზე, რამდენადაც ჩვენი ცნობიერება — თავად მასზე".

ამრიგად, კ.გ. იუნგმა აჩვენა კულტურის კავშირი ადამიანის არაცნობიერთან. კულტურისა და მისი სიმბოლური სამყაროს ისტორია წარმოჩნდა როგორც სულის არაცნობიერი საფუძვლების ხორცშესხმა.

თანამედროვე კულტუროლოგიაში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა და გაკვლენიანია **სიმბოლური სკოლა**, რომელიც მასთ-

ბრიელი ინფორმაციის საშუალებათა მძლავრი განვითარების შედეგად წამოყალიბდა. ზოგიერთი ფილოსოფოსისა და სოციოლოგის აზრით, თანამედროვე მსოფლიოში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ადგილს იჭერს ე.წ. „ინფორმაციული რევოლუცია“.

თუ კულტურას განვიხილავთ ადამიანის უნარის თვალსაზრისით, გამოხატოს (ენობრივი სიმბოლოებით და სხვა სახის სიგნალებით), სივრცესა და დროში გადასცეს ინტელექტუალური (მეცნიერება) და ემოციური (ხელოვნება) ინფორმაცია, ნათლად წარმოგვიდგება ადამიანის აღმასვლის სურათი თანამედროვე ინფორმაციული და კულტურული ძლიერებისაკენ. პირველყოფილ ადამიანს ენის (სიმბოლოთა სისტემის) მეშვეობით შეეძლო გამოეხატა და ხმის მიწვდენის მანძილზე გადაეცა თავისი აზრები. სახვითი ხელოვნებისა და დამწერლობის წარმოშობასთან ერთად ადამიანის შესაძლებლობანი ამ მხრივ მნიშვნელოვნად გაფართოვდა. სატრანსპორტო საშუალებათა განვითარებამ, წიგნის ბეჭდვამ ეს შესაძლებლობანი კიდევ უფრო გაზარდა, XX საუკუნეში კი, ტელეგრაფის, ტელეფონის, რადიოს, კინოს, ტელევიზიისა და სხვ. მეშვეობით, ისინი ფაქტობრივად უსაზღვრო გახდა.

ამდენად, თანამედროვე ადამიანს გარს არტყია არა მარტო და არა იმდენად რეალური, ბუნებრივი, არამედ უფრო მეტად – ხელოვნური, ინფორმაციულ-სიმბოლური სამყარო.

ყოველივე ამან მეცნიერება მიიყვანა აზრამდე, რომ კულტურის სათავეები ძევს მხოლოდ ადამიანის დამახასიათებელ უნარში – შექმნას გარემომცველი სამყაროს „სიმბოლოები“, „ნიშნები“ და გადასცეს ისინი დროსა და სივრცეში. კულტურის განვითარების დასაწყისი იგივეა, რაც სამყაროს სიმბოლური კოდირების დაწყება, ანუ რეალობის თავისებური „გაორება“. ასეთი შეხედულების დამკვიდრებას ხელი შეუწყო მეცნიერების იმ დარგთა განვითარებამ, რომლებიც სწავლობენ ინფორმაციის გაფორმების, მიღების, შენახვის, გადამუშავებისა და გადაცემის ზოგად კანონებს (სემიოტიკა, ინფორმატიკა, კიბერნეტიკა).

სიმბოლური სკოლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია გერმანელი ფილოსოფოსი **ერნსტ კასირერი (1874-1945 წწ.)**, რომელმაც ნაშრომში „სიმბოლურ ფორმათა ფილოსოფია“ წამოაყალიბა კულტურის საკუთარი კონცეფცია. კულტურას, მისი აზრით, საფუძველად უდევს მასობრივი, სისტემატური და მუდმივი სიმბოლიზაციის ადამიანური უნარი. კულტურის საწყისები საძიებელია არა ღვთიურ სულში (კანტი, ჰეგელი), ადამი-

ანის ინსტინქტებში (ფროიდი და ეთოლოგები) ან მის მოთხოვნილებებში (ბ. მალინოვსკი), არა სოციალურ ორგანიზაციაში (პარსონსი და სხვ.), არამედ ადამიანის უნარში შექმნას ხელოვნური სამყარო სიმბოლოებით რეალობის აღნიშვნის გზით. ენა, მეცნიერება, ხელოვნება, რელიგია, მითები და ა.შ. იმ სიმბოლური წრის შემადგენელი ნაწილებია, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს. სხვა ცოცხალი არსებებისაგან განსხვავებით, ადამიანი თითქოს სინამდვილის ახალ განზომილებაში ცხოვრობს, არსებობს არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ სიმბოლურ სამყაროში. ენის, მითოსის, ხელოვნების, რელიგიისა და სხვა „ძაფები" ქმნის მჭიდრო სიმბოლურ „ბადეს", რომელიც, ერთი მხრივ, აგრეთვე ადამიანთა გამოცდილებას, მაგრამ, მეორე მხრივ, ადამიანისაგან ფარავს რეალობას. მთელი ჩვენი სულიერი პროგრესი სულ უფრო რთულსა და შეუღწევადს ხდის ამ ბადეს. რაც უფრო იზრდება ადამიანის სიმბოლური აქტივობა, მით უფრო მეტად გადადის უკანა პლანზე ფიზიკური რეალობა. აქედან მომდინარეობს უდიდესი სხვაობა ევროპელი მეცნიერისა და რომელიმე სამხრეთამერიკელი აბორიგენის მიერ სინამდვილის აღქმას შორის. „ცივილიზებულ" ადამიანს უკვე აღარ შეუძლია საქმე პქონდეს უშუალოდ საგნებთან და ურთიერთქმედებს მათთან ხელოვნური საშუალებების, ენობრივი ფორმების, მხატვრული სახეების, მითიური სიმბოლოების, რელიგიური რიტუალების მეშვეობით. აქედან გამომდინარე, ე. კასირერი გვთავაზობს, ადამიანს ვუწოდოთ არა „მოაზროვნე ცხოველი" (animal rationale), როგორც ეს მიღებულია, არამედ „სიმბოლური ცხოველი" (animal symbolicum).

კულტუროლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს **სტრუქტურალიზმს**, რომლის ძირითადი იდეები დამუშავებულია ფრანგი მეცნიერების **კ. ლევი-სტროსის, ჟ. დერიდას, ჟ. ლაკანის, მ. ფუკოს** და სხვათა ნაშრომებში. სტრუქტურალიზმმა მისნად დაისახა დაეძლია აღწერილობითი მეთოდი კულტუროლოგიური ანალიზის დროს და კულტურის კვლევა მკაცრ მეცნიერულ საფუძველზე დაემყარებინა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ზუსტი მეთოდების, მათ შორის ფორმალიზაციის, მათემატიკური მოდელირების, კომპიუტერიზაციის და სხვა მეთოდების გამოყენებით. ნიმუშად კულტუროლოგიური გამოკვლევებისათვის აღებულ იქნა ლინგვისტიკა, რომელმაც XX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან, შვეიცარიელი მკვლევრის ფერდინანდ დე სოსიურისა (1857-1913 წწ.) და მისი მიმდევრების წყალობით, შეიძინა ზუსტი

მეცნიერების მრავალი ნიშანი. ლინგვისტიკაში ფ. დე სოსიურის მიერ შემუშავებული სტრუქტურული მეთოდი გადატანილ იქნა ადამიანის სულიერი ცხოვრების სხვა სფეროებზეც.

სტრუქტურალიზმი აქცენტს აკეთებს იმ ფორმათა გამოკვლევაზე, რომლებშიც მიმდინარეობს ადამიანის კულტურშემოქმედებითი მოღვაწეობა. ეს საყოველთაო ფორმები აღინიშნება ტერმინით სტრუქტურები. სტრუქტურა განიმარტება როგორც მთელის ელემენტებს შორის ურთიერთობათა ერთობლიობა, რომლებიც მყარი რჩებიან ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე ან მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, შინაგანი თუ გარეგანი ცვლილებების მიუხედავად. ეს საყოველთაო ფორმები, ანუ „ფუძემდებლური სტრუქტურები" მოქმედებს როგორც არაცნობიერი მექანიზმები, რომლებიც აწესრიგებენ ადამიანის მთელ სულიერ-შემოქმედებით მოღვაწეობას.

ამრიგად, სტრუქტურალიზმში კვლავ ვხედებით კოლექტიური არაცნობიერის კონცეფციას. მაგრამ თუ კ.გ. იუნგთან მის პირველსაფუძვლად გვეველინება არქეტიპები, სტრუქტურალიზმში ასევეად გვეველინება ნიშანთა სისტემები. სტრუქტურალისტთა აზრით, კულტურის ყველა სისტემა: ენა, მითოსი, რელიგია, ხელოვნება, ლიტერატურა, ზნე-ჩვეულებანი, ტრადიციები და ა.შ. შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ნიშანთა სისტემები. ყველაზე მარტივი და უნივერსალური ნიშანთა სისტემაა ენა.

სტრუქტურული ანალიზის მიზანია მოცემული კულტურის სისტემაწარმომქმნელი ფაქტორის ძიება. კულტურულ ობიექტთა გარკვეული სიმრავლის ერთიანი სტრუქტურული კანონზომიერებების გამოვლენა. ეს სისტემაწარმომქმნელი ფაქტორ-სტრუქტურა განიხილება არა უბრალოდ როგორც ამა თუ იმ კულტურული ობიექტის „ჩონჩხი", არამედ როგორც ერთობლიობა წესებისა, რომელთა მიხედვით, ელემენტების გადაადგილებით ერთი ობიექტიდან შეიძლება მივიღოთ მეორე, მესამე და ა.შ. სტრუქტურული მეთოდის თანახმად, ეს ერთგვაროვნება გამოვლინდება არა ამ ობიექტთა შორის არსებულ განსხვავებათა უგულებელყოფის ხარჯზე, არამედ ამ განსხვავებათა დანახვით როგორც ერთიანი აბსტრაქტული ნიმუშის ურთიერთში გარდამავალი (ურთიერთგარდაქმნადი) კონკრეტული ვარიანტებისა.

სტრუქტურალიზმის ერთი-ერთი მთავარი წარმომადგენელია ყრანგი ეთნოგრაფი და სოციოლოგი **კლოდ ლევი-სტროსი (დაიბადა 1908 წელს)**. მისი კვლევის ძირითადი ობიექტი იყო პრიმიტიული საზოგადოებანი, კერძოდ, სამხრეთ და, ნაწილო-

ბრიტ. ჩრდილოეთ ამერიკისა. მთავარ პრობლემად მიაჩნდა ბუნებიდან კულტურაზე გადასვლის შესწავლა.

კ. ლევი-სტროსი იკვლევდა აზროვნებისა და სოციალური ცხოვრების სტრუქტურებს, რომლებიც დამოკიდებული არ არიან ინდივიდუალურ ცნობიერებასა და არჩევანზე. გონებას, აზროვნებას იგი კულტურული ევოლუციის მიზეზად კი არა, შედეგად მიიჩნევდა. კულტურას, როგორც ადამიანური ყოფიერების უნივერსალურ ატრიბუტს, სხვადასხვა საზოგადოებაში დაახლოებით ერთნაირი ნიშნები გააჩნია. სხვადასხვა ეთნოლოგიური კონცეფციის ძირითად ნაკლს იგი იმაში ხედავდა, რომ ისინი ითვალისწინებენ მხოლოდ ცნობიერ დონეს, პლასტს, და არა არაცნობიერს, რომელიც არ. ექვემდებარება უშუალო დაკვირვებას. ამ დროის კი ცნობიერება, კ. ლევი-სტროსის მიხედვით, არსებობს მხოლოდ ადამიანის სულის უამრავი არაცნობიერი სტრუქტურის გადაკვეთაზე, რომელთაგან თითოეული შეესაბამება სოციალური რეალობის გარკვეულ დონეს.

ინტერესმა არაცნობიერი სტრუქტურებისადმი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა სტრუქტურული ანალიზის ობიექტთა შერჩევა: ტოტემიზმი, სახელთა მიკუთვნების წესები, საქორწინო ურთიერთობანი, რიტუალები, ნიღბები, როგორც ნიშანთა თავისებური სისტემები, პირველ რიგში კი მითი როგორც კოლექტიური ცნობიერების არსი, სოციალურ სტრუქტურათა სიმყარის საფუძველი.

სოციალურ და კულტურულ სტრუქტურათა გამოკვლევის მიზნად კ. ლევი-სტროსი მიიჩნევდა იმ კანონზომიერებათა გამოვლენას, რომლებიც საფუძველად უდევს რწმენა-წარმოდგენათა და ინსტიტუტების მრავალფეროვნებას.

კ. ლევი-სტროსის აზრით, ადამიანის შეგრძნებანი იმდენად არ ასახავს, რამდენადაც დაშიფრავს გარემომცველ სინამდვილეს, ახლენს მის კოდირებას. ყველა მოვლენა და პროცესი გამოიხატება სიმბოლოს სახით. ამდენად, შეიძლება ლაპარაკი იყოს ორ სტრუქტურაზე: ადამიანის გონების სტრუქტურასა და ადამიანის გარემომცველი ფიზიკური რეალობის სტრუქტურაზე. ამასთან, მეორის შესწავლის საფუძველად კ. ლევი-სტროსი ადამიანის გონების სტრუქტურას მიიჩნევს, რომელიც ახდენს ჩვენი გამოცდილების ორგანიზებას და განსაზღვრავს სამყაროს ჩვენეულ ხედვას.

თანამედროვე ინდუსტრიულ და „პრიმიტიულ" საზოგადოებათა შორის ურთიერთობას კ. ლევი-სტროსი უწოდებდა თანა-

ფარდობას „ცხელ“ და „ცივ“ საზოგადოებათა შორის: პირველნი ცდილობენ აწარმოონ და მოიხმარონ რაც შეიძლება მეტი ენერგია და ინფორმაცია, მეორენი კი იფარგლებიან არსებობის მარტივი და მწირი საშუალებების მდგრადი კელავწარმოებით. მაგრამ ძველ და ახალ, განვითარებულ და „პრიმიტიულ“ ადამიანს აერთიანებს კულტურის საყოველთაო კანონები, ადამიანის გონების ფუნქციონირების კანონები.

„ცხელ“ საზოგადოებებში თავდაპირველი კავშირი თავად საგნებსა და შემეცნებით სიმბოლოებს შორის თანდათანობით განიდევნება არაცნობიერის სფეროში და მის ადგილს პირობითი კავშირი იჭერს. შედეგად იცვლება თავად სამყაროს ხედვა, მისი პირვანდელი სახე თანდათან იბინდება. მაგრამ იგი მთლიანად კი არ ქრება, არამედ ინახება არაცნობიერში. გზა ადამიანის გარემომცველი სამყაროსაკენ სულ უფრო მეტად „იხერგება“ სხვადასხვა სიმბოლური სტრუქტურით.

კ. ლევი-სტროსის აზრით, ჯერ კიდევ შემორჩენილი არქაული – „ცივი“ – საზოგადოებანი ახერხებენ დაუსხლტნენ ზემოთ აღნიშნულ ცვლილებას. მათში შენარჩუნებულია თავდაპირველი კავშირი ადამიანის გარემომცველ სინამდვილესა და მისი ცნობიერების სიმბოლოებს შორის; ეს კავშირი არ არის განდევნილი არაცნობიერ სფეროში. სწორედ ამ „ცივი“ საზოგადოებების არსებობა აძლევს საშუალებას თანამედროვე ადამიანს, შეიმეცნოს არაცნობიერ სფეროში განდევნილი საკუთარი გონების სტრუქტურა.

თანამედროვე კულტურის ამა თუ იმ მოვლენის ჭეშმარიტი აზრი (ანუ რასაც ის წარმოადგენს) დაფარულია. ამ აზრის „ამოღება“ არაცნობიერი სფეროდან შეუძლებელია. ამიტომ უნდა მივმართოთ „ცივ“ საზოგადოებებს და მოვძებნოთ მათში ანალოგიური მოვლენა, რაც მკვლევრისათვის ნათელს გახდის მის აზრს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პირველყოფილი ადამიანი გვევლინება ეროგვარ სარკედ, რომელიც თანამედროვე ადამიანს თავისი არაცნობიერი სფეროს დანახვის შესაძლებლობას აძლევს, შესაბამისად, დებს ხიდს ბუნებასა და კულტურას შორის.

თავის ცნობილ ნაშრომებში „სტრუქტურული ანთროპოლოგია“, „მწუხარე ტროპიკები“, „ველურის აზროვნება“, „თანამედროვე ტოტემიზმი“, „ნიღბების გზა“ და სხვ. კ. ლევი-სტროსი ცდილობს დაასაბუთოს, რომ ველურები ცხოვრობენ ბედნიერად; ცივილიზაცია აზიანებს მათ ყოფას; ცივილიზაცია უფრო უარესად წყვეტს ცხოვრებისეულ პრობლემებს, ვიდრე ველურები,

რადგან ამ უკანასკნელია გარეგანი „მე“ მჭიდროდაა დაკავშირებული შინაგანთან. კულტურული გარსი ჯერ კიდევ ოხელია და შეიძლება თვალი ვადევნოთ ბუნებასთან მის კავშირს; ადნიშნული არ დაშორებია ადმინიშვნელს და უამრავ ნიშანს შორის შეიძლება გაირჩეს ბინარული ოპოზიციები (წყვილადი დაპირისპირებულობანი) — ყველაზე ხშირად განმეორებადი კანონზომიერებანი, რაც ახასიათებს კულტურის ყველა სფეროს. ეს ოპოზიციებია: ნათელი — ბნელი, ხმაურიანი — ჩუმი, რბილი — მაგარი, მშრალი — სველი, ტკბილი — მწარე, უმი — მოსარშული, ქორფა — დამჭკნარი, ცარიელი — სავსე, ახლო — შორი, ზედა — ქვედა, მარჯვენა — მარცხენა, კეთილი — ბოროტი და სხვ. ყველაფერს კი საფუძვლად უდევს გენერალური ოპოზიცია „ბუნება — კულტურა“.

პირველყოფილი ადამიანი თავისი შინაგანი „მე“-თი არაფრით განსხვავდება თანამედროვე ადამიანისგან: ერთსაც და მეორესაც ერთი და იგივე ბინარული ოპოზიციები გააჩნიათ. თანამედროვე ადამიანის აზროვნების სტრუქტურა მის მიერ განვლილი გზის მანძილზე არ შეცვლილა, იგი ზუსტად ისეთია, როგორიც პირველყოფილი ადამიანისა. თანამედროვე ადამიანი პირველყოფილისაგან განსხვავდება მხოლოდ თავისი გარეგნული „მე“-თი და იმით, რომ მის გარეგან „მე“-სა და შინაგან „მეს“ შორის კავშირი გაწყვეტილია ისტორიის მიერ.

პირველყოფილი ადამიანი ხორცს თუ სხვა საჭმელს ქვაზე აწყობდა და ასე წვაადა მზეზე. მზის სხივები ცასა და დედამიწას ერთიან, ჰარმონიულ მთლიანობად აერთიანებდა და ადამიანი ბუნებასთან სრულ თანხმობაში იმყოფებოდა. შემდეგ ადამიანმა დაიწყო საჭმლის დამზადება ცეცხლზე, შექმნა შრომის იარაღი, ტანსაცმელი, შეაბიჯა კულტურის სამყაროში. მის არსებობასა და კულტურას შორის გაჩნდა წინააღმდეგობები. მითების მეშვეობით ადამიანი ცდილობს აღადგინოს დარღვეული კავშირი ბუნებასთან. დამთავრდა ოქროს ხანა (ასე უწოდებს კ ლევი-სტროსი ქვის ხანას) და დაიწყო ბრინჯაოს ეპოქა. ამ ეპოქის მანძილზე ადამიანი საკმაო ხანს ინარჩუნებდა მკაფიო ოპოზიციებს, რაც მას საშუალებას აძლევდა ებატონა ემპირიულ სინამდვილეზე. მითების საშუალებით ადამიანები ცდილობდნენ შეერბილებინათ წინააღმდეგობა ბუნებასთან. მაგრამ დაიწყო რკინის ხანა, გაჩნდა თანამედროვე ადამიანი და ყველაფერი აირია. თანამედროვე ადამიანი ცხოვრობს ბუნებასა და კულტუ

რას შორის ღრმა განხეოქილების პირობებში, რაც მისი ყველა უბედურების მთავარი მიზეზია.

კ. ლევი-სტროსის აზრით, თანამედროვე მეცნიერება და ფილოსოფია დიდად ვერ ამაღლებს დღევანდელ ადამიანს ველურის დონესთან შედარებით, ამ უკანასკნელის ცხოვრება კი ბევრად უფრო ჰარმონიულია სწორედ ბუნებასთან მისი განუყოფელი კავშირის გამო.

როგორც თავად კ. ლევი-სტროსი აღნიშნავდა, მისი კონცეფციის წამოყალიბებაში, რომელსაც თავად იგი სტრუქტურულ ანთროპოლოგიას უწოდებდა, მთავარი როლი შეასრულა სამმა მეცნიერმა: სოციოლოგმა ემილ დიურკჰაიმმა, ფსიქოლოგმა ზიგმუნდ ფროიდმა და ლინგვისტმა ფერდინანდ დე სოსიურმა. ე. დიურკჰაიმმა მკვეთრად გამიჯნა ერთმანეთისაგან ინდივიდუალური და კოლექტიური ცნობიერება; ზ. ფროიდმა ინდივიდის შინაგანი „მე" არაცნობიერს დაუმორჩილა; ხოლო დე სოსიურმა ენობრივი მასალის საფუძველზე კონკრეტული წარმოდგენა მოგვცა ქვეცნობიერის შესახებ, ყოველ წინადადებაში გამოყო ორი დონე: გაუცნობიერებელი (ენა) და გაცნობიერებული (მეტყველება).

ამრიგად, კ. ლევი-სტროსის შეხედულებანი ემყარება მითების, რიტუალების, სოციალურ ურთიერთობათა ფორმების (საქორწინო ნორმები, ნათესაური სისტემები და სხვ.) ანალიზს. მითებსა და ფოლკლორს მის კველეა-ძიებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. კ. ლევი-სტროსი მითების სტრუქტურული ტიპოლოგიის მამამთავრადაა მიჩნეული.

სტრუქტურალისტური მეთოდი გამოიყენა ფრანგმა ფილოსოფოსმა და კულტურის ისტორიკოსმა **მიშელ პოლ ფუკომ (1926-1984 წწ.)** ნაშრომებში „სიტყვები და საგნები: პუმანიტარულ მეცნიერებათა არქეოლოგია", „ცოდნის არქეოლოგია". ევროპული შემეცნების ისტორიაში მ. ფუკომ გამოყო 3 ეპისტემა (ცოდნის საერთო სიერცე, „სიტყვებსა" და „საგნებს" შორის ურთიერთდამოკიდებულების სისტემა, რომელსაც ემყარება ამა თუ იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი აღქმის, შემეცნების, პრაქტიკის ტიპები, ცალკეული იდეები და კონცეფციები), რომელთა თავისებურება განსაზღვრავს ამა თუ იმ ეპოქის — აღორძინების, კლასიკური რაციონალიზმისა და თანამედროვეობის (XIX-XX სს.) — აზროვნების სახეს. აღორძინების ეპისტემაში „სიტყვები" და „საგნები" მსგავსია და იგივეობრივიც კი; კლასიკური რაციონალიზმის ეპოქაში ისინი გაშუალებულია აზრობრივი წარ-

მოდგენებით, თანამედროვე ეპოქაში კი სიტყვა იქცევა მხოლოდ ნიშნად სხვა ნიშნების სისტემაში, რადგან სიტყვებსა და საგნებს შორის დგას მრავალ სხვადასხვა ნიშანთა სისტემა – „ენა", „შრომა", „სიცოცხლე" და სხვ.

ამრიგად, ეპისტემის შეცვლა ნიშნავს მთელი შემეცნებითი საქმიანობისა და, საერთოდ, სამყაროში ადამიანის ადგილის შეცვლას. კულტურის სტრუქტურული ცვლილებების გაგებისათვის, მ. ფუკოს აზრით, განსაკუთრებით საინტერესოა ეპისტემათა შორის არსებული განხეთქილებანი. მათი არსის ილუსტრაციისათვის მკვლევარი დონ კიხოტის მაგალითს მიმართავს. ეს გმირი – ახალი კულტურის სისტემაში ძველი ეპისტემის მატარებელი – კომიკურია სწორედ ძველისა და ახლის შეჯახებაში.

ჟაკ ლაკანი (1901-1981 წწ.) „ფროიდიზმის პარიზული სკოლის" ფუძემდებელია, ე.წ. სტრუქტურული ფსიქოანალიზის წარმოშადგენელი. მან მისნად დაისახა „ფროიდისეულ მიბრუნება", ანუ ფროიდიზმის განთავისუფლება შემდეგდროინდელი დანაშრევებისაგან. ლაკანი თვლიდა, რომ არაცნობიერის გაგებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ენას. თავად არაცნობიერი ლაკანთან სცილდება ბიოლოგიური ინტერპრეტაციის ჩარჩოებს და კულტურის ფუნქციად გვევლინება. ეს ის სფეროა, სადაც მიმდინარეობს ინდივიდის მიერ სოციალური ნორმებისა და კულტურულ ფასეულობათა ათვისება, ანუ პიროვნების სოციალიზაცია. ამრიგად, ჟ. ლაკანმა არაცნობიერი კულტუროლოგიური კვლევის ობიექტად აქცია.

თანამედროვე კულტუროლოგიის ერთ-ერთი გაერცელებული თეორიაა თამაშის როგორც კულტურის საფუძვლის კონცეფცია, რომლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია ჰოლანდიელი კულტუროლოგი **იოჰან ჰაიზინგა (1872-1945 წწ.)**. თამაშის ცნებაში იგულისხმება ადამიანის თავისუფალი თვითგამოხატვის მრავალფეროვანი ფორმა, რომელთაც არ გააჩნიათ პრაქტიკული მიზანდასახულება. სვეტელებრივ, განარჩევენ თამაშის ორ სახეს – შეჯიბრებასა და წარმოდგენას. ი. ჰაიზინგას კონცეფციის თანახმად, თამაში კულტურულ-ისტორიული უნივერსალია. თავის ნაშრომში "Homo ludens" („მოთამაშე ადამიანი") იგი ეხება კულტურის წარმოშობისა და განვითარების ეტაპზე ღრმა – თამაშის შრეებს. „კულტურა", – წერს იგი, – არ წარმოიშობა თამაშიდან როგორც ცოცხალი ნაყოფი, რომელიც გამოეყოფა დედის სხეულს. იგი ვითარდება თამაშში როგორც თამაში.

მოელი კულტურული შემოქმედება თამაშია: პოეზიაც, მუსიკაც, ასრიც, მორალიც და კულტურის ყველა შესაძლო ფორმაც".

ჰაიზინგამ განავითარა კანტიდან მომდინარე, შემდეგ კი შილერისა და იენელი რომანტიკოსების მიერ გაგრძელებული ტრადიცია, რომლის თანახმად, ხელოვნება უკავშირდება თამაშს როგორც სპონტანური, დაუინტერესებელი ქმედება, რომელიც საინტერესოა თავისთავად და დამოკიდებული არ არის რაიმე მიზანზე. ჰაიზინგა თამაშის საწყისს განიხილავს არა როგორც მხოლოდ მხატვრული შემოქმედების მახასიათებელს, არამედ როგორც მთელი კულტურის საფუძველს. თამაში კულტურაზე უფროსია. თამაშის ყველა ნიშანი ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ ადამიანთა საზოგადოების წარმოშობამდე და არსებობს ცხოველთა სათამაშო ქცევებში. თამაში თან ახლავს კულტურას მთელი მისი არსებობის მანძილზე და ახასიათებს კულტურის მრავალ ფორმას.

თამაშის მთავარ თავისებურებებად ი. ჰაიზინგა მიიჩნევდა ნებაყოფლობით დადგენილი წესების დაცვას და თავისუფლების მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი დიაპაზონის შექმნას, რაც თავისუფალი არჩევანისა და ცხოვრების დრომოჭმული ფორმებისაგან განთავისუფლების შესაძლებლობას იძლევა.

თამაშის საწყისის რეალიზაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური ცხოვრების იდეალები, რომლებიც განსაზღვრავენ საზოგადოების სულიერ ცხოვრებას. საზოგადოებრივი იდეალები შეიცავს თამაშის მრავალ ელემენტს, რამდენადაც ისინი დაკავშირებულია ოცნების, ფანტაზიის, უტოპიურ წარმოდგენათა სფეროსთან და შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ კულტურის სათამაშო ასპექტში. ჰაიზინგას კონცეფციის თანახმად, მთელი ეპოქები „თამაშობს" იდეალის განხორციელებას, როგორც, მაგალითად, რენესანსის კულტურა, რომელიც ეწინააღმდეგა ანტიკურობის იდეალების აღორძინებას და არა პრინციპულად ახალი, „საკუთარი" ორიენტირების შექმნას.

თამაშის როლი კულტურის ისტორიაში ყოველთვის ერთნაირი არ იყო. კულტურის განვითარების კვალობაზე თამაშის ელემენტი უკანა პლანზე გადადის, ასიმილირდება საკრალური სფეროს მიერ, კრისტალიზდება მეცნიერებასა და პოეზიაში, სამართლებრივ ურთიერთობებში, პოლიტიკური მოღვაწეობის ფორმებში. მაგრამ თამაშის ინსტინქტი ყოველ წუთს შეიძლება გამოვლინდეს, ჩაითრიოს თამაშის სფეროში როგორც ცალკეული ინდივიდები, ასევე ადამიანთა მასები. თამაშის შეკი-

წრეება დაიწყო XVIII საუკუნიდან, როცა კაცობრიობას დაეუფლა სარგებლიანობის ფეხიელი, პროზაული გაგება, რამაც განაპირობა კულტურის თავისუფალი სულის დაკარგვა.

გერმანელი ფილოსოფოსი **ე. ფინკი** თამაშს, ადამიანური ყოფის სხვა ოთხ ფენომენთან – სიკვდილთან, შრომასთან, ბატონობასა და სიყვარულთან – ერთად უმნიშვნელოვანეს ფენომენად მიიჩნევს. თამაშის საწყისი მსჭვალავს ადამიანის ცხოვრებას და განსაზღვრავს ყოფიერების გაგების წესს. ჰაიზინგასაგან განსხვავებით, ფინკი თამაშს მიიჩნევს ადამიანის მოღვაწეობის რეალიზაციის უმნიშვნელოვანეს საშუალებად, რომელიც დამახასიათებელი არ არის ცხოველთა სამყაროსათვის. ფანტაზია, როგორც წარმოსახვითი ოპერირების უნარი, მხოლოდ ადამიანს გააჩნია. თამაშში, რომლის საფუძველი ფანტაზიაა, რეალიზდება უმაღლესი სულიერი პოტენცია. ასე მაღლდება ადამიანი ბუნებასა და იბადება კულტურა.

კულტურა-თამაშის კონცეფციის სხვადასხვა ეერსია გეხვდება XX საუკუნის სხვა კულტუროლოგთა შრომებშიც.

კულტუროლოგთა დიდ ინტერესს იწვევს მასობრივი და ელიტარული კულტურის კონცეფციები, რომელთა მიმდევრებს შორის საყოველთაოდ ცნობილია ესპანელი ფილოსოფოსის **ხოსე ორტეგა ი გასეტის (1883-1955 წწ.)** სახელი. მის წინამორბედთაგან უნდა დავასახელოთ ფრანგი სოციოლოგი **გუსტავ ლებონი (1841-1931 წწ.)**. იგი, გობინოს კვალდაკვალ, ასაბუთებდა რასობრივი დეტერმინიზმის კონცეფციას; ხაზს უსვამდა რასობრივი დაყოფის იერარქიულ ხასიათს და რასობრივი კუთვნილების განსაკუთრებულ მნიშვნელობას ცივილიზაციის განვითარებაში. ლებონი ერთ-ერთი პირველი ავტორია მასობრივი საზოგადოების კონცეფციისა. იგი ამტკიცებდა, რომ ცივილიზაციის ყველა მიღწევა ელიტის შემოქმედების შედეგია. მან იწინასწარმეტყველა „მასების ერის“ დადგომა და ცივილიზაციის დაცემა. სამრეწველო რევოლუციის, ქალაქების ზრდის, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა განვითარების შედეგად, თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებას სულ უფრო მეტად განსაზღვრავს მასების ქცევა, ეს კი ბრმა, დამანგრეველი ძალაა. მასაში (ბრბოში) ინდივიდი კარგავს პასუხისმგებლობის გრძნობას, მასზე ბატონობს ირაციონალური გრძნობები, დოგმატიზმი, შეურიგებლობა, რადგან მათ მართავს „მასის სულიერი ერთობის კანონი“.

ხოსე ორტეგა ი გასეტიმ ჩამოაყალიბა რაციოვიტალიზმის მოძღვრება. იგი თვლიდა, რომ ადამიანის ცხოვრება არ აიხსნება შემეცნების რაციონალისტური მეთოდით, რომლისთვისაც ამოსავალია „წმინდა გონის“ ცნება და, რომელიც ადამიანის ცხოვრების შესწავლას ბუნებასთან ანალოგიით ცდილობს. ორტეგა ი გასეტიმ სცადა გონების (გონის) სხვაგვარი გაგების ჩამოყალიბება, რომელშიც ასახული იქნებოდა ადამიანის ერთობა სამყაროსთან და, ამავე დროს, გათვალისწინებული იქნებოდა მისი ცხოვრების სპონტანური საწყისები. სამყარო, ასეთი გაგების თანახმად, სტრუქტურასა და პერსპექტივას იძენს მხოლოდ ინდივიდის ცნობიერების შემოქმედებითი აქტიურობის მეშვეობით, ინდივიდისა, რომელიც არა მხოლოდ შეიმეცნებს სამყაროს, არამედ „ცხოვრობს“ მას'ში და, 'შესაბამისად, განუყრელადაა დაკავშირებული მასთან.

რაციოვიტალიზმის მოძღვრებამ განსაზღვრა ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების გაგება. ორტეგა ერომანეთს უპირისპირებს სოციალურ და ინდივიდთაშორის ურთიერთობებს. ინდივიდუალური ცხოვრების სპონტანურ გამოვლინებებს ახასიათებს ავტონომიურობა, 'შედარებითი დამოკიდებულება და მათ შესაბამება ინდივიდთა'შორისი ურთიერთობანი. ეს არის პიროვნული, „ავტორისეული“ ურთიერთობა, რომელსაც საფუძველად უდევს თავისუფალი ინდივიდუალური არსებანი და რომლის შედეგს წარმოადგენს პასუხისმგებლობა. სოციალურ ურთიერთობებს კი ორტეგა განიხილავს როგორც იძულებითს, რომლებიც მოქმედებენ ინდივიდისაგან დამოუკიდებელი კანონებით. ასეთი ურთიერთობის მაგალითად ორტეგა ასახელებს ზნეჩვეულებას. იგი ხორციელდება ავტომატურად, ადამიანი არ აცნობიერებს მის მნიშვნელობას.

კულტურას ორტეგა განიხილავდა როგორც სამყაროსა და ადამიანის 'შესახებ იდეათა სისტემას, რომელიც პრინციპულად განსხვავდება მეცნიერებისა და მასობრივი კულტურის იდეებისაგან. თუ ადამიანმა მეცნიერების იდეები იცის, კულტურის იდეებით იგი ცხოვრობს, ეს მისი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. მეცნიერების ჭეშმარიტებანი ანონიმურია, ადამიანისაგან დამოუკიდებელი, კულტურის ჭეშმარიტებანი კი მაშინ იძენს ძალას, თუ ადამიანის საქმიანობის ნაწილად იქცევა.

გარესამყაროს 'შემეცნება შეუძლია მხატვარს (შემოქმედს), რომელსაც უნარი აქვს დაინახოს „ობიექტებში“ – ემპირიულ რეალობა'ში – იქნება ეს ადამიანი თუ რომელიმე სხვა „საგანი“

— „ირეალური“, თუ იდეალური ყოფიერება. მხატვარი (შემოქმედი) „ზურგს აქცევს საგნებს“, მიმართავს თავის მზერას „შიგნით“, რათა დაინახოს ამ საგნის სახე თვით საგნისგან დამოუკიდებლად ისე, როგორც იგი აისახება მის სულში, მის ემოციურ სამყაროში. ორტეგას მიხედვით, ხელოვნება ესაა, არსებითად, ილუზია, იდეალური „საგნობრივობის“ მხატვრული სამყარო, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მათ ჩვეულ, ყოველდღიურ სახესთან.

ნაშრომში „ხელოვნების დეჰუმანიზაცია“ ორტეგა ი გასეტი აღნიშნავს, რომ ჭეშმარიტი, „ცოცხალი“ კულტურა იქმნება და მოიხმარება სპონტანური შინაგანი მოთხოვნილებიდან გამომდინარე. კულტურის არსს სწორედ სპონტანურობა და პრაგმატული მიზნის არარსებობა შეადგენს.

ორტეგას აზრით, „ახალი“, „დეჰუმანიზებული“ ხელოვნების აღქმის უნარი გააჩნია ადამიანთა მხოლოდ განსაკუთრებულ კატეგორიას, დაჯილდოებულს აღქმის სპეციფიკური უნარით. „თანამედროვე“ ხელოვნების ღირსება სწორედ ემპირიული რეალობის „დეჰუმანიზაციაა“, „განსაგნობრივება“, ირეალური სამყაროს შექმნის მიზნით. ეს „ირეალური“ სამყარო ჩვეულებრივი, „ხელმეტად ადამიანური“ (ნიცშე) სინამდვილის მიღმაა, უპირისპირდება მას. ასეთი ნაწარმოებები გაუგებარია „საშუალო“ ადამიანისათვის, აღიზიანებს მას. „ახალი ხელოვნების“ სფერო იქმნება როგორც რეალობის განსაკუთრებული, „უმაღლესი“ სფერო, რომელიც მისაწვდომია რჩეულთათვის. ამ ხელოვნების ნაწარმოებებით ტკბობის პროცესში ისინი განამტკიცებენ როგორც თაეიანი განსაკუთრებულობას, ისე ერთმანეთთან ერთობას — ელიტის ერთობას. სწორედ ეს ელიტა და ელიტარული კულტურა უნდა აღუდგეს წინ მასობრივი კულტურის შემოტევას.

საზოგადოების სტრუქტურების სპეციფიკურ კლასობრივ ფორმას ცვლის სოციოკულტურული ფორმა, რომელიც საზოგადოებას ყოფს მასად და ელიტად. ეს დაყოფა ხდება ესთეტიკური კრიტერიუმით — თანამედროვე აეანგარდისტულ-მოდერნისტულ ხელოვნებასთან დამოკიდებულებით.

კაცობრიობის და მისი კულტურის ისტორიის საინტერესო ინტერპრეტაცია ეკუთვნის გერმანელ მკვლევარ **კარლ იასპერსს (1883-1969 წწ.)**. ცნობილ ნაშრომში „ისტორიის აზრი და დანიშნულება“ მან სცადა კაცობრიობის საერთო ფესვებისა და განვითარების საერთო გზის ჩვენება, რომელსაც ორად ყოფს „ისტორიის ღერძი“.

ადამიანი ძველთაგან ქმნიდა სამყაროს მთლიან სურათს. თავდაპირველად – მითების სახით (თეოგონიებსა და კოსმოგონიებში, სადაც ადამიანს გარკვეული ადგილი აქვს მინიჭებული), შემდეგ – ღვთიურ საქმეთა სურათის სახით (ისტორიის წინასწარმეტყველური ხედვა), შემდეგ – ისტორიის მთლიანი გაგება სამყაროს შექმნიდან და ადამიანის დაცემიდან დაწყებული, სამყაროს აღსასრულამდე და საშინელ სამსჯაროამდე (ავგუსტინი).

როდესაც ი'შლება მთლიანობის კონკრეტული ტიპის (მითოსური, რელიგიური), იწყება კულტურის კრიზისი.

მსოფლიო კულტურის ისტორიაში პირველი დიდი კრიზისი განცალკევებულ კულტურათა რღვევისა და იმპერიათა შექმნის პერიოდია. რას წარმოადგენს წარსულის დიდი ისტორიული კულტურები? კ. იასპერსის აზრით, ედამიწის სამ რეგიონ'ში თითქმის ერთდროულად წარმოიშვა უძველესი კულტურები: 1) შუმერული-ბაბილონური, ეგვიპტური და ეგეოსური – ძვ.წ. IV ათასწლ.; 2) არქეოლოგიური გათხრებით ცნობილი არიულამდელი კულტურა მდ. ინდის ხეობაში – ძვ.წ. III ათასწლ. (დაკავშირებული შუმერთან); 3) ძვ.წ. II ათასწლეულის ჩინეთის არქაული სამყარო, რომლის მხოლოდ მწირი ნაკვალევი შემორჩა. ამ კულტურებს შეიძლება შევადაროთ მექსიკისა და პერუს კულტურები, რომელთა აყვავება უფრო გვიანდელ პერიოდზე მოდის.

უძველეს კულტურებს ახასიათებს საეროო ნი'შნები – დიდი მასშტაბის ორგანიზაცია, დამწერლობა, მაგრამ მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა. მაგალითად, ჩინეთში ეხედავთ მითების ჩანასახს, თავდაპირველ კოსმიურ წარმოდგენას მსოფლიოს წესრიგ'ს, რიცხვებსა და საზომებზე, ბუნების ცოცხალ ჭვრეტას. შუამდინარეთის კულტურას ახასიათებს სიმკაცრე და ძალა, დრამატულობა, რომელიც ტრაგიკულ ნიშნებს იძენს გილგამეშის ალრეულ ეპოს'ში.

ამ კულტ'ურებისათვის ჯერჯერობით უცნობია ის სულიერი გადატრიალება, რომელიც უკავშირდება „ღერძული დროის" დადგომას და, რომელმაც შექმნა ახალი, თანამედროვე ადამიანის ტიპი. მსოფლიო ისტორიის „ღერძს" იასპერსი აყენებს დაახლოებით ძვ.წ. 500 წელს, იმ სულიერი პროცესების გათვალისწინებით, რომლებიც მიმდინარეობდა ძვ.წ. 800-200 წლებს შორის. ამ დროს მოხდა მკვეთრი შემობრუნება კაცობრიობის ისტორიაში. ჩინეთ'ში მაშინ ცხოვრობდნენ კონფუცი და ლაოძი, ჩამოყალიბდა ჩინური ფილოსოფიის ყველა ძირითადი მიმარ-

თულება. ინდოეთში ცხოვრობდა ბუდა; ფილოსოფიური აზროვნება ესწარფუოდა ყოველმხრივ შეემეცნებინა სინამდვილე. ირანში ზარატუსტრა ლაპარაკობდა სამყაროზე, სადაც მიმდინარეობს ბოროტისა და კეთილის ბრძოლა. პალესტინაში მოღვაწეობდნენ წინასწარმეტყველნი. საბერძნეთი ესაა ეპოქა ჰომეროსის, ფილოსოფოსების — პარმენიდეს, ჰერაკლიტეს, პლატონის; ტრაგიკოსთა — თუკიდიდეს, არქიმედესი. ამ პერიოდის სიახლე ისაა, რომ ადამიანი გაიაზრებს ყოფიერებას მთლიანობაში, საკუთარ თავსა და შესაძლებლობებს.

„ღერძული დრო", იასპერის მიხედვით, მოასწავებს ძველი ცივილიზაციების დაღუპვას, რომლებიც ათასწლეულების მანძილზე არსებობდნენ. „ღერძული დრო" იწოვს, ადნობს მათ, აძლევს დაღუპვის საშუალებას, მიუხედავად იმისა, ახლის მატარებლად ძველი კულტურის ხალხი გვეელინება თუ სხვა ხალხები. ქვესაფერი, რაც არსებობდა „ღერძულ დრომდე", თუნდაც, ისეთი დიდებული, როგორიც იყო ბაბილონური, ეგვიპტური, ინდური თუ ჩინური კულტურები, აღიქმება როგორც მიძინებული, მთელემარე. „ღერძული დროის" წინარე კულტურები კარგავს თავიანთ სპეციფიკას. მათი მატარებელი ხალხი თანდათან გულგრილი ხდება და ერწყმის „ღერძულ დროს", წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი იღუპებიან.

განსხვავებულია უძველესი დიდი კულტურებისადმი მოგვიანო ხანის კულტურათა დამოკიდებულებაც. ბერძნები და იუდეველები აღიქვამდნენ მათ როგორც შორეულსა და უცხოს, შესცქეროდნენ რიღითა და გაოცებით, ამავე დროს — ქედმაღლურად. გვიანდელმა ინდოელებმა არაფერი იცოდნენ უძველესი კულტურების შესახებ, მთლიანად დაივიწყეს ისინი. „ღერძული დროის" ჩინელები წარსულის დიდ კულტურაში ხედავდნენ თავიანთ წარსულს, რომელიც უწყვეტად გრძელდება; წარმოიდგენდნენ მას იდეალიზებულ, შემოქმედებითი ფანტაზიის მიერ შექმნილ ნიმუშად.

„ღერძული დროის" დადგომით გამოწვეულ კულტურის კრიზისს მოჰყვა ხალხების ღრმა გაოგნება, რომელიც განისაზღვრებოდა მათი დამოკიდებულებით „ღერძული დროის" დიდი გარღვევისადმი. „ღერძული" ხალხები — ეს ის ხალხებია, რომელთაც, თანამიმდევრულად აგრძელებდნენ რა თავიანთ ისტორიას, განახორციელეს ნახტომი, თითქოს მეორედ დაიბადნენ. მათ რიცხვს მიეკუთვნებოდნენ ჩინელები, ინდოელები, ირანელები, იუდეველები, ბერძნები.

გარდვევას უდიდესი, უნიკერსალურ-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ იგი ყველგან არ მომხდარა. დიდი ძველი კულტურების მატარებელი ხალხების ნაწილს, რომლებიც ცხოვრობდნენ „ღერძული დროის“ გარღვევამდე და მის დროსაც კი, იგი არ შეხებია, ეს ხალხები შინაგანად უცხონი დარჩნენ „ღერძული დროისადმი“.

„ღერძულ დროს“ კიდევ შეიძლება მიეკუთვნოს ეგვიპტური და ბაბილონური კულტურების აყვავების ხანა, თუმცა, გვიანდელი სტადიის აშკარა ნიშნებით. იასპერსის აზრით, არც ერთს ამ ორი კულტურიდან არ განუცდია მეტამორფოზა „ღერძულ“ ხალხებთან შეხების გამო, ისინი არ რეაგირებდნენ გარღვევაზე, რომელიც მოხდა მათი უშუალო არსებობის სფეროს მიღმა. ისინი ისევ ისევ დარჩნენ, როგორიც იყვნენ „ღერძული დროის“ წინამორბედი კულტურების სახით, მიაღწიეს უდიდეს წარმატებებს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არქიტექტურაში, პლასტიკასა და მხატვრობაში, თავიანთი დიდი მაგიური რელიგიების შექმნაში. მაგრამ ყოველივე ეს ნელი კვდომის სტადიაზე ხდებოდა. ამ ხალხებმა დაკარგეს თავიანთი შინაგანი კულტურა, რომელიც გარდაისახა: მესოპოტამიაში — სპარსულ, შემდეგ სასანურ კულტურად და ისლამად; ეგვიპტეში — რომაულ და ქრისტიანულ კულტურად, მოგვიანებით — ისლამურ კულტურად.

როგორც ეგვიპტურ, ისე ბაბილონურ კულტურას მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მათთან შედარებით, მათი აღქმით, მათგან გამომდინარეობდა და მათი უარყოფით მკვიდრდებოდა როგორც თუდეველთა, ასევე ბერძენთა კულტურა, რომელთაც საფუძველი საუკარეს დასავლურ სამყაროს.

ევოლუციონიზმსა და ევროპოცენტრიზმზე კანონზომიერი რეაქციის სახით მოგვევლინა **ლოკალურ ცივილიზაციათა თეორიები** და მათი ლოგიკური გაგრძელება — თანამედროვე მსოფლიოს ცივილიზაციური ხედვა.

ნ.ი. დანილევსკიმ (1822-1885 წწ.) ნაშრომში „რუსეთი და ევროპა“ (1871 წ.) ნამოაყალიბა ლოკალური „კულტურულ-ისტორიული ტიპების“ (ცივილიზაციების) თეორია.

ცივილიზაციად (კულტურულ-ისტორიულ ტიპად) ნ. დანილევსკი მიიჩნევდა შედარებით მოკლე ისტორიულ პერიოდს, რომლის დროსაც ხალხები გამოდიან ხანგრძლივი ეთნოგრაფიული პერიოდიდან. ცივილიზაციის პერიოდი „ხარჯვის პერიო-

ლია"; იხარჯება ყოველივე ის, რაც დაგროვდა „ეთნოგრაფიული პერიოდის" მანძილზე.

დანილევსკიმ უარყო ცივილიზაციათა უსასრულო პროგრესის იდეა. მისი აზრით, ყოველი ცივილიზაცია, ისევე როგორც ყველა ბიოლოგიური ორგანიზმი, გადის განვითარების განსაზღვრულ სტადიებს: ზრდა, დასუსტება და კედომა. მეცნიერის აზრით, საერთო-საკაცობრიო ცივილიზაცია არასოდეს არსებობდა და არც იარსებებს. იგი სხვა არაფერია, თუ არა ცალკეული ცივილიზაციების ერთობლიობა.

ქრონოლოგიურად დანილევსკიმ გამოჰყო 10 კულტურულ-ისტორიული ტიპი (ცივილიზაცია): 1. ეგვიპტური, 2. ჩინური, 3. ასურულ-ბაბილონურ-ფინიკიური, 4. ინდური, 5. ირანული, 6. ებრაული, 7. ბერძნული, 8. რომაული, 9. ახალსემიტური ან არამეული, 10. გერმანულ-რომანული ან ევროპული. აქვე იგი ასახელებდა ორ ამერიკულ ტიპს — მექსიკურსა და პერუს, რომელთაც ვერ მოასწრეს განვითარების დასრულება და ძალადობრივი სიკვდილით დაიღუპნენ. ამ კულტურულ-ისტორიულმა ტიპებმა მთლიანად ან ნაწილობრივ ამოწურა თავიანთი შესაძლებლობანი. ოვისებრივად ახალ, ისტორიულად პერსპექტიულ ტიპად დანილევსკი მიიჩნეოდა „სლავურ-რუსულ ტიპს".

კულტურულ-ისტორიული ტიპების (ცივილიზაციათა) კლასიფიკაციასა და შეფასებას დანილევსკი ახდენდა იმის მიხედვით, თუ რამდენად იყო მათში განხორციელებული შემოქმედებითი მოღვაწეობის 4 ტიპი: რელიგიური, მხატვრულ-კულტურული, პოლიტიკური და საზოგადოებრივ-ეკონომიკური.

ამის შესაბამისად, პირველი კულტურები (ეგვიპტური, ჩინური, ბაბილონური, ინდური, ირანული) მოსამზადებელი, პირველადი კულტურები იყო. მათ ზემოთ აღნიშნული 4 ტიპიდან არც ერთი არ გამოუმუღაენებიათ.

ერთადაგუძელიან კულტურებადაა მიჩნეული ებრაული (მისი საფუძველი მხოლოდ რელიგიაა. სხვა სფეროში „მათ არ შეუქმნიათ არაფერი, რაც მათ თანამედროვეთა და მემკვიდრეთა ინტერესს დაიმსახურებდა"), ბერძნული (საფუძველი — მხოლოდ მხატვრულ-კულტურული სფერო) და რომაული (განვითარდა მხოლოდ პოლიტიკური მხარე) კულტურები.

საერთოდ, დანილევსკის აზრით, ცივილიზაციათა უმრავლესობა შემოქმედებითია ერთ ან რამდენიმე სფეროში. მაგალითად, ბერძნულმა ცივილიზაციამ მწვერვალებს მიაღწია მხატვრულ-

კულტურულ სფეროში, სემიტურმა — რელიგიაში, რომაულმა — სამართალსა და პოლიტიკური ორგანიზაციის სფეროში და ა.შ.

დანილევსკი, წინამორბედ ტიპებთან შედარებით, ბევრად განვითარებულად მიიჩნევს რომანულ-გერმანულ (დასავლეთევროპულ) კულტურულ-ისტორიულ ტიპს, რომელსაც იგი ორსაფუძვლიანად თვლის. მისი კრიზისის საფუძვლებს იგი ხედავს რელიგიურ, ფილოსოფიურ და პოლიტიკურ ანარქიაში, ნიპილიზმის გავრცელებაში.

რაც შეეხება „სლავურ-რუსულ ტიპს", დანილევსკი მას ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფად თვლიდა და მის ბრწყინვალე სამომავლო პერსპექტივებზე მიუთითებდა. ეს ტიპი „პირველად წარმოგვიდგენს კულტურული მოღვაწეობის ყველა სფეროს სინთეზს, ამ სიტყვის ფართო გაგებით — ყველა მხარეს, რომელიც ისტორიულ ასპარეზზე მუშაედებოდა მისი წინამორბედების მიერ ცალ-ცალკე თუ ერთად. ჩვენ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ სლავური ტიპი იქნება პირველი სრული ოთხსაფუძვლიანი კულტურულ-ისტორიული ტიპი", — წერდა დანილევსკი.

მკვლევრის აზრით, ერთი კულტურულ-ისტორიული ტიპის ძირითადი პრინციპები არ გადადის სხვა კულტურულ-ისტორიული ტიპის ხალხებზე. მაგალითად, არაარიულ და აღმოსავლეთის ხალხებში ბერძნული ცივილიზაციის გავრცელების მრავალრიცხოვანი ცდა კრახით დამთავრდა. ჩვენს დროში ინგლისელებმა განიცადეს მსგავსი მარცხი, როცა ცდილობდნენ ევროპული ცივილიზაციის ინდოეთში გადანერგვას.

ეს კანონზომიერება არ ვრცელდება ცივილიზაციის ცალკეულ ელემენტებსა და ნიშნებზე, რომლებიც შეიძლება გადავიდეს ერთი ცივილიზაციიდან მეორეს. უმარტივესი საშუალებაა კოლონიზაცია. ასე გადაიტანეს ფინიკიელებმა თავიანთი ცივილიზაცია კართაგენში, ბერძნებმა — სამხერთ იტალიასა და სიცილიაში, ინგლისელებმა — ჩრდილოეთ ამერიკასა და ავსტრალიაში. მეორე საშუალებაა ნამყენის გადატანა უცხო ხეზე. ნამყენი უცხო სხეულად რჩება, ექსპლოატაციას უწევს ხეს და არაყვერს აძლევს სანაცვლოდ. ელინისტური ალექსანდრია ასეთი ნამყენი იყო ეგვიპტურ ხეზე. მესამე გზა ურთიერთგანაყოფიერებაა, როცა ერთი ცივილიზაციის ფასეულობანი გამოიყენება მეორე ცივილიზაციის მიერ, თუკი ისინი მისი შესაფერისია.

ნ. დანილევსკი ხალხებს 3 ძირითად კლასად ჰყოფს: 1. ისტორიის პოზიტიური შემოქმედნი, რომლებმაც შეექმნეს დიდი ცივილიზაციები, ანუ კულტურულ-ისტორიული ტიპები; 2. ის-

ტორიის ნეგატიური შემოქმედნი (ჰუნები, მონღოლები, თურქები), რომლებსაც არ შეუქმნიათ დიდი ცივილიზაციები, მაგრამ ხელი შეუწყვეს დაუძლურებული, მომაკვდავი ცივილიზაციების დაღუპვას; 3. ხალხები, რომლებიც რატომღაც შეჩერდნენ განვითარების ადრეულ საფეხურზე და ამიტომ არ ასრულებენ არც ნეგატიურ, არც პოზიტიურ როლს ისტორიაში; ისინი წარმოადგენენ ეთნოგრაფიულ მასალას, რომელსაც შემოქმედი ხალხები იყენებენ თავიანთი ცივილიზაციების განაყოფიერებისა და გამდიდრებისათვის.

1918 წელს გამოქვეყნდა ო. შპენგლერის (1880-1936 წწ.) წიგნი "ევროპის დაცემა", რომელსაც უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა და, რომელიც იქცა მოვლენად არა მარტო კულტუროლოგიაში, არამედ ევროპულ კულტურაშიც.

შპენგლერის აზრით, არ არსებობს ერთიანი მსოფლიო ისტორია. ამ ისტორიას ქმნის რამდენიმე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი კულტურის სურათი, რომელთაგან თითოეულს საკუთარი ბედი აქვს. "მსოფლიო ხაზოვანი ისტორიის ულიმლამო სურათის ნაცვლად, მე ვხედავ მრავალი მძლავრი კულტურის ნამდვილ სპექტაკლს, რომლებიც აღმოცენდებიან დედა-ლანდშაფტიდან და პირველყოფილი სიცხოველით ჰყვავიან მასზე, მკაცრად მიჯაჭვული არიან მას მთელი თავიანთი განვითარებით, თავინთ მასალაზე — კაცობრიობაზე — სჭედენ საკუთარ ფორმას და გააჩნიათ საკუთარი იდეა, საკუთარი სიცოცხლე, სურვილები, გრძნობები, საკუთარი აღსასრული", — წერდა შპენგლერი.

მსოფლიო ისტორია, რომელიც 6 ათას წელს მოიცავს, 8 ერთმანეთისაგან იზოლირებული, თანაბარმნიშვნელოვანი კულტურის ისტორიაა. ესენია: ჩინური, ბაბილონური, ეგვიპტური, ინდური, ანტიკური, არაბული, დასავლური და მაიას კულტურები. არსებობენ კიდევ ჩანასახოვანი კულტურები, რომლებიც არ განვითარდნენ, ვერ მომწიფდნენ (მაგალითად, ხეთური ან სპარსული კულტურები).

შპენგლერმა შემოიტანა "კულტურის სულის" ცნება. მისი აზრით, ყველა კულტურას აქვს თავისი საკუთარი 'სული", რომელიც რეალიზდება მრავალრიცხოვან ინდივიდუალურ სიცოცხლეში. ყოველი კულტურის სული უნიკალურია და ბოლომდე არ გამოიხატება რაციონალური საშუალებებით. ამიტომაა ესოდენ ძნელი სხვა კულტურის ხალხის შინაგანი სამყაროს წვდომა, მათი სიმბოლოების, გრძნობების, რწმენათა ბუნების გაგება: "ყველა დიდ კულტურას ახასიათებს მსოფლ-შეგრძნების საიდუმლო ენა, რომელიც სრულად

გასაგებია მხოლოდ იმისათვის, ვისი სულიც მთლიანად ეკუთვნის ამ კულტურას". სხვა კულტურათა ფენომენი სხვა ენაზე ლაპარაკობს. სხვა ადამიანებისათვის არსებობს სხვა ჭეშმარიტებები.

კულტურა, შპენგლერის აზრით, ესაა სიმბოლურად გამოხატული აზროვნებრივი მთლიანობა (სისტემა), რომელშიც ბუნებრივად და მრავალფეროვანი საშუალებებით) რეალიზდება შესაბამისი სული.

შპენგლერი გამოყოფს სულის რამდენიმე სახეს: "აპოლონურს", "მაგიურს", "ფაუსტურს", რომლებიც, შესაბამისად, საფუძველად უდევს ბერძნულ, შუა საუკუნეების არაბულ და ევროპულ კულტურებს.

ყველა კულტურა თანაბარმნიშვნელოვანია და უნიკალური. თითოეულს აქვს არა მარტო საკუთარი ხელოვნება, არამედ საკუთარი ბუნებისმეტყველება და თვით ბუნებაც კი, რადგან ბუნება ადამიანის მიერ კულტურის მეშვეობით აღიქმება. ყოველ კულტურას აქვს ისტორიის საკუთარი ტიპი, რომელითაც იგი უშულოდ შეიგრძნობს და განიცდის ზოგადსა და კერძოს, მსოფლიო-ისტორიულსა და ბიოგრაფიულს.

კულტურა ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც სულიერი ცხოვრების იდუმალი ჭაობიდან იბადება და ცოცხალი ორგანიზმისათვის დამახასიათებელ ყველა საფეხურს გადის: ბავშვობას, სიმწიფეს, სიბერეს და სიკვდილს. კულტურა კვდება მაშინ, როცა მისი სული განახორციელებს თავის ყველა შესაძლებლობას ხალხთა, ენათა, რწმენა-წარმოდგენათა, ხელოვნებათა, სახელმწიფოთა, მეცნიერებათა სახით. დგება ცივილიზაციის ეპოქა. "როგორც კი მიზანი მიღწეულია, შინაგანი შესაძლებლობები ამოწურული, კულტურა ქვავდება, სისხლი უდედდება, ლონე ეცლება — იგი ცივილიზაციად იქცევა".

ყველა კულტურას თავისი ცივილიზაცია აქვს, იგი მოსდევს კულტურას, როგორც სიკვდილი — სიცოცხლეს, გაქვავება — განვითარებას, სულიერი მოხუცებულობა და გაქვავებული მსოფლიო ქალაქი — მიწის ბატონობას და სულის ბავშვობას. ცივილიზაცია გარდაუვალი დასასრულია; ღრმა შინაგანი აუცილებლობით ამ საფეხურს აღწევს ყველა კულტურა, — წერდა შპენგლერი, — ცივილიზაციად ქცეულმა კულტურამ შეიძლება კიდევ ასწლეულები იარსებოს, როგორც ულრან ტყეში გამხმარმა ხემ, რომელსაც შორს გაუწვდია თავისი უსიცოცხლო

ტოტემები. ასე დაემართა ეგვიპტეს, ჩინეთს, ინდოეთს, ისლამურ სამყაროს. ამ გიოლიათიანით იდგა იმპერიის ეპოქის უზარმაზარი ანტიკური ცივილიზაცია, ერთი შეხედვით — ჭაბუკური ძალით აღსავსე და ახშობდა აღმოსავლეთის ახალგაზრდა არაბულ კულტურას.

კულტურა სიცოცხლის ეტაპია, ცივილიზაცია — სიკვდილისა. კულტურა სულის ბატონობაა, ცივილიზაცია — ინტელექტისა. კულტურის ეტაპზე ღმერთის სიყვარულია, ცივილიზაციის საფეხურზე უღმერთობა ბატონობს. კულტურის საფეხურზე ადამიანი მიჯაჭვულია თავის საცხოვრებელ მხარეს, პატრიოტია, ცივილიზაციის საფეხურზე კი იგი მოხეტიალე კოსმოპოლიტია, ამ ეტაპზე ადამიანები მიისწრაფვიან დიდი, უსახო ქალაქებისაკენ. კულტურის ეტაპზე ადამიანის ენერგია მიმართულია შემოქმედებისაკენ, ცივილიზაციის ეტაპზე — დაპყრობისა და გაფართოებისაკენ. ცივილიზაციის ნიშანია იმპერიალიზმი, აგრეთვე პირიოდნების გაუფასურება და მასში გათქვეფა. ადამიანი კარგავს ღირებულებას და ძირითადი ფასეულობა ფული ხდება. ადამიანის ადგილს იკავებს და მას თანდათანობით იმორჩილებს მანქანა, რაც ბოლოს უღებს ყოველგვარ თავისუფლებას. კულტურა მადნით საავსე საბადოა, ცივილიზაცია კი იმ საბადოს ჰგავს, საიდანაც მადნის მთელი მარაგი ამოღებულია. „კულტურა და ცივილიზაცია — ესაა სულიერების ცოცხალი სხეული და მისი მუმია".

კულტურა ცოცხალია მანამ, სანამ იგი ინარჩუნებს ინტიმურ კავშირს ადამიანის სულთან. კულტურის სული არსებობს არა თავისთავად, არამედ ადამიანთა სულებში, რომლებიც ამ კულტურის ასრულებითა და ფასეულობებით ცხოვრობენ. თუ კულტურა აღარ იზიდავს და არ შთააგონებს ადამიანთა სულებს, იგი განწირულია. სწორედ აქ იმალება საფრთხე, რომელიც ცივილიზაციას მოაქვს. ცხოვრების პრაქტიკულ კეთილმოწყობაში ცუდი არაფერია, მაგრამ იგი მთლიანად შთანთქავს ადამიანს და კულტურისათვის აღარ რჩება სულიერი ძალები, „სულიერი ცხოვრება".

„ყოველგვარი ხელოვნება მიკვდავია, არა მხოლოდ ცალკეული ქმნილებები, არამედ თავად ხელოვნების დარგებიც. დადგება დრო, როცა არსებობას შეწყვეტს რემბრანდტის უკანასკნელი პორტრეტი და მოცარტის მუსიკის უკანასკნელი ტაქტი — თუმცა, შესაძლოა, დარჩეს ფერადი ტილო ან სანოტო ფურცელი, — რადგან გაქრება უკანასკნელი თვალი და უკანასკნელი

�ur, romelnaitsaci misaწedomi iqo maoi formebis ena", – წერდა შპენგლერი.

საინტერესოა შპენგლერის მიერ შემოთავაზებული „ერთდროულობის" („თანადროულობის") ცნების ახლებური გაგება. ნეკელებრივ, ერთდროულად ითელება დროში პარალელურად მიმდინარე მოვლენები. შპენგლერის მიხედვით კი, ერთდროულია ის ისტორიული მოვლენები, რომელთაც საკუთარ კულტურებში საკვანძო შესაბამისი მნიშვნელობა აქვთ და ერთნაირ მდგომარეობაში არიან. მაგალითად, ანტიკურ და დასავლურ კულტურებში ერთდროულია პითაგორა და დეკარტი, პლატონი და ლაპლასი, არქიმედე და გაუსი. ყველა კულტურისათვის ერთდროულია კულტურის გადასვლა ცივილიზაციაში. ანტიკურობაში ესაა ფილიპესა და ალექსანდრეს ეპოქა, დასავლეთში – რეფორმაციისა და ნაპოლეონის ეპოქა. ამ თვალსაზრისით ერთდროულია, ერთი მხრივ, სოკრატე, არისტოფანე, იზოკრატე, მეორე მხრივ, ვოლტერი, რუსო, მირაბო, ბომარშე. მათ, როგორც დაცემის ეპოქის მაუწყებელთ, ერთი და იგივე ნიშნები ახასიათებთ. რელიგიის, ხელოვნების, მეცნიერების, პოლიტიკის დიადი ქმნილებანი და ფორმები კულტურაში ერთდროულად აღმოცენდება და ერთდროულად ქრება, შინაგანი სტრუქტურებით ისინი საკვანძო შეესაბამებიან ერთმანეთს.

სულიერი ცხოვრების, ხელოვნების, პოლიტიკურ მოვლენათა ერთდროულობა შპენგლერმა წელიწადის დროთა მიხედვით განსაზღვრა. მისი აზრით, ინდოეთის კულტურის გაზაფხულს – მითოსურ პერიოდს – ანტიკურობაში შეესაბამება ჰომეროსის ოლიმპიური მითი, დასავლურ კულტურაში – გერმანული კათოლიციზმი. ინდური კულტურის ზაფხული წარმოდგენილია აზროვნების სიმწიფით, ბრამანიზმით და თავისებური რეფორმაციით, ანტიკური კულტურისა – დიონისეს კულტით, წინასოკრატელებით და პითაგორათი, არაბულისა – მონოფიზიტების გამოცოცხლითა და მაჰმადით, დასავლურისა – პროტესტანტიზმით, გალილეით, დეკარტეთი, პასკალითა და პურიტანობით; შემოდგომა ინდურ კულტურაში ცლინდება განმანათლებლობით, ანტიკურობაში – გონების ყოვლისშემძლეობის რწმენით, არაბულში – ბუნების კულტით, დასავლეთში – გონიერი რელიგიით. უკანასკნელი ეტაპია ზამთარი. ამ პერიოდში ყველა კულტურის საერთო ნიშანია საქალაქო ცივილიზაცია, სულიერი შემოქმედებითი ძალების ქრობა, ეთიკურ-პრაქტიკული რელიგიურობა.

ხელოვნების ერთდროულობის ცხრილში სამი პერიოდი შედის: პირველყოფილი, კულტურისა და ცივილიზაციის პერიოდი. პოლიტიკურ მოვლენათა ცხრილშიც სამი პერიოდია. პირველყოფილ პერიოდს შეესაბამება ხალხთა ეთნოგრაფიული ტიპები, კულტურის პერიოდს – პოლიტიკური იდეებისა და სახელმწიფოს მქონე ხალხები, ცივილიზაციის პერიოდს – მსოფლიო ქალაქი და კოსმოპოლიტიზმი ფულის დიქტატურით.

შპენგლერის აზრით, კულტურებს შინაგანი პერმეტულობა ახასიათებს. მათ არ ესმით ერთმანეთისა. ისინი მხოლოდ დროში არსებობენ ერთმანეთის შემდეგ, მაგრამ მათ შორის არაეითარი მემკვიდრეობითობა არ არის. ყოველი კულტურა თავისი სულის გამოვლენის შესაძლებლობებს მთლიანად თავის თავში ინახავს. მკვდარი კულტურიდან არაფერი რჩება და არაფერი გადადის ახლად შექმნილ კულტურაში, მაშინაც კი, როცა მათ შორის მსგავსებაა. მაგალითად, დასავლეთის კულტურა ანტიკური კულტურის მიღწევებს თავის იდეალად თვლის, ბაძავს მას, ცდილობს მასთან დაახლოებას, მაგრამ სინამდვილეში დასავლურ სამყაროს ანტიკურობიდან მემკვიდრეობით არაფერი მიულია. ერთი შეხედვით გვეჩვენება, თითქოს ანტიკურობამ რაღაც ტრადიცია გადასცა არაბულ კულტურას, მაგრამ ეს ასე არ არის. ანტიკური არისტოტელე, არაბული არისტოტელე და ახალი დროის არისტოტელე ერთმანეთისაგან განსხვავდება. ყოველ კულტურას არისტოტელეს საკუთარი გაგება აქვს, მაშასადამე, საკუთარი არისტოტელე ჰყავს. სწორედ ასევე, ანტიკურმა ადამიანმა შინაგანად ვერაფერი აითვისა ბაბილონური და ეგვიპტური კულტურებიდან, თუმცა, მან მშვენივრად იცოდა ქრონოლოგია, კალენდარი და გააჩნდა ამწუთიერი სინამდვილის წარმავლობის გრძნობა.

ამრიგად, შპენგლერის მიხედვით, ერთიანი მსოფლიო ისტორია ილუზიაა, რომელიც რაციონალიზმის შექმნილია. კულტურები იღუპება ისე, რომ არაფერს გადასცემს ერთმანეთს. ისინი აბსოლუტურად შეუღწევადია.

შპენგლერმა დასვა რიგი საკითხები, რომლებიც მომდევნო თაობის მეცნიერთა კვლევის ობიექტი გახდა.

ი. შპენგლერის ხაზს აგრძელებს, თუმცა, მას ეველაფერში არ ეთანხმება ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი **არნოლდ ჯოზეფ ტოინბი (1889–1975 წწ.)**, რომლის ნააზრევი ლოკალური ცივილიზაციების თეორიის კულმინაციად შეიძლება ჩაითვალოს.

ა. ტოინბის 30-წლიანი მუშაობის შედეგია ცნობილი ფუნდამენტური ნაშრომი „ისტორიის კელეა“ 14 ტომად.

ტოინბიმ მიზნად დაისახა გამოეყო ისტორიის შესწავლის სფერო, რომელიც თავისთავად იქნებოდა დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ერთეული. ასეთად მან მიიჩნია ცივილიზაციები — საზოგადოებები, რომლებიც ნაციონალურ სახელმწიფოს აღემატებიან დროსა და სივრცეში. ცივილიზაცია ურიცხვი ინდივიდისა და მრავალი თაობის ქმნილებაა. სოციალური ცხოვრება ცივილიზაციის დონეს მხოლოდ იმ შემთხვევაში აღწევს, როცა ადამიანის სულისა და გარემოს ურთიერთქმედებაში დომინირებს პირველი — ადამიანის სული; იგი არ ითრგუნება გარემოთი (როგორც ცენტრალური აფრიკის ან ბრაზილიის ტროპიკულ ტყეებში) და არ ეგუება მას (როგორც ცენტრალური აზიის ან არაბეთის სტეპების მომთაბარეებში), არამედ გარემოს თავისი მიზნებისათვის იმორჩილებს.

ტოინბი ერომანეთისაგან განასხვავებს ცივილიზებულ და პრიმიტიულ საზოგადოებებს. ამ უკანასკნელთ შედარებით ხანმოკლე სიცოცხლე აქვთ, გეოგრაფიულად შეზღუდულნი და დემოგრაფიულად მცირერიცხოვანნი არიან. ტოინბიმ გამოიყო 650 პრიმიტიული საზოგადოება და 21 ცივილიზაცია: 7 ცოცხალი და 14 მკვდარი; ცალკე ჯგუფში მოაქცია 4 თუ 5 მკვდარი და ამდენივე მკვდრადშობილი ცივილიზაცია.

ტოინბის აზრით, ცივილიზაციის გენეზისი აიხსნება არა რასობრივი ფაქტორით ან გეოგრაფიული გარემოთი, არამედ ორი პირობის სპეციფიკური კომბინაციით: მოცემულ საზოგადოებაში შემოქმედებითი უმცირესობის არსებობით და გარემოთი, რომელიც არ არის არც მეტისმეტად ხელსაყრელი, არც მეტისმეტად არახელსაყრელი. ასეთ პირობებში ცივილიზაციის წარმოშობა წარმოდგენილია როგორც „გამოწვევა-პასუხის“ ურთიერთქმედება.

ცივილიზაციის ზრდა-განვითარება არის საზოგადოების ქარიზმატული (ღვთის რჩეული) უმცირესობის მიერ ყოველ ახალ „გამოწვევაზე“ ახალი წარმატებული „პასუხის“ მოძებნა.

მსარდ ცივილიზაცია მუდმივი მთლიანობაა. მისი საზოგადოება შედგება შემოქმედებითი უმცირესობისა და უმრავლესობისაგან, რომელიც თავისუფლად მიჰყვება და ბაძავს უმცირესობას. თავის მხრივ, უმრავლესობა მოიცავს საზოგადოების შინა პროლეტარიატს და გარეშე პროლეტარიატს, რომელსაც ბარბაროსი მეზობლები შეადგენენ. ასეთ საზოგადოებაში არ არის იმპერიამკვლელი ომები და შეურიგებელი წინააღმდეგობანი.

21 (ხან 23) ცივილიზაციიდან 14 მაინც დღეს აღარ არსებობს, ნაწილი განადგურების პირასაა, ნაწილი კი რღვევა-დაქვეითების ნიშნებს ამჟღავნებს. რა იწვევს ცივილიზაციათა დაქვეითებასა და დაღუპვას? ტოინბის აზრით, დაცემა არ შეიძლება მიეწეროს კოსმოსურ მიზეზებს, გეოგრაფიულ ფაქტორს, რასობრივ გადაგვარებას ან გარეშე მტრის შემოსევას, რომლებიც, როგორც წესი, განამტკიცებენ მზარდ ცივილიზაციას; არც ტექნიკის და ტექნოლოგიის დაქვეითებას, რაც ცივილიზაციის კვდომის სიმპტომია ან შედეგი და არა მიზეზი. ტოინბის მიხედვით, დაცემის სტადია შეადგება ბზარის გაჩენის, დაშლისა და დაღუპვის საფეხურებისაგან. პირველსა და ბოლოს შორის ზოგჯერ ასწლეულები და ათასწლეულებიც კი გაიელის. მაგალითად, ეგვიპტური ცივილიზაციის ბზარი გაჩნდა ძვ.წ. XVI საუკუნეში, მაგრამ მან არსებობა მხოლოდ ახ.წ. V საუკუნეში შეწყვიტა; ეს პერიოდი მოიცავს 2000-წლიან „გაქვაებულ", „ცოცხალ-მკვდარ" არსებობას. რაც შეეხება უშუალოდ დაცემას, იგი, ტოინბის მიხედვით, შემდეგნაირად წარმოგვიდგება: გარკვეულ საფეხურზე შემოქმედებითი უმცირესობა იწყებს მიღწეულით ტკბობას, ეთაყვანება შეჭარდებით ფასეულობებს, რომლებიც აბსოლუტურის რანგში აყენებს. იგი კარგავს ქარიზმატულ მიმზიდველობას, უმრავლესობა აღარ ბაძავს და აღარ მიჰყვება მას. ამიტომ სულ უფრო ხშირად ხდება საჭირო ძალის გამოყენება „შინა და გარეშე პროლეტარიატის" კონტროლისათვის. ამ პროცესში უმცირესობა ქმნის „უნივერსალურ (მსოფლიო) სახელმწიფოს", რომის იმპერიის მსგავსს, რომელიც შექმნა გაბატონებულმა ელინისტურმა უმცირესობამ საკუთარი თავისა და ცივილიზაციის შესანარჩუნებლად. იგივე უმცირესობა იწყებს ომებს და თვითონ მიუყავს საკუთარი თავი და ცივილიზაცია დაღუპვამდე. მაშინ „შინა პროლეტარიატი" გამოეყოფა უმცირესობას და ხშირად ქმნის „უნივერსალურ (მსოფლიო) ეკლესიას", მაგალითად, ქრისტიანობას ან ბუდიზმს როგორც თავის საკუთარ სარწმუნოებას. ამრიგად, საზოგადოების არაშემოქმედებითი ძალები ახორციელებს შემოქმედებით აქტს. როცა გაბატონებული უმცირესობის „უნივერსალური სახელმწიფო" ემხობა, „შინა პროლეტარიატის" „უნივერსალური ეკლესია" (მაგალითად, ქრისტიანობა) ასრულებს ხიდისა და საფუძვლის როლს ახალი ცივილიზაციისათვის, რომელიც გაუცხოებულია ძველისაგან და, ამავე დროს, მისი მემკვიდრეა. „გარეშე პროლეტარიატი" ორგანიზდება და იმის ნაცვლად, რომ შეეზარდოს დაცემის პირას მყოფ ცივილიზაციას, იწყებს მასზე შეტევას. ამას

მოსვლება განხეთქილება და ძმათამკელელი ომები. უკეთეს შემთხვევაში, ცივილიზაცია „ქვაფდება“ და „გაქვავებული“ მდგომარეობა შეიძლება ათასწლეულები გაგრძელდეს.

ტოინბი არ იზიარებდა შპენგლერის ჩაკეტილი ციკლურობის თეორიას. იგი არ გამორიცხავდა ცივილიზაციათა შორის მემკვიდრეობას. მაგალითად, დასავლეთის ცივილიზაციას იგი ელინური ცივილიზაციის შვილს უწოდებდა. მისი აზრით, აბსოლუტური ხდეარი კულტურებს შორის ილუზიაა. ასეთი ზღვრის გაკვლება აიოლებს კლასიფიკატორის ამოცანას, მაგრამ ეს აშკარა ძალადობაა ისტორიაზე. ემპირიული მრავალფეროვნების მიუხედავად, ისტორიული პროცესი მთლიანობაში უნდა განიხილებოდეს.

შპენგლერის კეალდაკვალ, ტოინბი ზოგ ცივილიზაციაში ხედავს გაბატონებულ ტენდენციას: ესთეტიკურს — ელინურში, რელიგიურს — ინდურში (ინდის ხეობის), მექანისტურ-ტექნიკურს — დასავლურში.

ტოინბის მიხედვით, ძველი ცივილიზაციის დაცემა და მემკვიდრე ცივილიზაციის აღმოცენება წინგადადგმული ნაბიჯია მუდმივ პროცესში — მოძრაობაში ადამიანიდან ზეადამიანამდე, „ამქვეყნიურიდან ღვთიურ სასუფეველამდე“.

უკანასკნელ წლებში ფართო დისკუსიის საგანი გახდა ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის, პარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის, ამავე უნივერსიტეტთან არსებული სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის დირექტორის **სემუელ ჰანთინგტონის** კულტუროლოგიური ჰიპოთეზა, რომლის თანახმად, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ახალი მსოფლიოსათვის კონფლიქტების წყარო იქნება არა იდეოლოგია და ეკონომიკა, როგორც აქამდე, არამედ სხვადასხვა ცივილიზაციისადმი კუთვნილება. კაცობრიობის გამყოფი უმნიშვნელოვანესი საზღვრები და კონფლიქტთა უმთავრესი წყაროები განპირობებული იქნება კულტურული სხვაობით.

ერი-სახელმწიფო კვლავაც რჩება საერთაშორისო ურთიერთობათა მთავარ მოქმედ პირად, მაგრამ გლობალური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი კონფლიქტები გაიშლება ერებსა და ჯგუფებს შორის, რომლებიც სხვადასხვა ცივილიზაციას ეკუთვნიან.

ცივილიზაციას ჰანთინგტონი განსაზღვრავს როგორც „უმაღლესი რანგის კულტურულ ერთობას, ადამიანთა კულტურული იდენტურობის ყველაზე მაღალ დონეს. მომდევნო საფეხურს შეადგენს უკვე ის, რაც განასხვავებს ადამიანთა მოდგმას

ცოცხალ არსებათა სხვა სახეობებისაგან. ცივილიზაცია განისაზღვრება ობიექტური ხასიათის საერთო ნიშნების არსებობით, როგორიცაა ენა, ისტორია, რელიგია, ზნე-ჩვეულებანი, ინსტიტუტები; აგრეთვე ადამიანთა სუბიექტური თვითიდენტიფიკაციით... ცივილიზაცია ქვეყნებზე ეროვნული დონეა იმ ერთობისა, რომელსაც ადამიანი თავს "შეაფარებს".

საუკუნეახალგაზრდის მანძილზე ვესტფალის ზავის შემდეგ, რომელმაც სამოაყალიბა თანამედროვე საერთაშორისო სისტემა, დასავლეთის არეალში კონფლიქტები წარმოიშობოდა ხელმწიფეთა (მეფეთა, იმპერატორთა, კონსტიტუციურ მონარქთა) შორის, რომლებიც ესწრაფვოდნენ თავიანთი ბიუროკრატიული აპარატის გაფართოებას, არმიის გაზრდას, ეკონომიკური ძლიერების განმტკიცებას, რაც მთავარია — ახალი მიწების შემოერთებას. ამ პროცესმა წარმოშვა ერი-სახელმწიფოები.

შემდგომში, საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ, კონფლიქტების ძირითადი ხაზები გადმოდა არა ხელმწიფეთა, არამედ ერებს შორის.

ეს მოდელი შენარჩუნებული იყო მთელი XIX საუკუნის მანძილზე და მას ბოლო მოუღო პირველმა მსოფლიო ომმა. რუსეთის რევოლუციისა და მასზე რეაქციის შედეგად ერების კონფლიქტმა ადგილი დაუთმო იდეოლოგიათა კონფლიქტს, რომლის მონაწილეთა თვითიდენტიფიკაცია ფორმულირდებოდა იდეოლოგიური კატეგორიებით.

ქვეყნა ეს კონფლიქტი, ძირითადად, დასავლური ცივილიზაციის კონფლიქტებს წარმოადგენდა. „ცივი ომის" დამთავრებასთან ერთად დასრულდა საერთაშორისო პოლიტიკის განვითარების დასავლური ფაზა. წინ წამოიწია ურთიერთობამ დასავლურ და არადასავლურ ცივილიზაციებს შორის. ამ ახალ ეტაპზე არადასავლური ცივილიზაციის ქვეყნები და ერები უკვე აღარ გამოდიან ისტორიის ობიექტთა — დასავლეთის კოლონიური პოლიტიკის სამიზნეთა — როლში, არამედ, დასავლეთის მსგავსად, თვითონ ქმნიან და წარმართავენ თავიანთ ისტორიას.

მისი აზრით, ცივილიზაციური იდენტურობის როლი სულ უფრო გაიზრდება და მსოფლიოს სახე ჩამოყალიბდება შვიდი-რვა დიდი ცივილიზაციის ურთიერთობის პროცესში. ესენია: დასავლური, კონფუციური, იაპონური, ისლამური, ინდუისტური, მართლმადიდებლურ-სლავური, ლათინურ-ამერიკული და, შესაძლოა, აფრიკული ცივილიზაციები.

თავისი თეალსაზრისის დასასაბუთებლად ჰანთინგტონს შემდეგი არგუმენტები მოჰყავს:

1) ცივილიზაციათა შორის განსხვავება არა მხოლოდ რეალურია, არამედ ყველაზე მნიშვნელოვანიც. სხვადასხვა ცივილიზაციის ადამიანები სხვადასხვაგვარად უყურებენ ურთიერთობას ღმერთსა და ადამიანს, ინდივიდსა და ჯგუფს, მოქალაქესა და სახელმწიფოს, მშობლებსა და შვილებს, ცოლსა და ქმარს შორის; განსხვავებული წარმოდგენა აქვთ უფლებათა და მოვალეობათა, თავისუფლებისა და იძულების, თანასწორობისა და იერარქიულობის შეფარდებით მნიშვნელობაზე. ეს განსხვავებანი უფრო ფუნდამენტურია, ვიდრე იდეოლოგიური ან პოლიტიკურ რეჟიმებს შორის სხვაობა.

2) მსოფლიო სულ უფრო „მჭიდროედება". სხვადასხვა ცივილიზაციათა მზარდი ურთიერთქმედება იწვევს ცივილიზაციური თვითშეგნების ზრდას. ამერიკელები გაცილებით მტკივნეულად რეაგირებენ იაპონურ კაპიტალდაბანდებებზე, ვიდრე მნიშვნელოვნად უფრო მსხვილ ინვესტიციებზე კანადიდან და ევროპის ქვეყნებიდან.

3) ეკონომიკური მოდერნიზაციისა და სოციალურ ცვლილებათა კვალობაზე მცირდება ერი-სახელმწიფოს როგორც იდენტიფიკაციის წყაროს როლი. წარმოქმნილი სიცარიელე, უმეტეს შემთხვევაში, რელიგიით იკვება, ხშირად – ფუნდამენტალისტურ მოძრაობათა სახით. მკვლევრები ამას „ღმერთის რევანშს" უწოდებენ.

4) ცივილიზაციური თვითშეგნების ზრდას ბიძგს აძლევს დასავლეთის როლის გაორება. ერთი მხრივ, დასავლეთი თავისი ძლიერების მწვერვალზეა, მეორე მხრივ (და, შეიძლება, სწორედ ამიტომ), არადასავლურ ცივილიზაციებში მიმდინარეობს საკუთარი ფესვებისაკენ მიბრუნების პროცესი. სულ უფრო ხშირად ესაუბრობთ აზიაში იაპონიის „დაბრუნების", ინდოეთში ნერუს იდეების აღსასრულისა და მისი „ინდუიზაციის", მახლობელი აღმოსავლეთის „რეისლამიზაციის" შესახებ. ძლიერების მწვერვალზე მყოფი დასავლეთი უპირისპირდება არადასავლურ ქვეყნებს, რომელთაც საკმაო ძალა, რესურსები და სურვილები გააჩნიათ, რომ მსოფლიოს არადასავლური იერი მიანიჭონ. წარსულში არადასავლური ქვეყნების ელიტას, ძირითადად, შეადგენდნენ დასავლეთისაკენ მჭიდროდ დაკავშირებული ადამიანები, რომელთაც განათლება ოქსფორდსა თუ სორბონაში მიიღეს და შეითვისეს დასავლური ფასეულობანი თუ ცხოვრების სტილი. ამ ქვეყნების მოსახლეობა კი განუყრელად იყო დაკავშირებული ტრადიციულ

კულტურასთან. ახლა სურათი საპირისპიროდ შეიცვალა: მიმდინარეობს ელიტათა დეევესტერნიზაციის პროცესი, მოსახლეობის ფარითი ფენებში კი პოპულარული ხდება დასავლური (უმთავრესად ამერიკული) ცხოვრების სტილი და კულტურა.

5) კულტურული თავისებურებანი გაცილებით ძნელად ექვემდებარება ცვლილებებს, ვიდრე ეკონომიკური და პოლიტიკური. ყოფილ საბჭოთა კავშირში კომუნისტები შეიძლება გადაიქცნენ დემოკრატებად, მდიდრები – ღარიბებად, ღარიბები – მდიდრებად, მაგრამ რუსები ვერაფრით გახდებიან ესტონელები, აზერბაიჯანელები კი ვერ იქცევიან სომხებად.

ამ არგუმენტების გარდა, პანთინგტონი მიუთითებს ეკონომიკური რეგიონალიზმის გაძლიერებაზე, რაც, მისი აზრით, განამტკიცებს ცივილიზაციური იდენტურობის შეგნებას. მეორე მხრივ, ეკონომიკური რეგიონალიზმი შეიძლება წარმატებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ცივილიზაციურ ერთიანობას ეფუძნება. ევროპის თანამეგობრობა ემყარება ევროპული კულტურისა და დასავლური ქრისტიანობის ერთიან საფუძველს. თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილოამერიკული ზონის წარმატება განპირობებულია მექსიკის, კანადისა და აშშ-ის კულტურათა დაახლოებით. მაგრამ უფრო ფართო ეკონომიკური ერთობის შექმნის მცდელობას, რომელიც მოიცავდა კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებსა და ცენტრალურ ამერიკასაც, წარმატება არ მოპყოლია – ინგლისურ და ლათინურ კულტურებს შორის ხიდის გადება არ ხერხდება. ასევე, იაპონიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყნების კულტურათა შორის განსხვავება აბრკოლებს რეგიონალურ ეკონომიკურ ინტეგრაციას, მიუხედავად საერთოსავაჭრო, ეკონომიკური და ფინანსური ინტერესებისა.

პანთინგტონი აღნიშნავს, რომ როგორც კი ლიკვიდირებულ იქნა ევროპის იდეოლოგიური დაყოფა, ანუ იდეოლოგიის „რკინა ფარდა“, იგი კულტურის „ხაევრდის ფარდამ“ შეცვალა.

მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ დასავლური ცივილიზაცია უნივერსალურია და ყველასათვის მისაღები. ზედაპირულად დასავლური კულტურა მართლაც მოედო დანარჩენ სამყაროს, მაგრამ სიღრმისეულად დასავლური წარმოდგენები და იდეები ძირეულად განსხვავდება სხვა ცივილიზაციათა ასეთივე წარმოდგენებისაგან. ისლამურ, კონფუციურ, იაპონურ, ინდუისტურ, ბუდისტურ, მართლმადიდებლურ კულტურებში თითქმის ვერ პოულობს გამოძახილს ისეთი დასავლური იდეები, როგორებიცაა ინდივიდუალიზმი, ლიბერალიზმი, კონსტიტუციონალიზმი,

II. მსოფლიო კულტურის ისტორია პირველყოფილი (პრეისტორიული) საზოგადოების კულტურა

შესავალი. ზოგადი მიმოხილვა*

ტერმინები — პრეისტორიული და პირველყოფილი დაკავშირებულია კულტურის ისტორიის ყველაზე ხანგრძლივ პერიოდთან, რომელიც იწყება ადამიანის — ზოგადად ჰომოს გვარის პირველივე სახეობის Homo habilis-ის წარმოშობისთანავე, სულ ცოტა 2 მილიონი წლის წინათ და მთავრდება ცივილიზაციების ჩამოყალიბებასთან ერთად V ათასწლეულში. პრეისტორიული პერიოდი კულტურის ისტორიაში დასრულდა დამწერლობის წარმოშობასთან ერთად, რომელიც, თავის მხრივ, სათაეეს უდებს ეთნოისტორიას, წერილობით წყაროებზე დაფუძნებულ ისტორიას; ამიტომ ანსხვავებენ პრეისტორიულ და ისტორიულ ეტაპებს. პრეისტორია და ეთნოისტორია კაცობრიობის კულტურული განვითარების ორი სხვადასხვა ეტაპია. დროის ხანგრძლივობის მიხედვით პირველი ორასჯერ და მეტად აღემატება მეორეს. ეს დროსა და სივრცეში მისი პროგრესული აღმავლობისა და განვითარების ტემპის დაჩქარების დამადასტურებელია. კულტურის ისტორიის ასეთი დაყოფა გამოწვეულია მისი შემსწავლელი წყაროების სპეციფიკით, რომელსაც საისტორიო მეცნიერების ესა თუ ის დარგი ეყრდნობა. საბჭოთა მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში ტრადიციულად უარყოფენ ტერმინს — პრეისტორიული და კულტურის ისტორიის ამ საწყისი ეტაპის გამოსარჩევად ცნებას — "პირველყოფილს" ირჩევდნენ. მას თვლიდნენ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირველ საფეხურად, რომელსაც "პირველყოფილი ფორმაციას" უწოდებდნენ. კულტურის ისტორიას კი განიხილავდნენ როგორც ფორმაციების კანონზომიერ მონაცვლეობას, რომლის უმაღლეს საფეხურად კომუნისტური საზოგადოება წარმოედგინათ. დღეისათვის კულტურა გაიაზრება არამარტო როგორც საზოგადოების სულიერ-მატერიალურ ღირებულებათა ერთიანობა ქრონოლოგიურ-თანამიმდევრული მოვლენა, არამედ როგორც ეეოლუციური სისტემა, ყველა ხალხისა და ყველა დროის ერთობლიობაში გამოსახული. კულტურა მხოლოდ ადამიანის

---

* მადლობას მოვახსენებთ პროფ. არნოლდ გეგეჭკორს ნაშრომის ხელნაწერის გაცნობისა და საყურადღებო რჩევებისათვის.

კუთვნილებაა და ის განიხილება როგორც ბუნების, სამყაროს ორგანული, მაგრამ მასთან დაპირისპირებული ნაწილი. როგორც ნიცშე აღნიშნავდა: "ჩვენ ვართ გვირგვინი ბუნებისა", ხოლო ჩვენი ისტორია "ცხოველთა და მცენარეთა ისტორიის გაგრძელებაა". ადამიანებს, ასევე მის "მცირე მოძმეებს", აქვთ ერთნაირი ბუნებრივი მოთხოვნილებანი და სურვილები. მათ ადამიანებივით სჭირდებათ სიყვარული და მოფერება, საჭმელ-სასმელი, თავშესაფარი, საკუთარ თავდაცვაზე ზრუნვა, "ტყავის" დაცვა დ სხვ. მათგან განსხვავებით, მხოლოდ ადამიანს აქვს საკუთარ ფასეულებათა სისტემა და მისი განცდა, კულტურის თვითდამკვიდრებისაკენ სწრაფვა და საკუთარი ადამიანური სულიერი თვისებების, პრიორიტეტების დემონსტრირება, რაც ბიოლოგიური აუცილებლობით სულაც არ ჩანს განპირობებული. ესაა სურვილის, მოქმედებისა და გონის ერთობლიობა. ადამიანი სოციალური არსებაა, რომლის მეობის განცდა ორიენტირებულია იმ ფასეულობაზე, რომელსაც პირველყოფილი საზოგადოება, პირველყოფილი ჯოგის წევრები უყენებენ მას. ამიტომაც, უნდა ვიფიქროთ, რომ კულტუროგენეზის საწყისი ეტაპიდანვე ინტელექტს არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვიდრე ფიზიკურ ძალას და სიკვდილის შიშის — თვითგადარჩენის ინსტინქტის დათრგუნვას. ამგვარად, პირველყოფილი კულტურაც უპირატესად გონის, ადამიანის სულიერი შემოქმედების და მატერიალური შესაძლებლობების რეალიზაციაა, რომელიც იმთავითვე გიაზრებოდა სამ განზომილებაში — წარსულში, აწმყოსა და მომავალში.

პრეისტორიულ ადამიანთან, პრეისტორიული საზოგადოების საწყისებთან არის დაკავშირებული კულტუროგენეზი და სოციოგენეზი, საზოგადოების (socialis ლათ., საზოგადოებრივი) დაბადება. შესაბამისად განუზომელია პრეისტორიული საზოგადოების ადგილი და მნიშვნელობა მსოფლიო კულტურის ისტორიაში. ცნობილი ამერიკელი ეთნოლოგი ჯეიმს ფრეზერი (1854-1941 წწ.) ამბობდა: "კაცობრიობის კეთილისმყოფელთა შორის, რომელთა პატივისცემა, არდავიწყება ჩვენი ვალია, ბევრნი, თუ უმრავლესობა არა, პირველყოფილი ადამიანები იყვნენ". კაცობრიობის ისტორიულ ათასწლეულებში მოღვაწე იმ კულტურულ ფასეულობათა შემქმნელების შესახებ, თუმცა, ძველ ეგვიპტულ, შუმერულ-აქადურ, ჩინურ, ინდურ, თუ ბერძნულ მითოსურ აზროვნებაში მაინც აისახა ე.წ. კულტურულ გმირთა ცალკეული განყენებული სახეები. სწორედ ისინი აზიარებენ "საწყალ და ბეჩავ ადამიანებს" კულტურას, ასწავლიან რა ცხოველებისათვის აუ-

ცილებელი საგნების, ცეცხლი იქნება ეს, თუ ქვის იარაღები, გამოყენებას. შუმერების წარმოდგენით, „პირველყოფილი ადამიანი“ თავდაპირველად არ განსხვავდებოდა ცხოველისაგან, მას არ აქვნდა ელემენტარული კულტურული ნიშნები. ის პარმონიულ ერთობლიობაშია ბუნების სხვა შვილებთან, ცხოველთა სამყაროსთან; პირველყოფილი ადამიანი „ფლობს“ ცხოველთა ენას. თანდათანობით ითვისებს კულტურას, შეიმუშავებს „ქვეყნის წესს“. თუ თავდაპირველად ბალანი მოსავს მის სხეულს და ფაფარიკით აქვს თმები თავზე, შემდგომ ზრუნავს თავის გარეგნულ სახეზე და უპირისპირდება ბუნებას, „განეცალა გონება“, „გაბრძენდა“, „ადამად გადაიქცა“. არ შეიძლება ამ პრეისტორიული, პირველყოფილ უძველეს საზოგადოებას „პრიმიტიული“ ეწოდოთ, რადგან ისინი ასეთ შემოხვეულში ვერ გაიაზრებიან თანამედროვე კულტურული სამყაროს, მისი განვითარების საფუძველად; თანამედროვე ცივილიზაციებს დღესაც პირველყოფილი ადამიანების საერთო კულტურული მონაპოვარი, სულიერი გამოცდილება ასაზრდოებს. ადამიანის სულიერი კულტურული საწყისები მისი განვითარების გარიჟრაჟზე ყველგან ერთნაირია. როგორც დავრწმუნდით, ძველი ცივილიზაციების წარმომადგენლებს არ ეპარებოდათ ეჭვი ბუნებისა და ადამიანის, სამყაროს ერთიანობაში; მაშინ არსებული წარმოების საშუალებები, ქვის იარაღები არ იძლეოდა საშუალებას ცალ-ცალკე, ინდივიდუალურად, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ებრძოლათ ბუნების შეუცნობი მტრული ძალების წინააღმდეგ; პირველყოფილი ადამიანები იძულებული იყვნენ კოლექტიურად წარემართათ სამეურნეო, თუ სხვა მოღვაწეობა, გაეერთიანებინათ შრომითი ძალისხმევა, ეს იქცა მათი პირველი სოციალური გაერთიანების, ე.წ. პრაოემის წარმოშობის საფუძვლად, რასაც პირველყოფილ ჯოგურ წყობასაც უწოდებენ. პირველყოფილი ადამიანების ერთობლივმა შრომა-საქმიანობამ ათასწლეულების განმავლობაში ჩამოაყალიბა საერთო საკუთრება წარმოების საშუალებებზე, თანასწორუფლებიანობა საკვები პროდუქტების, ნანადირევის განაწილებისა და მოხმარების პროცესში. მართალია, კერძო საკუთრება მხოლოდ კლასობრივი საზოგადოების ცივილიზაციებისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ პირადი საკუთრების ადრეული ფორმები, ეჭვს გარეშეა, პრეისტორიულ საზოგადოებაში შკ�არსებობდა. უპირატესად ეს იყო ის იარაღი, რომლითაც პირველყოფილი ადამიანი თავს იცავდა, ნადირობდა, ნანადირევის ტყავისაგან ამზადებდა ტანსაცმელს. ეთოლუციონისტთა

თვალსაზრისით, კულტურული განვითარების ეს პროცესები ათასწლეულს მოიცავს. მას საფუძვლად ფიზიკური არსებობისათვის ბრძოლა უდევს, რაც უშუალოდაა დაკავშირებული საკვების მოპოვებასთან. გამოანგარიშებულია, რომ ადამიანი საშუალოდ, თავის ცხოვრების მანძილზე 22 ტონა საკვებსა და 30 ტონა სითხეს იღებს!

კულტურის გენეზისი წარმოუდგენელია თავად ადამიანის შინაგანი სამყაროს, გონის, აზროვნებისა და მეტყველების განვითარების გარეშე. ეფიქრობთ, რომ აბსტრაქტული აზროვნების ელემენტები უკვე ადამიანის შორეულ წინაპარს ახასიათებდა. დედამიწის ზურგზე არ არსებობდა ხალხი, რომლებსაც ლაპარაკი არ სცოდნოდათ. ენა იყო და რჩება კულტურის განვითარების ძირითად საშუალებად. სხვა საქმეა, რომ ენა, ისევე როგორც კულტურა, ნელა ვითარდებოდა ათასწლეულთა განმავლობაში; მისი ლექსიკური მარაგი პირდაპირაა დაკავშირებული კულტურული განვითარების, გარემომცველი სამყაროს შემეცნების დონესთან.

პირველყოფილი, ანუ პრეისტორიული საზოგადოების კულტურის ისტორიის წყაროები. პრეისტორიული საზოგადოების კულტურის შესწავლა შესაბამისი საისტორიო წყაროების გარეშე შეუძლებელია. ძირითადად, ეს არაწერილობითი ხასიათის ის წყაროებია, წარსულის ის ძეგლებია, რომლებიც გვაძლევენ საშუალებას წარმოვიდგინოთ პრეისტორიულ საზოგადოებაში მიმდინარე კულტურულ-ისტორიული პროცესები. განსაკუთრებით ფასეულია არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემები, რომლებიც ავსებენ ერთმანეთს და გვაძლევენ კულტურის განვითარების უტყუარ სურათს, კაცობრიობის განვითარების ამ უძველეს და უაღრესად მნიშვნელოვან ეტაპზე. მეცნიერული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, რომელიც XIX საუკუნეში დაიწყო, გამოვლენილია პირველყოფილი საზოგადოების ნივთიერი კულტურის მრავალფეროვანი ძეგლები: ქვის იარაღები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, საკულტო დანიშნულების საგნები, სამკაულები და სხვ. ისინი გარკვეულად ასახავენ პირველყოფილი საზოგადოების ეკონომიკური განვითარების დონეს და ტექნიკური პროგრესის ძირითად მიმართულებებს, მაგრამ მაინ მეშვეობით ვერ წარმოვიდგენთ პირველყოფილი საზოგადოების სულიერ ცხოვრებასა და მის სოციალურ ორგანიზაციას. ამასთანავე, მატერიალური კულტურა ყოველთვის როდი გამოდგება ამა თუ იმ პირველყოფილი საზოგადოების კულტურის ზოგადი დონის და-

სახასიათებლად. მაგალითად, პოლინეზიელებს არ ჰქონდათ თიხის ჭურჭელი, მშვილდ-ისრები, მაგრამ საზოგადოებრივი განვითარებით, სოციალური ორგანიზაციის თვალსაზრისით მელანეზიელებზე მაღლა იდგნენ, რომლებიც კერამიკასაც იყენებდნენ და მშვილდ-ისრებსაც. როდესაც XVIII საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო ავსტრალიის კონტინენტის ევროპული კოლონიზაცია, მეცნიერებმა იმთავითვე მიაქციეს ყურადღება შემდეგ გარემოებას: აბორიგენები სულიერი განვითარების დონით ბევრად უსწრებდნენ მატერიალურ კულტურას. მათი წარმოდგენები გარემომცველ სამყაროზე მრავალფეროვანია, ისინი ეძიებდნენ თავიანთ ადგილს ეკოსისტემაში. მათი სამეურნეო საქმიანობა იყო ხორცეული საკვების მოპოვება, მონადირეობა, მაგრამ კარგად იცოდნენ შემგროვებლობა. ჰქონდათ ათვისებული გარკვეული სივრცე, საკუთარი ტერიტორია — ტომის განსახლების არეალი, საკუთარი სანადირო სანახები და შესაბამისი სიმბოლოები დაფიქსირებული პალეოტოპონიმიკაში. ცხოვრების წესით, ეს 500 ენაზე მოლაპარაკე ავსტრალიის ბინადარი აბორიგენები, პირველყოფილი ხალხი, ერთმანეთისაგან კულტურული განვითარების დონით თითქმის არ განსხვავდებოდა. ყველანი საკვების მოპოვების პროცესში მომთაბარეობდა, მათ გარკვეულ პუნქტში ხანგრძლივ დგომას საკვები რესურსების, ნანადირევის სიუხვე განაპირობებდა. ისინი იყენებდნენ ქვის ცულებს, დანებს და შუბებს. ტექნიკური მიღწევებიდან აღსანიშნავია ბუმერანგები, რაც აეროდინამიკის კანონების ცოდნაზე იყო დაფუძნებული. მხოლოდ ეთნოგრაფიული მონაცემების მეშვეობით დგინდება პირველყოფილი ადამიანების საზოგადოებრივი წყობა და სამეურნეო ყოფა-ცხოვრება სოციალური, საოჯახო-საქორწინო ურთიერთობანი, იდეოლოგია, რწმენა-წარმოდგენები, ე.ი. ყველაფერი ის, რაც არქეოლოგიური მონაცემების მიღმა რჩება. ეთნოგრაფებმა დაადასტურეს, რომ XX საუკუნემდე მოაღწიეს იმ ცალკეულმა ტომებმა, რომლებიც თავიანთი კულტურული განვითარებით გვიანი პალეოლითის დონეზე დარჩნენ. ასეთია კულტურის არათანაბარი განვითარების ობიექტური კანონი, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ავსტრალიელი აბორიგენების იზოლაციით ჩანს გამოწვეული. გარდა ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური წყაროებისა, პრეისტორიული საზოგადოების კულტურის ისტორიის შესწავლისათვის საინტერესო მასალებს გვაწვდის პალეოანთროპოლოგია, პალეოდემოგრაფია, ლინგვისტიკა, ფოლკლორი და სხვ., რომლებიც კულტურის ისტორიის შემავსებელი დისციპლინებია.

ისტორიოგრაფია. პირველყოფილი, ანუ პრეისტორიული საზოგადოების კულტურის ისტორიას თავისი ისტორიოგრაფია აქვს, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა. ამასთანავე, ჯერ კიდევ ძველ ინდურ და ბერძნულ ცივილიზაციებში ცდილობდნენ გაეგებინათ კაცობრიობის მიერ განვლილი ის საწყისი, პრეისტორიული ეტაპი, ადამიანის წარმოშობას ანთროპოგენეზსა და კულტუროგენეზს რომ უკავშირდებოდა.

კულტურის ისტორიისათვის უაღრესად საინტერესოა, თუ როგორ აისახა ამა თუ იმ საზოგადოების ცნობიერებაში, ადამიანის ისტორიულ მახსოვრობაში ეს შორეული და რთული პროცესები, კერძოდ, სხვადასხვა ხალხის მითოსურ შემოქმედებაში, სლავრებსა და ლეგენდებში, ეპოსში. ძველი ბერძენი პოეტისა და მოაზროვნის ჰესიოდეს (ძვ.წ. VIII ს.) თანახმად, პირველი ადამიანები იყვნენ გეასა (დედამიწა) და ურანის (ცა) შვილები, რომლებიც უზრუნველად ცხოვრობდნენ ბუნების ნაბოძები მზამზარეული ნობათების წყალობით. ეს ეპოქა გააზრებულია, როგორც კაცობრიობის ისტორიის ოქროს ხანა, რომელიც მოიმხმარებლობის თვალსაზრისით, შეცვალა უფრო შეჭირვებულმა ვერცხლის საუკუნემ, სადაც ცხოვრების წესს უკვე მატრიარქატი, ანუ დედისეული გვარი განსაზღვრავდა. ოქროს და ვერცხლის საუკუნის ადამიანები ზეკსმა მოსპო, რადგან ქრონოსის გაჩენილები იყვნენ და ახალი თაობების ღმერთებს არ სცემდნენ სათანადო პატივს. მის მიერ შექმნილი სპილენძის საუკუნის ადამიანები, მართალია, უფრო ღვთისმოსაველები გახდნენ, მაგრამ სისასტიკითა და მეომრული, მხედრული შემართებით გამოირჩეოდნენ. მომდევნო გმირული ხანის ადამიანები, თუმცა, იმავე სპილენძის საუკუნეში ცხოვრობდნენ, მაგრამ უფრო მებრძოლი, პეროიკული სულისკვეთების იყვნენ. მათი წრიდან გამოვიდნენ არგონავტები და ტროას ომის მონაწილენი. ჰესიოდეს ქრონოლოგიის თანახმად, ადამიანთა ბოლო თაობა რკინის საუკუნის შვილებია, ბოროტებითა და სიძულვილით აღვსილნი და ამიტომ მათ არასოდეს ელირსებათ ბედნიერება...

ბერძნულ მითოლოგიაში არსებობს სხვა ვერსიაც. ადამიანის წარმოშობასთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, ადამიანი ზეკსის დავალებით შექმნა პრომეთეოსმა, იმ ტიტანმა, რომელმაც ადამიანთა მოდგმის გადასარჩენად ცეცხლი მოსტაცა ღმერთებს და ამისათვის იგი კავკასიის მთებზე მიაჯაჭვეს ჩვენი ამირანივით. ადამიანები, დედამიწის სიღრმიდან ამოღებული ცეცხლოვანი მიწის მასის წყალში მოხვლეის შედეგად მიღებული ცო-

მისგან გამოძერწა პრომეთემ, ღმერთების სახის დარად. პრომეთეს ძმას — ეპითემეს დაევალა ადამიანის დაცვისათვის ღვთისწყალობა გამოეყენებინა, მაგრამ მან არათანაბრად გაანაწილა ღვთიური ძალა. მან ცხოველებს მისცა დიდი ძალა, სისწრაფე, ბრჭყალ-კლანჭები, ეშვები თუ ბასრი კბილები, სქელი ტყავი; ადამიანები კი ამ მხრივ სავსებით დაუცველნი აღმოჩნდნენ. ამასთანავე, მითების თანახმად, თავდაპირველად ადამიანები უგუნურები იყვნენ, უაზროდ, ცალ-ცალკე დახეტიალობდნენ და ადვილად ხდებოდნენ მხეცების ლუკმა. მხოლოდ პრომეთეს წყალობით, რომელმაც ათენას გონების ნაწილი მოჰპარა, აეხილათ მათ თვალები, მისგან ისწავლეს ადამიანებმა ხვნა-თესვა, ხელოსნობა, ტანსაცმლის ტარება, მიწის წიაღის, მთამადნეულის გამოყენება და მრავალი სხვ. ცეცხლისა და გონების ბოძებით პრომეთემ განაკაცა მანამდე პირუტყვებივით მცხოვრები ადამიანები, თუმცა, ამ თაობას ჯერ არ ჰქონდა ჩამოყალიბებული ცხოვრების აუცილებელი წესები, ურთიერთგაგება, ზნეობა, კანონების პატივისცემა ეი. კულტურა. სწორედ ამის გამო აღმოჩნდნენ ისინი განწირულნი. ზევსმა გადაწყვიტა წარღვნის მეშვეობით მოესპო მოკვდავთა, აღნიშნულ ადამიანთა მოდგმის პირველი თაობა — "ერთდღიანები"...

ბერძნებს ეჭვი არ ეპარებოდათ იმაში, რომ კაცთა მოდგმა, კულტურული სამყარო მათგან იღებდა სათავეს. შემთხვევით კი არ თვლიდნენ ისინი ქვეყნიერების ჭიპად დელფოსს. ბერძნებზე ადრე მსგავსი წარმოდგენა საკუთარ თავზე ჰქონდათ ეგვიპტელებს. ისინი მხოლოდ თავიანთ თავს თვლიდნენ ნამდვილ ადამიანებად, ისევე როგორც შუმერები. ეგვიპტელი, ანუ "რომეტ" ნიშნავდა ადამიანს. ეთნოგრაფიული მონაცემებით ესკიმოსები მხოლოდ თავის თავს უწოდებდნენ "ინუისებს", ანუ "ადამიანებს". ცის-ქვეშეთში ბატონობის პრეტენზია ჰქონდათ ჩინელებს. უკვე უძველესი დროიდან ჩამოყალიბდა, კულტურულ სხვაობებზე დაფუძნებული ზნეობრივი კატეგორიები — "ჩვენ" და "ისინი", ამიტომაა, რომ თურქეთის ქართველები "ჩვენებურად" იწოდებიან.

საყურადღებო დაკვირვებები აქვს მოტანილი დემოკრიტეს (ძვ.ს. V ს.) თავის ანთროპოლოგიაში, რომელიც შეიძლება კულტურისა და ტექნიკის უძველეს ისტორიად მივიჩნიოთ. დემოკრიტე კულტურის შემოქმედად თავად ადამიანებს თვლიდა და არა ღმერთებს. მისი თქმით: ძველი ფილოსოფოსების ნააზრევით, ადამიანები თავდაპირველად პირუტყვებივით ცხოვრობდნენ... საძოვრიდან საძოვარზე გადადიოდნენ, იკვებებოდნენ ბუნებაში არ-

სებული მზამზარეული საკვებით. რადგან ხშირად მხეცები ადამიანებს ზიანს აყენებდნენ, მათ ისწავლეს ურთიერდახმარება, ერთობა, თანდათანობით აითვისეს დანაწევრებული მეტყველება, თითოეულ საგანს მისცეს თავისი ნიშანი. ენის მეშვეობით დაიწყეს დაგრძელილი, მიღებული ცოდნის თაობიდან თაობაზე გადაცემა. ამ პირველყოფილი ჯოგებიდან იღებს სათავეს მსოფლიოს ხალხები და მათი ენები. ვიდრე ადამიანთა სასარგებლო გამოგონებები არ დაიწყო ისინი მანამდე უმძიმეს შრომასა და ცხოვრებას ეწეოდნენ. თავდაპირველად მათ არ ჰქონდათ არც სახლი, არც ტანსაცმელი, არ იცოდნენ ცეცხლის გამოყენება, არ ჰქონდათ საოჯახო ცხოვრების წესი, არ იცოდნენ, რომ საჭირო იყო საკვების შინ მიტანა და საარსებო მარაგის შექმნა. ამიტომ იღუპებოდა ხშირად პირველყოფილი ადამიანი სიცივისა და შიმშილისაგან. მძიმე პირობებმა და გაჭირვებამ ასწავლა მათ გამოქვაბულებისათვის შეეფარებინათ თავი, გამოეყენებინათ საკვები, აეთვისებინათ ცეცხლი. ამის შემდეგ ადამიანებმა შექმნეს ხელოვნება და დაიწყეს ორგანიზებული საზოგადოებრივი ცხოვრება. დემოკრიტე აღწერს პირველყოფილი ადამიანების, „ველის მცხოვრებთა" ჯიშსა და ფიზიკურ ტიპს. შეად.: ქართული „ველური" ეს „მიწის შვილები" ჩვენზე ბევრად ძლიერი ყოფილან ფიზიკურად. მათი ძლიერების საფუძველი კი მკერივი და დიდი ძვლოვანი ტანია, მძლავრი კუნთებით შეკრული. ამიტომ პირველყოფილ ადამიანებს არ ეშინოდათ არც სიცხისა და არც სიცივისა. ადამიანები ცხოვრობდნენ გარეული ცხოველებივით, დაეხეტებოდნენ, დაძრწოდნენ ყოველდღიური საკვების მოსაპოვებლად, რადგან მაშინ არ ჰქონდათ არც კავი, და არ იცოდნენ მიწის რკინით დამუშავება. კმაყოფილდებოდნენ იმით, რასაც თავისუფალი ბუნება აძლევდა. წყურვილს წყაროს წყლით იკმაყოფილებდნენ. პირველყოფილმა ადამიანებმა არ იცოდნენ ცეცხლის ხმარება და მხეცების ტყავისაგან ტანსაცმლის კერვა, არ ჰქონდათ საზოგადოებრივი მოწყობის კანონები, იარაღი, მხოლოდ მძიმე კომბალი და ქვები. ასე ზუსტად აქვს დახასიათებული დემოკრიტეს პირველყოფილი საზოგადოების კულტურა, რითაც მოგვიანებით რომაელმა პოეტებმა – ოვიდიუსმა და ლუკრეციუსმა ისარგებლეს პირველყოფილი ადამიანის კულტურის ზოგადი აღწერისას. ოვიდიუსი ამ ეპოქას კაცობრიობის ისტორიის ოქროს ხანასაც კი უწოდებდა, რომლის შემდეგ მარადიული „გაბაფხული" სიცივით შეიცვალა. საზოგადოების განვითარებასთან ერთად დადგა „მომხვეჭელობის ჟამი", სიმართლე და პატ-

ითსრება გაქრა... არანაკლებ საინტერესოა ძველინდური ვედები, ბუდისტური, სანსკრიტული წარმოდგენები ადამიანების წარმოშობაზე და პირველყოფილი საზოგადოების კულტურაზე. მათი აზრით, სამყარო ციკლურად ვითარდება, ხოლო მისი თითოეული ციკლის ხანგრძლივობა დასაბამიდან (მაპაიუგა) 4320 ათას მთვარის წელს მოიცავს. თურმე, 18,6 მილიონი მთვარის წლის წინათ გაჩნდნენ მიწაზე ორ ფეხზე მოსიარულე ადამიანის მსგავსი მაიმუნები — თანამედროვე ადამიანთა შორეული წინაპრები. ეს იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, იქ, სადაც დღეს ანთროპოგენეზის ერთ-ერთი კერა იგულისხმება. მათმა შთამომავლებმა ითვისეს სასიცოცხლო სივრცე-ველები და უტყეო მასივები. აქ ისწავლეს საკვების კოლექტიური მოპოვება და მის მარაგზე ზრუნვა. ამან, თავის მხრივ, განაპირობა საცხოვრებლების, მუდმივი დასახლების წარმოშობა. რაც უფრო ემსგავსებოდნენ ისინი ადამიანებს, უფრო და უფრო მწვავდებოდა მათი ურთიერთობა მეზობელ კაციჭამია ტომებთან, ამ ნახევრად ადამიანთა მოდგმამ შეძლო კანიბალების მოსპობა. საკვების შემცირების გამო გახშირდა შეტაკებები მათ შორისაც. ამიტომ ადამიანის მსგავსი მაიმუნების ნაწილი იძულებული გახდა განსახლებულიყო ყველა კონტინენტზე. მათ სათავე დაუდეს სხვადასხვა რასას. ხოლო ისინი, ვინც მოიან ტყეებში დარჩნენ საცხოვრებლად, ვერ გადაიქცნენ ადამიანებად. ინდური მითების თანახმად, ეს მოხდა 4,3 მილიონი მთვარის წლის წინათ და ისინი თანდათან ემსგავსებოდნენ თანამედროვე ადამიანებს. საოცარია, რომ ამ შორეულ ეპოქასაც ისინი ოქროს ხანას უწოდებენ.

კულტურის ისტორიის პერიოდიზაცია. ისტორიული მეცნიერების ვერც ერთი დარგი გვერდს ვერ აუვლის ქრონოლოგია-პერიოდიზაციის პრობლემებს.

კულტურის ისტორია წარმოუდგენელია შესაბამისი ქრონოლოგიის გარეშე. ჩვენ უნდა დავადგინოთ, თუ რა უფრო ადრე მოხდა (წარსულში) და რა მოჰყვა მას შემდგომ (აწყმოსა და მყობად'ში). პრეისტორიული საზოგადოების კულტურის ისტორია ეყრდნობა გეოლოგიურ, არქეოლოგიურ და საისტორიო პერიოდიზაციებს. კულტ'ერიოლოგიაში ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ერთიანი პერიოდიზაცია. ზოგიერთ გამოკვლევებსა და სახელმძღვანელოებში კულტურის ისტორიის საწყის ეტაპს ჰომო საპიენსის, ანუ ანატომიურად თანამედროვე ფორმის — გონიერი ადამიანის გამოსვლის გამო, მისი ფაროო განსახლებიდან (40000-35000 წწ.) იწყებენ, რაც პრაქტიკულად წინა პერიოდის უძველეს მემკვიდრეო-

ბაზე უარის თქმის ტოლფასია. მართალია, კაცობრიობის კულტურის ისტორია და სამყაროს, დედამიწის ისტორია სხვადასხვა ცნებებია, მაგრამ კულტუროლოგის პოზიციებიდან ისინი მაინც ერთიან კონტექსტში უნდა განვიხილოთ. არსებობის პირველი დღეებიდან ადამიანი იყო და არის გარემომცველი ბუნების ორგანული ნაწილი. მისი არსებობა დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე, საარსებო რესურსებზე. თავად პლანეტა დედამიწის ქერქის ფანეროზოულ, ანუ ხილული სიცოცხლის გეოლოგიურ ისტორიას მეცნიერები დროის ოთხ მსხვილ მონაკვეთად – ერად ყოფენ. გეოლოგიური პერიოდიზაციის საფუძველზე განისაზღვრება კაცობრიობის ასაკიც და შესაბამისად აქედანვე იწყება მისი კულტურის ისტორიის ათვლაც. გეოლოგიური ერები, თავის მხრივ, დანაწევრებულია პერიოდებად. მაგალითად, კაინოზოური ერის მესამეულ პერიოდში გამოიყოფა ორი არათანაბარი ქრონოლოგიური მონაკვეთი – პალეოგენი (65 მლნ – 26 მლნ) და ნეოგენი, რომელიც დაახლოებით 26 მილიონი წელი გრძელდებოდა. თავის მხრივ, ისინი რამდენიმე ეპოქად იყოფიან, რომელთა აბსოლუტური თარიღები დადგენილია დიდი სიზუსტით საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიერ შემუშავებული უახლესი მეთოდებით; ჩვენთვის საინტერესოა მესამეული პერიოდის ნეოგენური ეტაპის პლიოცენური ეპოქა (7 მლნ – 2,5 მლნ წლამდე) და მომდევნო მეოთხეული პერიოდი. კლიმატი, ჰავა ამ დროს დედამიწაზე მშრალია, ტყეების ფართობი საგრძნობლად შემცირებულია, გაჩნდა ტყესტეპებისა და სტეპების, სავანეების უკიდეგანო ფართობები. მეოთხეულში საბოლოოდ ჩამოყალიბდა თანამედროვე ტიპის ფლორა და ფაუნა, მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყარო. პლიოცენში აციების შემდეგ იწყება გამყინვარების შემოტევა. მეოთხეული პერიოდი, ანუ ანთროპოგენი ადამიანის წარმოშობის გეოლოგიური ეპოქაა. ამგვარად, მთავარი, რითაც მეოთხეული განსხვავდება სხვა გეოლოგიური პერიოდებისაგან, არის ის, რომ ამ დროს დაიწყო ადამიანის წარმოშობის, ანუ ანთროპოგენეზის პროცესი. ეს, ადამიანის, მისი კულტურის ისტორიის დასაწყისია (ლეტოლში, ტანზანია) დაფიქსირებულია ადამიანის შორეული წინაპრის ავსტრალოპითეკის ფეხების ანაბეჭდი თიხაზე, რომელიც 3,8 მილიონი წლით თარიღდება. ანთროპოგენეზის კვლევა დაკავშირებულია კულტურის ისტორიის ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემებთან, როგორიცაა ადამიანის შორეული წინაპრები, მათი გაადამიანების ფაქტორები და წარმოშობის ადგილები. ფიქრობენ, რომ ადამიანის გვარის თავდაპირველი სამ-

შობლო ალმოსავლეთი აფრიკაა, საიდანაც ის თანდათანობით განსახლდა მთელ დედამიწაზე. ადამიანის უშუალო წინაპრად მიჩნეულია ავსტრალოპითეკები — სამხრეთელი მაიმუნები, რომლებისაგანაც, ხანგრძლივი ევოლუციის გზით, თითქოს ჩამოყალიბდა ადამიანის უძველესი სახეობა Homo habilis — მარჯვე ადამიანი, რომლის კულტურულ მემკვიდრეობაზე რეალურად შეიძლება მსჯელობა, რადგან უშუალოდ მასთან არის დაკავშირებული დაახლოებით 2 მილიონი წლის წინათ მათ მიერ დამზადებული პირველი ქვის იარაღები დედამიწაზე. ამიტომაც, აქედან მოყოლებული, პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის, მისი კულტურის შესწავლის პროცესში ფრთოდ გამოიყენება არქეოლოგიური პერიოდიზაცია. მის საფუძველს შეადგენს ე.წ. "სამი საუკუნის სისტემა", რაც ნიშნავს იმას, რომ კაცობრიობის კულტურის ისტორია, იმ მასალის მიხედვით, რომლითაც მზადდებოდა წარმოების ძირითადი საშუალებები, იყოფა: 1. ქვის, 2. ბრინჯაოსა და 3. რკინის ხანად. ასეთი პერიოდიზაცია ასახავს ტექნოლოგიის თანამიმდევრულ განვითარებას და მას სტაბილური ხასიათი აქვს. მაგალითად, ბრინჯაოს ხანა სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა დროს ვრცელდება და ზოგიერთ ხალხს საერთოდ არ გაუვლია, ყველაზე ვრცელი პერიოდი ქვის ხანაზე მოდის, რომელიც იყოფა ძველი ქვის (ბერძ. პალეოლითი), შუა ქვის (მეზოლითი) და ახალი ქვის (ნეოლითი) ხანად, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩოები: 1. 2 მლნ წლიდან — XII ათასწლეული, 2. XII-IX ათასწლეული, 3. VIII-VI ათასწლეული. სხვადასხვა რეგიონისათვის ეს პერიოდიზაცია ხშირად განსხვავებულია. მაგალითად, პალესტინისათვის ე.წ. უკერამიკო ნეოლითი იწყება 8500 წლისათვის, გრძელდება 7500 წლამდე და სრულდება VI ათასწლეულის დასაწყისში. იერეხონში კერამიკული ნეოლითი იწყება მერვე ათასწლეულში და 4000 წლამდე არსებობს. ბრინჯაოს ხანა აქ 3300-1200 წლებით არის განსაზღვრული, რომლის შემდეგ რკინის ხანა დგება (მესოპოტამიასა და ეგვიპტეში ქვის ხანა V ათასწლეულში მთავრდება). IV ათასწლეულზე მოდის ადრე ბრინჯაოს ხანა. ჩრდილო ევროპაში (მაგალითად, დანია) აღნიშნული ეპოქა ძვ. წ. XVI საუკუნეში იწყება, ახალ ზელანდიაში კი — ახ.წ. XVIII საუკუნეში.

XIX საუკუნის ბოლოსათვის შემუშავებული იყო კულტურის ისტორიის საწყისი ეტაპის, ანუ ქვის ხანის რამდენიმე პერიოდიზაცია, რომელიც, მართალია, ეფუძნებოდა მატერიალური კულტურის მონაცვლეობის, მისი განვითარების თანამიმდევრობის ფაქტს, მაგრამ როგორც დავრწმუნდით, ვერ ასახავდა საზოგა-

დროების სოციალური და სულიერი განვითარების დონეს. XIX საუკუნის ევოლუციონისტები, კერძოდ, მორტილიე თვლიდა, რომ საზოგადოების განვითარებას, ცხოველთა სამყაროსა და ტექნოლოგიურ პროცესებს ერთი და იგივე ობიექტური კანონები წარმართავდა.

თავის მხრივ, ქვის ხანა პერიოდებად (ადრეული, შუა, გვიანი) იყოფა, ხოლო მათ შიგნით გამოიყოფა ცალკეული არქეოლოგიური კულტურები. მათი სახელწოდებები დაკავშირებულია პირველად აღმოჩენის ადგილებთან და არქეოლოგიური ძეგლების კომპლექსს შეადგენს. ქვის ხანის კულტურების მონაცვლეობა საფრანგეთის ძეგლების მაგალითზე მორტილიემ დაადგინა. მანვე დაყო ადრეული, ანუ ქვედა პალეოლითი შელად, აშელად და მუსტიად, გვიანი, ანუ ზედა პალეოლითი ორინიაკად, სოლუტრად, მადლენად. დღეისათვის მიღებულია, რომ 12000-10000 წლის წინ იყო მეზოლითი, ანუ შუაქვის ხანა. როგორც აღვნიშნეთ, არქეოლოგიური პერიოდიზაცია კულტურის განვითარების ეტაპებს განასხვავებს მხოლოდ ტექნოლოგიურად, ადამიანის მიერ დამზადებული იარაღის მასალითა და ტექნიკით, ამასთანავე, ისინი ვერ ასახავენ მათ შემქმნელთა და მომხმარებელთა სულიერ სამყაროს, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ხასიათს. პალეოლითში კულტურის ისტორიის საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით, დაახლოებით ერთნაირი დონეა, შემდგომ კი ქვის ხანის კულტურები საგრძნობ სხვაობას იძლევა ცალკეული რეგიონების მიხედვით.

ისტორიკოსები პირველყოფილი საზოგადოების კვლევისას თავის პერიოდიზაციას იყენებენ, გამომდინარე საზოგადოებრივ ურთიერთობათა ხასიათიდან.

სოციოგენეზის მიღწევებზე დაყრდნობით, ისინი პრეისტორიული საზოგადოების კულტურის ისტორიაში ორ მნიშვნელოვან საფეხურს გამოიყოფენ: 1. პირველყოფილი ჯოგის, ანუ გვარამდელი საზოგადოების კულტურა, რომელიც ჰომო ჰაბილისს და ჰომო ერექტუსს უკავშირდება, 2. გვაროვნული თემის კულტურა, დაკავშირებული უკვე ნეანდერტალელთან და კრომანიონელთან, ანუ ჰომო საპიენს საპიენსთან — თანამედროვე ფიზიკური ტიპის ადამიანთან, რომელიც ლევანტში 120000 წლის წინათ ჩნდება და ფარითოდ ვრცელდება ევრაზიაში 40000 წლისათვის. Homo Habilis-ი ოლდუვეის (ტანზანია) მასალების მიხედვით 2,2 მილიონი წლის წინათ არსებულა, ხოლო Homo erectus-ი 1,6 მილიონი წლის წინათ. ნეანდერტალელების ფართო განსახლებას 280000 წლიდან

�-ARAUDOBEN. PRENEANDERTALELEBI 450000 W. TARIRDEBIAN. SE-SABAMISAD, KULTURROLOGIURI PERIODIZACIIDAN GAMOMDINARE, CAL-CALKE GANZIXILAVT HOMOS GVARIS AM UZVELESI WARMO-MADGENILEBIS KULTURAS. TANAMEDROVE ANATOMIURI, FIZIKURI TIPIS ADAMIANIS WARMOQMNA, SPECIALISTEBIS AZRITI, MODIS GVIANI PLEISTOCENIS MEORE NAXEVARZE DA EMTXEVEVA ZEDA PA-LEOLITIS SAWYIS ETAPS. GVAROVNULI TEMIC ORI PERIODAD – DEDISEULI (MATRIARQATI) DA MAMISEULI (PATRIARQALURI) GVARIS DROD IYOFA. FIQRIOBEN, GVAROVNULI SAZOGADOEBIS KULTURULI ARMAVLOBA SWORED DEDISEULI GVARIS DROIDAN OWYEBA...

L. MORGANMA PIRVELYOFILI SAZOGADOEBIS KULTURIS IS-TORIISATVIS EMOIRCO TAVISEBURI PERIODIZACIA. 1. VELURO-BA DA 2. BARBAROSOBA. RADGAN AM DAYOFASAC MATERIALURI WARMOEBIS TAVISEBUREBANI EDO SAFUZVELAD, MANAC AR GAA-MARTLA. DRES MAS IMTIATAD IYENEBEN, RADGAN YOVELI AXALI ARMOCENA TU TEQNOLOGIURI MIRWEVA KULTURULI GANVITARE-BIS AXAL ETAPAD GAIAZREBA. ES YOVELTVIS AR ARIS GAMART-LEBULI, RADGAN KULTURA MARTO MOVLENATA QRONOLOGIURI TANAMIMDEVROBA ROMDIA, IGI BIOLOGIURI, SOCIALURI DA FSI-QIKURI MOVLENATA ERTOBLIOBIS NAYOFIA. MAS AXASIATEBS AR-MAVLOBAC DA DARMAVLOBAC. ARQEOLOGIURI MASALA XSIRAD AR IZLEVA PIRVELYOFILI SAZOGADOEBIS KULTURIS GANVI-TAREBIS UTKUAR SURATS, AMITOM AUCILEBELIA MISI SE-JEREBA ETNOGRAFIULI MONACEMEBTAN. UNDA GVAXSOVDES, ROM PIRDAPIRI SESATKVEVISI ARQEOLOGIURI ZEGLISA DA PIRVELYO-FILI ADAMIANIS SULIER KULTURAS SORIS XSIRAD ARC KI SEINISNEBA. JER KIDEV ZW. II ATASWLEULIS DASAWYISSI DAW-ERILI MESOPOTAMIURI ANONIMURI TXZULEBASI – „BATONISA DA MONIS GASAUBREBA CXOVREBIS ARSSE“ SEUNISNAVT ALNISNULI GAREMOEBA, ROMELSIC NATQVAMIA: „WARSDEQ DANGREULI QALA-QEBIS BORCVEBIS TAVZE. GAIARE AM UZVELS NANGREVEBZE, SE-XEDE ZVELAD DA SEMDEG AQ MCXOVREB ADAMIANTA TAVIS QA-LEBS. GAARCVIE VIN IYO MAT SORIS SIKETIS DA BOROTIS MOQ-MEDI“. RCVEN UKVE VICITI, TU ROGORI GAAOCA XIX SAUKUNIS ETN-OGRAFEBI IM GAREMOEBAM, ROMI AVSTRALIIS ABORIGENEBS PRI-MITIULI MONADIRE-SEMGROVEBLEBS, ROMLEBIC AR ICNOBDNEN LITOTNIS IARADEBS, HQONDAT MDIDARI, MRAVALFEROVANI SU-LIERI KULTURA, TAVISEBURI WES-RCVEULEBEBI, RWMENA-WAR-

მოდგენები, ფიოლკლორი და სხვ. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი მეცნიერი იმასაც კი ფიქრობდა, რომ ავსტრალიის აბორიგენების სახით ტექნოლოგიურად დეგრადირებულ საზოგადოებასთან გვქონდა საქმე. ამგვარად, სულიერი კულტურა ყოველთვის რიდია დამოკიდებული მეურნეობის განვითარების დონეზე. ადამიანის გონი, იდეები არც თუ ისე იშვიათად უსწრებს წინ ტექნოლოგიურ პროცესებს.

პირველყოფილი საზოგადოების კულტურის პერიოდიზაცია შემუშავების პროცესშია. ჩვენ ვფიქრობთ, უმჯობესია ცალ-ცალკე განვიხილოთ პომო ჰაბილისის, პომო ერექტუსის, ნეანდერტალელისა და კრომანიონის, ჩვენი შორეული წინაპრების, პირველყოფილ მონადირეთა და შემგროვებელთა მატერიალური და სულიერი კულტურა პრეისტორიულ ხანაში, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩოები 2000000-5000 წლებით არის შემოფარგლული. კულტურის ისტორიაში ეს ყველაზე უფრო ხანგრძლივი პერიოდია.

ადამიანისა და მისი კულტურის წარმოშობა. კულტუროგენეზი. ანიროპოგენეზს, ანუ ადამიანის წარმოშობას უშუალოდ უკავშირდება პირველყოფილი, ანუ პრეისტორიული საზოგადოების კულტურის ისტორიის საწყისი ეტაპები. ადამიანის დამახასიათებელი კულტურულ-სოციალური გარემოს ჩამოყალიბება მნიშვნელოვანი, თვისობრივად ახალი მოვლენაა სამყაროს, პლანეტა-დედამიწის ბიოსფეროს განვითარების ისტორიაში. დღეისათვის მიღებულია, რომ ადამიანის შორეული წინაპრები წარმოიშვნენ აფრიკაში მობინადრე ავსტრალოპითეკებისაგან, ანუ სამხრეთელი მაიმუნებისაგან, დაახლოებით 2 მილიონი წლის წინათ. ჰომინიდიზაცია, ადამიანის ჩამოყალიბების პროცესი, დაიწყო მისი ორ ფეხზე სიარულით, შეგნებული შრომით, ზედა კიდურების გამოთავისუფლებით. ჯერჯერობით ადამიანის მიერ დამზადებული ყველაზე ადრეული იარაღები 2 მილიონი წლით თარიღდება, რაც კულტურის ისტორიის ამოსავალი წერტილია.

ამ იარაღით კოლექტიური ნადირობა უძველესი ადამიანების ძირითადი საარსებო საშუალება გახდა, რამაც ხელი შეუწყო მეტყველების დანაწევრებას, რაც თავის მხრივ, თავის ტვინის განვითარებითაა სტიმულირებული. ჰომოს გვარის განვითარებისათვის დედამიწაზე ამ დროს შესაფერისი კლიმატური პირობები ყოფილა; ტროპიკულმა საკანებმა შეაკიწროვა ტენიანი ტყის მასივები, მომრავლდნენ ბალახის მძოველი ცხოველები, მრავალფეროვანი გახდა მცენარეული საკვები; ასევე მომრავლდ-

ნენ ფრინველები ყველაფერმა ამან განაპირობა პირველი ჰომინიდების არსებობისათვის უფრო ხელსაყრელი ვითარება და მათ მიერ ახალი სტრატეგიის გამომუშავება. როგორც ვარაუდობენ, კლიმატის შეცვლამ იმოქმედება ადამიანზეც. ორ კიდურზე სიარულმა შეცვალა თერმორეგულაციის პროცესი, რამაც გამოიწვია მის სხულზე თმის საფარის მნიშვნელოვანი შემცირება. საოფლე ჯირკვლები მათ იცავდა სხეულის გადახურებისაგან. კოლექტიური ნადირობის ეფექტურობა და, ხორციელი საკვების არსებული მარაგი ხელს უწყობდა პოპულაციის შემდგომ ზრდას და სპეციალური ურთიერთობის განმტკიცებას. პირველყოფილ ჯოგში, მონადირეთა მეტ-ნაკლებად ხანგრძლივ, სეზონურ სადგომებში თაობები მუდმივ კონტაქტს ამყარებდნენ, ყალიბდებოდა ადამიანის ინტელექტი. მათი მომავალი მარტო ფიზიკურ ძალაზე როდი გახდა დამოკიდებული. ტვინის მოცულობის ზრდამ, კბილების მოყვანილობის შეცვლამ, მენჯის ძვლების გაძლიერებამ დააჩქარა ე.წ. Hominid-ების, ადამიანის წინაპრის ცხოველთა სამყაროდან საბოლოო გამოყოფის პროცესი. მეცნიერების აზრით, ადამიანების წინაპრების ეს სახეობა სულ ცოტა ორ გვარს შეადგენდა, ერთია აწ გადაშენებული ustralopithecus-I – სამხრეთელი მაიმუნი, მეორე კი თავად Homo – ადამიანი, ავსტრალოპითეკები, რომლებმაც მაიმუნ ადამიანებს დაუდეს სათავე. ისინი წარმოიშვნენ აღმოსავლეთ აფრიკაში 4 მილიონი წლის წინათ, თუმცა, მათი უშუალო წინაპრების კვალი ჯერაც არ არის დადგენილი. ორი მილიონი წლის წინათ, მათგან უნდა განვითარებულიყო Homo habilis-ი – მარჯვე ადამიანი, რომელიც, ამასთანავე, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თანაარსებობდა Homo ergaster-თან (მშრომელი ადამიანი), მაგრამ მათგან უკვე მკვეთრად განსხვავდებოდა ტვინის დიდი მოცულობის და ცხოვრების წესით. ავსტრლოპითეკში ზოგიერთი მკვლევარი რამდენიმე სახეობას გამოყოფს და აქედან ერთ-ერთს ადამიანის უშუალო წინაპრად მიიჩნევს.

ჩვენ კულტურის ისტორიის საწყისებს ჰომო ჰაბილისს ვუკავშირებთ, რადგან მატერიალური კულტურის პირველშემქმნელი, კერძოდ, იარაღების მკეთებელი მარჯვე ადამიანია. შესაბმისად განვიხილავთ ჰომინიდებთან დაკავშირებულ მატერიალურ კულტურას რადგან მის სულიერ ცხოვრებაზე თითქმის არაფერია ცნობილი.

უძველესი ადამინების _ ჰომო ჰაბილისის და ჰომო ერექტუსის კულტურა (2 მლნ 200000 წწ.) მართალია მეცნი-

ერების განკარგულებაში არცთუ ისე ბევრი არქეოლოგიური მასალაა, მაგრამ ის, რაც არსებობს, ნამდვილად მეტყველებს მათ ადამიანურ ბუნებაზე. ჰომო ჰაბილისის ხელით დამზადებული ქვის ირაღები 1900000 წლით თარიღდება. ესაა კვარციტების და ბაზალტის ქვის ნახლეჩებისაგან დამზადებული წვეტიანი, უხეშად ნახელავი საჩეხები, რომლებსაც ჩოპერებს უწოდებენ. ტანზანიასა და კენიაში აღმოჩენილია კვარციტების ასეთი ანატკეცები სამუშაოს ბასრი პირით, რომლებსაც ხორცის ასაჭრელად იყენებდნენ. ჰომო ჰაბილისს უკავშირდება პირველი ხელოვნური თავშესაფრების — სახლების აგება. ოლდუვეის ხეობაში, აფრიკაში, მლაშე ტბასთან (ტანზანია), სასმელი წყლის სიახლოვეს, გაითხარა გეგმაში წრიული კარვის ტიპის ნაგებობის ნაშთები, რომლის დიამეტრი ოთხ მეტრს აღწევდა. მას ხის ტოტებისაგან გაკეთებული და ტყავებით დაფარული კედლები უნდა ჰქონოდა რომელიც უამინდობის დროს პირველყოფილი ჯოგის დროებით თავშესაფარს წარმოადგენდა. ოცამდე ასეთი ნასახლარი დაფიქსირდა აქ, სადაც გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრობდა პირველყოფილი ადამიანების კოლექტივი, ჯოგი. ისინი ამუშავებდნენ და ჭამდნენ ნანადირევსა და შეგროვებულ მცენარეულ საკვებს, აქვე ამზადებდნენ ჯერ კიდევ ფუნქციურად დაუნაწევრებელ, ქვის უხეშ უნივერსალურ იარაღებს. აღნიშნული სადგომები 2-1,8 მილიონი წლით თარიღდება. სხვა მონაცემები ჰომო ჰაბილისის შესახებ მეცნიერებას ჯერჯერობით არ გააჩნია. ვარაუდობენ, რომ უშუალოდ მათ დაუდეს სათავე ჰომოს გვარის ახალ ევოლუციურ სახეობას Homo erectus-ს — გამართულ ადამიანს, რომელიც 1800000 წლიდან 200000 წლამდე არსებობდა. აქედან გავრცელდა ის ევრაზიაში, მათ შორის საქართველოსა და კავკასიაში (დმანისში აღმოჩენილია 1,8 მილიონი წლით დათარიღებული ჰომო ერექტუსის რამოდენიმე თავის ქალა და 24 წლის ქალის ქვედა ყბა), თავის ტვინის დიდი მოცულობის გამო (1100 სმ³), მას ბევრად მაღალი ინტელექტი უნდა ჰქონოდა, რაც აისახა კიდეც მის მიერ დამზადებულ მრავალფეროვან ქვის იარაღის ხასიათში. გარდა ამისა, ჩანს, ისინი იყენებდნენ ხისა და ძელის ირაღებსაც. ფიქრობენ, რომ ჰომო ერექტუსმა აითვისა ცეცხლი, რასაც უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. მკაცრ კლიმატურ პირობებში, როდესაც დაიწყო გამყინვარება, ცეცხლი ამ ადამიანთა გადარჩენის გარანტი გახდა. მათთვის დამახასიათებელი ირაღია ერთი ტიპის ხელცულები, რომლის დასამზადებლად დიდი საზრიანობაა საჭირო. ჰომო ერექტუსს, გარდა აღნიშნულისა, უმზადებია

საჯხეკები, სანცხები. ის ფართოდ იყენებდა ქვის ბასრპირიან ანატკეცებს, მათ ზოგჯერ აშელური ტიპის იარაღებსაც უწოდებენ, ჩრდილო საფრანგეთში, სანტ-აშელში პირველი აღმოჩენის მიხედვით, ისინი 300000 წლით თარიღდებიან. ნიშანდობლივია, რომ იარაღის დამზადების აშელური ტექნოლოგია გარდა ევროპისა, აზიაშიც, კერძოდ, ინდოეთშიც ვრცელდება და 100000 წლამდე არსებობს. ძველი, ტრადიციული უხეში ქვის სანცხი იარაღები, ჩოპერები (მათ ოლდოვაურებსაც უწოდებენ) ფართოდ არის გავრცელებული ევროპასა და აზიაში ახლო აღმოსავლეთიდან დაწყებული, კუნძულ იავასა და ფილიპინებით და ჩინეთით დამთავრებული. ამგვარად, კულტურის მაშინდელი მიღწევები – აშელური ტექნიკა და ჩოპერების წარმოება, მთელ ამ სივრცეზე თანაარსებობდა. იმ დროს უკვე ფართოდ იყენებდნენ ძვლისა და ხის იარაღებსაც. ჰომო ერექტუსის საწარმოო შემოქმედებითი მიღწევების დასახასიათებლად გამოდგება ე.წ. „ქვის გრდემლები“ – მასიური ბრტყელი ქვის სამუშაო დაფები, დასარტყმელი ჩაქუჩისმაგვარი იარაღები. მათი მეშვეობით ამზადებდნენ ქვის ყირფიტების ანატკეცებს. შრომის იარაღების დახვეწა-დიფერენციაციის პარალელურად ეითარდებოდა პირველყოფილი ჯოგის წევრების აზროვნება და მეტყველება. ჯერჯერობით არ არსებობს საკმარისი მოსაცემები, რომლის მიხედვით შეგვიძლია ადამიანთა სქესობრივი ურთიერთობის (პრომისკუიტეტი – ლათ. Promiscuus – ალრევა, ყველასათვის ხელმისაწვდომი) ზოოლოგიურ რეგულირებაზე მსჯელობა. ასე თუ ისე, ერთი რამ მაინც ნათელია. პირველყოფილი ჯოგი, პრათვი ბიოსოციალური, მდგრადი გაერთიანებაა, სადაც სქესობრივი, ცხოველური ინსტინქტების რეგულირების პროცესი მიმდინარეობს. შემდგომ კი მის საფუძველზე ყალიბდება მოსათესავე ოჯახები და საქორწინო ურთიერთობათა უძველესი ფორმები.

ჰომო ერექტუსის ძირითადი სამეურნეო საქმიანობა, როგორც ალვნიშნეთ, მოსადირეობა და შემგროვებლობა იყო, რაც გვარის გაგრძელების, მემკვიდრეობის უზრუნველყოფის, მისი გამოკვების საშუალებას იძლეოდა. ცეცხლს უკვე იყენებდნენ არა მარტო გათბობისათვის, არამედ საკვების დასამზადებლად აგრეთვე ნადირობისას და ცხოველთა გამორეკვისას. ცეცხლმა მკვეთრად გაამრავალფეროვნა კვების რაციონი. ამან გააძლიერა თავის ტვინის ფუნქციები, რითაც ჰომო ერექტუსი სულ უფრო და უფრო მეტ ადამიანურ თვისებებს იძენდა. სანს, მას შეეძლო წინასწარ განესაზღვრა თავისი მოქმედება, მოეხდინა ქცევის მოდელირება

გარკვეული ტრადიციების ფარგლებში. აზრის წარმოქმნა წინ უსწრებს საგანთა ფიქსირებულ სახელებს, შესაბამისად, სიმბოლოების გამოყენებას და მათი ამსახველი, გამომხატველი ბგერების კომბინაციების, დანაწევრებული მეტყველების ელემენტების ჩამოყალიბებას. პომოს გვარის ადამიანობას განაპირობებდა არა სოციალიზაციური წარმოშობა, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების მის მიერვე შემუშავებული წესი, მისი სოციალური გარემო და გონიერ მის მიერ შექმნილი კულტურული ფასეულობანი სასიცოცხლო მოთხოვნილებათა სრული რეალიზაციის საშუალებას იძლეოდა. ამ დროს ჩამოყალიბებულია ინფორმაციის მიღება-გადაცემის ეფექტური სისტემა, რასაც, ცხადია, დანაწევრებული მეტყველებით აღწევდნენ. ადამიანს ათასწლეულები დასჭირდა იმისათვის, რათა სიტყვა-სიმბოლოებს შორის ლოგიკური უწყვეტი კავშირი დაემყარებინა. სპეციალისტების აზრით, ძირითადი ენობრივი ჯგუფები მხოლოდ ნეოლითში, ანუ ახალი ქვის ხანაში, 8 ათასი წლის წინათ ჩამოყალიბდა.

გარე სამყაროსთან, ბუნებასთან და ჯოგის წევრებთან წარმოშობილ უამრავ ყოფით და სულიერ პრობლემას, ჰომო ერექტუსი, ალბათ, თავისი პრაქტიკული მოღვაწეობისას, შრომის პროცესში წყვეტდა. ამასთანავე, ჯოგის შიგნით შრომის დანაწილებასა და კოლექტიური უსაფრთხოების სისტემასთან ერთად, უნდა არსებულიყო გარკვეული ადამიანური ურთიერთობანი, რასაც მის მიერვე შექმნილი კულტურული გარემო განაპირობებდა. მისი მატარებელი საზოგადოების თითოეული წევრი ინდივიდია, მაგრამ კულტურის ფორმირებას პირველყოფილი ჯოგი, მთელი კოლექტივი ახდენდა შრომის პროცესში. ამ მექანიზმით გადაეცემოდა შემუშავებული კულტურული ფასეულობა თაობიდან თაობას, სქესობრივ-ასაკობრივი დაყოფის გათვალისწინებით. მ. მამარდაშვილი სამართლიანად თვლიდა, რომ არ შეიძლება პირველყოფილი და თანამედროვე ადამიანების დაპირისპირება, მათ შორის კავშირის გაწყვეტა, გამუდმებით ჩვენი ფიზიკური და სულიერი უპირატესობის ხაზგასმა. კულტურის განვითარების უწყვეტი პროცესი ხომ პრეისტორიული ხანიდან მომდინარეობს. ამ ათასწლეულთა მანძილზე კაცობრიობის აზროვნების კანონები უცვლელი და უნივერსალური დარჩა.

პირველყოფილი და თანამედროვე ადამიანის ქცევის ერთიანობა ფსიქიკის სფეროშია საძიებელი. პირველყოფილი ადამიანები, ისევე როგორც მისი შთამომავალნი, აზროვნებდნენ და მოქმედებდნენ არსებული საინფორმაციო ველისა და თანდაყ

ოლილი ინსტინქტების შესაბამისად, რაციონალურად და ლოგიკურად. სოციობიოლოგები აღნიშნავენ იმასაც, რომ თანამედროვე ადამიანთა მოდგმას სისხლხორცეულად აქვს გამჯდარი უძველესი, პრეისტორიული ხანისათვის დამახასიათებელი ინსტინქტები და არავითარ კულტურულ პროცესებს არ ძალუძს მათი საბოლოოდ აღმოფხვრა. ადამიანი დღესაც, ისევე როგორც შორეულ წარსულში, ექსტრემალურ ვითარებაში ამჟღავნებს თანდაყოლილ ცხოველურ აგრესიულობას და ხშირად გადადის პირველყოფილ მდგომარეობაში. ამის შედეგებია: ეჭვიანობა, შური, მკვლელობა, სისასტიკე, ზოოლოგიური ინდივიდუალიზმის, სიძულვილის აღზევება. ის მჟღავნდება ძლიერისადმი მორჩილებაში, ხუსტზე ძალადობის სწრაფვაშიც. ისე, რომ სავსებით სწორია ჯ. ფრეზერი, როდესაც აღნიშნავს: „საბოლოო ჯამში ჩვენ არც ისე განესხვავდებით იმ პირველყოფილი ადამიანებისაგან". შიმშილი, შური, ეჭვიანობა პირველყოფილი ადამიანის კონფლიქტების მუდმივი წყარო უნდა ყოფილიყო, რომლის რეგულირება კულტურის განვითარების პროცესში ხდებოდა. „ადამიანობისა" და „ადამიანურობის" კრიტერიუმი აქ პირველყოფილი ადამიანების სულიერ სამყაროში მჟღავნდებოდა, ზოოლოგიური ინსტინქტების დათრგუნვით, მათ ყოველდღიურ ფიქრსა და განსჯაში. ამგვარად, პრათემსა და გარემომცველ სამყაროსთან ურთიერთობაში ყალიბდებოდა პირველყოფილი საზოგადოების კულტურის საფუძვლები. ძველად, ისევე როგორც დღეს, ადამიანი არსებობდა როგორც რეალურად არსებული საგნების გარემოში, ასევე მისივე შინაგანი სამყაროს, მისი წარმოდგენების, გარკვეული სიმბოლოების გარემოცვაში. აღნიშნული ვითარება დასტურდება ეთნოგრაფიული შედარებითი მეთოდით. XVIII-XIX საუკუნეების მოგზაურებმა, მისიონერებმა და ეთნოლოგებმა შეისწავლეს განვითარების პირველყოფილ სტადიაზე მყოფი ხალხების (აფრიკა, ავსტრალია – ოკეანია და სხვ.) ყოფითი და სულიერი კულტურა, დააგროვეს დიდძალი მასალა, რაც საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ კულტუროგენეზისა და სოციოგენეზის ადრეული ეტაპები. მიუხედავად აღნიშნულისა, ჩვენი ცოდნა ამ უძველესი ეპოქის კულტურაზე ხშირად პიპოთეტურია და, ძირითადად, როგორც დაერწმუნდით, დაფუძნებულია არქეოლოგიურ მასალაზე.

ნეანდერტალელთა კულტურა (350 000 – 40000 წწ.). ადამიანის გვარის, სახეობის ევოლუციის მესამე უმნიშვნელოვანესი ეტაპი ნეანდერტალელთან იყო დაკავშირებული. ამჟამად კი ნეანდერტა-

ლელი მიჩნეულია გონიერი ადამიანის ქვესახეობად. მისი და ზოგადად მისი კულტურის სახელწოდება დაკავშირებულია ნეანდერტალის ველთან (გერმანია.). მეცნიერებს შორის არ არსებობს ერთსულოვნება მათ წარმოშობასთან დაკავშირებით. ერთნი ჰომო ერექტუსის მემკვიდრეებად და გადაშენებულ სახეობად თვლიან, რომელსაც გვარის გაგრძელება ევოლუციური ჩიხის გამო არ ეწერა. ის პირდაპირი ხაზით გენეტიკურად არც Homo sapiens sapiens-ს, ანუ ანატომიურად თანამედროვე, გონიერ ადამიანს უკავშირდება. ერთი გარემოება კი მკვლევრებში აღარ იწვევს ეჭვს — ნეანდერტალელი ჰომოთა, ანუ ადამიანთა ადრეულ სახეობას მიეკუთვნება. ის თავისი ანატომიური, ფიზიკური და გონებრივი განვითარებით ჰომო ერექტუსზე მაღლა იდგა. მისი სრული ლათინური დასახელებაა Homo sapiens neandertalensis, ანუ ნეანდერტალის გონიერი ადამიანი. ამით ხაზგასმულია მისი გონიერი ადამიანებისადმი კუთვნილება. ნეანდერტალელს პქონდა პრიმიტიული დანაწევრებული მეტყველება და, ალბათ, განზოგადებული პრაქტიკული აზროვნების უნარიც. მისი ნაშთები ძირითადად მისსავე საცხოვრებელ გამოქვაბულშია აღმოჩენილი, სადაც კულტურის ისტორიაში პირველად დასტურდება მიცვალებულის დაკრძალვის უძველესი წესი. ეს ნეანდერტალელთა კულტურულ განვითარებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპის მაჩვენებელია. ძველმა რომაელებმაც იცოდნენ, რომ პირველყოფილი ადამიანები „უჭირისუფლოდ და დაუტირებლად ყრიდნენ ცხედარო", „მათ ძვლებს ფლაჟდნენ ყველგან, სადაც მოუხდებოდათ". სულიერი კულტურის განვითარების უტყუარი საბუთია ნეანდერტალელების საზოგადოებაში დადასტურებული ფაქტი მიცვალებულებზე ზრუნვისა. ნეანდერტალელები ფართოდ განსახლდნენ აზია-ევროპასა და ჩრდილოეთ აფრიკაში. პალეოდემოგრაფიების ვარაუდით, მათი საერთო რაოდენობა 300000 წლის წინათ ერთი მილიონს აღწევდა, 1 კვ.კმ-ზე 8 ნეანდერტალელი ცხოვრობდა. მანამდე, ჰომონიდების საწყის პოპულაციას აფრიკაში მაქსიმუმ 125000 კაცით ანგარიშობდნენ. მოსახლეობის სიმჭიდროვე კი 23 კვ.კმ-ზე 1 ადამიანს არ აღემატებოდა. შუა ქვის ხანაში, შუა პალეოლითში (მუსტიე) ნეანდერტალელების კულტურა სხვადასხვა რეგიონში, გეოგრაფიული და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, ერთნაირად არ ვითარდება. აქედან იწყება ქვის ხანის კულტურების განსხვავებული ტიპების ჩამოყალიბების პროცესები, იარაღის სხვადასხვა ყალიბის დამკვიდრება. იქ, სადაც პრათემებს შორის კულტურული კონტაქტები ინტენსიურია, შესაბამისად, ტექნიკური პროგრესი

ჩქარდება და, პირიქით, პირველყოფილ მონადირეთა კოლექტივის იზოლაციის პირობებში კულტურა კონსერვატიულ ნიშანთვისებებს, იარაღის არქაულ ფორმებს დიდხანს ინარჩუნებს. ამ დროის იწყება ნეანდერტალელების მიერ მაღალმთიანი ზოლის (2000 მ. ზემოთ) ათვისება, მისი ფართო განსახლება ევრაზიის კონტინენტზე. ამგვარად, ნეანდერტალელებმა შექმნეს გარკვეული კულტურული სივრცე დედამიწაზე. მათ შემდეგ, მხოლოდ გონიერმა ადამიანებმა 50000 ათასი წლის წინათ აითვისეს აუსტრალიისა და ამერიკის კონტინენტები. ამერიკული და აზიური არქტიკის გაყლით ციმბირიდან, ბერინგის ყურის ყინულიდან პირველყოფილი მონადირეები 20000 ათასი წლის წინათ გადადიან ამერიკის კონტინენტზე და თანდათანობით იწყებენ მის სამეურნეო ათვისებას. მათ მხოლოდ XI ათასწლეულში მიაღწიეს სამხრეთ ამერიკის კიდეს. როდესაც ევროპელი კოლონიზატორები მოვიდნენ სრდილო ამერიკაში, ადგილობრივი მკვიდრი ინდიელები 500 ენაზე მეტყველებდნენ (აფრიკაში ენობრივი სიჭრელე კიდევ უფრო შთამბეჭდავია, აქ 800 ენაზე მეტყველებდნენ). უნდა ვიფიქროთ, რომ ოიკუმენის (ადამიანებით დასახლებული სივრცე) კუთხეებში მოსახლე ნეანდერტალელები უკვე სხვადასხვა ენაზე მეტყველებდნენ. ამგვარად, ადამიანის წინაპრები, პირველანდელი წარმოშობისა საწყისი მიგრაციის ადგილებიდან ტროპიკულ-სუბტროპიკული ლანდშაფტებიდან და მასთან დაკავშირებული ზონიდან თანდათანობით განსახლდნენ პლანეტაზე და დღეს ადამიანია საერთო რაოდენობამ 6 მილიარდს მიაღწია. გონიერი ადამიანის რაოდენობა ნეოლითისათვის, ანუ ახალი ქვის ხანისათვის, მომხმარებლურიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლისას 2,5 მილიონი უნდა ყოფილიყო (სპეციალისტებს გამოანგარიშებული აქვთ, რომ დედამიწაზე არსებული რესურსებით მხოლოდ 12 მილიარდი ადამიანის გამოკვებაა შესაძლებელი). კულტურის განვითარებას თან სდევდა მოსახლეობის რიცხვის განუხრელი ზრდა, რაც სერიოზულ ძერებს იწვევდა ეკონომიკისა და წარმოების სფეროში. ფიქრობენ, რომ ნეანდერტალელის გადაშენებას დიდად შეუწყო ხელი ჰომო საპიენსის კიდევ უფრო გვიანდელმა და განვითარებულმა ფორმამ კრომანიონელმა ადამიანმა (სახელწოდება წარმოიმდგარია სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში გათხრილი კრომანიონის მღვიმედან, სადაც პირველად დადასტურდა ანატომიურად თანამედროვე ადამიანის, ჩვენი უშუალო წინაპრის ნაშთები). ნეანდერტალელები ჯმუხი, მსხვილძვლიანი, დაბალი აღნაგობის იყვნენ. მათ დაქანებული პატარა შუბლი, მასიური

წარბსედა რკალი და ჩაჭრილი ნიკაპი ჰქონდათ. თაეის ტეინის მოცულობით (1200-1600 სმ³) ისინი არ ჩამოუეარდებოდნენ თანამედროეე ადამიანს, მაგრამ მათი ტეინის სტრუქტურა შედარებით განეითარებელია. მათ რომ განეენებული აბსტრაქტული აზროენების უნარი ჰქონდათ, ადასტურებს ჩეენამდე მოღწეული მათ მიერ შექმნილი წარმოების საშუალებები, მრავალფეროეანი ქვის იარაღი. ჩეენ შეგეიძლია აღენიშნოთ კულტურის, კერძოდ, ნეანდერტალელთა ქვის ინდუსტრიის შემდგომი აღმაელობის ფაქტი. ჰომო ერექტუსისათეის დამახასიათებელი უხეში, ქვის გულისაგან (ნუკლეუსი) დამზადებული მძიმე საჩეხი ე.წ. ხელცულებისა და ჩოპერების გეერდით, ჩნდება კაეის და ობსიდიანის (ეულკანური მინა) გრძეი ანატეკეცებისაგან გაკეთებული ბასრკიდიანი დიდი თუ პატარა დანები, სამკუთხა, წაგრძელებული ფორმის წეეტანები, ფეოილისებური, ზედაპირდამუშაებული ხელშუბის პირისმაგეარი, მსუბუქი იარაღები, რომლებსაც შესაძლოა უკეე ხის გრძელი ტარი უკეთდებოდა. ქვის იარაღები მზადდება არა მარტო ნუკლეუსებისაგან – გულგულებისაგან, არამედ ანატეკეცებისაგან. ესენია: საფხეკები და დახორკლილზედაპირიანი, ქლიბისმაგეარი სამუშაო იარაღები, რომლებსაც „დანტიკიულე" ეწოდება. ეს უკანასკნელი ადასტურებს სამონადირეო და შემგროეებლურ მეურნეობაში ხის საგნების ფაროოდ გამოეენებას. ეჭეს გარეშეა, რომ ნეანდერტალელებმა შემოქმედებითად აითეისეს და განაეითარეს წინა ეპოქის კულტურული მონაპოეარი, კერძოდ, ჰომო ერექტუსისათეის დამახასიათებელი ქვის დამუშაების ე.წ. „ლეეალუაზიური" ტექნოლოგია. მუსტიერული კულტურა დიდხანს ითელებოდა ეროგეაროეანად, მაგრამ დღეისათის გარკეეულია, რომ მარტო საფრანგეთში ამ კულტურის ოთხი ნაირსახეობაა, სხეა რეგიონებზე რომ არაფერი ეთქეათ. ნეანდერტალელი შემდგომში აღარ კმაყოფილდებოდა ქვის გულიდან თითო-ორიოლა ანატეკეცის მიღებით. ის ბეერად მეტ ბასრპირიან, წეერწამახულ ქვის ფირფიტას ამზადებს, აუმჯობესებს მათ სამუშაო პირებს. ამ ფირფიტებს მრავალმხრიეი დანიშნულება ჰქონდა, მსხვერპლის მოკელიდან დაწყებული, ნანადირეების გატყაეება-აქნით, ტყაეების გაფხეკით და გახვრეტით დამთავრებული. სპეციალისტების დაკეირეებით, ნეანდერტალელებს ქვის იარაღის 60 ტიპი ჰქონდათ. ნეანდერტალელებმა მემკეიდრეობით მიღებული ქვის ინდუსტრია კიდეე უფრო განაეითარეს და ახალ თეისებრიე საფეხურზე აიყეანეს წარმოების საშუალებების დამზადება. თუ ჰომო ერექტუსს

საჩეხი ქვის ცულისმაგვარი იარაღის დასამზადებლად სამოცდახუთჯერ უნდა დაერტყა ქვის გულგულასათვის, ნეანდერტალელს დანისმაგვარი წვეტიანას გაკეთებისათვის 11 დარტყმა სჭირდებოდა. მათი დროის ნაწილი საარსებო საკვების მოპოვებისა და მემკვიდრეობის გაგრძელებაზე ზრუნვას ხმარდებოდა. ნეანდერტალელებმა პირველებმა გამოიყენეს ცხოველთა ტყავისაგან დამზადებული ტანსაცმელი, რაც კლიმატის გლობალური გამკაცრების პირობებში მათ ფიზიკურ არსებობას უზრუნველყოფდა. კულტურის შემდგომ განვითარებასა და ნეანდერტალელების მოდგმის გადარჩენაში დიდი როლი თბილმა სახლებმაც ითამაშა. მათ იცოდნენ დიდი, ტყავებით დაფარული 9 მ X 7 მ და 3 მ-ის სიმაღლის ხის ტოტებისაგან ნაგები, გეგმაში ოთხკუთხა ქოხების მშენებლობა, რომლებსაც ცენტრში კერა ჰქონდა მოწყობილი. კერიის წრიული ფორმა გვაფიქრებინებს, რომ ის მზის დისკოს ასოციაციას წარმოადგენდა. ზამთრის გრძელ ღამეებში პრათემის წევრები კერასთან უზიარებდნენ ერთმანეთს დღის შთაბეჭდილებებს. ნადირობა რჩებოდა ნეანდერტალელთა არსებობის ძირითად წყაროდ. მცენარეული საკვები უხვად მხოლოდ ზაფხულსა და შემოდგომაზე იშოვებოდა, ნეანდერტალელი ზრუნავდა მცენარეული საკვები პროდუქტების გარკვეული მარაგის შექმნაზე ზამთრისათვის. მან იცოდა ცეცხლის ხელოვნურად გაჩაღება კოლჩედანის, კვესისა და აბედის მეშვეობით. ეთნოგრაფიული პარალელებიდან გამომდინარე, ნეანდერტალელებს უნდა სცოდნოდათ ნადირობის მრავალფეროვანი ხერხები, სანადირო ობიექტების, ნადირ-ფრინველის ქცევა და ფსიქოლოგია, ისინი მოქმედებდნენ სეზონების შესაბამისად, დღისით და ღამით.

ნეანდერტალელებმა პირველებმა დაიწყეს ზრუნვა არა მარტო მომავალ თაობაზე, არამედ მოხუცებსა და ავადმყოფებზე. მათ დააფიქსირეს თაობებს შორის არსებული სისხლხორცეული და სულიერი კავშირები, რაც შემდგომ, სულების (ბერძ. — ანიმიზმი) თაყვანისცემაში და წინაპართა კულტში გადაიზარდა. ნეანდერტალელთა შესწავლილი სამარხები, რომელთა რაოდენობა 150 აღემატება, ადასტურებს მიცვალებულის დაკრძალვის გარკვეული რიტუალის არსებობას. მიცვლებულს გაციებამდე, მძინარის, ემბრიონის, ჩვილის პოზაში აწვენდნენ მზის მიმართულებით — თავით აღმოსავლეთისაკენ. ცხედარს თავქვეშ ქვის სასთუმალს უდებდნენ, სამარხეულ ორმოს ფსკერს სპეციალურად ხავსით, ბალახებითა და ყვავილებით ფარავდნენ. მიცვალებულს აყოლებდნენ ქვის იარაღს, სამკაულებს. "შორეულ

გზაზე“ საგზლად ატანდნენ შემწვარი ხორცის მოზრდილ ნაჭრებს. ჩანს, მათ უკვე აფიქრებდათ სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული პრობლემა. მარხავდნენ რა თავიანთ მიცვლებულებს იქვე, გამოქვაბულში, ამით არ მარტო ხელყოფისაგან იცავდნენ გვამებს, არამედ ცდილობდნენ საიმედოდ გვერდითვე ჰყოლოდათ წარსულთა სულები. უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი ამასთან დაკავშირებით, გარკვეულ რიტუალებსაც ასრულებდნენ. იხსენებდნენ გარდაცვლილ ნათესავებს. მათ, ჰომო ერექტუსისაგან განსხვავებით, საზოგადოების, პრათემის წევრების უსაფრთხოების გარკვეული სისტემაც ჰქონდათ. არქეოლოგებმა ერაყში გათხარეს 50 წელს მიღწეული ართრიტით დაავადებული ხელგამხმარი ბრმა ნეანდერტალელის საფლავი. ამ ხეიბარს, შრომისუნარს მოკლებულ, იმ დროისათვის მოხუც ადამიანს, სხვათა თანადგომის გარეშე საერთოდ არ შეეძლო ფიზიკური არსებობა. პლესტინაში ქვის ხანის სპეციალისტებისათვის ცნობილ “თხების მღვიმეში“ დაფიქსირებულია 50000 წლის წინათ მომხდარი მკვლელობის ფაქტი. ერთ-ერთი სამარხის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მტერს მოწინააღმდეგე ჯერ მარცხენა გვერდში დაუჭრია პირწამახული ხის შუბით, ხოლო შემდეგ საბოლოოდ მოუსწრაფია სიცოცხლე მძიმე კომბლის თავში ჩარტყმით. ამ ეპოქაში ადამიანის არსებობას რეალურ საფრთხეს უქმნიდა გამუდმებული კონფლიქტები, მათ შორის სანადირო, ე.წ. “სასიცოცხლო ტერიტორიების“ სივრცეში. შესაბამისად, სიცოცხლის ხანგრძლივობა დიდი არ იყო. ხშირია ბავშვთა და ქალთა სიკვდილიანობა. ყოველი ორი ნეანდერტალელიდან ოცი წლის ასაკამდე მხოლოდ ერთი აღწევდა. ნეანდერტალელთა პირველყოფილი ჯგუფი 35-40 ინდივიდს ითვლიდა (ავსტრალიელ მონადირეთა აბორიგენთა სოციალური ჯგუფი — სამეურნეო გაერთიანებაც — 15-20 კაცს არ აღემატებოდა). ბიოსოციალური შერჩევა წარმოების ინტერესებს ექვემდებარებოდა. თავდაპირველი ზოოლოგიური გაერთიანება თანდათანობით სოციალურ ხასიათს იძენდა. პრათემი და შემდგომ გვაროვნული თემი სისხლისმიერი ნათესაური კავშირის საფუძველზე ჩამოყალიბდა, რაც თავის მხრივ, არეგულირებდა პირველყოფილი საზოგადოების წარმოებას, შრომისა და საკვები პროდუქტების დანაწილებას. ამ სოციალური უჯრედის სათავეში იდგა ქალი-დედა, რომლის მეშვეობით რეგულირდებოდა ნათესაური კავშირები. ამიტომ იყო პირველყოფილი ადამიანისათვის მთელი ხილული სამყარო ასეთ ნათესაურ სისტემაზე დამყარებული. სხვათა შორის, აღნიშნული გარემოება აისახა ჩვენი წინაპრების

მითიურ ასპექტებშიც, რაც მშვენივრად ჩანს სამეგრელოში ნაწერილ უძველეს ხალხურ ლექსში: „მზე ღედაა ჩემი, მთვარე მამა ჩემი, ბლუჯა-ბლუჯა ვარსკვლავები და ძმებია ჩემი". როგორც ვხედავთ, აქ ორგანული და არაორგანული ბუნება წარმოდგენილია ეროიანი გვაროვნული თემის, ნათესაური სისტემის სახით — მშობლები და შვილები, ძმები და დები ე.ი. წინაპრები და შთამომავლები. პრათემში სოციალურმა ურთიერთობებმა უკვე გამოიღეინა მოუწესრიგებელი სქესობრივი კავშირები, რაც კულტურის უდიდესი მონაპოვარია.

ნეანდერტალელის ევოლუციის პროცესში გადამწყვეტი როლი სწორედ სქესობრივ ურთიერთობათა რეგლამენტაციამ ითამაშა სისხლისმიერ უახლოეს ნათესავებს შორის. მათ უკვე უნდა სცოდნოდათ სისხლის აღრევის მძიმე შედეგების შესახებ. ზნეობრივი ნორმების დანერგვის შედეგად მიღწეულ იქნა სქესობრივი ტაბუ (პოლონეზიური სიტყვაა და ნიშნავს — არ შეიძლება), ეთნოგრაფიული მონაცემებით, სქესობრივი კავშირები იკრძალებოდა ნადირობისა და მცენარეული საკვების შეგროვების პროცესში. არსებული წარმოდგენებით, ტაბუს დარღვევას აუცილებლად მიჰყვებოდა სტიქიური უბედურებები, შიმშილი და ავადმყოფობა. ტაბუ შეადგენდა საზოგადოებრივ ფასეულობათა საწყისს, რომელსაც ზ. ფროიდი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი, სინდის-ნამუსის ცნების წარმოშობას უკავშირებდა. პირველყოფილი ადამიანი ძალიან ადრე გამოვიდა ბიოსოციალური ორგანიზაციიდან სოციალურში, რითაც სათავე დაუდო კულტუროგენეზისაც. მაშინ ჩნდება პირველი მორალური ნორმები, ზოოლოგიური გაერთიანება გადადის სოციალურ ორგანიზაციაში. კულტუროგენეზისა და სოციოგენეზის საწყისი ეტაპები ერთმანეთს ემოხვევა. აქედან სათავეს იღებს კულტურათა დაპირისპირება. ჩნდება ცნებები „ჩვენები" და „სხვები". „სხვები" იყვნენ ისინი, ვინც „საკუთარი" ტერიტორიის მიღმა ცხოვრობდნენ და გამუდმებით შეხლა-შემოხლა ჰქონდათ საარსებო სივრცე-სამკვიდრებელოთან დაკავშირებით. მათ ერთმანეთის ეშინოდათ და დიდი სიძულვილი უნდა ჰქონოდათ, რაც რეგულარულ შეტაკებებს იწვევდა. მაგალითად, ძველ შუმერსა და აქადში ამ ხალხის ისტორიული მტრები — „მოიელები" „არაკაცებია". საზოგადოებაც გაყოფილია „ჩვენებად" და „სხვებად". ასეთი დაპირისპირება კულტურების სხვაობაზეა დაფუძნებული. საგანგებო საბრძოლო იარაღი ნეანდერტალელებს არ შეუქმნიათ, თანამოძმეების გასანადგურებლად ჩვეულებრივ სამეურნეო იარაღებს იყენებდნენ.

ნეანდერტალელთა ჯოგში სისხლიანი კონფლიქტები, ძალადობით სიკვდილი და კანიბალიზმის შემთხვევები პალეოხორიპოლოგების მონაცემებითაც დასტურდება. ნეანდერტალელთა წვენამდე მოღწეული თავის ქალის უდიდესი ნაწილი ძვლითაგანეა ჩატეხილი მტრის მარჯვენა ხელით, ხის კომბლებითა და ქვის წვეტიანი იარაღებით; ტვინის ამოღების მიზნით, დამსხვრეულია ლულოვანი ძვლები. ჩანს, ნეანდერტალელები ერთმანეთზე ისევე ნადირობდნენ, როგორც გარეულ ცხოველებსა და ფრინველებზე.

'სოციერთი მეცნიერის აზრით, ძუძუმწოვართა შორის ადამიანი ერთადერთი სახეობაა, რომელიც კულტურის განვითარების საწყისი ეტაპიდანვე მიზანდასახულად, სისტემატურად ანადგურებს თავისი გვარისა და სახეობის წარმომადგენლებს, რაც ნეანდერტალელის ბიოლოგიური სასიცოცხლო არსებობისათვის სულაც არ ყოფილა აუცილებელი. მის ხორცს ძალზე დაბალი, მღარე კალორიულობა აქვს. გამოთვლილია, ადამიანის ხორცის 50 კგ-დან მხოლოდ 4,5 კგ შეიცავს სასარგებლო ნივთიერებებს. კანიბალი'ზმის ექსცესები დღესაც არ არის აღმოფხვრილი, აქედან ჩანს ადამიანის ზოოლოგიური კავ'შირი ცხოველთა სამყაროსთან. ნეანდერტალელის 'შეჭმულ და დახრულ ნაწილებს ხშირად პოულობენ პირველყოფილი ადამიანების კერის გარშემო ე.წ. სამზარეულო ნარჩენებში, სხვა ცხოველების ძვლებთან ერთად. არქეოლოგებმა ხორვატიაში, კრაპინას 100000 წლით დათარიღებულ მღვიმეში შეჭმული ოცი მოზარდისა და ბავშვის ძვლები დააფიქსირეს. პოლონეთში, ზედა პალეოლითის ხანის ერთ-ერთ სადგომში 16 ასეთი შემთხვევა დადასტურდა. ინდივიდის სიცოცხლე არ ფასობდა და შესაბამისია სოციალური პრაქტიკა, საზოგადოებრივი მორალი. კანიბალიზმს ხშირად რიტუალური ხასიათი ეძლეოდა, რადგან უპირატესად ტაბუცირებული იყო. ამასთანავე, ნეანდერტალელებში არსებობდა პირველყოფილი ჯოგის ყველა წევრთან მისი ნათესაური ერთიანობის იდეა. კერასთან შემომსხდარი ჯოგის ყველა წევრს გამოქვაბულში თავისიანებსა და თავის წილ ნანადირევთან ერთად, არა მარტო ყოფნის, არამედ აქვე, თავისი უშუალო წინაპრების გვერდით დამარხვის უფლებაც ჰქონდა. ამით აღინიშნებოდა ნეანდერტალელის პირდაპირი კავშირი წინაპრებთან. ეს გვაფიქრებინებს, რომ ჩანასახ მდგომარეობაში უკვე არსებობდა წინაპართა და ცხოველთა კულტთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები. ჩანს, ნეანდერტალელები თაყვანს სცემდნენ ცხოვ-

ელებსაც, კერძოდ, გამოქვაბულის დათვებს. შეეიცარიაში, ალპებში, დრახენლიხის მღვიმეში აღმოჩნდა კირქვის ფილებისაგან დამზადებული ყუთები. თითოეულ მათგანში დათვის სამი-ოთხი ქალა დაფიქსირდა კიდურების ძვლებთან ერთად. ანლოგიური აღმოჩენები დადასტურდა გერმანიაში პეტერსგოლის გამოქვაბულში. საფრანგეთში (დორდონი) ნეანდერტალელის სამარხის გვერდით, გამოვლენილია ორმო დათვის თავის ქალით, რომელსაც ზემოდან 2მX2მ ზომის ოთხასკილოგრამიანი ქვის ფილა ეხურა. ამგვარად, ნეანდერტალელ ადამიანს უკვე ჰქონდა გარკვეული რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, კერძოდ, დათვის კულტი. ნეანდერტალელი საცხოვრებლიდან მოშორებით, მღვიმე-გამოქვაბულების მიყრუებულ, გარეშე თვალისათვის მიუწვდომელ ადგილებში აწყობდა სალოცავებს. ამიტომ არც ის უნდა იყოს მოულოდნელი, რომ სამყაროს შემეცნების ისეთი ფორმა, როგორიც ხელოვნებაა, ნეანდარტალელთა კულტურაში იჩენს თავს. პირველი ამულეტებიც, ძვლის საკიდები, ავგაროზები ნეანდერტალელთა კულტურაში პირველად დაფიქსირდა. არ არის გამორიცხული, რომ ნეანდერტალელები, ისევე როგორც ავსტრალიელი აბორიგენები, სხეულს იხატავდნენ მინერალური საღებავებით, რომლებსაც ოხრიდან, წითელი რკინის ჟანგეისა და ფხვნილადქცეული მარგანეცისაგან ამზადებდნენ. ვარაუდობენ, რომ წითელი ოქროს საღებავი სისხლის სიმბოლოა, სიცოცხლის ნიშანი ნეანდერტალელები 40000-30000 წლის წინათ გადაშენდნენ. შესაძლებელია ისინი საბოლოოდ ანატომიურად თანამედროვე ადამიანმა ჰომო საპიენსმა გაანადგურა, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთი მკვლევარი ნეანდერტალელთა უშუალო ბიოლოგიურ მემკვიდრედ არ თვლის; ფიქრობენ, რომ არსებობდა ნეანდერტალელთა ორი სახეობა, პირველია "ევროპული პრე-საპიენსი", მეორე კი "აფრიკულ-აზიური ნეანდერტალელი".

კრომანიონელთა კულტურა (40000 - 6000 წწ.) კულტურის ისტორიის ზოგიერთი მკვლევარი კულტურის წარმოშობას ანატომიურად თანამედროვე ე.წ. გონიერი ადამიანის იმ ფორმას უკავშირებს, რომელიც Homo sapiens sapiens-ის სახელითაა ცნობილი. თანამედროვე ადამიანის უშუალო წინაპარი გავრცელდა დედამიწაზე ყველგან, სადაც მანამდე ნეანდერტალელი ბინადრობდა, აფრიკაში, ევროპასა და აზიაში. თავიანი იერით, ფიზიკური და ინტელექტულური მონაცემებით მკვეთრად განსხვავდებოდნენ ნეანდერტალელებისაგან, რომლებთანაც ჯერ თანაარსებობდნენ, ხოლო შემდეგ საერთოდ განდევნეს ისტორიული

ასპარეზიდან. მიუხედავად ამისა, ისინი ნეანდერტალელების კულტურის მემკვიდრეებად უნდა მივიჩნიოთ. პალეოანთროპოლოგები თვლიან, რომ ანატომიურად თანამედროვე ადამიანების ის ტიპიც თავისთავად აფრიკის კონტინენტზე ჩამოყალიბდა, მაგრამ არა როგორც ნეანდერტალელთა პირდაპირი გენეტიკური გაგრძელება. კრომანიონელებს 100000 წლის წინათ აფრიკაში მცხოვრები ამ ჰომო საპიენს საპიენსის, გონიერი ადამიანის არქაული წინაპრის უშუალო მემკვიდრეებად თვლიან. როგორც აღვნიშნეთ, მან საერთო არეალში შეავიწროვა და საბოლოოდ მოსპო ნეანდერტალელები, შემდგომ აითვისა ამერიკა და უფრო ადრე ავსტრალიის კონტინენტი. კრომანიონელების გამოჩენასთან ერთად მთავრდება ძველი ქვის ხანის (პალეოლითი) ადრეული ეტაპი. ის შედის კულტურული განვითარების ახალ ფაზაში, რომელსაც არქეოლოგები გვიან პალეოლითს უწოდებენ. მისი ქრონოლოგიური ჩარჩოებია 35000-10000 წლები. გეოლოგიური პერიოდიზაციით ეს პლეისტოცენია, უკანასკნელი დიდი გამყინვარების ეპოქა. ჩანს, რომ კრომანიონელები კარგად შეეგუენ მკაცრ გარემოს. ნეანდერტალელებთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, რაც ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა და კულტურის დონის ამაღლებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. კრომანიონელები გამოირჩეოდნენ დახვეწილი, სრულყოფილი ფიზიკური აღნაგობით. მათი სიმაღლე 194 სმ., ხოლო ტვინის მოცულობა 1400 სმ³ აღწევდა. შუბლი სწორი ჰქონდათ, კეფა მომრგვალებული, წარბსზედა რკალი სუსტად გამოხატული, ნიკაპი გამოყვანილი, ხოლო ცხვირი მომცრო. კრომანიონელთა ძირითად საარსებო საშუალებადაც მონადირეობა და შემგროვებლობა რჩებოდა, რაც განაპირობებდა მათი კულტურის ხასიათს. კრომანიონელებმა შეიმუშავეს შრომის იარაღის დამზადების ტექნოლოგიურად მეტად ეფექტური ხერხები. ირმის რქის მძიმე სატეხის მეშვეობით, ჩაქუჩის მეთოდური ზუსტი დარტყმით მინიშნებული ატკეცილი ნამზადისაგან კეთდებოდა ახალი ტიპის იარაღი — ბრტყელი, მსუბუქი, ბასრპირიანი ფირფიტა. კრომანიონელი ასეთი ფირფიტა-დამზადებისაგან აკეთებდა მრავალფეროვან იარაღს: სხვადასხვა სიგრძის დანას, საფხეკს, ბურღს, ქლიბს, სოლსა და სხვ. კრომანიონელის ირაღის ასორტიმენტში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ძვლის მრავალრიცხოვანი ნაკეთობა. ქვის ირაღებს ძვლისა და ხის ტარსაც უკეთებდნენ, რაც

საგრძნობლად ზრდიდა შრომისნაყოფიერებას. ასეთი იარაღები კულტურის განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა. ქვის ანატკეცებისაგან დამზადებული იარაღები, განსაკუთრებით საფხეკები, ხის საგულდაგულო დამუშავების საშუალებას იძლეოდა. კრომანიონელი წარმატებით იყენებდა ხისტარიან შუბებსა და ხელშუბებს. იგი ნაკლებად იყო დამოკიდებული ბუნებაზე, ფართოდ იყენებდა ცეცხლს სამეურნეო საქმიანობაში, აუმჯობესებდა საკვების ხარისხსა და ასორტიმენტს. კოლექტიური ნადირობისა (სარეკი, საჩეხი და სხვ.) და მეთევზეობის წყალობით ის დიდი რაოდენობით აწარმოებდა კვების პროდუქტებს, რაც მოსახლეობის რიცხვის ზრდას, სარეწი ფართობებისა და ახალი სასიცოცხლო ტერიტორიების ათვისებას უწყობდა ხელს. სახლებს ცეცხლით ათბობდნენ, ხოლო ცხოველთა ქონს განათებისთვისაც იყენებდნენ. ჩვენამდე მოაღწია გეგმაში ოთხკუთხა, წაგრძელებული ფორმის, ხის კონსტრუქციებისაგან ნაგებმა საცხოვრებელი სახლების ნაშთებმა, რომელთა ფართობია 27 მ X 7 მ, რაც მიგვანიშნებს უფრო მაღალი სოციალური ორგანიზაციის არსებობაზე. ესაა გვაროვნული თემი. ერთ დიდ სახლში, საერთო სახურავის ქვეშ რამდენიმე კერა იყო გაშარული, რომლის გარშემო გარკვეული ნათესაური გაერთიანება, სოციალური ჯგუფი იყრიდა თავს. ამ დროისათვის ეგზოგამური (ბერძ. – გარეშე ქორწინება) ქორწინება საყოველთაოდ გავრცელებული წესია, რაც შესაბამისი რიტუალებით აღინიშნება. ოკრძალა ქორწინება გვარის შიგნით. მამაკაცებს ცოლები უკვე სხვა თემიდან მოჰყავთ და ნათესაობასაც ქალის ხაზით არნევენ. დედისეული გვარი სოციალური ორგანიზაციის საფუძველი ხდება. ნინდება „დედის კულტი" გვიან პალეოლითის დასასრულისათვის და ახალი ქვის ხანაში ერცელდება ქალის ხაზგასმული სექსუალური ნიშნების მქონე თიხისა და ქვისაგან დამზადებული სკულპტურული გამოსახულებები – „პალეოლითური ვენერები". რადგან სისხლით ნათესაობის, მემკვიდრეობის დადგენა მხოლოდ დედის მეშვეობით ხდებოდა, შესაბამისად საზოგადოებაში დიდია პატივისცემა მის მიმართ. ქალი უელიდა შვილებს, ტრიალებდა კერასთან და მიპყავდა მთელი საოჯახო საშემგროვებლო მეურნეობა, ის ზრუნავდა მთელ ჯალაბზე; ამიტომაც ქალი წამყვანი ფიგურა გახდა ახალ სოციალურ ორგანიზაციაში, რომელსაც გამომუშავებული აქონდა ზნეობრივი ნორმები, ქცევის წესები და კულტურული ორიენტაციები. მათ რწმენა-წარმოდგენებში დედის კულტს წამყვანი მდგომარეობა ეკავა. ამ დროს

მათ მატერიალურ კულტურაში ჩნდება ახალი ტიპის იარაღები, მიწის სასოსნელი ძელის მოწყობილობები, თაეგახვრეტილი ყუნწიანი ნემსები და მახათები. ვარაუდობენ, რომ კრომანიონელი ზედა პალეოლითში ცხოველის ტყავისაგან დამზადებულ ფეხსაცმელსა და ქუდისმაგვარ თაესაბურავებსაც ატარებდა. მათი საცხოვრებელი სახლები, როგორც წესი, მოხერხებულ ადგილზე, მდინარე-ნაკადულების, წყაროებისა და, საერთოდ, წყალსატევების სიახლოვესაა აგებული. ეს გვაფიქრებინებს, რომ პირად ჰიგიენას, რიტუალური განბანის და, საერთოდ, სისუფთავის საკითხებს გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ამ დროს ყველაზე დიდ კულტურულ მიღწევად ხელოვნების, კერძოდ, მხატვრობის განვითარება უნდა ჩაითვალოს, რაც მხოლოდ გონიერი ადამიანისათვის არის დამახასიათებელი. მიღებულია, რომ ხელოვნება და რელიგია ერთდროულად ჩაისახა, გვაროვნული თემის წარმოშობასთან ერთად. მხატვრობა შემოქმედებით შრომით პროცესს ასახავდა, მხატვრობა პირველყოფილ საზოგადოებაში გამორჩეულია ხვედრი იყო. გვიანპალეოლითური ხანის მხატვრული შედევრები ესპანეთსა და საფრანგეთის მღვიმეებში პროფესიონალი მხატვრების არსებობას ადასტურებს. უნდა ვიფარაუდოთ, ისინი საკვების მოპოვების შრომატევად პროცესში აღარ მონაწილეობენ და ინდივიდუალური შემოქმედებითი შრომით არიან დაკავებული. პირველყოფილი საზოგადოების ხელოვნება, საზოგადოებრივი შემეცნების ერთიან კონტექსტშია გასაგებელი. მასში ისახება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარე: ეკონომიკა, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები და სხვ. მას სინკრეტული ხასიათი აქვს. კულტურის ისტორიაში ხელოვნების წარმოშობასთან დაკავშირებით, ორი თეორიაა გაბატონებული. პირველის თანახმად, როცა კრომანიონელი ხატავდა, ქვიდან აქანდაკებდა და ძვალზე გამოსახულებას ტვიფრავდა, არავითარ პრაქტიკულ ამოცანას არ ისახავდა. ის გადმოსცემდა თავის სულიერ მდგომარეობას, ეს იყო სამყაროს შემოქმედებითი შემეცნების პროცესის შედეგი. იქნებ აქ საქმე გვაქვს ესთეტიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან იდეის — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ ჩასახვის მომენტთან. მეორე თეორიის თანახმად, ხელოვნება პრაქტიკული საჭიროების გამოვლენის შედეგია და მაგიასთან (ბერძ. — ჯადოქრობა) უნდა იყოს დაკავშირებული. კრომანიონელი თავდაპირველად ხატავდა მხოლოდ იმ ცხოველებს, რომლებზედაც ნადირობდა (ე.წ. „საჭირო ცხოველები“), ხშირად გამოქვაბულების მხატვრობაში კედლებზე

მინერალური საღებავებით, ოხრით, მარგანეცითა, თუ ნახშირით დახატული ცხოველები ან დაჭრილებია — სისხლი სდით, ან მათკენ მიმართულია შუბები. ზოგიერთ ნახატზე კარგად შეიმჩნევა ნატყორცნი შუბების კვალი. პალეოლითური მხატვრობის შედევრები აღმოჩენილია მხოლოდ სამხრეთ საფრანგეთსა და ჩრდილო-დასავლეთ ესპანეთში (ე.წ. ფრანკო-კანტაბრიული ხელოვნება). აქ გამოვლენილია ასამდე მღვიმე-გამოქვაბული მოხატული კედლებით, რომელთა შორის გამოირჩევა ცნობილი ალტამირა, არდეში და ლასკო. ფიქრობენ, რომ პალეოლითელ კრომანიონელთა ხელოვნებამ თავისი განვითარების გზაზე ოთხი საფეხური გაიარა: 1. ცხოველების პრიმიტიული გრავირებული გამოსახულებები წერილი ქვის, ძვლის, მათ შორის სპილოს ძვლის საგნებზე, რომლებსაც ადამიანები თან ატარებდნენ; 2. ადრეული ხანის გამოქვაბულების მხატვრობა (25000-19000 წწ.), ცხოველთა სილუეტები გადმოცემულია სპეციფიკური ამოზნექილი ზურგებით, გვხვდება ხელის მტევნის ფერადი ანაბეჭდები (იქნებ მოკლული მტრებისა?); 3. გამოქვაბულის ხელოვნების აყვავების პერიოდი (19000-15000 წწ.) ესაა ჯიხვების, ბიზონებისა და ცხენების დინამიური, ნატურალისტური და მონუმენტური ფერადი გამოსახულებები; 4. 15000-10000 წლები აღინიშა სიმბოლური ნიშნების მოჭარბებით. ამ დროს ეკუთვნის ალტამირას ცხოველების ბრწყინვალე რეალისტური გამოსახულებები. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ნახატების უმეტესობა გამოქვაბულების სიღრმეშია განლაგებული, შესასვლელებისაგან მოშორებით, სადაც მხატვრებს მხოლოდ ხელოვნური განათების პირობებში, ე.ი. ჩირაღდნების შუქზე შეეძლოთ მუშაობა. ოიხის, მაწისა და გარეული ცხოველების თავის ქალებისაგან კრომანიონელები მათ სკულპტურებსაც ქმნიდნენ. ჩვენ, ალბათ, ვერასოდეს გავიგებთ შემოქმედებითი, ესთეტიკური ჟინით იყო ნაკარნახევი ეს პროცესი, თუ რელიგიური რიტუალების ორგანულ ნაწილს შეადგენდა. ფაქტია ისიც, რომ პალეოლითის კედლის მხატვრობაში მცენარეებისა და ადამიანების გამოსახულება, მათ შორის აბსტრაქტული, იშვიათია, ბევრად ხშირია ბიზონების, მამონტების, მარტორქების, ცხენების, ირმებისა და დათვების ე.წ. სანადირო ობიექტების გამოსახულებები. ზოგიერთ გამოქვაბულში ოიხატკეპნილ იატაკზე დაფიქსირებულია მოზარდების ფეხის მრავალრიცხოვანი ანაბეჭდი, რაც მიგვანიშნებს, რომ ისინი აქ მათი სრულწლოვანებასთან დაკავშირებული რიტუალების (ლათ. Iniciacia — მიძღვნა, გაცნობა) შესასრულებლად

იკრიბებოდნენ. კრომანიონელთა რელიგიური რწმენა-წარმოდგენების შესახებ ცნობებს გვაწვდის მათი სამაროვნები, სამარხები და მიცვალებულის დამარხვის წესები. კრომანიონელები მიცვალებულებს ნაცმულ-დახურულებს კრძალავდნენ, გვამს მინერალური წითელი საღებავით ფარავდნენ. ატანდნენ ქვის იარაღს, სამკაულებს, რომლებსაც ნიჟარებისა და ცხოველების კბილებისაგან ამზადებდნენ. ზოგიერთი სამარხი გამოირჩევა მდიდრული ქელსაბამებით, სამაჯურებისა და აკვაროზების სიუხვით. ამით დასტურდება ქონებრივი უთანასწორობა ძველი ქვის ხანის დასასრულისათვის. მონადირე-შემგროვებელთა გვაროვნული თემის ცალკეული წევრები სოციალურად გამოირჩევიან სხვა რიგითი წევრებისაგან. ამაზე უნდა მეტყველებდეს 23000 წლის წინანდელი სამარხი სუნგირიდან (ციმბირი), სადაც მოხუცია დაკრძალული. მას აცვია მძივებით მოქარგული ბეწვის ქურქი. გვერდით დასაფლავებულია ერთმანეთზე თაეებით მიკრული ორი 12-13 წლის ბიჭი, ისინიც მძივებით შემკულ ბეწვის ქურქებშია გამოწყობილი. მათთვის ნაუტანებიათ სპილოსძვლისაგან დამზადებული სამკაულები. მამონტის შუანისაგან (ეშვები) დამზადებულ ნატიფ შუბისპირებსა და ძვლის კვერთხისმაგვარ ნაკეთობების სოციალური დატვირთვა, ინსიგნიის — ძალა-უფლების სიმბოლოს დანიშნულება ჰქონდა. საფრანგეთში, ჟირონდაში ნაპოვნია კრომანიონელი გოგონას ქვის ფილებისაგან დამზადებული ჯუთისებური სამარხი, რომლის კედლები მოხატულია ბიზონზე ნადირობის სცენით. კრომანიონელებიც მიცვალებულებს „მძინარის“ ან „ემბრიონის“ პოზაში, ხელ-ფეხ მოკეცილს კრძალავდნენ, მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე დაწოლილს, მაგრამ გვხვდება დაკრძალვის ახალი წესიც. მაგალითად, დაფიქსირებულია „მჯდომარე“ პოზაში დაკრძალული მიცვალებულები. კრომანიონელთა სამარხები უდავოდ გვიჩვენებს, რომ ამ დროს ნამოყალიბებულია გარკვეული რწმენა-წარმოდგენები სულეთის ქვეყანაზე, სადაც მათი წინაპრები განაგრძობდნენ სიცოცხლეს. მათ იქაც სჭირდებოდათ პირადი იარაღი, სამკაულები, თუ ტანსაცმელი. საჭირო იყო მათი კეთილგანწყობის მოპოვება, რისთვისაც ეწყობოდა სხვადასხვა რიტუალი. ეთნოგრაფიული პარალელებიდან გამომდინარე, კრომანიონელის სულიერი კულტურა ბევრად მრავალფეროვანი უნდა ყოფილიყო.. მათ გამომუშავებული უნდა ჰქონოდათ კალენდარული ხასიათის ცოდნა-გამოცდილება. პირველყოფილი რელიგიის ერთ-ერთი ადრეული ფორმაა „ტოტემიზმი“ (totem ამერიკის ინდიელთა ენაზე ნიშნავდა

"თაყვანისცემას"). კრომანიონელი მონადირე-შემგროვებლები თაყვანს სცემდნენ მათ მარჩენალ ცხოველებს ან მცენარეების გარკვეულ სახეობას, მათ თვლიდნენ ტომის წინაპრად და მფარველად. მათ პატივსაცემად ზეიმებს აწყობდნენ. ეს მოწმობს, რომ არც კრომანიონელები ემიჯნებოდნენ გარემომცველ სამყაროს. ზედაპალეოლითელი გონიერი ადამიანის რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში დიდ როლს ანიმიზმი (ლათ. anima სული) სულების თაყვანისცემა თამაშობდა, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, მჭიდროდ ჩანს დაკავშირებული წინაპართა კულტთან. გარდაცვლილთა სულებზე ზრუნვა კრომანიონელთა კულტურის შემადგენელი ელემენტია. ისინი სულების დაბინავებისათვის, მათი გულების მოსაგებად საკულტო ნივთებს ამზადებდნენ ან ბუნებრივად არჩევდნენ, სადაც მათი წარმოდგენით ადამიანისა, თუ ცხოველის სული მისი სხეულისაგან დამოუკიდებლად განაგრძობდა არსებობას და ზიანს არ აყენებდა ცოცხლებს. ასე ჩაეყარა საფუძველი რელიგიური რწმენის სახეობას — ფეტიშიზმს (პორტ. Fetico — გაკეთებული). ფეტიშიზმს უნდა დავუკავშიროთ ზედა პალეოლითში ფართოდ გავრცელებული ცხოველების კბილებისაგან დამზადებული ავგაროზებიც. მათ ზებუნებრივი ძალა მიეწერებოდათ, მათ უნდა დაეცვათ პატრონი მტრული ავი სულებისა და თვალის ზემოქმედებისაგან. სულების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად დროდადრო მსხვერპლსაც სწირავდნენ. თემში უკვე გამოყოფილია გამოცდილი, ასაკოვანი პირი, რომელიც უძღვება თანამოძმეების რელიგიურ ცხოვრებას, იცნობს სამკურნალო ბალახებს და იცის ჭრილობების მოშუშების საშუალებები. სულის მიმართ სიტყვიერი მიმართვებსაგან, თხოვნა-მუდარისაგან თანდათანობით ყალიბდებოდა ლოცვა-შელოცვების სისტემა. ტოტემიზმისა და ანიმიზმის გარდა, კრომანიონელის სულიერ ცხოვრებაში გარკვეულ როლს თამაშობდა მაგიაც (ბერძ. — ჯადოქრობა), ანუ რწმენა ზებუნებრივი ძალების არსებობასა და მათი მართვის შესაძლებლობებზე. კრომანიონელთა უძველესი მაგიური მოქმედებები კოლექტიურ ხასიათს ატარებდა, რასაც ტუნგუსურ-მანჯურიული შამანების მსგავსად, სპეციალური კულტის მსახურები წარმართავდნენ.

ზედა პალეოლითის დასასრული (დაახლოებით 12000 წლის წინათ) აღინიშნა კრომანიონელი მონადირის მნიშვნელოვნი მექანიკური ხასიათის გამოგონებებით, რამაც საგრძნობლად გააძლიერა ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობები. ეს იყო შუბსატყორცნი, სპეციალური ფიცრისაგან გაკეთებული მოწყობილობა და მშვილდ-

ისარი. ამ დროისათვის გადაშენდნენ მსხვილი სარეწი ცხოველები — მარტორქები და მამონტები. ნადირობის ძირითადი ობიექტებია ცხენები და ირმები, რომლებთანაც მიახლოებება ძალზე ძნელი იყო და დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. ახალი გამოგონება, კერძოდ, მშვილდ-ისარი იძლეოდა საშუალებას მიჰარვით, 32 მ-ის სიშორიდან მოეკლათ ჯიხვი, ხარი, თუ სხვა სარეწი ცხოველი და ფრინველი. ხორცეული საკვების საგრძნობმა შემცირებამ კვების რაციონში, თევზეულისა და მოლუსკების ხვედრითი წილის ზრდა გამოიწვია. ამ ეპოქას განეკუთვნება პირველი ძელის ნემსკაევები, ანკესები, ძვლის ქვილითები — ბარჯისმაგვარი სატყორცნი სათევზაო იარაღები. 12000-10000 წლისათვის დადგა მეზოლითის ეპოქა, რომელსაც ეპიპალეოლითსაც უწოდებენ და, რომელსაც გეოლოგიურად ჩვენი ჰოლოცენის ეპოქა შეესატყვისება. ამ დროისათვის საგრძნობლად დათბა, ფლორამ და ფაუნამ თანამედროვე სახე მიიღო. ირმების ჯოგებმა ტუნდრაში გადაინაცვლა. ძირითადად ნადირობდნენ კეთილშობილ ირმებზე, შველებზე, ტახებზე, დომბაზე, ხარებსა და ფრინველებზე — ბატებზე, გედებზე, იხვებსა და სხვ. კრომანიონელი ქალები წინანდებურად აგროვებდნენ საკვებ მცენარეებს, ზრუნავდნენ ზამთრის მარაგზე, ამავეთად იცვლიდნენ საცხოვრისს არსებული რესურსების გათვალისწინებით. მეზოლითის ბოლოსათვის შეიმჩნევა ადამიანის ერთ ადგილზე ცხოვრების შედარებით ხანგრძლივი ზრდა. სამარხოენების მიხედვით, ქალების ცხოვრების საშუალო ასაკმა 35, ხოლო კაცებისამ 50 წელს მიაღწია. აღნიშნული ეპოქისათვის, რომელიც რამდენიმე ათასწლეული გრძელდებოდა, დამახასიათებელია კრომანიონელის კულტურის ქვის ინდუსტრიის შემდგომი აღმავლობა. ამ ეპოქის ქვის დამუშავების ტექნიკისათვის დამახასიათებელია ე.წ. მიკროლითების (ბერძ. — მცირე ქვები) გავრცელება. ესაა კაჟის 1-2 სმ სიგრძის პატარა მსუბუქი იარაღები. მათ გეომეტრიული (რომბი, სამკუთხედი, ტრაპეცია, სეგმენტი) ფორმა აქვთ და კომბინირებული იარაღების დასამზადებლად გამოიყენებოდა. ესაა ძელის ან ხის საფუძველზე დამზადებული უნიფიცირებული სამუშაო პირები — ჩასართები, რომელთა გამოცვლა დაზიანების შემთხვევაში არაკითარ სიძნელეს არ შეადგენდა. კრომანიონელები მათ დიდი რაოდენობით ამზადებდნენ ინდუსტრიული წესით. მიკროლითების ტარში დასამაგრებლად სხვადასხვა ხერხს იყენებდნენ, მათ შორის მცენარეულ ფისს. მსხვილი ქვის იარაღების ახალი სახეობების, მათ შორის

ტარიანი ცულების გამოყენებამ კრომანიონელებს საშუალება მისცა ხის მორებისაგან დაემზადებინათ ნაგები და ნიჩბები, რამაც შემდგომში განსახლების არეალის გაფართოებასაც შეუწყო ხელი. მეზოლითის ხანის კრომანიონელთა საცხოვრებელი სახლები მსუბუქი ხის კონსტრუქციებისაგანაა აგებული, ოვალური ფორმისა. გვხვდება ნახევრადმიწური სახლები. მეურნეობის საფუძველს კვლავინდებურად მასშტაბური მორეკეიფი ნადირობა, თევზჭერა და მცენარეული ნაყოფის შეგროვება წარმოადგენდა.

გვიანოვნულ ოემში არსებობდა სხვადასხვა სქესობრივ-ასაკობრივი სოციალური ჯგუფი, თავისი დამახასიათებელი ყოფითი კულტურით. კრომანიონელთა ფართო განსახლებამ დედამიწაზე, მისი სამეურნეო მოღვაწეობის მძიმე ეკოლოგიურმა შედეგებმა, ხანადირო იარაღების სრულყოფამ გამოიწვია სამონადირეო მეურნეობის კრიზისი. ხორცეული საკვების მარაგი მკვეთრად შემცირდა, შესაბამისად იკლო დიდი გაერთიანებების, საგვარეულო თემების რაოდენობრივმა შემადგენლობამ; გარანტირებული საკვები შემცირდა, რაც აიძულებდა კრომანიონელთა საზოგადოებას ეზრუნა მომხმარებლურიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლისათვის. ცხადია, ეს პროცესი დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა და დაგვირგვინდა VIII ათასწლეულში ე.წ. „ნეოლითური რევოლუციით" – მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის წარმოშობით. ამან უზრუნველყო კრომანიონელთა არსებობა შემდგომ ათასწლეულებში.

ნეოლითი, ანუ ახალი ქვის ხანა (VIII-V ათასწლეულები) უმნიშვნელოვანესი ეტაპია კაცობრიობის კულტურის ისტორიაში. ადამიანი დაუპირისპირდა ბუნებას, რომელზეც აღარ იყო დამოკიდებული. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქვის იარაღების დამზადების ტექნიკა და ასორტიმენტი. ადამიანმა ისწავლა მათი გახეხვა-გაპრიალება და გახვრეტა. მან ქვის ყველა საიდუმლო შეისწავლა და შეძლო იარაღისთვის სასურველი ფორმის მიცემა. კრომანიონელთა დახვეწილი გემოვნების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ია'შმის, ნეფრიტისა და დიორიტისაგან დამზადებული ხისტარიანი ნატიფი იარაღები. მოთხოვნილება იარაღის დასამზადებელ ნედლეულზე გაიზარდა, დაიწყო ქვის მიწისქვეშა მოპოვება. ასეთი კაჟის მაღაროები ცნობილია ინგლისში, საფრანგეთში. აქ ნაპოვნია ირმის რქის წერაქვები, სოლები, ქონის ქვის სანათურები და სხვ. ცალკეული სახელოსნოების ნაწარმი უკვე დიდ ტერიტორიაზე ერცელდებოდა. იარაღის წამყვან სახეობას ნეოლითური ცულები წარმოადგენდა, რომელთა მეშვეობით ტყის

ერცელი მასივების ათვისება გახდა შესაძლებელი. ქვის ნამგალებით ერთ საათში 1 კგ მარცვლეული გროვდებოდა, ოთხი კაცისაგან შემდგარ ოჯახს კი სამ კვირაში ტონა მარცელის შეგროვება შეეძლო. მარცელეულს ქვის ნავისებური ხელსაფქვავების მეშვეობით ფქვავდნენ.

ნეოლითის ერთ-ერთი ყველაზე დიდი კულტურული მონაპოვარი თიხის ჭურჭლის გამოგონებაა (VIII ათასწ.), რომლის პროტოტიპს, ალბათ, ხის სათავსი თიხით შელესილი წნული კალათები წარმოადგენდა. ქალის თითების ანაბეჭდები კერამიკაზე გვარწმუნებს, რომ თიხის ჭურჭლის წარმოების პრიორიტეტი ქალებთანაა დაკავშირებული. თიხის ჭურჭლის ფართო დანერგვამ ყოფაში გააუმჯობესა საკვების დამზადების ხარისხი და ასორტიმენტი. ასევე ძნელია გადაჭარბებით შეაფასო თიხის ჭურჭლის გამოწვის პროცესის დანერგვის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა. ადამიანმა თიხის ცეცხლში გამოწვით მიიღო ბუნებაში არარსებული უწყლო სილიკატი, რომელიც თავისი ფიზიკურ-ქიმიური სიმყარით ქვას უახლოვდებოდა. კერამიკას ამკობდნენ ორნამენტით სტილიზებული სიმბოლოებით, ჯვრებით, სვასტიკებით, სპირალით და სხვ., რომელთა კონკრეტული სიმბოლიკა დადგენილი არ არის. ნეოლითური ეპოქის უდიდეს კულტურულ მონაპოვართა რიცხვში შედის რთვა და ქსოვა, რაც ასევე ქალის სამეურნეო მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული. ამ დროს გამოიგონეს კრომანიონელებმა ისეთი სატრანსპორტო საშუალებები, როგორიცაა მარხილი და თხილამურები. კრომანიონელის სამეურნეო ცხოვრებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძაღლისა და შემდგომ კატის მოთვინიერებას, რასაც მოჰყვა მსხვილფეხა საქონლის, თხის, ცხვრისა და ღორის მოშინაურება. ამან კი საბოლოოდ, დამჯდარ, ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა განაპირობა. ნეოლითური კულტურა განსაკუთრებით დაწინაურდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც ყველაზე ადრე, ტრადიციული შემგროვებლობის საფუძველზე აღმოცენდა მიწათმოქმედება. მონადირეობამ ხელი შეუწყო მესაქონლეობა-მეცხოველეობის განვითარებას. არქოლოგიური მასალა არ იძლევა საშუალებას სრულად წარმოვიდგინოთ ნეოლითის ეპოქის საზოგადოებრივი წყობა. ეთნოგრაფიული პარალელების მეშვეობით შესაძლებელი ხდება ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა. ჩანს, გვაროვნული თემის ორგანიზაციული სტრუქტურა რთულდება. გვარები ფრატრიებად (ბერძ.— საძმოები) და ტომებად ერთიანდება. საფუძველი ემყარება ტომთა კავშირებსაც. დედისეულ გვარს ეყოფა ახლო ნათესავთა

ჯგუფები, რომლებიც, თავის მხრივ ახალ გვარს აძლევენ დასაბამს, საზოგადოების მართვის ფორმა დემოკრატიულ პრინციპზეა დაფუძნებული. მართვის უმაღლეს ორგანოს გვარის მოზრდილი მამაკაცებისა და დედაკაცების საერთო კრება წარმოდგენს. აქ მათ თანაბარი უფლებები ჰქონდათ. ისინი ირჩევდნენ ტომის ბელადს და მხედართმთავრებს. ამ დროისათვის ტომების ბელადის თანამდებობა ჯერ კიდევ არ გადაეცემოდა მემკვიდრეობით, ის არჩევითი რჩებოდა. დედისეული გვარი კვლავინდებურად შეადგენდა ოჯახის საფუძველს. მიწათმოქმედებაზე გადასვლასთან ერთად, მოხდა კარდინლური ცვლილებები მატერიალურ და სულიერ კულტურაში, ცხოვრების წესსა და რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში. ღრმავდება სოციალური უთანასწორობა, ჩნდება შედარებით ღარიბები და შეძლებულები.

აღნიშნული ვითარება განსაკუთრებით ნათლად ჩანს წინააზიის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლების მაგალითზე როგორიცაა ბიბლიური იერექონი (პალესტინაში) და ჩათალ ჰუიკი (ცენტრალურ ანატოლიაში), ნაყოფიერი ნახევარმთვარის რეგიონში.

ნეოლითი — ახლი ქვის ხანის კულტურები. მონადირე-შემგროვებლებმა ადრე შენიშნეს, რომ მდინარის ხეობებში არსებული მიწის ნაყოფიერ ნაკვეთებს ბევრად მეტი ადამიანების გამოკვება შეეძლო, ვიდრე ნადირობას; ამასთანავე, მცენარეული საკვების მოპოვება ძირითადად ბინადარ ცხოვრებას მოითხოვდა, რაც ოჯახების უსაფრთხოებასაც უწყობდა ხელს. იქ, სადაც მიწათმოქმედებაზე გადავიდნენ ყველგან იმატა მოსახლეობის რაოდენობამ, რადგან უკვე არსებობდა გარანტირებული საკვები, პროდუქტების გარკვეული მარაგი მარცვლეულის სახით. ასეთი სამიწათმოქმედო კულტურები სხვადასხვა რეგიონში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ისახებოდა და ვითარდებოდა იქ, სადაც შესაფერისი კლიმატური პირობები არსებობდა. ეს იყო "ნაყოფიერი ნახევარ მთვარის ტერიტორია", რომელიც მოიცავდა ეგვიპტეს, სამხრეთ-დასავლეთ აზიას, პალესტინა-შუამდინარეთს ვიდრე სპარსეთის ყურემდე და სხვ. აქ წარმოიშვა მწარმოებლური მეურნეობა მიწათმოქმედება-მესაქონლეობა. პირველ მიწათმოქმედებს მოჰყავდათ მარცვლეული: ხორბალი, ქერი, ოსპი, ბარდა და სხვ. უკვე 7000 წლისათვის ჩინეთში მოჰყავდათ ფეტვი, ბრინჯი, სოია და სხვ. ხოლო მექსიკა-ამერიკაში, ანუ ცენტრლური ამერიკის მთელ რიგ რეგიონებში, თანამედროვე მექსიკა-გვატემალაში 5000 წლის წინათ ჩამოყალიბდა მსოფლიო მიწათმოქმედების მესამე მნიშვნელოვანი

ცენტრი. აქ მოპყავდათ ტექნიკური კულტურებიც — სიმინდი, ლობიო, ბამბა და სხვ., რამაც შემდგომ უდიდესი როლი ითამაშა კაცობრიობის კულტურის განვითარებაში. სპეციალისტების აზრით, პალესტინაში მეათე ათასწლეულში მარცვლეული ძირითადი პროდუქტი გახდა. აქ მცხოვრებნი ე.წ. „ნატუფის" არქეოლოგიური კულტურის მატარებლები, მარჯვედ იყენებდნენ კაჟისპირიან ნამგლებს მარცვლეული კულტურების (ხორბლეული — ქერი) მოსამკელად. სწორედ აქ უნდა დაეთესათ შეგროვებული მარცვლეული წინასწარ მომზადებულ საყარგულებში. მიწათმოქმედებაზე გადასვლა, ცხადია, ხანგრძლივი დაკვირვების და დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე უნდა მომხდარიყო. იმ შორეულ ეპოქაში დაიწყო სასელექციო სამუშაოებიც, რომლის შედეგადაც მიღებულია თანამედროვე, უხვმოსავლიანი და გვალვაგამძლე მარცვლეულის ჯიშები. აღნიშნული პროცესი საქართველოს მიწა-წყალზე მიმდინარეობდა.

ისე როგორც მცენარეული საკვების შემგროვებლებმა სათავე დაუდეს მიწათმოქმედებას, მეცხოველეობა მონადირეობისაგან იღებს სათავეს. შრომის ასეთმა დანაწილებამ საფუძველი ჩაუყარა კულტურის განვითარების ორ ძირითად მიმართულებას. ერთია მიწათმოქმდება, მეორე კი მომთაბარე მეცხოველეთა ე.წ. ნომადური კულტურა, რომელთა მსოფლმხედველობაც განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. აღნიშნული გარემოება აისახა ბიბლიის უძველეს პლასტებში, პირველი ადამიანების — ადამისა (აქედან ადამიანი) და ევას (სიცოცხლე) შვილების მიწათმოქმედ კაენისა და მესაქონლის აბელის სამკედრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაში. მიწათმოქმედისა და მონადირე მესაქონლის, ამ ორი განსხვავებული კულტურის მატარებლებია პატრიარქ ისაკის ტყუპებიც, იაკობი და ისავი (ბანჯგვლიანი), რაც მათ შორის წარმოშობილი სერიოზული კონფლიქტის მიზეზი ხდება. ამ დროისათვის ადამიანს მოშინაურებული ჰყავდა მგლები, ტურები და სხვ., რომლებისგანაც წარმოიშენენ ძაღლების თავდაპირველი უძველესი ჯიშები. პირველყოფილი, ისტორიამდელი მონადირეები, რომლებმაც მოაშინაურეს გარეული ცხოველები, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, ღორები და სხვ. თანდათანობით მწყემსებად გადაიქცნენ, მათ უკვე გააჩნდათ გარანტირებული საკვები არა მარტო ხორცის, არამედ რძის პროდუქტების სახითაც. შინაურ ხარებს, აქლემებს, ირმებსა და მოგვიანებით ცხენებს, იყენებდნენ ტვირთის გადასაზიდად, რამაც ხელი შეუ-

ნყო ადამიანის თვალსაწიერის მასშტაბების საგრძნობლად გაზრდის და შორეული ტერიტორიების ათვისებას.

მიწათმოქმედების განვითარებამ გამოიწვია ქვის, ძვლისა და ხის ახალი სასოფლო-სამეურნეო იარაღების შექმნა და გავრცელება. მათი მეშვეობით ხდებოდა ახოების საყანე ნაკვეთების გაწმენდა ტყისა, ბუჩქნარებისა და ეკალ-ბარდებისაგან, რომლის შემდგომ საჭირო იყო მიწის დამუშავება, მოწეული ჭირნახულის აღება და სპეციალურად აგებულ საცავებში მათი დაბინავება. მიწათმოქმედებმა მოათვინიერეს კატა, რომელიც იცავდა მარცვლეულის მარაგს მომრავლებული მღრღნელებისაგან (თაგვები და სხვ.). ასევე დაცვა სჭირდებოდა ბინადარ ცხოვრებაზე გადასულ მიწათმოქმედებსა და მათ ოჯახებს. ნეოლითელი კრომანიონები ნაყოფიერ ხეობებში, შემაღლებულ ადგილებზე კომპაქტურად სახლდებოდნენ, სადაც ძირითადად გვაროვნული თემი მოსახლეობდა. ისინი აგებდნენ სპეციალურ სალოცავებს, სადაც გარკვეულ კალენდარულ დღეებში იკრიბებოდნენ. კრომანიონები აგებდნენ მკვიდრ — ქვის, ხის, ალიზის, ზოგიერთ რეგიონში ხიმინჯიან სახლებს, სამეურნეო ნაგებობებს, ცხოველების სადგომებს. ასეთ დასახლებათა მკვიდრნი შორიდან მოტანილი ნედლეულებით თავად ამზადებდნენ საჭირო საგნებსა და ირაღებს, ხელსაწყოებს, და — ხელოვნებული ოსტატები — ძვლის, ოფსიდიანის და კაჟის, რიყის და სხვ. ქვის ზედაპირგაპრიალებულ ცულებს, თოხის პირებად სხვ. თიხის ჭურჭლებს თავდაპირველად კონუსის ფორმა ჰქონდა და ორმოებში დგამდნენ. ისინი წნულ კალათებს ჩამოჰგავდნენ. ჭურჭელს ამკობდნენ სიმბოლური მნიშვნელობის ორნამენტებით. მარცვლეულის დასაფქვავად ქვის ხელწისქვილებს იყენებდნენ. ფქვილისაგან ზელდნენ ცომს, რომელსაც ღადარში და შემდგომ სპეციალურ თიხის ტაფებში, ღუმელებში აცხობდნენ. ფართოდ ვრცელდებოდა პრიმიტიული საქსოვი დაზგები, რომლებზედაც შალისა და სელის ქსოვილებს ამზადებდნენ.

ნეოლითური ხნის კულტურის განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია მსოფლიოში უძველესი წინაქალაქური ტიპის დიდი (4 ჰექტარი) დასახლება — იერექონი (იორდანეს ხეობა, პალესტინა). მისი ადრეული ფენები IX-VIII ათასწლეულების თარიღდება. აქ გეგმაში ჯერ წრიული, ქვის საძირკვლიანი ალიზის სახლები უშენებიათ, მათი დიამეტრი 5 მ-ია, ხოლო შემდგომ 40 კვ.მ. ფართობის მქონე ოთახები, ერთოთახიანი სახლების კედლები წითლად შეღებილი და მობათქაშებულია, მოტკეპნილი იატაკი კირხსნარითაა დაფარული.

ამგვარად, ეჭვგარეშეა ამ ადრესამიწათმოქმედო კულტურების აღმავლობა, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა, ზრუნვა საცხოვრისის ესთეტიკურ მოწყობაზე. არქეოლოგებმა გამოაცალინეს მცენარეული ორნამენტებით შემკული სახლებიც. აქ აღმოჩენილია თიხისაგან გამოძერწილი კერპები. ნატურალური სიმაღლის ადამიანისა და ცხოველების სკულპტურების ნაშთები. თიხატკეპნილი იატაკები ლერწმის ჭილოფებით იფარებოდა.

თავის მიცვალებულს იერიქონელები სახლებში იტაკისქვეშ კრძალავდნენ, როგორც ეს მღვიმე-გამოქვაბულების მკვიდრთ ახასიათებდათ. მიწათმოქმედებისა და არატრადიციული შემგროვებლობის დაწინაურებაზე მეტყველებს ხორბლისა და ქერის მარცვლეულის შესანახი საცავები. მოსახლეობის ზრდისა და ჭარბი პროდუქტების წარმოებასთან ერთად, საჭირო ხდებოდა სოფლის სპეციალური სასიმაგრო ნაგებობებით დაცვა. ამიტომ დასახლებას გარშემო შემოავლეს კლდეში ამოკვეთილი 2,1 მ-ის სიმაღლისა და 8,5 მ სიგანის თხრილი, რომელსაც 1,64 სისქის ქვის ლიბოიანი გალავანი შემოუყვებოდა. მისი სიმაღლე 5 მ-ის აღწევდა, ალიზის წყობის გარეშე იერექონში გაითხარა მსოფლიოში უძველესი წრიული 9 დიამეტრის ქვის კოშკი, რომლის შემორჩენილი სიმაღლე 8 მ-ს აღემატება. კოშკში ასასვლელი კიბე ოცდაორი, 1 მ-ის სიგანის ქვის ფილებისაგან შედგება. კოშკი აკონტროლებდა იერირქონის მთელ შემოგარენს და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. რადიოკარბონული მეთოდით დათარიღებამ დაადასტურა, რომ 6935 წლის წინათ აღნიშნული საფორტიფიკაციო ნაგებობები, ისევე როგორც მთელი ეს დასახლება ხანძარს უმსხვერპლია.

იერიქონის ეკონომიკის საფუძველს სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა და მრავალფეროვანი ქვის იარაღის (ნეფრიტი, ოფსიდიანი) წარმოება შეადგენდა. იერირქონელთა ხელში ყოფილა მონოპოლია ობსიდიანზე ე.წ. ეულკანურ მინაზე, რომლისგან ოსტატურად ამზადებდნენ შუბისპირებს, ისრისპირებსა და სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის იარაღებს. კაჟისაგან აკეთებდნენ სატეკრებსა და ხანჯლებს, ალებასტრის, მარმარილოსა და მოყავისფრო-მოშავო კირქვებისაგან, ხისა და ძვლისაგან მზადდებოდა სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭელი. აქვე, დასახლების შემოგარენში მოპოვებული დიორიტისაგან აწარმოებდნენ ზედაპირგაპრიალებულ ცულებს, საფხეკებს, კოსმეტიკისათვის განკუთვნილ საგნებს, მათ შორის კოვზებს. მსოფლიო კულტურის ისტორიაში ასევე პირველად ადრე სამიწათმოქმედო კულტურებ-

ში გამოელენილი ობსიდიანის მრგვალი ზედაპირგაპრიალებული სარკეები, რაც ნეოლითის ხანის ადამიანების საკუთარი პერსონით დაინტერესების უდაო მაჩვენებელია. მათ, სპეციალური ხსნარების მეშვეობით ძელის ან ხის ტარები უკეთდებოდათ. საზოგადოებაში გარკვეულ ესთეტიკურ მოთხოვნათა არსებობის ნიშანია სამკაულები. ფერადი ქვებისაგან, სპილენძისა და ტყვიისაგან სპეციალურ სახელოსნოში მრავალფეროვანი მძივები მზადდებოდა. ვითარდება დეკორატიული ხელოვნება, იწყება მოხატული თიხის ჭურჭლის წარმოება, რაზეც დიდი გავლენა მოუხდენია მანამდე გავრცელებულ ხის ჭურჭლის ფორმებს. კერამიკის ორნამენტი კოსმოგონიურ ხასიათს ატარებს. აქ მოსახლე ადამიანები ჰომო საპიენსის წარმომადგენლები — კრომანიონები არიან, სპეციფიკური გრძელი თავებითა და დახვეწილი ნაკეთებით.

ახალი ქვის ხანის — ნეოლითის ყველაზე დიდი დასახლება აღმოჩენილია ჩათალ-ჰუიკში, კონიას ველზე (თურქეთი, ცენტრალური ანატოლია). მისი ფართობი 13 ჰექტარია, ის 6500-5650 წლების განმავლობაში არსებობდა, რაც საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ კულტურის განვითარების ცალკეულ ეტაპებს. მისი ეკონომიკის საფუძველს მიწათმოქმედება და მეცხოველეობა შეადგენდა. აქ მოპყავდათ თოთხმეტი სახის მცენარეულობა, მათ შორის ხორბლის რამდენიმე სახეობა, ქერი და ცერცვი. აღმოჩენილია ნუშის, ფეტვისა და ბუსტულის ნაჭუჭები, რომელთაგან მცენარეულ ზეთსაც ამზადებდნენ. არ არის გამორიცხული, რომ ჭინჭრის ხის ნაყოფისაგან მათრობელა, ღვინისმაგვარ სასმელსაც აკეთებდნენ. ჩათალ-ჰუიკში აღინიშნება ხელოვნების საგრძნობი დაწინაურება, კერძოდ, განვითარების მაღალ დონეს მიაღწია მხატვრობამ. ჩანს, მხატვრების შემოქმედებას ძველი ქვის ხანის ტრადიციები ასაზრდოებდა. სახლებისა და ტაძრების თიხით გალესილ კედლებზე ფერადი საღებავებით გადმოცემულია ნადირობის ექსპრესიული სცენები — მარეკებითა და ხარ-ირმებით; ძირითადად, მათი კედლის მხატვრობა სქემატური და პირობითია. გათხრების დროს აღმოჩენილი ქვისა და გამომწვარი თიხის ტერაკოტის სკულპტურები, ნაყოფიერების, სიცოცხლისმომცემი — დედა-ღვთაების გამოსახულებები, რომლის წმინდა ცხოველები ჯიქი და ლეოპარდია. ტაძრები შემკულია მოზრდილი რელიეფებით, რომლებიც დედა-ღვთაებებისადმია მიძღვნილი. ზოგჯერ ნათლად ნაჩვენებია, რომ ისინი ცხოველების, ხარისა და ცხვრის გამჩენებია. ხარების

გამოსახულება, უნდა ვივარაუდოთ, უკვე მამრ-ღვთაებასთან არის ასოცირებული. მარმარილოს ერთ სტატუეტზე უკვე ნაჩვენებია ტახტზე მჯდომი, სამკალებიანი მამაკაცი, ლეოპარდის ტყავის ქუდში. ჩათილ-ჰუიკის ხუროთმოძღვრება საკმაოდ ერთფეროვანია. სახლებსა და სამლოცველოებს აქ ყალიბში მოჭრილი ალიზის აგურებით აშენებდნენ, ქვის საძირკვლის გარეშე. ერთსართულიანი სახლები გეგმაში სწორკუთხედია, კედლები თიხით შელესილი და სხვადასხვა ფერის ორნამენტებითაა (სამკუთხედები) მოხატული. ყოველ საცხოვრებელ სახლს მიშენებული აქვს სამეურნეო დანიშნულების სათავსოები, საცხოვრებელ სახლებს, ჭერის სიახლოვეს, სინათლისათვის დატანებული აქვს სარკმელები. სახლში შედიოდნენ ჭერში დატოვებული ღიობიდან, რომელსაც სამხრეთი მხრიდან ხის კიბე აქვს მიყუდებული. საშიშროების დროს კიბე სახლში შეჰქონდათ. ამავე ღიობიდან გადიოდა შუაცეცხლის ბოლი, რადგან ბრტყელ გადახურვაში სახლები ტერასულად იყო განლაგებული გორის კალთებზე. მათი მეშვეობით მიწაზე ფეხდაუდგმელად შეიძლებოდა მთელი დასახლების ეზო-ეზო შემოვლა. ამ ბანურ სახურავებზე ატარებდენ თავისუფალ დროს სოფლის მკვიდრნი. აქვე ანიავებდნენ მარცვლეულს. თითოეულ ოთახში ალიზის აგურისაგან გაკეთებული ამაღლებული ადგილებია, ჩანს, ძილისა და დასვენებისათვის. ამ თავისებური პლატფორმებისა და იატაკისქვეშ ჩათლ-ჰუიკელები თავიანთ მიცვალებულებს კრძალავდნენ. ოთახში ცალკეა გამოყოფილი ოჯახის უფროსის დასაჯდომი მაღალზურგიანი სკამი. საცხოვრებლის კედლები მოხატულია, მაგალითად, ერთ-ერთი სახლის კედელზე ირემზე მონადირე კაცი და ძაღლია გამოსახული. მონადირეობის გარკვეულ მნიშვნელობაზე აქ აღმოჩენილი გარეული ცხოველების ძვლებიც მეტყველებს. ჩათალ-ჰუიკელთა რთული სულიერი ცხოვრების ამსახველია კულტურულ ფენებში გამოვლენილი ორმოცამდე ტაძრის ნანგრევი. მართალია, ისინი იმეორებენ საცხოვრებელი სახლების დაგეგმარებას, მაგრამ გამოირჩევიან მაშტაბურობითა და დეკორატიული შემკულობის სიუხვით. სატაძრო კომპლექსი ოთხი-ხუთი ოთახიდან შედგებოდა. სალოცავებში ინახებოდა ქვისა და თიხის ღვთაებებისა და მათ წმინდა ან ტოტემი ცხოველების პატარ-პატარა გამოსახულებები. ესენია თაყვნისცემის ობიექტები სამი ასაკობრივი სახით (ბავშვი, ახალგაზრდა, მოხუცი) წარმოდგენილია დედა-ღვთაებები, ნაყოფიერების გამოსახულებები, მათ წრეს ეკუთვნის ჭაბუკებისა და წეროსანი მამაკაცების გამოსახულებები, რო-

მელია გამოჩენა საზოგადოებაში მამისეული გვარის დაწ-
ინაურებაზე, მეურნეობაში მამაკაცის როლის გაზრდაზე უნდა
მიგვანიშნებდეს. ტაძრების კედლები მოხატულია ნატურალური
სალებაებით. ცალკეულ სალოცაებში გვხვდება მონუმენტური
რელიეფები, რომლებიც ოიხითაა გამოყვანილი.

VI-IV ათასწლეულებში დასავლეთ ევროპის ადრესამიწათმოქ-
მედო საზოგადოებები წარმოდგენილია მონუმენტური ქვის ნა-
გებობებით, რომლებსაც მეგალითებს უწოდებენ (ბერძ. — მეგას
დიდი, ლითოს ქვა). ისინი წარმოადგენდნენ ადრესამიწათმოქ-
მედო ტომების საკულტო-სარიტუალო ცენტრებს. მათ შორის
აღსანიშნავია კარნაკი, ბრეტანში, ჩრდილო საფრანგეთში, სადაც
ვერტიკალურად ჩასობილი ათი ათასზე მეტი ქვის სვეტების
რიგები დაფიქსირდა. სამხრეთ ინგლისში, სოლსბერის ველზე
უკვე სამას წელზე მეტია იკვლევენ ნეოლით-ადრებრინჯაოს ხა-
ნის, მსოფლიოში უძველეს ობსერვატორიის ტიპის, მრავალტო-
ნიანი ქვის ბლოკებისაგან შედგენილ კონსტრუქციებს. ნიშან-
ლობლივია, რომ გვიან ნეოლითის ამ აღნიშნულმა ცენტრმა 2000
წელი იარსება. მისი სამშენებლო ქვები, რომელთა ნაწილი 45-
ტონიანია, უელსიდან 200 კმ-ით დაშორებული ქვის სამტეხლოე-
ბიდან არის მოტანილი. გათხრების პროცესში მოპოვებულია კა-
ვის იარაღები, ირმის რქის წერაქვები, ქვის მოზრდილი 18-27 კგ
ურიები. მაოი მეშვეობით ამუშავებდნენ ქვის ბლოკებს. აძლევდ-
ნენ მათ სასურველ ფორმას. აქ ლითონის იარაღები ჯერ კიდევ
არ ყოფილა ცნობილი.

როგორც დაერწმუნდით, მთელი ორი მილიონი წლის გან-
მავლობაში მსოფლიოს კულტურული პროგრესის საფუძველს
ქვის ინდუსტრია, ქვის იარაღის მაღალგანვითარებული წარ-
მოება, მომხმარებლური მეურნეობა შეადგენდა. ლითონის, კერ-
ძოდ, სპილენძის აღმოჩენამ VI ათასწლეულში და შემდგომში
მისმა გამოყენებამ მეურნეობაში მკვეთრად შეცვალა საწარმოო
და საბრძოლო იარაღების დამზადების ტექნოლოგია. ამან დააჩ-
ქარა კულტურის განვითარების ტემპები. ისევე როგორც სამი-
წათმოქმედო ცენტრები მეტალურგიის, ლითონის წარმოების
ცალკეული კერები მადნეულით მდიდარ რეგიონებში, ერთმანე-
თისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვა. მაგალითად, V ათასწლე-
ულში, თანამედროვე თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიო-
ნებში მცხოვრებმა ტომებმა იცოდნენ ოქრო-ვერცხლისა და სპი-
ლენძისაგან სამკაულების, მძივებისა და საკინძების დამზადება.
თავდაპირველად სპილენძი ქვის ერთ-ერთ სახეობად მიაჩნდათ,

შემდგომ მრავალწლიანი დაკვირვებისა და შესაძლოა მრავალრიცხოვანი ცდის საფუძველზეც კარგად გაერკვნენ მის ქიმიურ-ფიზიკურ თვისებებში. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საუბრის დაწყება ფერად მეტალურგიაზე. როდესაც ადამიანებმა ისწავლეს მადნიდან სპილენძის გამოდნობა, ცივი ჭედვა და ჩამოსასხმელი ყალიბების დამზადება გაჩნდა მჭედელთა პროფესია. მათ საქმიანობას მაგიურ ხასიათს მიაწერდნენ, რაც აისახა კიდეც მითოლოგიაში. შესაბამისად მელითონეები და მჭედლები საზოგადოებაში დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ. სადნობი ლუმელების იდეა, ალბათ, კერამიკული ჭურჭლის გამოწვის პროცესში დაიბადა, სადაც ტემპერატურის რეგულირება ხდებოდა, სიმხურვალე კი 1470°-სს აღწევდა. 1200°-ი საკმარისი იყო სპილენძის გამოსადნობად და ქვის ყალიბებში მის ჩამოსასხმელად. მეოთხე ათასწლეულში ადამიანებმა ისწავლეს ბუნებაში არარსებული შენადნობის მიღება (ბრინჯაოს, სპილენძის ან კალის, დარიშხანის 1/10 ნაწილის ნარევი) შერეული მეშვეობით. ბრინჯაოს დნობის ტემპერატურა ბევრად ნაკლებია 700°-ი, რაც პრაქტიკულად მისი ფართო წარმოების საშუალებას იძლეოდა. უფრო მოგვიანებით, II ათასწლეულის შუა ხანებში, ჩვენმა წინაპრებმა, ხალიბებმა, რომლებიც ხეთების მიერ შექმნილ იმპერიაში ცხოვრობდნენ, დაიწყეს რკინის ახალი სტრატეგიული მნიშვნელობის ლითონის წარმოება, რამაც საბოლოოდ გამოიდევნა ადამიანთა ყოფიდან ქვის იარაღები. შაგმა მეტალურგიამ, რასაც დღესაც მრეწველობის პურს უწოდებენ, რევოლუციური როლი ითამაშა მსოფლიო კულტურის განვითარებაში. ლითონის ინდუსტრიამ საგრძნობლად დააჩქარა ტექნიკური პროგრესი და კულტურის განვითარების ტემპები. დაწინაურდა მეცნიერების ისეთი დარგები, როგორიცაა ასტრონომია, მათემატიკა, მედიცინა. შემოიღეს დამწერლობა, რომელიც თავდაპირველად სამეურნეო შემოსაელების აღრიცხვას ემსახურებოდა.

ასეთია კაცობრიობის, პრეისტორიული ხანის პირველყოფილი საზოგადოების კულტურა, დაწყებული მღვიმეებში ბინადრობიდან, დამთავრებული პირველი, პროტო ქალაქური ტიპის დასახლებების წარმოშობით ახალი ქვის ხანის მიწურულში. პირველყოფილი საზოგადოების კულტურა მრავალი ათასწლეულის განმავლობაში თანდათანობით ვითარდებოდა. პროგრესის ტემპის საგრძნობი ზრდა მხოლოდ ნეოლითიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლის შემდეგ, უფრო ზუსტად ხალკოლითში (სპილენძ-ქვის ხანა — ენეოლითი) V ათასწლეულში დაიწყო,

რომელიც ოიკუმენის (დასახლებული სამყაროს) სხვადასხვა რეგიონში სხვადახვა დროს დგება.

განვიხილეთ რა პრესიტორიული ხანის კულტურის ისტორიის ორმილიონიანი მონაკვეთი, ადამიანების მღვიმეებში ბინადრობიდან დაწყებული, ქალაქური ტიპის დასახლებით დამთავრებული, VI ათასწლეულში, შეგვიძლია ზოგადი დასკვნების გაკეთება. ამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში კაცობრიობის კულტურა ერთიან სინკრეტულ ხასიათს ატარებს. მას ახასიათებს საწყისური ერთიანობა, ის მხოლოდ შემდგომ დაიყო ისეთ სტრუქტურულ შემადგენელ ელემენტებად, როგორიცა რელიგია, ხელოვნება, მორალი, მეცნიერება და სხვ. ზედაპალეოლითში, დაახლოებით 30000 წლის წინათ, ჩაეყარა საფუძველი ფერწერას, საწესო ცეკვა-სიმღერებსა და სავარაუდოთ სასიყვარულო პოეზიას, ხალხურ შემოქმედებას, რომ არაფერი ვთქვათ კალენდარულ სისტემებსა და პირველყოფილ მედიცინაზე. შუა ქვის ხანაში გონიერი ადამიანები განსახლდნენ ამერიკის კონტინენტზე. აითვისეს პოლარული ტუნდრა, მოგვიანებით კი ავსტრალიის კონტინენტი. გაჩნდა რეგიონალური ლოკალური კულტურები. მატერიალური კულტურა აღარ ვითარდება ერთი მაგისტრალური გზით. ახალ ქვის ხანაში, დაახლოებით 10 000-8000 წლის წინათ, მოხდა უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ძვრები, კერძოდ, კრომანიონელთა, ანუ გონიერ ადამიანთა საზოგადოება საკმაოდ ხანგრძლივი სამონადირეო კრიზისის შემდეგ მიმთვისებელ-მომხმარებლურიდან გადადის მწარ-მოებლურ მეურნეობაზე. ადამიანების ძირითადი სამეურნეო საქმიანობა ნადირობისა და შემგროვებლობის ნაცვლად, მიწათმოქმედება და მეცხოველეობა ხდება. მათთვის უკვე ცნობილია სამყაროს ძირითადი ასტრონომიული ორიენტირები და კალენდარი, რომლის საფუძველზეცაა დამყარებული მთელი მათი ყოფა და რელიგიური სულიერი ცხოვრება. ამ დროს მოხდა შრომის პირველი დიდი დანაწილება, მიწათმოქმედებას გამოეყო მესაქონლეობა, დაისახა ორი განსხვავებული ორიენტაცია, მსოფლმხედველობის მქონე კულტურული არეალი — მესაქონლე და მიწათმოქმედი ხალხის სახით. მეურნეობის სპეციალიზაციამ, ახალმა ტექნოლოგიებმა, განსაკუთრებით ლითონის გამოყენებამ საგრძნობლად გაზარდა შრომის ნაყოფიერება, დაგროვდა დოვლათი, ჭარბი პროდუქტი, რამაც, თავისმხრივ, მოითხოვა დაცვის ორგანიზაცია, სამხედრო საქმის განვითარება საზოგადოების ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, რაც სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის

განვითარების შედეგია. დედისეულ გვარს მამისეულით (პატრიარქატი) შეცვლა მოჰყვა. სახვნელი მიწათმოქმედება, მესაქონლეობა ხელოსნური წარმოება, ისევე როგორც დაგროვილი ქონება, მამაკაცების პრიორიტეტული საქმიანობის შედეგია. ქალს უმნიშვნელო ფუნქციები რჩებოდა მეურნეობაში. მისი უფლება-მოვალეობები სახლით, ბავშვების გაჩენა-აღზრდით და საოჯახო საქმიანობით შემოიფარგლა. წინა ეპოქისაგან განსხვავებით, შესაბამისად შემცირდა მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და გავლენა. გათხოვების შემდეგ ქალი უკვე მამაკაცის თემში გადადის. ჩნდება პატრილოკალური დასახლებები ცოლქმრისა და პატრილოკალური გვარები (ლათ. Pater – მამა, locus – ადგილი), მაოი ქალიშვილები და დები ტოვებენ მამისეულ საცხოვრისს. გვარი ამ შემთხვევაში მუშახელის დაკარგვის გამო გამოსასყიდს, კომპენსაციას მოითხოვდა. ცოლის „ყიდვის" ჩვეულება ბევრ ხალხს, განსაკუთრებით მესაქონლეობის კულტურულ არეალს დღემდე შემორჩა. ეთნოგრაფიული მონაცემებით, პატრიარქალურ ეპოქაში ყალიბდება, ე.წ. ლევირატის სისტემა (ლათ. levirat – მაზლი), რომლის თანახმადაც, ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში რძალი ოჯახში რჩებოდა და რომელიმე უცოლო მაზლზე ქორწინდებოდა. შესაბამისად რძლის ქონების წილი კვლავ ოჯახში რჩებოდა. მემკვიდრეებად ითვლებოდნენ შვილები და არა ცოლი, რადგან ეს უკანასკნელი თავად იყო საკუთრება (ნაყიდი იყო). ქალს ძირითადად ბავშვის გაჩენის ფუნქცია ჰქონდა. მესაქონლე ტომების ყორღანულ სამარხებში დადასტურებულია ქმართან ერთად ცოლის დაკრძალვის შემთხვევებიც, რაც მის უუფლებობაზე მიგვანიშნებს. მამაკაცებს ჰქონდათ თავშეყრის ადგილები, ე.წ. მამაკაცთა სახლები. პატრიარქალური დიდი ოჯახებისაგან, სადაც რამდენიმე თაობა იყო წარმოდგენილი, შედგებოდა საოჯახო თემი, რომელიც, თავის მხრივ, ახალი ქვის ხანის საზოგადოების ეკონომიკურ საფუძველს შეადგენდა.

პრეისტორიული საზოგადოების წიაღში მომხდარ შრომის მეორე დიდ დანაწილებად ითვლება ხელოსნობის მეურნეობის დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბება. ეს მოხდა მაშინ, როდესაც დაიწყო ლითონის წარმოება და, როდესაც სოფლის მეურნეობას გამოეყო ხელოსნური სასაქონლო წარმოება. გაჩნდა ხელოსან მელითონეთა და მერე მეთუნეთა კომპაქტური დასახლებები, რომლებიც საბაზრო პროდუქციას აწარმოებდნენ. შემდგომ სასაქონლო პროდუქციის სახელოსნო ნაწარმის ასორტიმენტისა და მოცულობის, საზოგადოებაში მათ ნაწარმოებ პროდუქციაზე

მოთხოვნილების ზრდასთან ერთად, ჩნდება შუამავალ ვაჭართა ფენა. საზოგადოებაში ჩნდება გასაცვლელი საქონლის ეკვივალენტის შემოღების აუცილებლობა, რომლის ყველაზე გავრცელებულ სახეობას ესა თუ ის ლითონის ხელოვნური ნაწარმის ნახევარფაბრიკატები — მარილი ან საქონელი წარმოადგენდა. აღნიშნული ვითარება მთელ რიგ ენებშიც აისახა, სადაც ფული საქონელს ნიშნავდა (ლათ. პეკუნია, ინდური, რუპია, ქართ. — ზრნა და სხვ.) აღნიშნული ყველაზე ხანგრძლივი უძველესი ეტაპი კაცობრიობის კულტურის ისტორიაში დასრულდა გვაროვნული საზოგადოების რღვევით, კლასების, ქალაქებისა და სახელმწიფო დამწერლობის პირველი ცივილიზაციის წარმოშობით ძველ ეგვიპტესა და მესოპოტამიაში.

ძველი ეგვიპტის კულტურა

ეგვიპტის მაღალგანვითარებული ცივილიზაცია ჩამოყალიბდა ნილოსის ხეობაში ქრისტეს შობამდე IV ათასწლეულში. ეგვიპტის კულტურის სპეციფიკურობა განსაზღვრა მისმა ბუნებრივ-გეოგრფიულმა პირობებმა შეიძლება ითქვას, რომ ეგვიპტე ნილოსის პირმშოა, მან სული შთაბერა უნაყოფო ქვიშის უდაბნოებს, ნაპირები ლამით მოპფინა და გაანაყოფიერა. ხოლო ყოველწლიურმა ადიდებამ განაპირობა ნაყოფიერ ველზე სიცოცხლის გაჩენა. ეგვიპტელებმა პირველებმა გაიყვანეს არხები და დაარეგულირეს სარწყავი წყლის სისტემა. ნილოსის ადიდებაზე დაკვირვებამ გამოიწვია კალენდარის შექმნა და ასტრონომიის განვითარება. რადგან ნილოსი ადიდებას 10 იულისიდან იწყებდა, შესაბამისად აქედან იწყებოდა ყოველი ახალი წელი. ნოემბერში მდინარე თავის კალაპოტში დგებოდა და მინდვრებში ტოვებდა უნაყოფიერეს შლამს. ეს იყო თესვის პერიოდი, ალოობა კი გაზაფხულზე დგებოდა. ეგვიპტელებს კარგად ესმოდათ ნილოსის მნიშვნელობა, მას თაყვანს სცემდნენ როგორც ღვთაება — 'დიდ ჰიპის"

ეგვიპტელთა მსოფლგაგებას თავისი დაღი დააჩნია უნაპირო მწვანე ველებმა. ბუნებაზე ბატონობის სწრაფვამ, მისდამი დაუმორჩილებლობის გრძნობამ და იმის სულისკვეთებამ რომ ყველაფერი შეექმნათ თავიანთი ნებით.

თავისებური ფლორისა და ფაუნის არსებობა ტოტემიზმის წარმოშობას უწყობდა ხელს. ეს იყო რწმენა, რომ ადამიანები ენათესავებოდნენ იმ ცხოველებს, მცენარეებს, ბუნების მოვლენებს, რომლებიც რელიგიური თაყვანისცემის ობიექტები იყო და შემდგომში კულტად იქცეოდნენ. ეგვიპტეში ცხოველების კულტი მეტად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და რომის იმპერიის შენადგენლობაში არსებობის ბოლომდე შემორჩა.

ფარაონების დროს ეგვიპტე თეოკრატიული სახელმწიფო იყო, სადაც რელიგიური კულტის მსახურებს, ქურუმებს დიდი ძალაუფლება ჰქონდათ. ეგვიპტის კულტურის განვითარება დაკავშირებულია მისი ისტორიის სამ ძირითად ეტაპთან:

1. ძველი სამეფოს კულტურა (ქრისტეს შობამდე XXIX-XXIII საუკუნეები) — პირამიდების მშენებლობის ხანა; I-X დინასტიები.

2. შუა სამეფოს კულტურა (ქრისტეს შობამდე XXI-XVIII საუკუნეები) მრავალსვეტებიანი სულისმოსახსენიებელი ტაძრებისა და ნახევრად კლდოვანი აკლდამების მშენებლობა (XII-XIII);

3. ახალი სამეფოს კულტურა (ქრისტეს შობამდე XVI-XIსს. — აკლდამების გამოყოფა სულისმოსახსენიებელი ტაძრებისაგან) XVII-XX დინასტიები.

4. გვიანი ხანა — X-VI სს. XXV-XXVI დინასტიები. რამდენიმე ეტაპი გამოიყოფა ძველი ეგვიპტური ენის განვითარებაში. ახალი სამეფოს დროს კლასიკური ეგვიპტური ენა უკვე გაუგებარია. დემოტიური ძვ.წ. 800. — ახ.წ. 200 წ. გავრცელებული. ქრისტიანი ეგვიპტელების ენა კოპტურია, რომელიც ცოცხალ მეტყველებაში XVIIIს.-მდე შემორჩა. შესაბამისად ეგვიპტური დამწერლობის სამი სახეობაა დადასტურებული: 1) იეროგლიფური 2) იერატიკული ანუ გაკრული ხელი და 3) დემოტური — იეროგლიფური დამწერლობის გამარტივებული სახე.

ეგვიპტური ცივილიზაციის ფორმირების პროცესში ეგვიპტელებს ესაზღვრებოდნენ კულტურული განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი ტომები, რაც განაპირობებდა მათი უპირატესობის რწმენას. სარწყავი სისტემების ერთიანმა მართვამ მოითხოვა ცენტრალიზირებელი სახელმწიფოს შექმნა. მის სათავეში იდგა ფარაონი ანუ "დიდი სახლი". ოფიციალური იდეოლოგიით, რომელიც მითებით იყო განმტკიცებული, ფარაონები არ იყვნენ უბრალო მოკვდავები, ისინი ადამიანის სახე მიღებული ღვთაებებია 'ღვთაებრივი სულიერი საწყისის" მქონენი. წარწერებში ფარაონის სახელი ღვთაებრივ წრეში ანუ კარტუშშია ჩასმული, რაც მარადიულობის სიმბოლოს წარმოადგენდა. მათი უკვდავების სიმბოლოს მათი სამარხები — პირამიდები წარმოადგენდნენ, სადაც მათი ბალზამირებული სხეულები იყო დასვენებული.

წინადინასტიური ეგვიპტის პოლიტიკური განვითარების შესახებ თითქმის არაფერი ვიცით, მაგრამ არქეოლოგიური მასალებით ვეცნობით ქვეყნის ყოფა-ცხოვრებას, კულტურულ დონეს, სამარხებს, სამარხეულ ინვენტარსა და სხვ. თუმცა, ერთი კი

უნდა ითქვას, რომ დინასტიურ ეპოქამდე ეგვიპტური დასაფლავების წესები განსაკუთრებულობით არ გამოირჩეოდა. მაგრამ მეზობელ ხალხებზე მოპოვებულმა გამარჯვებებმა, დაგროვილმა სიმდიდრემ საფუძველი ჩაუყარა ეგვიპტელების გაძლიერებას, დაკრძალვის დამკვიდრებული წესების ძირეულ შეცვლას. პირველი დინასტიის ფარაონთა სამარხები მარტივი ფორმისა იყო, რომლებსაც მასტაბა ეწოდებოდა. ამ ნაგებობის ცენტრში განისვენებდა მიცვალებულის მუმია.

მასტაბა არაბულად ქვის მერხს ნიშნავს. მიწის ზედა ნაწილი გაკვეთილი პირამიდის ფორმის აკლდამას წააგავს, დამრეცკედლიანია და ვერტიკალურ შახტით მიწისქვეშა სამარხს უკავშირდება.

თავდაპირველად მასტაბა მცირე მოცულობის ალიზის ნაგებობას წარმოადგენდა. მაგრამ წინადინასტიური ეპოქიდან მოყოლებული მისი მასშტაბები მნიშვნელოვნად გაიზარდა. მასტაბა სამი ნაწილისაგან შედგება. მთავარი იყო ფარაონის დასაკრძალავი საკანი. მეორეში ინახავდნენ საიქიო ცხოვრებისათვის აუცილებელ ნივთებს, მესამე კი წარმოადგენდა სულის მოსახსენიებელ სამლოცველოს. ამასთანავე, იგი სხვა დანიშნულების მცირე მოცულობის ნაგებობებსაც მოიცავდა.

ქრისტესშობამდე XXVIII საუკუნეში დაიწყო ხუროთმოძღვრებისა და საინჟინრო ხელოვნების ისტორიაში ახალი ეპოქა, რომელიც სამართლიანადაა მიჩნეული საოცრებების ხანად.

ამ საქმეს სათავე დაუდეს მემფისელმა ფარაონებმა, რომლებმაც ნილოსის დასავლეთ სანაპიროზე ჩაუყარეს საფუძველი პირამიდებს — თავიანთ სამარადისო განსასვენებლებს. პირველი ასეთი გრანდიოზული ნაგებობა საქარის ზეგანზე, ეკუთვნის IX დინასტიის ფარაონს — ჯოსერს. საგულისხმოა, რომ მისი მეფობის დროს გაჩნდა რწმენა ფარაონის სულის ზეცაში ამაღლების შესახებ. საქარა ფარაონთა სულისა და განსასვენებელი მფარველი ღმერთის სახელისგანაა ნაწამოები. პირამიდის არქიტექტურული სახე, დაგეგმარება და მშენებლობა ხუროთმოძღვარ იმხოტეპს ეკუთვნის. იმხოტეპმა საფეხურიანი პირამიდის სახელით ცნობილ აკლდამას სასწაულებრივი გადაწყვეტილება მოუნახა. მან ზუსტი გაანგარიშებით გაზარდა აკლდამის სიმაღლე, რომლის ზომებიც სიმაღლესთან ერთად მცირდება, ფორმით კი მოგვაგონებს 7 ერთმანეთზე შემდგმულ უზარმაზარ პლატფორმებს. პირამიდა

აგებულია ადგილობრივი კირქვის ფილებისაგან, მოპირკეთებულია მღალხარისხოვანი ტუფის ქვით. შიდა ნაგებობა გაწყობილია გრანიტით, ალებასტრითა და ბაზალტით. საგულისხმოა, რომ იმხოტეპმა სამშენებლო მასალად გამოიყენა ქვა, არა მარტო საფეხურიანი პირამიდისათვის, არამედ იმ ტაძრებისათვის, რომელიც სამეფო პირამიდის გარშემო ააგო. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს იმხოტეპის დამსახურება ქვის გამოყენების საქმეში. ცნობილია, რომ ეგვიპტეს ხე და თიხა ყოველთვის უჭირდა, ხოლო ქვა და მარმარილო უხვად მოეპოვებოდა.

ეგვიპტის პირამიდების მშენებლობის უმაღლესი პერიოდი III-IV დინასტიების ხანაა. ამ დროს ფარაონებისათვის ააგეს შვიდი განსასვენებელი, აქედან ორი დაუმთავრებელი დარჩა, მათი საერთო მოცულობა 8,2 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხეოფსის (ხუფუ), ხეფრენის (ხაფრა) და მიკერინის (მენკაურა) პირამიდები. სამივე ეს განსასვენებელი ლიბიის ზეგანზეა აშენებული, რომელსაც ეგვიპტელებმა "სიკვდილის ქვეყანა" უწოდეს.

ფარაონთა ლტოლვას გრანდიოზულობისაკენ სათავე დაუდო IV დინასტიის ფუძემდებელმა სნოფრუმ, რომელმაც დაშურში ააგო 94 მეტრი სიმაღლის, რომბისებური პირამიდა. ხეოფსის პირამიდა 147 მეტრს აღწევდა (ამჟამად მწვერვალი ჩამოქცეულია და 137 მეტრს არ აღემატება), ხოლო გვერდის სიგრძე 233 მეტრია. აშენებულია ორნახევარი ტონის კირქვის გიგანტური ბლოკებისაგან, რომლებიც საკუთარ სიმძიმეს ეყრდნობიან. ხეოფსის პირამიდა იმდენად დიდი მოცულობისაა, რომ მასში რომის წმინდა პეტრეს ტაძართან ერთად ლონდონის წმინდა პავლეს ტაძარიც დაეტევა. გადმოცემით, ამ პირამიდას ოც წელს აშენებდნენ, მარტო ქვის ბლოკების გადმოზიდვას ასი ათასი კაცი ემსახურებოდა.

ადამიანს ანცვიფრებს არა მარტო ნაგებობათა გრანდიოზულობა, არამედ მშენებლობის წვრილმანი დეტალები: სპეციალისტების აზრით დიდი პირამიდების კედლების წყობა ყველა დროის სამშენებლო ტექნიკის ნამდვილი შედევრია.

ეგვიპტეში სწავლა-განათლების ჩამოყალიბებული სისტემა არსებობდა. სწავლების არსებული ფორმები ყველას ერთიანად ეხებოდა. შეგირდი მთელი პასუხისმგებლობით ასრულებდა

დავალებებს, მაღალი საფეხურისაკენ მხოლოდ ნიჭით რჩეული იკვლევდა გზას. სწორედ ასეთი გზა განელო კლასიკური პირამიდის შემქმნელმა ხუმეინმა. გიზაში ნაპოვნი ხუმეინის ქანდაკება-ავტოპორტრეტი ეგვიპტის ძველი სამეფოს დროინდელი სკულპტურის შედეერად არის მიჩნეული. მის მემკვიდრეებს შორის ყველაზე ღირსეული იყვნენ მერიბი, ხეფრენის (ხაფრა) პირამიდის ავტორი, რომელიც ფარაონ ხეოფსის შვილი იყო და დებრეინი მენკაურას (მიკერინი) პირამიდის შემოქმედი.

ლიბიის ზეგანზე განლაგებულ ხელოვნების სასწაულებს შორის ყველაზე მეტყველი ქმნილებაა დიდი სფინქსი, რომელსაც არაბები 'საშინელ მამას" უწოდებენ. სფინქსი ფანტასტიკური არსებაა. მას აქვს ხარის სხეული, ძუ ლომის თათები და ზოლებიანი მოსახვევი — მეფის ძალაუფლების სიმბოლო. გარდა ამისა, მას ამშვენებს ხელოვნური წვერი, რომელიც მხოლოდ ფარაონს შეუძლია ატაროს. იგი მეფის პორტრეტულ გამოსახულებას წარმოადგენს. ქანდაკება ხეფრენის ტაძრის მარჯვნივაა აღმართული, და მთლიანი ლოდისაგანაა გამოკვეთილი. მისი სიმაღლე 20 მეტრია, სიგრძე — 57 მეტრს აღემატება, სახის მოცულობა ლოყიდან ლოყამდე 4 მეტრია, ყური 2 მეტრზე უფრო დიდი აქვს, ცხვირი კი ერთი მეტრი და 80 სანტიმეტრია. ეს მწოლიარე გიგანტი, რომელსაც ღმერთ ხორის თავი აქვს, გამოხატავს ფარაონ ხეფრენის მტკიცე ხასიათსა და სიძლიერეს.

დღეს სფინქსი შელახულია, ცხვირი და ნიკაპი მომსხვრეული აქვს, თვალები კი დაშრეტილი. მისი რესტავრაცია ათი წელი გრძელდებოდა. ქანდაკების დაზიანებას აბრალებენ ნაპოლეონ ბონაპარტის არტილერისტებს, ზოგი კი ბოროტი სულებით შეშინებულ არაბებს, რომელთა შეიხს ჯერ კიდევ 1496 წელს სურდა მისი განადგურება.

ბუნებრივია, თითოეულ ჩვენთაგანს დაებადება კითხვა — სპილენძ-ბრინჯაოს ხანაში მცხოვრებმა ადამიანმა როგორ შეძლო შერკინებოდა ამ უზარმაზარი პირამიდების, სასახლეების მშენებლობას, აეთვისებინა ორმოცდათოთხმეტი ათასი კვადრატული მეტრი ფართობი, გადაეწყვიტა ტექნიკური პრობლემები, 147 მეტრის სიმაღლეზე აეზიდა მრავალტონიანი ქვები?

პირველად ამით ძვ.წ. V ს. დაინტერესებულა ისტორიის მამა ჰეროდოტე. მისი აზრით, პირამიდები შენდებოდა საფეხურებით,

რიგობრივი პრინციპით. ქვები აჰქონდათ მოკლე ხის ამწე მანქანებით. მოპირკეთებას იწყებდნენ პირამიდის თავიდან და ამთავრებდნენ მიწის პირას. დიოდორე სიცილიელს კი მიაჩნია, რომ ეგვიპტელებს ამ დროისათვის არ გააჩნდათ მანქანები, ისინი პირამიდებს აშენებდნენ მიწაყრილებით, რომლებიც კედლების სიმაღლის ზრდასთან ერთად იზრდებოდა და, რომელზედაც ძელების მეშვეობით მიაგორებდნენ საშენ ბლოკებს.

პირამიდებში როგორც ცნობილია ფარაონთა მუმიები იკრძალებოდა. მუმია ფართო გაგებით ნიშნავს გვამის გახრწნისაგან ხელოვნურ დაცვას. როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით ეგვიპტეში, ასევე მექსიკაში, პერუსა და ცენტრალური ამერიკის მთელ რიგ ხალხებში, მუმიფიცირება დაკავშირებული იყო საიქიო ცხოვრებასთან. დღემდე ცნობილი მუმიებიდან უძველესია ეგვიპტელი დედოფლის ხეტემჰხერესის მუმია, რომელიც ქრისტეს შობამდე III ათასწლეულის მიეკუთვნება. მოკლედ აღვწერთ ბალზამირების პროცესს. ცხედარს ჭრიდნენ მარცხენა გვერდზე, აქედან იღებდნენ შიგნეულობას, რასაც ალაგებდნენ ქვის ოთხ ჭურჭელში — 'კანოპში". ცხედარს ჟღენთავდნენ ნატრიუმის მარილის ხსნარში, რომელსაც მოიპოვებდნენ ლიბიის ოაზისებში. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ნატრიუმის ერთ-ერთ შენაერთს — ამონიუმს სახელი დაერქვა ამოინის დიდი ოაზისის პატივსაცემად.

შემდეგ ცხედარს ჟღენთავდნენ კეთილსურნელოვანი ზეთოვანი ნივთიერებით, მიცვალებულის გვამზე და მის შიგნით ალაგებდნენ ავგაროზის ძვირფას ქვებს, ყელზე ან მაჯაზე, ვითომდა ავი თვალისაგან დასაცავად, ატანდნენ უპირატესად ლითონის შელოცვილ ნივთს, გულისნაცვლად ადებდნენ პასტის ხოჭოს — სკარაბეიოიდს, მაგიური ფორმულის წარწერით. მერე ცხედარს ახვევდნენ სელის ქსოვილში და ასვენებდნენ კუბოში, რომელზედაც ხატავდნენ სარწმუნოებივი შინაარსის გამოსახულებას.

ბალზამირების პროცესი 70 დღეს მიმდინარეობდა, რის შემდეგაც შეიძლებოდა მიცვალებულის სარკოფაგში გადასვენება და დაკრძალვა.

როგორც ითქვა, ეგვიპტემ დასაბამი დაუდო მსოფლიო მონუმენტური ქვის არქიტექტურას. ამასთანავე, საფუძველი ჩაუყარა სკულპტურულ პორტრეტს, მხატერული ხელოსნობის

დახვეწილ ოსტატობას. ეგვიპტელებმა უმაღლეს დონეზე აიყვანეს ხესა და ძვალზე ჭრის ხელოვნება, ლითონის სხვადასხვა სახეობის, ოქრო-ვერცხლისა და პატიოსანი თვლების საიუველირო დამუშავების ხერხები. აქაური ოსტატები შესანიშნავად ამზადებდნენ მინა-ფაიანსს, თხელ გამჭირვალე ქსოვილებს, რომლებიც გამოირჩეოიან მასალისა და ფორმის შერჩევის გასაოცარი გემოვნებით.

ეგვიპტური ხელოვნების უდიდესი დამსახურებაა ადამიანის შინაგანი სამყაროს, მისი გრძნობებისა და განცდების წარმოჩენა. ეგვიპტელებმა პირველებმა მიაქციეს ყურადღება დედობრივი გრძნობების განსაკუთრებულობას. ეს არაჩვეულებრივი სითბოებითაა გადმოცემული ნაყოფიერების ქალღმერთ ისიდასა და მისი ჩვილის სახეში.

საგულისხმოა, რომ ძველ ეგვიპტურმა ხელოვნებამ შემოინახა სახელმძღვანელოები, მითითებები, რომლებიც ავალდებულებდნენ ახალგაზრდა მხატვრებს დაეცვათ ფორმისა და შინაარსის სავალდებულო წესები. უდფუს ტაძრის ბიბლიოთეკაში ინახება ფერმწერებისათვის მსგავსი სახის "მითითებები კედლის მხატვრობისა და პროპორციების დაცვის შესახებ".

ძველი სამეფო ხანის ეგვიპტე წარმოადგენდა ტიპიურ აღმოსაველურ დესპოტიას. მისი დედაქალაქი იყო მემფისი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ამ ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. აქ შეიქმნა ეგვიპტის ლიტერატურის უძველესი ნაწარმოებები და უდიდესი რელიგიურ-ფსიქოლოგიური ტრაქტატები, რომლებიც დაკავშირებული იყო ადგილობრივი ღმერთის პტხას თაყვანისცემასთან. ეს ქალაქი იქცა, აგრეთვე, ხელოვნებიის წამყვან ცენტრად, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ამ ხალხის სულიერი ცხოვრების განვითარებაში.

მემფისში განისაზღვრა ეგვიპტური ხელოვნების მთავარი ამოცანები და ხასიათი, აგრეთვე, მის სახეობათა თანაფარდობა, თანდათანობით ჩამოყალიბდა არქიტექტურული ძეგლების ძირითადი ტიპები. უკვე ამ დროს შეიქმნა ქვის გრანდიოზული ნაგებობები — ფარაონების აკლდამები, პირამიდები.

ძველი სამეფოს სამოქალაქო არქიტექტურის შესახებ ჩვენ ცოტა რამ ვიცით, ვინაიდან სახლები და სასახლეები შენდებოდა ალიზის აგურით და ხით. ამიტომ მათგან თითქმის არაფერია

შემორჩენილი. უძველესი სასახლეების გარეგნულ სახეზე ჩვენ შეგვიძლია ყიმსჯელოთ მხოლოდ განსასვენებლების ფილებით, მინებსა და სარკოფაგებზე შესრულებული გამოსახულებებით. ხოლო იმდროინდელი საცხოვრისების შესახებ წარმოდგენას გვიქმნის აკლდამებში არსებული „სულის სახლები“. ამრიგად, ეგვიპტური არქიტექტურის განვითარების გზა, ჩვენთვის ცნობილია უმთავრესად საკულტო დანიშნულების ძეგლებით.

მეფეთა და დიდებულთა განსასვენებლების შესწავლისას, მხედველობაში უნდა მივიღოთ სტატუეტები, რომლებიც განსასვენებელი კომპლექსის გაუყოფელი ნაწილია. განსასვენებელში არსებულ დიდებულთა სტატუეტების ფრონტალური პოზები ერთგვაროვანია. მათი შეფერილობა პირობითია. მასტაბების სამლოცველო ნიშნები ან მომცრო შენობებში დადგმული სტატუეტები, გარდაცვლილებს გამოსახავენ ან ფეხზე მდგომი, ანდა კუბისმაგვარ გვირგვინებს შორის მიწაზე ფეხმორთხმით მჯდომი. ყველა ქანდაკება პირდაპირ შემოგყურებთ, ხელ-ფეხი და სხეულის სხვა ნაწილები ერთნაირად აქვთ დაწყობილი. მამაკაცთა ფიგურები აგურისა და მიხაკისფერია, ხოლო ქალები ყვითელა შაკთმიანია და თეთრ სამოსში არიან გამოწყობილი.

ძველი სამეფოს ქანდაკებათა იკონოგრაფიული ელემენტების ერთიანობა, განპირობებული იყო მათი დანიშნულებითა და განვითარების პირობით. ქანდაკებას უნდა გადმოეცა გარდაცვლილთა მსგავსება, რომლის სხეულსაც იგი ცვლიდა. ქანდაკების პოსათა მსგავსება, ნაწილობრივ აიხსნებოდა აკლდამის არქიტექტურული თავისებურებებით, უმთავრესად კი რიტუალური დანიშნულებით. იგი თაობებს უცვლელად უნდა გადასცემოდა. ეს კი ხელს უშლიდა გადაელახათ ტრადიციული ნორმები და საბოლოოდ გადმოეცათ ადამიანის სახე, მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით. მხატვრები იძულებული იყვნენ შეენარჩუნებინათ არა მარტო პოზის შებოჭილობა, არამედ გარდაცვლილი ესვენებინათ ცივი სახით, მშვიდი გამომეტყველებით, სხეულის სიძლიერე კი, უსომოდ განვითარებული კუნთებით.

ქვეყანაში დადგენილი დოგმებისა და რელიგიური ზეწოლის მიუხედავად, ეგვიპტური ხელოვნების წინსვლა არ შეჩერებულა. ქვეყნის საუკეთესო მოქანდაკეებმა, მხატვრებმა შეძლეს ნაწილობრივ მაინც გადაელახათ გაბატონებული ნორმები, ტრადიციები და შეექმნათ მთელი რიგი შესანიშნავი ნაწარმოებები. მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ხემიუნის, სასახლის მწერალ კანის, უფლისწულ კააპერისა და ასევე უფლის-

წელ ანხაფის ბიუსტი. ეს ნაწარმოებები ეგვიპტური რეალისტური პორტრეტის საუკეთესო ნიმუშებია. განსაკუთრებით გვინდა შევჩერდეთ ანხაფის სკულპტურულ პორტრეტზე. ეს გასაოცარი სახე არა მარტო ამ პერიოდის, არამედ მთელი ეგვიპტური ხელოვნებისმოძღვრების რეალისტური პლასტიკის მწვერვალია. მომაღალი ფარაონის ჭკვიან, ძალაუფლების მქონე სკულპტურაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სახის ნაკეთები, თვალის ქუთუთოები, კანის ფერი, რომელიც შესრულებულია ქვაზე გადალესილი თაბაშირის სქელი ფენით.

არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არ ითქვას ხემუინის — ძველი სამეფოს ეგვიპტელი დიდებულის რეალისტურ სახეზე. ქანდაკებაში მეტად გააზრებულადაა გადმოცემული მისი სოციალური აღგილი, იგი უბრალო მოკვდავი კი არ არის, არამედ იმ ზედა ფენის წარმომადგენელია, რომლის ხელშიაც იყო მთელი ქვეყნის მართვის სადაგეები. საერთოდ, ძველი სამეფოს დროინდელ ქანდაკებებში ფარაონები წარმოდგენილია ზეადამიანური ძალის მქონე პიროვნებებად, რომლებსაც გააჩნიათ შეუზღუდავი უფლებები და ღმერთების ძეს წარმოადგენენ დედამიწაზე.

ძველი სამეფოს ხელოვნებაში დიდი ადგილი ეთმობა რელიეფებსა და მოხატულობებს განსასვენებლებისა და ტაძრების კედლებზე. სწორედ ამ დროს შემუშავდა ხელოვნების ამ სახეობათა ძირითადი პრინციპები. აქ ასახულია მხვნელ-მთესველები, თიბვის, მკისა და თევზჭერის მომენტები, ხელოსანთა საქმიანობა. მართალია, მხატვრები ცდილობდნენ ნახატებში შეეტანათ მრავალფეროვნება და სიცოცხლის ელემენტები, მაგრამ მათ უნდა დაეცვათ სამარხების დანიშნულების ძირითადი ამოცანა, ხაზგასმით აღენიშნათ აკლდამის მფლობელის წარჩინებულობა და სიმდიდრე. მთავარი ადგილი ნახატებსა თუ ქანდაკებებში უკავიათ მეფეს ან დიდებულებს. მათი ფიგურები სხვებთან შედარებით უფრო დიდია, დიდებული ზის თუ მოძრაობაშია, ხელში უჭირავს მისი მაღალი წოდების სიმბოლო — კვერთხი ან კომბალი.

ძველი სამეფოს პერიოდში, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მხატვრულ ხელოსნობას. ამზადებდნენ ჭურჭელს ქვის სხვადასხვა ჯიშებისაგან, როგორიცაა ალებასტრი, გრანიტი და სხვ., საიუველირო ნაკეთობებს ოქროსაგან, მალაქიტისაგან, ფირუზისაგან, სარდიონისაგან და სხვა ნახევრად ძვირფასი ქვებისაგან. ძვირფასი ხისაგან დამზადებულ მხატვრულ ავეჯს უკეთდებოდა ოქროს ინკრუსტაცია ან იფარებოდა ფურცლოვანი ოქროთი, ხის

სარეცლები იდგა მხატვრულად დამუშავებულ ძვლის ფეხებზე. დამახასიათებელია ოსტატის მისწრაფება, რომ დეკორატიულ ელემენტებს მისცეს სათანადო გააზრება. მაგალითად, სარეცლების სადგომებს ძლიერი ხარის ფეხების ფორმა აქვს, ხოლო სავარძლების ფეხები გამოხატავს ორ ლომს, რომლებიც თითქოს იცავენ მათზე მჯდომ ადამიანებს. საგულისხმოა, რომ ეგვიპტელი ხელოსნები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ხალხურ ხელოვნებასთან, რომელიც წარმოადგენდა მათი შთაგონების უშრეტ წყაროს.

აკლდამების კედლებზე ვხვდებით ადამიანთა მძიმე ყოფის ამსახველ სურათებს. მაგალითად, ძველი სამეფოს, საქარის რელიეფზე გამოსახულია შიმშილით სიკვდილის სცენა. მხატვარმა გადმოსცა შიმშილისაგან გამოფიტული კაცებისა და ქალების მთელი ჯგუფი. ადამიანები ეცემიან მიწაზე, თავში იცემენ ხელებს, ბავშვები ხელგაწვდილები ითხოვენ საკვებს.

მარცვლეული კულტურებიდან, გავრცელებული იყო ხორბალი, ქერი პარკოსანი მცენარეები, ტექნიკური კულტურებიდან — კანაფი და კენეტი, ხილ-ბოსტნეულიდან — ხახვი, ნიორი, სტაფილო, კიტრი, ნიახური, ნესვი, საზამთრო, ინდური ხურმა, ყურძენი, ბროწეული და ვაშლი. ეგვიპტელები იცავდნენ უმარტივეს თესლბრუნვას, პერიოდულად ასვენებდნენ ნიადაგს.

ეგვიპტეში უძველესი სასოფლო-სამეურნეო იარაღი იყო თოხი. იგი გვხვდება წინადინასტიური ძეგლების გამოსახულებებში. ქვისა და კაჟის პირები კი უკვე ნეოლითის ხანაში იხმარებოდა.

ქვეყანაში, სადაც მდინარე მიმოსვლის მთავარი საშუალება იყო, გემთა მშენებლობა ადრე იქცა ხელოსნობის უმნიშვნელოვანეს დარგად. უკვე ძველი სამეფოს დროიდან აგებდნენ არამარტო სამდინარეო, არამედ საზღვაო ხომალდებსაც. სამდინარეო ტრანსპორტი რამდენიმე სახეობისა იყო, კერძოდ, სასეირნო, სატვირთო და საკულტო, ხოლო საზღვაო გემები — სამხედრო და სატვირთო. გემებს, როგორც წესი, ღებავდნენ.

ეგვიპტეში უძველესი დროიდანვე მისდევდნენ მეთუნეობას. ჩვენამდე მოღწეულია ნეოლითის ხანის თიხის ქოთნები. უკვე ბადარიული კულტურის ხანიდან გაჩნდა გამომწვარი, გასაცრი მოხატულობით შემკული კერამიკული ჭურჭელი, რომლის ფერი დამოკიდებული იყო თიხის ხარისხზე, წერნაქსა და გამოწვაზე.

ქვეყანაში დიდად იყო განვითარებული საიუველირო ხელოვნება. სპეციალურ სახელოსნოებში ოქრომჭედლები ამუშავებდნენ ოქროს, ვერცხლსა და ელექტრონს (ოქროსა და ვერცხლის ბუნებრივი შენადნობი). ეგვიპტელები ვერცხლს "თეთრ ოქროს" უწოდებდნენ. აღმოსავლეთის უდაბნოს საბადოები ოქროს ულეე წყაროს წარმოადგენდა, სინაის ველზე კი უხვად მოიპოვებოდა თეთრი სპილენძი და ფირუზი. ოქრო შემოჰქონდათ აგრეთვე ნუბიიდან, რაც ეგვიპტურად ოქროს ქვეყანას ნიშანავს. ახალი სამეფოს დროინდელი მდიდრული სამკაულებისაგან განსხვავებით, ძველი სამეფოს ოქრომჭედლების ოსტატობა გამოირჩეოდა გეომეტრიული სიზუსტითა და სიმარტივით, შუა სამეფოსი კი მოხდენილობით.

ნეოლითის ეპოქაში ეგვიპტელები ბინადარ ცხოვრებას ეწეოდნენ სამხრეთ დელტას და ფაიუმის ოაზისის ნაპირას. არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ნეოლითური დასახლება თანამედროვე მერიმდეს მახლობლად. ოვალური ან წრიული გეგმის მიხედვით აგებული ქოხები განლაგებული იყო ეიწრო ქუჩების ორივე მხარეს. ძველი სამეფოს დროინდელი სახლების ძირითადი არქიტექტურული ელემენტები კი (კარი, ფანჯარა, კოლონა) უკვე ტიპიური იყო ეგვიპტური სამრქალაქო ხუროთმოძღვრებისათვის. შეძლებული ოჯახების სახლებში დგამდნენ საბაზანო ნაგებობებსა და საპირფარეშოებს. საგულისხმოა, რომ მეორე დინასტიის ერთ-ერთ აკლდამას ჰქონდა შხაპი, წყალი იღვრებოდა საცერიდან ან კალათიდან.

მოსახლეობის შეძლებული ფენების სახლები რამდენიმე სართულისაგან შედგებოდა. ქვედა სართული, როგორც წესი, უფანჯრო იყო, მეორე და მესამე სართულებს დატანებული ჰქონდა სარკმელები. ნაჭრის ფარდები იცავდა ოთახებს მზისა და მტვრისაგან. ადრედინასტიური მეფობის ხანიდან გაჩნდა ლომის ან ხარისფეხებიანი უზურგო სკამები.

ეგიპტელების ძირითად საკვებს შეადგენდა ქერისა და ხორბლის კვერი. ქერის ფაფა, გამხმარი თევზი, ბოსტნეული (კიტრი, ნიორი, ხახვი, ლორის ქადა) და ქერის ლუდი.

როგორც ადრედინასტიური პერიოდის, ასევე ძველი სამეფოს დიდებულთა და თვით მეფეთა ტანსაცმელი უბრალოებით გამოირჩეოდა, იცვამდნენ თერთ ტილოს ტანსაცმელს, კაცებს ხალათები მუხლებამდე სწვდებოდათ, ქალებს კოჭებამდე. ტანსაცმელს ხშირად სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა რიტუალებისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის მიხედვით. მეფეთა ტანსაცმელს შეიძლებოდა შეხებოდა მხოლოდ ზოგიერთი რჩეული, ვინაიდან, ეს ტანსაცმელი იყო მაგიური ძალის მატარებელი. V-VI დინასტიების ხანაში, მოდაში შემოდის სხვადასხვა ფერის ნაჭრისაგან შეკერილი ფართო წინსაფრები და უკან ნაკეცებიანი კაბები. აღსანიშნავია. რომ წინსაფრის არშიებს აკეთებდნენ პალმის ჩხირებსა და ფოთლებს. ფართო წინსაფრიანი კაბები სასუქებული ბატონების საყვარელი ტანსაცმელი იყო.

ძველი სამეფოს დროინდელი მაღალი წრის ქალები, ისევე როგორც მაგი მოსამსახურეები, საკუთარი სხეულის გამოსაკვეთად კაბებს თასმებით იჭერდნენ. ქალბატონების ტილოს კაბები ეყრო გრძელი იყო. ხოლო თასმები სხვადასხვა ფერის. მაღალი რანგის მოხელეები და ქურუმები ატარებდნენ ავაზის ტყავებს.

ეგიპტელები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ეარხცნილობას. გოგონებსაც და ბიჭებსაც ჰქონდათ ე.წ. „ახალგაზრდობის კულულები" — მოკლედ ნაკეცი ნაწნავი. დღესასწაულებზე, სამსახურებრივი მოვალეობისა და რელიგიური ცერემონიების შესრულებისას, დიდებულები პარიკებით გამოდიოდნენ. ქურუმები თავს იპარსავდნენ, ქალები ატარებდნენ როგორც გრძელ, ისე მოკლე თმას. დიდგვაროვანი ოჯახებიდან გამოსული ქალებიც ატარებდნენ პარიკებს, რომლებიც იმით გამოირჩეოდნენ, რომ გრძელი თმები უკვე ზურგზე კი არა, გულმკერდზე ეფინათ.

ძველი ეგვიპტური საზოგადოების უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური უჯრედი იყო ოჯახი, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევდა ქმარი. ცოლ-შვილის გარდა, აქ ერთად ცხოვრობდნენ და-ძმანიც. საგულისხმოა, რომ დისა და ქალიშვილის სახელები ნაწარმოებია ვაჟიშვილისა და ძმის სახელებისაგან. მაგალითად, ბიძაშვილს უწოდებდნენ „ერთი მამის ძმის "შვილს" ან უბრალოდ ძმას, ხოლო შეყვარებულები და-ძმას, თუნდაც არ ჰქონოდათ ნათესაური წარმომაელობა. ეგვიპტელებს გვარები არ ჰქონდათ. პირად სახელს ამატებდნენ მხოლოდ მამის

სახელს. წინაპრების კულტი განმტკიცდა მაშინ, როდესაც დიდებულებმა დაიწყეს თავიანთი გენეალოგიის გარკვევა.

ცოლ-ქმრულ კავშირს განამტკიცებდა წერილობითი ხელშეკრულება, რომელიც იცავდა მეუღლეთა უფლებებს. თუ ქმარს სურდა მიელო გაყრის უფლება, ცოლისათვის უნდა დაებრუნებინა მისი მზითვები და იმ ქონების, ნაწილი, რომელიც ერთად შექმნეს, თუ გაყრის ინიციატორი იყო ქალი, იგი იღებდა თავისი მზითვის ნახევარს. მიუხედავად იმისა, რომ მეუღლეებს შორის, თავაზიანი და მეგობრული ურთიერთობა არსებობდა, მდიდარი ოჯახის უფროსები მოცეკვავეების, არფაზე დამკვრელებისა და მონა ქალებისაგან შედგენილ ჰარამხანებს ფლობდნენ. ჰარამხანებში არ ჰყავდათ საჭურისები. მოღალატე ქალებს სწვავდნენ, ფერფლს კი მდინარეში ყრიდნენ.

ძველი სამეფოს დროიდან, ბავშვებს ძირითადად შინ, ოჯახში ზრდიდნენ. იმ დროს წარმოიშვა მამის მიერ ვაჟიშვილის "შეგონების" ლიტერატურულ-დიდაქტიკური ჟანრი. აკლდამების რელიეფებსა და წარწერებში ბავშვების ხშირი გამოსახულებანი მოწმობს ეგვიპტელების დიდ სიყვარულს მათდამი. მეურნეობათა მესაკუთრენი უმთავრესად უფროსი ვაჟები იყვნენ, მათთვის გარანტირებული იყო კარიერაც და მემკვიდრეობითი უფლებაც. მამის დამჯერი ვაჟი, განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა, ურჩს კი სახლიდან აგდებდნენ. მომავალ მოხელეებს ქვეშევრდომებისადმი სამართლიანობის და თავმდაბლობის გარდა, ასწავლიდნენ ეთიკასაც — 'ქცევის წესებსაც".

ეგვიპტის რელიგიის უძველესი ფორმა იყო ცალკეული ოლქების — ნომების მფარველ ღვთაებათა თაყვანისცემა. თითოეულ ნომს ყოველ ქალაქში (ნომები კი 40-მდე იყო), აგრეთვე, დასახლებულ პუნქტებში თავიანთი ღმერთები ჰყავდათ. ისინი ეთაყვანებოდნენ თავის წმინდა ცხოველს, რომლებიც ტაძრებთან ცხოვრობდნენ.

მემფისში დედაქალაქის გადატანიდან (მესამე დინასტია, დაახლოებით ქრისტეს შობამდე 3000 წელი), ეგვიპტის მთავარ ოფიციალურ ღმერთად იქცა პტახი, რასაც მოწმობს მემფისური 'საღვთისმეტყველო ტრაქტატი". ხელისუფლებაში V დინასტიის მოსვლას (დაახლოებით ქრისტეს შობამდე 2700 წელი), რომელიც დაკავშირებულია ქ. ონომთან (ჰელიოპოლისი), მოჰყვა ადგილობრივი ღმერთის ატუმის (რას) გაბატონება. იგი იქცა ეგვიპტის უმთავრეს ღვთაებად. თებეს, როგორც ამ ქვეყნის ახალი გაერთიანების დაწინაურებამ XI-XII დინასტიების ეპოქაში (დაახლოებით ქრისტეს შობამდე 2100-1800 წწ.) გამოიწვია ის, რომ მანამდე

ადგილობრივმა, პატარა ღმერთმა მამონმა საერთო-ეგვიპტურ პანთეონში დაიკავა პირველი ადგილი და დაუახლოვდა ღმერთს რას (ამონრა). 21 სისური დინასტიის (ქრისტეს შობამდე VII საუკუნე) ხანიდან, თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ადგილობრივმა საისის (შეიძლება წარმოშობით ლიბიურმა) ქალღმერთმა ნეიტმა.

ღმერთი ტოტი (იბისი) მწერალთა და მეცნიერთა მფარველია, ანუბისი კი ომის ქალღმერთი. ბევრი ღვთაება დაკავშირებული იყო კოსმიურ მოვლენებთან, მზესთან. მაგალითად, ატუმ-რას, ჰორს, ოსირის, ამონს, ანხეოს, სობეკს, მენტუს მფარველობდა მზე, მთვარეს უკავშირდებოდნენ ტორი, ისიდა, ხონსუ, ნუნტი, ცას — ხტისი, მიწას — მინი, გები და სხვ.

საერთო-ეგვიპტური პანთეონის საფუძველზე შეიქმნა სალვთისმეტყველო მითოლოგიური კავშირი — ურთიერთობანი ღმერთებს შორის. ასე გააჩნდა ღმერთების ტრიადები და ენეადები: თებეს სამება — ამონი, მუტი, ხონსცუ; მემფისის — პტახი, მისი მეუღლე სოხმეტი და მათი შვილი ნეფერტი. საგულისხმოა, რომ ღმერთების დაახლოებას ხშირად მოსდევდა მათი გაიგივება.

მაგალითად, ქურუმებმა გააიგივეს ატუმი და რა, მოგვიანებით შუა სამეფოს ხანაში, რასთან გააიგივეს ამონი და ნიანგი სობეკი, ქალღმერთ ხაროტთან — ტენფუნტი და სხვ. ასე ჩამოყალიბდა სრულიად ეგვიპტის პანთეონი. როგორც ჩანს, ასეთივე პროცესის შედეგი იყო აგრეთვე ეგვიპტური წმინდა ცხოველთა კულტი: ადგილობრივი წმინდა ცხოველები იქცეოდნენ საყოველთაო თაყვანისცემის ობიექტებად. ქურუმები მოქმედებდენ 'მეფის სახელით". გავლენიანი მდგომარეობა ეკავათ მთავარი ტაძრების, მემფისის, პტახას, ჰელიოპოლისის, რას ქურუმებს. მათ შექმნეს უძველესი სალვთისმეტყველო ტექსტები. შუა სამეფოს პერიოდში ქურუმების მდგომარეობა არ შეცვლილა. ისინი რიცხვობრივად ცოტანი იყვნენ, ძირითადად დიდებულთა ოჯახებიდან გამოსულნი.

V დინასტიის შემდეგ, ფარაონების ძალაუფლება შესუსტდა. უმაღლესი თანამდებობები დაიკავეს არასამეფო წარმოშობის პირებმა, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. თუ ადრე უზენაესი ნების მატარებელი იყო ფარაონი, თანდათან ძალაუფლება ქურუმ მოხელეების უმაღლესმა ფენამ ჩაიგდო ხელში. მეფეების მიერ მსხვილი მოხელეებისათვის მინიჭებული მიწები, თანდათანობით მათი ოჯახების საკუთრებად გადაიქცა, ჩამოყალიბდა მსხვილი მიწათმფლობელური არისტოკრატია. ამასთანავე, ფარაონის

მიწებზე მომუშავე გლეხებმა დაიკავეს მიწების უმრავლესობა, მწყობრიდან გამოვიდა საირიგაციო სისტემა, ქვეყანაში დაიწყო შიმშილი. დაირღვა გადასახადების აკრეფის მწყობრი სისტემა. ეგვიპტის მთავარი ვეზირის თანამდებობას გამოეყო ზემო 'ეგვიპტის ზედამხედველის" თანამდებობა. ასე რომ, ფარონის ერთპიროვნულ ძალა-უფლებას ნელა-ნელა საძირკველი გამოეცალა. VI დინასტიის ბოლოს ეგვიპტეში დიდგვაროვანი ნომარქები ბატონობდნენ. პეპი II გარდაცვალების შემდეგ, რომელმაც 94 წელიწადს იმეფა, მანეთონი ასახელებს 70 მემფისელი მეფის სახელს, რომლებიც რაღაც თვეებში ცვლიდნენ ერთმანეთს. ქრისტეს შობამდე XXIII საუკუნის შუა პერიოდში, ქვეყანა დაიშალა ცალკეულ სამთავროებად და ამით დამთავრდა ძველი სამეფოს ეპოქა, რომელმაც ხუთ საუკუნეს გასტანა.

ძველი სამეფოს შემდეგ, ორი საუკუნე ქვეყანა ანარქიამ მოიცვა. იგი VII-X დინასტიებს შეეხო. ჩრდილოეთით თარეშობდნენ სინაის მომთაბარე ტომები, სამხრეთში თითოეული ნომარქი თავის ნომის ერთპიროვნული ბატონი იყო. ასე რომ, მეფეების ძალაუფლება უფრო ნაკლებ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა, ვიდრე დიდგვაროვანი ნომარქებისა. 'ქვეყანა ინგრევა, ძმა — ძმას კლავს, შვილი — დედას. სისხლი მოედინება ყველგან, ტაძრები და სასახლეები ცეცხლშია გახვეული, საითაც გაიხედავ, მხოლოდ ქურდობასა და მძარცველობას ხედავ", — ნათქვამია ერთ-ერთი მემატიანის აღწერილ დოკუმენტში.

ასეთ ვითარებაში დაახლოებით ქრისტეს შობამდე 2242 წელს, ძალაუფლებას დაეუფლა ჰერაკლეოპოლისის ნომარქი ჯეთი I (ახტოი). ორი საუკუნის მანძილზე, რომელსაც ისტორიაში უწოდებდნენ ე.წ. ჰერაკლეოპოლიტურ პერიოდს, მოხდა დელტიდან სინაის ტომების განდევნა. თანდათან გაძლიერდნენ თებეს ნომარქები. გამარჯვებულები გამოვდნენ თებელი მმართველები. მენტეხუტეპ II-ის დროს ქვეყანა გაერთიანდა. საგულისხმოა, რომ ამის აღსანიშნავად მენტუხეტებმა მიიღეს ხორის ახალი სახელი, რაც ორი ქვეყნის გამაერთიანებელს ნიშნავს. ქვეყნის გამაერთიანებლად აღიარა იგი ეგვიპტურმა ტრადიციამ. ერთ-ერთი ტაძრის კედელზე სამი ფარაონი მემფისი, მენტუხეტი და იაპმესი მოიხსენიებიან, როგორც ერთიანი ეგვიპტის ფუძემდებლები.

ამრიგად, მენტუხეტეპის მეფობით დაიწყო ახალი ეტაპი ეგვიპტის ისტორიაში ე.ი. შუა სამეფოს ხანა.

ქრისტეს შობამდე 2050 წელს მენტუხეტეპ II-მ კვლავ გააერთიანა ეგვიპტე და აღადგინა ერთიანი ხელისუფლება თებეს ეგიდით. დაიწყო შუა სამეფოს ეპოქა, რომელმაც კულტურის თვალსაზრისით, განაგრძო ძველ სამეფოში არსებული ტენდენცია.

ქვეყნის დაშლამ, ურთიერთშორის გაჩაღებულმა ომებმა, ცენტრისა და ფარაონების ღვთიური ძალაუფლების დაცემამ, ღირებულებათა დადგენილი შკალის დარღვევამ შექმნა ნიადაგი ინდივიდუალიზმის განვითარებისათვის. არსებობს ამენემხეტ I-ის შეგონება, რომელიც მან იმქვეყნიური ცხოვრებიდან თითქოს მისწერა თავის შვილს სენუსერტ I: „ერიდე ქვეშევრდომებს... ნუ დაუახლოვდები მათ და ნუ დარჩები მარტო. ნუ ენდობი ძმას, ნუ სცნობ მეგობარს, ნუ გეყოლება რწმუნებული, ვინაიდან ეს ეზარება. როცა გძინავს, თავად დაიცავი შენი გული, ვინაიდან უბედურების ჟამს ადამიანს არავინ უშველის“.

ეგვიპტელების ინდივიდუალიზმი, უწინარეს ყოვლისა, იმით გამოიხატებოდა, რომ როგორც ფარაონები და დიდებულები, ისე ებრალო მოკვდავნიც ზრუნავდნენ საკუთარ უკვდავებაზე. პირამიდების მშენებლობასთან ერთად, იხვეწებოდა მათი ძარცვისა და ქურდობის ხერხები, ოდესღაც საფიცარი ღმერთების გარდაცვლილი დიდებულების მუმიების ფიზიკური შეურცხყოფის ფორმები. მაგალითად, ახალ სამეფომდე ხუთასი წლით ადრე ჩარცველთა ერთ ჯგუს ფარაონ ჯერის მეუღლის მუმია ნაწილ-ნაწილ დაუჭრია, რათა უფრო ადვილად გაეტანა. ამ სიჩქარეში ვეზა

ლების გონებაში საუკუნეების მანძილზე ცხოვრების წესს წარმოადგენდა, მით უმეტეს, თაებად თოტმესისათვის მარადიული ცხოვრების სურვილი ხომ ყველაფერზე მაღლა იდგა.

ფარაონმა თაების ხუროთმოძღვარ ინენს უბრძანა — თებეს ციცაბო კლდეში მისთვის გამოეკვეთა აკლდამა, რომლის მშენებლობა სრული საიდუმლოებით იქნებოდა მოცული. არქიტექტორმა დაავალება წარმატებით შეასრულა.

ამგვარად, შუა სამეფოს დამლეევიდან პირამიდა როგორც მეფის აკლდამის ფორმა გაქრა. მას შემდეგ კი, როდესაც ფარაონებმა დედაქალაქი და რეზიდენცია თებეში გადაიტანეს, მეფეთა საფლავებად იქცა კლდეში გამოკვეთილი, გრძელი მღვიმეები ნილოსის დასავლეთ ნაპირზე. ასეთ მღვიმეებშია დასაფლავებული XVIII, XXI და XX დინასტიების ფარაონები.

აკლდამების კედლები აქ ნათელი, მრავალფეროვანი ფრესკითაა მოხატული, რომელშიაც ასახულია ფარაონის უკვე არა რეალური მიწიერი ცხოვრება, არამედ ქურუმების ფანტაზიით შექმნილი, იმქვეყნიური ყოფა. მხატვრულ-ტექნიკური თვალსაზრისით, კლდეში გამოკვეთილი აკლდამები მნახველთა გაოცებას იწვევდა.

ყველაზე დიდი აკლდამა დედოფალ ტაუოსრეტისა და სეტი I-ის განსასვენებლები იყო. სეტი I-ის აკლდამის სიგრძე 100 მეტრია, დანარჩენები ოდნავ ნაკლები. ამ ძეგლებს 'ორის, ყველა'ზე მასშტაბური და მნიშვნელოვანი იყო დეირ-ელ-ბახრში მეფე მენტუხეტეპ I-ის საძვალე. ძველი ტრადიციისამებრ მისკენ მიემართებოდა 1200 მეტრი სიგრძისა და 32 მეტრი სიგანის ქვის გალავანშემოვლებული გზა. საძვლის მთავარ ნაწილს წარმოადგენდა სულის მოსახსენიებელი ტაძარი და შენობის შესასვლელში აღმართული სვეტებიანი გალერეა; ცენტრიდან დაქანებული მოედნით გზა მოდიოდა მეორე ტაძრისაკენ, სადაც მეორე სვეტებიან გალერეას სამი მხრიე შემოვლებული ჰქონდა ასევე სვეტებიანი დიდი დარბაზი, მის ცენტრში კი აღმართული იყო ქვის ლოდებით ნაგები პირამიდა, რომლის საძირკველს შეადგენდა ბუნებრივი კლდე. დასავლეთ მხარეს მას პორტიკებით მორთული ღია ფართო გზა ამშვენებდა, რომელიც კლდეში გამოკვეთილ სვეტებიან დარბაზსა და ტაძარში გადიოდა. ფარაონის საძვალე მოთავსებული იყო უშუალოდ დარბაზის ქვემოთ.

შუა სამეფოს შესანიშნავი ნაგებობაა აგრეთვე ხავარაში (ფაიუმის ოა'ხისი) XII დინასტიის ფარაონ ამენხეტეპ III-ის სულისმოსახსენიებელი კომპლექსი. ის ნაგებია აგურით და კირქვითაა მოპირკეთებული. საძვლე კამერა გამოძერწილია კვარცი-

ტის მთლიანი გაპრიალებული ლოდისგან. განსაკუთრებით ცნობილი იყო პირამიდასთან არსებული სულისმოსახსენიებელი ტაძარი, რომელიც კულტურის ისტორიაში შევიდა ლაბირინთის სახელწოდებით. ამ სიტყვის წარმოშობა უკავშირდება ამენეხეტეპ III-ის გვირგვინს, რომელიც ბერძნული ტრანსკრიფციით იკითხება როგორც „ლაბირი". ეს ტაძარი, ჰეროდოტეს შეხედულებით, წრდილავდა თვით ძველი სამეფოს პირამიდებსაც კი. მას მრავალი ანტიკური პერიოდის ავტორი აღწერდა როგორც ეგვიპტის სასწაულ ღირსშესანიშნაობას.

ტაძარს ეკავა 72 ათას კვ. მეტრი ფართობი და ორ რიგად აღმართული სვეტები იყოფოდა ორ წაგრძელებულ შენობად, რომელთაგან ცენტრალური ნაგებობა გვერდით ნაგებობაზე მაღალი იყო და მხოლოდ კედლების ზემო ნაწილში დატანებული ფანჯრებიდან შემოსული შუქით ნათდებოდა.

ლაბირითი მრავალსვეტებიან ტაძრებს შორის ყველაზე განოქმული ნაგებობად ითვლებოდა. შუა სამეფოს პერიოდში. მის კოლონებს სტილიზებული მცენარეულის ფორმა ჰქონდათ, რაც შეესაბამებოდა ტაძრის როგორც „ღმერთის სახლის" დანიშნულებას. ეგვიპტური ლეგენდის თანახმად, მზე სწორედ ლოტოსის ყვავილიდან იშვა. ყველაზე ხშირად კოლონები პაპირუსის კონების იმიტაციას წარმოადგენდა, ზოგი მათგანი კი პაპირუსის ან ლოტოსის ყვავილს გამოხატავდა. ყველა ისინი შემკული ან მოოქროვილი იყო ფერადი ორნამენტებით.

ეგვიპტური ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული კოლონების გარდა, მცენარეულის გამომსახველი ორნამენტებიანი თაღები რომ ამკობდა, გაჩნდა სვეტების ახალი ფორმა, რომლებიც ვერტიკალურად იყო დაღარული, ხოლო კაპიტელი ტრაპეციული ჰქონდა. ამრიგად, უკვე ქრისტეს შობამდე XXI საუკუნეში, ეგვიპტელმა ხუროთმოძღვრებმა შექმნეს კოლონების ის ტიპი, რომელსაც მოგვიანებით დორიული ეწოდა. შუა სამეფოს ეპოქაში ყველგან აგებდნენ აგრეთვე ხატორულ კაპიტელებს, შემკულს ღმერთ ხატორის რელიეფური გამოსახულებით. ტაძრის კედლებზე ათავსებდნენ რეგისტრებით აგებულ იარუსებიან კომპოზიციებს, სადაც ალაგებდნენ ცხოველების, ფრინველებისა და ადამიანების გამოსახულებებს.

ამ პერიოდის მხატვრები განსაკუთრებით გაიტაცა ნილოსის ეკალბარდებიანმა პეიზაჟმა. ეს ნახატები წარმოადგენდა ნილოსისადმი მიძღვნილი იმ პიმნების თავისებურ ილუსტრაციას, რომელიც შეიქმნა შუა სამეფოს პერიოდში. ნილოსს ხოტბას ასხ-

ამდნენ, როგორც მთელი ქვეყნის სიცოცხლის წყაროს. ნახატებსა და სკულპტურაში იცვლებოდა მეფეთა იკონოგრაფია. შუა სამეფოს დროინდელ ფარაონებს უკვე აღარ გააჩნდათ ის შეუზღუდველი, დესპოტური ძალაუფლება, როგორიც ჰქონდათ ძველი სამეფოს დროინდელ მათ წინაპრებს. და თუ ძველი სამეფოს ფარაონების სახეებში, ადამიანური და სულიერი შერწყმული იყო ერთ მთლიანობად, შუა სამეფოს სტატუეტებში წინა პლანზე წამოიწია კონკრეტულმა, ინდივიდუალურმა ნიშნებმა.

მართალია, შუა სამეფო, ეგვიპტის ისტორიის სხვა ეპოქებთან შედარებით ხანმოკლე აღმოჩნდა, მაგრამ იგი სამართლიანად ითვლება ეგვიპტის კულტურის კლასიკურ პერიოდად. ამ დროს საბოლოოდ ჩამოყალიბდა ეგვიპტური ენა, რომელიც როგორც გაბატონებული სამწერლობო ენა არსებობდა ქრისტეს შობამდე XIV საუკუნემდე. ამასთან, შეინარჩუნა უპირატესად რელიგიურ-საკულტო მნიშვნელობა. განვითარდა სწრაფწერა (ჰიერატიული დამწერლობა).

შუა სამეფოს პერიოდში ქვეყნის გაძლიერებამ, ხელი შეუწყო ეგვიპტური კულტურის ამაღლებას, კონკრეტული მეცნიერული ცოდნის განვითარებას. მართალია მეცნიერება ჯერ კიდევ არ არის დაპირისპირებული მაგიურ ცოდნას, მაგრამ იგრძნობა მისგან გამოყოფისა და განთავისუფლების ტენდენციები. თვით ცოდნის შეძენას საფუძველად დაედო სარგებლიანობის პრინციპი, გამორჩენის ინტერესები. თუმცა, ეს ფორმა ღმერთებისაგან იყო ბოძებული, მაგრამ იგი აუცილებლად სჭირდებოდა იმას, ვინც ფიქრობდა მიეღწია მაღალი სოციალური და ქონებრივი მდგომარეობისათვის. 'რა არის თანამედროვე, გარდა მწერლისა, რომ თვით უფროს არ ხელეწიფობდეს", — ხაზგასმით იყო აღნიშნული დაუფის შვილის 'ახტოის შეგონებაში თავისი ვაჟის პეპისადმი".

შუა სამეფოდან შემორჩენილია ჩანაწერები ქვეყნის ტერიტორიების შესახებ. აგრეთვე, მსოფლიოში პირველი სიტყვარი, რომელიც ენციკლოპედიას წაგავს. იგი იპოვეს ბიბლიოთეკაში რამესეუმის აკლდამის გახსნისას რელიგიურ, მეცნიერულ და ტრადიციულ დიდაქტიკურ ლიტერატურასთან ერთად. ამავე ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა შუა სამეფოს დროინდელი ეგვიპტური მხატვრული ლიტერატურის შედევრი "სინუხეტის ისტორია", რომელიც აკადემიკოს ბორის ტურაევის თქმით, "ნამდვილი რომანია და სრულიად მოკლებულია ფანტასტიკურ ელემენტებს". აქვე აღმოჩნდა 'მჭევრმეტყველი გლეხი", რომელიც საინტერესო მეც-

ნიერული ნაწარმოებია და შესრულებულია ეგვიპტური რიტორიკის ყველა წესის მიხედვით.

ახალი სამეფოს ეპოქა დაიწყო ქრისტეს შობამდე 1580 წელს, XVIII დინასტიის პირველი ფარაონის იახმეს I-ის გამეფებით, რომელმაც ჰიკსოსები საბოლოოდ განდევნა ეგვიპტიდან. ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლას კვლავ თებე მეთაურობდა, რომელმაც გამოაცხადა ღმერთ ამონის ერთიანი რელიგიური კულტი.

ამონ-რას სახელს უკავშირდება ჭეშმარიტად გრანდიოზული მშენებლობა, რომელიც ამ დროს დაიწყო. მოკლე ხანში დიდებულმა სასახლეებმა და სახლებმა, შესანიშნავმა ტაძრებმა სახე უცვალა თებეს და იგი ეგვიპტის ქალაქებს შორის ყველაზე მდიდარ და ბრწყინვალე ქალაქად იქცა. მისი დიდება მრავალი საუკუნის მანძილზე შემორჩა, რომელსაც ხოტბა შეასხა ჰომეროსმა „ილიადაში“.

მთავარი ყურადღება ექცეოდა ტაძრების მშენებლობას. იგი სამი ძირითადი მიმართულებით წარმოებდა. აგებდნენ მიწისზედა, კლდოვან და ნახევრად კლდოვან ტაძრების კომპლექსებს. მიწისზედა ტაძრები წარმოადგენდა სწორკუთხედს, გარეშემოვლებულს მაღალი მასიური კედლით, ფართო გზა ჭიშკრიდან რომ იწყებოდა ნილოსისაკენ. გზის გაყოლებით ორივე მხარეს ამშვენებდა სფინქსების სტატუეტები. ტაძარში შესასვლელი გაფორმებული იყო პილონისებურად, რომლის შიდა მხრიდან ორი კიბე ადიოდა მაღალ ბაქანზე. აქედან გადაშლილი იყო მომაჯადოებელი პეიზაჟი. პილონის გარეთა მხარეს დგამდნენ ფარაონის გიგანტურ ქანდაკებას და მოოქროვილ ობელისკებს. შესასვლელს მიუყვებოდით კოლონადებით შემოვლებულ ეზოში, რომელიც მთავრდებოდა დიდი გალერიით. იგი ეზოსთან შედარებით ოდნავ მაღლა იყო განლაგებული. ეზოს ცენტრში იყო სამსხვერპლო ქვა, პორტიკის შემდეგ დახურული სვეტებიანი შენობა, ხოლო ტაძრის შიგნით რამდენიმე სამლოცველო.

ცენტრალურ სამსხვერპლო ქვაზე მთავარი ღმერთის სტატუეტთან იდგა წმინდა მხედარი, ხოლო დანარჩენ ორზე – ღმერთი და მისი ცოლ-შვილი. სამლოცველოს გარშემო პერიმეტრით გადაჭიმული იყო შემოსასვლელი დერეფანი, რომლიდანაც ეზოს ლობეს მიუყვებოდით დამატებით დარბაზებში, ტაძრის ბიბლიოთეკაში, სტატუეტების საცავში, სპეციალური რიტუალების ოთახში.

ეზოს, სადაც უბრალო ადამიანები ლოცულობდნენ მზე ანათებდა; სვეტებიანი დარბაზი კი წყვდიადში იყო ჩაფლული, ვინაიდან აქ მხოლოდ ვიწრო ფანჯრიდან შემოდიოდა შუქი,

შენობებს ტაძრის შიგნით არ გააჩნდათ ფანჯრები, აქ ხელოვნურ განათებას იყენებდნენ. ეს შემთხვევითი არ იყო, მაშინ, როცა სამლოცველოდან ქურუმები თვალყურს ადევნებდნენ ყველაფერს, კარგად განათებულ ეზოსაც და ნილოსის გაღმა ნაპირსაც.

თებეში ასეთი ტიპის ორი ტაძარია, კერძოდ, კარნაკისა და ლუქსორის. კარნაკი სამართლიანად მიაჩნიათ ეგვიპტის ისტორიის ქვის არქივად. მისი მშენებლობა დაიწყო ქრისტეს შობამდე XX საუკუნეში და გრძელდებოდა ათი საუკუნის მანძილზე; მის კედლებზე, პილონებზე, შემორჩენილია ღმერთებისადმი მიძღვნილი ჰიმნები, რომლებიც ეძღვნებოდა მეფეებს, გამოხატულია რიტუალების ხოგიერთი დეტალი, ცნობები უმნიშვნელოვანესი ისტორიული ამბების შესახებ.

შემდგომ ხანებში, წინა დარბაზის ცენტრალური კოლონადის მშენებლობა განაგრძეს მთელი ეზოს მანძილზე პილონამდე. ეს იყო მნიშვნელოვანი სიახლე, რომელმაც საბოლოო სახე მისცა ახალი სამეფოს ტაძარს. კოლონადა განსაზღვრავდა საზეიმო პროცესიის გზას, იგი უერთდებოდა ნილოსისაკენ მიმავალ სფინქსების ხეივანს და ერთგვარად აგრძელებდა სავალს ტაძრის შიგნით, რითაც ახორციელებდა ეგვიპტური ხუროთმოძღვრების იდეას გზის უსასრულობის შესახებ.

კარნაკის ტაძრის მშენებლობის მძლავრი აღმავლობა დაიწყო რამსეს II-ის, XIX დინასტიის ყველაზე თვალსაჩინო ფარაონის ხანაში. სწორედ ამ დროს აიგო უნიკალური სიდიადისა და შესანიშნავად გაფორმებული სვეტებიანი დარბაზი და ახალი პილონი, რომელიც საინტერესოდ იყო მოროული ფარაონის სტატუებითა და ობელისკებით.

გიგანტომანია ყოველთვის ახასიათებდათ ძველ ეგვიპტელებს. ეს, როგორც ჩანს, ნაკარნახევი იყო უდაბნოს უკიდეგანობით, რომელიც, ერთი მხრივ, სიკვდილს უქადდა ადამიანს, მეორე მხრივ, უნერგავდა ჟინს დაემკვიდრებინა სიცოცხლე, მოეპოვებინა სასიცოცხლო სივრცე და ამიტომ აგებდა უზარმაზარ კედლებს, პილონებსა და კოლონადებს.

სვეტებიან დარბაზს ეკავა 5 ათასი კვადრატული მეტრი. ამ ფართობზე შეიძლებოდა განლაგებულიყო პარიზის ნოტრ-დამის ლეთისმშობლის ტაძარი. დარბაზის ჭერი ეყრდნობოდა 16 რიგად განლაგებულ 134 სვეტს. წინწამოწეული შენობის სვეტები, თითქმის ოცი მეტრი სიმაღლისა იყო, დანარჩენი — თხუთმეტისა. კედლებისა და სვეტების ზედაპირს ამკობდა ფერადი რელიეფები.

ცენტრალური ნეფის კოლონის თავები გამოხატავდა ლოტოსის გაშლილ ყვავილებს, ხოლო ყველა დანარჩენი სვეტი წარმოადგენდა პაპირუსის გაუშლელ კონებს. ამით გამოხატული იყო სიცოცხლის სხვადასხვა ხანის იდეა — მისი ჩასახვა და აყვავება.

კარნაკის ტაძრის დღემდე შემონახული სვეტები და მისი გადახურვის ტექნიკური მხარე, თავისი მასშტაბებით მნახველის გაოცებას იწვევს. მძლავრი ვერტიკალები და ჰორიზონტალები ქმნის სამყაროსა და მარადიულობის წარმოდგენას. საერთო ეფექტს აძლიერებს ფერები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საერთოდ ძველი ეგვიპტის ხელოვნებაში. შუქი ნათელს ჰფენს, არა მარტო ტაძრების ინტერიერს, არამედ რელიეფებით მორთულ ფასადებსაც. ქვას ფარავდნენ გრანიტის თხელი ფენით, შემდეგ ღებავდნენ მწვანე, ლურჯ და ბაციყვითელი ფრებით. რელიეფების ჩაღრმავებული კონტურები, რომლებსაც მზის სხივები ეფინება, გამოსახულების მთელ დეტალებს გასაოცარ პლასტიკურობას ანიჭებდნენ. ამ პერიოდში დამთავრდა იშვიათი დეკორციულობის მქონე ერთიანი არქიტექტურული კომპლექსის მშენებლობა. სფინქსების უსასრულო ხეივნები, ობელისკების მოოქროვილი თავები ნემსის წვერებით, მასიური პილონების ფონზე მონუმენტური კოლოსების სტატუები, ვიმპელებიანი ანძებით მორთული ტაძრების უთვალავი სვეტები. ყოველივე ეს თებეს — ეგვიპტის უმშვენიერეს ქალაქს, განუმეორებელ სახეს აძლევდა.

კლდოვანი სატაძრო კომპლექსები წააგავს გადმობრუნებულ ლათინურ ასო "T"-ს. ტაძრის ფასადს თხრიდნენ კლდის გარე ნაწილში, ხოლო ნაგებობის ყველა დანარჩენი ნაწილის მშენებლობა სილრმეში წარმოებდა. ამ ტიპის ტაძრებს შორის ყველაზე უნიკალურია როგორც სიდიადით და მშვენიერებით, ასევე არქიტექტურულ-საინჟინრო ხელოვნების თვალსაზრისით აბუსიმბელში რამსეს II-ის ტაძარი. ანსამბლი ორი — დიდი და პატარა ნაგებობისაგან შედგება. პირველი ეძღვნებოდა ფარაონსა და სამ ღმერთს — მონს, რას და პტახს. მეორე — აუგეს ქალღმერთ ხატორს, რომელიც ემსგავსებოდა რამსეს II-ის საყვარელ მეუღლეს ნეფერტარს.

ტაძრის ფასადი წარმოადგენდა პილონის კედლის ზედაპირს, რომლის წინ აღმართული იყო თვით კლდეში გამოთლილი ოცმეტრიანი სვეტები. პირველ დარბაზში მოთავსებული იყო ოსირისის სახით გამოხატული რამსეს II-ის ოთხწახნაგოვანი

ძეგლი. მისი გიგანტური ძეგლი ამონის, რასა და პტხასთან ერთად იდგა სამლოცველოში.

ტრადიციების საპირისპიროდ ტაძარი მდებარეობდა ნილოსის დასავლეთ ნაპირზე და მიმართული იყო აღმოსავლეთისაკენ. მზის პირველიეე სხივები ამ ტაძარს საოცარ ფერს ჰფენდა. ამომავალი მზის სხივებს წელიწადში ორჯერ, ფარაონის დაბადებისა და მისი კორონაციის დღეს, წყედიადიდან გამოჰქონდათ რამსეს II-ის ფიგურა.

ნილოსის დასავლეთ ნაპირზე აგებდნენ სულის მოსახსენიებელ ტაძრებს, რომლებიც აგრეთვე ნილოსს უკავშირდებოდა სფინქსების ხეიენით და მიემართებოდა აღმოსავლეთ ნაპირისაკენ.

ახალი სამეფოს არსებით სიახლეს წარმოადგენდა აკლდამის გამოყოფა სულის მოსახსენიებელი ტაძრისაგან. პირველი ფარაონი, რომელმაც ტრადიცია დაარღვია იყო თოტმეს I. მან გადაწყვიტა თავისი სხეული დაემარხათ არა დიდებულად გაწყობილ აკლდამაში, არამედ გასაიდუმლოებულ ადგილას, შორეულ ხევში. აშენებდნენ ორი ტიპის სულის მოსახსენიებელ ტაძრებს: მიწისზედა და ნახევრად კლდოვანს, რომლებშიც მიწისზედა ტაძრები შეხამებული იყო კლდეში გამოთხრილ სამლოცველოებთან. მათ აშენებდნენ იმავე წესით, როგორც ამონისა და რასადმი მიძღვნილ ტაძრებს, წაგრძელებული პარალელოგრამის სახით, რომლის მთავარი ფასადი მიმართული იყო ნილოსისაკენ.

ნახევრად კლდოვან სულის მოსახსენიებელ ტაძრებს შორის, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დედოფალ ხათშეპსუტის ტაძარს. მან იგი ააგო ოებელი ფარაონების მამამთავრის XI დინასტიის მეფის მენტუხოტეპ I-ის ტაძრის გვერდით. ამით ხათშეპსუტს სურდა ხაზგასმით აღენიშნა, რომ იგი მათი გვარის იყო. დედოფლის ტაძარი ზომითაც და დეკორის სიუხვითაც აღემატებოდა მენტუხოტეპის ტაძარს. იგი შეადგენდა ერთმანეთზე დადგმულ კუბს. ფასადები გაფორმებული იყო ჰორიზონტალური ტერასების ვერტიკალურ კოლონებთან მონაცვლეობით. ქვედა იარუსზე მოთავსებულ პორტიკს აღმოსავლეთის მთელი კედელი ეკავა და შუა ადგილას პანდუსით იყო გაყოფილი. ეს უკანასკნელი გზის თავისებურ გაგრძელებას წარმოადგენდა და მორთული იყო დედოფლისთავიანი სფინქსებით.

მეორე ტერასთან მივყავდით კიბეს, რომელიც პანდუსის გაგრძელება იყო. ტაძარი დიდებულად ეხამებოდა ადგილმდებარეობას. გარდა გრანდიოზულობისა, ტაძარი ცნობილი იყო შიდა

მიწიერებილობითაც. პორტიკების კედლებზე ეკიდა რელიგიური კომპოზიციები, რომლებშიც გადმოცემული იყო ხათშეპსუტის დაბადებისადმი მიძღვნილი შთამაგონებელი წარწერები. ხათშეფსუტის მიწიერი მშობლები იყვნენ ფარაონი თოტმეს I და დედოფალი იახმოსი. გამოსახულებანი და წარწერები მათზე აშკარად მეტყველებს, რომ გამოჩენილი დედოფალი ოფიციალურად ითვლებოდა იახმოსისა და ღმერთ ამონის ქალიშვილად. ფრესკებზე გამოსახულია ღმერთი ამონი თოტმეს I-ის სახით.

მაშასადამე, ხათშეფსუტიც ღვთაებრივი წარმოშობისა იყო. ამასთან, მას მფარველობდა დედოფალი ხატორი, რომლის გამოსახულება ყველგანაა. კერძოდ, ქალღმერთის სამლოცველოებში კოლონების კაპიტელები წარმოადგენდა ხატორისთავს, რომელიც პორტრეტულად ხატშეფსუტს ჰგავდა.

ტაძრის შიდა მოროთულობა მეტად მდიდრული იყო. იატაკზე ეგო ოქრო-ვერცხლის ფილები, ლაჟვარდოვანი ნანაროებითა თუ ბრინჯაოთი ინკრუსტირებულ აბანოზის ხის კარები, ნახევრად ძვირფასი ქვის სტატუეტები. სწორედ ამ პერიოდში გაერცელდა ყვაროოდ სტატუეტები, როგორც ტაძრების შიდა მორთულობის ელემენტები. საკმარისია ითქვას, რომ ხატშეფსუტის ტაძრისათვის გააკეთეს ორასზე მეტი სტატუეტი. ამასთან, ტაძრის გარემორთულობისათვის გათვალისწინებული სვეტები, სფინქსები, გადმოგვცემდა დედოფლის ზოგად და მეტად იდეალიზებულ სახის ნაკვთებს, მათ გარკვეული შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა მნახველზე შორი მანძილიდან. ის სტატუეტები კი, რომლებიც იდგა ტაძრის სამლოცველოში და საკულტო მნიშვნელობა ჰქონდა, არსებითად დედოფლის რეალური პორტრეტები იყო. მათი დამზადება ევალებოდათ საუკეთესო ოსტატებს.

დასავლეთ ნაპირზე არსებობდა მეფეებისა და დედოფლების განთქმული ველი, სამეფო ტახტის დიდებულთა და ხელოსნების ნეკროპოლი. პირქუშსა და უღიმღამო ვიწრო ხეში თხრიდნენ ქლდის აკლდამებს — გრძელ გამოქვაბულებს, სწორკუთხა ნაკვეთურებს. „მიწისქვეშა სამეფოს“ ნაგებობა, განლაგებული იყო დაბლა წინა დარბაზების დონეზე. საფლავისაკენ მიმავალი ღერეფნის კედლებს ხატავდნენ ფერად-ფერადი ფრესკებით, რომლებიც ასახავდნენ არა ფარაონების რეალურ მიწიერ ცხოვრებას, არამედ ქურუმების ფანტაზიით შექმნილ ილუზორულ სამყაროს. მაგიურ ტექსტებს გარდაცვლილი ფარაონისათვის უნდა უსრულებელეყოთ ბედნიერი ცხოვრება ღმერთების საზოგადოებაში. პირველი კამერა ეძღვნებოდა მზის კულტს. კერძოდ, მზის

ღმერთის ცვლილებას მიწისქვეშა ნილოსში, მის ბრძოლას ბოროტ ძალებთან, გველ აპოპთან და მზის თელის ლეგენდებს. შემდეგი დარბაზების წარწერები უკავშირდებოდა ფარაონის აღდგომას და მის მარადიულ ყოფნას ღმერთების ადგილსამყოფელში. ოთახში, სადაც იდგა სარკოფაგი მუმიით, მოთავსებული იყო ქალღმერთ ნუტის ორმაგი გამოსახულება. სარკოფაგს პქონდა „მუმიფიცირებული კუბოს“ ფორმა, რომელიც თითქოს ერთგვარად იმეორებდა ფარაონის „წმინდა ნარჩენებს“ და მოროული იყო ყვავილოვანი გამოსახულებებით.

დეიდოფლის ველზე სამარხებს ისევე აწყობდნენ და მათ ისევეიგე წარწერები პქონდათ, როგორც მეფეთა ველზე. აქ მარხავდნენ აგრეთვე ფარაონის ბავშვებსაც და კედლებს ამშვენებდნენ სურათებით, რომლებშიც აისახებოდა ფარაონის მიერ თავისი შვილების ღმერთებისადმი წარდგენა.

დიდებულთა ველი, სადაც ასაფლავებდნენ მეფის მწერლებს, მხედარმთავრებს, მრჩეველებს, ვეზირებს, გამოირჩეოდა სიმარტივით და საინტერესო ეანრული წარწერებით. ისინი გადმოგვცემდნენ ეგვიპტელების ცხოვრებას, მათი შრომისა და დასვენების ადათ-წესებს, ქვეყნის ცხოველთა და მცენარეთა თავისებურებებს.

ხელოსნების ველზე მიკვლეულია მშენებლების, მხატვრებისა და მოქანდაკეების ნეკროპოლი, დასაკრძალავი კამერები იმქვეყნიური ცხოვრების ამსახველი წარწერებით, და გამოსახულებებით. ძირითადად გამოხატულია იმქვეყნიური ცხოვრების სცენები: ანუბისი მუმიას აცლის გულს, რაოა აწონოს იგი ოსირისის სასამართლოზე, ხატორი გარდაცვლილებს ასმევს უკვდავების წყალს, ღმერთები ისმენენ მიცვალებულთა ლოცვებს, მკვლერები მუშაობენ სამოთხის მინდვრებზე.

ამ დროისათვის ეგვიპტის შინაგანი მდგომარეობა კიდევ უფრო განმტკიცდა. ამონხეტეპ III-ის მეფობისას ქვეყანამ როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური ცხოვრების სფეროში დიდ წარმატებებს მიაღწია. ამასთანავე, გამოიკვეთა გარკვეული წინააღმდეგობა ომებში მოპოვებული გამრჯვებების შედეგად გამდიდრებულ სამხედრო არისტოკრატიასა და ძველ ელიტარულ ოჯახებსა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ქურუმებს შორის. განსაკუთრებულ საფრთხეს ქმნიდა ამონის ქურუმები, რომლის განკარგულებაში აურაცხელმა სიმდიდრემ მოიყარა თავი. მარტო თოტმეს III-ის აზიაში ლაშქრობათა შედეგად, თებეში ამონის ტაძარმა საკუთრებად მიიღო სამხრეთ ლიბანში

დაყრობილი სამი ქალაქი, გარდა ამისა, დიდი მიწები თვით ეგვიპტეში. ამონხეტეპ IV-ის დროს ქურუმების ძლიერება იმდენად გაიზარდა, რომ მეფეებსაც კი ეშინოდათ მათი.

ფარაონი ამონხეტეპ IV ეგვიპტეს 17 წელი (ქრისტეს შობამდე 1377-1350 წწ.) მართავდა. პირველი ხუთი წლის მანძილზე, ძველი ტრადიციების შესაბამისად, იგი თავისი ამალით და დიდებულებით თებეში, ამონ-რას კულტის ცენტრში, "ღმერთების მეფის" ქალაქში ცხოვრობდა. მაგრამ უკვე ამ დროს გაჩნდა ტენდენცია, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ თანდათან გაწყდა კავშირი ეგვიპტის მფარველ ღმერთთან, ამონ-რასთან და თებესთან. ჯერ კიდევ, ეხნატონის (ამონხეტეპ IV), მამის, ამონხეტეპ III-ის დროინდელ ზოგიერთ ტექსტში, გვხვდება სიტყვა "ატონი", რომელიც აღნიშნავს 'მზის დისკოს". ძნელი სათქმელია რასთან იყო დაკავშირებული ამ სიტყვის ხშირი ხმარება, მაგრამ ამ ვარუდის სასარგებლოდ მეტყველებს ორი გარემოება: ჯერ ერთი, ამონხეტეპ III-ის მეუღლისა და ამონხეტეპ IV-ის დედის, დედოფალ ტიის სასეირნო ხომალდს, რომლითაც იგი დაცურავდა სპეციალურად მისთვის მოწყობილ გუბურაში, "ატონის ნათება" ერქვა; მეორე, თებეს 46-ე აკლდამის გამოუცემელ ტექსტებში მოხსენიებულია იქ დამარხული "ატონის სახის მმართველის ტიტული". არის კიდევ სხვა მითითებანი, რომ თებეში გაჩნდა ატონის ახალი მზის ღვთაება. ასე რომ, ატონის კულტი ჯერ კიდევ ამონხეტეპ III-ის დროს წარმოიშვა. ეგვიპტის ახალმა მბრძანებელმა, ამონხეტეპ IV-მ ჯერ კიდევ თებეში ყოფნის დროს გაწყვიტა კავშირი ამონის კულტთან. ეს აისახა ხელოვნებაშიც: ნახატებში გაქრა ამონ-რა და ძველი ღმერთების სიმბოლური გამოსახულებად გაჩნდა ახალი სახე — მზის დისკო, რომლის სხივები თავდება ადამიანის ხელის მტევნებით — სიცოცხლისა და ძალაუფლების სიმბოლოებით. ატონის კულტი არსებითადაც და ფორმითაც მკვეთრად განსხვავდება ამონისა და სხვა კულტებისაგან. მას არ გააჩნდა არც ანთროპომორფული და არც ზოომორფული იკონოგრაფია. ეს იყო ნატურალისტური კულტი — თვით მზის ყველაზე მაცოცხლებელი, რამაც ასახვა პოვა ატონის ჰიმნში, რომელიც თვით ფარაონმა შეთხზა:

"შშვენიერია შენი ამოსვლა ცის კამარაზე,
ოჰ ატონო, ცხოველმოსილო სიცოცხლის დასაბამიდან!...
შენ უგზავნი შენს სხივებს, და ხარობს ეგვიპტე...
ფრინველები დაფრინავენ თავიანთ ბუდეებიდან,

მაინი ფრთები ადიდებენ შენს სულს!
ყველა პირუტყვი დახტუნაობს თავის ფეხებით,
თევზები კი ნილოსში შენი სახის წინ როკავენ,
და შენი სხივები — ზღვის სიღრმეს აღწევენ...
ყოველივე, რაც დაფრინავს ცოცხლობს, როცა შენ ნათელს
ჰფენ მათ...

მკვეთრი გარდატეხა მოხდა ეგვიპტურ ხელოვნებაში, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული რელიგიასთან. ოფიციალური ტრადიციული უძრაობა, მეფისა და მისი ოჯახის განდგომა იცვლება დინამიურობით, ნატურალიზმით და მიწიერი ცხოვრებისაკენ მობრუნებით. რიგორც ცნობილია, მმართველი ფარაონის სახე ყოველთვის ემთხვეოდა ღმერთების სახეებს, რითაც ხაზს უსვამდნენ მის ღვთაებრივ წარმოშობას. ახლა ფარაონს გამოხატავდნენ მისი ფიგურისა და სახის ყველა ნაკლოვანებით, ისე როგორც იყო ცხოვრებაში. აკლდამების რელიეფებზე, ქალაქის ქუჩებში გაჩნდა მეფისა და მისი ოჯახის ყოფის ამსახველი სურათები.

მეფისა და მისი ოჯახის წევრების ნეკროპოლების გაჩენა ნილოსის აღმოსავლეთ სანაპიროზე სიახლეს წარმოადგენდა. ატონისადმი მიძღვნილი ტაძრები როგორც ძველად, მიმართული იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. მათ გალავანი ჰქონდა შემოვლებული. შესასვლელს აფორმებდნენ საშუალო სიმაღლის პილონებით. მაგრამ, ეინაიდან ახალი კულტი სრულდებოდა ღია ცის ქვეშ, ატონის ტაძრებს არ ჰქონდა დამახასიათებელი სვეტებიანი დარბაზები. პილონებს ენაცვლებოდა უზარმაზარი სივრცის ღია ეზოები, უთვალავი სამსხვერპლოებით. ისინი აგურით იყო ნაგები და მათ იგივე ბედი ეწია, რაც შუა სამეფოს პირამიდებს. სამაგიეროდ, შემოგვრჩა ქანდაკებების შესანიშნავი ნიმუშები, რომლებიც გამოირჩევიან სახის ინივიდუალურობით.

იმდროინდელი სკულპტურული პორტრეტებია ეხნატონისა და ნეფერტიტის თავები. უეჭველია, რომ ეს ქმნილებანი რეალისტურ ხელოვნებას მიეკუთვნება და შექმნილია საბერძნეთში ქანდაკების ხელოვნების აყვავებამდე ათასი წლით ადრე.

ეხნატონის გარდაცვალების შემდეგ, მისი მეორე მემკვიდრე და ახალგაზრდა სიძე, იძულებული შეიქმნა შერიგებოდა დიდებულებსა და ქურუმებს, საკუთარი სახელიც კი შეიცვალა, რომელიც შეიცავდა ღმერთ ატონის სახელს. მაგრამ მაინც, ამარნის ხელოვნებისათვის დამახასიათებელმა ფიგურების თავისუ-

ფალმა დალაგებამ, ცოცხალმა ძალდაუტანელმა პოზამ, ადამიანთა შორის ურთიერთობების უშუალო გადმოცემამ, გავლენა მოახდინა ეგვიპტური ხელოვნების შემდგომ განვითარებაზე და მისი შესრულების ხერხებისა და გადმოცემის თავისუფალ გამოყენებაზე.

ეგვიპტელები ლაპარაკობდნენ აფრიკულ-აზიურ (სემიტურ-ქამიტური) ოჯახების ენაზე. საგულისხმოა, რომ მათი დამწერლობა წარმოიშვა ეგვიპტის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებამდე. ვინაიდან ამ პერიოდში იგრძნობა ეგვიპტეზე მესოპოტამიის კულტურის მრავალმხრივი გავლენა, ამიტომ ეგვიპტოლოგების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ შესაძლებელია ამ დამწერლობის ჩამოყალიბებაზე გარკვეული როლი შეასრულა მესოპოტამიამ, თუმცა, არ არსებობს ამის მტკიცების უტყუარი საბუთები. მეცნიერთა მეორე ნაწილი უარყოფს მას და თვლის, რომ ეგვიპტური დამწერლობის შექმნა თავისთავადი, დამოუკიდებელი მოვლენაა.

პირველად ეგვიპტეში დამზადდა ქაღალდის უძველესი სახეობა — პაპირუსები. აქედანვე მომდინარეობს ქაღალდის სახელწოდება მთელ რიგ თანამედროვე ენებში (გერმანულად paper, ფრანგული papier და სხვ.). წერის იარაღი იყო ლერწამზე დამაგრებული ფუნჯი, რომელსაც აწებდნენ წითელ ან შავ მელანში.

ეგვიპტური ზღაპრები, თქმულებები, მითები, ჰიმნები, მაგიური ფორმულები, სიმღერები, შეგონებანი და დარიგებანი წარმოიშვა დამწერლობამდე დიდი ხნით ადრე, ჯერ კიდევ ქვის ხანაში. იმ დროის მითები მჭიდროდ უკავშირდებოდა მათ რწმენა-წარმოდგენებს, ფოლკლორი — კოსმოგონიას, თქმულებებს, ამიტომ ძნელია ზუსტი ზღვრის გაკეთება ეგვიპტურ მხატვრულ ლიტერატურულ ტექსტებსა და მითურ, საღვთისმეტყველო, ისტორიულ და ზოგიერთ სხვა ლიტერატურულ ძეგლებს შორის, მითუმეტეს, რომ მათში ხშირად ჩართულია აშკარად მხტვრული შემოქმედების ქმნილებანი. თუ რამდენად მდიდარი და მრავალფეროვანი იყო ძველი ეგვიპტური ლიტერატურა, მას ცხადყოფს, თუნდაც, ჩვენამდე შემორჩენილი მისი მცირე ნაშთები, სულ რაღაც ასოდე ნაწარმოები, მათგან ზოგი რამდენიმე სტრიქონია, მაგრამ, რაც არის თანამედროვე მკითხველის განცვიფრებას იწვევს.

ეგვიპტელები ისევე როგორც კლასიკური აღმოსავლეთის სხვა ხალხები, თავიანთ კულტურულ მონაპოვარს, მათ შორის მწერლობასა და ლიტერატურას, ზეციურ მოვლენად თვლიდნენ და ღმერთების გამოცხადებად მიაჩნდათ. 'ღვთის სიტყვა მათთვის იყო იეროგლიფური დამწერლობის ტერმინი და სიტყვიერების აღმნიშვნელი ცნება. სამწერლო

მოწყობილობას თავისთავად სიწმინდეების მნიშვნელობა ჰქონდა და "ოსირისის ნეშტად" იყო მიჩნეული. დამწერლობის შემქმნელი, ლიტერატურულისა და მეცნიერების მფარველი იყო სიბრძნის ღმერთი ტოტი, 'რომელმაც ხალხს უბოძა ეს მადლი". იგი ღვთის სიტყვის გამგებელი და წმინდა წიგნების ავტორია, რომლებშიც ქრონოლოგიური რიგით შეჰქონდათ მეფეთა სახელები.

ეგვიპტური ლიტერატურის ისტორია იყოფა ექვს პერიოდად: I – არქაული, II – კლასიკური ლიტერატურა, III – ახალი მეფობის დასაწყისი, IV – ახალეგვიპტური, V – 'რესტავრაციის" ხანა, VI – ბერძნულ-რომანული. ისინი თავის მხრივ, იყოფიან ქვეპერიოდებად. არქაულ პერიოდში შედის: პირამიდების ტექსტები, მემფისის საღვთისმეტყველო ტრაქტატი, დიადემების ჰიმნები და რიტუალები, მემფისის სასწაულებრივი შობა, უძველესი მემატენე, დიდებულთა წარწერები, გარდამავალი ხანის რელიგიური ტექსტები, საკროფაგების ტექსტები. ყველა პერიოდი მოიცავს რამდენიმე ლიტერატურულ ძეგლს. მაგალითად, კლასიკური ლიტერატურის პერიოდი მოიცავს 16 ნაწარმოებს, ახალი მეფობის დასაწყისი – 9 ნაწარმოებს.

ძირითადი ლიტერატურული ჟანრები იყო სულის მოსახსენიებელი ტექსტები, ჰიმნები, სამეჯნურო სიმღერები, დიდაქტიკური ნაწარმოებები, ზღაპრები. სულის მოსახსენიებელი ტექსტების პირველ ნიმუშს წარმოადგენდა "პირამიდების ტექსტები". ეგვიპტელებს სწამდათ, რომ კედლებზე დაწერილი ტექსტები უზრუნველყოფდა ფარაონების კეთილდღეობას და ბედნიერ სიცოცხლეს იმქვეყნიურ სამყაროში. პირველი დიდი მოცულობის უძველესი ლიტერატურული ძეგლები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, მოხატულია V დინასტიის მეფის უნისის (ქრისტეს შობამდე XXIII საუკუნე) და VI დინასტიის ფარაონების ატოტის, პიოპი I-ის, მერნარის და პიოპი II-ის პირამიდების შიდა კედლებზე. ისინი ასახავდნენ დასაფლავების რიტუალს, უფრო სწორად გადმოგვცემენ მაგიურ ფორმულებს და იმ გამონათქვამებს, რომელთა დანიშნულება იყო გარდაცვლილი მეფის უსაფრთხოება, უკვდავება და კეთილდღეობა იმ ქვეყნად. ამრიგად, "პირამიდების ტექსტებში" ნაპოვნია იმ უწყვეტი ჯაჭვის პირველი რგოლი, რომლებიც გვაცნობენ მიცვალებულთა მაგიურ რიტუალებს, ღმერთებისადმი მიძღვნილ ჰიმნებს, მითების ნაწყვეტებს. იმის მიხედვით, თუ რამდენხანს გრძელდებოდა ამა თუ იმ ფარაონის მეფობა, სხვადასხვა პირამიდას და მათს კედლებზე წარწერილ ტექსტებს განსხვავებული მოცულობები აქვს. მაგალითად, უნისის პირამიდა 649

სტრიქონისაგან შედგება, ატოტისაში სულ 349 სტრიქონია, პიოპი I-ში – 800-ზე მეტი, პიოპოი II-ში – თითქმის 1400.

ამჟამად შესაძლებელი გახდა ამ ტექსტების შინაარსის საფუძვლიანი შესწავლა, ვინაიდან ჯერ კიდევ XX საუკუნის ოცდან წლებში არსებობდა სარკოფაგების 126 აღწერილობა, მეტწილად მხოლოდ იმქვეყნიური ცხოვრების ამსახველი, მოკლე გამონათქვამებად ჩამოყალიბებული ფორმულები. ამასთანავე, აღმოჩნდა მიცვალებულის ერთმანეთში ჩადებული კუბოებიც. ისინი შიგნიდან და გარედან აჭრელებულია კურსივის შრიფტით შესრულებული წარწერებით. ერთი და იგივე ტექსტი ზოგჯერ მეორდება, მაგრამ სხვადასხვა ვარიანტით. ისიც თვალში საცემია, რომ წარწერებში ჩანს გადამწერთა დაუდევრობა. ჩვენს წინაშეა არა მეფის პირამიდების ლამაზად ამოჭრილი იეროგლიფები, არამედ უბრალო მელნით, კურსივით შესრულებული, თანაც დაბალზამების დროს ფისით შეთხუპნული და ბათქაშჩამოცლილი ვერტიკალური სტრიქონები.

შესაძლებელი გახდა "სარკოფაგების ტექსტების" ქრონოლოგიისა და შემადგენლობის დაზუსტება. ისინი სათავეს იღებენ ძველი სამეფოს დასასრულიდან, კერძოდ, VI-VII დინასტიებიდან და მოიცავენ შუა სამეფოს გარდამავალ პერიოდს. მათ შორის უძველესია ხიუთის დროინდელი ტექსტები. შემდეგ ჩნდება თავები 'მიცვალებულთა წიგნებიდან".

"პირამიდების ტექსტებისაგან" განსხვავებით, 'სარკოფაგების ტექსტების" დანიშნულებაა არა მარტო ფარაონის, არამედ ჩვეულებრივი მიცვალებუილის დაცვა საიქიოს მრისხანე ძალებისაგან. მისი ზოგიერთი ტექსტი საფუძვლად დაედო 'მიცვალებულთა წიგნს."

ამავე პერიოდს მიეკუთვნება 'წიგნი ორი გზის შესახებ", რომელიც ენობრივად ძველი სამეფოს დროინდელია, მაგრამ გვხვდება მხოლოდ XII დინასტიის სარკოფაგებზე. ეს გარდაცვლილის ილუსტრირებული გზის მაჩვენებელი პატარა ფორმატის ცნობარია, მიცვალებულს რომ უადვილებს იმქვეყნიური ცხოვრებისაკენ მიმავალი გზის გაკვლევას წყალსა თუ ხმელეთზე.

ამ პერიოდში განვითარდა სიტყვაკაზმული ლიტერატურა. განსაკუთრებით აღსანიშნავია "სინუხეტის თაეგადასავალი" და დიდაქტიკური ჟანრის საუკეთესო ნაწარმოები – "ამონემხატის დარიგება შვილისადმი". ნაწარმოებში ხანდაზმული მამა უყვება ვაჟიშვილს. თავისი ვერაგული მკვლელობის ამბავს და აცნობს ადამიანის ბუნების ყველა ნათელ მხარეს. იგი არიგებს შვილს,

რომ განსაკუთრებით ფრთხილი უნდა იყოს, როცა მას დიდი ქვეყნის ტახტი უპყრია, საკუთარი ძალისა და გამჭრიახობის გარდა, არ უნდა პქონდეს სხვისი იმედი. ფარაონის ასეთი „გაადამიანებული" სახის შექმნა შეუძლებელი იქნებოდა პირამიდების ეპოქაში, როცა ფარაონებსა და ჩვეულებრივ მოკვდავებს შორის უსარმაზარი ზღვარი იყო. რაც შეეხება „სინუხეტის თაყვანისმცემელს", იგი იმითაა ღირშესანიშნავი, რომ პირველად მსოფლიო ლიტერატურაში აქ მოთხრობილია არა ხელმწიფის ან ღვთაების ისტორია, არამედ ჩვეულებრივი მოკვდავის პირადი განცდებია გადმოცემული. ეს ნამდვილი რომანია, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, რომელმაც რამდენიმე ვარიანტითა და ნაწილებით მოაღწია ჩვენამდე. მასში ფანტასტიკური ელემენტების ნატამალიც არ არის. პირიქით, მთელი ამბები შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს. დაწერილია იმდროინდელი ოდების ყაიდით და ასახულია მაშინდელი ეპოქის სინამდვილე.

ახალმა სამეფომ სათავე დაუდო სულისმოსახსენიებელ ლიტერატურას. ამ დროს მაგიური ტექსტების შექმნა დაიწყეს სკრიპტორიებში, „სიცოცხლის სასახლეებში", როგორც მათ ეგვიპტელები უწოდებდნენ და იწერდნენ პაპირუსებზე. ეს იმდენად ჩვეულებრივ საქმედ იქცა, რომ პაპირუსის გრაგნილებს სპეციალურ სახელოსნოებში ამზადებდნენ.

ახალი სამეფოს სულის მოსახსენიებელ ტექსტებს „მიცვალებულთა წიგნები" უწოდეს. თანამედროვეებს „მიცვალებულთა წიგნი" მიაჩნიათ ძველი ეგვიპტური შელოცვებისა და პიმნების კრებულად და ამავე სახელწოდებით მოიხსენიებენ მას. იგი შეუდგენიათ ქრისტეს შობამდე XVI საუკუნეში. „მიცვალებულთა წიგნს" დახმარება უნდა გაეწია გარდაცვლილებისათვის, რომ იმ ქვეყნაში კარგად ყოფილიყვნენ და დღისით მკვდრეთით აღმდგარიყვნენ. აქედან მომდინარეობს მისი მეორე ეგვიპტური სახელწოდება „წიგნი დღისით გამოსვლისა". ძირითადად, „მიცვალებულთა წიგნის" ტექსტს პაპირუსზე წერდნენ და აკლდამაში დებდნენ. საგულისხმოა, რომ ეს ჩვეულება მათ ქრისტიანობის მიღებამდე შემორჩათ. ამ ეპოქალური ნაშრომის ზოგიერთ თავს საფუძველად უდევს ადგილები „პირამიდების ტექსტებიდან" და „სარკოფაგების ტექსტებიდან".

ეგვიპტელები დიდად ზრუნავდნენ იმისათვის თუ როგორი უნდა ყოფილიყო ადამიანი, რათა ღირსეულად განეელო მიწიერი გზა. როგორც ჩანს, ამით აიხსნება დიდაქტიკური ლიტერატურის პოპულარობა, რაც ეგვიპტელებში განსაკუთრებული სიყვარუ-

ლით სარგებლობდა. ასეთი ლიტერატურის ნიმუშია "ამენემოპეს შეგონება". საგულისხმოა, ბიბლიურ ტექსტებთან ამ ტექსტების ზედაპირული შედარებაც კი ცხადყოფს, რომ ძველი ებრაელების ტექსტები ამ უკანასკნელიდან იღებს სათავეს. მასში ნათქვამია: "ადამიანი ხომ თიხა და ჩალაა და ღმერთმა შექმნა იგი. ღმერთი ყოველდღე ქმნის და არღვევს, იგი თავის სურვილისამებრ ცისმარე დღე ქმნის ათასობით ღარიბს, იგი ყოველ საათს ქმნის ათასობით ზედამხედველს."

"ამენემოპეს შეგონებაში" ვკითხულობთ: "ნუ ეძმობილები გულფიცხ ადამიანს, არ დაუახლოვდე მას სალაპარაკოდ... დაე, ნუ ჩაგითრევს შენ და ნუ გაგაყოფინებს თავს მარყუჟში". და თუ შევადარებთ ამ სიტყვებს ეკლესიასტეს ერთისენტენციის სათანადო ადგილს — "ნუ დაუმეგობრდები გულფიცხს და ურთიერთობას ნუ გაბამ მასთან, რათა არ გაჰყვე მის გზებს და მოაქცევს შენს ცოცხალ სულს მის მარყუჟებში" — ცხადი გახდება მათი თითქმის იდენტურობა.

ეგვიპტეში მიმდინარეობდა და საფუძველი ეყრებოდა ემპირიული ცოდნის დაგროვებისა და გააზრების პროცესს. გაჩნდა მედიცინის, მათემატიკის, ასტრონომიის, მექანიკის, ეთიკისა და ლოგიკის ჩანასახები. ამის აუცილებლობა გამოიწვია ირიგაციის, ზღვაოსნობის, დიდ საზოგადოებრივ ნაგებობათა — პირამიდების, ტაძრების, მეფის სასახლეების და სხვ. მშენებლობის საჭიროებამ.

კომერციულმა საქმიანობამ მძლავრი ბიძგი მისცა იმ დროის შესაბამის ტექნიკურ აღმოჩენებს. რიცხვითი ტერმინები, რომლებიც გამოხატავენ ზოგიერთ მეტად აბსტრაქტულ ცნებას, თანდათან შედიოდა ხმარებაში. ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებამ განსაკუთრებით ხელი შეუწყო რიცხვის დანერგვას. რიცხვებს აჯგუფებდნენ და აერთიანებდნენ დიდ ერთეულებად. ამისათვის ჩვეულებრივ იყენებდნენ ერთი ან ორივე ხელის თითებს. ამან საფუძველი ჩაუყარა ჯერ ხუთობით, შემდგ ათობით თვლას, ისე, თორმეტს გამოსახავდნენ 10-ს პლუს 2, ხოლო 9-ს — ათი მინუს ერთი.

რიცხვითი ჩანაწერები ხდებოდა ჯოხებზე, ჭდებზე, თოკებზე კვანძების აღნიშვნით, აგრეთვე მდინარის კენჭებით და ნიჟარებით, ხუთ-ხუთი შეკრული კონების მეშვეობით. ჭდებით სარგებლობის პირველი ნიმუშები გვხვდება ჯერ კიდევ ნეოლითის ეპოქაში.

ეგვიპტეში ყოველდღიურმა ცხოვრებამ განაპირობა მათემატიკის როგორც მეცნიერების წარმოშობა.

სახელმწიფო-საგადასახადო უწყების არსებობამ მოითხოვა არა მარტო უმარტივესი არითმეტიკული, არამედ ხშირად ალგებრული და გეომეტრიული ამოცანების გადაწყვეტაც. მოსავლის აღრიცხვა, პირუტყვის აღწერა, გადასახადების განსაზღვრა, ნაგებობათა მშენებლობა, შეუძლებელი იყო მათემატიკურ გამოანგრიშებათა გარეშე. ეგვიპტურმა მატემატიკურმა აზროვნებამ უდიდესი გავლენა მოახდინა მეზობელ ქვეყნებში ამავე დარგის განვითარებაზე.

სავარაუდოა, რომ ეგვიპტური ციფრები შეიქმნა იეროგლიფური დამწერლობის ნიშნებთან ერთად. პატარა ვერტიკალური ხაზები აღნიშნავდა ერთიდან ათამდე რიცხვებს. კავის ან ნალის მსგავსი ნიშნით აღინიშნებოდა ათეულები, ლოტოსის ღეროთი — ათასი. ადამიანის აწეული თითი შეესაბამებოდა ათიათასს, თავკომბალის გამოსახულება ასიათასის სიმბოლო იყო. მუხლებზე მოკალათებული ღვთაება მილიონს უდრიდა. ეგვიპტელებს ჰქონდათ თვლის ათობითი სისტემა, სადაც ქვედა რიგის ათი ნიშანი იცვლებოდა ზედა რიგის ერთი ნიშნით და ა.შ.

ეგვიპტელები წერდნენ ჰორიზონტალურად, მარჯვნიდან მარცხნივ, ჯერ დიდ ციფრულ ნიშნებს, შემდეგ კი უფრო პატარებს. შეკრება-გამოკლების ოპერაციები ამ ციფრული სისტემით ადვილად სრულდებოდა. ერთნაირი სიდიდის ციფრების შეკრება-გამოკლებას ახდენდნენ ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში დაბალი თანრიგის ათ ციფრს ცელიდნენ მაღალი თანრიგის ერთი ციფრით. უფრო რთული იყო გამრავლება-გაყოფის მოქმედება. აქ იყენებდნენ გაორმაგების მეთოდს. სიმრავლეს აორმაგებდნენ მანამდე, სანამ არ იპოვნიდნენ იმ რიცხვს, რომლის გამყოფზე გამრავლებით მიიღება ამოცანის პირობით გათვალისწინებული გასაყოფი.

ეგვიპტელებს ნათელი წარმოდგენა ჰქონდათ წილადებზე. ძირითადად იყენებდნენ მხოლოდ ერთმრიცხველიან წილადებს. იეროგლიფურ დამწერლობაში წილადს გამოსახავდნენ ადამიანის პირის ნიშნით ამ ნიშნით გამოძერწავდნენ ამა თუ იმ რიცხვს, რომელიც აჩვენებდა მთელის რა ნაწილს შეადგენდა წილადი. მაგალითად, 1/2 გამოისახებოდა სტილიზებული ნეკნით. 1/4 — გადახრილი ჯვრით. განსაკუთრებული ნიშნები ჰქონდათ ორი

მესამედი და სამი მეოთხედი წილადებისათვის. სიგრძის ერთეული იდაყვი (წყრთა) უდრიდა 52,3 სანტიმეტრს, რომელიც, თავის მხრივ, შედგებოდა "ხელისგულებისაგან". თითოეული "ხელისგული" იყოფოდა ოთხ "თითად". ფართობის ძირითად ერთეულს წარმოადგენდა 'სეჩიტი", რომელიც უდრიდა 100 კვ. იდაყვს, განსაკუთრებული 'სამდინარეო საზომი" უდრიდა 20000 კვ. იდაყვს, ანუ 10.5 კვ. კილომეტრს. წონის ძირითადი საზომი "დებენი" უდრიდა 91 გრამს.

მართალია, მათემატიკური ანალიზის შემცველი მეცნიერული ტრაქტატები არ არის შემორჩენილი, მაგრამ ცხადია, რომ პირამიდების მშენებლებს უნდა შესძლებოდათ რთული გეომეტრიული ამოცანების გადაწყვეტა. პითაგორამდე დიდი ხნით ადრე, მათთვის პრაქტიკულად ცნობილი იყო სწორკუთხა სამკუთხედის თავისებურებანი. მაგრამ ძნელი სათქმელია, რამდენად ღრმად ჩაწვდნენ ეგვიპტელები გეომეტრიულ კანონზომიერებებს, რომელსაც პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე იყენებდნენ.

იმის თაობაზე, თუ რამდენად განვითარებული იყო მათემატიკა, მოწმობს ჩვენამდე მოღწეული პაპირუსები. პაპირუსებიდან ჩანს, რომ ეგვიპტელები იცნობდნენ ალგებრულ საწყისებს, განტოლებებს, უცნობ სიდიდეებს, გეომეტრიულ პროგრესიას და სხვ.

ჯერ კიდევ წინადინასტიურ პერიოდში ეგვიპტეში წარმოიშვა ასტრონომია. ძირითადი მიზეზი, რამაც ნილოსის ველის მცხოვრებნი აიძულა დაკვირვებოდნენ ციურ სხეულებს, პრაქტიკული საჭიროებით იყო გამოწვეული. ეს კი, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვდა კალენდრის შედგენა-სრულყოფას, რაც აუცილებელი იყო სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. იგი რომელიმე ასტრონომიულ მოვლენას კი არ ესადაგებოდა, არამედ ითვალისწინებდა მხოლოდ ნილოსის წყლის რეჟიმის სეზონური ცვლილებების განსაზღვრას, ამასთანავე, კალენდრის დაზუსტებისა და შესწორების აუცილებლობა მოითხოვდა ზოგიერთ რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებული თარიღების დადგენას. ამისათვის კი საჭირო იყო გულდასმით შეესწავლათ ციური მოვლენები, დაეგროვებინათ ცოდნა მათ შესახებ. ამან კი საფუძველი ჩაუყარა ასტრონომიას როგორც მეცნიერებას.

ეგვიპტელთა დიდ მიღწევას ასტრონომიის პრაქტიკულ გამოყენებაში მიეკუთვნება მათ მიერ შემუშავებული ღამის დროის

განსაზღვრის წესი ვარსკვლავების მეშვეობით. ისინი დღესა და ღამეს 12 საათით ყოფდნენ. ზაფხულის დღეებს ორი საათით ახანგრძლივებდნენ, ხოლო ზამთრისას ამდენით ამოკლებდნენ.

ეგვიპტელები გაცნობიერებული იყვნენ გეოგრაფიასა და ეთნოგრაფიაში. ეს უკანასკნელი დაკავშირებული იყო ეგვიპტელების მხრივ კუშის, პალესტინის, სირიის, ფინიკიის, შუამდინარეთისა და მცირე აზიის ექსპანსიებთან. მათ დიდი წელილი მიუძღვით პაპირუსებზე შესრულებული გეოგრაფიული რუკების შექმნაში. განსაკუთრებით საინტერესოა ახალი სამეფოს დასასრულს ამენომეპეს მიერ დაწერილი სიტყვარი, რომლის სტრუქტურა ისეა აგებული, რომ ადვილად მოძებნოს ესა თუ ის ტერმინი, რაც მოგვაგონებს უძველეს ენციკლოპედიას. სიტყვები დალაგებულია თემების მიხედვით, მასთან, ყოველი მეათე სტრიქონი გამოყოფილია ციფრობრივი ნიშნებით. ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ ეგვიპტური მეცნიერება იმ დროის შესაბამისად მაღალ დონეზე იდგა და განსაკუთრებული როლი შეასრულა მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში.

ეგვიპტის ისტორია შემოგვინახეს პაპირუსებმა, ქვების ფილებზე, აკლდამებისა და ტაძრის კედლებზე შესრულებულმა წარწერებმა. მათში ხოტბაა შესხმული ფარაონების, დიდებულების, ქურუმების, ნომარქებისა და სამხედრო პირთა მოღვაწეობის შესახებ, თანამიმდევრულადაა გადმოცემული ცალკეულ მეფეთა და მის ახლობელთა ყოფა-ცხოვრების მნიშვნელოვანი ამბები. თუმცა, ეს წყაროები არ არის სრული და ხშირად ტენდენციურია, მათ მაინც დიდი ღირებულება აქვთ.

ბერძნულ ენაზე შედგენილი თხზულებებიდან ცალკე უნდა გამოვყოთ მანეთონი, ალექსანდრე მაკედონელისა და პტოლემაიოს I-ის თანამედროვე ეგვიპტელი ქურუმი. მას, ჩანს, ხელი მიუწვდებოდა ეგვიპტურ წყაროებზე; მისი "ეგვიპტის ისტორია" შედგენილია ქრისტეს შობამდე IV საუკუნის დასასრულს, მაკედონიის მიერ ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ. სამწუხროდ, ნაშრომმა ჩვენამდე მოაღწია ფრაგმენტების სახით, მაგრამ იგი, როგორც წყარო, ეგვიპტის ისტორიის შესწავლის საქმეში ფასდაუდებელია. მანეთონისაგან ჩვენ ვგებულობთ, რომ ეგვიპტეში მეფობდა 30 დინასტია. ამასთანავე, ქვეყნის ისტორია დაყოფილი

იყო სამ პერიოდად — ძველი სამეფო, შუა სამეფო, ახალი სამეფო.

მრავალმხრივ საინტერესო ცნობებს იძლევა ძველი სამეფოს დიდებულთა ავტობიოგრაფიები, ძველი და საშუალო სამეფოების დროინდელი ფარაონების, ნომარქების წარწერები და შეგონებანი. მეტად საგულისხმოა "იპუსერის გამონათქვამი" და "ნეფერტის წინასწარმეტყველებანი", რომლებშიც გადმოცემულია შუა ეპოქის სოციალური მოძრაობები.

დიდი ისტორიული მნიშვნელობების მქონეა, ე.წ. "თოტმეს III-ის ანალები", "აბიდოსის ცხრილი", რომელიც შედგენილია რამსეს II-ის მამის, სეტი I-ის დროს და სხვ. და მაინც, რამდენადაც არასრულფასოვანი უნდა იყოს ისტორიულ მეცნიერებათა მოთხვნის თვალსაზრისით ასეთი აღწერები, მათ შესაძლებლობა მისცეს ძველ ეგვიპტელებს კარგად სცოდნოდათ თავიანთი წარსული და განესაზღვრათ მომავალი ცხოვრების ძირითადი პერიპეტიები.

სახალხო მედიცინის პარალელურად ეგვიპტეში შეიქმნა სატაძრო მკურნალობაც, რომელმაც შეიძინა მთელი რიგი ახალი არსებითი ნიშნები, გამოეყო სხვა დარგებს და დამოუკიდებელ მეცნიერებად იქცა.

გაჩნდა ახალი პროფესია — ექიმი, რომლებსაც ამზადებდნენ სპეციალურ სკოლებში და იგი სარგებლობდა სახელმწიფოს მხრივ აღიარებითა და მხარდაჭერით. ამასთანავე ცუდი ექიმი-პროფესიონალი კანონითაც ისჯებოდა, თვით ხელის მოკვეთამდე. აქ გაჩნდა პირველი ჩანაწერები, პირველი "სამკურნალოები", პირველი სამედიცინო ლიტერატურა.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ, ქურუმების მიერ წამალმცოდნეობაში შეტანილ მისტიციზმის ელემენტებს, ეს ძეგლები წარმოადგენს რეცეპტების კრებულს.

როგორც ცნობილი, შუა სამეფოს ეპოქა ეგვიპტეში კულტურული ცხოვრების აყვავების ხანაა. სწორედ მაშინ ჩაიწერა ჩვენამდე მოღწეული პირველი სამედიცინო ტექსტებიც.

პირველი წარწერები აკლდამებზე ცნობილია ძველი სამეფოს ეპოქაში (V დინასტია). მასში მოთხრობილია, რომ სამედიცინო ტექსტები უკვე არსებობდა ქრისტეს შობამდე III ათასწლეულის დამდეგს. ამჟამად ცნობილია 10 ძირითადი სამედიცინო პაპირუსი.

მასში განხილულია პედიატრიისა და ქალთა დაავადებათა საკითხები. აღწერენ დედა-შვილის პრობლემებს. სისხლძარღვთა და რევმატიული დაავადებები განხილულია ბერლინის № 3028-ე პაპირუსში, რომელიც შედგენილია დაახლოებით ქრისტეს შობამდე 1300 წელს.

ძველი ეგვიპტის მედიცინის შესახებ ყველაზე სრულ ინფორმაციას იძლევა II ათასწლეულში შედგენილი ორი შესანიშნავი ტრაქტატი. ეს არის 1872 წელს თებეში ნაპოვნი დიდი სამედიცინო პაპირუსი, რომელსაც მისი საფუძველიანად შემსწავლელი მეცნიერის ებერსის სახელი ეწოდა და ედვინ სმიტის ქირურგიული პაპირუსი. იგი იპოვეს ლუქსორში და ცნობილია მისი მკვლევარის გვარის მიხდვით.

ძველი ეგვიპტელი ექიმები აღიარებდნენ, რომ არსებობდა დაავადებათა ბუნებრივი მიზეზები: ნაწლავთა პარაზიტები, კვების რეჟიმის დარღვევა და ა.შ. შემონახული მონაცემებით ეგვიპტე ითვლება "პნევმის" შესახებ — ადამიანის ორგანიზმის მაცოცხლებელი საწყისის სამშობლოდ. ეს მოძღვრება შემდეგ გავრცელდა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების მედიცინაში.

შუა სამეფოს ეპოქაში პირველად შეიქმნა დაავადებათა წარმოშობის ზოგადი თეორია, რომლის თანახმადაც, ყველა ავადმყოფობის საფუძველი გული და სისხლძარღვები იყო. ამ თეორიის მიხედვით, ექიმის საიდუმლოებათა საწყისია გულისცემის ცოდნა. თერაპიისა და ფარმაკოლოგიის განვითარების შესახებ ყველაზე სრულად გადმოგვცემს ებერსის პაპირუსი. იგი შედგება 198 ფურცლისაგან, სიგრძით 20,5 მეტრია და წარმოადგენს ძველი ეგვიპტის ერთგვარ სამედიცინო ენციკლოპედიას. მასში აღწერილია კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის, სასუნთქი გზების, ყელ-ყურის, ცხვიდან სისხლდენის, დამწვრობის, თვალის, კანისა და სხვა დაავადებათა აღწერა. პაპირუსში 900 რეცეპტია, რაც სავსებით შეესაბამება მის სახელწოდებას — "სხეულის ყველა ნაწილისათვის წამლების დამზადების წიგნი". ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შემოთავაზებული გარკვეული საცხები, სალბუნები, საფენები, მიქსტურები, გამოსავლებები, აბები, ოყნები და ა.შ. წამლების შემადგენლობაში შედიოდა ხახვი, ყაყაჩო, ფინიკი, ლოტოსი, ბროწეული, ალოე, ყურძენი და სხვ., მინერალები: გოგირდი, რკინა, ტყვია, აგრეთვე სოდა, ალებასტრი, თიხა,

გვარჯილა და სხვ. ზოგიერთი რეცეპტი მეტად რთული იყო მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი შედგებოდა 37 კომპონენტისაგან. მასში დიდი ადგილი ეთმობოდა კუჭნაწლავის გამწმენდ საშუალებებს.

ძველი ეგვიპტის სამედიცინო ცხოვრებას აღწერს, ეგრეთ წოდებული ედვინ სმიტის პაპირუსი, რომელიც პირველად ამერიკელმა ეგვიპტოლოგმა დ. ბრესტედმა გამოაქვეყნა. იგი შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე აღიარებულ ნაშრომად ანატომიასა და ქირურგიის დარგში. პაპირუსი გვაოცებს თავისი მეცნიერული სიზუსტით და გადმოცემის სიცხადით. საგულისხმოა, რომ იგი თავისუფალია მაგიისა და მისტიციზმის ყოველგვარი რეციდივებისაგან. მასში აღწერილია თავისქალის, ტვინის, კისრის, ლაეწის, წინამხარის, გულმკერდისა და ხერხემლის დაზიანების 48 შემთხვევა, ტრაქტატში ნაჩვენებია თუ რა უნდა გააკეთოს დასტაქარმა, როდესაც განკურნება შესაძლებელია.

ედვინ სმიტის პაპრუსი პირველი წყაროა ჩვენამდე მოღწეულ ქირურგიულ ცნობარებს შორის, რომელშიც აღწერილია მონაცემები ტვინის შესახებ.

ეგვიპტელების ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა, ჰიგიენა. რელიგიური კანონები მოითხოვდა სისუფთავის, სიფაქიზისა და ზომიერების დაცვას. ეგვიპტელს უნდა სცემოდა სუფთა ტილოს საცვალი, სისტემატურად ებანაკა, სხეული დაეზილა ნელსაცხებლებით, თვეში სამჯერ გამოერეცხა კუჭნაწლავი. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საოჯახო ჰიგიენის საკითხებს.

ყველა ეპოქის საზოგადოება ისწრაფოდა მშვენიერებისაკენ, რომელიც სხვადასხვა სახითა და ფორმით ვლინდებოდა. მთელი რიგი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები მოწმობს, რომ ეგვიპტეში კოსმეტიკა ცნობილია ქრისტეს შობამდე 2000 წლის წინათ. ეგვიპტელები კოსმეტიკურ საშუალებებს იყენებდნენ არა მარტო თავს ილამაზებდნენ მაშინდელი მოდის შესაბამისად, არამედ მიმართავდნენ ნაკვთების შეცვლის ხელოვნებასაც: იფართოებდნენ ტუჩებს, ლოყებს, იგრძელებდნენ ყურებს და ა.შ. ძველი ეგვიპტელები წითლად იღებავდნენ ტუჩებს, თმებზე ისვამდნენ კეთილსურნელოვან გასაპრიალებელ ზეთს. იხატავდნენ თვალებს. პტოლემაიოსების ეპოქაში თავს იღებავდნენ მეფე-დედოფლები,

რიგითი მანდილოსნები, მხედრები, მეცნიერები, ქურუმებიც კი. საღღესასწაულოდ რთავდნენ წმინდა კატებს, ღმერთების სტატუეტებს და მუმიებს. თუ ადრე ქალები მწვანე საღებავით იხატავდნენ თვალებს, შემდეგ ეს ფერი შეცვალეს შავით, იფართოებდნენ და იგრძელებდნენ წარბებსა და წამწამებს. შავგვრემან ეგვიპტელ ქალებს ნათელ, ღაჟღაჟა იერს აძლევდა ფერუმარილი, რომლის გამოგონებაც მათ ეკუთვნით. ფრჩხილებს ისინი მწვანე ფერით იღებავდნენ. ამრიგად, თანამედროვე კოსმეტიკა — მოძღვრება ადამიანი სხეულისა და სახის სიჯანსაღის, სილამაზის შესახებ სათავეს იღებს ეგვიპტური კულტურიდან.

თეატრი, მუსიკა, სპორტი

ეგვიპტური თეატრი ჩაისახა ძველი სამეფოს პერიოდში. მას საფუძველი დაედო დასაფლავების რიტუალები, რომლებსაც თან ახლდა დიალოგები ღმერთებს შორის. იმდროინდელი თეატრის ერთგვარი ნაირსახეობა იყო სახალხო ღღესასწაულები, რომლებიც ამა თუ იმ ღვთაებათა პატივსაცემად სრულდებოდა მუსიკისა და ცეკვების თანხლებით.

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა თეატრალიზებული წარმოდგენები, რომლის სიუჟეტს შეადგენდა ოსირისის "ენებანი", ამ რელიგიურ-დრამატულ სანახაობაში ნაჩვენები იყო ოსირისის ცხოვრების ეპიზოდები, მისი ტანჯვით სიკვდილი. მაგალითად, ოსირისის მოკვლა, მისი სხეულის თოთხმეტ ნაჭრად დანაწევრება, ისიდას მიერ ქმრის სხეულის შეგროვება, მისი ტირილი, ოსირისის სხეულის გადატანა ტოტის მიერ, ანგარიშის გასწორება ოსირისის მტრებთან და სხვ.

სხვადასხვა თეატრალური წარმოდგენა და მისტერია ეწყობოდა ეგვიპტის მრავალ ქალაქსა და რელიგიურ ცენტრში. ასეთ სანახაობას განსაკუთრებული მოწონება ჰქონდა თებეში, ედფუში და კუნძულ ბიგეზე, ელეფანტინის ახლოს, ნილოსის

პირველ ჭოროომთან, სადაც გადმოცემით დასაფლავებული იყო ოსირისის მარცხენა ფეხი.

არსებობდა. სხვა შინაარსის მისტერიებიც, რომლებიც ეძღვნებოდა ისიდასა და ხორს. მისტერიები შეიცავდა ისიდას მიერ ოსირისის სხეულის პოვნას, მის მიერ მეუღლის დატირებას, ოსირისის გაცოცხლებას, ხორის დაბადებას, მის ბრძოლას სეტხთან და ოსირისის აღდგომას. მაყურებელში მოწონებას იმსახურებდა ბეხდეთელი ხორის მითები (ბეხდეთი ედფუს მეორე სახელწოდებაა). იგი რელიგიურ დრამას წარმოადგენდა.

მისტერიები გადმოგვცემდა ეგვიპტური მითოლოგიისათვის დამახასიათებელ ძირითად თემას: ბრძოლას სიკეთესა და ბოროტებას შორის, სინათლესა და წყვდიადს შორის. იგი 24 დეკემბერს დამით სრულდებოდა, როდესაც ტაძრებიდან გამოჰქონდათ რიგორც ისიდას, ისე მისი ვაჟის, ხორის ქანდაკებები. ნილოსის შლამისაგან დაწნეხილ ოსირისის ფიგურას ატანდნენ ხორბლის მარცვლებს. თორმეტი დღის შემდეგ, როდესაც მარცვლები გალვივდებოდა, ქურუმები ფიგურებს ნილოსში ყრიდნენ შეძახილებით „ოსირისი აღსდგა". ამას ჰქონდა მეტად სადღესასწაულო ხასიათი.

უფრო დაწერილებითი ცნობები ასეთ სანახაობათა შესახებ ჩვენამდე მოღწეულია პტოლემაიოსების დროიდან. ამ სანახაობებში ღმერთების როლს ასრულებედნენ ქურუმები. ამასთან, ხორის როლი უნდა ეთამაშა თავად ფარაონს, მაგრამ, მას, როგორც წესი, ცვლიდნენ ჩვეულებრივი ტაძრის ქურუმები. ვინაიდან ამ მისტერიებში მონოლოგებისა და დიალოგების გარდა, იყო თხრობითი ნაწილიც, მას ასრულებდა სპეციალურად გამოყოფილი მხატვრული სიტყვის ოსტატი, რომელიც განასახიერებდა ჯოსერის პირამიდის არქიტექტორსა და ბრძენს — იმხოტეპს. მასში მონაწილეობდნენ გუნდი და მუსიკოსები.

სანახაობა, როგორც წესი, იმართებოდა წელიწადის მეექვსე თვეს, წმინდა ტაძრის ნაპირზე. მეტად საგულისხმო ცნობებს გვაწვდის ეგვიპტელი დიდებული იხერნოფრეტი, რომელმაც ფარაონ სენუსერტ III-ის (ქრისტეს შობამდე XI საუკუნე) დავალებით შეამოწმა აბიდოსის ტაძარი და იქ გამართული სანახაობები, რომლებიც ყოველწლიურად იმართებოდა და მრავალი მაყურებელი ესწრებოდა. ამ წარწერებიდან ჩანს, რომ მითოლოგიურ თემაზე შექმნილი ეს მისტერია რამდენიმე მოქმედებისაგან შედგებოდა. ასეთი სანახაობები, როგორც წესი, იმართებოდა, ეგვიპტის სხვადასხვა ადგილას.

საგულისხმოა ისიც, რომ ეგიპტეში არსებობდა შინაარსითაც და ფორმითაც ელიტარული თეატრები, რომლებშიც მონაწილეობდნენ პროფესიული მსახიობები და არა ქურუმები. ეგვიპტის კულტურის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი წყაროა, ქრისტეს შობამდე XVI საუკუნეში მოღვაწე ვინმე მოხეტიალე მსახიობი და მუსიკოსი ედღუელ ენხებას აკლდამის ქვა. ეს იმას ადასტურებს, რომ ჯერ კიდევ XVIII დინასტიის დროს რიტუალური სატაძრო თეატრის გარდა, არსებობდა პროფესიონალ მსახიობთა დასები.

მუსიკალური ხელოვნების ჩასახვისა და განვითარების საწყისი ეტაპის სურათი, სამწუხროდ, ძალზე ბუნდოვანია. ეს იმით აიხსნება, რომ მეცნიერება და, კერძოდ, მუსმცოდნეობა, რომელიც დაფუძნებულია ხელნაწერთა მონაცემებსა და ნივთობრივ ძეგლებზე, ახალგაზრდაა. ქრისტეს შობამდე IV-III ათასწლეულების ბარელიეფებზე (IV დინასტია) გვხვდება არფის გამოსახულება.

საქმე იმაშია, რომ განვითარების ეს გრძელი და რთული გზა ეხება არა მხოლოდ თავად საკრავების ტექნიკურ დახვეწას, არამედ წმინდა ხასიათის მუსიკლურ პროცესს: ბგერითი დიაპაზონის გაფართოებას, ლამაზი, ფართე, ძლიერი და სუფთა ჟღერადობის მიღწევას. მიუხედავად ამისა, მრავალრიცხოვანი წარწერა და რელიეფური გამოსახულება მოწმობს იმ დიდ როლზე, რომელიც ეკავა მუსიკას ეგვიპტურ ყოფაში. მრავალრიცხოვან ტაძარსა და აკლდამაში მთელი სცენები აქვს დათმობილი ფრესკებს იმ კამერული ანსამბლებით, რომლებიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა რიტუალურ პროცესსა და ცეკვაში. მათ გუნდურ ჟღერადობაზე მიგვანიშნებს დამტირებელთა კომპოზიციაც.

ეგვიპტის ძველი სამეფოს პერიოდის ბარელიეფებში უმთავრესად მოცემულია რამდენიმე მუსიკალური ჯგუფის (არტისტები, ფლეიტისტები, მომღერლები) დაპირისპირება. გუნდის მონაწილე მომღერლები ცალკეულ შემთხვევაში ტაშს უკრავდნენ. მომღერალი სოლისტი კი, რომელიც არ არის დამოკიდებული გარკვეულ რიტმულ ნახაზზე, ჰაერში ხელის მსუბუქი მოძრაობით ასახავს მელოდიურ ხაზს. ჟესტების

ერთგვაროვნება და გარკვეულობა (ან გამოკვეთილობა) გვარწმუნებს იმაში, რომ ქრისტეს შობამდე III ათასი წლის წინ არსებობდა ზუსტი "ჟესტების ენა", უფრო მეტიც, "ჟესტების ნახატი", რომელიც უსათუოდ ახლავს ვოკალურ შესრულებას.

ძველ ეგვიპტეში ფართოდ იყო გავრცელებული ჰეიროგლიფია, რაც ბერძნულად ნიშნავს "ხელების მოძრაობას ტაქტში". ხელებისა და თითების დახმარებით გადმოიცემოდა მუსიკალური ქსოვილის რიტმულ-მელოდიური ნახატი. თითების მდებარეობა განსაზღვრავდა ხმის ინტერვალებს. მაგალითად, ბეჭდვის ფორმის მსგავსად მოღუნული დიდი და საჩვენებელი თითები შეესიტყვებოდა გამის ძირითად ტონს, გაჭიმული მაჯა აღნიშნავდა კვინტას (ინტერვალი ძირითადი ტონიდან მეხუთე საფეხურამდე).

"დირიჟორის" გამოსახულება გვხვდება იდუს აკლდამაში (VI დინასტია) როგორც გუნდთან, ასევე ხუთი არფისაგან შემდგარ კამერულ ანსამბლში, სადაც "დირიჟირი" ზის პირით შემსრულებლისაკენ. ეს ფაქტი საგულისხმოა იმდენად, რამდენადაც ევროპული სიმფონიური ორკესტრის დირიჟორის ეტიკეტი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ითვალისწინებდა დირიჟორის დგომას სახით მსმენელისაკენ. მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია დაარღვია რიჩარდ ვაგნერმა მხოლოდ გასული საუკუნის შუა პერიოდში. ანსამბლებში მონაწილეობდნენ აგრეთვე, დასარტყამი, სასულე და სიმიანი საკრავები. უნდა აღინიშნოს, რომ ახალი სამეფოს პერიოდის მელოდიური ნახაზი ძველთან შედარებით მოქნილია. მუსიკა იკავებს მეტ ადგილს ყოფაში, მას ეხვდებით სასკოლო პროგრამებში, ჩნდება "მხედრული" მუსიკის ჟანრიც. მუსიკას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ღვთისმსახურებისას. ამ პროცესს აკომპანიმენტს უწევდნენ სიმღერით სხვადასხვა ინსტრუმენტებისაგან შემდგარი ანსამბლები. მომღერლები და მუსიკოსები იყვნენ როგორც მამაკაცები, ასევე ქალები.

დღემდე შემონახული ამ პერიოდის ვიზუალური მასალა გვამცნობს, რომ ეგვიპტეში გაბატონებული იყო სიმღერის აღმოსავლეთში დღემდე გავრცელებული მანერა; ამ შემთხვევაში მომღერლის თვალები დახუჭულია, კისერი აწეული. მომღერალს

ხელი მიდებული აქვს ერთდროულად ყურთან, ლოყასთან და ყელთან, რათა მისი მსუბუქი მოძრაობით მიაღწიოს ხმის ვიბრირებას.

ახლი სამეფოს პერიოდში, იგრძნობა სირიული მუსიკის გავლენა. უკვე II ათასწლეულის დასაწყისში გვხვდება ახალი საკრავი — ლირა. ფარაონის სასახლეში ადგილობრივი კაპელას გვერდით ჩნდება მეზობელი ქვეყნის ინსტრუმენტებიც. მთელი რიგი ეგვიპტური ეროვნული საკრავები დაჩრდილა აზიურმა. მაგალითად, სირიული ორმაგი ჰობოის გამოჩენამ თითქმის მთლიანად გამოდევნა ტრადიციული ფლეიტა. ძალზე პოპულარული გახდა კუთხოვანი არფები, რომ არაფერი ვთქვათ ლუტნაზე და ლირაზე. ამ პერიოდში გაჩნდა დოლიც.

ეგვიპტელი მოხეტიალე მუსიკოსები ერთდროულად ითავსებდნენ რამდენიმე პროფესიას, რამაც გამოიწვია ერთგვარი მუსიკოს-ჟონგლიორის ტიპის ჩამოყალიბება. ალექსანდრიის საერთაშორისო ბაზარმა განაპირობა ერთსა და იმავე პიროვნებაში მომღერლისადმი სასულე საკრავზე შემსრულებელი აკომპანიატორის შეთავსება. რამდენადაც შეუძლებელია ერთდროულად სიმღერა და სასულე საკრავზე დაკვრა, საჭირო გახდა ჩაბერვის რაიმე ახალი საშუალების გამონახვა. ბერლინის მუზეუმში ინახება ეგვიპტური თიხის სტატუა, რომლის ტიპის ნამუშევრები ელინიზმის ეპოქაში სერიულად, ქარხნული წესით მზადდებოდა. მასზე გამოსახულია მუსიკოსი ქუდით და ხელში პანის ფლეიტით. ფლეიტა მიმაგრებულია ტომარაზე, რომელიც მუსიკოსს უჭირავს მკლავის ქვეშ, ტომარა, თავის მხრივ, შეერთებულია პაერის ჩასაბერ ტიკთან. ბგერა გადმოიცემა მკლავის დაჭერით ტომარაზე გუდასტვირის მსგავსად, ტიკი კი მოქმედებაში მოდის ფეხის დაწოლის მეშვეობით. სწორედ ამ რთულ მექანიზმში პოვა ჩასახვა ორღანის შექმნის იდეამ. პირველი, ე.წ. "წყლის ორღანის" ნიმუში შეიქმნა ქრისტეს შობამდე III საუკუნეში ალექსანდრიაში.

რაც შეეხება მუსიკალურ ჟანრებს, სავარაუდოა ჰიმნების, საგალობლების, სამგლოვიარო და საქორწინო სიმღერების არსებობა. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა შუა და ახალი სამეფოებიდან შემონახული "არფისტის სიმღერები". ამ

შემთხვევაში მელოდია უცნობია, მაგრამ ნაწარმოების ტექსტიდან გამომდინარე, მათი შესრულებისათვის საყვირები ან დასარტყამი საკრავები არ გამოდგებოდა. ტექსტის შინაარსი კი ასეთია: 'ცხოვრება ძალზე ხანმოკლეა და სწრაფი. სიკვდილს კი უკუნეთი სიბნელე და დავიწყება მოაქვს. არავინ დაბრუნებულა იალუს მინდვრებიდან, რომლებიც შეიძლება არც კი არსებობდნენ. ამიტომ სიამოვნებას "დასალიერის მარადიულ მხარეში" კი არ უნდა ვეძებდეთ, არამედ აქ, დედამიწაზე უნდა გვიხაროდეს სიცოცხლე და დავაფასოთ ყოველი ბედნიერი წამი."

როგორც უკვე ითქვა, ეგვიპტის მუსიკალური ჟანრები მრავალფეროვანია. ყოველივე ამის შემდეგ ისმის კითხვა — ძველ ეგვიპტელებს გააჩნდათ თუ არა სანოტო სისტემა ან მუსიკის ჩასაწერი სხვა რაიმე საშუალება? მიუხედავად იმისა, რომ მუსიკა ძველ ეგვიპტელთა ცხოვრების განუყოფელ ნაწილს შეადგენდა, ხოლო მუსიკოსები სარგებლობდნენ განსაკუთრებული პატივიცემითა და ყურადღებით, სადღეისოდ სანოტო სისტემის ან რაიმე მსგავსი ჩანაწერი ნიშნების შესახებ, არავითარი წყარო არ არსებობს.

სპორტს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ეგვიპტეში. ივი დიდებულებისა და მეომრების პრივილეგია იყო. მომვალ ფარაონებთან ერთად, სპორტის სხვადასხვა სახეობაში წერთნიდნენ დიდებულთა ბავშვებსაც. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ჭიდაობა. შეჯიბრებაში მსაჯებიც მონაწილეობდნენ. როგორც რამსეს III-ის ტაძრის გამოსახულებიდან ჩანს, ამ სანახაობას ფარაონები, სამეფო კარის დიდებულები და უცხოელი სტუმრებიც ესწრებოდნენ. ნიშანდობლივია რომ შეჯიბრებებში სხვა ქვეყნის ათლეტებიც მონაწილეობდნენ.

სპორტის გავრცელებული სახე იყო, აგრეთვე, ჯოხებით ფარიკაობა. ბუნებრივია, ნილოსის ქვეყნაში ცურვასაც სათანადო ყურადღება ექცეოდა. საგულისხმოა, რომ ცურვაში მეფის შვილებსაც ავარჯიშებდნენ და ასევე ქალებიც ეუფლებოდნენ მას. დიდი ყურადღება ექცეოდა სიმძიმეების აწევას, სირბილს, სიმაღლეზე ხტომას, ტანვარჯიშს, ბურთაობას.

ნადირობა და თევზაობა ეგვიპტელთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სარეწაო საქმიანობა იყო და, ამავე დროს, არისტოკრატთა თავშესაქცევიც. სპილოებზე ძირითადად ფარაონები ნადირობდნენ. როგორც ირკვევა თოტმეს II-ეს 120 ლომი მოუკლავს.

სპორტსა და ნადირობას ჰყავდა მფარველი ღმერთები. ქალღმერთი უაჯეტი ცურვის მფარველად ითვლებოდა. ფრინველებზე ნადირობის, თევზაობისა და ჭიდაობის მფარველი ქალღმერთი იყო სეშატი, ხოლო ღმერთი მენტი მშვილდოსნებს მფარველობდა.

ამგვარად, როგორც დავრწმუნდით, ეგვიპტე წარმოადგენდა ძველი აღმოსავლური ცივილიზაციის ერთ-ერთ უძველეს კერას.

შუამდინარული კულტურა
(მესოპოტამია)

ძველ აღმოსავლეთს — ეგვიპტესა და მესოპოტამიას მსოფლიო ცივილიზაციების აკვანს უწოდებენ. მართლაც, დიდია ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების დამსახურება ზოგადსაკაცობრიო კულტურაში. როგორც არქეოლოგიური მონაცემები, ისე ოიხის ფირფიტებზე შესრულებული ათასობით ლურსმული წარწერა საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ აღმოსავლეთის უძველესი სახელმწიფოების გენეზისზე. მათი კულტურაცია სამყარო მაგიური კოსმოსია, რომელშიც ადამიანი საკუთარ თავს მასზე დამოკიდებულ ნაწილად თვლის. ეს უკვე ის კოსმოსი არ არის, რომელშიც იგი პირველყოფილი საზოგადოების დროს ცხოვრობდა.

ადამიანია აზროვნება პირველყოფილი კულტურის დროს კომპლექსურია, სადაც ნივთიერი ლოგიკა ჭარბობს, ხოლო ინდივიდი მთლიანად ჩართულია საზოგადოებრივ საქმიანობაში და ფსიქოლოგიური ველით დაკავშირებულია სიტუაციურ სინამდვილესთან. მას არ შეუძლია ზოგადი კატეგორიებით აზროვნება, რაზეც უკვე იყო საუბარი. ეს პირველი ცივილიზაციების მონაპოვარია. როგორც ცნობილია, პირველი უძველესი სახელმწიფოები აღმოსავლეთის ტერიტორიაზე ყალიბდებოდა და, თავის მხრივ, აერთიანებდა სამხრეთ აზიას, ჩრდილო აფრიკას, ინდოეთსა და ჩინეთს. სწორედ აღმოსავლეთში მიმდინარეობდა პირველყოფილი ოემური წყობილების დაშლის, მომთაბარე ცხოვრებიდან ბინადარ ცხოვრებაზე, შემგროვებლური მეურნეობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლის პროცესი. სწორედ აქ შეიქმნა პირველად დამწერლობა, გაჩნდა კლასები, პირობები შრომის დანაწილებისათვის და მრავალი სხვ. ამასთანავე, ადამიანის გზა საკუთარი თავისუფლებისაკენ ძველ აღმოსავლეთში არა ახალი ყოფის ძიების, არამედ ყოველგვარი განსაცდელრულობის უარყოფის გზაა. აღმოსაელური კულტურის მწვერვალზე თავისუფლება გამოიყურებოდა როგორც შინაგანი სამყაროს ტოტალური უარყოფა. ყოველივე ეს კი, კოლექტიური გადარჩენის სურვილის წარმოქმნის საშუალებას იძლევა, რომლის პირობასაც, მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, დესპოტური სახელმწიფოს არსებობა წარმოადგენდა. ტერმინი „აღმოსავლური დესპოტიზმი" გამოყენებული აქვს გეორგ ჰეგელს /1770-1831 წწ/ თავის „ფილოსოფიის ისტორიაში", რომელიც სხვა ტერმინთა

შორის უპირატესობას სწორედ მას ანიჭებდა. ევროპოცენტრიზმის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაპირისპირების წინააღმდეგ კულტურის ისტორიაში მრავალმა მეცნიერმა გაილაშქრა, მათ შორის შ. ნუცუბიძემაც. ჩვენ შეგვიძლია ჰეგელს ბევრ რამეში დავეთანხმოთ ან არ დავეთანხმოთ, მაგრამ ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობა დესპოტური მმართველობის უღელს განიცდიდა, უდავოა. მაგრამ აქ, ამავე დროს წარმოიშვება საზოგადოებრივი პროტესტი მიმართული ადამიანის მიერ სახელმწიფო ზეწოლის წინააღმდეგ. სული მიისწრაფის თავისუფლებისაკენ, რაც, თავის მხრივ, ზოგადსაკაცობრიო მოვლენად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

საკითხის უკეთ გააზრებისათვის ერთმანეთს უნდა შევადარეთ დასავლეთისა და აღმოსავლეთის სახელმწიფოები, მათი წარმოშობისა და განვითარების გზები. თუმცა, ამავე დროს, არ უნდა დავივიწყოთ „ერთი ერის კულტურის, მეორე კულტურით" შეუნაცვლებადობის თეორიაც.

სახელმწიფო, როგორც ცნობილია, კერძო საკუთრებისა და ძალაუფლების გაჩენასთან ერთად იქმნება. დასავლური სახელმწიფო ეს არის თავისუფლების სოციალური განხორციელების ფორმა. სახელმწიფოს შექმნას აქ წინ უძღოდა ადამიანის თავისუფლების გამოვლინება, რომელიც თვითნებურად, ბარბაროსული ფორმით მიმდინარეობდა. სადაც, ამავე დროს, სახელმწიფო იცავდა თავისი მოქალაქის ინტერესებს.

აღმოსავლეთის ისტორიაში კი, შესაძლოა ბუნებრივი პირობების გამო, სახელმწიფოს არსებობის აუცილებლობა უფრო ადრე წარმოიშვა ვიდრე თავისუფლებისა და ინდივიდუალობის პირველი გამოვლინება. ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოები იქმნებოდა არა სოციალური, არამედ უბრალოდ მკაცრი გაერთიანების მოთხოვნილების საფუძველზე, რაც ბუნებრივი მოელენებისადმი თავისებურ პასუხს წარმოადგენდა. ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებს საფუძვლად ედო აბსოლუტური ერთიანობის იდეა, რომელიც უარყოფდა ყოველგვარ ინდივიდუალურობასა და თავისუფლებას.

ამ ქვეყნებში გაღმერთებული ჰყავდათ არა მარტო ბუნებრივი მოვლენები, არამედ თვით დესპოტური სახელმწიფოს ძლიერებაც კი. ბუნების უძველესი ღვთაებები აქ სახელმწიფოს მმართველებად და პირველშემქმნელებად გამოდიოდნენ. სახელმწიფოსი, რომელიც ღვთაებრივი წესრიგის გამგებლად აღიქმებოდა დედამიწაზე.

აღმოსავლური სახელმწიფო იმართებოდა დიდი ბიუროკრატიული აპარატის მიერ და მისი ერთობა განპირობებული იყო მბრძანებლის პიროვნებით, რომელსაც თავისი ხელქვეითების სიცოცხლისა და სიკვდილის სადაეები ეპყრა ხელთ.

თუ დასავლეთის ქვეყნებში სახელმწიფო დამოკიდებული იყო საზოგადოებაზე და, ასე თუ ისე, გამოხატავდა მისი თავისუფალი მოქალაქეების ინტერესებს, აღმოსავლეთის უძველეს სახელმწიფოებში ნაკლებად ვხვდებით თავისუფალ ხალხს მეომრებსა და სახელმწიფო მოხელეებში, რომლებიც ქვეყნის ადმინისტრაციულ მართვას ახორციელებდნენ.

ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში, ჩვენი გაგებით, საზოგადოება თითქმის არ არსებობდა. იგი შთანთქმული იყო სახელმწიფოს მიერ, ხოლო ადამიანი დაყვანილი ადმინისტრაციულ ფუნქციამდე. აქ მონა შეიძლება ამაღლებულიყო მინისტრამდე, ხოლო მინისტრი დაცემულიყო მონამდე.

მესოპოტამიური ცივილიზაცია ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში, რომელიც ორი წყალუხვი მდინარის ტიგროსისა და ევფრატის ნაპირებზე წარმოიშვა და, რომელმაც ძ.წ. IV ათ. მოფილებული ძ. წ. VI საუკუნეებამდე იარსება. ძველი ეგვიპტური ცივილიზაციისაგან განსხვავებით, იგი არ იყო ერთგვაროვანი, იქმნებოდა რა სხვადასხვა ეთნოსის მრავალჯერადი შერწყმის საფუძველზე.

სხვადასხვა დროს შუამდინარეთის ძირითად მოსახლეობას წარმოადგენენ: სამხრეთით – შუმერები, აქადელები, ბაბილონელები და ქალდეველები, ჩრდილოეთით – ასირიელები, ხურიტები და არამეული ტომები. მათ შორის ყველაზე დიდ განვითარებას შუმერულმა და ასირიულმა კულტურებმა მიაღწია. უძველესი დროიდან ჩრდილო მესოპოტამიაში ხურიტული ტომები ცხოვრობდნენ, რომლებიც, როგორც ჩანს, ჩრდილო მესოპოტამიის, ჩრდილო სირიისა და არმენიის მთიანეთის აეტოხტონ ხალხს წარმოადგენდნენ. მათ ძ.წ. II ათასწლეულში ჩრდილო მესოპოტამიაში შექმნეს აღმოსავლეთის უდიდესი სახელმწიფო – მითანი. ისინი ენისა და წარმომავლობის მიხედვით, ურარტულ ტომებს ენათესაებოდნენ. ძ.წ. III-II ათასწლეულებში ხურიტულ-ურარტულ ეთნოსს ეჭირა ტერიტორია ჩრდილო მესოპოტამიიდან ცენტრალურ ამიერკავკასიამდე, რომელთაც ჯერ კიდევ II ათასწლეულში გადაიღეს ლურსმული დამწერლობა. ძ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ჩ.წ. აღრიცხვამდე ჩრდილო არაბეთიდან სირიასა და ჩრდილო მესოპოტამიაში შეეიდა არა-

მეული ტომების ახალი ტალღა, ძვ.წ. XIII საუკუნეში მრავალი პატარ-პატარა სახელმწიფო ეროვნული შექმნეს. ძვ.წ. I ათასწლეულში მოახდინეს ხურიტული და არამეული მოსახლეობის ასიმილაცია (ჩრდ. სირია, ჩრდ. მესოპოტამია). ძვ.წ. VIII საუკუნეში არამეელთა სახელმწიფო დაიპყრო ასირიამ. VIII საუკუნეში მთელი სირია არამეულად საუბრობდა. ეს ენა მესოპოტამიაშიც შეიჭრა. საქმე იქამდე მივიდა, რომ არამეული გახდა სახელმწიფო სალაპარაკო ენა სირიიდან ირანის დასავლეთ რაიონებამდე. თვით ასირიაშიც კი მათი ძლევამოსილი სახელმწიფოს დაცემის შემდეგ ძვ.წ. VII საუკუნეში საბოლოოდ დაკარგეს საკუთარი ენა და გადავიდნენ არამეულზე. ძვ.წ IX საუკუნეში მესოპოტამიაში შემოსელა დაიწყეს არამეელთა მონათესავე ტომებმა – ქალდეველებმა, რომლებმაც თანდათან მთელი ბაბილონი დაიკავეს. სპარსელების მიერ ძვ.წ. 539წ. მესოპოტამიის დაკავების შემდეგ კი არამეული სახელმწიფო კანცელარიის ენა გახდა ამ ქვეყნებშიც. ხოლო აქადური შენარჩუნებული იყო მხოლოდ ქალაქებში, სადაც მათ არამეული თანდათანობით ავიწროებდა. თვით ბაბილონელები ახ.წ. I საუკუნეში მთლიანად შეერწყნენ ქალდეველებსა და არამეელებს.

როგორც ეგვიპტური, ისე შუმერული ცივილიზაციები მდინარეულ ცივილიზაციათა რიცხვს მიეკუთვნებიან. შუმერთა წარმოშობის შესახებ, სამწუხაროდ, რაიმეს კატეგორიული მტკიცება შეუძლებელია. მცდელობებმა გამოეკვლიათ მათი ნათესაური კავშირი ქართულ, კავკასიურ, ეტრუსკულ და სხვა მოდგმის ხალხებთან, სამწუხაროდ, შედეგი არ გამოიღო. შუმერები არ წარმოადგენდნენ მესოპოტამიის ავტოხტონ მოსახლეობას, თუმცა, ისინი პირველები იყვნენ ვინც საკუთარი თავის შესახებ ცნობები დაგვიტოვეს. თუ შუმერული ტრადიციის მიხედვით ვიმსჯელებთ, ისინი თავს სპარსეთის ყურის კუნძულების მოსახლეობას მიაკუთვნებდნენ.

მესოპოტამიის ჩრდილოეთით ძვ. წ. III ათასწლეულის I ნახევრიდან მოყოლებული ცხოვრობდნენ სემიტები, რომელთა ენა, ე. წ. აქადურ-ბაბილონური, დღეისათვის კარგად შესწავლილ სემიტურ ენათა ჯგუფში შედის, რომელშიც, თავის მხრივ, ერთიანდება: ძველებრაული, ფინიკიური, არაბული და სხვ. აქადური მოსახლეობა თანდათანობით ავიწროვებდა შუმერულს და საბოლოოდ მოხდა მათი ერომანეთთან დაახლოება და შერწყმაც კი, რასაც ძვ. წ. II ათასწლეულში შუმერული ენის მკვდარ ენად გადაქცევა მოჰყვა, თუმცა, იგი საუკუნეების

მანამდე სახელმწიფო კანცელარიის ოფიციალურ ენად ითვლებოდა. ხოლო რელიგიური კულტმსახურებისა და მეცნიერების ენად ახ. წ. I საუკუნემდე რჩებოდა. მესოპოტამიური ცივილიზაციის განვითარებაში შესამჩნევი წვლილი შეიტანეს სემიტური მოდგმის ტომებმაც — აქადელებმა. ბაბილონის /შუმერული kadingirra, აქადური babilu, ებრაული babel, ბერძნული babylon — ღმერთის, ღვთის კარიბჭე/ აღზევების შემდეგ ამ კულტურამ მიიღო ბაბილონის კულტურის სახელი.

ბაბილონის ცივილიზაცია წარმოადგენს შუმერული კულტურის ბოლო ფაზას, რომელიც კაცობრიობას აუწყებს ახალი სოციოფსიქოლოგიური კოსმოსის დაბადებას, რაც შემდგომში ქრისტიანული რელიგიის გავრცელებაში მდგომარეობს, რომელიც სულ მალე, მსოფლიო რელიგიად გამოცხადდება. ამიტომ შუამდინარეთის კულტურას შეგვიძლია შუმერულ-ბაბილონური კულტურაც ეწოდოთ. აქ საზოგადოება პირველად გამოვიდა პირველყოფილობის სტადიიდან და შევიდა ძველ ცივილიზაციათა ეპოქაში, საიდანაც კაცობრიობის ჭეშმარიტი ისტორია იწყება. ბარბაროსობიდან ცივილიზაციისაკენ გადასვლა საშუალებას იძლეოდა შექმნილიყო ადამიანთა შეგნების ახალი ფორმა, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებული იყო ურბანიზაციასთან, მოსახლეობის რთულ სოციალურ დიფერენციაციასთან, სახელმწიფოების გაჩენასთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, საქმიანობის ახალი ფორმების ჩამოყალიბებასთან, განსაკუთრებით სწავლა-განათლებისა და საზოგადოებრივი მმართველობის სფეროში, ადამიანებისა და საზოგადოების ახალი სახის ურთიერთობებს შორის, რაც მესოპოტამური კულტურის საფუძველს შეადგენდა.

მესოპოტამიური კულტურის, ადამიანთა ფსიქოლოგიური განწყობის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ენიჭება ბუნებრივ გარემო-პირობებს. აქაც, ისევე როგორც ეგვიპტეში, ადამიანი ხედავდა დიდ კოსმიურ რიტმებს, წელიწადის დროთა ცვლილებებს, მზის, მთვარისა და ვარსკვლავების მუდმივ ზემოქმედებას. მაგრამ, ნილოსისაგან განსხვავებით, ტიგროსი და ევფრატი უმართავი მდინარეებია, შეიძლება მოულოდნელად ადიდდეს და გამოიწვიოს დიდი წყალდიდობა. მესოპოტამიაში არის თაკარა მზე, ქრის ცხელი ქარი, მოდის კოკისპირული წვიმები, რაც ართულებს ადამიანის გადაადგილებას. შუამდინარეთის ბუნება ორგუნავს ადამიანს და აგრძნობინებს საკუთარი თავის უსუსურობას. შესაბამისად მესოპოტამიური კულტურის სული ხომ

ბუნების დამანგრეველ ძალებს გამოხატავს, რაც საშუალებას აძლევს მის მოსახლეობას წარმოდგენა ჰქონდეთ იმ კოსმოსზე, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. სწორედ ამ გარემო-პირობების გამო ჩამოყალიბდა მესოპოტამიური კულტურა ისეთად როგორსაც მას ჩვენ ვიცნობთ — ნაყოფიერი, ზღაპრული სიმდიდრის მქონე მხარე, რომელიც შრომისმოყვარე შუმერის — მიწათმოქმედის უდიდესი ძალისხმევის გამო გადაქცეულა აყვავებულ ქვეყნად. შუამდინარეთის მოსახლეობის თავგანწირულმა შრომამ შექმნა მრავალრიცხოვანი სარწყავი არხი, ხოლო მიწის სკურპულოზური დამუშავება საშუალებას იძლეოდა მიეღოთ გარანტირებული უხვი მოსავალი, რამაც, თავის მხრივ, მოსპო შიმშილი და ადამიანთა დიდი ნაწილი შრომისაგან გაათავისუფლა და მათ საზოგადოებრივი მეურნეობის სხვა დარგში დასაქმების საშუალება მისცა. საფუძველი ჩაეყარა სამიწათმოქმედო კულტურის განვითარებას.

მდინარეების — ტიგროსსა და ევფრატს შორის დაახლოებით ძვ. წ. III ათასწლეულში არსდება უძველესი ქალაქ-სახელმწიფოები: ური, ერიდუ, ლარსა, ნიფური, ლაგაში, ურუქი, სიფარი. მათ შორის სისხლისმღერელი და დაუნდობელი ბრძოლები მიმდინარეობდა. ქალაქები თავიანთ ძლიერებასა და სიმდიდრეს მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის გარდა, ვაჭრობის განვითარებას უნდა უმადლოდნენ. ურის, ურუქის, ლაგაშის და კიშის ადრეული დინასტიების ხანას შუმერების ოქროს ხანას უწოდებენ.

სახელმწიფოს მართვის სფეროში შუმერებისათვის დამახასიათებელი იყო ქალაქ-სახელმწიფოების მმართველობიდან ცენტრალიზებული სახელმწიფოს დესპოტური ფორმის ჩამოყალიბებამდე მისვლა, როდესაც მეფე ვეებერთელა იმპერიის სათავეში აქცევდა და მისი ძალაუფლება უზენაესი ხდება.

მესოპოტამიაში უმაღლეს მმართველს პატივს სცემდნენ არა პირადი თვისებების გამო, არამედ როგორც სახელმწიფოს ფუნქციონერს, როგორც ღვთაებას. სახელმწიფოს მმართველი აქ ერიდროულად მეფეც იყო და ქურუმიც. აქ ორი — საერო და სასულიერო თანამდებობის გაერთიანება განუსაზღვრელ ძალაუფლებას ანიჭებდა მმართველს და იგი უკვე ღმერთებსა და ხალხს შორის დამაკავშირებელ ძალად აღიქმებოდა. აქ მბრძანებელი მეფე იყო არა მხოლოდ ჯარის მთავარსარდალი, რომელიც სახელმწიფოს განაგებდა, არამედ მმართველი ქურუმი, რომელშიც ხორცშესხმული და განხორციელებული იყო ღვთაებრივი გრაფიკული ნიშანი.

ებრალიო შუმერი კი კოსმოსში ხედავდა წესრიგს, მაგრამ ეს მისთვის არ იყო ისეთი უსაფრთხო წესრიგი, როგორც ეგვიპტელისათვის. იგი ბუნებაში სასწაულმოქმედ და თავისებურ ინდივიდუალურ ძალებს ხედავდა. კოსმიური წესრიგი გაიგივებული ჰქონდა სახელმწიფო წესრიგთან. აი, ამიტომ იწყვევდნენ კოსმიურ სახელმწიფოში ღმერთების საერთო კრებას, სადაც კრების მონაწილენი საკითხების განხილვისას ან ემხრობოდნენ, ან ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს, მანამ სანამ მათ შორის ერთსულოვნება არ მიიღწეოდა, მაგრამ ამის უფლება მხოლოდ ღმერთებს ჰქონდათ.

ყოველივე ამან ნათელი გამოუყლინება პოვა შუმერული სახელმწიფოს ფორმირებისას. ადამიანის კეთილდღეობა აქ განისაზღვრებოდა სახელმწიფოში მისი ადგილით, მისი რანგის მიხედვით. არსად პირველ ცივილიზაციებში ბიუროკრატიულ სისტემას ისეთი განვითარებისათვის არ მიუღწევია, როგორც მესოპოტამიაში, რაზეც არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ლურსმული დამწერლობის უამრავი ფირფიტა მეტყველებს.

შუმერული სახელმწიფოს საზოგადოების მთავარ ფენას მწარმოებელი წარმოადგენდნენ, რომლებიც თავისუფალ მოსახლეობა კატეგორიას განეკუთვნებოდნენ. გარდა ამისა, იყენენ სახელმწიფო აპარატში მომუშავე პირებიც, ნახევრადთავისუფალი ადამიანები და მონები. არსებობდნენ ვაჭრები, ხელოსნები და ჯარისკაცები. ჩვენ მიერ მოყვანილ ყველა ჯგუფს შორის საკმაოდ მკაცრ დიფერენციაციას ჰქონდა ადგილი.

უნდა ითქვას, რომ ადამიანის კარიერა მესოპოტამიაში ძირითადად მის წარმომავლობაზე იყო დამოკიდებული. თუმცა, ისევე როგორც ყველგან, აქაც მაღალი წოდების წარმომადგენელთა შვილებისათვის ყველა კარი ღია იყო. ქონება მამიდან შვილზე გადადიოდა. არსებობდა ამა თუ იმ გვარისათვის დამახასიათებელი ტრადიციული პროფესიები, რომლის საშუალებითაც მამა შვილს ცოდნასა და გამოცდილებას გადასცემდა. თუმცა, უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოხელე შეიძლება დაბალი ფენის წარმომადგენლის შვილიც გამხდარიყო, თუ მას შესაბამისი გაჩათლება ექნებოდა მიღებული, რაც ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენდა და დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

შუმერულ ოჯახში მოვარი იყო მამა, რომლის სიტყვასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. საერთოდ, ოჯახი სახელმწიფოს მინიატურულ პროტოტიპს წარმოადგენდა, რომელშიც მამას მეფის ფუნქცია ენიჭებოდა, თუმცა, არც დედის უფლებები

იყო მცირე. ოჯახები სიდიდით არ გამოირჩეოდნენ. მშობლებს ორი-ოთხი შვილი ჰყავდათ. შუმერებს უყვარდათ ბავშვები და ზრუნავდნენ მათზე. ასევე შვილებიც ვალდებული იყვნენ პატივი ეცვათ მშობლებისათვის და ასაკში მესულასთან ერთად ეპატრონათ მათთვის. გამონაკლისს ამ შემთხვევაში, არც აყვანილი ბავშვები წარმოადგენდნენ. კანონი მას ავალდებულებს მოეფლოთ დედობილისა და მამობილისათვის.

შუმერში მიღებული იყო მონოგამური ქორწილი, სადაც ცოლი და ქმარი თანასწორუფლებიანი იყვნენ. ისინი საქორწინო ხელშეკრულებით იყვნენ დაცული.

ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შუმერული მითოლოგია. მითოლოგიური სახეების, სიუჟეტების, ე.წ. ბანკის არსებობა, რომელიც შუმერში შეიქმნა, თითქმის უცვლელად გადადიოდა ხალხიდან ხალხში. ადრეული მითებისაგან განსხვავებით, ჩვენ აქ ვხედებით თავისუფალი სულის პირველ გამოვლინებას. სული აქ წუხს, სურს გარეთ გამოვიდეს დამრთგუნველი ძალისაგან, მაგრამ მისი ეს ამბოხი თავისი არჩევანის შემოხვევაშიც კი შებოჭილი აღმოჩნდება.

სწორედ ძველ აღმოსავლეთში იქნა გამომუშავებული ადამიანური ცხოვრების მკაცრი დეტერმინიზმის მითოლოგიური კონცეფცია. ამავე დროს, ეგვიპტური მითოლოგიისგან განსხვავებით, რომელმაც არ იცოდა არც ედემი, არც წარსული ოქროს საუკუნე და არც არმაგედონი, ძველ შუმერულ მითოლოგიაში ცნობილია მითი როგორც კაცობრიობის ოქროს საუკუნე, ისე წარმოდგენა საშოთხის ცხოვრებაზე, რომელიც შემდგომში შესულ იქნა წინა აზიის ხალხთა რელიგიური წარმოდგენების შემადგენლობასა და ბიბლიაში. შუამდინარული კულტურის ფარგლებში ადამიანი ცდილობს სიკვდილის მორალურად გადალახვას.

შუმერული მითოლოგია ორიენტირებულია ამქვეყნიურობაზე, რომელიც ბრწყინვალედ ერწყმის რაციონალურ და ლოგიკურ საწყისს და, რომელიც განხორციელებულია ეტიოლოგიურ მითში. მითოლოგიური სიუჟეტებით არის დატვირთული შუმერული არქიტექტურა, ხელოვნების ნიმუშები. აქ ტაძრები ირთვებოდა არა კონკრეტულად ადამიანის მსგავსი ღმერთებით, არამედ ამ ღვთაებათა ტოტემის სახით.

ანროვნების სფეროში ჭეშმარიტების მეცნიერული, ანუ დისციპლინური ძიების გზა, რომელიც დაკავშირებულია ანალიტიკურ აზროვნებასთან, აშკარად დაჩრდილული აქვს აღქმის ინტუიტურ, თითქმის ხილვების დონეზე მყოფ პრინციპს. ეს კი

ომას მოასწავებს, რომ მოელენებისა და საგნების მთელი სამყარო ადამიანისათვის გასულიერებულია, ბუნების ისეთივე ნაწილია, როგორც თვით ადამიანი და ადამიანთა საზოგადოება. ამიტომ მათთან მიმართებას ის ამყარებს პრინციპით – „მე" და „შენ" და არა როგორც თანამედროვე ადამიანი – „მე" და „იგი". შუმერის დამახასიათებელი ნიშანია რაციონალური აზროვნება, მოელენებისადმი ლოგიკის პრინციპით მიდგომა, რომელიც, ცოტა არ იყოს, შორს დგას თანამედროვე გაგებისაგან. ეტიმოლოგიური მითი პასუხობს კითხვებზე: როგორ? რატომ? რისთვის? აზროვნების პროცესი მეორადი მოელენაა ემოციებთან მიმართებაში. მითი ხომ ტრადიციებზეა შექმნილი და არ ხსნის ამა თუ იმ მოქმედების მიზეზს. ინტელექტუალური გონება ყოველდღიის მეორადია გრძნობებთან მიმართებაში.

მითების საშუალებით ჩვენ ვიგებთ შუმერთა რელიგიურ მსოფლმხედველობას. მათში მოცემულია ცნობები ღმერთების წარმოშობის შესახებ. პირველად იყო ოკეანე, ხმელეთი /ქი/ და ცა /ანუ/. ეს უკანასკნელნი ოკეანისაგან გაჩნდნენ. შემდეგ ანუმ და ქიმ შვეს ენლილი. ღვთაებათა პანთეონი იყოფოდა ორ ჯგუფად: მიწისსედა, ანუ ციურ და მიწისქვეშა, ანუ ქვესკნელის ღვთაებებად. როგორც წესი, ყველა ქალაქ-სახელმწიფოს თავისი მფარველი ღმერთი ჰყავდა. ამასთან ერთად იყვნენ ღვთაებები, რომლებსაც მთელს მესოპოტამიაში სცემდნენ თაყვანს, ცის /ანა/, მიწის /ენლილი/, წყლის /ენქი/ ღვთაებებს ჰყავდათ ცოლები და შვილები, რომლებსაც, ზოგ შემთხვევაში, უფრო მეტ პატივს სცემდნენ, ვიდრე ძირითად ღვთაებას. მაგალითად, იშტარს – ანუს ცოლს ბაბილონელთა რელიგიურ ცხოვრებაში უფრო დიდი ადგილი ეჭირა, ვიდრე თვით ანუს. იგი ითვლებოდა ომისა და ხიტვარულის მფარველად. ენქის ჰყავდა შვილი მარდუქი, რომელსაც უბრალოდ „ბელს" – ბატონს უწოდებდნენ /ბიბლიური ბელი, ბაბილონის მთავარი ღვთაება/, რომლის კულტი განსაკუთრებით გაიზარდა ბაბილონის ძლიერების ხანაში ძვ. წ. XX–XII საუკუნეებში. ხოლო დროთა განმავლობაში იგი ყველა ღვთაების მეფედ იქცა.

სიოგიერთი ღმერთი დაკავშირებული იყო ცალკეულ ვარსკვლავთან თუ თანავარსკვლავედთან, პლანეტასთან. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შუმერულ ლურსმულ დამწერლობაში ვარსკვლავის პიქტოგრამა ღმერთს აღნიშნავდა. დიდ როლს თამაშობდნენ ქალი ღვთაებები, მაგალითად, ინანა, რომელიც ურუქის მფარველად გვევლინება. შუმერული ღმერთების პანთეონში,

ისევე როგორც ეგვიპტეში, ირანში, საბერძნეთსა და რომში, ხოლო მოგვიანებით მთელ ცივილიზებულ სამყაროში არსებობდა მკვდრეთით აღმდგარი ნაყოფიერების ღვთაება დუმუზი. ისევე როგორც ეგვიპტეში, აქაც ქალაქ-სახელმწიფოების მმართველები ღმერთების შვილებად ითვლებოდნენ. მითების თანახმად, ადამიანი ღმერთებმა შექმნეს თიხისაგან, რათა ემუშავათ ღმერთების მაგივრად და ღმერთებისათვის. შუამდინარეთის მოსახლეობისათვის მთავარი იყო ამქვეყნიური არსებობა. მათ მიაჩნდათ, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობა ღვთაებათაგან მკაცრად იყო დადგენილი და იგი არ შეიძლებოდა უკვდავებაში გადაზრდილიყო. ისინი საიქიოს „მოუსავლეთის ქვეყანას“ უწოდებდნენ, სადაც მიცვალებულს თიხითა და მტვრით კვება მოელოდა და მუდმივი წყურვილით იტანჯებოდა. სხვებთან შედარებით, მხოლოდ ბრძოლის ველზე დაცემული ვაჟკაცი იყო კარგ მდგომარეობაში. ბაბილონელების მიხედვით, მიცვალებულები მიწისქვეშა სამყაროში იკვებებოდნენ იმ შენაწირით, რომელთაც მათ სახელზე შთამომავლობა სწირავდა. თუ მსხვერპლშეწირვა შეწყდებოდა, მკვდართა სულები დევნიდნენ ასეთ მიცვალებულს. ასე ექცეოდნენ იმ ადამიანთა სულებსაც, რომლებიც წესის მიხედვით არ იყვნენ დაკრძალული. იქ, მოუსავლეთის ქვეყანაში ბოროტ ადამიანებს უფრო უჭირდათ, ვიდრე კეთილებს, ვინაიდან თითოეულ მიცვალებულს სამსჯავრო უნდა გაეკლო. წარმოდგენები სიკვდილ-სიცოცხლის შესახებ არ აძლევდა შუმერს მომაქალი აღდგომის იმედს.

სიკვდილ-სიცოცხლის გაგება კარგადაა მოცემული მითში „ადაპას შესახებ“, რომელსაც ღმერთებმა მიანიჭეს სიბრძნე და არა მარადიულობა, ასევე შუამდინარულ მითში „გილგამეშის“ შესახებ. რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ წაართვა გილგამეშს გველმა დიდი ტანჯვა – წვალებით მოპოვებული უკვდავების წამალი – ბალახი. ამ მითში გატარებულია ის აზრი, თუ როგორი უსუსურია ღმერთების წინაშე ქვეყნად ყველაზე ძლიერი არსება – ადამიანი, რომ, ადამიანური სისუსტის გამო, მას არ შეუძლია შეიცნოს ღმერთების ნება და მოიპოვოს უკვდავება. გილგამეშის მითის თანახმად, ღმერთებმა მარადიული სიცოცხლე მხოლოდ უთნაფიშთიმს /ბიბლიური ნოე/ და მის მეუღლეს უბოძეს, რომლებმაც წარღვნის დროს გადაარჩინეს ადამიანის მოდგმის თესლი. მოგვიანო ხანის ნიმუშია „ერას ეპოსი“, რომელშიც დიდი ექსპრესიულობით არის გადმოცემული სისხლისმღვრელი ომების დრამა, რომლის სულისჩამდგმელია ჭირი-

ნა და სიკეთილის ღმერთი ირა. ეპოსში ომებისა და მშვიდობიანობის მიზეზი ახსნილია მითურ-რელიგიური თვალსაზრისით.

ნეკინოვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მითები ქვეყნიერების გაჩენის შესახებ, რომლებიც შემდგომში გამოყენებულ იქნა მსოფლიოს მრავალი ხალხის მიერ. მაგალითად, „ენუმა ელიშში", რომელიც შექმნილია II ათასწლეულის ბოლოს სხვა ბევრად ძველი ოქმულებების საფუძველზე (არქაიზებულ, საგანგებო ეპიურ დიალექტზე) ქვეყნიერების გაჩენა შემდგომში არის წარმოდგენილი. ქალღმერთი თიამათი (ოკეანე) მტრულ დამოკიდებულებაშია თავის შვილებთან, ეინაიდან ისინი ხმაურობენ და აწუხებენ მას. იგი გადაწყვეტს შვილების დაღუპვას. შვილები ამის შესახებ იგებენ და განიზრახავენ მის განადგურებას. ერომანეთის მიეოლებით ისინი მარცხდებიან თიამათთან ბრძოლაში, მანამ სანამ ახალგაზრდა მარდუქი არ იქნა გამოძახებული იმ პირობით, რომ გამარჯვების შემთხვევაში ღმერთები მას ღვთაებად დანიშნავდნენ. მარდუქი შეიარაღებული მაგური თილისმით გაემგზავრება საბრძოლველად. თიამათის მოკვლის შემდეგ მარდუქი მის ტანს ორ ნაწილად გაყოფს, რომლის ერთი ნახევარი მიწად იქცევა, ხოლო მეორე ცად. თიამათის თვალებიდან კი მოედინება ტიგროსი და ევფრატი. მოკლული იქნა თიამათის დამხმარე კინგუც. მარდუქი მას მსოფლიო ბედისწერის სჯულის ფიცარს წაართმევს, რომელსაც ღვთაება ანუს გადასცემს. შემდეგ მამამისის — ენკის წინადადებით გამოიკვეთება რა კინგუს სისხლს ქმნის ადამიანს, რომელმაც მიწა უნდა დაამუშაოს და თავისი შრომით აჭამოს ღმერთებს, რათა მათ დასვენება და განცხრომა შეძლონ. მარდუქს ბაბილონში თაყვანს სცემდნენ როგორც ყველა ღვთაების მეფეს. ასირიელებიც დიდ პატივს მიაგებდნენ მას აშურის სახით.

მეორე მნიშვნელოვან მითს ნაწერილს ძ.წ. 1635 წელს წარმოადგენს „ეპოსი ატრახასიზის შესახებ". ეს პოემა იქცა უფრო გვიანდელი ბაბილონური კოსმოგონიური მითების ერთ-ერთ პირველწყაროდ. თხრობის დასაწყისში ღმერთები უკვე არსებობენ, მათი უმრავლესობა მუშაობს, გაჭყავს არხები და ამუშავებს მიწას, რომელიც მძიმე შესასრულებელია და ღმერთები აღდგებიან ენლილის წინააღმდეგ და წაელენ მისი სახლის დასაწყვიტად. ხედავს რა მათ მოახლოებას, ენლილი მოიწვევს ციურ საბჭოს, ბოლოს და ბოლოს იგი გადაწყვეტს მოკლას მათი მეთაური, ამავე დროს ათავისუფლებს ღმერთებს მძიმე სამუშაოსაგან, ქმნის ადამიანს, მოკლული ღმერთის სისხლის, ხორ-

ცისა და თიხისაგან, რომელიც თავის თავზე იღებს ყველა სამუშაოს. ღმერთები კი ისვენებენ. დროთა განმავლობაში ადამიანი მრავლდება და მისი ხმაური აღიზიანებს ღვთაებებს. ცდილობენ რა ადამიანთა ხმაურის შემცირებას ღმერთები დედამიწაზე აგზავნიან ეპიდემიებს, შიმშილსა და გვალვას. ბოლოს ღმერთები ერთად იკრიბებიან და ცდილობენ გაანადგურონ ქმნილება, მაგრამ გადაწყვეტილება სისრულეში ვერ მოუყვათ ენქის წარვეის გამო, რომელიც ადამიანს რჩევას აძლევს ილოცოს ღვთაებისათვის, რათა თავიდან აიცილოს სასჯელი. ენქიმ გააფრთხილა ატრახასისი, რომ ღმერთები ადამიანთა მოდგმას წარღვნის შედეგად გაანადგურებდნენ და თავიანთი სიცოცხლის გადასარჩენად საჭირო იყო აეშენებინათ დიდი ხომალდი, რაც ატრახასისმმა შეასრულა კიდეც. წარღვნის შემდეგ მან მსხვერპლი შესწირა ღვთაებებს; ეს ამბავი შემდგომში „გილგამეშის ეპოსშიც“ შეეიდა.

შუამდინარეთის მოსახლეობის თავდაპირველი რელიგიური შეხედულებები ფეტიშიზმის ხასიათს ატარებდა. გადმონაშთის სახით კი შენარჩუნებული იყო ტოტემიზმის ნიშნებიც. შუმერული ღვთაებები ძირითადად ნახევრად ადამიანისა და ნახევრად ცხოველის ან ნახევრად ფრინველის სახით იყო წარმოდგენილი. ადამიანი ცხოველს აღიქვამდა იდეალური სილამაზის მქონედ. უბრალოდ, ადამიანი-ცხოველის გამოხატვა მითოლოგიურ კულტში უმეტესწილად ბუნებრივი მოვლენებისადმი ადამიანის დამოკიდებულების აღმნიშვნელად აღიქმებოდა. შუამდინარეთის მოსახლეობისათვის კულტურულ მდგომარეობაში გადასვლა არ ნიშნავდა ბუნებასთან კავშირის გაწყვეტას. იგი მხოლოდ ინდივიდის ბუნებრივი არსებობის დამატებას წარმოადგენდა. უფრო მოგვიანებით ტოტემური სახე ადამიანის ყოფიერების მრავალ ასპექტთან იქნა დაკავშირებული და ტრანსფორმირებული ადამიან-ცხოველში, აქტუალიზებული არა ბუნების, არამედ სოციოკულტურული საწყისით ხელოვნებაში.

ერთი მხრივ, ჩვენს წინაშეა მითები, რომლებშიც ღმერთები გინასახიერებენ ბუნებას, უხილავად მონაწილეობენ წმინდა ცერემონიებში (რაც შეეხება ადამიანს, მას მაგიის იმედი აქვს), ხოლო მეორე მხრივ, მითები, რომლებშიც გამოხატულია საზოგადოების ბუნებასთან და ადამიანის ბუნებასთან შერწყმის პროცესი. ჩვენს წინაშე თავისებური შუალედური სტადიაა მითსა და მაგიას შორის. უფრო ზუსტი რომ ვიყოთ, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მითებთან, რომლებიც „ემსახურებიან ადამიანს“.

მესოპოტამიურ სახელმწიფოში განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა ქურუმებს, რომლებიც ღვთაებებისადმი ხალხის დამოკიდებულების, რელიგიური რიტუალების შესრულების თვალსაზრისით შეიქმნა და შუმერული საზოგადოების განვითარებასთან ერთად ქვეყნის მმართველ ძალად იქცა. ქურუმები ღმერთების ქონების განმკარგულებლები გახდნენ, რომლის ცენტრსაც ტაძარი წარმოადენდა. თავის მხრივ, სატაძრო პერსონალი შედგებოდა ქურუმ-ადმინისტრატორებისა და ქურუმებისაგან, რომლებიც საკულტო საკითხებით იყვნენ დაკავებული.

ქურუმ მამაკაცებთან ერთად თაყვანს სცემდნენ ქურუმ ქალებსაც, რომლებიც ყოველთვის როდი დებდნენ უმანკოების ფიცს. პირიქით, მათ მოუალეობაში ქალღმერთისათვის სხეულით სამსახურიც შედიოდა. სატაძრო პროსტიტუციით ძირითადად დაბალი რანგის ქურუმები იყვნენ დაკავებული. ისინი თავიანთ საქმიანობას უძღვნიდნენ ურუქის ინანას, ლაგაშის ბაბას, ურის ნინგალს ან ნიფურის ნინლილს.

შუამდინარეთში მაღალ დონეზე იყო აყვანილი მკითხაობა. ქურუმები მკითხაობდნენ შესაწირი ცხოველების შიგნეულობაზე, რომლის დროსაც სხვადასხვა სახის ლოცვებს ასრულებდნენ. რაც უფრო მდიდარი იყო შესაწირი, მით უფრო პომპეზური იყო ცერემონია. ასტროლოგები განსაზღვრავდნენ ზეციურ ნიშნებს. ვარსკვლავთა მოძრაობის მიხედვით. განსაკუთრებულ სიმაღლეს მიაღწია მესოპოტამიურმა მაგიამ, რომელიც ძველი აღმოსავლეთის მთელი ისტორიის მანძილზე წამყვან როლს თამაშობდა. მაგია, როგორც ბუნების ძალებზე ზემოქმედება, დიდხანს რჩებოდა მიწათმოქმედი ხალხის არსენალში. მაგიური ზემოქმედება ბუნების კანონზომიერებაზე ემოციურ, რიტმულ, ღვთაებრივი სიტყვის საშუალებით ხდებოდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს მსხვერპლშეწირვა ისეთიეე საჭირო იყო საზოგადოებისათვის, როგორც საზოგადოდ აუცილებელი შრომითი საქმიანობა. ქალდეველ, ასირიელ, ბაბილონელ ქურუმებს და მაგებს, ისევე როგორც მათ ეგვიპტელ კოლეგებს საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ცოდნა ჰქონდათ ადამიანის ფსიქიკის შესახებ. მასების სამართავად ისინი იყენებდნენ შთაგონების, ჰიპნოზის უნარს, ასტროლოგიურ და მათემატიკურ ცოდნას.

შუამდინარეთის მოსახლეობის რწმენით, ყველგან იმალებოდნენ ბოროტი სულები და დემონები, რომლებიც მოწადინებული იყვნენ დაეჭირათ გაუფრთხილებელი ადამიანები. მათ დასახსნელად განსაკუთრებული პიროვნებები კითხულობდნენ ლოცვებს

და ატარებდნენ სპეციალურ რიტუალებს, რომლის შედეგად ადამიანის უბედურება გადაქონდათ ცხოველებზე. მოსახლეობა ბიროტი სულებისაგან თავდასაცავად ატარებდა ამულეტებს, რომლის კულტურაც შემდეგში მთელ ცივილიზებულ სამყაროში გავრცელდა.

მესოპოტამიურმა კულტურამ ბევრი რამ მისცა კაცობრიობას – ბორბალი, ფერადი მინა /ძვ.წ. დაახლ. 2400 წ./, მათ შექმნეს პირველი საკანონმდებლო ძეგლები, მითოლოგიური ეპოსები /მაგ.: „გილგამეშის ეპოსი", ძვ. წ. 2300 წ./, პირველი პროფესიონალური არმია /სარგონ I, დაახ. ძვ. წ. 2000 წ./, შუმერულ-ბაბილონური არითმეტიკა, რომლის საფუძველსაც 60 ათეულის სისტემა წარმოადგენდა. ბაბილონელებმა იცოდნენ კვადრატული განტოლების, პლანიმეტრიული და სტერეომეტრიული ამოცანების ამოხსნა, ე.წ. „პითაგორას თეორემა", და „პითაგორას რიცხვთა" პოვნის მეთოდები. განსაკუთრებულ სიმაღლეზე აიყვანეს ასტრონომიული ცოდნა, თუმცა, ეს უფრო ასტროლოგია იყო ვიდრე ასტრონომია, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ალმოსავლურ კულტურაში. მათ სწამდათ ღვთიური მნათობების ზემოქმედებისა ადამიანთა საერთო ბედნიერებაზე. ასტროლოგებმა დაადგინეს, რომ წელიწადი შედგებოდა 365 დღის, 6 სთ-ის, 15 წთ-ისა და 41 წამისაგან. წინასწარმეტყველებდნენ მზისა და მთვარის დაბნელებას, შექმნეს მზისა და მთვარის კალენდრები. ბაბილონელმა ასტროლოგებმა წრე 360 გრადუსად დაყვეს, ხოლო საათი – 60 წუთად. ძვ. წ. I ათასწლეულს ხელოსნობაში დაიწყეს ალმასის ბურღის ხმარება. II–I ათასწლეულის მიჯნაზე შექმნეს ახალი სარწყავი ტექნიკა – წყლის ამოსაქაჩი ბორბალი /საკიე/ და „უსასრულო" თოკი ტყავის სათლებით /ჩერდი/. ძვ. წ. VII საუკუნეში აშენდა პირველი ქვის აკვედუკი. ჰქონდათ პირველი „მსოფლიო რუკის" შექმნის მცდელობაც. მედიცინაში ცნობილი იყო ამპუტაცია, მოტეხილობათა შეხორცება, თვალიდან ლიბრის მოშორება.

შუმერებმა განსაკუთრებულ სიმაღლეზე აიყვანეს ლიტერატურა, რომელიც მითოსით იყო შთაგონებული /პირველ რიგში აღსანიშნავია მითები, რომლებიც გადმოგვცემენ შუამდინარელთა კოსმოგონიურ, კოსმოლოგიურ და თეოლოგიურ შეხედულებებს/. კაცობრიობის ისტორიაში მათ პირველებმა გამოიყენეს ამბების შეუწყვეტელი თხრობა. მრავალრიცხოვან სტერეოტიპულ პიმნებს, ლოცვებსა და ფსალმუნებს შორის გეხვდება ბევრი პოეტური ქმნილება, რომელთა შორის აღსანიშნავია „უბრალო

ტანჯულის აღსარება“, რომელშიც დრამის გმირად გვეევლინება ყველასაგან მიტოვებული სნეული და ზნეობრივად შეურაცხოფილი ადამიანი. განვითარებული იყო გაბაასების ჟანრიც /“ბატონისა და მონის გაბაასება“, “პესიმისტური გაბაასება“/. დიდად იყო გავრცელებული დიდაქტიკური ხასიათის თხზულებანი, შეგონებანი, ოგავ-არაკები, ანდაზები და გამოცანები, მატიანეები. შუმერებმა პირველებმა ძვ. წ. IV ათასწლეულში გამოიგონეს დამწერლობის სისტემა /ლურსმული დამწერლობა/. დამწერლობის ეს სისტემა პირველად საკმაოდ რთული იყო, შემდეგ იგი თანდათან გამარტივდა, რომელიც ბოლოს სქემატურად, აბსტრაქტულ ნიშნებამდე დავიდა. საწერ მასალას ძირითადად გამოუმწვარი თიხა წარმოადგენდა. მისი შესწავლა სპეციფიკურ განათლებას საჭიროებდა, რომლის მიღება ძირითადად წარჩინებულთა ოჯახებიდან გამოსულ ყმაწვილებს შეეძლოთ. იგი, აქადურ ენასთან ერთად მთელს მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელდა და დამწერლობის საერთო სისტემად გადიქცა. თვით ეგვიპტის ფარაონებიც კი მცირე აზიის მონარქებთან წარმოებული მიწერ-მოწერის დროს ლურსმული დამწერლობის სისტემით სარგებლობდნენ. ძვ. წ. II ათასწლეულში იგი ფინიკიელების მიერ შექმნილი თითქმის ყველა თანამედროვე დამწერლობის საფუძველს წარმოდგენს.

შუმერებს სურდათ გაეგოთ ბუნების, საკუთარი ცივილიზაციის არსი, სწორედ ამის გამო შექმნეს ორიგინალური კონცეფცია “მე“, რომლის დედაარსის დადგენა დღესაც ჭირს. “მე“ წარმოადგენს სხვადასხვა კანონზომიერებათა და წესრიგის ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფის ბუნების სხვადასხვა ელემენტისა და შუმერული ცივილიზაციის ფუნქციონირებას. ყველა კანონი და წესი შექმნილია ღმერთების მიერ, მაგრამ ისინი ღმერთების გარეშე არსებობენ. ისინი მჟღავნდებიან სულიერი და უსულო მატერიის მოძრაობაში, რომელიც სამუდამოა. “მეს“ კანონებში, შუმერული ტრადიციების მიხედვით, ჩადებულია სიბრძნე და მეცნიერება. მითში ურუქის ღვთაება ინანას შეხებ, რომელსაც მოპარეს ღვთაებრივი “მე“ შემონახულია ასზე მეტი კანონი დაკავშირებული შუმერული ცივილიზციასთან. დღეისათვის მხოლოდ მათი ნახევარია გაშიფრული. აქ მოცემულია ისეთი ცნებები, როგორიცაა სიბრძნე, გმირობა, შეულლი, ხელოვნება, საბრძოლო დროშა, პროსტიტუცია და წმნიდა განწმენდა, მუსიკალური საკრავები და გადაწერის ხელოვნება, მშვიდობა, გამარჯვება, სიკეთე და სხვ.

ძველი შუმერის აზროვნება საკმაოდ განსხვავდებოდა თანამედროვე ადამიანის აზროვნებისაგან. მათი გონება, როგორც აზროვნების საშუალება ემსახურებოდა წარმოდგენას /წარმოსახვას/, მაშინ როდესაც თანამედროვე მეცნიერული გაგებით წარმოსახვა თამაშობს დამხმარე როლს, რომელიც ემპირიული მოსაცემებით მოწმდება.

კაცობრიობის წინაშე შუმერების დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული და ტრადიციებზე დაყრდნობილი პირველი კანონების შექმნა და განვითარება. პირველ კანონმდებლად ითვლება ურუინიმგინა – ურუკაგინა /IV აო. ბოლო მეოთხედი/ – პირველი მეფე-რეფორმატორი კაცობრიობის ისტორიაში, რომელმაც, როგორც შუმერები აღნიშნავდნენ, „აღადგინა თავისუფლება". 300 წლის შემდეგ ურის მესამე დინასტიის დამაარსებლის შვილი მეფე შულგა ქმნის და შეაქვს სახელმწიფოში კანონთა ახალი წყება, რომლითაც ქვეყანაში სამართლიანობა გაბატონდა, ამოიძირკვა სილარიბე და უკანონობა, და, რაც მთავარია, მისი კანონები შემდეგი კანონმდებლთათვის მაგალითი გახდა.

შულგას კანონებისაგან საკმაოდ განსხვავდებოდა ყველაზე ცნობილი ძველბაბილონელი მეფის – ჰამურაბის /ძ.წ. 1792–1750 წწ/ კანონები, რომელმაც თავისი სამხედრო და დიპლომატიური მოღვაწეობით სახელი გაუთქვა ბაბილონს. მან გარდაქმნა ძველი, მანამდე არსებული კანონები და სხვადასხვა დონის დანაშაულზე სხვადასხვა დონის სასჯელი შემოიღო. მიუხედავად იმისა, რომ ჰამურაბის კანონები მალე გამოვიდა ხმარებიდან მაინც სამართლიანად ითვლებოდა კანონმდებლობის ნიმუშად მესოპოტამიის მთელი ისტორიის მანძილზე. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მათ ელინისტურ და პართიულ პერიოდებამდეც კი იარსებეს და ასწავლიდნენ მესოპოტამიურ სკოლებში. ჰამურაბის კანონები ატარებს „სინთეტიკურ" ხასიათს, რომელიც ერთდროულად ადგენს როგორც წესებს, ისე კონტროლს მათ შესრულებაზე. მისთვის დამახასიათებელია სიკვდილით დასჯის ყველთო გამოყენება სხვადასხვა სახის დანაშაულზე, სხვისი ქონების მითვისებიდან დაწყებული სიძვით დამთავრებული. კანონის მიხედვით, მძიმე ხასიათის დანაშაულზე გამოიყენებოდა კვალიფიციური სახის სიკვდილით დასჯა. მაგ., დაწვა დედასთან ინცესტის გამო, ცოლის სარზე წამოცმა თუ დაუმტკიცდებოდა მეუღლის მკვლელობაში მონაწილეობა. სხვა შემთხვევაში წესდებოდა ანტალიონის პრინციპის მიხედვით დასჯა ან ფულადი

კომპენსაცია. ჰამურაბის კანონები ძირითადად მიმართული იყო მეფის ხელისუფლების გასაძლიერებლად, ტრადიციული სოციალური ინსტიტუტების განსამტკიცებლად და არა საზოგადოების გასაჩანაგებლად. მიუხედავად ამისა, მას მაინც უდიდესი როლი ეჭირა მესოპოტამიის ცივილიზაციის განვითარების თვალსაზრისით. იგი პროგრესულ კანონთა რიცხვს განეკუთვნება და მთელი „ლურსმული" კულტურის მწვერვალად ითვლება.

შუმერული კულტურის წარმოდგენა შეუძლებელია ხელოვნების გარეშე, რომლის წამყვან დარგსაც არქიტექტურა წარმოადგენდა. ეგვიპტელებისაგან განსხვავებით, ისინი არ იყენებდნენ ქვას და შენობებს ძირითადად გამოუწვავი აგურისაგან აშენებდნენ. ჭაობიანი ნიადაგის გამო ნაგებობებს ხელოვნურ ბორცვებზე — მიწაყრილზე აღმართავდნენ ხოლმე.

ძვ. წ. III ათასწლეულში შუმერში კაცობრიობის ისტორიაში მშენებლობაში პირველად გამოიყენეს თაღები და კამარები. არქიტექტურის პირველ ნიმუშებს წარმოადგენდა თეთრი და წითელი ტაძრები აღმოჩენილი ურში /ძვ. წ. IV ათ. ბოლო/ მიძღვნილი ღვთაებების — ანუსა და ინანასადმი. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მათ ჩაუყარეს საფუძველი გამაგრებული ქალაქების მშენებლობას, რომლებიც გალავნის კედლებით იყო შემოსაზღვრული. მრავალსართულიან სახლებსა და ზიგურატებს — წმინდა სალოცავ-საკურთხეველებს, ასევე შემოსაზღვრავდნენ კედლით. ზიგურატი თავისთავად, შეიძლება ითქვას, წარმოადგენდა საფეხურებიან პირამიდას, რომლის ზედა ნაწილში, როგორც წესი, იდგა პატარა ტაძარი — „ღმერთების საცხოვრებელი" და საკურთხეველი. ყველაზე ცნობილ ზიგურატად ითვლება ურში /XXII–XXI სს/ აშენებული ტაძარი, რომელიც რელიგიური კულტურის ცენტრს წარმოადგენდა. მისი ფასადი დაფარული იყო წითელი, თეთრი და შავი მოზაიკის ფილებით.

შუმერში საკმაოდ ადრე განვითარდა ქანდაკება, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ცოტა ქვა მოიპოვებოდა. მეფეთა, ქურუმთა, მთავარსარდალთა (მებრძოლთა) სტატუები იდგმებოდა ტაძრებში, რათა მათ ელოცათ ტაძრის დამაარსებლისათვის. უფრო მოგვიანებით ნინდება დიორიტისაგან დამზადებული ქანდაკებები, რომლის თვალსაჩინო ნიმუშსაც სახელგანთქმული მეფის — გუდეას ქანდაკება წარმოადგენდა (ძვ.წ. 2300 წ.), რომელიც შუმერული ხელოვნების ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს. მისი-

ვის დამახასიათებელია ძლიერი ექსპრესია მინიმალური გამოსახვის საშუალებებით.

შუმერში მაღალ დონეზე ავიდა ლითონის პლასტიკა. აქ შეესაძლოა პირველად გამოიყენეს ოქროს კომბინაცია ლილაქვასთან, ეერცხლთან, ბრინჯაოსთან და სხვ. ურში, ე.წ. სამეფო აკლდამაში, სადაც მეფესთან ერთად დაკრძალული იყო 70 კაცი, ინგლისელმა არქეოლოგმა ლ. ვულმა აღმოაჩინა უდიდესი ხიმდიღრე, ოქროს მუზარადი, თხის ფიგურა, რომელიც ხეს ეყრდნობოდა და სხვ. დედოფალ შუბადის ოქროს დიადემაც ხელოვნების ნიმუშია რიგს განეკუთვნება.

მესოპოტამიური კულტურის ბევრი მიღწევა შეთვისებული და გადამუშავებულ იქნა სხვა მეზობელი ხალხების მიერ. მაგალითად, ბერძნებმა მათგან ისესხეს ასტრონომია და მათემატიკური ცოდნა (დღე და საათი, წრეებად და გრადუსებად დაყოფა) და სხვ. ბიბლიური ოქმულებების ამოსაკალ წერტილს, მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, შუმერული მითები წარმოადგენს. ბიბლიის მიხედვით, თანამედროვე ადამიანს შეექმნა განსაზღვრული წარმოდგენა სამოთხის შესახებ, სადაც ადამი და მისი ნეკნისაგან შექმნილი ევა ცხოვრობდა. რა ოქმა უნდა, აქვეა გველი — მაცდური, რომელმაც ევა ვაშლის სახით აკრძალულ ხილს აზიარა და უკვდაველობას ჩამოაცილა. თუ ჩვენ შუმერულ ლიტერატურას თვალს გადავაკლებთ დავინახავთ პარალელს ამ ფაქტთან დაკავშირებით, კერძოდ, მითებს გილგამეშის შესახებ, რომლებიც თაეის დროზე გადაამუშავეს სემიტებმა და შექმნეს ცნობილი „გილგამეშის ეპოსი". როგორც ცნობილია, გილგამეშს უკვდავების მცენარეს სწორედ გველი მოპარავს, ბიბლიაში პირდაპირ მითითებულია, რომ მდინარეები, რომლებიც მიედინებიან ბიბლიურ სამოთხეში დაახლოებით ევფრატის სანაპირო ზე მდებარეობს, ე.ი. მესოპოტამიაში. საინტერესო პარალელის გავლება შეიძლება ენქის „დანაშაულსა" და ბიბლიურ ადამიანთა პირველ „ცოდვას" შორის. ენქის უნდა რა ჩაწვდეს მცენარეთა „გულს" ჭამს მას. ადამმა და ევამაც ხომ აკრძალული ხილი შეჭამეს. სწორედ ჭეშმარიტების წვდომის სურვილი გახდა მიზეზი იმისა, რომ ქალღმერთ ნინხურსაგის (დედა-მიწა) - სურვილით ავად გახდა ენქი. ხოლო ბიბლიაში ღმერთის ბრძანებით სამოთხიდან გააძევეს ადამი და ევა.

ჩვენ შეგვიძლია ერომანეთს შევადაროთ ქვეყნიერების შექმნის „ეოფიერების წიგნი" და ბაბილონური პოემა „ენუმა ელიშ", რომლებშიც მრავალი ანალოგია იძებნება. კოსმოგონია თიხის-

გან ადამიანის — ადამის შექმნა და შემქმნელის დასვენება ორივეგან თითქმის ემთხვევა. ადამიანი ღმერთმა "ხატად თვისად" შექმნა ("ჟოფიერების წიგნი", 1.26), რათა ებატონა დედამიწაზე. სწორედ ოგვეა ბაბილონურ მითში მოცემული.

შუამდინარეთია ისევე როგორც ეგვიპტე, მსოფლიო ცივილიზაციების ბაზისს წარმოადგენს. მოლოდ შუმერული ლურსმული დამწერლობა, მითოლოგია და ბაბილონური ასტრონომია და მათემატიკაც საკმარისია მესოპოტამიური კულტურის გვანსაკუთრებულობის აღიარებისათვის.

ინდური კულტურა

ინდოეთი მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთ უძველეს კერას წარმოადგენს. ინდოსტანის ნახევარკუნძულზე აღმოცენებულმა კულტურამ უდიდესი გავლენა მოახდინა მეზობელ სახელმწიფოთა კულტურულ განვითარებზე. მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია თავისი კულტურის უდიდეს ნაწილს სწორედ ინდოეთისაგან ეზიარა. ინდურმა რელიგიამ — ბუდიზმმა კი ასეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, როგორებიცაა ჩინეთი, იაპონია და კორეა, კულტურათა მთელი ეპოქის შექმნა განაპირობა.

ინდური კულტურა ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური და უნიკალურია. მისი თვითმყოფადობა, უპირველეს ყოვლისა, რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებათა მრავალფეროვნებასა და სიმრავლეში მდგომარეობს. შორეულ წარსულში ინდოეთს "ბრძენთა ქვეყანას" უწოდებდნენ. დიდი ინდოელი მწერალი და საზოგდო მოღვაწე რ. თაგორი აღნიშნავდა: "ინდოეთს მუდამ ჰქონდა ერთი უცვლელი იდეალი — სამყაროსთან შერწყმა". ინდური კულტურის ერთ-ერთი უმთავრესი თავისებურებაა ადამიანის სულის სიღმეში, მის შინაგან სამყაროში შელწევა. ამის ნათელი მაგალითია ძველინდური ფილოსოფია და იოგას სისტემა. ინდური კულტურისათვის დამახასიათებელია, აგრეთვე, კონსერვატიზმი, საოცარი მუსიკალობა, სიყვარულისადმი პატივისცემა (განსაკუთრებით ფიზიკური რომელიც ცოდვად არ ითვლებოდა). ინდური კულტურის თვითმყოფადობა მნიშვნელოვანწილად ინდური ეთნოსის თავისებურებითაა განპირობებული; მის ფორმირებაში ხომ მრავალრიცხოვანი სხვადასხვა ენოვანი ტომი და ხალხი მონაწილეობდა, ადგილობრივი დრავიდებით დაწყებული, იქ შეჭრილი არიელებით დამთავრებული.

ძველი ინდური კულტურა დაახლოებით ძვ. წ. III ათასწლეულიდან ახ. წ. VI საუკუნემდე არსებობდა. შესაბამისად ძველი ინდოეთის ისტორია ორ დიდ პერიოდად იყოფა: 1. ჰარაპის ცივილიზაციის ხანა (ძვ. წ. 2500-1800), რომლის ფორმირებაც მდინარე ინდის რეგიონში მოხდა, 2. არიული პერიოდი, რომელიც ინდოეთის ისტორიის შემდგომ ხანას მოიცავს და ინდოეთის ტერიტორიაზე არიელთა განსახლებას უკავშირდება.

განვითარების დონით ჰარაპის ცივილიზაცია ინდოეთს არათუ ძველი ცივილიზაციების მქონე ქვეყნების (ეგვიპტის, მესოპოტამიის, კრეტის)

კერდით აყენებდა, არამედ ხშირ შემთხვევაში წინ უსწრებდა მათ. ჰარაპის ცივილიზაციის მთავარი ცენტრები იყო ქალაქები ჰარაპი (პენჯაბში — დღევანდელი პაკისტანის ტერიტორიაზე) და მოხენჯო-დარო (სინდში) — "მკვდრების ქალაქად" წოდებული, რომლებსაც თავიანთი შემოგარენის დამხმარე სოფლის მეურნეობაზე დაფუძნებული მაღალგანვითარებული საქალაქო კულტურა ჰქონდათ. ამ ქალაქებს იმთავითვე მჭიდრო და რეგულარული სავაჭრო კავშირები ჰქონდათ დამყარებული მესოპოტამიასთან, ცენტრალურ და შუა აზიის ქვეყნებთან.

პირველი არქეოლოგიური გათხრები, რომლებმაც ინდოსტანის ნახევარკუნძულის უძველესი ცივილიზაცია გამოაცალინა, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ჩატარდა. 1921 წელს კი ახალგაზრდა ინდოელმა არქეოლოგებმა რაი ბაჰადურ დაია სახინმა და ბანერჯიმ ჰარაპისა და მის მიდამოებში გამომწვარი აგურისაგან ნაშენი ქალაქის ნანგრევები აღმოაჩინეს. ეს იყო ინდოელი ხალხის უძველესი ისტორიის ახალი ფურცლები. მაგრამ საქვეყნო აღიარება მათ XX საუკუნის 30-40-იან წლებში მოიპოვეს, ცნობილი არქეოლოგების ჯ. მარშალისა და ე. მაკეის ხელმძღვანელობით წარმოებული გათხრების შედეგად. ჯ. მარშალის თვალსაზრისით, მოხენჯო—დაროს კულტურული ფენები ქრონოლოგიურად ძვ. წ. 3250-2750 წლებში თავსდება. იქ უხვად აღმოჩნდა სპილენძისა და ბრინჯაოს ცულები, ნამგლები, დანები, თიხის ჭურჭელი, საოჯახო დანიშნულების სხვადასხვა ნივთი. აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები და ნივთიერი მასალა ნათლად მეტყველებს, რომ ჰარაპის ცივილიზაციას თავისი დამწერლობა და ენა გააჩნდა. განსაკუთრებით წარმატებით მხატვრული კულტურა ვითარდებოდა. კერძოდ, მცირე ზომის პლასტიკა და სკულპტურა. აღსანიშნავია, რომ არსად არ ყოფილა აღმოჩენილი მონუმენტური სკულპტურის და ფერწერის ნიმუშები, სამაგიეროდ დიდი რაოდენობით იქნა მოპოვებული პატარა ქანდაკებები, კერამიკის ნაკეთობები, ბეჭდებზე შესრულებული რელიეფები. ამგვარი პლასტიკის საუკეთესო ნიმუშებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ჰარაპში აღმოჩენილი მოცეკვავე მამაკაცის ქანდაკება (10 სმ), გოგონას ბრინჯაოს ფიგურა, წითელი ქვისგან გამოთლილი მამაკაცის ტორსი. ისინი ნათლად მეტყველებენ თუ რაოდენ მაღალ დონეზე იცოდნენ ძველმა ოსტატებმა ანატომია და სხვადასხვა მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები. ასევე საოცრად შთამბეჭდავია ქურუმის ქანდაკება (18 სმ) მოხენჯო-დაროდან. ოსტატი ხაზს უსვამს მისი სახის უშფოთველ გამომეტყველებას და საკუთარ თავში ჩაღრმავების

მომენტს, რაც მომდევნო საუკუნეებში ინდოელი წმინდანებისა და ასკეტების სკულპტურათა მახასიათებელი ნიშან-თვისება გახდა. იმავე პერიოდს განეკუთვნება ფანტასტიკურ არსებათა და ღვთაებათა გამოსახულებები ადამიანის გარეგნობით, რომლებიც მითოლოგიური სიუჟეტებიდან იყო აღებული და მაგიურ მნიშვნელობას ატარებდა. მოხენჯო-დაროს მსგავსი კულტურა დღეისათვის ორმოცზე მეტი განათხარით არის ცნობილი, რომლებიც უმთავრესად მდინარე ინდის დაბლობშია ლოკალიზებული. უკანასკნელ ხანებში ინდოელმა არქეოლოგებმა მანსურის რაიონში (მადჰია-პრადეშის შტატი) აღმოაჩინეს 10 ათასი წლის წინ აგებული ქვის ასი ნაგებობა.

რაც შეეხება ჰარაპისა და მოხენჯო-დაროს დაგეგმარებას, იგი საოცარი დახვეწილობით გამოირჩეოდა და, ე.წ. 'ტერიტორიული სამეფოს" კულტურისათვის დამახასიათებელ ტიპიურ ნიშნებს ამჟღავნდებდა. ეს იმაში გამოიხატება, რომ ქალაქებს ზუსტად ორიენტირებული და მოზომილი ტერიტორია ეკავა, დამცავი კედლით, ფართო და სწორი ქუჩებით, ტაძართა მსგავსი ნაგებობებით (საკარაუდოა, რომ მმართველობა თეოკრატიული იყო). ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ამ ქალაქებს ისეთი კეთილმოწყობილი წყალგაყვანილობის სისტემა ჰქონდათ, რომლის მსგავსი არც ერთ ძველ კულტურას არ გააჩნდა (კანალიზაცია, ჭები, წყლსადენი არხები, აბანოები, განბანისათვის გათვალისწინებული აუზები). ასევე ძალზე მაღალ დონეზე იდგა სამშენებლო ტექნიკა; საცხოვრებელი სახლები, რომლებიც უმთავრესად სამსართულიანი იყო, გამომწვარი აგურით შენდებოდა და თიხის ბრტყელი სახურავით იყო გადახურული. ქალაქთა ნანგრევები მეტყველებს ასევე სხვადასხვა სახელოსნოსა და ბაზრის კვარტლების არსებობაზე.

აღორძინება-აყვავების შემდეგ, ჰარაპის კულტურამ და ცივილიზაციამ თანდათან დაქვეითება დაიწყო, რაც მრავალ ფაქტორთან იყო დაკავშირებული, უპირველეს ყოვლისა, კლიმატურ ცვლილებებთან, ეპიდემიებთან, მდინარეთა ადიდებასთან, ასევე პოლიტიკურ ვითარებასთან. ჰარაპის ცივილიზაციის დასრულების შემდეგ ინდისა და განდის დაბლობს არიელთა ტომები დაეპატრონენ, რომლებიც ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებიდან ინდურ მიწებზე თავდასხმებს აწყობდნენ. ისინი ინდო-ევროპულ ენათა აღმოსავლური განშტოების ენაზე მეტყველებდნენ. ტომების დიდგვაროვანი (წარჩინებულები) თავს "არიელებს" – კეთილშობილებს უწოდებდნენ, საიდანაც ამ ტომებმა სახელწოდება მიიღეს. ინდოეთში ისინი ავღანეთისა და შუა აზიის ტერი-

ტორიებიდან შეიჭრნენ. მართალია, ისინი მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ, მაგრამ ინდურ მიწაზე მოხვედრის შემდეგ, არიელებმა ადგილთან მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას მიჰყვეს ხელი, ამიტომ შემოხვეულში ადგილობრივ მოსახლეობას შეერიენენ, რითაც ახალი სული შთაბერეს ინდურ ეთნოსს. იმავდროულად არიელებმა ძალიან ბევრი რამ შეითვისეს მათზე გაცილებით ძველი და მაღალგანვითარებული კულტურისგან.

არიელები მეტად შფოთიანი და ხმაურიანი ხალხი იყო. უყვარდათ მუსიკა, აზარტული თამაშები, ცეკვები. მათი მოსვლით ინდოეთის ისტორიასა და კულტურაში ახალი – ინდო-არიული ხანა დაიწყო. ეს, უწინარეს ყოვლისა, შემდეგი მოვლენებით აღინიშნა: ქალაქები დიდ სოფლებს დაემსგავსა, უპირატესობა ნატურალურ გაცვლას მიენიჭა, ბევრი ადგილობრივი ტრადიცია დაირღვა. არიულ ტომთა ბელადები თავს რაჯას უწოდებდნენ. ხიახლეს წარმოადგენდა ის, რომ გაჩნდა რკინის იარაღი, ბრინჯის, შაქრის ჭარხლის, ბამბის კულტურები. ქვეყანაში დაიწყო სოციალური დიფერენციაცია და წარმოიშვა ისეთი საინტერესო ფენომენი ინდურ სინამდვილეში, როგორიცაა კასტები, ანუ ვარნები. სიტყვა კასტა პორტუგალიური წარმოშობისაა და ნიშნავს „ტომობრივი წარმომავლობის სიწმინდეს". ინდურ ენაში კასტა აღინიშნება სიტყვით „ჯატი" (დაბადება) ან „ვარნა" (ფერი). კასტა იყო ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც საერთო წარმომავლობა, საქმიანობა, რელიგიური წეს-რიგულებები გააჩნდათ და ერთსა და იმავე სოციალურ საფეხურზე იმყოფებოდნენ. აქვე ხაზი უნდა გაესვას კასტების განსაკუთრებულ მნიშვნელობას ინდური კულტურის სპეციფიური და თავისებური იერსახეების ფორმირებაში. უმთავრეს ლიტერატურულ წყაროს არიელთა პერიოდის შესახებ „ვედები" (წარმოდგა ზმნიდან „ცოდნა") წარმოადგენს, რომელიც არიელ დამპყრობლებს თან მოჰყვა ინდოეთში. ეს არის ოთხი ნაწილისგან შემდგარი რელიგიური ტექსტების, ჰიმნების, სიმღერებისა და მაგიური ფორმულების კრებული. იგი შეიცავს საინტერესო ცნობებს ახალ მიწაზე არიელთა დამკვიდრების რთული და მძიმე პროცესის, ადგილობრივ ტომებთან მათი ბრძოლების შესახებ. ვედების ზოგიერთი ჰიმნი მზეს ეძღვნება, რომელშიც ძველი ინდური ლიტერატურის ჩრდილო მეზობლების, უპირველეს ყოვლისა, ირანულ ლიტერატურასთან მსგავსება იგრძნობა. ვედები შესრულებული იყო ვედურ ენაზე, რომელიც სანსკრიტის უძველეს ფორმას წარმოადგენდა. ვედურ ლიტერატურას მიეკუთვნება, აგრეთვე, ვედე-

ბის, ე.წ. "კომენტარები": ბრაჰმანები, არანიაკები და უპანიშადები, რომლებიც მთელი I ათასწლეულის მანძილზე იქმნებოდა. მათი შექმნის აუცილებლობა გამოწვეული იყო ვედების ენის სიძველითა და სირთულით. აღსანიშნავია აგრეთვე 'ვედანთა" — მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული ნაშრომები ასტროლოგიაში, ლექსთწყობაში, ეტიმოლოგიაში და სხვ.

საერთო ჯამში, ვედურმა ლიტერატურამ საფუძველი შეუშზადა ინდოეთის მთელი მომდევნო პერიოდის სულიერ კულტურას: თეოლოგიას, ფილოსოფიასა და მეცნიერების სხვადასხვა დარგებს. სწორედ ვედების საშუალებით გახდა ცნობილი, რომ იმჟამინდელი ინდური საზოგადოება ოთხ კასტად, ანუ ვარნად დაიყო: 1. ბრაჰმანები, რომლებსაც ქურუმები შეადგენდნენ, 2. ქშატრიები — მეომრები და მოხელეები, 3. ვაიშები — ვაჭარ-ხელონები, მიწათმოქმედები, 4. შუდრები დაპყრობილი ტომების, მონების და უთვისტომოებისაგან შედგებოდა. ყველა ეს კასტა ერთმანეთისაგან მკაცრად იყო გამიჯნული. ადამიანებს, რომლებიც არც ერთ ვარნას არ განეკუთვნებოდნენ, მიუკარებლები ეწოდებოდათ. მათი შეხება და შეხედვაც კი შეურაცხყოფის ტოლფასად მიიჩნეოდა. გადმოცემების თანახმად, ბრაჰმანები სამყაროს დამაარსებლის, ღმერთ ბრაჰმას ბაგეთაგან შეიქმნა, ქშატრიები — მხრებისაგან, ვაისები — თეძოებისაგან, შუდრები — ფეხის გულებისაგან. ეს ოთხი კასტა შემდეგ მრავალრიცხოვან ვარნად დანაწევრდა (მათმა რაოდენობამ ორი ათასს გადააჭარბა), რომლებიც დღემდეა შემორჩენილი. კასტობრივი სისტემა კარჩაკეტილობით ხასიათდებოდა. ტრადიციების როლი მათში იმდენად ძლიერია, რომ ელემენტარული წესების დარღვევა განიხილება როგორც დანაშაული და მკაცრად ისჯება. ასე იყო შორეულ წარსულში და ნაწილობრივ ასეა დღესაც, XXI საუკუნის დამდეგს.

ვედური პერიოდიდან მოყოლებული, ინდოეთში რელიგიების ერთგვარი მოზაიკა ჩნდება. საერთოდ ინდური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამახასიათებელი თვისება რელიგიათა სიმრავლეცაა. მათგან პირველი იყო ვედიზმი — თვით ვედების რელიგია, მისთვის დამახასიათებელი მრავალღმერთიანობითა და ანთროპომორფიზმით. მისი ღმერთების პანთეონიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: ინდრა — არიელთა მფარველი, ქუხილის ღმერთი, ვარუნა — ცისა და კოსმოსის ღმერთი, სურია — მზის ღმერთი, ვინუ, აგნი და სხვ.

თაყვანისცემის უმთავრეს ობიექტად დევები (ლათინური deus - ღმერთი, ფუძიდან div - ნათება) იყო მიჩნეული.

ახალ, ეპიკურ ეტაპზე (ძვ. წ I ათასწლეული) ვედების რელიგიის ტრანსფორმაცია მოხდა ჯერ ბრაჰმანიზმად, შემდეგ ინდუიზმად. ორივე ეს რელიგია, რომელიც საზოგადოების კასტებად დაყოფას, სულთა გადასახლებას ქადაგებდა, გაცილებით მწყობრად ჩამოყალიბებულ მოძღვრებებსა და მკაცრ იერარქიის მქონე იდეოლოგიებს წარმოადგენდა. მრავალღმერთიანი პანთეონი სამ მთავარ ღმერთამდე იქნა დაყვანილი. ესენია: 1. ბრაჰმა — სამყაროს შემქმნელი, რომელიც უმეტესწილად ხელში ლოტოსის ყვავილით გამოისახება ხოლმე 2. ვიშნუ — მფარველი, რომელიც ბუნებაში წესრიგსა და ჰარმონიას განასახიერებდა. მას მრავალი განასახიერება (ავათარა) აქვს, უფრო ხშრად ეს რამას, კრიშნას ან ბუდას სახით გამოისახება. 3. შივა — გამანადგურებელი, დამანგრეველი ძალის მქონე ღმერთია, რომელიც იოგას ან ასკეტის სახით გამოისახება ხოლმე. რაც შეეხება უშუალოდ ინდუიზმს, იგი სხვადასხვა რელიგიური რწმენა-წარმოდგენის სინთეზის შედეგად წარმოიქმნა, მას არ უდევს საფუძვლად რომელიმე წინასწარმეტყველის ქადაგება, როგორც, მაგალითად, ქრისტიანებს, მაჰმადიანებს ან ბუდისტებს. ინდუიზმი ინდოეთი ყველაზე გავრცელებული რელიგიაა, მას დღეს მოსახლეობის დაახლოებით 83% აღიარებს. ინდუიზმს ორი ძირითადი მიმდინარეობა აქვს: ვიშნუიზმი და შივაიზმი, თანამედროვე პერიოდში მას კრიშნაიზმიც დაემატა. ინდუიზმის წმინდა წიგნად "ბაჰავატგიტაა" (ღმერთის სიმღერა) აღიარებული. მისი უმთავრესი საფუძველია მოძღვრება სულთა მუდმივ გადასახლებაზე (სანსარა), რაც ადამიანის ქმედებათა (სანსკრიტულად — კარმა) შესაბამისად ხორციელდება. კარმას კანონები განსაზღვრავს ადამიანის გარდასახვის ხარისხს იმის მიხედვით, თუ როგორი ცხოვრების გზა განელო მან — ღირსეული თუ ულირსი, დადებითი თუ უარყოფითი. ასე რომ, თითოეული ინდივიდი თავისი ქმედებით თავად ჭედავს იმქვეყნიურ სამომავლო ბედს. ინდუიზმმა პირველყოფილი რელიგიათა ბევრი ელემენტი შემოინახა, მათ შორის: ცხოველთა თაყვანისცემა, ბუნების მოვლენათა, წინაპართა კულტი. ცხოველებიდან განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ ძროხას, მაიმუნს, გველს, სპილოს, რომელთა სახელზე შესანიშნავი ტაძრები იგებოდა, ლეგენდები და ნაწარმოებები იქმებოდა.

ძვ. წ. VI საუკუნეში ინდოეთში ჩაისახა სამ მსოფლიო რელიგიათაგან უძველესი — ბუდიზმი. მისი ფუძემდებელი იყო შაკიების საგვარეულოს ბელადის ვაჟი სიდჰართხა გაუტამა (ძვ. წ. 623-543 წწ.) რომელმაც 7-წლიანი ასკეტური ცხოვრების შედეგად, 40 წლის ასაკში გასხივოსნების მდგომარეობას მიაღწია და ბუდა (სანსკრიტულად — გასხივოსნებული, განათლებული) ეწოდა. ბუდიზმის საფუძველი ბუდასმიერ აღმოჩენილი ოთხი ჭეშმარიტებაა: ცხოვრება არის ტანჯვა, მისი მიზეზია ადამიანური მოთხოვნილებები და სურვილები, მათგან განთავისუფლება შესაძლებელია ყოველგვარი სურვილების ჩახშობით, საკუთარ თავში ჩაღრმაევებითა და თვითსრულყოფით, ანუ "ნირვანას" (სანსკრიტულად — ჩაქრობა, ჩახშობა) მიღწევით. ბუდა ქადაგებდა მოწყალებას, მორჩილებას, კიცხავდა სიმდიდრისა და ფუფუნებისკენ სწრაფვას, ყველა მორწმუნეს ხსნას ჰპირდებოდა იმისგან დამოუკიდებლად, თუ რომელ კასტას მიეკუთვნებოდა იგი.

ძვ. წ. 261 წელს, აშოკის მმართველობის დროს (მაურიების დინასტია), ბუდიზმი ინდოეთში ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა. სწორედ ამ დროს იქნა ბუდას პიროვნება გაღმერთებული, დაიწყო ბუდას ქანდაკებების, ბუდისტური ტაძრების აგება. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აშოკს სხვადასხვა სარწმუნოებანი არ აუკრძალავს. ახ. წ. დამდეგს, ბუდიზმის განვითარების მომდევნო ეტაპზე, მოხდა განხეთქილება, რომელიც ძირითადად დოგმატისა და სარიტუალო ჩვენებათა სხვადასხვა ასპექტს შეეხებოდა. ამის შედეგად ბუდიზმი ორ ძირითად მიმდინარეობად გაიყო: 1. ჰინაიანა (პატარა ეტლი) — ხსნის ვიწრო გზა, რომლის თანახმად უმაღლესი ჭეშმარიტების — ნირვანას მიღწევა მხოლოდ ღვთისმსახურთა ვიწრო წრეს ძალუძს, რომებმაც უარი თქვეს ამქვეყნიურ ცხოვრებაზე, 2. მაჰაიანა (დიდი ეტლი) — ხსნის ფართო გზა, რომლის მიხედვითაც პოტენციურად ყველას შეუძლია მიაღწიოს ნირვანას, ცხოვრებაში შესაბამისი ნორმების დაცვის შედეგად.

ბუდიზმმა კულტურათა მთელი ეპოქები შექმნა აზიის ქვეყნებში. რაც შეეხება უშულოდ ინდოეთს, აქ ბუდიზმის ბედი შემდეგნაირად წარიმართა: განვითარება-აყვავების შემდეგ, ახ. წ. VIII საუკუნეში, სამხრეთ-ინდოეთში, XII საუკუნეში კი ჩრდილო ინდოეთში ბუდიზმი თანდათან შეავიწროვა და შეცვალა ინდუიზმმა, XIII საუკუნიდან ინდოეთში ისლამიც მომძლავრდა. აზიის სხვა ქვეყნებში (მაგალითად, კორეა, იაპონია, ჩინეთი, ვიეტნამი, მონღოლეთი და სხვ.) პირიქით

ბოდა. ბუდიზმმა შთანთქა სხვა რელიგიები და გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა. საგულისხმოა, რომ ბუდიზმის საშობლოში ამჟამად ბუდისტები ყველაზე მცირე როდენობით არიან წარმოდგენილნი.

ბუდიზმის თანადროულად ინდოეთში ჯაინიზმის რელიგიური მიმდინარეობა ჩაისახა, რომელიც ახლოს იდგა ბუდიზმთან. კერძოდ, ისიც აღიარებდა ნირვანას, მაგრამ უმთავრესი მასში ახიმსას პრინციპი იყო. ეს ნებისმიერი ცოცხალი არსებისადმი ზიანის მიყენების აკრძალვას გულისხმობდა. ბუდიზმისაგან განსხვავებით, ჯაინიზმი ინდუიზმთან დაპირისპირებას წარმატებით გაუმკლავდა, რადგანაც მან საზოგადოების კასტებად და ვარნებად დაყოფა აღიარა. ამ მოძღვრების თანახმად, მთელი მატერიალური სამყარო ბოროტების ბუდეა და ადამიანი მისგან განთავისუფლებას უნდა ცდილობდეს. საამისოდ ჯაინიზმი თავის მიმდევრებს ასკეტური ცხოვრებისაკენ მოუწოდებდა, რომელიც ზოგ შემთხვევაში უკიდურეს სახეს ღებულობდა.

რელიგიასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ფილოსოფიური აზროვნების განვითარება, რამაც ძველ ინდოეთში უაღრესად მაღალ დონეს მიაღწია. სხვადასხვა ინდურ რელიგიათა საფუძველზე ექვსი ფილოსოფიური სისტემა, ანუ მიმდინარეობა ჩამოყალიბდა (ნიია, ვაიშეშიკა, სანქჰია, მიმანსა, ვედანტა და იოგა), რომლებსაც დარშანები, ეწოდებოდა. ისინი ორთოდოქსულ სისტემებად ითვლებოდნენ, ვინაიდან ვედების წმინდა ავტორიტეტს აღიარებდნენ, მათი შინაარსი შეეხებოდა პრობლემატიკურ საკითხებს მატერიისა და სულის, როგორც სამყაროს პირველსაწყისის ურთიერთობას, აგრეთვე, სამყაროს, სულისა და ღმერთის რეალურად არსებობას, ადამიანის ხსნის გზების ძიებას.

ფილოსოფიასთან ერთად, ძველ ინდოეთში წარმატებით ვითარდებოდა მეცნიერების სხვა დარგები, განსაკუთრებით მათემატიკა, ასტრონომია, მედიცინა და ლინგვისტიკა. ინდოელი სწავლულები ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ბევრი თავიანთი აღმოჩენებით გაცილებით აღემატებოდნენ და წინ უსწრებდნენ შუა საუკუნეების ევროპელ მეცნიერებს. ინდოელი მეცნიერები ვარაუდს გამოთქვამდნენ იმის თაობაზე, რომ ცისა და მზის მოჩვენებითი მოძრაობა ღერძის გარშემო დედამიწის ბრუნვით იყო გამოწვეული. ლინგვისტიკის წარმოშობა კი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ინდოელ მეცნიერთა დამსახურებაა, მათვე აღმოაჩინეს ნივთიერებათა ატომური აგებულება. ინდოელმა მათემატიკოსებმა შექმნეს ალგებრის საწყისი ფორმა,

წილადები, უარყოფითი რიცხვები. ცნობილი ფაქტია, რომ ძველმა ინდოელებმა გამოიგონეს ჭადრაკი რომელსაც "შათრანჯი" ეწოდა.

ინდური კულტურის ფორმირების გზაზე ახალი ეტაპი ძვ. წ. IV ასწლეულის ბოლო მეოთხედში დაიწყო, როდესაც ხელისუფლების სათავეში მაურიების დინასტია (321-185 წწ.) მოვიდა. ამ მოვლენას წინ უძღოდა დასავლეთ ინდოეთის დაპყრობა ჯერ აქემენიანთა სპარსეთის, შემდეგ კი ალექსანდრე მკედონელის მიერ ძვ. წ. 326 წელს. მაურიების გვარის წარმომადგენელმა ჩანდრაპუფთამ (321-297 წწ.) ინდოეთის ტერიტორიებიდან დამპყრობელთა განდევნა მოახერხა და ახალ დინასტიას ჩაუყარა საფუძველი. ინდოეთში წარმოქმნილი ბერძნულ-მაკედონური და სპარსული დასახლებები ახალი იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. ამას მოჰყვა უცხოელთა მოზღვავება ინდოეთში., ესენი უმთავრესად იყვნენ ბერძენი ვაჭრები, ხელოსნები, მოცეკვავეები, სპარსეთიდან კი — სწავლულები და ხელოვნების მოღვაწენი. ყოველივე ამან, ცხადია, თავისი კვალი, დაამჩნია ინდური კულტურის განვითარებას აღნიშნულ პერიოდში. ამის ნათელი დასტურია ჩრდილო ინდოეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სკულპტურები, ჭირჭელი, ხელოსნური ნაწარმი.

ძველი ინდოეთის მხატვრულ კულტურაში განსაკუთრებული ადგილი ლიტერატურას უჭირავს. ამასთან დაკავშირებით, უპირველს ყოვლისა, დამწერლობისა და ენის საკითხს უნდა შევეხოთ. ინდოეთში დამწერლობა, ჯერ კიდევ ჰარაპის კულტურის ხანაში გაჩნდა, შემღეგ ზოგიერთი ცვლილება არიელთა შემოჭრის შემდეგ განიცადა, საკუთრივ ინდური დამწერლობა კი ძვ. წ. V საუკუნეში ჩაისახა. თავდაპირველდ ინდოელები მარჯვნიდან მარცხნივ წერდნენ, შემდგეგ — მარცხნიდან მარჯვნივ. მეცნიერებაში არსებობს მოსაზრება, რომ ინდური დამწერლობა სემიტური დამწერლობის სისტემებისაგან წარმოიშვა. ძველი ინდოელები საწერად პალმის გამომშრალ ფოთლებს იყენებდნენ, აუთოებდნენ მას და შემდეგ გვერდებად ჭრიდნენ. მოგვიანებით, ჩინეთიდან ქაღალდის შეტანის შემდეგ, მათ ქაღალდზე წერა დაიწყეს, ძვ. წ. V-IV საუკუნეებში ინდოელმა სწავლულებმა ძველი ვედური კრებულების ლიტერატურულ ენას უცხო სიტყვები ჩამოაშორეს, რის საფუძველზეც სანსკრიტი და მისი შესატყვისი გრამატიკაც შექმნეს. სწორედ სანსკრიტულ ენაზეა დაწერილი ინდოელთა სამყაროს ფილოსოფიურ-ეპიკური ნაწარმოებები "მაჰაბჰარატა" და "რამაიანა". "მაჰაბჰარატაში" ასახულია ორ გვარს შორის ხელისუფლებისათვის

ბრძოლის მრავალწლიანი და დაძაბული ისტორია. მას საფუძვლად უდევს სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების იდეა, მეორე პოემის მთავარი თემა სიყვარულია. მასი მოთხრობილია უფლისწულ რამას საგმირო თავგადასავლები, რომლებიც მას თავის მიჯნურის, სიტას ძებნის დროს თავს გადახდა. მასში გატარებულია ის აზრი, რომ უმცროსი უფროსს უნდა ემორჩილებოდეს და პატივს მიაგებდეს, ცოლი უნდა იყოს მეუღლის ერთგული და მორჩილი, ამასთანავე ხაზგასმულია სიყვარულის უდიდესი ძალა ადამიანის ცხოვრებაში საერთოდ.

მოგვიანო ხანის ლიტერატურული ძეგლებიდან საყურადღებოა 'პანჩატანტრა" (ახ. წ. III-IV სს.), რომელიც დიდაქტიკური ხასიათის ზღაპრების, იგავებისა და მოთხრობების კრებულს წარმოადგენს. ახ. წ. I-IV საუკუნეებში იქმნებოდა მსოფლიოში ცნობილი ტრაქტატი სიყვარულის შესახებ "კამასუტრა". ესაა ღრმა ფილოსოფიური ნაწარმოები რჩევა-დარიგებებით და ქცევის ნორმების სწავლებით სასიყვარულო თემებზე. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მთელ ძველ ინდურ ლიტერატურაში (რელიგიურ თუ საერო) უდიდესი და მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ხორციელი სიყვარულის თემას. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს მსოფლიოში კარგად ცნობილი პოეტის და დრამატურგის კალიდასას (IV-V სს.) შემოქმედება, კერძოდ, მისი რანგის ნაწარმოები 'შაკუნთალა", რომელშიც მეფისა და შაკუნტალას დრამატიზმით აღსავსე სასიყვარულო თავგადასავალია მოთხრობილი. მრავალ ინდურ ენათა შორის ყველაზე მეტად ტამილის ლიტერატურა იყო განვითარებული, რომელიც სხვებთან შედარებით ადრე ჩაისახა. III-IV საუკუნეებში სწორედ ტამილანდში ფუნქციონირებდა უმაღლესი რანგის პოეზიის აკადემია, რომელსაც 'სანგა" ეწოდებოდა. იქ იკრიბებოდნენ პოეტები, დრამატურგები, გროვდებოდა საუკეთესო ლიტერატურული ნაწარმოებები, იდგმებოდა დრამატული ნაწარმოებები და ა.შ.

ინდური კულტურის წარმოდგენა შეუძლებელია მუსიკის, ცეკვისა და თეატრის გარეშე, რომლებიც ორგანულადაა ერთამანეთისაგან შერწყმული. ასე რომ, თეატრალურ წარმოდგენებში ჰარმონიულად იყო შეხამებული პროზა, პოეზა, ცეკვა, მუსიკა და სიმღერაც. ინდური მუსიკის სპეციფიკურ თავისებურებებს, ცეკვის კანონებსა და ტექნიკას ეძღვნება უძველესი ტრაქტატი "ნატიაშასტრა". მასში ნათქვამია, რომ: "მუსიკა ბუნების ხეა, მისი ყვავილობა კი — ცეკვაა", საიდანაც ნათელი ხდება მუსკისა და ცეკვის როლი ინდურ კულტურაში.

ცეკვისა და თეატრალური ხელოვნება ძველი ინდური ტომების საკულტო წეს-ჩვეულებებიდან და თამაშებიდან იღებს სათავეს. ინდური ცეკვის შემქმნელად ღმერთი შივა ითვლება, რომელსაც ამის გამო ნათარაჯას (ცეკვის მეფე) უწოდებენ. მოცეკვავე ღმერთებადაა ცნობილი ასევე კრიშნა და რამა, რომლებსაც კლასიკური და ეროვნული ცეკვების უმეტესობა ეძღვნება. საინტერესოა, რომ ძველ ინდურ დრამაში ტრაგედიის ან კომედიის ჟანრები არ იყო გამოყოფილი, რადგან რელიგიური წესის თანახმად, დაუშვებელი იყო მაყურებლის წონასწორობიდან გამოყვანა. ამიტომ იკრძალებოდა ბრძოლების, უბედურების, სხვადასხვა მძიმე სცენების გამოსახვა. საგულისხმოა, რომ ღმერთები და დიდგვაროვნები დრამებში სანსკრიტზე საუბრობდნენ, ქალები და სხვა პერსონაჟები — პრაკრიტზე.

რაც შეეხება ძველ ინდურ არქიტექტურას, მისი განვითარების გზა მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. საქმე იმაშია, რომ ძირითადად ძვ. წ. III საუკუნეზე ადრინდელ არქიტექტურულ ძეგლებს ჩვენამდე არ მოულწევია. ამის მიზეზი ის არის, რომ იმ პერიოდში მთავარ სამშენებლო მასალას ხე წარმოადგენდა, რომელიც დროჟამის განსაცდელს ვერ უძლებდა. ძვ. წ. III საუკუნიდან კი ძველმა ინდოელებმა ქვის გამოყენება დაიწყეს. ამდენად, ამ დროიდან მოყოლებული უკვე მრავალი შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობაა შემორჩენილი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ხსენებული პერიოდის ინდოეთი სახელმწიფო რელიგია ბუდიზმი იყო, ამიტომ უმთავრესი ძეგლები სწორედ ბუდას სახელს უკავშიდებოდა. ბუდისტურ საკულტო ნაგებობათა შორის გავრცელებული იყო გამოქვაბულთა ტაძრები, ფილები და სვეტები ე.წ. სტამბპები. ფილა ნახევრსფეროსებრ მიწის ბორცვს წარმოადგენდა, რომელიც ქვით ან აგურით იყო მოპირკეთებული. გადმოცემათა თანახმად, ამ ფილებში ბუდას სხვადასხვა რელიკვია ინახებოდა. გარედან ისინი შემოსაზღვრული იყო ოთხალაყაფიანი გალავნებით. საინტერესოა, რომ ეს ალაყაფები სამყაროს ოთხ მხარესთან ერთად, ბუდას ცხოვრების გზას მიუთითებდა. დაბადებას (აღმოსავლეთი), გასხივოსნებას (სამხრეთი), ქადაგებას (დასავლეთი) და ნირვანას (ჩრდილოეთი). გალავანთა კედლები საოცარი ოსტატობით შესრულებული რელიეფებით იყო გაფორმებული. მთელ ინდოეთის ტერიტორიაზე ბუდასადმი მიძღვნილი ათასობით ფილა იქნა აგებული, რომელთაგან კლასიკურ ნიმუშად მიჩნეულია სანჩაში აგებული ფილა (ძვ. წ. 250 წ.), მისი სიმაღლე დაახლოებით 23

მეტრია, ფუძის დიამეტრი — 36. სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული თვალსაზრისით, ფილები ვედური სამარხებიდან იღებს სათავეს. ბუდისტური არქიტექტურის სხვა სახეობაა სტამბები — ქვის მემორიალური სვეტები (დაახლოებით 15 მ. სიმაღლის), რომელთა თაავზე წმინდა ცხოველის ქანდაკება იდგა, ზედაპირი კი ბუდისტური შინაარსის წარწერებით იყო დაფარული. მათი ძირითადი ნაწილი ძვ. წ. III საუკუნეშია აგებული. ისინი ისეთ ადგილებში იდგმებოდა, რომლებიც ბუდიზმის ისტორიაში რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენით იყო აღსანიშნავი. ყველზე მეტად ცნობილია მეფე აშოკის მიერ აგებული "ლომის კაპიტელი" (ქ. ბენარესის ახლოს), რომელიც ინდური ხელოვნების შედევრს წარმოადგენს და ამიტომაც ის ინდოეთის სახელმწიფო გერბი გახდა.

ფილებსა და სვეტებთან ერთად, ძველ ინდურ არქიტექტურაში გავრცელებული იყო გამოქვაბულთა ნაგებობები. ეს განპირობებული იყო იმით, რომ ბუდა თაეის მოწაფეებს მოუწოდებდა გარიდებოდნენ ხმაურიან ცხოვრებას, ამიტომაც მისმა მიმდევრებმა ტაძრების აგება მძიან ადგილებში, გამოქვაბულებში დაიწყეს. ამ ტიპის ნაგებობათა შეჭედვრებად აჯანტის და ელორის კომპლექსებია აღიარებული. აჯანტის კომპლესი, რომელიც 29 გამოქვაბულს აერთიანებს, განსაკუთრებით სახელგანთქმულია შესანიშნავი ფრესკებით. ისინი გამოსახავენ ბუდას ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდს, მითოლოგიურ სიუჟეტს, ცეკვის, ნადირობის სცენას, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი ხდება ძველი ქალაქების არქიტექტურის, ხალხის ჩაცმულობის, საიუველირო საკეთობების, სხვადასხვა აღჭურვილობის, წეს-ჩვეულებების შესწავლა. ჭაძართა ეასადებს ბუდას და მისი მოწაფეების მრავალრიცხოვანი ქანდაკება ამშვენებდა. საყურადღებოა, რომ აჯანტის ფრესკები საოცარ მსგავსებას ამჟღავნებს ჩინეთის გამოქვაბულთა ტაძრებთან (დუნხუანი), რომლებიც ერთსა და იმავე დროს მიატოვეს და დიდი ხნის მანძილზე დავიწყებას მიეცა. ინდოელი მკვლევარები აჯანტი და დუნხუანის ბუდისტურ სიუჟეტებში არამხოლოდ მსგავსებას ხედავენ, არამედ ორი უძველესი კულტურის მჭიდრო ურთიერთკავშირის ანარეკლს.

სკულპტურის განვითარება ინდოეთში ისევ და ისევ ბუდისტურ ძეგლებს უკავშირდება. ახ. წ. I საუკუნეში ინდოეთში ბუდას გამოსახულებები გამოჩნდა, რომლებიც რაიმე დაკანონებული ფორმით ჯერ არ იყო შეზღუდული. როგორც ცნობილია, ბუდა მრავალსახოვანი ღმერთია და ამდენად, სხვადასხვა სახით (სანსკრიტულად — ავათარა)

გამოისახებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც ბუდიზმი ინდოეთი საზღვრებს გასცდა. ბუდას კლასიკურ პოზად კი მიღებულია ლოტოსის ყვავილზე ფერხთმორთხმით მჯდარი ბუდა. ბუდისტური სკულპტურის თვალსაზრისით, ყველაზე მაღალგანვითარებული და გამორჩეული იყო წ. განდჰარის სკოლა (ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთი), სადაც ანტიკური და შუააზიური ტრადიციები იყო შერწყმული. ელინისტური გავლენა დასავლეთის იმ რეგიონები შეინიშნებოდა, რომლენიც ალექსანდრე მაკედონელმა დაიპყრო. ახ. წ. პირველივე საუკუნეებში, როდესაც მხატვრულ-გამომსახველობითმა კანონებმა ტრადიციულ-ეროვნული შტრიხები დაიმკვიდა, ბუდას გამოსახვა მკაცრად დაკანონებული ნორმებით დაიწყო (უმცირესი დეტალიც კი ზუსტად იყო გათვლილი), რომელთაგან გადახვევა დაუშვებელი იყო. რაც შეეხება ელორის ტაძრებს, ისინი ერთი მთლიანი კლდის მონოლითიდან იყო ამოკვეთილი (გამოთლილი), ამდენად, ერთიან სკულპტურად წარმოადგენენ და არა ნაგებობების კომპლექსს. ელორის ძეგლები ჩრდილო და სამხრეთ ინდოეთის ტრადიციები ორგანულადაა ერთმანეთთან შერწყმული. როგორც ირკვევა, მათ სამი რელიგიის მიმდევარნი ქმნიდნენ: ინდუისტები, ბუდისტები და ჯაინები, რამაც საბოლოო ჯამში შესანიშნავი შედეგი გამოიღო; ელორის კომპლექსი სხვადასხვა ხალხთა და რელიგიათა მრავალფეროვან ხელოვნებას წარმოაჩენს. კერძოდ, ელორის ბარელიეფები მსგავსებას ამჟღავნებს აჯანტის ბუდისტურ ხელოვნებასთან, სპილოების სტილიზებული ფიგურები კი ძველი სპარსეთის გავლენაზე მეტყველებს. ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, შუამდინარეთისა და ეგვიპტის სკულპტურისა და არქიტექტურის მიღწევები შეითვისა. მთლიანობაში კი ეს დეკორატიული სიმდიდრე ინდური ხელოვნების ნამდვილ ენციკლოპედიას წარმოდგენს.

ძველი ინდური კულტურის ბოლო ეტაპი ახ. წ. IV საუკუნეში დაიწყო, ხელისუფლების სათავეში ჰუფთების დინასტიის (320-535 წწ.) მოსვლით, რომელიც ერთგვარი პრელუდია იყო ინდოეთის შუა საუკუნეების ისტორიისათვის. .ჰუფტების ეპოქა კულტურის საოცარი აღმავლობა-აყვავებით ხასიათდება. ეს თანაბრად ეხება ლიტერატურას, თეატრს, სახვით ხელოვნებას, არქიტექტურას. ტყუილად როდი ეწოდება მას ინდური ხელოვნების "ოქროს ხანა". სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა სანსკრიტული პოეზიისა და დრამის "კლასიკური პერიოდიც", რითაც ძველი ინდური ლიტერატურის განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა

დასრულდა. როგორც ზემოთთქმულიდან ჩანს, ძველი ინდური კულტურა კარჩაკეტილობით არ გამოირჩეოდა. სათანადო სინთეზის შედეგად, ის სხვა ხალხთა მიერ შექმნილ ფასეულობებს ითავსებდა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ელინური და ირანული (წინა ისლამური და მომდევნო ხანებში ისლამური) გავლენა. ამასთანავე, თავად ინდოეთმა უდიდესი გავლენა მოახდინა სხვა კულტურათა ჩამოყალიბებაზე, უწინარეს ყოვლისა, ეს აზიის სახელმწიფოებს (აღმოსავლეთ ირანი, ჩინეთი, კორეა, ნეპალი, ტიბეტი, ინდონეზია, იაპონია) ეხება.

ჩინური კულტურა

მსოფლიო ცივილიზაციათა და კულტურათა საგანძურში ჩინეთს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ჩინური კულტურა ერთ-ერთი უძველესია, ამასთან, უაღრესად თვითმყოფადი და განუმეორებელი. ინდურისაგან განსხვავებით, ის უფრო რაციონლური და პრაგმატულია, ამდენად, ის უმთავრესად რეალური, მიწიერი ცხოვრების ფასეულობებისაკენ არის მიმართული. ჩინური კულტურისათვის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ მასში უდიდესი და განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება ტრადიციებს, რიტუალებს, ადათ-წესებს, სხვადასხვა ცერემონიებს. აღსანიშნავია, აგრეთვე, ჩინური კულტურის თავისებური მიმართება რელიგიასა და ბუნებასთან. ისე როგორც სხვა რელიგიებში, ჩინურ წარმოდგენებში, უპირველეს ყოვლისა, ბუნების ძალები და წინაპართა სულებია გაღმერთებული. ჩინელები უმაღლეს ღვთაებად ცას მიიჩნევდნენ და ამიტომაც თავიანთ ქვეყანას ცისქვეშეთი უწოდეს. ისინი უძველესი დროიდან ეთაყვანებოდნენ მზისა დ სხვა მნათობთა კულტს, მთებს, წყლებს და ა.შ. რაც შეეხება ძველ ჩინურ მითოლოგიას, მისთვის დამახასიათებელი იყო მითოლოგიური პერსონაჟების რეალურ მოღვაწეებად გადაქცევა, რომლებიც ვითომცდა შორეულ წარსულში ცხოვრობდნენ.

არც ერთ სხვა ქვეყანაში არ გვხვდება კულტურის ისეთი ესთეტიზაცია და პოეტიზაცია, როგორც ეს ჩინეთშია. სწორედ ამიტომ, თავდაპირველად იქ აღმოცენდა პეიზაჟური ფერწერა, ლირიკა

და არქიტექტურა. შეიძლება ითქვას, რომ "პეიზაჟური" ხედვა ჩინეთში ცხოვრების ყველა მოვლენასა და საგანზე გავრცელდა. ამ თვალსაზრისით ჩინურ კულტურას ბადალი არ მოეძებნება. ჩინური ხელოვნების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მასში პოეზიას, ფერწერასა და კალიგრაფიას შორის არ არსებობს ის ზღვარი, რომელიც ხელოვნების ამ დარგებს ერთმანეთისაგან გამოაყოფს. ხსენებულმა ტრიადამ ჩინეთში ერთიანი ხელოვნების ტრადიციული ფორმები შექმნა, რომელშიც ამ ხელოვნების მოღვაწეთა ყველა სულიერი შრე გამოიყენება. პოეზიის, ფერწერის და კალიგრაფიის ტრიადა ხასიათდება თავისებური ჰარმონიული ურთიერთობითა და სიღრმისეული ერთიანობით.

ჩინური კულტურა დიდი მდინარის, ხუანხეს აუზში ჩაისახა. ესაა ძალზე ჭირვეული მდინარე, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ხშირად იცვლიდა კალაპოტს, დიდდებოდა, უზარმაზარ ფართობებს ტბორავდა და ნათესებს ანადგურებდა, ხან კი საოცრად მშვიდი და მიმზიდველი ხდებოდა. ეს ყველაფერი, ცხადია, გავლენას ახდენდა რეგიონში კულტურის განვითარებაზეც. გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ჩინეთი უძველესი დროიდანვე საკმაოდ მდიდარი ფლორითა და ფაუნით გამოირჩეოდა. ჩინეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ყველაზე ადრინდელი კულტურის ძეგლები ძვ.წ. V-III ათასწლეულს განეკუთვნება. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩინური ცივილიზაცია უფრო გვიან ჩაისახა, ვიდრე ეგვიპტეში, შუმერსა და ინდოეთში, კერძოდ, XV. წ. II ათასწლეულში, ჩინელებმა საირიგაციო სისტემის შექმნა მხოლოდ I ათასწლეულის შუა ხანებში დაიწყეს. ამ პერიოდამდე კი ჩინური ცივილიზაცია იზოლირებულად არსებობდა, სხვა ძველი ცივილიზაციებისაგან მოწყვეტილად.

ძველი ჩინური კულტურა მოიცავს პერიოდს ძვ.წ. II ათასწლეულიდან ახ. წ. 220 წლამდე, როდესაც ხანის იმპერია (ძვ.წ. 206-ახ.წ. 220) დაიშალა. მისი უშუალო წინამორბედი იანშაოს კულტურა იყო (ძვ.წ. III ათასწლეული), რომელიც გვიან ნეოლითის ხანას წარმოადგენდა. უკვე იმ ეტაპზე ჩინელები აშინაურებდნენ ცხოველებს, აგებდნენ საცხოვრებლებს, ფლობდნენ ხელოსნობის სხვადასხვა დარგს, პიქტოგრაფიულ დამწერლობას. განსაკუთრებით მაღალ დონეს იმ დროისათვის თიხის წარმოებამ მიაღწია, მრავალფეროვანი კერამიკის ჭურჭელი დაფარული იყო რთული

გეომეტრიული ორნამენტებით, რომბებით, სპირალებით, წრეებით და ა.შ.

III ათასწლეულის დასაწყისში ჩინელებს უკვე ჰქონდათ პიქტოგრაფიული დამწერლობა, რომლებიც დამოუკიდებლობით და ორიგინალურობით ხასიათდებოდა. ისე როგორც ეგვიპტეში, ჩინეთშიც თავდაპირველად პიქტოგრაფიიდან ლოგოგრაფიაზე გადასვლა მოხდა, მსგრამ ცალკეული სიტყვები პიქტოგრამებით გამოისახებოდა. შემდეგ ინსინი გამარტივდა და გამოისახებოდა უკვე არა მთლიანად საგანი, არამედ რომელიმე მისი დამახასიათებელი სიმბოლო-ნიშანი. ამის საფუძველზე იეროგლიფთა რაოდენობა გაიზარდა, კერძოდ, შანის (ანგიეე ინის) ეპოქაში მათმა რიცხვმა 50 ათას მიაღწია. წერის მიმართულება სვეტისებური იყო — ზევიდან ქვევით. თავდაპირველად საწერად ქვა, ლითონი, ძვალი და ბამბუკი გამოიყენებოდა, წერის ნიშნები კი მეტალის ჩხირებით იკვეთებოდა.

ძვ. წ. II ათასწლეულში, კლასობრივი საზოგადოების, ცივილიზაციის წარმოქმნასთან ერთად, ჩინურმა კულტურამ ღრმა ცვლილებები განიცადა. ამ პერიოდში პირველყოფილი თემური წყობილების რღვევისა და ადრეკლასობრივი სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და პირველი ამ თვალსაზრისით იყო ქალაქი-სახელმწიფო შანი (ტომის სახელწოდების მიხედვით), რომელი დაახლოებით ძვ.წ. 1650-1027წწ. არსებობდა. ამ ქალაქის ნანგრევები მეტყველებს, რომ იგი ზუსტი დაგეგმარებით გამოირჩეოდა, გარშემორტყმული იყო თიხის სქელი კედლით, ქალაქის ცენტრში კი ამაღლებულ ადგილას მმართველის (ჩინურად — ვანი) სასახლე იყო, რომელიც თხის სვეტებს ეყრდნობოდა. მასში აღმოჩენილია ქვისაგან დამაზარებულ ადამიანთა და ცხოველთა ფიგურები; წითელ, შავ და თეთრ ფერებში შესრულებული კედლის ფრესკები. შანის ეპოქაში ჩინელებმა გამოიგონეს ბრინჯაოს ჩამოსხმის ინდუსტრიული ტექნიკა, იეროგლიფური დამწერლობა. საერთოდ, ამ კულტურიდან ჩვენამდე დიდი როდენობის მატერიალური კულტურის ძეგლებმა მოაღწია; ისინი ნათლად მეტყველებენ, რომ დაწყებული იყო მოსახლეობის შეცხოველეობასა და მიწათმოქმედებაზე გადასვლა, იწყებოდა ცენტრალიზაციის პროცესი, რომლის შედეგდაც მეფეს მიენიჭა "ცის შვილის" ტიტული. რა შეეხება წარმოების საშუალებებს და იარაღებს, მათ დასამზადებლად ჩინელები უკვე არა მხოლოდ ქვას

იყენებდნენ, არამედ ძვალს, სპილენძს და ბრინჯაოს. განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა ბრინჯაოსაგან დამზადებული ნაკეთობები, რომლებიც ლამაზი გეომეტრიული ორნამენტებითა და ცხოველთა პორელიეფებით იყო მორთული. ამგვარი ჭურჭელი მსხვერპლთშეწირვისათვის იყო განკუთვნილი წინაპართა სულებისა და ბუნების ძალებისათვის. ყველა ტოტემურ ცხოველთა შორის ადამიანის მთავარ მფარველებად ვეფხვი, ცხვარი და დრაკონი იყო მიჩნეული.

იმავე პერიოდში საგრძნობლად რთულდება რელიგიურ-ფილოსოფიური წარმოდგენები სამყაროზე, კერძოდ, ძლიერდება რწმენა იმქვეყნიურ ცხოვრებაზე და შესაბამისად, წინაპართა კულტის მნიშვნელობაც. აქედან გამომდინარე, გართულდა მიცვალებულთა დამარხვის წესები, რასაც სამარხებში აღმოჩენილი ბრინჯაოს, კერამიკის, ნეფრიტისაგან დამზდებული, უამრავი ნივთი ადასტურებს, რომლებიც თითქოსდა აუცილებელი იყო იმქვეყნიურ ცხოვრებაში.

ძვ.წ. I ათასწლეულში ჩინეთის ცხოვრების ყველა სფეროში ძალზე მნიშვნელოვანი ძვრები და ცვლილებები მიმდინარეობდა. XII საუკუნეში შანის სამეფო დასავლეთიდან შემოჭრილმა ჯოუს ტომებმა დაიპყრეს და დასავლეთ ჯოუს სახელმწიფო დააარსეს (ძვ.წ. 1027-256). მისმა მმართველებმა დაიტოვეს ძველ ჩინელ ხელმწიფეთა ტიტული "ვან". ამ დროისათვის იმპერატორის ხელისუფლების დაკანონების და ქვეყნის ცენტრალიზაციის მიზნით, პირველად იქნა გამოყენებული მისი ციური წარმოშობის იდეა, იგი უმაღლესი ღვთაების — ცის შვილად და ცისქვეშეთის მფლობელად გამოცხადდა. იმპერატორს (იგივე ხელმწიფეს) მიეწერებოდა მაგიური ძალა — დე, რაც მას შუამავლად ხდიდა ცასა და ადამიანებს შორის. I ათასწლეულის შუახანებში ქვეყანაში აღმოცენდა ახლი სავაჭრო ცენტრები, გაიზარდა ქალაქთა მოსახლეობის რიცხვი, მაღალ დონეს მიაღწია ლითონის, კერძოდ, რკინის დამუშავებამ, გაჩნდა მეტალის ფულის მონეტები. საგრძნობი აღმავლობა დაეტყო ხელოსნობა-ვაჭრობის განვითარებას, გაჩნდა ჰიდროტექნიკური ნაგებობები. აღსანიშნავია, რომ ჯოუს სახელმწიფოში პირველად გამოჩნდა ნახატი აბრეშუმზე (ქალი, რომლის თავზეც დრაკონი და ფენიქსი იბრძვიან). XI-VI საუკუნეებში შეიქმნა სიმღერებისა და ჰიმნების პოეტური

კრებული "შინ ძინ". მასში ჩადებული ეთიკური კანონები შემდგომში დასრულებული სახით კონფუციონიზმში გაფორმდა.

ყველა ზემოხსენებულ პროცესს საგრძნობლად უშლიდა ხელს და ამუხრუჭებდა ქვეყანაში მიმდინარე გაუთავებელი ომები დამოუკიდებელ სამეფოებს შორის. ამ პერიოდს 'მეომარ სამეფოთა ეპოქას" (ჩინურად — ჩჯანგო) უწოდებენ და იგი მოიცავს ძვ.წ. V-III საუკუნეებს. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ცინის სამეფო[1], რომლის ხელშიც საბოლოოდ აღმოჩნდა ქვეყნის გაერთიანების სადავეები. ამ დინასტიას საფუძველი ჩაუყარა ინ ჩჯენმა (221-210 წწ.), რომელმაც იმპერატორის ტიტული (ჩინურად — ხუანდი) მიიღო. იმპერატორის სიმბოლოდ და მფარველად მან დრაკონი შეარჩია. სწორედ მის დროს აიგო ჩინეთის დიდი კედლის ძირითადი ნაწილი. ეგვიპტის პირამიდების მსგავსად, იგი ჩინური ერთიანი კულტურის სიმბოლოდ იქცა. მისი მშენებლობა საბოლოოდ მომდევნო, ხანის დინასტიის (ძვ. წ. 206-ახ. წ. 220 წწ.) მმართველობის პერიოდში დასრულდა. ძირითადად დიდი კედელი (მისი სიგრძე და დაახლოებით 6000 კმ-ია) ქვეყანას მტრისაგან იცავდა, გარკვეულ ადგილებში კი მას ალაყაფის კარები ჰქონდა გაკეთებული — მეზობელ მომთაბარე ტომებთან სავაჭროდ. კედელი ასევე იცავდა ჩინეთს გარეშე ზეგაელენისაგან, ჩინურ კულტურას უცხო თვალისათვის დაფარულსა და ჩაკეტილს ხდიდა. ძვ.წ. 206 წელს ცინის დინასტია ხანის დინასტიამ შეცვალა, რომელიც შიდა ომებისა და გლეხთა აჯანყებების ქარცეცხლში ახ. წ. 220 წელს დაიშალა. ამ დროიდან მოყოლებული ჩინეთი ისტორიისა და კულტურის განვითარების სხვა ეპოქაში გადადის.

ცინის დინასტიის პერიოდში ჩინეთის სახელმწიფო არნახულ სულიერ და ინტელექტუალურ აღმავლობას განიცდიდა. ისე როგორც ყველა "მდინარულ ცივილიზაციებში", ჩინეთში განსაკუთრებულ განვითარებას მათემატიკამ და ასტრონომიამ მიაღწია; შეიქმნა მზისა და მთვარის კალენდრები, შედგა ვარსკვლავთა კატალოგები, გამოთვლილი იქნა მთვარის დაბნელება. სამეცნიერო ცოდნის აღმავლობა, თავის მხრივ, რელიგიურ-მითოლოგიური აზროვნების შესუსტებას იწვევდა. ეს ეპოქა ჩინური ფილოსოფიის ოქროს ხანად იქცა, ვინაიდან სწორედ მაშინ

[1] ეს სახელმწიფო საფუძვლად დაედო ჩინეთის აღმნიშვნელ სახელწოდებას ევროპულ ენებში: ლათინურში — სინე, ფრანგულში — შინ, გერმანულში — ჰინ, ინგლისურში — ჩაინა.

წამოყალიბდა ძირითადი ფილოსოფიური მიმდინარეობანი: კონ-ფუციონიზმი, დაოსიზმი და ლეგიზმი.

კონფუციონიზმის ფუძემდებელია დიდი ჩინელი ფილოსოფოსი კონფუცი (ძვ.წ. 551-479 წწ.), რომელსაც ჩინეთში უფრო ხშირად კუნ-ძის (ჩინურად – მასწავლებელი კუნი) სახელით მოიხსენიებენ. მან თავისი მოძღვრების თემად არა ყოფიერებისა და ცნობიერების თემა, არამედ ადამიანთა შორის ურთიერთობა აირჩია წესრიგის, სოციალური ჰარმონიისა და მშვიდობის დამყარების გზას იგი საუკუნოვანი ტრადიციებისა და ადათ-წესების აღდგენაში ხედავდა. კონფუცის მიერ წამოყალიბებული მოძღვრება თავისი არსით რელიგიისა და ფილოსოფიის საზღვრებს სცდებოდა და, ამდენად, ადამიანის მთელი ცხოვრების საფუძველს ქმნიდა. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ კონფუციონიზმი გაბატონებული კლასების ინტერესებს გამოხატავდა. კონფუცი წინააღმდეგი იყო ყოველგვარი სიახლისა და რეფორმებისა. სწორედ წარსულში, დავიწყებულ ძველ სიბრძნეში ეძებდა იგი აწმყოს პრობლემათა გადაწყვეტის გასაღებს. მისი აზრით, წარსულის გამოცდილების ათვისება უნდა დაეხმაროს ადამიანს იმაში, რომ იპოვოს თავისი ადგილი ცხოვრებაში და შეიგნოს მარტივი ჭეშმარიტება: მეფე უნდა იყოს მეფე, ბატონი უნდა იყოს ბატონი, მამა უნდა იყოს მამა, ღარიბი უნდა იყოს ღარიბი და ა.შ. კონფუცი საყოველთაო კანონად მიიჩნეოდა უფროს-უმცროსებს, მამებსა და შვილებს, მდიდრებსა და ღარიბებს შორის მკაცრად დაკანონებული ნორმებით დამყარებულ ურთიერთობებს. კონფუციონიზმის ეთიკის ძირითადი პრინციპია ენინის (ჰუმანურობის) ცნება – ადამიანთა ურთიერთობების უმაღლესი კანონი. ენი მიიღწევა ზნეობრივი თვითსრულყოფის გზით, ე.წ. ლის (ეტიკეტის) დაცვის საფუძველზე. იგი ემყარება ასაკითა და მდგომარეობით უფროსის პატივისცემას, ხელმწიფისადმი ერთგულებას და ა.შ. კონფუციონიზმში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჰუმანური მართვის საკითხებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ხელმწიფეს ხალხზე უნდა ემოქმედა არა ძალისმიერი მეთოდებითა და დასჯით, არამედ მაღალზნეობრივი საბინოებით.

კონფუციონიზმმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ძველი ჩინური განათლების სისტემის შექმნაში, სადაც უპირატესობა ჰუმანიტარულ მეცნიერებებს ენიჭებოდა. ამ სისტემის წყალობით ჩინეთში განათლების მოხელეთა ფართო ფენა შეიქმნა, რომელიც პრივილეგირებულ ელიტას წარმოადგენდა. საერთო ჯამ-

ამი კონფუციონიზმი ხელს უწყობდა ჩინური კულტურული ეთნოცენტრიზმის გაძლიერებას.

დაახლოებით კონფუციონიზის თანადროულად ჩინეთში შეიქმნა ასევე დიდმნიშვნელოვანი რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა დაოსიზმი, რომლის ფუძემდებელია კონფუცის უფროსი თანამედროვე ლაო ძი (დაიბადა ძვ.წ. 604წ.) მის მოძღვრებას საფუძვლად უდევს გზის – დაოს იდეა, ანუ მოძღვრება "ბუნების გზაზე" და სამყაროს მუდმივ ცვალებადობაზე. დაოსიზმის თანახმად, დაო როგორც უმაღლესი აბსოლუტი ყველგან და ყველაფერში, მუდამ და უსასრულოდ ბატონობს. ის არის ყველაფერის საწყისი, დაოს შეცნობა და მისი კანონებით ცხოვრება არის სწორედ სიცოცხლის არსი და მიზანი. ლაო ძი ამგვარ ფორმულირებას უკეთებდა თავის კრედოს: "ადამიანი ცის კანონებს ემორჩილება, ცა დაოს კანონებს, დაო კი — თავის თავს". აღსანიშნავია, რომ დაოსიზმმა ბევრი რამ ინდური იოგასა და ბუდიზმისაგან გადაიღო, კერძოდ, ფიზიკური და სუნთქვის კონტროლიშების სისტემა. ამ თვალსაზრისით, მისი მიმდევრებისათვის საბოლოო მიზანი უკვდავების მიღწევაა. დაოსიზმი უარყოფს ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას, ყოველდღიურ ფუსფუსს და ა.შ. ადრეული დაოსიზმი ხასიათდებოდა თანასწორობის, სიმდიდრის გაკიცხვის ქადაგებით და დაუკმაყოფილებლობის გრძნობით სინამდვილისადმი. ეს სარწმუნოება, ყველა სხვა ჩინურ რწმენათა შორის, ყველაზე ახლოს იდგა უბრალო ხალხის წარმოდგენებთან და ამიტომაც მას იმთავითვე უამრავი მიმდევარი გამოუჩნდა. საბოლოო ჯამში, სწორედ დაოსიზმმა შეასრულა გადამწყვეტი როლი ბუნების ესტეტიზაციასა და პოეტიზაციაში, რაც ჩინურ კულტურაში ბუნებასთან ადამიანის ურთიერთობის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად იქცა.

"სიკეთე მიაგე მოძულესა შენსას" – ქადაგებდა ლაო ძი. აღსანიშნავია, რომ დაოსიზმის ბევრი მცნება ქრისტიანობის ათ მცნებას ემთხვევა. ამდენად, მეცნიერებაში არსებობს მოსაზრება, რომ ამ მოძღვრებებს გარკვეულ მსგავსებათა გამო, შესაძლოა საერთო საფუძველიც ჰქონდეს. აღსანიშნავია, რომ ამ გარემოებას ლევ ტოლსტოიც უსვამდა ხაზს.

ლაო ძის ფილოსოფიური თხზულება "დაო დე ძინი", ანუ "წიგნი გზისა და სათნოებისა" პირველ ჩინურ პოეტურ ქმნილებადაა მიჩნეული. ჩინელებმა ამ ნაშრომს გადმოპირქვავებული პირამიდის

წვერი უწოდეს, ოცდახუთი საუკუნის წინ სწორედ მის საფუძველზე აღმოცენდა დაოსიზმი. ცნობილია, რომ ლაო ძი კონფუციის უფროსი თანამედროვე იყო (მასზე 50 წლით უფროსი). იგი არ ცნობდა კონფუციის ფილოსოფოსად და, ცხადია, არც მის მოძღვრებას იზიარებდა. ძველი ჩინური გადმოცემების თანახმად, კონფუციისა და ლაო ძის შეხვედრა ძვ.წ. 517 წელს მოხდა, როდესაც კონფუცი უკვე ღრმად მოხუცებულ ლაო ძის ეწვია ფილოსოფიურ საკითხებზე და ადამიანის ქცევის ნორმებზე სასაუბროდ. მაგრამ ლაო ძიმ უხალისოდ მიიღო იგი, დიდხანს უსმინა თურმე და ბოლოს მიუგო: "შენი ქმედება მაგონებს კაცს, დაფდაფებს რომ სცემს და თავად იუბედურებს თავს. მოძღვარო, ამით მხოლოდ აწუხებ ხალხს!" ამ შეხვედრის შემდეგ ორი ფილოსოფოსი კიდევ უფრო დაუპირისპირდა ერთმანეთს თავიანთი მოძღვრებებით, ვინიდან მათი არსი სრულიად საპირისპირო იყო.

ჩინური კულტურის განვითარებაზე ასევე დიდი გავლენა მოახდინა ფილოსოფიურმა მიმდინარეობამ — ლეგიზმმა, რომელიც თავდაპირველად კონფუციონიზმის ოპონენტად გამოდიოდა, მაგრამ მოგვიანებით თითქმის მთლიანად შეერწყა მას. კონფუციონიზმისაგან განსხვავებით, ძლიერი სახელმწიფოს შექმნის კონცეფციაში ლეგიზმი ეყრდნობოდა არა მორალს და ტრადიციებს, არამედ მკაცრ და შეუბრალებელ კანონებს; მისთვის პოლიტიკა შეუთავსებელი იყო მორალთან. ლეგისტებისათვის ადამიანის და სახელმწიფოს მართვის მთავარი მეთოდები იყო ძალადობა, უმკაცრესი დისციპლინა, მკაცრი სასჯელები, პირდი პასუხისმგებლობა და ა.შ. მათ შეიმუშავეს დესპოტური სახელმწიფოს კონცეფცია, რაც კონფუციონელთა შესწორებებით რეალიზებულ იქნა ძველ ჩინეთში და მცირე სახეცვლილებებით XX საუკუნის დამდეგამდე იარსება.

ძველ ჩინურ ფილოსოფიურ სკოლათა შორის აღსანიშნავია, აგრეთვე, მოიზმი, რომლის ფუძემდებლად მიჩნეულია მო ძი (475-395 წწ.) თავისი მოძღვრების მთავარ თემად მან "ზოგადსაკაცობრიო სიყვარულის" პრინციპი აქცია, რაც კონფუციონიზმის ჰუმანურობის იდეას ეწინააღმდეგებოდა. მოიზმის მიმდევართათვის უმთავრესი "ცის ნება" იყო. ისინი კიცხავდნენ ფუფუნებას, აკრიტიკებდნენ თანამდებობებისა და წოდებების Ძემკვიდრეობითობას. მოიზმმა მხოლოდ ორი საუკუნე იარსება, ამის მიზეზები ისტორიოგრაფიაში დაზუსტებული არაა. როგორც ჩანს, უფრო ძლიერი და ღრმა

ფილოსოფიურ-რელიგიურ მოძღვრებებთან დაპირისპირება მას არ ძალუძდა.

ზემოჩამოთვლილ ფილოსოფიურ-რელიგიურ მიმდინარეობათა შორის ჩინურ კულტურაზე უდიდესი გავლენა მოახდინა გარედან, კერძოდ, ინდოეთიდან შეჭრილმა რელიგიამ — ბუდიზმმა. ჩინეთში ბუდიზმმა გავრცელება დაიწყო ახ.წ. I–II საუკუნეებში და IV საუკუნეში ის სახელმწიფო რელიგიადაც გამოცხადდა.

რაც შეეხება მხატვრულ კულტურას — "მეომარ სამეფოთა ეპოქა" ხასიათდება მნიშვნელოვანი სიახლეებით. შეიქმნა პირველი ტრაქტატი არქიტექტურაში — "ჯოული", რომელშიც ჩამოყალიბებული იყო ქალაქების დაგეგმარების მკაცრი პრინციპები: ზომები, ქუჩების, გზების და ნაგებობების მდებარეობის ზუსტი მითითებებით. ამავე პერიოდში დასრულდა ცნობილი ლიტერატურული ნაწარმოები "სიმღერათა წიგნი" — შიძინი (იგი იწერებოდა XI-VI სს. განმავლობაში), რომელიც სამას სიმღერასა და ლექსს შეიცავდა, მათი შერჩევა და რედაქტირება კონფუცის მიეწერება. იქმნებოდა ასევე შესანიშნავი პოეტური ქმნილებები, რომელთა ავტორებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ძვ. წ. III საუკუნეში მოღვაწე ცუი იუანი და სუნ იუი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ხანის ეპოქა ძველი ჩინეთის ისტორიის დამასრულებელ ეტაპს წარმოდგენს. ეს იყო ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო იმ ეპოქის დასავლურ და აღმოსავლურ ხამყაროში; მისი ბატონობის დროს გაიზარდა მოსახლეობა (დაახლოებით 60 მილიონამდე), ქალაქთა როდენობა და მათი მნიშვნელობა კულტურულ ცხოვრებაში. საერთო ჯამში, ამ პერიოდის ჩინეთი ჭეშმარიტად სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ აყვავებას განიცდიდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია აბრეშუმის წარმოება, რაშიც ჩინეთი აბსოლუტურ მონოპოლიას ფლობდა. მეზობელი ქვეყნები ამაოდ ცდილობდნენ აბრეშუმის ტექნოლოგიის საიდუმლოს გახსნას. ძვ. ს. I საუკუნისათვის აბრეშუმის წარმოების მოცულობა იმდენად გაიზარდა, რომ ჩინური ექსპორტის უმთავრეს საქონლად იქცა. იგივე შეიძლება ითქვას ლაქის წარმოებაზე, რაშიც ჩინელ ოსტატებს ბადალი არ მოეპოვებოდათ. ლაქით დამშვენებულ იარაღზე, ხის ნაწარმზე, ქსოვილებზე უდიდესი მოთხოვნილება იყო როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ეს განპირობებული იყო იმით, რომ ხსენებულ პერიოდში ჩინურ მხატვრულ ხელოსნობაში უაღრესად

დახვეწილი სტილი დამკვიდრდა, რაც შემდგომი ეპოქების ძირითად სტილისტურ მახასითებლად იქცა. სხვადასხვა ნაკეთობის ლაქით დამუშავებასთან ერთად, დიდი წარმატებით ვითარდებოდა ძვირფასი ქვებისა და ფერადი ლითონების ინკრუსტაცია, ოქრო-ვერცხლის, ნეფრიტის სამკულების დამუშავება.

ცინისა და ხანის ეპოქებში იმპერიას მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა სხვა სახელმწიფოებთან. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ როლს აბრეშუმის დიდი გზა ასრულებდა, რომელიც 7000 კილომეტრზე იყო გადაჭიმული (მოგვიანებით მისმა სიგრძემ 12 ათას კმ-ს მიაღწია). იგი ძვ.წ. II საუკუნეში იქნა გაყვანილი და იმ დროიდან მოყოლებული ამ გზაზე დატვირთული სავაჭრო ქარავნები მიემართებოდა შუა აზიაში, ინდოეთში, ირანში, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში და სხვ. აბრეშუმის გარდა, ჩინეთს საერთაშორისო ბაზარზე გაჰქონდა რკინა, ნიკელი, ძვირფასი მეტალები ბრინჯაოს და კერამიკის ნაკეთობები. დასავლეთიდან ჩინეთში კი შეჰქონდათ: შუშა, სპილენძი, კალა, ჭურჭელი. ახალი საზღვაო "აბრეშუმის გზა" აღმოჩენილ იქნა ძვ.წ. 100 წელს ბერძნული ხომალდის კაპიტანის ჰიპალოსის მიერ. ეს გზა უფრო ეკონომიკური იყო და ამიტომ, მან სწრაფად დაიწყო განვითარება.

ჩინელთა უდიდესი მიღწევაა ქაღალდის გამოგონება (ძვ. წ.II-I სს.), რამაც გადატრიალება გამოიწვია მთელი ჩინეთის კულტურულ ცხოვრებაში. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო იეროგლიფური დამწერლობის სრულყოფა, რომელიც შემდეგ იაპონიაში, კორეასა და ვიეტნამში გავრცელდა. ძვ. წ. V-VI საუკუნეებში ჩინელებმა აბრეშუმზე დაიწყეს წერა, მაგრამ ეს მასალა ძალიან ძვირი იყო, ქაღალდის გამოგონება მიეწერება ცაი ლუნს, რომელიც ძონძებისაგან, ბამბისაგან, ხის ქერქისა და კანაფისაგან ამზადებდა მას. იმთავითვე ქაღალდის გამოყენება დაიწყეს ფრანების, ფანრების, ნიღბების, მარაოების, ქოლგების, შირმების დასამზადებლად, რომლებიც საოცარი სინატიფით და სილამაზით გამოირჩეოდნენ.

ცივილიზაციის განვითარებისათვის მთლიანობაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჩინელთა მიერ წიგნის ბეჭდვის გამოგონებას. ჯერ კიდევ ძვ. წ. V-IV საუკუნეებში მათ ხის გრავიურებიდან სხვადასხვა ხატების, ამულეტების ბეჭდვა დაიწყეს. საბეჭდი ფორმების მასალებად ხე და ქვა გამოიყენებოდა. ამ პროცესს მოჰყვა ბიბლიოთეკების ფორმირება ჩინეთში; ჩინელ იმპერატორთა

ბიბლიოთეკები განთქმული იყო სიმდიდრითა და უნიკალობით. ყოველივე ამის საფუძველზე, ხანის სახელმწიფოში ხელსაყრელი პირობები არსებობდა მეცნიერების განვითარებისათვის. ამ პერიოდის ჩინელი სწავლულები უკვე დაგროვილ ცოდნა-გამოცდილებას აჯამებენ და თანამად მიიწევენ წინ. იქმნებოდა ტრაქტატები მათემატიკაში, მედიცინაში, ასტრონომიაში, განსაკუთრებით აღსანიშნავია მათემატიკის ტრაქტატი — "მათემატიკა ცხრა წიგნში", რომელშიც, პირველად მათემატიკის ისტორიაში, საუბარი იყო უარყოფით ციფრებზე. არანაკლებ წარმატებით ვითარდებოდა ჰუმანიტრული მეცნიერება: ფილოლოგია, პოეტიკა, შედგა პირველი ლექსიკონები. ჩინური ისტორიის "მამად" წოდებულმა სიმა ციანმა (ძვ. წ. 145-86 წწ.) შექმნა ფუნდამენტური ნაშრომი "საისტორიო ჩანაწერები" 130 ტომად, რომელიც ძველი ჩინეთის ისტორიასთან ერთად, საინტერესო ცნობებს გვაწვდის მეზობელი ქვეყნების და ხალხის შესახებ.

არნახულ აღმავლობას მიაღწია ქვეყანაში მხატვრულმა კულტურამ. საბოლოოდ ყალიბდება ტრადიციული ჩინური არქიტექტურის კლასიკური ფორმები, რომლებიც დღემდე შემოინახა ეროვნულმა კულტურამ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალაქმშენებლობა, კერძოდ, ძველი ჩინეთის სატახტო ქალაქები ლოიანი და ჩანანი, რომლებიც ზუსტი დაგეგმარებით გამოირჩეოდნენ. სასახლეები წითელი აგურით იგებოდა, ადმინისტრაციული ნაგებობები — ყვითელი აგურით. ჩინელ ხუროთმოძღვართა მიერ აგებული ორ-სამ-სართულიანი სახლები რამდენიმე იარუსიანი ფერადი სახურავებით იყო გადახურული. ქ. ჩანანი თორმეტი ალაყაფიანი კედლით იყო გარშემორტყმული. ხანის პერიოდის იმპერატორთა სასახლეები და სამარხები მოხატული იყო ფერადოვანი ფრესკებით, პორტრეტებით, თიხის სკულპტურებით. სამარხების კედლებზე გრავირებული იყო მცველებისა და ცხოველთა გამოსახულებები. ესენია: ფენიქსი, დრაკონი, კუ და ვეფხვი, რომლებიც ძველ ჩინეთში სამყაროს ოთხი მხარის სიმბოლოებად აღიქმებოდა. ძველი ჩინეთის ყველაზე დიდებულ არქიტექტურულ ძეგლად ჩინეთის დიდი კედელი ითვლება. არანაკლებ საოცარი ძეგლია იმპერატორ ცინ შიხუანდის (ძვ. წ. III ს.) სამარხის კომპლექსი არა მხოლოდ მისი გრანდიოზული მასშტაბების გამო, არამედ უზარმაზარი მიწისქვეშა სასახლის შიგთავსით, რომელიც კერამიკისაგან დამზადებული ნატურალური ზომების ჯარისკაცებით, ცხენებით და

ეტლებით არის სავსე. მთლიანად ეს არმია 3000 მხედარისა და ქვეითისგან შედგება. თითოეული მათგანი ინდივიდუალურ სახეს განასახიერებდა. სკულპტურული რელიეფის ყველაზე საინტერესო ნიმუშები აღმოჩენილია შანდუნსა და სიჩუანში, რომელთა სიუჟეტები მითოლოგიური და რელიგიური თემებიდანაა აღებული.

ხანის პერიოდი განვითარდა დაზგური ფერწერა, რასაც აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ადასტურებს. ფერწერისა და სახვითი ხელოვნების წარმატებით განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ფუნჯისა და ტუშის გამოგონებას. ხანის ეპოქა ასევე ლიტერატურის აყვავებით აღინიშნა, მისი ბოლო ათწლეულები კი ჩინური პოეზიის ოქროს ხანადაა აღიარებული. ამასთან ერთად, შეიქმნა პირველი ნაწარმოებები მხატვრულ პროზაში, ლეგენდები, ზღაპრები, საოცრებათა წიგნები. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ჩინეთის იმპერატორები ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს ხელოვნების, ლიტერატურის განვითარებას, სამეფო კარზე სამუშაოდ იწვევდნენ საუკეთესო პოეტებს, სწავლულებს, მხატვრებს. დიდ მზრუნველობას იჩენდნენ ისინი საერთოდ სახელმწიფო მოხელეთა ცოდნისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად, საამისოდ საჯარო გამოცდები ეწყობოდა ხოლმე. კულტურის დიდ მფარველად და მეცენატად იყო აღიარებული იმპერატორი უ დი (ძვ. წ. 140-87 წწ.), რომელმაც სამეფო კარზე უზარმაზარი ბიბლიოთეკა, აგრეთვე, სამხატვრო და მუსიკლური სასწავლებლები დააარსა, სადაც შესანიშნავი ფერწერული ტილოები და ახალი მუსიკალური ნაწარმოებები იქმნებოდა, მუშავდებოდა და იკრიბებოდა ხალხური სიმღერები.

ჩინურმა კულტურამ აყვავების ზენიტს უფრო გვიან, შუა საუკუნეებში მიაღწია, მაგრამ საამისოდ ყველა აუცილებელი პირობა და წინამძღვრები სწორედ ძველ ჩინურ ცივილიზაციასა და კულტურაში მომზადდა. ზემოთ განხილულმა ეპოქებმა (ჯანგო, ცინი, ხანი) მთელი აღმოსავლეთ აზიისათვის ისეთივე როლი შეასრულეს, როგორც ბერძნულ-რომაულმა კულტურამ დასავლეთ ევროპისათვის.

ირანული კულტურა

ირანის კულტურული მემკვიდრეობა შორეულ წარსულში იღებს სათავეს. ძირითად ინფორმაციას უძველესი ირანის კულტურისა და ცივილიზაციის შესახებ არქეოლოგიური მასალა იძლევა, რომლის მოძიებაში უდიდესი წვლილი XIX საუკუნის ფრანგ მკვლევარებს (ფლანდენი, კოსტა, ჟ. დე მორგანი) მიუძღვით. მათ მიერაა გათხრილი ძველი ელამის დედაქალაქი სუზა, სადაც აღმოჩენილია ოქროვერცხლის ნივთები, ბრინჯაოსაგან დამზადებული ჭურჭელი, ელამურ ენაზე შესრულებული წარწერები. XX საუკუნის 30-იან წლებში ე. შმიდტმა და სხვა არქეოლოგებმა მნიშვნელოვანი მასალები მოიპოვეს ხუზისთანის ოლქსა და ზაგროსის მთიანეთში, მომდევნო ხანებში კი ირანის ტერიტორიაზე წარმოებულ კვლევა-ძიებას უკვე სისტემატური და ორგანიზებული სახე მიეცა.

ირანის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები და ნივთიერი მასალა ნათლად მეტყველებს, რომ ძვ. წ. VIII-VI ათასწლეულებში ზაგროსის მთიანეთში მოსახლე ხალხი მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევდა. სწორედ იმ პერიოდს განეკუთვნება ხელოვნების ისეთი ნიმუშები, როგორიცაა სპილენძის სამკაულები, მცირე ზომის თიხის პლასტიკა, ქვის სკულპტურა. კერამიკა, გეომეტრიულ ფიგურებთან ერთად, მოხატული იყო ცხოველთა და ადამიანთა გამოსახულებებით და ნაირგვარი ყვავილებით. ეს ყველაფერი იმის დასტურია, რომ მთიანეთის ძველ მოსახლეობას თვითმყოფადი კულტურა, თავისი იდეოლოგია, რელიგიური წარმოდგენები, მაღალგანვითარებული მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები და დახვეწილი გემოვნება ჰქონდა.

კარდინალური ძვრები უძველესი ირანის კულტურაში IV ათასწლეულის პირველ ნახევარში აღინიშნა, რაც, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან იყო დაკავშირებული. ამ დროიდან მოყოლებული ირანის ძველაღმოსავლური ხანის ისტორია შემდეგ საფეხურებად იყოფა: ელამური, მიდიური და სპარსულ-აქემენური ხანა. ელამის სახელმწიფოს ირანის ზეგანის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ეკავა (ხუზისთანის ოლქში) და დამაკავშირებელ როლს

ასრულებდა ირანსა და წინა აზიის კულტურულ ცენტრებს შორის. სწორედ იქ, ზაგროსის მთიანეთში, ქერხისა და ქარუნას დაბლობებში, IV ათასწლეულში მიმდინარეობდა ადგილობრივი ცივილიზაციის კულტურული და ეკონომიკური საფუძვლების ფორმირება, რომელიც ისტორიაში ელამის კულტურის სახელითაა ცნობილი. სამხრეთ მესოპოტამიასთან სიახლოვის გამო ელამი იმთავითვე აქტიურად ჩაება ძველი აღმოსავლური სამყაროს კულტურულ ცხოვრებაში. საერთო პროგრესს რეგიონში ხელს უწყობდა ირიგაციული მიწათმოქმედების ეფექტურობა ქარუნისა და ქერხის დაბლობებში, სადაც მსხვილი სარწყავი სისტემები შეიქმნა, ისევე როგორც სამხრეთ შუამდინარეთში. შეიძლება ითქვას, რომ ხუზისთანის მიწათმოქმედმა მოსახლეობამ განვითარების იგივე გზა განგვლო, რაც მესოპოტამიამ. იქ ეფექტურად იყენებდნენ მეზობელ შუმერში შემუშავებულ კულტურულ მეთოდებსა და მოდელებს.

სუზაში წარმატებით ვითარდებოდა მონუმენტური არქიტექტურა, მეტალურგია, გლიპტიკა, კერამიკული წარმოება, რომელიც ახლოს იდგა შუმერული ხელოვნების ნიმუშებთან. რაც შეეხება დამწერლობას, ელამში აქადური ლურსმული დამწერლობა (რომელიც შუმერიდან გავრცელდა და შუმერის ძველი პიქტოგრაფიიდან იღებდა საფუძველს) გამოიყენებოდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლურსმული დამწერლობა ფართოდ გამოიყენებოდა ირანში აქემენიანთა დინასტიის (ძვ. წ. VI-III სს. შუახანებში) ბატონების ხანაში, ხოლო III ათასწლეულების ბოლოსა და II ათასწლეულის პირველ საუკუნეებში ელამში უმთავრესად აქადურად წერდნენ. ელმურმა პიქტოგრაფიამ დამწერლობის სრულიად დამოუკიდებელი სისტემა შექმნა და ამიტომ სპეციალური ლიტერატურაში მას ხშირად პროტოელამურს უწოდებენ.

სუსასთან ერთად, ელამში სხვა მსხვილი კულტურული ცენტრებიც არსებობდა (აღანი, სიმაში, ბარაში და სხვ.), მაგრამ სუსას უმდიდრეს საგანძურს ვერც ერთი ვერ შეედრება. სუზაში აღმოჩენილ არქიტექტურულ ნაგებობათაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია უზარმაზარი შენობა 50 ოთახითა და 10 ეზოთი, აგრეთვე ბაბილონის მეფის – ჰამურაბის (1792-1750 წწ.) კანონთა სვეტი, რომელიც ლურსმული დამწერლობითაა შესრულებული. მასზე გამოსახულია მზის ქალღმერთის – შამაშის წინაშე მდგომი ჰამურაბი. ეს შესანიშნავი ძეგლი დე მორგანმა 1901 წელს აღმოაჩინა სუზაში.

განსაკუთრებულ პოლიტიკურ ძლიერებას და აქედან გამომდინარე, კულტურულ აღმაფლობას ელამმა ძვ. წ. XIV–XII საუკუნეებში მიაღწია. ამ პერიოდში იქ ინტენსიურად მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები, იგებოდა სასახლეები და ტაძრები. მაგალითად, აღსანიშნავია უზარმაზარი ტაძრის კომპლექსი (აღმოჩენილი ჩოღა-ზამბილში). არქიტექტურული ძეგლებიდან საყურადღებოა სუზას დიდი ტაძარი, რომელიც მისი ამგები მეფის – ინშუშინაკის (1165–1115 წწ.) სახელს ატარებდა. ტაძრის შიგნით მოთავსებული იყო ხსენებული მეფის უზარმაზარი ქანდაკება წარწერით. დიდ აღმაფლობას მიაღწია იმ ეპოქაში ელამურმა ხელოვნებამ, განსაკუთრებით გამოირჩევა მოხატული კერამიკის ნაკეთობანი, მათთვის დამახასიათებელია ფორმათა ჩაირგვალობა და დახვეწილი ორნამენტი. ჭურჭელი უმთავრესად ლია ფერისაა და მუქი საღებავებითაა მოხატული ცხოველების, ფრინველებისა და ადამიანების გამოსახულებებით. ელამელთა რელიგიური პანთეონის სათავეში იდგა უმაღლესი ღვთაება ინშუშინაკი. ისინი თაყვანს სცემდნენ ასევე შუმერულ-აქადური წარმოშობის ღმერთებს: შამაშს, სინს, იშთარსა და სხვ.

ელამს გაუთავებელი ომები ჰქონდა შუმერის, აქადის, ბაბილონის მეფეებთან, რომლებიც შუამდინარეთში პეგემონიის მოპოვებისათვის იბრძოდნენ. ის გარემოება, რომ ელამი საუკუნეთა მანძილზე არა მარტო წინააღმდეგობას უწევდა შემოსეულ მტერს, არამედ ხშირად შეტევაზეც გადადიოდა, იმაზე მეტყველებს, რომ ელამი მნიშვნელოვან და ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა რეგიონში. პოლიტიკურთან ერთად, ეს კულტურის სფეროსაც ეხება. ელამში წარმოებული გათხრები იმის ნათელი დასტურია, რომ ელამმა შეითვისა რა შუამდინარეთის სხვადასხვა ხალხის უძველესი კულტურული მონაპოვარი, თვითონაც უაღრესად თვითმყოფადი კულტურის კერად იქცა.

ძვ.წ. X-IX საუკუნების მიჯნაზე ირანის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებთან მიმდინარე ბრძოლებში ასურეთის სახელმწიფო ჩაება, ძვ.წ. VII საუკუნეში კი გაუთავებელი ომები ელამის სახელმწიფოსათვის საბოლოოდ დასრულდა; ასურეთისა და მიდიის ორთაბრძოლის შედეგად ელამმა როგორც სახელმწიფომ, არსებობა შეწყვიტა; იგი ჯერ მიდიის სახელმწიფოს, მოგვიანებით კი აქემენიანთა იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. მიდიის, როგორც პოლიტიკური ერთეულის ისტორია ძვ. წ. IX-VII საუკუნეებს მოიცავს. ეს პერიოდი უმთავრესად წერილობითი წყაროების საფუძველზეა შესწავლილი, ვინაიდან არქეოლოგიური მასალა და ნივთიერი კულტურა მცირე რაოდენობით არის მოპოვებული. ამიტომაც ცოტა რამ არის ცნობილი უშუალოდ მიდიურ მწერლობაზე. რაც შეეხება მიდიის შესახებ არსებულ წერილობით წყაროებს, მათგან უმნიშვნელოვნესია ასურული და ბაბილონური ქრონიკები, ასევე ბერძენ ავტორთა — ჰეროდოტეს, ჰეკათე მილეთელის, დიონისე მილეთელის, ქსენოფონტეს ნაშრომები. სწორედ ასურულ წარწერებშია პირველად მოხსენიებული ფარსაისა და მადაის ტომები, რომლებიც ირანის სამხრეთ და დასავლეთ ნაწილებში სახლობდნენ. მადაის ანუ მიდიის ტომები თავს არიელებს (ანუ კეთილშობილებს) მიაკუთვნებდნენ. არიელებად იხსენებოდნენ ასევე ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევარში ინდოეთში დასახლებული ტომებიც, რომლებსაც ინდო-არიელებს უწოდებენ. ძველი ირანული და ინდო-არიული ენები ერთმანეთის მსგავსია, ხოლო ინდოელთა და სპარსელთა უძველეს ძეგლებს (რიგვედა და აველსტა) ბევრი საერთო ჰქონდა. მსგავსება იყო აგრეთვე მათ ყოფა-ცხოვრებაში, მეურნეობაში, კულტურასა და რელიგიურ წარმოდგენებში. როგორც ჩანს, ეს ტომები ირანის ტერიტორიაზე ძვ.წ. I ათასწლეულის I სუკუნიდან მოხვდნენ ევროპის სტეპებიდან კავკასიის ან შუა აზრიის გზით. IX საუკუნის ბოლოს კი ისინი უკვე ელამის საზღვრებთან აღმოჩნდნენ. მიდია მოიცავდა ურმიის ტბის აუზს, ჰამადანის რაიონს, სადაც მათი დედაქალაქი ეკბატანა მდებარეობდა, აგრეთვე კასპიისპირა ოლქში, შემდეგ მას ფარსის ოლქიც დაემატა. თითოეული მათგანი მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელით გამოირჩეოდა, რაც კულტურათა მრავალსახეობაშიც იჩენდა თავს (ელამური, შუამდინარული, ამიერკავკასიული, შუააზიური და სხვა კულტურათა ელემენტები). ირანულმა ტომებმა ადგილობრივ სახელმწიფო წარმონაქმნებთან კონტაქტების საფუძველზე მათი მატერიალური კულტურა და

სამეურნეო ხასიათის მიღწევები აითვისეს. ამასთან, ახალი ეთნო-ენობრივი ერთობის ფორმირებას თან ახლდა ირანის მოსახლეობის იმ ეთნიკური თავისებურებების ძირფესვიანი ცვლილებები, რაც ირანულ ტომებს მანამდე ახასიათებდათ. ეს ეხება სპარსელების, მიდიელების და დასავლეთ ირანის ხალხების სოციალურ-პოლიტიკურ ინსტიტუტებს, წეს-ჩვეულებებს, სამართალს, კულტურას, რელიგიას და ა.შ.

ძველი ირანის შესასწავლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ზოროასტრული რელიგიის საღვთო წიგნს — ავესტას. მისი უძველესი წიგნები ძვ. წ. I ათასწლეულს განეკუთვნება, საბოლოოდ კი იგი ცოტა მოგვიანებით ჩამოყალიბდა. ძველ ირანში გავრცელებულ რელიგიას სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ: 1. ზოროასტრიზმი, რომლის ფუძემდებელია წინასწარმეტყველი ზარათუშტრა (იგივე ზოროასტრა), 2. მაზდეანობა, რაც წარმოადგენია რელიგიის მთავარი ღმერთის აჰურამაზდას („ბრძენი ბატონი") სახელისაგან, 3. ავესტიზმი, რომელმაც სახელწოდება ამ სარწმუნოების წმინდა წიგნისაგან — ავესტასგან მიიღო. ავესტა შედგება ხუთი ნაწილისაგან: 1. იასნა (ლოცვა, თაყვანისცემა), რომელიც საგალობლებისაგან, ანუ გათებისაგან შედგება, 2. ვისპრედი (ყველა მსაჯული, ყველა უფალი) ლოცვების კრებულს წარმოადგენს, 3. ვიდევდატი, ანუ ვენდიდადი (დევთა ანუ ბოროტი ღვთაებების საწინააღმდეგოდ მიმართული კანონები), რომელშიც გადმოცემულია აჰურამაზდას მიერ სამყაროს შექმნა და მის მიმდევართა სავალდებულო ქცევის ნორმები, 4. იაშტა (ქება) მითოლოგიურ სიუჟეტებს შეიცავს, 5. ხორდა ავესტა მცირე მოცულობის ლოცვის ფრაგმენტებია. სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს ავესტას ფუძემდებლის — ზარათუშტრას შესახებ. თვით ავესტაში არსებული ცნობების საფუძველზე, ყველაზე მეტად დასაშვებია, რომ წინასწარმეტყველი ცხოვრობდა IX-VI საუკუნის დასაწყისში, რელიგიის სამშობლო კი ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანი და ბაქტრიის ტერიტორია (დღევანდელი აფღანეთი და ტაჯიკეთი) იყო. ავესტას ძირითადი იდეაა დუალისტური მოძღვრება სამყაროში არსებულ ნათელსა და ბნელზე. სინათლისა და სიკეთის სიმბოლოდ აჰურამაზდაა მიჩნეული, ბოროტებისა კი — ანხრამაინი, ანუ არიმანი. აჰურამზადას გვერდს უმშვენებს ექვსი წმინდა ბული, ხოლო მათ ქვემოთ იერარქიულ საფეხურზე არიან სხვადასხვა ანგელოზის მსგავსი არსებანი, ე.წ. იაზატები. ამ მოძღვრების თანახმად, ნათელს და ბნელ ძალებს შორის შეურიგე-

ბელი ბრძოლა მიმდინარეობს, რომელშიც უბრალო მოკვდავნიც იღებენ მონაწილეობას. ავესტა ყველა კეთილ სულს მოუწოდებს მის მხარეზე დადგეს და დევებს (ბოროტ სულებს) ებრძოლოს. მაზდეანობის წმინდა გამოვლინებად ითვლება ცეცხლი, რომელიც განასახიერებს ღვთაებრივ სამართლიანობას. ამიტომ, მაზდეანურ ტაძრებთან გამუდმებით ცეცხლი უნდა ენთოს, რათა დაიცვას მისი მიმდევარნი. ეგვიპტელებისაგან განსხვავებით, რომლებიც თვლიდნენ, რომ სული გარდაცვალების შემდეგ სხეულთან კავშირს ინარჩუნებს, მაზდეანები სხეულისა და სულის ასეთ დამოკიდებულებას უარყოფდნენ. მათი აზრით, სხეულთან გაყრილი სული მის გარეშე ცოცხლობს, რომლის კეთილდღეობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს გარდაცვლილის მიწიერი ცხოვრების წესი.

მოგვიანებით მაზდეანობას ცალკე რელიგიურ მიმდინარეობად გამოეყო მითრაიზმი, რომლის მთავარი ღვთაებაა მზისა და სინათლის ღმერთი მითრა. მაზდეანობის დუალისტურმა ფილოსოფიამ ჩამოყალიბებული სახე ჯერ აქემენიანთა, შემდეგ კი სასანელთა დინასტიების ხანაში მიიღო, ამიტომ მოგვიანო მაზდეანობის შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი.

ზოროასტრიზმმა განსაკუთრებული როლი შეასრულა მსოფლიო კულტურისა და რელიგიის ისტორიაში, ვინაიდან ძველ სპარსელთა რწმენა-წარმოდგენების გათვალისწინების გარეშე, წარმოუდგენელია, იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის გენეზისის ძირფესვიანად გამოკვლევა. სწორედ ზოროასტრიზმმა განაკითარა დოქტრინათა მთელი რიგი, რომელიც ქრისტიანობაში არსებობს. კერძოდ: სამყაროს დასასრულის, მიცვალებულთა აღდგომისა და საშინელი სამსჯავროს დღის შესახებ, ასევე დოქტრინა ხსნის, სიკეთისა და ბოროტების უკანასკნელი ბრძოლის შესახებ, რომელიც აპურამაზდას გამარჯვებით სრულდება. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ზარათუშთრას სრულიად ახალი რელიგია კი არ გამოუგონებია, მან მხოლოდ კარდინალური ცვლილებები ჩაუტარა მანამდე არსებულ რწმენა-წარმოდგენებს. ამასთან დაკავშირებით, ძალიან საინტერესოა სპარსელთა ყოველდღიური ყოფა, წეს-ჩვეულებები. ჰეროდოტეს გადმოცემით, მათ ცხოველთა ტყავისაგან დამზადებული სამოსი ეცვათ, არ სვამდნენ ღვინოს, ცოტას ჭამდნენ, არ აფასებდნენ ოქრო-ვერცხლს. ცოტა მოგვიანებით (აქამენიანთა ეპოქაში) უბრალობა ჩაცმულობასა და კვებაში იდეოლოგიურ გადმონაშთად იქცა და მხოლოდ მეფეთა

კორონაციის, სხვადასხვა ცერემონიის დროს შემორჩა. კერძოდ, ტახტზე ასვლისას მეფეს ის სამოსი უნდა ჩაეცვა, რომელსაც გამეფებამდე ატარებდა. აქემენიანთა პერიოდიდან სპარსელებმა ძვირფასი, მდიდრული სამოსის, ოქრო-ვერცხლის სამკულების ტარება დაიწყეს. სამხედრო ლაშქრობების დროსაც კი სპარსელი მეფეები და დიდგვაროვანნი თან ატარებდნენ ოქროსა დ ვერცხლის ტახტრევნებს, მაგიდებს, ვაზებს, ჭურჭელს, ძვირფას ხალიჩებს. გარდა ამისა, მათ თან ახლდნენ მოსამსახურეები, მზარეულები და ა.შ. ასე რომ, უბრალოება და ხისადაგე ძველ სპარსეთში პომპეზურობამ და ფუფუნებამ შეცვალა. ძველ სპარსელთა ოჯახი მონოგამიური იყო, ნებადართული იყო რამდენიმე ცოლის შერთვაც, შეიძლებოდა ახლო ნათესავებზე ქორწინება (დაზეც კი). ძველი სპარსული ადათ-წესები ქალებს უცხოსთან გამოჩენას უკრძალავდნენ. შემთხვევითი როდია, რომ პერსეპოლისის მრავალრიცხოვან რელიეფებზე ქალის არც ერთი გამოსახულება არ არის. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა პლუტარქეს ცნობები: მისი გადმოცემით, სპარსელები უაღრესად ეჭვიანები იყვნენ არა მხოლოდ ცოლების, არამედ მხეალთა მიმართაც, რომლებიც მუდამ ჩაკეტილი ჰყავდათ, რათა უცხოს თვალი არ შეეევლო მათთვის.

მომდევნო და გაცილებით მნიშვნელოვანი ეტაპი ძველი სპარსეთის კულტურის ისტორიაში აქემენიანთა დინასტიას (ძვ.წ. 550-III ს. შუა ხანები) უკავშირდება. მიდიელების თანადროულად ირანის ტერიტორიაზე სხვა ტომებიც გამოჩნდნენ, რომლებიც წყაროებში ფარსუას სახელით მოიხსენიებიან. ხელისუფლების სათავეში მათი მოსვლა კი შემდგომმა მოვლენებმა განაპირობა: მიდიასა და ასურეთს შორის მიმდინარე გაუთავებელი ბრძოლები იმით დასრულდა, რომ 612 წელს მიდიელებმა ბაბილონელთა ქმედითი დახმარებით ასურეთის დედაქალაქი ნინევია აიღეს და ბოლო მოუღეს ასურეთს. მაგრამ მიდიის სახელმწიფოს ახალი საშიში მეტოქე გამოუჩნდა კიროსის სახით, რომელიც მიდიაში შემავალ ერთ-ერთ აქემენიანთა სამეფოს მართავდა. ბაბილონური ქრონიკების თანახმად, გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ძვ. წ. 550 წელს აქემენიანთა დედაქალაქ ფასარგადთან, სადაც კიროსმა გამარჯვება მოიპოვა და მიდია თავის სამფლობელოს შემოუერთა. ამრიგად, კიროს II-მ (550-530 წწ.) საფუძველი ჩაუყარა სპარსეთ-აქემენიანთა სახელმწიფოს, რომელმაც ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებამდე იარსება. აქემენიანთა დინასტიამ სახელწოდება მისი დამაარსებლის, აქემენისაგან (ძვ. წ. VII ს.)

მიიღო. თვით სახელწოდება სპარსეთი, პერსია, პერსიდა უკავშირდება მიდიურ-ირანულ სიტყვას — ფარს, ფარსავ, რაც განაპირა, გარე მხარეს აღნიშნავდა. მართლაც ირანის სამი ოლქი — პერსიდა, პარსუა და პართია მიდიის მიმართ განაპირა მხარეებს წარმოადგენდა.

ისტორიული პერსიდა (თანამედროვე ფარსის ოლქი) ელამისაგან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა და უძველეს ხანაში იგი ელამური კულტურის წრეს მიეკუთვნებოდა. აქემენელმა სპარსელებმა ბევრი რამ გადაიღეს მიდიური კულტურიდან და სახელმწიფო მმართველობის სისტემიდან. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ბერძნები, ეგვიპტელები და ძველი სამყაროს სხვა ხალხი აქემენელთა მიერ მიდიის დაპყრობას განიხილავდნენ, როგორც მიდიელებისაგან კიროსისათვის სამეფოს მემკვიდრეობით გადაცემას და სპარსელებსაც ხშირად მიდიელებად მოიხსენიებდნენ.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ მიდიელებთან შედარებით, აქემენელები განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე იმყოფებოდნენ. ძვ. წ. VI საუკუნის დამდეგს მათში ჯერ კიდევ გაკაროვნული წყობილების ნაშთები იყო დაცული. მართალია, კიროს მეფემ დაპყრობითი პოლიტიკის საფუძველზე, უზარმაზარი იმპერია შექმნა, მაგრამ ეს იყო საკმაოდ სუსტად შეკავშირებული სახელმწიფო, რომლის ცალკეული ნაწილები განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებოდა. კიროს II-მ თავისი ზეობის მანძილზე, სხვადასხვა დროს აქემენიანთა სახელმწიფოს შემოუერთა იონიის ქალაქები, ირანის აღმოსავლეთი ოლქები, სირია, მესოპოტამია, ფინიკია, ინდოეთის დასავლეთ საზღვრებამდეც მიაღწია და ბოლოს ეგვიპტეც დაიპყრო. მთლიანობაში აქემენიანთა ირანი წინა აზიის უძველესი კულტურის მემკვიდრე ტრადიციების გამგრძელებელი იყო. ეს პერიოდი აღმოსავლეთის სხვადასხვა ხალხის აქტიური კულტურის ურთიერთ გავლენების ეპოქას წარმოდგენდა, რაც შემდეგი ფაქტორებით იყო განპირობებული: უზარმაზარი მრავალეროვანი იმპერიის არსებობა, აქემენიანთა შემწყნარებლური პოლიტიკა დაპყრობილ ხალხთა კულტურული ტრადიციებისა და რელიგიების მიმართ, მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები რეგიონებსა და ქალაქებს შორის. ეს კი, თავის მხრივ, პირობებს ქმნიდა სამეცნიერო ცოდნისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის სინთეზისათვის, ახალი მატერიალური და სულიერი კულტურის აღმოცენებისათვის, რამაც შემდგომში ელინიზმის ჩასახვას შეუწყო ხელი. საერთო ჯამში, აქემენიანთა სახელმწიფოში მეტად

ხელსაყრელი ატმოსფერო იყო შექმნილი კულტურის აღორძინებისათვის. ასეთი დიდი სწავლულები, როგორებიცაა ჰერაკლიტე ეფესელი, ბაბილონელი ასტრონომი კიდინუ, პეროდოტე, დემოკრიტე და სხვები, სწორედ სპარსელ მეფეთა ქვეშევრდომები იყვნენ. ქალღმერთ დიანას ტაძარი და ჰალიკარნასის მავზოლეუმი, რომლებიც სამყაროს შვიდ საოცრებაში შედიან, ასევე აქემენიანთა ქვეშევრდომების მიერ იყო შექმნილი. საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს ბაბილონური და ეგვიპტური მედიცინის საყოველთაოდ ცნობილი მიღწევები: მუმიფიცირება, ქირურგია, სტომატოლოგია, ოფთალმოლოგია და სხვა, რომელთაც სპარსელები წარმატებით ეზიარნენ. იგივე ითქმის მათემატიკისა და ასტრონომიის შესახებ; უმაღლესი რანგის ასტრონომიული სკოლები ფუნქციონირებდა ურუკში, სიფარში, ბაბილონსა და ბოსფორში. სპარსული ადმინისტრაციო სახელწიფო მართვაში ხშირად იყენებდა სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს; მაგალითად, ბაბილონიაში, ეგვიპტეში და მცირე აზიაში მოსამართლეებად, ქალაქის თაეებად, კანცელარიის უფროსებად, ოლქების მმართველებად, გადასახადის ამკრეფებად, სამშენებლო სამუშაოთა ხელმძღვანელებად მუშაობდნენ ბაბილონელები, ეგვიპტელები, იუდეველები, სომხები, ბერძნები. ამრიგად, სპარსელები მთი ბატონობის ქვეშ მყოფ ხალხთა საუკეთესო მიღწევებს ითვისებდნენ, თავიანთი კულტურის შესაბმისად გადაამუშავებდნენ და აქემენიანთა უზარმაზარი იმპერიის მართვისათვის იყენებდნენ.

ისევე როგორც ძველი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, აქემენიანთა სახელმწიფოში რელიგია განსაკუთრებულ როლს ასრულებდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, აქემენიანთა იმპერია სოციალურ-ეკონომიკური და ეთნიკური სიჭრელით ხასიათდებოდა, რაც დიდ გაელენას ახდენდა ქვეყნის იდეოლოგიაზე და, კერძოდ, რელიგიაზე. აქემენიანთა სპარსეთში სხვადასხვა რელიგიური წარმოდგენები არსებობდა: სპარსელი ხალხის, აქემენიან მეფეთა და მაგების რელიგიები, რომლებიც მთლიანად არ ემთხვეოდა ერთმანეთს, მაგრამ განსხვავება მათ შორის თანდათან იშლებოდა. ძველ სპარსელთა რელიგიურ და ფილოსოფიურ წარმოდგენებზე უხვი ცნობები მოიპოვება ჰეროდოტეს, სტრაბონის, ქსენოფონტეს, პლუტარქესა და სხვა ანტიკურ ავტორთა ნაშრომებში. ძველ სპარსელთა რელიგიას ისინი აღწერდნენ, როგორც ზოროასტრიზმს, თუმცა, მათ მიერ მოტანილი დებულებები დიდად განსხვავდებოდა თვით ზოროასტრის მიერ "გათებში" ჩამოყალიბებულ მოძღვრებისაგან და უფრო მეტად ის "მცირე ავესტაში"

წარმოდგენილ ზოროასტრიზმს მიესადაგებოდა. ღმერთების პანთეონის სათავეში აჰურამაზდა იდგა — ცის, მიწისა და ადამიანის შემქმნელი. აქემენელები ეთაყვანებოდნენ აგრეთვე, ბუნების ძველ ინდო-ირანულ ღვთაებებს: მითრას — მზისა და სინათლის ღმერთს, ანაჰიტას — წყლისა და ნაყოფიერების ქალღმერთს და ა.შ. მაზდეანობის დუალისტურმა ფილოსოფიამ (სიკეთისა და ბოროტების შესახებ) სწორედ აქემენიანთა პერიოდში მიიღო ჩამოყალიბებული სახე, როდესაც ის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ამასთან ერთად, მან ზოგიერთი სახეცვლილებაც განიცადა როგორც დებულებებში, ისე ტერმინოლოგიაში. ეს, უწინარეს ყოვლისა, გათებს (საგალობლებს ზარათუშტრას" შესახებ) "და „მცირე ავესტას" შეეხო. პირველი აქემენიანი მეფეები ეთაყვანებოდნენ რა წმინდა ირანულ კულტს — აჰურამაზდას, ალიარებდნენ, აგრეთვე, ბაბილონის, პალესტინის, ეგვიპტის და მცირე აზიის ტრადიციულ ადგილობრივ კულტებსაც. ამგვარი დამოკიდებულება შეიცვალა ქსერქსე I-ის (ძვ.წ. 486-465 წწ.) ზეობის დროს, რომელმაც ბრძოლა გამოუცხადა არაირანული პროვინციების ადგილობრივ კულტებს. ქსერქსემ ყველასთვის სავალდებულოდ ჰუმარმაზდას კულტი გამოაცხადა, ხოლო ადგილობრივი ღვთაებებისა (ე.წ. დევების) და სხვა კულტებისადმი თაყვანისცემა აკრძალა. როგორც ჩანს, ქსერქსეს რელიგიური რეფორმა პოლიტიკურ მიზანს ისახავდა — განემტკიცებინა ქვეყნის ერთიანობა და მოესპო გვაროვნულ-ტომობრივი არისტოკრატიის, კერძოდ, ქურუმთა სეპარატისტული ტენდენციები იდეოლოგიაში. მაგრამ ქსერქსეს სიკვდილის შემდეგ, მისი მემკვიდრეები კვლავ რელიგიური შემწყნარებლობის პოლიტიკას დადგნენ და აჰურამაზდას გვერდით ძველი ღვთაებების კულტებსაც (მითრა, ანაჰითი და სხვ.) აღიარებდნენ. ისინი თავს არ ახვევდნენ თავიანთ რწმენას სხვა ხალხს, უფრო მეტიც, აქემენიანი ხელისუფალნი ხელს უწყობდნენ სხვა რელიგიათა განვითარებას, მზრუნველობას იჩენდნენ სხვადასხვა ტაძრის მშენებლობაზე.

აქემენიანთა ოფიციალურ რელიგიაზე საუბრისას, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ძვ. წ. VI-V საუკუნეებში ზოროასტრიზმი ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა დოგმატურ რელიგიას, მყარად დაფიქსირებული ნორმებით და ამიტომაც ჩნდებოდა ახალი რელიგიური მოძღვრების ნაირგვარი მოდიფიკაციები, სწორედ ადრეული ზოროასტრიზმის ერთ-ერთი ფორმა იყო ძველ სპარსელთა რელიგიაც. რელიგიური ცენტრალიზმი ირანში უფრო ძლიერად სასანელთა

�ნასტიის ბატონობის ხანაში (ძვ.წ. III-ახ.წ. VII სს.) გამოიკვეთა, როდესაც მაზდეანობა სპარსელთა ეროვნულ რელიგიად დაკანონდა და ის მკვეთრად დაუპირისპირდა ქრისტიანობას კავკასიისა და ბიზანტიის იმპერიის მოსახლეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მოგვიანებით კი –ახ. წ. VII საუკუნის შუახანებიდან – ისლამურ სარწმუნოებას.

უზარმაზარი იმპერიის სამართავად აქემენელებს განვითარებული ხელმწერლობა სისტემა სჭირდებოდათ. როგორც ცნობილია, თავდაპირველად ისინი შუამდინარული მარცელოვან – ლურსმული დამწერლობით სარგებლობდნენ. კიროს II-ის ზეობის დროს სათანადო გადამუშავების საფუძველზე, ნახევრად ანბანური ლურსმული დამწერლობის ფორმირება მოხდა. ვინაიდან აქემენიანთა სახელმწიფო ფონიკური სიჭრელით ხასიათდებოდა, ამიტომ ძველი სპარსულის გვარდა, იქ აქადური (ბაბილონური) და ელამური ენებიც გამოიყენებოდა, ეგვიპტის ტერიტორიაზე კი – ეგვიპტული. ყოველივე ეს იმის მაჩვენებლია, რომ აქემენიანთა იმპერიის შემადგენლობაში მოხვედრილი კულტურულად მაღალგანვითარებული ქვეყნები არ კარგავდნენ დამწერლობას, ენას და ეროვნულ ტრადიციებს აგრძელებდნენ. ზემოხსენებული ენები ძირითადად ოფიციალური წარწერების შესასრულებლად გამოიყენებოდა, ხოლო საქმიან მიმოწერასა და საერთაშორისო ურთიერთობაში წამყვან პოზიციას თანდათან ერთ-ერთი სემიტური ენა – არამეული იკავებდა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული მთელ წინა აზიაში. არამეულად წერდნენ უკვე არა ლურსმულით, არამედ განსაკუთრებული ანბანური დამწერლობით ((რომელიც ფინიკიური წარმოშობისა იყო). მის საფუძველზე შემდეგ ჩამოყალიბდა ინდური, ასევე ირანული ენების, შუა აზიის და აღმოსავლეთის ანბანური დამწერლობა, რომელიც შუა საუკუნეებში არაბული დამწერლობის გავრცელებამდე ეანაგრძობლა არსებობას. აქემენიან მეფეთა წარწერებიდან უძველესია კიროს II-ის მოკლე წარწერა ფასარგადიდან. ყველაზე ერცელი და მნიშვნელოვანია დარიოს I-ის ((522-486 წწ.) ლურსმული წარწერა, რომელიც ბიპისტუნის კლდეზეა ((ბიპისტუნი მდებარეობს ირანში, ქ. ქერმანშაპიდან ჰამადანში მიმავალ გზაზე) დაცული. შემორჩენილია დარიოსის მემკვიდრეთა წარწერებიც, რომლებიც ფასარგაის, ნაყშე რუსთამის, სუზას, პერსეპოლისის, ენის ტბის მიდამოების, ეგვიპტის და ა.შ. კლდეებზე, მეფეთა სასახლეების და მავზოლეუმების კედლებზე, ოქროსა და ვერცხლის ფილებზე, საბეჭდავებზე, ჭურჭელზე, თიხის ფირფიტებზე იყო

გაკეთებული. ხსენებული წარწერები ძირითადად სამენოვანია: ძველეგვიპტურ, ელამური და ბაბილონური (აქადური), ნილოსის რეგიონში აღმოჩენილ წარწერებს კი ეგვიპტური ენაც ემატება.

აქემენიანთა სახელმწიფოში განსაკუთრებულ აყვავებას ირანულმა ხელოვნებამ მიაღწია. საკუთრივ აქემენიანთა ხელოვნება სამეფო კარის მონუმენტური ხელოვნებით იყო წარმოდგენილი, რომელიც ცენტრალური ხელისუფლებისა და სამეფო ძალაუფლების ძლიერების წარმოსაჩენად იყო მოწოდებული. სამშენებლო ხელოვნებაში, ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგებში, აქემენელები იღებდნენ ყველაფერ საუკეთესოს, რაც კი მანამდე იყო შექმნილი წინა აზიის კულტურულ სამყაროს მიერ. ირანული არქიტექტურული სტილის სინთეზს ელამურ, ასირიულ, ეგვიპტურ, მესოპოტამიურ, ბერძნულ სამშენებლო ხელოვნებასთან შესანიშნავად წარმოაჩენენ აქემენიანთა სასახლეები ფასარგადში, პერსეპოლისში, სუზაში და სხვა ქალაქებში. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქემენიანთა ხელოვნება შინაგანი ერთიანობითა და თავისებურებებით გამოირჩევა. ეს იმაში გამოიხატებოდა, რომ უცხო ზეგავლენა შინაარსში ფორმალურ და ზედაპირულ ხასიათს ატარებდა, ამდენად, ახალ შინაარსში მას თავისი პირვანდელი და ტიპიური თვისებები უნარჩუნდებოდა.

აქემენიანთა ყველაზე ადრინდელი ძეგლებიდან აღსანიშნავია კიროს II-ის სასახლეები და აკლდამა ფასარდაგში. წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე პერსეპოლის სასახლეები და რელიეფები, რომლებიც ძვ.წ. VI-V საუკუნის პირველ ნახევარს განეკუთვნება. პერსეპოლისის, ანუ თახთ-ე ჯემშიდის (ჯემშიდის ტახტი) ნანგრევები მდებარეობს ქ. შირაზიდან 60 კმ-ზე, ჩრდილოეთით, ფარსის ოლქში. ამ დროისათვის უკვე გამოიკვეთა აქემენიანთა ხელოვნების მახასიათებელი ნიშნები: უმკაცრესი კანონიზაცია, სწრაფვა აბსოლუტური სიმეტრიისაკენ, ერთი და იგივე სცენის ზუსტი გამეორება. ამგვარი ნიშნები ახასიათებს პერსეპოლისის ყველა რელიეფს, რომლებზეც ამ თუ იმ ისტორიული მოვლენის გაბმული თხრობაა გამოსახული, მაგრამ არა მძაფრსიუჟეტიანი, არამედ მონოტონური და ერთფეროვანი. ეს არის ასეულობით მიდიელი და სპარსელი მეომრის, ასეულობით წარჩინებულისა და ქურუმის, დაპყრობილ ხალხთა ნელი და რითმული, საზეიმო მსვლელობის სცენები, რომლებიც ისევ და ისევ მეორდება პერსეპოლისის გრანდიოზული დარბაზების კედლებსა და სვეტებზე.

იმავე პერიოდს (ძვ. წ. VI-V სს.) განეკუთვნება აქემენიან მეფეთა აკლდამები და სხვა არქიტექტურულ ნაგებობათა ნანგრევები ნაყშ-ე რუსთამში, ეკბატანში და სუზაში. ნაყშ-ე რუსთამის აკლდამები წარმოადგენს ძველი ირანული ტრადიციების სტილში, კლდეში ამოკვეთილ უზარმაზარ ნიშებს, რომლებიც მეფეთათვის იყო გაანკუთვნილი. თითოეული აკლდამის შესასველელს ოთხსვეტიანი პორტიკი ამშვენებდა, რომელზეც ტახტზე მჯდომი მეფის სკულპტურა იყო დადგმული. თითოეული ტახტი კი აქემენიანთა მიერ დაპყრობილი ხალხის მხრებს ებჯინება, რომლებიც მათთვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული და ანთროპოლოგიური მახასიათებლებითაა გამოსახული.

საყურადღებოა, რომ სპარსული მხატვრული კულტურის სფეროში განსაკუთრებული ესთეტიკური როლი ენიჭებოდა სინათლეს, შუქს; აქემენიან მეფეთა სასახლეები მუდამ შუქით იყო მოფენილი, ძველეგვიპტის ნახევრად ჩაბნელებული სასახლეებისაგან განსხვავებით. "უფრო მეტი შუქი" — ეს ესთეტიკური პრინციპი, რომელიც ეთიკურთანაა შერწყმული, "ავესტის" ერთ-ერთ გვიანდელ წიგნში, "ვენდიდადში" არის ფორმულირებული. ძველ სპარსელთა ესთეტიკური წარმოდგენები მომდევნო თაობებისათვის ტრადიციად იქცა და მსოფლიო კულტურის საგანძურში საპატიო ადგილი დაიმკვიდრა.

აქემენიანთა სახელმწიფოში დიდი პოპულარობით სარგებლობდა მხატვრული ხელოსნობის ნაწარმი, რომელიც საოცარი ოსტატობით და დახვეწილობით გამოირჩეოდა. მათი საუკეთესო ნიმუშია არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული ჭურჭელი, ცილინდრული ფორმის საბეჭდავები, მონეტები, სამკაულები და ა. შ. შორეულ წარსულში სპარსელ ოსტატთა მიერ შექმნილი შედევრები მრავალის გაოცებას იწვევს სიუჟეტების ორიგინალურობით, ფორმათა სრულყოფილებითა და განუმეორებლობით.

აქემენიანთა მხატვრულ ხელოვნებაში რამდენადმე განსხვავებული ელემენტები იჩენენ თავს, ვიდრე არქიტექტურასა და მონუმენტურ სკულპტურაში. კერძოდ, მესოპოტამიური და ბერძნული ხელოვნების გვერდით, აქ თავს იჩენდა აქემენიანთა მხატვრული ხელოსნობის კავშირი აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის მომთაბარეთა იმ ხელოვნებასთან, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში პირობითად "სკვითურ ხელოვნებას" უწოდებენ.

ყოველივე ზემოთქმული ნათლად გვიჩვენებს, რომ აქემენიანთა იმპერიაში კულტურის აყვავებას ის გარემოება უწყობდა ხელს, რომ სპარსელ-აქემენიანები ფართოდ იყენებდნენ ძველი აღმოსავლეთის ხალხთა კულტურულ მიღწევებს. ამის თაობაზე ჰეროდოტეც აღნიშნავდა: "ყველა სხვა ხალხთან შედარებით, სპარსელები ყველაზე უფრო ხალისიანად იღებენ უცხო ტომელთა ადათ-წესებს". იგივე ითქმის რელიგიაზე; ძველ სპარსელმა რელიგიამ ხომ ასირიულ-ბაბილონური გავლენა განიცადა: ლეგენდა სამყაროს წარმოშობისა და დაღუპვის შესახებ მოგვაგონებს ბიბლიურ მითს სამყაროს წარმოშობასა და წარღვნაზე. სარსელებმა, ასევე ბევრი რამ შეითვისეს მეზობელ ხალხთა ხელოვნებიდან. მათი სასახლეების კედლის რელიეფები სიუჟეტით, მხატვრული სტილით და ტექნიკით ახლოს დგას ასირიული და ბაბილონური ეპოქების რელიეფებთან. სპარსულ არქიტექტურში ტერასების, კიბეების, მონუმენტური ქანდაკებების (როგორც სასახლეთა მცველების) გამოყენება კი მესოპოტამიის ხუროთმოძღვრების გამოძახილს წარმოადგენდა. ძველ სპარსულ რელიგიასა და ხელოვნებაში ნაწილობრივი ბერძნული გავლენის კვალიც შეინიშნება. და ბოლოს, სვეტების ძალზე ფართო მასშტაბებით გამოიყენება სპარსელებმა ეგვიპტელებისაგან გადაიღეს. სარსელთა დამსახურება ის იყო, რომ ყველა ამ უცხო ელემენტს ისინი შემოქმედებითად გადაამუშავებდნენ მათთვის მისაღებ, ერთიან მხატვრულ სტილში. თავის მხრივ, აქემენიანთა სახელმწიფო გავლენას ახდენდა სხვა კულტურებზე, მაგალითად, მეტად ძლიერი იყო აქემენიანთა გავლენა წინა აზიის ხელოვნებაზე, ანტიკურ კულტურაზე, განსაკუთრებით მის რელიგიაზე. საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს ირანული კულტურის გავლენის ნიშნები ამიერკავკასიის ხალხთა ყოფაშიც. კერძოდ, ცნობილია, ძვ. წ. VI-V საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აქემენიანთა სამშენებლო ხელოვნების ელემენტებისა და მხატვრული ხელოვნების ნაწარმის არსებობის ფაქტები. რაც შეეხება აზიის რეგიონს, სპარსეთს ინდოეთის ვანდპარის ოლქი ესაზღვრებოდა. ისტორიიდან ცნობილია, რომ აქემენიანთა მეუფეები სამხედრო ლაშქრობებს აწყობდნენ ინდოეთის ხსენებულ ტერიტორიაზე, სადაც მათ ადგილობრივ ტომებთან შეჯახება უხდებოდათ. ინდოეთში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი სკულპტურები აშკარად მოწმობს ამ შორეულ რეგიონში ბერძნული ხელოვნების ელემენტების შეღწევას. ასე რომ, სპარსეთი ერთგვარი

ხიდის როლს ასრულებდა, რომელიც შორეულ აღმოსავლურ სამყაროს და წინა აზიის ქვეყნებს ანტიკურ კულტურის სამყაროსთან აკავშირებდა.

აქემენიანთა სპარსეთი მსოფლიოში პირველი იმპერია იყო, რომელმაც შემწყნარებლური და კეთილმოსურნე დამოკიდებულება გამოამჟღავნა სხვადასხვა ტომისა და ხალხის ტრადიციების მიმართ. მათ შორის ჩამოყალიბებულმა მჭიდრო ეთნიკურმა კონტაქტებმა თანდათანობით ფაქტობრივად ახალი კულტურის ჩასახვა განაპირობა, რაშიც აქემენიანთა იმპერიაში შემავალმა ყველა ქვეყანამ საკუთარი წვლილი შეიტანა. მოგვიანებით ამ კულტურამ ელინიზმის გამარჯვებას შეუწყო ხელი, რომელიც ნაწილობრივ ბერძენთა და აღმოსავლეთის ხალხთა კულტურის სინთეზს წარმოადგენდა. კეთილგანწყობილება სხვა ხალხთა კულტურის მიმართ, აქემენიანთა სახელმწიფოს არსებობის ლოგიკური შედეგი იყო, სადაც სახელმწიფო ენად არამეული ითვლებოდა, პოლიტიკური თვალსაზრისით კი წამყვანი როლი სპარსელებს ეკუთვნოდათ და იმავდროულად არსებობას განაგრძობდა ბაბილონელთა, ეგვიპტელთა, იუდეველთა და სხვათა უძველესი კულტურები. ყოველივე ამან განაპირობა შედარებითი მშვიდობიანობის (შენარჩუნება უზარმაზარ ტერიტორიაზე) – ეგვიპტიდან დაწყებული ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთამდე, ამასთანავე ხელსაყრელი პირობები შექმნა საერთაშორისო ვაჭრობის აყვავებისა და სხვადასხვა ხალხის კულტურული კონტაქტების განვითარებისათვის. აქემენიანთა ეპოქაში წარმოქმნილმა სოციალურ-ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა ინსტიტუტებმა და კულტურულმა ტრადიციებმა უდიდესი როლი შეასრულა არა მხოლოდ მომდევნო დინასტიებისათვის (არშაკიანთა, ანუ პართიის სახელმწიფო, სასანელთა ირანი და ა.შ.), არამედ მსოფლიო კულტურის ისტორიისათვის მთლიანად.

ებრაული კულტურა

ებრაელები (თვითსახ. იური=იბრი) მსოფლიოს უძველესი ხალხია. მათი ისტორიული სამშობლო ძველი პალესტინაა, ლევანტად წოდებული ვრცელი რეგიონის ნაწილი. განლაგებულია ხმელთაშუაზღვისპირეთისა და მდინარე იორდანის ველებზე. აქ გადიოდა საერთაშორისო საზღვაო და საქარავნო გზები, რამაც განაპირობა პალესტინის მნიშვნელოვანი როლი ძველი აღმოსავლეთის ისტორიასა და კულტურულ ცხოვრებაში. ეგვიპტურ-ფინიკიურ, ქანაანურ და მესოპოტამიურ კულტურებს ნაზიარები ებრაული ცივილიზაცია ჩამოყალიბდა „ნაყოფიერი ნახევარმთვარის" რაიონში იქ, სადაც ჩაისახა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, წარმოიშვა პირველი საქალაქო ტიპის დასახლებები. ის წარმოადგენს დასავლური და აღმოსავლური სამყაროს ხმელთაშუაზღვის აუზისა და ანატოლიის დამაკავშირებელ ხიდს. იოჰან ჰერდერის (1744-1803 წწ.) დაკვირვებით, ებრაელებმა, აზიელი ხალხისაგან განსხვავებით, უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს სხვა ერებზე და საფუძველი ჩაუყარეს მსოფლიოს განათლებას ქრისტიანობისა და მაჰმადიანობის მეშვეობით.

ძვ. წ. XII საუკუნეში ებრაულმა მომთაბარე, მეომრული ბუნების ტომებმა გაანადგურეს მიწათმოქმედი მონათესავე ქანაანელები და დამკვიდრდნენ მათ მიწა-წყალზე, რომელიც აქედან მოყოლებული აღთქმულ ქვეყნად — „ერეც ისრაელად"— ისრაელის მიწად იწოდება.

ებრაულმა კულტურამ თავისი წარმოდგენა შეიმუშავა სამყაროს, ადამიანისა და კოსმოსის ერთიანობაზე, ადამიანის ადგილზე და როლზე ეკოსისტემაში, საზოგადოებაში. ებრაული კულტურა — იუდაიზმი განსაზღვრავს არა მარტო შრომით და კანონმდებლურ ურთიერთობებს, არამედ კვების, ჰიგიენის, ჩაცმა-დახურვისა და სხვა ნორმებს. ძნელია დედამიწის ზურგზე მოინახოს მეორე სხვა ერი, რომელმაც მიუხედავად სამშობლოდან იძულებითი აყრა-გასახ-

ლებისა, გენოციდისა, მსოფლიოში გაფანტვისა, დევნა-დამცირებისა, აღორძინა ეროვნული სახელმწიფოებრიობა და დღემდე მოიტანა თავისი უნიკალური, ჭეშმარიტად სულიერი კულტურა, რომლის ზოგადი აღმნიშვნელი იუდაიზმია. იუდაიზმი ეტიმოლოგიურად უკავშირდება ებრაელის აღმნიშვნელ ბერძნულ სიტყვას — „იუდაიოსს,"[1] რომელიც, თავის მხრივ, სათავეს იღებს ებრაული ტომისა და სამეფოს — იუდას სახელწოდებიდან. მისი ეთნარქი, მამამთავარი, ებრაული ტრადიციით, იუდაა, პატრიარქ იაკობ-ისრაელის მეოთხე ვაჟიშვილი (იაკობის თორმეტივე შვილი ისრაელის თორმეტი ტომის მამამთავრადაა მიჩნეული). იუდას ტომს ეკუთვნოდა დავით მეფე „მელეხ-დავითი" — ისრაელის სახელმწიფოს პირველი დინასტიის დამაარსებელი (ძვ. წ. X ს.). მისი პერალდიკური ნიშანი ექვსქიმიანი ვარსკვლავი — „მაგენ დავითი", ანუ დავითის ფარი, რომელსაც თითქოს ღვთიური მაგიური ძალა ჰქონდა,[2] გახდა იუდაიზმის, ებრაული მონოთეისტური რწმენის სიმბოლო, ისევე როგორც ჯვარი ქრისტიანებისა. იუდაიზმი წარმოადგენს ებრაელი ხალხის მიერ ძირითადად პალესტინაში შემუშავებული კულტურის მთავარ პოსტულატებს, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენათა ფილოსოფიურ სისტემას, რომელიც, სულიერ მხარესთან ერთად, მოიცავს ებრაელი ხალხის ყოფითი კულტურის მრავალ ასპექტს. შესაბამისად იუდაიზმი განაპირობებს ებრაელისა და მისი კულტურის იდენტიფიკაციას. პალესტინაში — „ერეც ისრაელში," ეგვიპტესა და მესოპოტამიას შორის, მეტად თავისებურ გეოგრაფიულ გარემოში, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ჩაეყარა საფუძველი ებრაულ სახელმწიფოებრიობას, მის ეროვნულ კულტურას; აქ შეიქმნა ებრაული და მსოფლიო კულტურის ისეთი უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული ძეგლი, როგორიცაა ბიბლია (ებრ. თანახი).

---

[1] ძვ. წ. 722 წელს ასურელებმა იძულებით გაასახლეს პალესტინიდან ებრაელთა ათი ტომი, რომელიც სხვა ხალხებში გაითქვიფა. დღევანდელ ისრაელელთა დიდი ნაწილი გასახლებას გადარჩენილი იუდას ტომის შთამომავალია.

[2] პეკსაგრამა — მაგენ დავითი — დავითის ფარი. ვარსკვლავის ყოველი ქიმი აღნიშნავს სამყაროს შექმნის ექვს დღეს, ცენტრში შაბათია ებრაელთა უპირველესი დღესასწაული, დასვენების დღე. დღესაც ეს ექვსქიმიანი ვარსკვლავი, ერთმანეთში ჩაწერილი ტოლფერდა სამკუთხედი ისრაელის სახელმწიფო დროშაზეა გამოსახული, მენორასთან (შვიდსანთლე) ერთად იგი ისრაელის უმთავრესი სიმბოლოა.

თანახი ბიბლიის ებრაული სახელწოდებაა და აკრონიმს წარმოადგენს, წარმომდგარია მისი სამი ნაწილის საწყისი ასოებისაგან. აქედან, პირველი იწოდებოდა თორად (ებრ. — სწავლება), მას ხუმაშადაც, ანუ მოსეს ხუთწიგნეულადაც მოიხსენიებენ, რაც ქრისტიანულ ძველ აღთქმას შეესაბამება. თავად სიტყვა „აღთქმა" მიგვანიშნებს, რომ მასში მოთხრობილია იმ კავშირის შესახებ, რომელიც სინას მთაზე დაიდო ღმერთსა და ღვთის მიერ რჩეულ ებრაელ ხალხს შორის. ხოლო „რჩეულობა" იმაში გამოიხატებოდა, რომ მათ ევალებოდათ სხვა ხალხებში გაევრცელებინათ ერთღმერთიანობის იდეა და თორის მორალურ-ზნეობრივი ფასეულობანი, ათი მცნება. იუდაიზმი თავის საკრალურ წიგნად მხოლოდ ძველ აღთქმას აღიარებს. ის იყოფა სამ ნაწილად: 1. მოსეს ხუთწიგნეული, 2. წინასწარმეტყველთა წიგნები და 3. საღვთო წერილები. ისინი იწერებოდა საუკუნეების განმავლობაში, დაწყებული ძვ. წ. XII საუკუნიდან დამთავრებული ახ. წ. II საუკუნეში. ძვ. წ. III საუკუნეში ალექსანდრიაში ბიბლია ითარგმნა ბერძნულ ენაზე (სეპტუაგინტა – სამოცდაათის თარგმანი) და აქედან გავრცელდა მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც. ებრაული ტრადიციით, თორა უშუალოდ ღმერთის ბოძებულია ებრაელი ხალხისათვის და მოსე წინასწარმეტყველის მიერ იქნა ჩაწერილი ძვ. წ. XII საუკუნეში ქვის ფიქალებზე, დაფაზე (ებრ. ლუხოთ ჰა ბრით). გადმოცემით ეს უწმინდესი ებრაული რელიკვია იერუსალიმის დიდ ტაძარში ინახებოდა; იუდეას სამეფოს დაცემისა და პირველი ტაძრის დანგრევის შემდეგ განადგურდა.

ებრაული ენა და დამწერლობა. ებრაული ენა (ივრითი) იმითაც არის ღირშესანიშნავი, რომ, როგორც აღვნიშნეთ, ამ ენაზე დაიწერა თავდაპირველად „კაცობრიობის უპირველესი წიგნი" — ბიბლია. იუდაისტური ტრადიცია ებრაულს (ივრითს) სამყაროს შექმნის, პირველსაწყისის დროინდელ „წმინდა ენად" მიიჩნევს (ებრ. ლაშონ ჰაკოდეშ). უძველესი ებრაული წარწერები აღმოჩენილია ცენტრალურ პალესტინაში, ქალაქ სოდომთან და ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების მიჯნით თარიღდება, იუდეის მეფის იეზეკიას ეპოქით. ებრაული ენისა და დამწერლობის ფართო გავრცელებაზე მეტყველებს წარწერები კერამიკულ ჭურჭელზე, საბეჭდავებზე, საწონებზე და სხვა ნივთებზე. სპეციალისტებმა დაადგინეს ებრაულის დიდი სიახლოვე ქანაანურ ენასთან, რომელიც სემიტურ ენათა ოჯახში შედიოდა, ისევე

როგორც ფინიკიური. ებრაული ანბანური დამწერლობის ძეგლები ძვ. წ. XII-X საუკუნეებში მეტად მცირერიცხოვანია. XI საუკუნით თარიღდება ბეთლემიდან სამხრეთით მდებარე ტოხატარის მახლობლად აღმოჩენილი ხუთი ბრინჯაოს ისრისპირი. ხუთივე მათგანზე კუთვნილების მაჩვენებელი წარწერაა „ისრისპირი აბდალბთ-ისა". გარდა ამისა, ერთ ისრისპირზე ამოკაწრულია „ბენ აინაი". ვარაუდობენ, რომ „ლბთ" აღნიშნავს „ლებიმ"-ს – ლომს. ასე კი იწოდებოდნენ მეფე დავითის მოისართა რაზმები, რომლებმაც დიდად შეუწყვეს ხელი მის ტახტზე ასვლას. ნიშანდობლივია, რომ ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო მკაცრად დადგენილი წერის მიმართულება, ზოგჯერ წარწერა კეთდებოდა მარცხნიდან მარჯვნივ. ასოები გამოხატულია მკვეთრად, მათი გრაფიკა კარგადაა დამუშავებული და უშუალოდ უსწრებს წინ ე. წ. „ებრაულ-ფინიკიურ" ანბანს, რომელიც ჩამოყალიბდა პალესტინაში ე. წ. „რკინის ხანა III-ის (ძვ. წ. 1000-586 წწ.) ეპოქაში. ებრაული ენა განეკუთვნება ჩრდილო-დასავლურ სემიტურ შტოს. დამწერლობა კვადრატულია, ანბანში 22 ასო-ნიშანია, ებრაული ანბანი კონსონანტურია – (ანბანში მხოლოდ თანხმოვნებია).

თორა, ანუ როგორც მას ებრაელები უწოდებენ „სეფერ თორა", ანუ „კანონის (რჯულის) წიგნი" აწესრიგებს რელიგიური და საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმებს, მოგვითხრობს ქვეყნის, ადამიანის წარმოშობაზე, ებრაელთა უძველეს ისტორიაზე. ბიბლიური კანონის ძირითადი გაფორმება მოხდა ე. წ. ბაბილონის ტყვეობის დროს ძვ. წ. 586-59 წწ., როდესაც ებრაელები იძულებით გაასახლეს პალესტინიდან. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ისრაელში ყალიბდება თეოკრატიული საზოგადოება, თეოკრატიული თემები, სადაც მიმდინარეობდა ინტენსიური სარედაქციო და სამეცნიერო სამუშაოები მოსეს ხუთწიგნეულზე. სპეციალისტები გამოყოფენ რამდენიმე ფენას, სადაც ავტორები ქვეყნის გამჩენ ღვთაებას, რომლის სახელის ხსენება აკრძალული იყო, ჯერ იაჰვეს, შემდგომ ელოჰიმის უწოდებენ (მოგვიანებით ის ადონაის სახელითაც იხსენიება). ეს ძეგლი პირველყოფილი გვაროვნული საზოგადოების კულტურული განვითარების უმაღლესი დონის მაჩვენებელია. მღვდელთმთავარმა ეზრამ ძვ. წ. V საუკუნეში თანახი (ბიბლია) ებრაელთა მოქმედ კანონმდებლობად გამოაცხადა. მოსეს ხუთწიგნეულის პერგამენტის ხელნაწერი ინა-

ხებოდა სამლოცველოს, სინაგოგის[1] (ებრ. — ბეთ ქნესეთ — საკრებულო სახლი) წმინდა კიდობანში, რომელიც გამოჰქონდათ ლიტურგიული კითხვისას, შაბათსა და სხვა დღესასწაულებში. სეფე თორა განსაკუთრებული თაყვანისცემის საკულტო ნივთია, რასაც ფესვები შორეულ წარსულში აქვს გადგმული. თორა, ამავე დროს, ნიშნავს მოძღვრებას, სწავლებას. სწავლა-განათლება კი ებრაული კულტურის აუცილებელი პირობაა, მისი ყოველდღიურობის, ყოფის ძირითადი ელემენტია. თორის მოთხოვნის შესაბამისად, ყოველ ებრაელს ევალებოდა და ევალება შვილს 3-5 წლის ასაკიდან შეასწავლოს თორა – ებრაული ცხოვრების წესი, კანონები, რისთვისაც აუცილებელია წერა-კითხვის ცოდნა. ამიტომაა, თორას ხშირად აიგივებენ ცხოვრების წესთან – „კანონთან." ამგვარად, თორა ებრაელთა მრავალი თაობის ცხოვრების წარმმართველია. მასთან არის განუყოფლად დაკავშირებული ებრაელი ხალხის მთელი სულიერება 4000 წლის განმავლობაში, უძველესი დროიდან დღემდე. შესაბამისად არა მარტო კულტურის, არამედ საერთოდ, ზოგადსაკაცობრიო კულტურის მონაპოვარია თორის „ათი მცნება"-ც (ებრ. ასერეთ ჰა დვარიმ), რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ის ჩვენი ზნეობრივი ნორმების საფუძველია.

ბიბლიის წინასწარმეტყველთა წიგნებიც ებრაელთა ისტორიას ეძღვნება. ისიც ორ ნაწილად იყოფა — დიდ, უფროს (იესო ნაველ ძე, მსაჯულთა წიგნი, მეფეთა წიგნები) და წინასწარმეტყველებად (ესაია, იერემია, იეზეკელი და სხვა თორმეტი „მცირე წინასწარმეტყველი"). საღვთო წერილს მიეკუთვნება ფსალმუნნი, სასულიერო ლირიკა და საღვთო ჰიმნების მაღალმხატვრული შედევრები, რომლებიც მოგვიანებით დავით მეფეს ძიაწერეს (აქედან ქართული დავითნი). სოლომონ მეფეს (X ს.) უკავშირებს ტრადიცია იგავთა, „იგავნი სოლომონისა" დიდაქტიკური აფორიზმებისა და ანდაზების კრებულს. სატრფიალო ლირიკის შედევრია „ქებათა ქება", ებრაული ხალხური შემოქმედების ალეგორიული გადააზრების მაგალითი. ასევე მაღალი ხელოვნების ნიმუშია ეკლესიასტე (ებრ.

---

[1] წარმოშობილია ბერძნული სიტყვიდან და პირდაპირი გაგებით ნიშნავს კრებას, საკრებულოს, კრების ადგილს. გარდა სალოცავისა, სინაგოგა სკოლის დანიშნულებასაც ასრულებდა.

კოპელეთ), სოლომონ მეფის ფილოსოფიურ-რელიგიური ნააზრევი, მისი გასაოცარი შეგონებები ცხოვრების არსისა და აზრის შესახებ.

ამასთანავე, ბიბლია წარმოადგენს ლიტერატურულ, მათ შორის საისტორიო მწერლობის კრებულს, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა არა მარტო ებრაელი ხალხის, არამედ მთელი მსოფლიო კულტურის ისტორიაში. თანახი დაწერილია ძველ ებრაულ ენაზე, ისრაელის მიწა-წყალზე, ებრაელებისათვის... ხოლო თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბიბლიას (თანახი) ებრაელთა ცხოვრებაში ნათლად ჩანს ე. წ. „სინაგოგალური ხელოვნების" ჩვენამდე მოღწეული მაღალმხატვრული ნიმუშებიდანაც. დურა-ევროპოსში, მდ. ევფრატის დასავლეთ ნაპირზე, აღმოჩნდა ახ. წ. II ს. დათარიღებული სინაგოგა, შემკული ბიბლიური სიუჟეტებით. გამოსახულია ვაცი, კარავი სკინია, ებრაელი ხალხის ეთნარქები, პატრიარქ-მამამთავრები: აბრაამი, ისააკი და იაკობი. აბრაამი გამოხატულია თეთრ ტანსაცმელში, ამ ფრესკას ცისფერი ფონი აქვს. ზემო ნაწილში გამოხატულია მზე, მთვარე და შვიდი მნათობი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფრესკა მეფე დავითის კურთხევის სცენით, რომელიც გვიანანტიკური ბერძნულ-რომაული მონუმენტური ფერწერის მშვენიერი ნიმუშია. გვიანანტიკური-ადრებიზანტიური ხანის მოზაიკური ხელოვნების ძეგლი აღმოჩნდა პალესტინაში, სინაგოგა ბეთ ალფას გათხრებისას. შესანიშნავად შემონახულ მოზაიკურ იატაკთან ერთად, აქ, სამნავიან ბაზილიკური სინაგოგის ცენტრალურ ნეფში, აღმოჩნდა სამი პანო გაერთიანებული ერთიანი ორნამენტული ფრიზით. პირველი პანოს მოზაიკა ებრაული სიმბოლიკით (მენორა, ლომისგამოსახულებიანი სასანთლეები, ლულავები – გრაგნილები და სხვ.) არის შემკული. შუა პანოზე ზოდიაქალური რკალია მზის ეტლით ცენტრში და წელიწადის დროთა ალეგორიებით. მესამე პანო ეთმობა აბრაამის მოზაიკურ გამოსახულებას, ისააკის მსხვერპლშეწირვის სცენას. გაურცელებული აზრი იმის თაობაზე, რომ ებრაული ხელოვნება ბიბლიურ ეპოქაში თითქოს კრძალავდა ადამიანის გამოსახულებას არ შეეფერება სინამდვილეს. სინაგოგებში ზოდიაქების და სხვა გამოსახულებები გვიჩვენებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა კალენდარულ სისტემებს ებრაელი ხალხის ცხოვრებაში.

ებრაული კალენდარი. ებრაელებმა გვიანბრინჯაოს ხანაში შეიმუშავეს საკუთარი კალენდარული სისტემა, რაც ებრაული თვითმყოფადობის კიდევ ერთი მაჩვენებელია. ის, როგორც იუდაიზმის მნიშვნელოვანი ელემენტი, ხალხს ეროვნული იდენტიფიკაციის, კულტურული ერთიანობის იდეის განმტკიცებაში ეხმარებოდა. ესაა მზისა და მთვარის შერეული კალენდარი, რომელშიაც წელიწადი მიბმულია მზესა და სეზონთა ცვლასთან, ხოლო თვეები მთვარის ფაზებთან. ახალი თვე იწყება ახალი მთვარის დადგომასთან ერთად. რადგან მთვარის წელიწადი – 12 მთვარი თვე 11 დღით მოკლეა მზის წელიწადზე, 2-3 წელიწადში ერთხელ აუცილებელი ხდება მეცამეტე ე. წ. ნაკიანი თვის შემოტანა. ეს იძლევა საშუალებას ყველა საგაზაფხულო დღესასწაული გაზაფხულზე, ხოლო საშემოდგომო შემოდგომაზე ჩატარდეს. თვის ხანგრძლივობა 29-30 დღით განისაზღვრება. შვიდჯერ ცხრამეტწლიან ციკლიან მონაკვეთში, ე. წ. ემბოლიზმურ წელს, გაზაფხულზე, ემატება მე-13 თვე, უხუცესთა საბჭოს ვიზუალურ დაკვირვებათა საფუძველზე. წლების ათვლა, ანუ წელთაღრიცხვა ებრაული კალენდრით იწყება სამყაროს შექმნიდან, რომლის შემდგომ თითქოს გასულია 5762 წელიწადი. თავდაპირველად მიღებული იყო თვეების დანომერა, ხოლო ბაბილონის ტყვეობის შემდეგ გავრცელდა ბაბილონური სახელწოდებები: 1. თიშრი (სექტემბერ-ოქტომბერი). ეს რიგით მე-7 თვე ახალი წლის დასაწყისია. 2. ხეშვან (ოქტომბერ-ნოემბერი), 3. კისლევ (ნოემბერ-დეკემბერი), 4. თევეთ (დეკემბერ-იანვარი), 5. შევეთ (იანვარ-თებერვალი), 6. ადარ (თებერვალ-მარტი), 7. ნისან (მარტ-აპრილი) – პირველი თვე, 8. აიარ (აპრილ-მაისი), 9. სივან (მაისი-ივნისი), 10. თამუზ (ივნის-ივლისი), 11. აბ (ივლის-აგვისტო), 12. ელულ (აგვისტო-სექტემბერი).

კვირეულის პირველი დღე კვირაა და მთავრდება შაბათით, რომელიც ებრაელთა უპირველესი დღესასწაულია. ერთი ებრაული შეგონებით, „შაბათმა უფრო დაიცვა ებრაელობა, ვიდრე ებრაელობამ შაბათი.“ დღე იწყება მზის ამოსვლით და მთავრდება მზის ჩასვლით. დღე-ღამის ათვლა იწყება საღამოს, მზის ჩასვლის შემდეგ. შაბათი იწყება პარასკევს საღამოს მზის ჩასვლასთან ერთად და მთავრდება შაბათ საღამოს. მას დიდი კულტურულ-ისტორიული დატვირთვა აქვს, რადგან შეახსენებს ერს მონობიდან განთავისუფლების მადლს, რადგან მხოლოდ თავისუფალ ადამიანს აქვს

ბრომის შემდეგ დასვენების უფლება. შაბათი ებრაულად დასვენებას ნიშნავს და უკავშირდება ქვეყნის გაჩენის მეშვიდე დღეს, როდესაც ღმერთმა დაისვენა. ამიტომ ადამიანმა ეს დღე მთლიანად გამჩენს უნდა მიუძღვნას, დაივიწყოს ცხოვრებისეული ჭირ-ვარამი და ოჯახის სულიერებას, თორის კითხვა-გარჩევას დაუთმოს ძირითადი ყურადღება.

გარდა თორის მიერ კანონიკურად დაწესებული ხუთი დღესასწაულისა, რომელიც ებრაული ახალი წლის – როშ ჰაშანა აღნიშვნით იწყება და მოიცავს იომ ქიფურს, განკითხვის დღეს, ფესახს – ეგვიპტიდან გამოსვლის დღეს, სუქოთს – უდაბნოში ხეტიალის მოგონებას აღთქმულ ქვეყანაში მოსვლამდე და მთავრდება შეგუოთით – თორის ბოძების დღესასწაულით. მუშაობა ამ დღესასწაულების დროს აკრძალულია.

შაბათი და ებრაული დღესასწაულების წლიური ციკლი ებრაული კულტურის, იუდაიზმის ერთ-ერთი საფუძველია. ეს დღესასწაულები რელიგიური ხასიათისაა, თუმცა, ხშირად ასევე დაკავშირებულია ისრაელის ისტორიის დრამატულ მომენტებთან; სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაწყება-დამთავრებასთან და სხვა.

თორასთან, მის მიღებასთან სინას მთაზე (ეგვიპტიდან გამოსვლის 50 დღისთავზე), დაკავშირებულია ებრაელი ხალხის კიდევ ერთი დიდი დღესასწაული — შეგუოთ. ასეთივე დღესასწაულია „სიმხათ თორა," რაც ქართულად „თორის სიხარულს" აღნიშნავს. ამ დღეს მთავრდება წლიური ციკლი შაბათობით თორის კითხვისა სინაგოგებში. დილისა და საღამოს ლოცვისას თორას რამდენჯერმე ჩამოატარებენ წრიულად, ცეკვისა და სიმღერის თანხლებით.

სუქქოთის (კარვები) საყოველთაო-სახალხო დღესასწაული, რომელიც ეგვიპტის მონობიდან გამოსვლის აღსანიშნავად დადგინდა შემოდგომაზე ეწყობა. იგი რვა დღე გრძელდება, თუმცა, სადღესასწაულო მხოლოდ პირველი და მეშვიდე დღეებია, დანარჩენი „სადღესასწაულო ყოველდღიურობად" ითვლება. სუქქოთის დროს აუცილებელია ოთხი სახის მცენარეულობის: ციტრონის ნაყოფის, გაუშლელი პალმის, მირტისა და ტირიფის (ძეწნა) ტოტები. თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ეს მხიარული დღესასწაული ხალხის სულისკვეთების განსამტკიცებლად, ჩანს რომაელთა წინააღმდეგ ამბოხების ბელადის ბარ კოხბას (135 წ.) ერთ-ერთი წერილიდან, რომელიც იუდას უდაბნოში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა.

მიუხედავად დიდი შეჭირვებისა, თავისი თანამებრძოლებისათვის, პირველ რიგში, იგი ითხოვდა სუქქოთის დღესასწაულისათვის ამ სამი აღნიშნული მცენარის ტოტების უცილობლად გამოგზავნას. სადღესასწაულო შეგონების მთავარი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მატერიალური კეთილდღეობა წარმავალია და ადამიანმა სულიერ კომფორტზე უფრო უნდა იზრუნოს. მოსავლის აღების დროს სახლთან აგებული კარავი ამის დადასტურებაა. ხოლო აღნიშნული ოთხი მცენარის თაიგული განასახიერებს ებრაელი ხალხის სულიერ ერთობას.

ფესახი – ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ებრაული დღესასწაულია და დაკავშირებულია ებრაელების ეგვიპტიდან გამოსვლის ხსოვნასთან. ეს არის უდიდესი მოვლენა ებრაელი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, რის შედეგად წარმოიშვა ებრაელი ხალხი და იუდაიზმი, ებრაული ცხოვრების წესი, რელიგიური მრწამსი. ეს ამბები აღწერილია მოსე წინასწარმეტყველის ხუთწიგნეულში, კერძოდ, გამოსელათა წიგნში. ეგვიპტიდან გამოსულებმა სინას მთის ძირში მიიღეს თორა – სჯული და ათი მცნება. ამ მოვლენის გახსენებლად, როგორც ეს აღვნიშნეთ, დადგენილია დღესასწაული – შეეუოთ. აღინიშნება ყოველი თვის პირველი დღე, რომელიც როშ ხოდეშად („თვის თავი") იწოდება. ამ დღესაც კითხულობენ თორას და წარმოთქვამენ ლოცვებს მშვიდობაზე, სიკეთესა და ერის გადარჩენაზე.

ებრაული კულტურის თავისებურ სიმბოლოებად შეიძლება ჩაითვალოს სუქქოთის დღესასწაულისათვის აუცილებელი მცენარეული ატრიბუტიკა: 1. ეთროგი ანუ ციტრონი – გემრიელი და სურნელოვანი ნაყოფი. ის ასოცირდება ებრაელი ხალხის იმ ნაწილთან, რომელიც სწავლობს თორას და იცავს ათ მცნებას. 2. ლულაბა – პალმის ლორთქო ტოტი. მას აქვს გარკვეული გემო, მაგრამ უსუნოა, ამიტომ ლულაბა გაიგივებულია იმათთან, ვინც არ შეისწავლის თორას, მაგრამ იცავს ათ მცნებას. 3. მირტის (მურტი) ბუჩქის ტოტები. მას არა აქვს გემო, მაგრამ აქვს სურნელი. ებრაული ტრადიციით ის მოგვაგონებს მათ, ვინც სწავლობს თორას, მაგრამ არ ასრულებს მის მცნებებს. 4. ძეწნის, ტირიფის ტოტი, რომელსაც არც გემო აქვს და არც სუნი, განასახიერებს მათ, ვინც არც თორას კითხულობს და არც ათ მცნებას იცავს. თითოეული ებრაელის მიზანია თავისი ადამიანური მონაცემებით იდეალთან, სიმბოლურად ციტრონთან იყოს მიახლოებული. მცენარეული სიმბოლიკა მნიშ-

ენელოვანი ელემენტია ებრაულ ეროვნულ ორნამენტში. თუ რა დიდ როლს თამაშობდა ფლორა ებრაულ კულტურაში, მის ურთიერთობაში გარემომცველ სამყაროსთან, ჩანს იმ საგაზაფხულო დღესასწაულიდანაც, რომელსაც „მცენარეთა ახალი წელი“, ანუ ებრაულად თუ ბიშვათ ეწოდება. ებრაულ კულტურაში ხე ცოცხალ ორგანიზმთან, ადამიანთანაა გათანაბრებული. თორა მორწმუნე ებრაელს ასწავლის „არ მოჭრა.“ ხის უაზროდ, უმიზნოდ მოჭრა დიდ ცოდვად ითვლება. გარდა ამისა, თორა ისრაელის შვილებს ავალდებულებს: „როდესაც შიხვალთ ქვეყანაში, დარგეთ რომელიმე ნაყოფისმომცემი ხე.“

ებრაული კალენდარი და დღესასწაულები, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ რელიგიური ხასიათისა არ არის. ზოგიერთი დღესასწაული, მაგალითად, როგორიცაა ხანუქა (გაცისკროვნება), ეძღვნება კონკრეტულ ისტორიულ მომენტს, კერძოდ, ებრაელთა გამარჯვებას სელევკიდებზე და ტაძრის სასწაულებრივ განათებას, რასაც ადგილი ქქონდა იერუსალიმში ძვ. წ. 165 წ. ასევე კონკრეტულ ისტორიულ თარიღს ძვ. წ. 450 წ. უკავშირდება ფურიმი (წილყრა), ებრაელთა ყველაზე უფრო მხიარული დღესასწაული. ეს იყო სპარსეთის სამეფოში ებრაელთა სასწაულებრივი გადარჩენა. ამ დღეს ყველა ებრაელი კითხულობს ესთერის გრაგნილს, რომელშიც აღწერილია სპარსეთის მეფის ახაშვეროშის მეუღლის, დედოფალ ესთერის თავგანწირვა და ებრაელთა დაუძინებელი მტრის სამეფო კარის ვეზირ ამანის დაღუპვა. ებრაული კულტურის თავისებურება იმაშიც გამოიხატება, რომ სახეიმო თარიღებთან ერთად, ხალხი უბედურების, ეროვნული საყოველთაო გლოვის დღეებსაც აღნიშნავს. ასეთია 9 ავა, რომელიც ივლის-აგვისტოში აღინიშნება საყოველთაო მარხვით, ტირილით და დაკავშირებულია ებრაული სულიერების სიმბოლოს — იერუსალიმის დიდი ტაძრის დანგრევის დღესთან.

ბიბლიოლოგიის პრობლემად კვლავ რჩება საკითხი კანონიკური და არაკანონიკური წიგნების შესახებ, მათ რიცხვსა და ქრონოლოგიურ ჩარჩოებზე. ბიბლიის ერთ-ერთი ბოლო, დანიელის წიგნი განეკუთვნება ელინისტურ ხანას, რაც მოწმობს ანტიკური ხანის მოაზროვნეთა წვლილს ბიბლიის ფორმირებაში. ცნობილია, რომ პალესტინაში, მკვდარი ზღვის სანაპიროზე, კუმრანის გამოქვაბულებში აღმოჩნდა ბიბლიის უძველესი (ძვ.წ. IV ახ.წ. I სს.) ხელნაწერები, ძველი აღთქმის კანონიკურ მასორეთულ ტექსტზე (IX-X) („მასორეთ“- ებრაულად „ტრადიცია“) ადრინდელი რე-

დაქცია. ხელნაწერებში აღმოჩნდა, აგრეთვე, ძველი აღთქმის ისეთი ნაწილი, რომლის ორიგინალი მანამდე უცნობი იყო. ასევე უაღრესად ფასეულია ძველი ბიბლიური წიგნების კომენტარები, რადგან ის წარმოადგენს ახალ ლიტერატურულ ჟანრს. კულტურული თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ძველი აღთქმის ბერძნულ ენაზე თარგმნა ელინისტურ პერიოდში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თარგმანი შესრულდა ძვ. წ. III საუკუნეში ალექსანდრიის უნიკალური წიგნსაცავისათვის. ამასთანავე, ის უპირატესად განკუთვნილი იყო უშუალოდ ალექსანდრიის ებრაული თემისათვის, რომლის დიდ ნაწილს დავიწყებული ჰქონდა მშობლიური ენა. თარგმანს ბერძნულად ეწოდება „სეპტანტა" (ლათ. — „სეპტუაგინტა"), რაც ნიშნავს 70 ბრძენის თარგმანს. ის ერთდროულად შეასრულა 70-მა თუ 72-მა ებრაელმა მწიგნობარმა ისრაელის 12 ტომიდან. სეპტანტა პირვანდელი სახით არ შემონახულა. გარკვეული პერიოდის მანძილზე ჩამოყალიბდა სამი ძირითადი რედაქცია: I. ორიგენის ჰეგზაპლები (გავრცელების არეალი პალესტინა). II. ლუკიანეს, ანტიოქიელი მღვდელთმოწამისა (გავრცელების არეალი ანტიოქია და კონსტანტნოპოლი). III. ოსიკი ალექსანდრიელისა (გავრცელების არეალი ალექსანდრია).

ამ თარგმანმა დიდი როლი შეასრულა მთელი გვიანანტიკური სამყაროს კულტურულ ცხოვრებაშიც. გააფართოვა გავლენა დასავლეთზე. ებრაული სულიერების წმინდა წიგნების საქვეყნოდ გატანას მორწმუნე ებრაელებში მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავდა. არ არის გამორიცხული, რომ მას ძვ.წ. III-II საუკუნეების საქართველოშიც იცნობდნენ, სადაც ბერძნულს სახელმწიფო ენის სტატუსი ჰქონდა და, სადაც ებრაული ახალშენები არსებობდა.

ანტიკურ პერიოდში ებრაულ კულტურაში ჩნდება ესქატოლოგიური იდეები და მესიანისტური მიმდინარეობანი, ისახება ებრაული გნოსტიკური დოქტრინა და მისტიკურ-ალეგორიული ლიტერატურა. ესქატოლოგია (ბერძნულად უკანასკნელი მოძღვრება) არის მისტიკური მოძღვრება სამყაროსა და ადამიანის საბოლოო ბედზე. ებრაული ესქატოლოგიის ძირითადი ნიშანია ნაციონალური უნივერსალიზმი. მისი არსია განწმენდის იდეა — დადგება კაცობრიობის განკითხვის დღე, როცა გადაწყდება არა მარტო ისრაელის, არამედ ყველა ხალხის ბედი. სამყაროს განწმენდის ჟამს ისრაელის მტრებს მოეკითხებათ მათი ცოდვები. ძირეული გარდატეხა მოხდება

ფიზიკურ სამყაროში – ძველი, დასაღუპად განწირული სამყაროს ადგილზე წამოიმართება ახალი – უნიკერსალური სამყარო. აღდგომის კომპლექსი განხორციელდება მესიის მოსვლით. მაშიახის მოსვლა – ეს არის ებრაული რწმენის ძირითადი მოლოდინი. ძნელია მისი აღწერა რაციონალურად, იგი ამოვარდნილია დროის კონტექსტიდან, განცალკევებული მისტიკური გრძნობაა ხსნა დეკნილთათვის, შეცნობა, რომ შესაქმეს ჰქონდა კონკრეტული ადგილი სამყაროში.

ებრაელი ერის სულიერი იდეაა მესიის მოულინება, რომელიც არც ქრისტიანებისთვისაა უცხო. მესია უნდა იშვას დავითის ტომიდან, მისი მოსვლით ხორციელდება ღვთის სუფევა დედამიწაზე, საყოველთაო მიტევება და სამართლიანობა, სამყარო გახდება სრულქმნილი, თორა გაიბრწყინებს თავისი სიბრძნით. ამიტომ ებრაული კულტურის ცნება უშუალოდ თორას უკავშირდება. მესიანისტურმა იდეამ არნახული გაქანება მიიღო. გაჩნდა ესეველთა სექტა, რომლის მიმდევრები იესო ქრისტეში ხედავდნენ მესიას. ებრაულ სამყაროში, მის კულტურაში იმდენად ყოფილა გამჯდარი მესიის მოლოდინი, რომ თვით ბრძენი რაბი აკიბაც კი ბარ-ქოხბას („ვარსკვლავის ძეს") მესიად თვლიდა. პლინიუს უფროსი გვამცნობს, რომ კუმრანის მახლობლად არსებობდა ცნობილი სექტა - Essei. ეს სექტა მესიას ცნობდა იეშუაში, ასკეტური ფორმით თაყვანს სცემდა ქრისტეს მოძღვრებას. არქეოლოგიურმა გათხრებმა ნათელი მოჰფინა ამ სამყაროს რეალურ არსებობას. „მკვდარი ზღვის ჩანაწერებით" ირკვევა, რომ ამ სექტას ჰქონდა საკუთარი რელიგიური კალენდარი (სექტანტური კალენდარი), მისი წევრები ეწეოდნენ საგანმანათლებლო საქმიანობას. მკვდარი ზღვის მანუსკრიპტთა აღმოჩენამ ნათელყო რიგი ბიბლიური პერსონაჟების ისტორიულობა. მესიანისტური მოძრაობის აღმავლობის პერიოდში ახ. წ. I საუკუნეში გამოჩნდა მქადაგებელი იოანე ნათლისმცემელი. იგი ქადაგებდა მესიის მოსელასა და საყოველთაო ხსნის მოახლოებას. ვარაუდობენ, რომ იგი თავად ეკუთვნოდა რომელიმე სექტას ან აპოკალიფსურ ჯგუფს. იოანეს მიჰყავდა ხალხი მდინარე იორდანესთან და განწმენდის ნიშნად თავზე წყალს ასხამდა. ამ პერიოდში მომრავლდნენ, ე. წ. ნეოფიტები, ისინი ცდილობდნენ იუდაიზმისა და ქრისტიანობის დოგმების შეჯამებას. ამ პროცესს ბოლო მოუღო იდეოლოგიურმა განხეთქილებამ. იერუსალიმში 51 წ. მოწვეულ იქნა საეკლესიო

კრება, რომელმაც მიიღო კომპრომისული გადაწყვეტილება – იუდაიზმის კანონებისაგან ათავისუფლებდა მხოლოდ ქრისტიანებს (წარმართებს). განხეთქილება უკავშირდება მოციქულ პავლეს სახელს. ჩანს, ანალოგიურ პროცესებს ადგილი ჰქონდა ქართველ ებრაელთა კულტურულ ცხოვრებაშიც. „მოქცევაი ქართლისაის" ავტორი მცხეთის სინაგოგის მღვდელმთავარს აბიათარს შემთხვევით როდი უწოდებს ახალ პავლეს.

წინასწარმეტყველთა ეპოქის დამთავრების შემდეგ, წინასწარმეტყველურ რელიგიურ ჟანრს ცვლის მისტიკური ლიტერატურა, მთლიანად განსხვავებულმა აზროვნებამ წარმოშვა განსაკუთრებული დარგი ებრაული მწერლობისა – აპოკრიფული ლიტერატურა. აპოკრიფი ბერძნულად დაფარულს, საიდუმლოს ნიშნავს. აპოკრიფები მიეწერება ბიბლიურ პირებს (მაგ., ენოქ, ეზრა, ბარუქ), რომლებიც ეპოქით საკმაოდ დაშორებულები არიან შექმნის პერიოდისაგან. ებრაულ ლიტერატურაში, ე. წ. „ძველი აღთქმის" აპოკრიფებად მიჩნეულია: მე-3 და მე-4 წიგნები ეზრასი, მე-3 და მე-4 წიგნები მაკაბელთა, წიგნი ენოქისი, სოლომონის სიბრძნე, ანდერძი ათორმეტთა მამამთავართა და ბიბილას წიგნები. კლასიკურ აპოკალიფსად ითვლება დანიელის წიგნის ბოლო თავები, აგრეთვე, ენოქის წიგნი. უკანასკნელმა დიდი გავლენა იქონია ქრისტიანულ ლიტერატურაზე („ენოქის წიგნში" პირველადაა მოცემული სამოთხესა და ჯოჯოხეთში მოგზაურობა). ებრაული ლიტერატურის ცნობილი აპოკალიფსია „ამაღლება მოსესი" (დაწერილი ირიდის სიკვდილის შემდგომ); იგი მოღწეულია ფრაგმენტების სახით. მასში გატარებულია კოსმიური კატასტროფის წინათგრძნობა. ეროვნულმა კატასტროფამ გარკვეული უარყოფითი გავლენა მოახდინა აპოკრიფულ მწერლობაზეც. ამ პერიოდის შემდგომი აპოკრიფული ლიტერატურის ნიმუშებია: „ეზრას წიგნი" და „ბარუქის ხილვანი". თავისი თემატიკით აპოკრიფები უკავშირდება ბიბლიას, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ შესულა ძველი აღთქმის შემადგენლობაში.

ამგვარად, როგორც დავინახეთ, ისტორიის ასპარეზზე ერთმანეთის პირისპირ იდგა ორი ცივილიზაცია – ელინისტური და ებრაული. პირველი აყვავების ზენიტში, პოლიტიკური ჰეგემონი თავისი კოსმოპოლიტური კულტურით, არ ცნობდა ეთნიკურ საზღვრებს და მსოფლიო ცივილიზაციად უნდა ქცეულიყო. მეორე – პოლიტიკურად დაქვემდებარებული, ტერიტორიულ და ეთნიკურ ერთობას მოკლებული, მონოთეისტური სარწმუნოებისა და ებრაულ-არამეული ენის ვიწრო

ჩარჩოებში მოქცეული. მათ ფონზე ვლინდება აღმოსავლეთის და დასავლეთის კულტურული ანტითეზა. ერთი შეხედვით, თითქოს წარმოუდგენელია, რომ ებრაულ ცივილიზაციას გაავლენის მოხდენა შეეძლო ელინისტურ ცივილიზაციაზე. სწორედ აქ ავლენს ებრაული კულტურა თავის ბუნებას, იგი ისტორიულად განვითარებადი ფენომენია, აქ ერთი ცივილიზაციის შემოქმედებითი იმპულსი გადაეცემა მეორეს, და პირუკუ, მყარდება კონტაქტი, ურთიერთშეღწევა. ებრაულმა ცივილიზაციამ გავლენა მოახდინა სულიერ ასპარეზზე: მონოთეიზმის იდეა მიმზიდველი აღმოჩნდა დასავლეთის სამყაროსათვის. ყალიბდება ცნება „ელინისტური იუდაიზმი", იგი გულისხმობს ბერძნულ ენაზე მოლაპარაკე იუდეველთა თემს დიასპორაში, აგრეთვე, სხვა ეთნიკური წარმომავლობის თანამგრძნობელებს. ამ პერიოდში სინაგოგა ფართოდ ეღებს კარს უცხო წარმოშობის ხალხებს. იგი დემოკრატიული ხდება. ასეთ პროზელიტთა რიცხვში მოიხსენიება მესოპოტამიის ადიაბენის სამეფო. ადიაბენის დედოფალი ელენე ჩავიდა იერუსალიმში დიდი ამალით და იუდაიზმზე მოექცა, იერუსალიმის შემოგარენში იგება ადიაბენის მეფეთა დიდებული საძვალე — მაუზოლეუმი. ამასთანავე, იერუსალიმში, მღვდელმთავარ იასონის დროს, ძვ. წ. II საუკუნეში, აიგო ბერძნული ტიპის გიმნასიონები და ეფებიები, სადაც ებრაელი ახალგაზრდობა იღებდა განათლებას. ამან გააღრმავა ებრაულ საზოგადოებაში განხეთქილება. ელინისტები და ხასიდები მკვეთრად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს .

ქრისტიანული რელიგიური აზროვნება დავალებულია ებრაული სულიერებისაგან. პირველი, ვინც სცადა ბიბლიის კომენტირება ფილოსოფიური ალეგორიის მიხედვით, იყო ფილონ ალექსანდრიელი (ძვ. წ. 13 – ახ. წ. 54 წწ.). მისი ფილოსოფიური გენია გამოვლინდა ყველა ასპექტში: იუდაიზმის წინააღმდეგობების გამოკვეთა წარმართული ნორმებისაგან, იუდაიზმის პრინციპთა შეპირისპირება ბერძნულ ფილოსოფიასთან (პლატონთან, არისტოტელესთან). ფილონმა ლოგოსის თეორია ჩამოაყალიბა შემდეგნაირად: ტრასცენდენტული ღმერთი სუფევს ფიზიკურ სამყაროში და ადამიანის ცნობიერებაში. ფილონმა დაამუშავა ღვთაებრივის ფილოსოფიური განცდის თეორია, რამაც გარკვეული გავლენა იქონია მომდევნო ეპოქის ფილოსოფოსებზე. ის ცდილობდა ჰარმონიულად დაეკავშირებინა ერთმანეთთან იუდაიზმი და ბერძნული ფილოსოფია.

რაც შეეხება რომაულ გაულენას, თავდაპირველად რომი მეომართა და მიწათმოქმედთა სახელმწიფო იყო. თუ საბერძნეთის მაღალი კულტურული პოტენციალი გამოვლინდა ხელოვნების, კულტურის, ფილოსოფიის სფეროში, რომაელთა შეუდარებელი უნარი წარმოჩინდა სახელმწიფო მართვასა და საზოგადოების სამხედრო ორგანიზაციაში. წმინდა სტილისტური თვალსაზრისით, რომაული ხელოვნება უკავშირდება გვიანელინისტურს. პირველ ფაზაზე იგი წმინდა იმპორტული კულტურის ნიშნებს ატარებს. მისი კულტურული ზეგავლენა იუდეას, უპირველეს ყოვლისა, ადმინისტრაციული აპარატის სტრუქტურაზე დაეტყო და ამასთან, გამოვლინდა ხელოვნების, არქიტექტურის, ყოველდღიური ცხოვრების სფეროშიც. სწორედ ამიტომ, ორი კულტურის — ებრაულისა და რომაულის შეპირისპირების საფუძველზე ელინისტურ ხანაში წარმოიქმნა „ანტისემიტიზმი": რელიგიური და კულტურული. ბერძენ-რომაელთა ელიტარულ წრეებში იუდეველებს, როგორც ბარბაროსებს კულტურული თანასწორობის უფლება არ ჰქონდათ.

პილიტიკური ანტისემიტიზმი მდგომარეობდა დეევნილ ებრაელთა სტატუსში, ნაციონალური სახელმწიფოს მოშლის გამო მათ მოქალაქეობრივ უფლებათა იგნორირებაში. თუმცა, ელინიზებულ ებრაელს, რომელიც თავის რელიგიაზე უარს ამბობდა, მოქალაქეობა გარანტირებული ჰქონდა. ამასთანავე, ელინისტურ ცივილიზაციებთან კონტაქტისას, იუდეველები უკეთ აცნობიერებდნენ მათ წინაშე დასმულ სპეციფიკურ ამოცანებს. პირველ რიგში, ღვთიური ნაციონალური კულტურის შენარჩუნება, ეროვნული ენერგიის რეალიზაცია თვითმყოფადობის გადარჩენისათვის. აღნიშნული გარემოება კარგად ჩანს ებრაელი ისტორიკოსის იოსებ ფლავიუსის (ახ.წ. 38-100 წწ.) შრომებში. მართალია, ის ვესპასიანეს ბანაკიდან უმზერდა მეორე ტაძრის დანგრევას (70 წ.), მაგრამ სიკვდილამდე ინარჩუნებდა ებრაულ რწმენას. იუდაიზმი ვრცელდებოდა საიმპერატორო კარზეც, უბრალო ხალხი და ფილოსოფოსები ღებულობდნენ ებრაულ წეს-ჩვეულებებს. ასეთ ადამიანებს პროზელიტებს უწოდებდნენ. თავის მხრივ, ებრაული კულტურა განიცდიდა ელინისტურ-რომაული ცივილიზაციის ზეგავლენას. ფართოდ ვრცელდებოდა ბერძნული დამწერლობა და წიგნიერება. იოსებ ფლავიუსის მონუმენტური საისტორიო შრომები „იუდეველთა ომი" და „იუდე-

ელთა სიძველეები“ ბერძნულ ენაზე დაიწერა რომში, საიმპერატორო არქივების საფუძველზე.

ბაბილონის ტყვეობისა და მეორე ტაძრის აგების შემდეგ ებრაული კულტურა თანდათანობით იკრებდა ძალებს. აქემენიდების სპარსულ იმპერიას, რომელსაც მსოფლიო ბატონობის პრეტენზია ჰქონდა, მკვეთრად ჩამოყალიბებული კულტურულ-რელიგიური პოლიტიკა ახასიათებდა, მათ შორის, ებრაელების მიმართ. სპარსეთის მმართველები პირდაპირ ურთიერთობას ამყარებენ ებრაული თემების ფინანსურ არისტოკრატიასთან, მის უმდიდრეს წარმომადგენლებთან. დიასპორაში, რომელთაც დიდი ზეგავლენა ჰქონდათ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაზე. მომდევნო ხანს ელინური ქვეყნებისაგან განსხვავებით, აქემენიდების რელიგიური პოლიტიკა ზომიერებითა და გაწონასწორებით გამოირჩეოდა, რამაც ძვ. წ. V-IV სს. შემდეგ ერთგვარად შეუწყო ხელი ებრაელთა სულიერ აღორძინებას. ებრაული თემები სარგებლობდნენ ფართო ავტონომიით. იუდეველ სამღვდელოებას ჰქონდა საშუალება ებრაული თემის მართვისა, ოქროს სათემო მარაგის შექმნისა, ერთმორწმუნეთა შორის გადასახადების გადანაწილება-აკრეფისა. ამ პერიოდში იქმნებოდა დიდი სალოცავები მასობრივი თაყვანისცემისათვის და ლოცვებისათვის, რაც სპარსელთა ოფიციოზის აზრით, ხელს უწყობდა არასპარსელთა ლოიალობის განმტკიცებას იმპერიაში. ამის შედეგია ის გარემოება, რომ, ე. წ. გვიან იუდაიზმში შეიმჩნევა ირანული დუალიზმის გავლენა, წარმოდგენები ღვთის სამსჯავროზე, სამოთხესა და ჯოჯოხეთზე, სულთა გადასახლებაზე, ბოროტისა და კეთილის ბრძოლაზე და სხვ. მიშნაურ ტრაქტატში — „ფირქეი აოთ-ში“ (მამათა შეგონება) ხაზგასმულია — „ილოცე სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის“. მერე რა, რომ სახელმწიფო უცხოა, დამპყრობი, მთავარია წესრიგი და სამართლიანობა. მომდევნო ეპოქაში იქმნება მიდრაში, ანუ ხუთწიგნეულის კომენტარებისა და წინასწარმეტყველების კომენტარები, მიდრაშული კანონმდებლობა (მიდრაშ ჰალახა), მორალურ-ზნეობრივი კოდექსი (მიდრაშ აგადა). ქვეყნის მდგომარეობის გამო ალეგორიული ფორმა გადმოცემისა ძალზე პოპულარულია, რადგან ამცნობდა ხალხს ზეპირი თორის სიბრძნეს. როგორც აღნიშნული გვქონდა, მისი გაგება-გააზრება მოითხოვდა სპეციალურ განათლებას ეშიკასა და ხედერში, რაც ებრაული განათლების ქვაკუთხედს შეადგენდა. ებრაელებს თორის

პრინციპებიდან გადახვევა ასიმილაციის საფუძვლად მიაჩნდათ. სპარსული კულტურის გავლენა აღინიშნა არამეული ენისა და დამწერლობის მოძალებაში. არამეულ ენაზეა შექმნილი დანიელ და ეზრა წინასწარმეტყველების წიგნები. ამ დროს განეკუთვნება არამეული ლოცვები, ისინი ფართოდ გავრცელდა ხალხში. პალესტინის ტერიტორიაზე, რომელიც სპარსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, სალაპარაკო ენად არამეული იქცა. ებრაული და არამეული, მონათესავე ენები კულტურული კონტაქტის გაძლიერების გამო კიდევ უფრო დაუახლოვდა ერთმანეთს. აღნიშნული ვითარების დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ თალმუდი დაწერილია სწორედ ამ ნარევ ენაზე (აღმოსაელურ არამეულ ენაზეა შექმნილი ბაბილონური თალმუდი, ხოლო დასავლურ არამეულზე – იერუსალიმური თალმუდი). დამოუკიდებლობის დაკარგვის პირობებში მხოლოდ თორისა და ებრაული მშობლიური ენისადმი ერთგულება, ებრაული განათლება იძლეოდა ებრაული კულტურის არსებობის საფუძველს.

„ბაბილონის ტყვეობის“ წლებმა გარკვეული დალი დაასვა ებრაელი ხალხის კულტურას. სხვადასხვა სოციალური ფენისათვის რთული აღმოჩნდა ახალ გარემოსთან ადაპტაცია. ერთი ნაწილი, ძირითადად საშუალო ფენა, შეეგუა ლოკალურ გარემოს, ჩაება სავაჭრო ოპერაციებში და მკვიდრი საარსებო გარემო შეიქმნა. გაცილებით მტკივნეული აღმოჩნდა ეს ინტელექტუალურ ქურუმთა ფენისათვის, რომელთაც ჩამოერთვათ ყველა პრივილეგია. ინტელიგენციის ამ წრეში ჩაისახა ის რელიგიურ-პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც წინასწარმეტყველთა ტრადიციას უკავშირდება. ბაბილონის თემს სათავეში ჩაუდგა წინასწარმეტყველი იეზეკიელი. იგი ტყვედ იმყოფებოდა ბაბლონში, ეწეოდა პრაქტიკულ მოღვაწეობას და სამომავლოდ იმედოვნებდა ისრაელის სახელმწიფოს აღდგენას. იეზეკიელმა ჩამოაყალიბა რელიგიური კონცეფცია, რომლის თანახმად, წამყვანია თეოკრატიული მონარქია ცენტრით – იერუსალიმი, იაჰვეს ტაძარი. დავითის ტომიდან ქვეყნის სათავეში უნდა მოსულიყო მესია მაშიახი. სახელმწიფო მოწყობის სოციალური ფორმა თვითმმართველი თეოკრატიული სატაძრო-საქალაქო თემია. იაჰვეს კულტი უნდა გამოცხადებულიყო სახელმწიფო კულტად. თემის სრულფასოვანი წევრი მხოლოდ იაჰვეს კულტის მიმდევარი უნდა ყოფილიყო, რომელსაც უძველესი დროიდან სცემდნენ თაყვანს ებრაელები. წინასწარმეტყველ

იეზეკიელის პროექტს ღრმად ეროვნული ხასიათი ჰქონდა. გაეიდა ხანი, აღსრულდა ესაიას წინასწარმეტყველებაც: „იგი ააშენებს ჩემს ქალაქს და გაუშვებს ჩემს დევნილებს“ (ესაია, 4:5). იგულისხმება მეფე კიროსის განკარგულება ებრაელების თაობაზე. მაგრამ ჯერ საშობლოში დაბრუნების ნებართვას მხოლოდ 40 ათასი ებრაელი გამოეხმაურა. აქედან ჩანს, თუ რა დიდი სულიერი ვაკუუმი შექმნილა ებრაელთა შორის. დაბრუნებული იუდეველები ტაძრის აღდგენაზე შეიარაღებული მუშაობდნენ, რადგანაც მტერი არ ასვენებდათ. ფაქტობრივად, სამეფო ხელისუფლება არ აღდგენილა. ეს თანამდებობა მიიღო ნემიამ. მან მთვარის შუქზე შემოიარა იერუსალიმი, ღია, დაუცველი, ნანგრევებად ქცეული ქალაქი. ამრიგად, დაიწყო იერუსალიმის ავტონომიური ახალი სატაძრო თემის ჩამოყალიბების შეუქცევადი პროცესი. ირანის ადმინისტრაცია მაინც უნდობლად ეკიდებოდა იუდეველთა თემს და ცდილობდა ძველი გავლენის შენარჩუნებას. აღნიშნული ურთულესი კულტურულ-ისტორიული პროცესი დასრულდა ძვ. წ. IV საუკუნეში. ცხადია, ამ „ბაბილონის ტყვეობის“ წლებმა საგრძნობი გავლენა მოახდინა კულტურულ სფეროზე. ებრაელებმა გაიცნეს და ერთგვარი თანაგრძნობითაც ეკიდებოდნენ ზოროასტრის რელიგიას. ამ რელიგიიდან მათი ყურადღება მიიპყრო დუალიზმის კონცეფციამ, ორი დაპირისპირებული ძალის ბრძოლამ. ამ ძალებს განასახიერებენ სინათლის ღმერთი აჰურამაზდა და ბოროტების ღმერთი აჰრიმანი. თავის მხრივ, იუდაიზმმა ეს დუალისტური კონცეფცია გადასცა ქრისტიანობას ადრეულ ეტაპზე.

შეიძლება ითქვას, რომ ბაბილონიდან ებრაელი ხალხი კიდევ უფრო წიგნიერ ხალხად დაბრუნდა, რადგან ტყვეობაში მოსახლეობის დიდი ნაწილი სულიერებაზე ზრუნავდა. იერუსალიმში, როგორც აღვნიშნეთ, უკვე გაბატონებული იყო არამეული ენა. ებრაულმა მეტნაკლებად განდევნა იგი და დაიბრუნა დაკარგული პოზიციები. მოხდა ანბანის რეორგანიზაცია, შეიქმნა ახალი შრიფტი. ამ პერიოდის გამოჩენილი მოღვაწეა ეზრა. იგი ბაბილონიდან ძვ. წ. 458 წელს დაბრუნდა საშობლოში 1576 ებრაულ ოჯახთან ერთად. ეზრამ ჩაატარა მთელი რიგი სოციალური და რელიგიური რეფორმებისა, დიდი გავლენა მოახდინა იუდეველთა ახალი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესზე. აიკრძალა შერეული ქორწინება, იუდე-

ველის ქორწინება უცხო ტომის წარმომადგენელზე (რითაც უნდა მოხსნილიყო მცირე ერის ასიმილაციის საშიშროება). ეზრამ გაატარა დემოკრატიული რელიგიური რეფორმა. მან თორა დაუბრუნა ხალხს, მისი კითხვა-სწავლება აქცია სახალხო საქმედ, რაც წინათ მხოლოდ მოძღვართა და სასულიერო კასტის — ლევიტთა პრივილეგია იყო. ეზრას მოღვაწეობას უკავშირდება, როგორც აღვნიშნეთ, თანახის კანონიზაცია. ამ პერიოდის წინასწარმეტყველთა რელიგიური მოღვაწეობა წარმოადგენს მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის კულმინაციურ წერტილს, დამაგვირგვინებელ ფორმას. ვლინდება მათი ხალხური ხასიათი. წინასწარმეტყველებმა რელიგიური წეს-ჩვეულებანი არაფრად მიიჩნიეს და მთელი ყურადღება მიმართეს თორის ეთიკურ არსზე. თორის მეშვეობით ღმერთთან მიახლოება შეეძლო ყველა მორწმუნეს. ფასეული ხდება მარადიული ღირებულებანი — სიკეთე, სამართლიანობა, გულმოწყალება. წინასწარმეტყველთა წიგნებში (მაგალითად, ესაია, 5:8) გატარებულია სოციალური თანასწორობის აზრი. როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, უნივერსალური იდეა, რომელიც წინასწარმეტყველთა ეპოქას უკავშირდება, არის მესიანიზმი. წინასწარმეტყველმა ესაიამ მასში ამომწურავად გამოხატა ებრაელი ხალხის სულიერი მისია — კაცობრიობისთვის მესიის მოვლინება, რომელიც იხსნის ქვეყნიერებას. „გამოუცხადა უფალმა ქვეყნის კიდეებს, უთხარით სიონის ასულს: აჰა, მოდის ხსნა შენი, აჰა მასთანაა მისი საზღაური და მის წინაა მისი გასამრჯელო. დაარქმევენ მას: წმინდა ერი, უფლის გამოსყიდული; შენ კი დაგერქმევა მოძებნილი ქალაქი, მიუტოვებელი (ესაია, 61:11, 12).

მესიანური იდეა იუდაისტურ სარწმუნოებაში იკავებს ცენტრალურ ადგილს და მის წიაღში განიცდის აღორძინებას. როგორც ვიცით, სპარსელები ებრაელების მიმართ ლოიალურად იყვნენ განწყობილნი, რაც ხელს უწყობდა კულტურული კონტაქტების გაძლიერებას. ასევე იყო საქართველოში. გაიხსენოთ, „მოქცევაი ქართლისაის“ ჰასაჟი, სადაც სპარსთა მეფეთა მეფე ხუარან ხუან ამბობს: „ყოველნი ჰურიანი განაჩინეთ პირისაგან მახვილისაი“.

აქემენიდური ირანის ბატონობას ბოლო მოუღო ალექსანდრე მაკედონელმა, მან დაამარცხა მეფე დარიოს III (336-330 წწ.), რის შედეგადაც აქემენიდების სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა. აქემენიდთა იმპერიაში, მის 20 სატრაპიაში შემავალი უძველესი

კულტურის კერები: ბაბილონი, სირია, ფინიკია, პალესტინა და მცირე აზიის სხვა ქვეყნები, მაკედონიელთა იმპერიის „მემკვიდრეობა“ გახდა. ისტორიაში სათავე დაედო ახალ ეპოქას. ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ მისი ერცელი იმპერია დაიშალა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, გრძელდებოდა ბერძნული კულტურის გავრცელების მსოფლიო-ისტორიული პროცესი, ორი დიდი კულტურული არეალის კონტაქტები – ევროპული ხმელთაშუაზღვისპირეთისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხების. ამ რეგიონის ხალხთა ტრადიციულ კულტურას გადაუარა ელინისტური კულტურის ინტენსიურმა ტალღამ. ამ პროცესში ჩაერთო: ეგვიპტე, სირია, ფინიკია, პალესტინა.

ელინიზმის მიზანს ერთიანი მსოფლიო ციეილიზაციის შექმნა შეადგენდა. ეს იდეა ალექსანდრე მაკედონელისაგან მომდინარეობდა, იგი ეძებდა ბერძნული და სპარსული ფასეული ელემენტების შერწყმის გზებს. მისი იდეოლოგები, ფილოსოფოსები ცდილობდნენ ამ იდეის ფილოსოფიური საფუძვლით განმტკიცებას. პლუტარქე წერდა: „ალექსანდრე მაკედონელმა გაიარა მთელი აზია... არა იმისთვის, რომ ხელთ ეგდო და დაეგროვებინა მოულოდნელი წარმატების მეოხებით მოპოვებული სიმდიდრე, არამედ სურდა ქვეყნად ყველა ადამიანი დამორჩილებოდა ერთ გონებას და ერთ სახელმწიფო წყობას“.

მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთის აუზის ქვეყნებთან ერთად ამგვარ კულტურულ მორევში მოექცა პალესტინაც. ელინიზმის პროცესი აღმოსავლეთის სხვა ხალხთა ფონზე მეტად მტკივნეული აღმოჩნდა იუდეისათვის. იუდეა რელიგიური მრწამსით — მონოთეიზმით განსხვავდებოდა მახლობელი აღმოსავლეთის ხალხების წარმართული კულტურისაგან, ასევე განსხვავდება ბერძნულ-ელინისტური სამყაროსაგანაც.

ანტიკური ხანის კულტურის ელინისტური პერიოდის I ფაზა მოდის 332-152 ძვ. წ. მანამდე, თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში იუდეა პტოლემაიდური ეგვიპტის განმგებლობაშია. თავისი გეოგრაფიული მდებარეობით იუდეა წარმოადგენდა ბუფერს ეგვიპტესა და სირიას შორის. ეგვიპტელთა პოლიტიკა იუდეას მიმართ მშვიდობიანი იყო. ამას ხელი შეუწყო პტოლემაიოსების სახელმწიფოში მიმდინარე შინაგანმა პროცესმა. მმართველები

ცდილობენ ცენტრალიზებული სახელმწიფოსა და ადმინისტრაციული აპარატის დახვეწას.

იუდეას შინაგანი ავტონომია შენარჩუნებული აქვს. სახელმწიფოს ადმინისტრაციული სტრუქტურა უცვლელი რჩება. ქვეყანა იყოფა სამ სამმართველო-ადმინისტრაციულ ერთეულად: ეპარქია, ნომი, ტოპარქია.

იზრდება ქვეყნის საგაჭრო ბალანსი სირიასა და ეგვიპტეს შორის ტრანზიტის ხარჯზე. ხდება საქალაქო ცხოვრების აღორძინება ადგილობრივ დასახლებათა ბაზაზე: ღაზა, ამკელონი, აკო, იაფო და სხვ.

ამგვარად, პტოლემაიოსთა მფლობელობის პერიოდი ებრაული კულტურის ისტორიაში შეიძლება დადებითად შეფასდეს. კულტურის განვითარების თვალსაზრისით რაიმე ანტიებრაული აქციის კვალი არ ჩანს, ელინიზმის პროცესი იმავე გზებითა და ხერხებით მიმდინარეობს, როგორც ეგვიპტეში. იზრდება ბერძნული ენისა და კულტურის ზეგავლენა. ძვ. წ. 188 წელს იუდეა გადაეიდა სირიის მფლობელობაში, ანტიოქე III სელევკიდის დროს. ეს ფაქტი მტკიცნეულია არამარტო პოლიტიკური თვალსაზრისით. სირია არღვევს იუდეის შინაგან ავტონომიას. კულტურულ ასპექტში სირიის და ეგვიპტის მიზანსწრაფვა იდენტური იყო – ელინიზმის დანერგვა. იუდეის ელინისტური სტანდარტის პროვინციად ქცევა, რელიგიური შეუწყნარებლობა. ამ დროს ელინიზმის ნიშნები თავს იჩენს მატერიალური კულტურის სფეროშიც. ონომასტიკური მასალების ანალიზი გვარწმუნებს, რომ ფართოდ ვრცელდება ბერძნული სახელები. ელინისტური ელემენტების შემოჭრამ ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში ებრაული ერი დააყენა დილემის წინაშე: ბერძნული ცივილიზაცია ან ცხოვრების ებრაული წესი, ებრაული კულტურა. საზოგადოებაში წარმოიქმნა ღრმა სულიერი დისჰარმონია, რადგან კატასტროფული განსხვავება იყო ბერძნულ და ებრაულ მსოფლმხედველობასა და იდეოლოგიას შორის, იუდაიზმს შეექმნა ორგვარი საფრთხე – გარეგანი და უფრო ღრმა – შინაგანი, საკითხი დაისვა ებრაული რწმენის ანუ ერის არსებობა-არარსებობის შესახებ. ბერძნული ცივილიზაცია შეითვისა ებრაელი ერის არისტოკრატიულ-ელიტარულმა ფენამ. მათ გადაიღეს ბერძნული კოსმოპოლიტური აზროვნება, რეალური სამყაროსადმი პრაგმატული დამოკიდებულება, ფუფუნებით ტკბობა და სხვა ამქვეყნიური სიამენი.

შესაბამისად ისინი ცდილობდნენ იუდაიზმის მკაცრი კანონების ლიბერალიზაცია-შერბილებას. სიტუაცია კრიტიკული გახდა ანტიოქოს IV-ის დროს, როცა ხელყვეს იუდეის შინაგანი ავტონომია და შელახეს იუდეველთა ნაციონალური გრძნობები. ანტიოქოს IV-ის დროს მიზანდასახულად იდევნება ებრაელი ხალხის სულიერი კულტურა, იუდაიზმი. მან მოინდომა იერუსალიმის თვითმმართველობის გაუქმება და ქალაქისათვის თავისი სახელის მინიჭება. დიდი ტაძარი გამოაცხადა ზეუს ოლიმპიელის სამსხვერპლოდ. იერუსალიმში მან ჩაიდინა უდიდესი მკრეხელობა – ტაძრის შიგნით ქოთავსა საკუთარი ბიუსტი. როგორც აღნიშნული გექონდა, იუდაიზმი არ ცნობს კერპებს – საკულტო ქანდაკებებს. მსგავსი კერპების ტაძარში შეტანა უდიდეს ცოდვად ითვლება. ებრაული რელიგია მკაცრად აიკრძალა. რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა და თორის კითხვა სიკვდილით ისჯებოდა... იდეოლოგიური ბრძოლა გამოიხატა განათლების სფეროშიც. მომრავლდა ბერძნული განათლების კერები, სკოლა-გიმნასიები. ფართოდ ინერგებოდა დიონისეს, ჰერმესისა და ჰერაკლეს კულტი. სტადიონებზე მიმდინარეობდა შიშველი ახალგაზრდების ფიზიკური წვრთნა და შეჯიბრებები. ფიზიკურ წრთობასთან ერთად მუსიკალური განათლება და ბერძნული ფილოსოფიური სისტემები აღზრდის ელემენტს შეადგენდა. ფორმები, რომაული აბანოები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებად იქცნენ.

საზოგადოება გაიყო ორ ბანაკად – ელინისტებად (სოციალური ბაზა: ძირითადად არისტოკრატია) და ხასიდებად – ღვთისმოსავები, ნაციონალ-პატრიოტები იცავენ თორის კანონთა შეუვალობას. მათი პრინციპია - „გიყვარდეს ადამიანები და მიაახლოვე ისინი თორასთან“.

პირველად კაცობრიობის ისტორიაში გაჩნდა ადამიანთა დიდი ჯგუფი, რომლებიც იდეისათვის ირჩევენ ტანჯვის, თავგანწირვის გზას. ისინი განცალკევებით ცხოვრობენ ებრაელთა ძირითადი მასისაგან, მათი ცხოვრებისეული წესი ასკეტურია, სკურპულოზურად იცავენ მამაპაპურ რიტუალებს. შექმნილი ვითარების გამო ანტიოქოს IV-ემ გაგზავნა დამსჯელი ექსპედიცია ებრაელთა სოფლებში. ისინი მიზნად ისახავდნენ ძალისმიერი გზით იუდეველთა კერპთაყვანისმცემლობაზე მოქცევას. ებრაული ტრადიციის თანახმად, მოელენათა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, ისტორიის განმე-

ორებადობა, ღვთის ჩარევის მორიგი აქტი, სიმბოლურად გამოიხატა ანტიოქოს IV-ის აღსასრულში.

ანტიბერძნულ-სირიული განწყობილება თანდათან ღრმავდებოდა, შესაბამისად მოხდა ებრაული კულტურის კონსოლიდაცია, რითაც იწყება ანტიკური ხანის ებრაული კულტურის ელინისტური პერიოდის II ფაზა. იუდეველები იცავენ ნაციონალურ დამოუკიდებლობას და კულტურას. ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ხაშმონეანთა სახლი, შემდგომში ახალი სამეფო დინასტია. მათათიაპუხ უფროსი ვაჟის, იუდას ხელმძღვანელობით ძვ. წ. 165 წელს, ქისლევის 25-ს, 300-წლიანი წყვეტილის შემდეგ, მოხდა დიდი ტაძრის განწმენდა წარმართული ელემენტებისაგან, მისი ახალი კურთხევა და აღორძინება.

იონათან ხაშმონეანის პერიოდში სირიაში მძაფრდება შინაგანი წინააღმდეგობანი. იგი ეხმარება სირიის ტახტის პრეტენდენტს, იღებს მისგან „მეფის მოკავშირის" ტიტულს, იონათანი ინიშნება დიდმოძღვრად. მის ხელში თავს იყრის სასულიერო და საერო ძალაუფლება, იგი ხდება ებრაელი ერის სულიერი მეთაური. სწორედ მან ძვ. წ. 152 წელს ჩაატარა საზეიმო ღვთისმსახურება ტაძარში. ძვ. წ. 142 წელს კი იუდეა განთავისუფლდა სირიის მძიმე ხარკისაგან და ეს თარიღი ითვლება იუდეის დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ და ახალი კულტურული აღმავლობის დასაწყისად. რესპუბლიკურმა რომმა მიიღო იუდეის ელჩობა, სენატმა მოისმინა თხოვნა, აღიარა იუდეის სამეფო „დე იურე", იურიდიულად და მიიღო გადაწყვეტილება მოკავშირეობის შესახებ. ეს იყო ორმხრივი „ანტისირიული აქტი", იდეა გამოხატავდა პროტესტს სირიის დესპოტიის მიმართ, რომი კი ხაზს უსვამდა თავის ძალას და რეალურად ემუქრებოდა სირიის მფლობელობას. ნიშანდობლივია, რომ ამ ხელშეკრულებას მოყვა რეალური შედეგი – სირიის აგრესიის დროებითი შეწყვეტა. იუდა და იონათან მაკაბელთა მომდევნო ძმა, სიმონი ატარებს მნიშვნელოვან რეფორმებს ხელისუფლების განსამტკიცებლად. სიმონი აძლევს თავის მმართველობას საკანონმდებლო ფორმას და უზრუნველყოფს დინასტიის მემკვიდრეობითობას. ამგვარად, იუდეა გახდა ტიპური აღმოსავლური მონარქია, დესპოტიის ნიშნებით: ერთი პიროვნების ხელში კონცენტრირდება საერო და სასულიერო ძალაუფლება. სამეფოს სათავეში დგება მეფე-მონარქი. ხდება ახალი რომაული საომარი ტექნიკის ათვისება და წარმოება. შენდება ახალი ქალაქები

და საფორტიფიკაციო ნაგებობები. მეფის ტიტული მიიღო არისტობულმა (104-103 წწ.). მის მიერ მოჭრილ მონეტაზე კი ტრადიციული „დიდმოძღვრის“ ტიტულატურაა. ჩამოყალიბდა ხაშმონეანთა სასახლის კარი, თავისი სამოხელეო-სადამსჯელო რომაულ-ელინისტური კულტურული ტრადიციებით იწყება ქვეყნის ფართო აღმშენებლობა და ეკონომიკური აღმავლობა, იერუსალიმის მფლობელობაში მოექცა პალესტინის ბერძნულ-რომაული ქალაქების კონფედერაცია – დეკაპოლისი (ათი ქალაქი), ეკონომიკური თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი გაერთიანება. მართალია, გადასახადების ერთი ნაწილი რომში იგზავნებოდა, მაგრამ მეორე ხმარდებოდა ქვეყნის აღმშენებლობას. ამ რესურსებით ჰეროდემ მოაწყო ბრწყინვალე სასახლის კარი, რომაულ-ელინისტური დიდებულებით, ააშენა ახალი ქალაქები: ჰეროდიუმი, ტიბერია, კესარია (კეისარია), სებასტია და სხვ. მაგალითად, ჰეროდიუმში, საქალაქო სამშენებლო ტიპსა და არქიტექტურაში კარგად ჩანს გვიანი ელინიზმის ნიშნები. კულტურული ცხოვრება: თერმები, სტადიონები, თეატრები, სკულპტურები და სხვა ბერძნულ-რომაულ სტანდარტებს ექვემდებარებოდა. ასეთი გახდა კესარიაც – ჩრდილოეთ ხაიფასთან (ქალაქის ძველი სახელწოდებაა – „სტრატონის საგუშაგო“, თალმუდში „მიგდალ შარშანი“). ადრე იგი ეკუთვნოდათ პტოლემაიდებს, მოგვიანებით იგი ხაშმონიანებმა შემოიერთეს, იმპერატორმა ავგუსტუსმა გადასცა ჰეროდე I, რომელმაც ის აქცია დიდ სატრანზიტო პორტად. ქალაქი კეთილმოეწყო, აიგო პორტიკები, აკვედუკები, გზები მოწყობილია ეპოქის სტანდარტების შესაბამისად. ახალი წელთაღრიცხვიდან ცხადდება რომაელ პროკურატორთა რეზიდენციად, ფაქტობრივად, იუდეის დედაქალაქად რომაელთა ბატონობის პერიოდში.

იერუსალიმის ხვედრი მძიმე აღმოჩნდა ელინისტურ პერიოდში. მან არაერთხელ განიცადა ნგრევა (მაგალითად, პომპეუსის შემოსვლისას, ჰეროდეს გარემოცვისას), მაგრამ ჰეროდეს საქმიანობის შემდეგ ნაწილობრივ იცვალა იერსახე და, ის კვლავაც რჩებოდა ებრაული სულიერების დედაქალაქად. ელინიზმის გავლენა, გარდა ფუფუნების საგნების – ოქრო-ვერცხლის ჭურჭლის, სამშენებლო ხელოვნების ფართო გავრცელებისა, გამოიხატა ბერძნული ანთროპონიმების გავრცელებაში. ხშირად ებრაულ საკუთარ სახელს

ბერძნული მეტსახელი ემატებოდა, ტიტულატურაში კი გაჩნდა „ბერძენთა მეგობრის“ საპატიო წოდება.

ძვ. წ. 65-64 წწ. იწყება რომის ექსპანსია პალესტინის მიმართულებით. იუდეაში შინააშლილობა და სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, რამაც გაუადვილა რომს მისი დაპყრობა. ოთხმოცწლიანი თავისუფლებისა და კულტურული აღმავლობის შემდეგ ქვეყანამ დაკარგა დამოუკიდებლობა და უშუალოდ იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, როგორც პროვინცია. პალესტინა სამ ოლქად დაიყო, რომელსაც სათავეში რომის პროკურატორი ედგა. ამასთანავე, რადგან ებრაელებმა 3000-კაციანი სამხედრო კონტინგენტი მოახმარეს იულიუს კეისარს, რომაელებმა ისინი რომაელთა მეგობრად შერაცხეს. დაიწყო რომაული კულტურის, მმართველობის სისტემის ძალდატანებითი გავრცელება, რასაც ხალხის ფართო მასების წინააღმდეგობა და აჯანყებები მოჰყვა. ჰეროდემ რომაელი ლეგიონერების მეშვეობით ხუთთვიანი ალყის შემდეგ აიღო იერუსალიმი. ებრაელი ხალხის სიმპატიების მოსაპოვებლად მან ცოლად შეირთო ხაშმონაელთა სამეფო დინასტიის მეფის ასული. მან ქვეყნის დიდმოძღვრად ცოლის, დედოფლის ძმა დანიშნა, რომელიც პირადი ღირსებების გამო ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ჰეროდეს მეფობა აღინიშნა ეკონომიკური და კულტურული აღმავლობით. რომაელთა დახმარებით ის აშენებდა ახალ ქალაქებს, ამფითეატრებსა და ცირკებს, აწყობდა გლადიატორთა გრანდიოზულ ბრძოლებს ერთმანეთთან და გარეულ მხეცებთან. მისი მოღვაწეობის მწვერვალი დიდი ტაძრის აღდგენა-დამშვენება იყო, რომელიც მთელი ანტიკური ხანის განმავლობაში ქვეყნის მთავარ სამლოცველოდ და ეროვნულობის შენარჩუნების სიმბოლოდ ითვლებოდა. მისი აღდგენა დაიწყო ძვ. წ. 20 წელს და დამთავრდა ახ. წ. 4 წელს. ის იყო ბერძნულ-რომაული არქიტექტურის შედევრი. ქვეყნის სულიერ ცხოვრებას კელავინდებურად სინედრიონი (სინჰედრიონი) წარმართავდა, რომლის შემადგენლობაში სამოცდათერთმეტი სწავლული იყო გაერთიანებული. ხალხი ამ მართვის ორგანოს „დიდ სინედრიონს“ უწოდებდა. მის სათავეში „ორეული“ ანუ „წყვილი“ იდგა. ერთის ტიტულია „ნასი“ ანუ მეთაური, მეორესი „აბბეთდინი“ — თავჯდომარე, სასამართლოს მამა. ებრაული კულტურის ერთ-ერთ მონაპოვარს სახელმწიფოებრივი მართვის მისეული სისტემა წარმოადგენს. აღთქმის თანახმად,

ებრაელებმა „სამარადისო საკუთრებად“ მიიღეს „ქანაანის მთელი ქვეყანა“ (დაბ. 17:8). ჯერ კიდევ მოსემ „გამოარჩია მაგარი ხალხი მთელი ისრაელიდან და დანიშნა ისინი ერის თაოკაცებად – ათისთავებად, ასისთავებად, ორმოცდაათისთავებად და ათასისთავებად“. ტრადიციულად ქვეყანას მართავდა „ისრაელიანთა სამოცდაათი უხუცესი“ (გამოსვლა, 24:9). ანტიკურ ხანაში „ისრაელის მთელი საზოგადოების“ (გამოსელა, 18:12) სულიერ ცხოვრებას ეს ტრადიციული ორგანოები – სინჰედრიონი, ქნესეთ აგდოდა და იერუსალიმის საბჭო წარმართავდა. ამ დროს იერუსალიმი დაცულია გალავნის სამი დიდი კედლით, კედლის მიღმა განლაგებულია გარე ქალაქი. მეორე კედელი გადაჭიმულია ჰეროდე I-ის სასახლიდან (ახლ. იაფოს-ს კართან) „ანტონინეს სიმაგრემდე“. მას მივყავართ ქვედა ქალაქთან. ქვედა ქალაქი იყო მდაბიო ხალხის საცხოვრებელი ადგილი, მჭიდროდ დასახლებული კვარტლებითა და საკაჭრო მოედნებით. ქვედა ქალაქს ზედა ქალაქისაგან ყოფდა ე. წ. „ბაღის კარი“. ზედა ქალაქში განლაგებული იყო სამეფო რეზიდენცია, მღვდელმთავრის სასახლე, არისტოკრატთა სასახლეები. ფართო ხიდი ქალაქს აერთებდა სატაძრო მთასთან. ტაძრის მხრიდან ეშვებოდა მონუმენტური კიბე ქვედა ქალაქისაკენ, ამით ტაძარი უკავშირდებოდა იერუსალიმის ძველ უბნებს. სატაძრო მთა შემოზღუდული იყო მასიური, კოლონადებიანი კედლით (სიმაღლე 45 მ.), მოპირკეთებული იყო თეთრი მარმარილოთი. იგი შორიდანვე ახდენდა მხილველზე უდიდეს შთაბეჭდილებას, თანამედროვენი მას „თეთრ, მოოქროსფრო თოვლით დაფარულ მთას“ უწოდებდნენ.

ჰეროდეს პერიოდში ჩატარდა ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოები. ბერძნული სქელი გალავნის მთავარ კარიბჭეზე გაჩნდა ოქროს არწივი, რომის იმპერიის საომარი სიმბოლო (ემბლემის ჩამოგდების მსურველი იუდეველები დაისაჯნენ სიკვდილით). ებრაელმა ხალხმა კი ყოველივე ეს აღიქვა ნაციონალურ-რელიგიური გრძნობების შელახვად, რადგან ეწინააღმდეგებოდა ებრაულ ტრადიციებს. ებრაელი ხალხის წინაშე მეფის უპირველესი მოვალეობა იყო იუდაისტური სარწმუნეობის დაცვა. ჰეროდემ კი უარი თქვა მღვდელმთავრის ფუნქციაზე და ნიკოლოზ დამასკელის სიტყვებით რომ ვთქვათ, იქცა წარმართობის აპოლოგეტად. ებრაელები არ თმობდნენ მამა-პაპათა ტრადიციებს. 67 წ. ვესპასიანე 60 ათასი

რომაელი ლეგიონერით დაიძრა იერუსალიმისაკენ. 70 წელს იუდა მაკაბელის დროიდან პირველად რომაელებმა იერუსალიმს შემოარტყეს ალყა, ხოლო თამუზის თვის მე-7 დღეს შეწყდა ღვთისმსახურება ტაძარში.

70 წელს, აბის მე-9 დღეს რომაელებმა აიღეს იერუსალიმი, გამოიტანეს რა კედლის დამანგრეველი საბრძოლო მანქანა-ბალისტები და „ბერძნული ცეცხლი", რომაელებმა ცეცხლმოდებული ისრები სტყორცნეს ტაძარს, გაჩნდა ძლიერი ხანძარი, წმიდათაწმიდა გადაიწვა.

ძნელია, სრულად წარმოვიდგინოთ იერუსალიმის ტრაგედიისა და კულტურულ ფასეულობათა ნგრევის მასშტაბები. გამარჯვების აღსანიშნავად ტიტემ რომში ტრიუმფი გადაიხადა, ებრაელი ტყვეები გაატარა მთელ ქალაქში – ფორუმამდე. ტყვეებს ხელში ეჭირათ ებრაული რელიკვიები, მათ შორის ტაძრის წმინდა ჭურჭლეულობა.

იერუსალიმის მეორე ტაძრის დანგრევამ განაპირობა იუდეის ებრაული თემის კულტურული სულიერი ცხოვრების ახალი კატასტროფა. მეორე ტაძრის თითქმის ექვსაუკუნოვანი პერიოდის მანძილზე ასპარეზზე გამოდის კულტურის მოღვაწეთა მთელი პლეადა, რომლებიც აცნობიერებდნენ თავიანთ მისიას და ერის სულიერ მესაჭეებად მოგვეელინენ. მეორე ტაძრის პერიოდში მათ რიცხვს განეკუთვნებიან წინასწარმეტყველნი, ბრძენნი, რომელთაც ჩაიწერეს თალმუდი. ელინიზებული მოღვაწეებიდან ბერძნულ-რომაულ პერიოდში აღსანიშნავია ორი მოღვაწე – ფილონ ალექსანდრიელი და იოსებ ფლავიოსი – მოძღვრები (რაბინები), რომლებიც სამშობლოსა და დიასპორაში ემსახურებოდნენ თავიანთ ღმერთსა და ხალხს. მეორე ტაძრის ეპოქა აღბეჭდილია სულიერ ავტორიტეტთა მოღვაწეობით. ამდენი გადატანილი უბედურების შემდეგ ძველი და ახალი საუკუნეების მიჯნაზე წარმოიქმნა განსაკუთრებული სულიერი კლიმატი, მესიანიზმის იდეა წინა პლანზე გამოდის, ყალიბდება ებრაული გნოსტიკური დოქტრინა და მისტიკურ-ალეგორიული ლიტერატურა, წარმოიქმნება აპოკალიფსური სექტები, იქმნება ესქატოლოგიური გარემო და იბადება იესო ნაზარეველი; იესო ღვთის ძედ აცხადებს თავს, იგი მოეელინა კაცობრიობას, რათა თავს იდოს მათი ცოდვები და იხსნას ქვეყნიერება. იესო მესიაა, იგი

ძნადაა ზვარაკად შეეწიროს კაცობრიობის ცოდვათა გამოსასყიდად. ცხადია, მაშინ იუდეველებს არ შეეძლოთ წარმოედგინათ, რომ იესო ქრისტე სათავეს დაუდებდა ახალ რელიგიას, რომელმაც გადატრიალება მოახდინა მსოფლიო კულტურისა და კაცობრიობის ისტორიაში. იოსებ ფლავიუსის აღწერით, „იმ დროს ცხოვრობდა ქრისტე, ბრძენკაცი, თუ მას საერთოდ შეიძლება კაცი ეწოდოს. მან უჩვეულო ამბები მოახდინა და ადამიანთა მასწავლებელი იყო, რომლებიც სიხარულით აღიქვამდნენ ჭეშმარიტებას. მას მრავალი იუდეველი და წარმართი მიჰყვებოდა. ის იყო ქრისტე.....აქედან მოყოლებული დღემდე არსებობს ქრისტიანული თემი, რომელმაც მისგან მიიღო სახელწოდება." ქრისტიანული ტრადიცია ამ ცნობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, რაც ქართულ სინამდვილეშიც აისახა იოსებ ფლავიუსის შრომების ქართული თარგმანების სახით.

ანტიკურ ეპოქაში განათლების დონე მთელ იუდეაში საგრძნობლად მაღალი იყო. თორის შესწავლა, ებრაული კულტურის აუცილებელი ელემენტი, ბადებდა მოაზროვნეებს, სწავლულებს, გადამწერებს, მასწავლებლებს, რომლებიც საზოგადოებაში დიდი პატივისცემითა და გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ. ამასთანავე, შეძლებული და განათლებული ებრაელების წრეში, რომელთაც მშობლიური ენა ცუდად იცოდნენ, ერცელდება ბერძნული ბიბლია. ამგვარად გაჩდნენ ებრაელების წიაღში ე. წ. „ელინისტები", მათ დაუპირისპირდნენ მამაპაპათა რჯულის ურყევი მიმდევრები — „ხასიდები", რომლებიც უმრავლესობას შეადგენდნენ და ხალხის ფართო მასებს წარმოადგენდნენ. მათ შორის არსებული იდეოლოგიური სხვაობა, მკვეთრად განსხვავებული მსოფლმხედველობა მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნიდა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. მორწმუნე ებრაელისათვის ადამიანის სულიერ სრულყოფაშია მისი ცხოვრების არსი და ეს იმდენად დიდია, რომ, მათი ღრმა რწმენით, მისი გადმოცემა შეუძლებელია ქანდაკებისა და ფერწერის მეშვეობით, რომელიც საყოველთაოდ იყო გავრცელებული ანტიკურ საზოგადოებაში. ებრაული კულტურის არსი ეფუძნებოდა მოსეს მცნებებს, რომლის თანახმადაც, ებრაელის სულიერების იდეალს წარმოადგენდა ერთი ღმერთის მსახურება, სამართლიანობა, სიკეთე და თორის ერთგულება. ებრაულ კულტურაში მატერიალურზე მაღლა ყოველთვის სულიერებას აყენებდნენ. მთელ ამ პერიოდში არ ცხრებოდა ბრძოლა „ელინისტებსა" და „ხასიდებს" შორის, რაც ებრაული ცივილიზაციის ყოფნა-არყოფნასთან იყო დაკავშირებული. გან-

საკუთრებით კარგად გამოიკვეთა აღნიშნული გარემოება რომაულ ხანაში, როდესაც ებრაელი ხალხის იძულებითმა ასიმილაციამ სახიფათო მასშტაბებს მიაღწია. რომაელთა ბატონობა იუდეაში აღინიშნა ბერძნულ-რომაული კულტურის ცალკეული ელემენტების (მაგალითად, არქიტექტურა, ყოფა) მომძლავრებით და შესაბამისად, ებრაელი ხალხის მასების გამუდმებული ბრძოლით თავისი თვითმყოფადობისათვის. ამავე ეპოქაში ხდებოდა ზეპირი თორის ფიქსაცია, თალმუდის შემადგენელი ნაწილების, მიშნასა და გემარას დაწერა. მიშნა იწერებოდა (ძვ. წ. 30 – ახ. წ. 200 წ.) „რომაული კულტურის" ბატონობის ხანაში, მაშინ, როდესაც ცხოვრების დონე საკმაოდ მაღალი ჩანს და ებრაულ მოსახლეობას ჯერ კიდევ აქვს შენარჩუნებული ავტონომიის ელემენტები. ებრაელი სწავლულები (იეჰუდა და სხვ.) ცდილობდნენ ებრაული ენის პოზიციების აღორძინებას, რათა ის კვლავ გამხდარიყო ებრაული კულტურის სასიცოცხლო ძალა. ამასთანავე, არამეული დამწერლობა მნიშვნელოვან კულტურულ პოზიციებს ინარჩუნებდა. მეორე ტაძრის დანგრევას და ბარ კოხბას აჯანყების ტრაგიკულ დასასრულს მოჰყვა იუდეის დაცარიელება, ისრაელის კულტურის ცენტრების დაკნინება. გემარის შექმნის დრო ემთხვევა რომის იმპერიის დასუსტების ხანას (ახ. წ. 200-500 წწ.) და არამეული ენის დაწინაურებას. ებრაულ სექტებში საყოველთაოდ ვრცელდება ქრისტიანული მოძღვრება, რომელიც უპირისპირდება ტრადიციულ იუდაიზმს, მის სულიერ ფასეულობას. ისრაელის მიწა-წყალზე მკვეთრად კლებულობს ებრაელების რიცხვი. შესაბამისად, იზრდება დიასპორა, რომელიც შემდგომში უცხო კულტურებთან მჭიდრო კონტაქტში ვითარდება. დიასპორაში (გალუთი) დაწყებითი განათლება, ხედერი, ებრაელთა საყოველთაოდ მიღებულ ცხოვრების წესად რჩებოდა. იუდაიზმის კანონები ისწავლებოდა ოჯახებში, სინაგოგებში, სკოლებში, ყველა ებრაულ თემში. ის ჭაბუკები, რომელთაც გამოიჩინეს თავი სწავლაში, თორის ათვისებაში, იგზავნებოდნენ იეშივაში, თალმუდის შემსწავლელ თავისებურ უმაღლეს სკოლაში. ამან განაპირობა ებრაული კულტურის სიმტკიცე. რომაულ-ელინისტური კულტურა, რომაული ცხოვრების წესი, მიუხედავად მისი გარეგნული მომხიბლაობისა, მიუღებელი აღმოჩნდა ებრაელი ხალხისათვის. მიუხედავად რომაული ადმი-

ნისტრაციის ცდისა, ებრაული სარწმუნოების დევნისა და ხალხის შასების შეიწროებისა, ებრაული ყოფითი კულტურა, დაფუძნებული თორის ერთგულებაზე, ინარჩუნებდა თავის ცხოველმყოფელ ძალას მთელი ანტიკური ხანის განმავლობაში. მართალია „დიდი ტაძარი" მტრის მიერ ბევრჯერ განადგურდა, მაგრამ ებრაელთა სულში ის ხელუხლებელი რჩებოდა და მის სანაცვლოდ დიასპორის სხვადასხვა თემში იგებოდა „მცირე ტაძრები". რაც შთაბარია, იდგა „გოდების კედელი" — მომავალი სულიერი აღორძინების და ეროვნული სიმბოლოს, დიდი ტაძრის ხელახალი აღდგენის იმედი.

ძველი საბერძნეთის კულტურა

ბერძნები არც რიცხვითა და არც ძლევამოსილებით არ გამოირჩეოდნენ ძველი სამყაროს სხვა ხალხთაგან, მაგრამ მათ შექმნეს ცივილიზაცია, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების სრულიად ახალ კონცეფციას ემყარებოდა. მათ პირველებმა აჩვენეს ადამიანის, პიროვნების გონების ძალა და ამით უდიდესი გავლენა იქონიეს კაცობრიობის შემდგომ განვითარებაზე. თანამედროვე ადამიანისათვის დამახასიათებელი კრიტიკული, მეცნიერული აზროვნება სწორედ ძველი საბერძნეთიდან იღებს სათავეს. ცივილიზაციის ბერძნული მოდელი გვთავაზობს ტრადიციული, მითოპოეტური და ახალი, ანალიტიკური აზროვნების საოცარ შეზავებას. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ბერძნული ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება, ერთი მხრივ, არ მოწყდა მითოსს, მეორე მხრივ, მოიპოვა დამოუკიდებლობა როგორც ადამიანური შემოქმედების სრულიად განსაზღვრულმა სფერომ. საკუთარი გამორჩეულობა ბერძნებს თვითონვე ჰქონდათ გაცნობიერებული და თავდაპირველად ყოველგვარი ქედმაღლობის გარეშე, მხოლოდ ბერძნულად და არაბერძნულად მოლაპარაკეთა გასარჩევად გამოყენებული ტერმინები — „ელინი“ და „ბარბაროსი“ — კლასიკური ხანისათვის სულ სხვა ელფერს იძენს. ელინები პოლისებში მცხოვრები თავისუფალი და თავისუფლებისმოყვარე ხალხია, ბარბაროსი კი – ყველა დანარჩენი, თუნდაც, ბერძენთა მონათესავე.

ბერძენთა წინაპარი ინდო-ევროპული ტომები ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულიდან მოყოლებული თითქმის ათასი წლის მანძილზე ტალღებად იჭრებოდნენ ჩრდილოეთიდან ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილსა და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე. ამ ტომების ერთმანეთთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან შერევის შედეგად გაჩნდნენ ელინები და მათი ცივილიზაცია. ბერძნებს თავიდანვე ახასიათებდათ კულტურულ სიახლეთა იოლი შეთვისება

და შემოქმედებითი გადამუშავება. სწორედ ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ბერძენთა კულტურული მიღწევების დიდი ნაწილის სათავე სხვა ცივილიზაციებში იძებნება, მათი ცივილიზაციის სიმაღლე და თვითმყოფადობა ეჭვს გარეშეა.

ბერძნულ ცივილიზაციაზე დიდი გავლენა იქონია გეოგრაფიულმა გარემომ. საბერძნეთი უამრავი ბუნებრივი ზღუდითაა დანაწევრებული, მიწა – ზომიერად ნაყოფიერი, რაც დიდი ქონების დაგროვების საშუალებას არ იძლეოდა, მაგრამ მუყაით გლეხს დამოუკიდებელი შრომით თავისი ოჯახის რჩენას შეაძლებინებდა. ხმელთაშუაზღვის კლიმატის წყალობით ძველი ბერძენი მოკრძალებულ რაციონსა და საცხოვრებელს სჯერდებოდა და თავისი დროის საკმაო ნაწილს ქუჩაში, ხალხში ატარებდა. ყოველივე ამან მნიშვნელოვანწილად განაპირობა ბერძნული პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურების ჩამოყალიბება. ძველ ბერძენს ერთი სოფლიდან მეორეში მისასვლელად ან მთა უნდა გადაელახა, ან ზღვა. იგი, როგორც წესი, ამ უკანასკნელს ამჯობინებდა და მალე ისე შეეთვისა ზღვას, რომ, სადაც მლაშე წყალი იყო, ყველგან შინ გრძნობდა თავს. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ხმელთაშუა და შავი ზღვების სანაპიროზე განსახლებით გადაწყდა დემოგრაფიული აფეთქებით გამოწვეული პრობლემები, ზღვით შემოდიოდა კულტურული თუ მატერიალური ფასეულობები, ხმელეთის სიღრმეში ბედის ანაბარა დარჩენილი ბერძენი სამშობლოში დასაბრუნებლად უახლოესი ზღვისაკენ მიემართებოდა.

ძველი, ანუ ანტიკური ბერძნული ცივილიზაცია მოიცავს დროის დაახლოებით 2000-წლიან მონაკვეთს – ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან ახ. წ. IV საუკუნემდე. საწყის ეტაპზე ბერძნები უფრო მაღალგანვითარებული წინაბერძნული ცივილიზაციების ჩრდილში იყვნენ, ძვ. წ. XIV-IV საუკუნეებში თავად განაგებდნენ საკუთარ ბედს და სამ განუმეორებელ კულტურულ მწვერვალს ქმნიან, შემდეგ კი, დიდი იმპერიების მიერ დაპყრობილნი, განსაზღვრავდნენ დამპყრობთა კულტურის ნორმებს.

ბერძნული ცივილიზაციის პერიოდიზაცია ემყარება კულტურული განვითარების ეტაპებს, რომლებიც განსაზღვრული, მკვეთრად გამოხატული კულტურული ტენდენციით ხასიათდებიან. საყურადღებოა, რომ ამ ნიშნით გამოყოფილი პერიოდები თითქმის ზუსტად თანხვდება პოლიტიკური თუ სოციალ-ეკონომიკური ისტორიის პერიოდებს.

ძვ. წ. XVII-XII საუკუნეები – ე.წ. კრეტა-მიკენური, ანუ ეგეოსური პერიოდი ბერძნული კულტურის განვითარების თვალსაზრისით, შეიძლება დაყოთ ორ ეტაპად: მინოსური კრეტის ჰეგემონია ეგეოსის ზღვის აუზში (ძვ. წ. XVII-XV სს.) და მიკენური საბერძნეთის ჰეგემონია ეგეოსის ზღვის აუზში (ძვ. წ. XIV-XII სს.);

ძვ. წ. XI-X საუკუნეები – „ბნელი წლები" (სახელწოდება პირობითია და ამ პერიოდის შესახებ თანამედროვე მეცნიერების ინფორმირებულობის ხარისხს შეესაბამება);

ძვ. წ. IX-VIII საუკუნეები – „გეომეტრიული რენესანსი";

ძვ. წ. VIII/VII-IV საუკუნეები – პოლისური პერიოდი (ტრადიციულად VII-VI საუკუნეები „არქაულ" პერიოდად იწოდება, V-IV საუკუნეები კი – „კლასიკურად");

ძვ. წ. IV-II/I საუკუნეები – ელინისტური პერიოდი;

ძვ. წ. II/I- ახ. წ. ა. IV საუკუნეები – რომაული ბატონობის ხანა.

ბრინჯაოს ხანის ეგეოსური ცივილიზაციები

ამა თუ იმ ცივილიზაციის შესასწავლად ძირითად წყაროს წერილობითი ძეგლები წარმოადგენს. ამიტომ, როგორც წესი, მის ისტორიას დამწერლობის გაჩენის მომენტიდან ავითვლით. ბრინჯაოს ხანის ეგეოსური ცივილიზაციების მიკუთვნება პრეისტორიული ან ისტორიული ხანისათვის მეცნიერთა შორის დავას იწვევს ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ძეგლების სპეციფიკის გამო. კრეტაზე გავრცელებული უძველესი იეროგლიფური და ე.წ. A-ხაზოვანი დამწერლობები ჯერაც გაუშიფრავია. ეს უკანასკნელი შემდგომში ბერძნებმა მეტ-ნაკლებად მიუსადაგეს თავიანთ ენას (ე.წ. B-ხაზოვანი დამწერლობა). 1952 წელს ინგლისელმა მეცნიერებმა მ. ვენტრისმა და ჯ. ჩედვიკმა გაშიფრეს ამ დამწერლობით შესრულებული ტექსტები, რომლებიც ძირითადად მიმდინარე სამეურნეო ანგარიშები აღმოჩნდა, რის გამოც მათში დაცული ინფორმაცია ცალმხრივია.

ეგეიდის ქვეყნებს მოიხსენიებს ეგვიპტური და ხეთური ტექსტებიც. არქეოლოგიური მასალა კულტურული, პოლიტიკური და სოციალური ისტორიის მხოლოდ ძალზე ზოგად და სქემატურ მონახაზს გვთავაზობს. ყველაზე ვრცლად ძვ. წ. II ათასწლეულის

ეგეიდის ისტორიის შესახებ ბერძნული მითო-პოეტური ტრადიცია, პირველ ყოლისა, ჰომეროსის ეპოსი მოგვითხრობს. თუმცა, უკანასკნელ ხანებში მეცნიერები მითების ისტორიულობას სულ უფრო მეტი ნდობით ეკიდებიან, ჩვენამდე მოღწეულ პოეტურად გადამუშავებულ მითებში ძალიან ჭირს სხვადასხვა ეპოქის რეალიების ზუსტი გამიჯვნა. შესაბამისად, ზემოხსენებულ წყაროებზე დაყრდნობით აღდგენილი სურათი ბერძნული ცივილიზაციის პირველი ორი პერიოდისა საკმაოდ პირობითია.

როგორც ზოგი მეცნიერი ვარაუდობს, სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე ძვ. წ. III ათასწლეულის შუახანებიდან ჩნდება. მათგან ყველაზე შთამბეჭდავი მემკვიდრეობა კიკლადური ცივილიზაციისაგან შემორჩა მარმარილოსაგან საოცარი გემოვნებით გამოთლილი ფიგურების სახით. ეგეიდაში სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი შეფერხდა ძვ. წ. III-II ათასწლეულთა მიჯნაზე ჩრდილოეთიდან ინდოევროპული, ბერძნული ტომების შემოჭრის შედეგად. ისინი თავიანთ თავს, ჰომეროსის თანახმად, აქაველებს ან დანაელებს უწოდებდნენ, რაც ეგვიპტური და ხეთური წყაროებითაც დასტურდება. ადგილობრივი წინაბერძნული მოსახლეობა, რომლის ეთნიკური წარმომავლობა დაუდგენელია, ნაწილობრივ შეერია აქაველებს, ნაწილობრივ განიდევნა საკუთარი მიწა-წყლიდან. აქაველები ცივილიზებულობის ხარისხით ჩამოუვარდებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, რამაც განაპირობა ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარში ეგეიდის ცალკეული რეგიონების კულტურული თუ სოციალური განვითარების არათანაბარი ტემპი. დაწინაურდა კუნძული კრეტა, რომელიც გადაურჩა ჩრდილოელთა შემოსევას.

ბრინჯაოს ხანის ცივილიზაციას კუნძულ კრეტაზე მისმა პირველაღმომჩენმა, ინგლისელმა არქეოლოგმა სერ არტურ ევანსმა მინოსური უწოდა, კრეტის ლეგენდარული მმართველის, მინოსის სახელის მიხედვით. ევანსმა კნოსოსში (თანამედროვე ირაკლიონი) გათხარა მინოსის სასახლე, რომელიც ბერძნული მითების ლაბირინთს გვაგონებს.

არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ძვ. წ. III ათასწლეულის შუახანებიდან კრეტაზე სამეურნეო აღმავლობა შეინიშნება: ითვისებენ სახნავად ვარგის მიწებს, ვითარდება მეცხოველეობა და

მასთან დაკავშირებული დარგები, ხელოსნობა, შიდა თუ საერთაშორისო ვაჭრობა. ძვ. წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე კრეტაზე პირველი სახელმწიფოები ჩნდება ცენტრებით კნოსოსში, ფესტოსში, მალიასა და კატო-ზაკროში. დასახლებულ პუნქტებში აიგო სასახლეები, რომლებიც, შუამდინარული სასახლეებისა თუ ტაძრების მსგავსად, მიმდებარე რეგიონის პოლიტიკურ, კულტურულ და, პირველ ყოვლისა, სამეურნეო ცხოვრებას წარმართავდნენ. ე.წ. „ძველი სასახლეები" დაახლოებით ძვ. წ. 1700 წელს მიწისძვრამ დაანგრია, მაგრამ სულ მალე დანგრეულთა ადგილზე კიდევ უფრო ბრწყინვალე „ახალი სასახლეები" წამოიმართა. მათ შორის პირველობა კნოსოსის სასახლეს უნდა მოეპოვებინა და მალე მინოსის ხელისუფლებამ მთელი კუნძული გააერთიანა. ბერძნული მითები, რომლებიც კრეტის ძლიერებაზე მოგვითხრობენ, ძვ. წ. XVII-XVI საუკუნეთა რეალობას უნდა ასახავდეს.

მინოსურმა ცივილიზაციამ დიდ სიმაღლეებს მიაღწია ხელოვნების მრავალ დარგში: არქიტექტურა, ოქრომჭედლობა, მხატვრობა. ამ უკანასკნელის ასახვის ობიექტს ძირითადად ბუნებისა და ადამიანის მშვენიერება წარმოადგენს. კრეტელი მხატვრები, რომელთა შესახებაც ფრესკებისა და მოხატული კერამიკის მიხედვით შეგვიძლია მსჯელობა, გასაოცარ ოსტატობას იჩენდნენ დინამიური სცენების გადმოცემისას, რითიც ისინი საგრძნობლად განსხვავდებიან თანამედროვე ეგვიპტელ თუ მესოპოტამიელ კოლეგათაგან და უახლოვდებიან კლასიკური ხანის ბერძენ ხელოვანთ. მინოსური საზოგადოების ამოუცნობი საიდუმლო გახლავთ მისი მშვიდობიანი ხასიათი. მინოსი, რომელმაც, ბერძნული მითების თანახმად, მთელ ზღვაზე მეკობრეობა მოსპო და ათენს ხარკი დააკისრა, სრულიად გაუმაგრებელ და დაუცავ სასახლეში ცხოვრობდა. საბრძოლო იარაღიც არქეოლოგებს კრეტაზე თითქმის არ აღმოუჩენიათ. უკანასკნელ ხანებში მეცნიერები იქითკენ იხრებიან, რომ „მინოსური მშვიდობა" და მინოსური მხატვრობის თემატიკა კრეტელთა თავისებური მსოფლმხედველობითი თუ რელიგიური სისტემით ახსნან: მიუხედავად იმისა, რომ კრეტელები პრაქტიკულ საქმიანობას, იქნება ეს მეურნეობის გაძღოლა, სასახლის კეთილმოწყობა თუ ზღვაზე კონტროლის დაწესება, მშვენიერად ართმევდნენ თავს, ცხოვრების აზრს ისინი ღმერთების სამსახურსა და ბუნებასთან ჰარმონიაში ხედავდნენ, რაც სოციალური დიფერენციაციით

გამოწვეულ დაძაბულობასაც ამცირებდა და ცალკეული პიროვნებისა თუ ცალკეული საგმირო საქმისადმი ინტერესსაც ანელებდა. მინოსური კრეტის უზენაესი ღვთაება, არქეოლოგიური მასალის მიხედვით, მიწის ქალღმერთი უნდა ყოფილიყო, რაც ხშირი მიწისძვრებით შეწუხებული და კარგი მოსავლით დაინტერესებული ხალხისათვის სრულიად ბუნებრივია. ქალღმერთის ატრიბუტი იყო ორმაგი ცული, მასთან გარკვეულწილად დაკავშირებული ჩანს ხარის კულტიც. ეს დედაღვთაება, კონტინენტური საბერძნეთის ანალოგიურ ქალღმერთთა და სხვა ღვთაებათა წინაბერძნულ კულტებთან ერთად, შეთვისებულ იქნა ბერძნების მიერ. როგორც ცნობილია, ოლიმპიელთაგან უცილობლად ბერძნული, ინდოევროპული წარმოშობისა მხოლოდ ზევსია. მიწის და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ღვთაებათა შეყვანას პანთეონში ამ უკანასკნელისათვის ხთონური ელფერი უნდა მიეცა. ალბათ, მხოლოდ ახალი ინდოევროპული ტალღის, დორიელების მოსვლის მერე დაიმკვიდრეს ოლიმპიელებმა საბოლოოდ მათი ადგილი ცაზე.

ძვ. წ. 1500 წელს კუნძულ თერაზე (სანტორინი) მოხდა ეულკანის უძლიერესი ამოფრქვევა, რის შედეგადაც კუნძული სანახევროდ წყალმა შთანთქა. ეს მოვლენა შეიძლება საფუძვლად დასდებოდა მითს დედალიონის წარღვნის შესახებ. ამოფრქვევა და მისი თანმდები ტალღები და ფერფლი კრეტასაც მისწვდა, განადგურდა მინოსის სახელგანთქმული ფლოტი. დანგრეულ სასახლეთაგან მხოლოდ კნოსოსისა აღდგა. საეარაუდოა, რომ აქაველებმა ისარგებლეს კატასტროფით და ხელთ იგდეს ხელისუფლება კრეტაზე, მაგრამ მოერგნენ ადგილობრივ სტრუქტურებსა და წეს-ჩვეულებებს, რის გამოც არქეოლოგიურ მასალაში საგრძნობი ცვლილებები არ შეინიშნება. მხოლოდ ძვ. წ. XIV საუკუნეში აქაველთა ახალი დიდი შემოსევა საბოლოოდ ანგრევს სასახლეს და კრეტა მთლიანად მიკენური ცივილიზაციისა და სახელმწიფოებრიობის ფარგლებში ექცევა.

საკუთრივ ბერძნების მიერ შექმნილი პირველი ცივილიზაცია იწოდება მიკენურად მისი ყველაზე ადრე აღმოჩენილი და, ალბათ, უმნიშვნელოვანესი ცენტრის, მიკენის სახელის მიხედვით. მიკენის ციხესიმაგრე ძვ. წ. XVII საუკუნეში არის აგებული. მის დაარსებას ბერძნული მითოლოგიური ტრადიცია პერსევსის სახელს მიაწერდა.

პერსეიდებს ხელისუფლება პელოპსმა ჩამოართვა. იგი ძვ. წ. XVI საუკუნის I ნახევარში უნდა მოსულიყო მცირე აზიიდან, საიდანაც ჩამოიტანა საბრძოლო ეტლი. დაახლოებით ამავე დროს დანაელები ეგვიპტელთა მოკავშირეებად გამოდიან ფარაონ იახმეს I-ის ბრძოლაში ჰიქსოსების წინააღმდეგ. პელოპსმა სახელი მისცა სამხრეთ საბერძნეთს, პელოპონესოსს, რაც მთელ ნახევარკუნძულზე მიკენური ხელისუფლების გავრცელების შედეგად უნდა მომხდარიყო. პერსეიდები და პირველი პელოპიდები თავიანთ სახელმწიფოს მინოსის მიბაძვით აგებდნენ. სავარაუდოა, რომ მათ დააჩქარეს წინაბერძნულ ღვთაებათა ინტეგრაცია ბერძნულ პანთეონში. მიკენის კულტურა მინოსურის უდიდეს გავლენას განიცდიდა, მაგრამ თავიდანვე გამოირჩეოდა თავისი საბრძოლო სულით, რაც არა მარტო მეფე-მთავართა რეზიდენციების მძლავრ გალავნებსა და ბრინჯაოს მახვილების თუ სხვა საომარი იარაღის ფართო გავრცელებაში ვლინდება, არამედ მხატვრობაშიც. ომისა და ნადირობის სცენებზე რომ არაფერი ვთქვათ, რაც მინოსური ხელოვნებისათვის სრულიად უცხო იყო, ორ ცივილიზაციას შორის განსხვავების საჩვენებლად ვაზაზე დახატული რვაფეხას ორი გამოსახულებაც გვეყოფოდა. მინოსური რვაფეხა მშვიდად და ლაღად მიცურავს წყალში, მიკენური კი თავდასასხმელად არის შემართული. ამ ილუზიას ქმნის სიმეტრიის ვერტიკალური ღერძი. სიმეტრიისა და ნახატის სქემატიზაციისკენ ბერძენთა მისწრაფება თანდათან აცილებს მათ ნაწარმს მინოსური პირველწყაროსაგან და თავის კულმინაციას ბევრად უფრო გვიან, გეომეტრიულ პერიოდში აღწევს.

მიკენური ცივილიზაციის აღმავლობა ძვ. წ. XVI საუკუნიდან იწყება. მისი ცენტრი არგოლიდაში იყო და თანდათანობით მან მოიცვა მთელი სამხრეთ საბერძნეთი – პელოპონესის ნახევარკუნძული, ატიკა, ბეოტია და ფოკისი შუა და თესალია ჩრდილო საბერძნეთში, ზღვაზე მინოსური ჰეგემონიის დაცემის შემდეგ კი ეგეოსის ზღვის კუნძულებიც. უკვე ძვ. წ. XV საუკუნის შუახანებიდან მინოსური გავლენის სფეროში მყოფ ტერიტორიაზე (მილეტი მცირე აზიაში, მელოსი, როდოსი, კვიპროსი) ვრცელდება მიკენური ნაწარმი, შესაძლოა, რაღაც ფორმით, მიკენური ხელისუფლებაც. ძვ. წ. XIV საუკუნის დასაწყისიდან მიკენის ექსპანსია ეგეოსის ზღვის აუზში აშკარაა. იგი საბოლოოდ იმორჩილებს

კრეტას, მცირე აზიაში და კვიპროსზე აქაველები ატრეუსის სარდლობით უპირისპირდებიან ხეთების სამეფოს. ამავე დროს განეკუთვნება ტროადაში აღმოჩენილი უძველესი მიკენური ფორამიკა, რაც აქაველთა მიერ შავი ზღვის ათვისების დასაწყისზე უნდა მიუთითებდეს. სწორედ შავ ზღვაში დაუბრკოლებლად შესვლის ხიურვილი უნდა გამხდარიყო ტროაზე ლაშქრობის ერთ-ერთი მიზეზი. უკანასკნელ ხანებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების მონაცემების მიხედვით, ტროას ომი ძვ. წ. XIII საუკუნის დასაწყისის მოვლენაა. ეგეიდაში კრეტის პოლიტიკური ჰეგემონიის მიკენურით შეცვლა აქაველთა კულტურასაც დაეტყო. ერთი მხრივ, წინ წამოიწია ადრე მინოსურის ჩრდილში მყოფმა ბერძნულმა ელემენტებმა, მეორე მხრივ, მეზობელ მაღალ ცივილიზაციებთან (ეგვიპტე, სირია-პალესტინა, ხეთები) პირდაპირმა კონტაქტებმა ხელი სიახლეც შემოიტანა. მაგალითად, აქაველ მბრძანებელთა ხრწყინვალე გუმბათიანი სამარხები (ძვ. წ. XIV ს.) ეგვიპტურ ფაულენას შეიძლება მივაწეროთ, ხოლო „ლომების კარიბჭე" (ძვ. წ. XIII250 წ.) – ხეთურს. თუმცა, არც ერთ შემთხვევაში უხეშ მიბაძვაზე საუბარი არ იქნებოდა გამართლებული. მინოსური გავლენისაგან თავდახსნილმა აქაველებმა თანდათანობით შექმნეს თვითმყოფადი კულტურა.

სავარაუდოა, რომ მიკენური საბერძნეთი წარმოადგენდა „იმპერიას" მიკენით სათავეში, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი ვასალური სამეფო-სამთავროები. „იმპერიის" ტერიტორიის ზრდის პარალელურად ძლიერდებოდა სახელმწიფოს დეცენტრალიზაცია. მიკენის ვასალური სამეფოები შინაურ საქმეებში სულ უფრო მეტ დამოუკიდებლობას აღწევდა და ზოგჯერ ერთმანეთს შორის ურთიერთობებს იარაღის ძალითაც არკვევდა, მაგრამ გარეშე მტრის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოდიოდა მიკენის დიდი მეფის სარდლობით. შესაბამისად, არ უნდა დავინახოთ წინააღმდეგობა წყაროთა ცალკეულ ჯგუფებს შორის, რომლებიც აქაველთა სახელმწიფოებრიობას განსხვავებულად ხატავენ. ეგვიპტელებისა და ხეთებისათვის საბერძნეთი ერთიანი და ძლიერი ქვეყანაა, პილოსის არქივი მხოლოდ საკუთარი საქმეებით ინტერესდება და მიკენს სულაც არ ახსენებს, ხოლო ჰომეროსი აქაველთა სამხედრო კოალიციას წარმოგვიდგენს.

მიკენურ საბერძნეთშიც, მინოსური კრეტის მსგავსად, საზოგადოებრივი ცხოვრება სასახლეებიდან იმართებოდა. სასახლეები აღმოჩენილია მიკენში, ტირინთოსში, პილოსში, ათენში, თებეში, ორქომენოსსა და იოლკოსში (ამ უკანასკნელიდან, ალბათ, ძვ. წ. XIV საუკუნეში, გამოემართნენ არგონავტები კოლხეთისაკენ). მათგან ყველაზე შთამბეჭდავ ციხესიმაგრეებს ტირინთოსი და მიკენი წარმოადგენდა, ხოლო არქეოლოგიურად ყველაზე უკეთ შესწავლილი პილოსია, სადაც B-ხაზოვანი ფირფიტების საკმაოდ სრულად შემონახული, ძვ. წ. 1200 წლით დათარიღებული არქივიც აღმოჩნდა. არქივი მიმდინარე სამეურნეო ანგარიშებს მოიცავს და მიკენური მეურნეობისა და სოციალური სტრუქტურების შესასწავლად საყურადღებო მასალას გვთავაზობს.

სახელმწიფოს სათავეში იდგა მეფე, რომელიც უზენაესი საერო და სასულიერო ხელისუფლის ფუნქციებს ითავსებდა და დახვეწილი ბიუროკრატიული აპარატის დახმარებით მართავდა ქვეყანას.

სასახლეები, რომელთა არქივებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, „აღმოსავლური" ტიპის ცენტრებს წარმოადგენდა, ანუ იქ კონცენტრირებული იყო არა მარტო ქვეყნის პოლიტიკური, არამედ სამეურნეო მართვის სადავეები. ტექსტები საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროთაგან სწორედ სასახლის ორგანიზატორულ საქმიანობას აშუქებს, ძირითადად მეურნეობის სხვადასხვა დარგში. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მეტალურგიულ წარმოებას, მეცხოველეობას. სავარაუდოა, რომ სასახლე მხოლოდ თავისი საჭიროებებისათვის სამყოფ მარცვლეულს თუ სხვა პროდუქტს აგროვებდა გადასახადების სახით, ხოლო მოსახლეობა თავის გამოსაკვებად, დასათესად თუ გასაცვლელად საჭირო პროდუქციას თვითონ განაგებდა. შესაბამისად, მიკენური სასახლეების ჩარევა მიწათმოქმედებასა და აგრარული პროდუქციის გადანაწილებაში ბევრად ნაკლები უნდა ყოფილიყო, ვიდრე ისეთი სასახლეებისა, რომელთა მონაწილეობის გარეშე მიწის ფონდის დიდი ნაწილი საერთოდ ვერ დამუშავდებოდა (მაგალითად, შუამდინარეთში).

მეფის უშუალო კონტროლს დაქვემდებარებული მიწა სამეფოს 16 ოლქიდან ძირითადად მხოლოდ ერთშია თავმოყრილი და მის მოხელეებს ურიგდებოდა სხვადასხვა სამსახურის პირობით, ხოლო სასახლის ბელელი, ძირითადად თემებისათვის დაწე-

ხებული კოლექტიური გადასახადების ხარჯზე ეესებოდა. თემის ან ცალკეულ მეთემეთა მიერ ვალდებულებათა შესრულებაზე კონტროლი ეკისრებოდათ როგორც ცენტრალური ხელისუფლების მოხელეებს, „გუბერნატორებს", ასევე ადგილობრივ წარჩინებულებს, ბასილეესებს. ბერძნულ მიწაზე კოლექტიური შრომა არც საჭირო იყო და არც მომგებიანი, რის შედეგადაც როგორც სამეფო, ასევე სათემო მიწებზე წვრილი, საკუთრებასთან მიახლოებული ინდივიდუალური მფლობელობები ყალიბდება. სამეფო მიწებზე მფლობელობითი ურთიერთობები ევოლუციის რამდენიმე საფეხურს გადის. ამ პროცესში შეინიშნება გარკვეული შესაბამისობა ნაკვეთის სტატუსსა და მფლობელის ან მოსარგებლე/მოიჯარადის სტატუსს შორის.

სწორედ მფლობელისა და მფლობელობის სტატუსთა შესაბამისობები, განსაკუთრებით კი არისტოკრატიის შიგნით სახელდებული, სოციალური და არა თანამდებობრივი ნიშნით გამოყოფილი ფენები არის ის, რაც მიკენურ საზოგადოებას მკვეთრად განასხვავებს ძველაღმოსავლურ საზოგადოებათაგან. ინდოევროპელი ხეთებიც კი, რომლებიც აღმოსავლეთის ხალხთაგან ყველაზე ახლოს იდგნენ აქაველებთან, ტერმინოლოგიის საფუძველზე თუ ვიმსჯელებთ, არისტოკრატიის მხოლოდ თანამდებობრივ დაყოფას იცნობდნენ. „დასავლური", მეტად თავისუფალი განვითარების ნიშნად შეიძლება ჩაითვალოთ მეფის ტიტულიც. ძველი აღმოსავლეთის მბრძანებელთაგან განსხვავებით, რომლებიც ქვეყნის ან საერთოდ, ქვეყნიერების მეფეებად იწოდებოდნენ და ღმერთებად, ან ნახევრადღმერთებად ცხადდებოდნენ, მიკენის მეფე მხოლოდ გმირი და კაცთა წინამძღოლი იყო. ეს ტერმინოლოგიური განსხვავებები ნაწილობრივ შეიძლება ბერძნული სულის, აზროვნების თავისებურებებითაც აიხსნას, მაგრამ გარკვეულ რეალურ განსხვავებასაც უნდა ასახავდეს ამ საზოგადოებათა სოციალურ სისტემებს შორის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიკენურ საზოგადოებაში შეიმჩნევა როგორც დასავლურ-ფეოდალური, ასევე აღმოსავლური სოციალური მოდელის ნიშნები. მათი თანაარსებობა არაა გასაოცარი, რადგანაც ორივე მოდელი ტიპოლოგიურად ახლოს დგას და პირობით ფართო გაგებით ფეოდალურად შეიძლება ჩაითვალოს. ორივეში მეურნეობა პოლიტიკური ხელისუფლების მიერ იმართება,

ერძო საკუთრება და პირადი თავისუფლება ორივეში შეზღუდულია. მათ შორის განსხვავება მმართველობის ფორმებში მდგომარეობს. აღმოსავლეთში მთელი ძალაუფლება მეფესა და მის ბიუროკრატიულ აპარატს ეკუთვნოდა, დასავლეთში კი სამხედრო არისტოკრატიას. კონკრეტული ისტორიული, გეოგრაფიული თუ სამეურნეო პირობების გამო მიკენურ სამყაროში გარკვეული წონასწორობა დამყარდა ბიუროკრატიასა და სამხედრო არისტოკრატიას შორის. ძნელი სათქმელია, კატასტროფა რომ არა, ეს წონასწორობა განვითარების რომელი მიმართულების სასარგებლოდ დაირღვეოდა. სასახლეების დანგრევამ და ჩვეული მმართველობის სისტემის მოშლამ გზა გაუხსნა დასავლურ მოდელს, ხოლო ფირფიტებში ასახული საზოგადოება შეიძლება ფართო გაგებით ადრეფეოდალურად ჩაითვალოს.

ამგვარ საზოგადოებაში მკვეთრი განსხვავება თავისუფალსა და არათავისუფალს შორის არ შეინიშნება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ცნებათა შესატყვისი ბერძნული სიტყვები B-ხაზოვანი ტექსტებისათვის უცნობი არაა, ისინი აქ სხვა მნიშვნელობით იხმარებიან. „თავისუფალი" გადასახადისაგან განთავისუფლებულს ნიშნავს, „მსახური, მონა" კი — სხვის სამსახურში მყოფ პირს. მის სტატუსს განსაზღვრავს არა პირადი თავისუფლება —არა თავისუფლება, არამედ ვის ემსახურება იგი და რა სახის სამსახურს ასრულებს. მათ შორის ვხვდებით თავისუფალსაც, ყმასაც და მონასაც, წვრილ მოხელესაც, ხელოსანსაც და შინამოსამსახურესაც.

დაახლოებით ძვ. წ. 1200 წელს მიკენურ სასახლეთა და დასახლებათა დიდი ნაწილი განადგურდა. ეჭვს გარეშეა, რომ ეს კატასტროფა ადამიანის ნახელავს უკავშირდება, მაგრამ დამნაშავის ვინაობა მკვლევართათვის უცნობია. ტრადიციულად მიკენური სამყაროს დანგრევა დორიელებს მიეწერებოდა. შემდეგ პოპულარული გახდა ე.წ. „ზღვის ხალხების" ვერსია. მაგრამ შესაძლოა, რომ „ზღვის ხალხების" როლი რამზეს III-ის მიერაა გაზვიადებული საკუთარი გამარჯვების განსადიდებლად და მათ არ მიუძღვით ძირითადი ბრალი ხეთებისა და აქაველების სახელმწიფოთა მოსპობაში. ნგრევის საფუძველი შეიძლება შინააშლილობა და ეკონომიკური კრიზისიც გამხდარიყო.

„ბნელი წლები“ და „გეომეტრიული რენესანსი“

მიკენური ცივილიზაციის აგონია მთელ საუკუნეს გრძელდებოდა და მხოლოდ მას შემდეგ, ძვ. წ. XI-X საუკუნეებში ხდება ჯერ ჩრდილო-დასავლური ტომების, ეტოლიელების, ხოლო მოგვიანებით ჩრდილოელ დორიელთა ჩამოსახლება — „ჰერაკლიდების დაბრუნება“. მოსახლეობის ერთი ნაწილი კატასტროფას ემსხვერპლა, ნაწილიც ეგეოსის ზღვის კუნძულებზე, მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროსა და კვიპროსზე გადასახლდა — ე.წ. ეოლიური და იონიური კოლონიზაცია. აქაველებმა საბერძნეთის მხოლოდ რამდენიმე ოლქი შეინარჩუნეს, მათ შორის ატიკა. პელოპონესოსში დარჩენილი აქაველები დორიელებმა დაიპყრეს და დაიყმეეს.

საბერძნეთის ისტორიაში ძვ. წ. XI-X საუკუნეებს „ბნელი წლები“ ეწოდება, რადგანაც ამ პერიოდის წერილობით წყაროებს, თუ ისინი საერთოდ არსებობდნენ, ჩვენამდე არ მოუღწევია. ეპოქის შესწავლა არქეოლოგიური მასალისა და ჰომეროსის ეპოსის საფუძველზე ხდება. თვითონ ჰომეროსს ძვ. წ. VIII საუკუნეში უნდა ეცხოვრა. პატივს, მის მშობლიურ ქალაქად ჩათვლილიყო, ბევრი ბერძნული ქალაქი ეცილებოდა ერთმანეთს, მაგრამ, როგორც ჩანს, ამის საფუძველი ყველაზე მეტად იონიურ სმირნას (თანამედროვე იზმირი) ჰქონდა. ტროას ომი, რომელსაც პოემები ეძღვნება, მიკენური ხანის მოვლენაა, მაგრამ „ჰომეროსის საზოგადოება“ სწორედ „ბნელი წლების“ საზოგადოების პოეტურ ასახვას უნდა წარმოადგენდეს. „ბნელმა წლებმა“ ბერძნებს მნიშვნელოვანი სიახლე შესთავაზა. მათ ისწავლეს რკინის დამუშავება. რკინა ბრინჯაოს ხანაში ყველაზე ძვირფას და იშვიათ ლითონად ითვლებოდა, მაგრამ მას მერე, რაც მისი გამოდნობის ტექნოლოგია ცნობილი გახდა, მან სწრაფად განდევნა ბრინჯაო. რკინა მოსახმარადაც უკეთესი აღმოჩნდა და დასამუშავებლადაც. მან მიწათმოქმედის შრომაც გააიოლა და შორეული ქვეყნებიდან ნედლეულის შემოტანის საჭიროებაც მოხსნა, რაც ნგრევისა და მიგრაციების ტალღის მინელების შემდეგ დაწყებულ სამეურნეო აღმავლობაში სასახლის ბიუროკრატიულ აპარატს ადგილს აღარ უტოვებდა.

ბერძნების ხელმეორე აღმასვლის საწყის ეტაპს (ძვ. წ. IX-VIII სს.) ჰომეროსის ეპოქასაც უწოდებენ და გეომეტრიულსაც, პირველ ყოვლისა, იმ დროის კერამიკაზე გეომეტრიული ორნამენტის

გავრცელების გამო. გეომეტრიული მოტივების, სიმეტრიისა და ფორმათა ჰარმონიისადმი ინტერესმა და ლტოლვამ ბერძნული ხელოვნებისა თუ, საერთოდ, აზროვნების ბევრ სფეროში იჩინა თავი და შემდგომშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ხსენებულ პერიოდში კი ეს ტენდენცია ყოვლისმომცველი იყო. დიპილონის ვაზებსა თუ ჰომეროსის ეპოსში ნიშან-ელემენტთა რაოდენობრივი, სიმეტრიული განაწილება არქიტექტონულად სრულყოფილ სურათს ქმნის. საინტერესოა, რომ ეპოსში ელემენტების სიმეტრიული განაწილება გამოიყენება როგორც ტექსტის კომპოზიციური ორგანიზაციის დონეზე, ასევე გმირთა ხასიათების გამოსაკვეთად.

ეპოქის მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს დამწერლობის გაჩენა. ძვ. წ. VIII საუკუნეში ვრცელდება ფინიკიურის საფუძველზე შექმნილი ბერძნული ანბანი, რომელიც დამწერლობის ძველ სისტემებთან შედარებით ბევრად მარტივი იყო და წერა-კითხვის სწავლა რიგითი ადამიანისათვის ხელმისაწვდომი გახადა.

პოლისური საბერძნეთი

ეგეოსურ ცივილიზაციათა აღმოჩენამდე საბერძნეთის პოლიტიკური თუ კულტურული ისტორიის დასაწყისად ძვ. წ. 776 წელი – პირველი ოლიმპიური პანელინური თამაშების წელი იყო მიჩნეული. აქედან მოყოლებული ბერძენ-სპარსელთა ომამდე საბერძნეთის განვითარების მეტად დინამიურ და საინტერესო პერიოდს არქაული (ძველი) ეწოდება, ხოლო ბერძნული ცივილიზაციის უმაღლეს მწვერვალს (ძვ. წ. V-IV სს.) – კლასიკური. კულტურული თუ საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით, ეს პერიოდები ერთ ეტაპს ქმნის, რის გამოც მათი ერთიანად განხილვა გამართლებული უნდა იყოს.

კლასიკური ხანის საზოგადოებრივი საფუძველი ჯერ კიდევ წინა ეპოქაში ჩაისახა. მეურნეობაში ცენტრალური ფიგურა თავისუფალი მიწათმოქმედი გახდა, ხოლო პოლიტიკურ ცხოვრებაში – პოლისი, თავისუფალ ადამიანთა გაერთიანება. პოლისი, როგორც წესი, ქალაქ-სახელმწიფოდ ითარგმნება, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ თანამედროვე პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში მისი უფრო ზუსტი შესატყვისი ვერ მოიძებნა. პოლისი ქალაქს იმით წააგავს, რომ მას

აქვს აკროპოლისი, გამაგრებული ბორცვი თემის მფარველი ღვთაებების სამლოცველოთი და მის წვერთა თავშეყრის ადგილით. აქ ცვლიდნენ საქონელს და წყვეტდნენ საჭირბოროტო საკითხებს, ბორცვის გარშემო კი ხალხი სახლდებოდა. პოლისთა უმრავლესობას სოფლის ტიპის დასახლება ჰქონდა და ქალაქი საერთოდ არ გააჩნდა, ზოგიც რამდენიმე ქალაქს მოიცავდა. სახელმწიფოც მხოლოდ პირობით შეიძლება პოლისს ვუწოდოთ – მისი მიწა არის არა სახელმწიფოს ტერიტორია, არამედ მის წევრთა, „მოქალაქეთა" ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ საკუთრებაში არსებულ ნაკვეთთა ჯამი, თვითონ პოლისიც ბერძენთა მიერ, პირველ ყოლისა, „მოქალაქეთა" ერთობლიობად აღიქმებოდა. დიდი სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, პოლისის ინტერესები ძირითადად „მოქალაქეთა" ინტერესების ჯამს წარმოადგენდა, რის გამოც ცალკეულ ადამიანებს საზოგადოებრივი საქმე პირადზე ნაკლებად არ აინტერესებდათ. ბერძნების „კოლექტივიზმი" პოლისის გარეგნულ სახეშიც გამოვლინდა – ხალხი სადა და პრიმიტიულ სახლებში ცხოვრობდა, მაგრამ უბრწყინვალეს საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებს, პირველ რიგში, ტაძრებს აშენებდა.

თავდაპირველად პოლისი თემის ტიპის ორგანიზაცია იყო, რომელიც თავის წევრთა შორის ურთიერთობებს არეგულირებდა და მათ საკუთრებას იცავდა მეზობელი თემების მხრიდან ხელყოფისაგან. თავის მიწაზე თითოეული ოჯახი დამოუკიდებლად ეწეოდა მეურნეობას, საკუთარ მოსავალსა და საკუთარ ნახელავს სჯერდებოდა. კარჩაკეტილი, მარტივი მეურნეობა მწირ მიწაზე არ ქმნიდა პირობებს სხვისი შრომის ფართო ექსპლოატაციისათვის. თემის თავკაცები, თუნდაც, ბასილევსები (მეფეები) სამეურნეო თვალსაზრისით, დიდად არ გამოირჩეოდნენ სხვათაგან და რეალურად შეძლებული და პატივცემული გლეხები იყვნენ. მათი წარჩინებულობა ძირითადად სამხედრო საქმეში წამყვან როლს ეფუძნებოდა. მხოლოდ მათ გააჩნდათ ცხენები და ძვირადღირებული მძიმე აღჭურვილობა, ხოლო იმ დროის ომების ბედი, როგორც ჰომეროსისაგან ვიგებთ, გმირთა ორთაბრძოლებში წყდებოდა. არისტოკრატიის აგონისტურ სულს, პირადად თავის გამოჩენის წყურვილს, რაც დროთა განმავლობაში ზოგადად ბერძენთათვის გახდა დამახასიათებელი, უნდა ეუმადლოდეთ „უსისხლო ბრძოლის", სპორტული შეჯიბრების გაჩენას. ოლიმპიური თამაშები იმდენად

მნიშვნელოვან მოვლენად ითვლებოდა, რომ მათ დროს ერთმანეთთან მეომარ პოლისებს შორის დროებითი მშვიდობა მყარდებოდა. ოლიმპიადაზე გამარჯვება უდიდეს გმირობას უთანაბრდებოდა, რასაც, თუნდაც, პინდარეს (ძვ. წ. V ს.) პოეზიიდან ვიგებთ. ოლიმპიურ და სხვა პანელინურ თამაშებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პოლისებად მცხოვრებ ბერძენთა ეროვნული მთლიანობის გრძნობის გასაღვივებლად. ომებითა თუ სპორტული ასპარეზობებით სახელმოხვეჭილ წარჩინებულთა სიტყვას დიდი ფასი ჰქონდა სახალხო კრებაზე, მათვე ეკისრებოდათ სამართლის წარმოება. ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში, სამეურნეო აღმავლობისა და სოციალური დიფერენციაციის გაღრმავების პირობებში, არისტოკრატია შეეცადა მთლიანად თავის ხელში აეღო პოლისების მმართველობა და დაემორჩილებინა თუ დაეყმევებინა რიგითი მოსახლეობა, მაგრამ, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, უშედეგოდ.

სოციალურ დაძაბულობას პოლისებში წარჩინებულთა პრეტენზიებზე მეტად მოსახლეობის ზრდა და მიწის ნაკლებობა იწვევდა. ბერძნებმა ეს პრობლემა გადაწყვიტეს ფართო კოლონიზაციური მოძრაობის მეშვეობით, რომელიც ძვ. წ. VIII საუკუნის შუახანებში დაიწყო, სამ საუკუნეს გაგრძელდა და „დიდი კოლონიზაციის“ სახელით არის ცნობილი. უმიწოდ დარჩენილი, ხელისუფლებისათვის ბრძოლაში დამარცხებული თუ უბრალოდ თავგადასავლების მაძიებელი ადამიანები მასობრივად ტოვებდნენ საკუთარ პოლისს და ახალი სამშობლოს საძებნელად მიემართებოდნენ. ისინი ახალ „მისამართს“, როგორც წესი, დელფოს სამისნოსაგან იგებდნენ. სამისნომ ხმელთაშუაზღვისპირეთის საოცარი ცოდნა გამოაჟღინა – მისი რჩევით დაარსებულ კოლონიათა უმრავლესობა დღეგრძელი და წარმატებული აღმოჩნდა. ალბათ, ამიტომ მიაჩნდათ ბერძნებს დელფო სამყაროს ცენტრად. კოლონიზაცია სამი ძირითადი მიმართულებით ვითარდებოდა: დასავლეთი – სიცილია, სამხრეთ იტალია, სამხრეთ საფრანგეთი, ესპანეთი; ჩრდილოეთი – ეგეოსის ზღვის თრაკიული სანაპირო, ჰელესპონტისა და ბოსფორის სრუტეები, შავი ზღვა; სამხრეთ-აღმოსავლეთი – ჩრდილოეთ აფრიკა და წინა აზია. კოლონიზაციის პროცესი კუნძულ ევბეადან დაიწყო, შემდეგ მასში აქტიურად ჩაებნენ კორინთო, მეგარა, იონიური ქალაქები, განსაკუთრებით ბევრი დასახლება იონიურმა მილეტმა დააარსა. კოლონიები, ანუ

ალიკიები, როგორც მათ თვით ბერძნები უწოდებდნენ, მათი დამფუძნებელი მეტროპოლიისაგან პოლიტიკურად სრულიად დამოუკიდებელი იყვნენ. მათი უმრავლესობა ჩვეულებრივი პოლისი იყო. მხოლოდ ზოგ შემთხვევაში, როდესაც დასახლება ძლიერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსდებოდა, იგი სავაჭრო ფაქტორიის სტატუსსა და შეზღუდულ თვითმმართველობას სჯერდებოდა. კოლონიზაციის შედეგად ბერძნებმა ხელთ იგდეს საერთაშორისო ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი გზები, რამაც დიდი გავლენა იქონია საბერძნეთის ეკონომიკაზე – არა მარტო ხელოსნობა, არამედ სოფლის მეურნეობაც საერთაშორისო ბაზარზე აეწყო. მკვეთრად იმატა საექსპორტო ღვინისა და ზეთის წარმოებამ, ხოლო მარცვლეული კულტურები, რომლებიც ადრე დიდი გაჭირვებით მოპყავდათ, იმპორტის საგნად იქცა სხვა ნედლეულთან ერთად (ხე, ლითონი და სხვ.).

ძვ. წ. VII საუკუნეში მოიჭრა პირველი მონეტები, გაჩნდა ნამდვილი ფული, რომელმაც თანდათანობით შეცვალა მიწა სიმდიდრის კრიტერიუმის როლში. ფული მიწასთან შედარებით უფრო იოლი მოსაპოვებელი იყო. ზოგი მიწადაკარგული გლეხი იღბლიანი ვაჭარი აღმოჩნდა და თავის შეძლებით ბევრ დიდგვაროვანსაც გაასწრო. მეორე დარტყმა არისტოკრატიას სამხედრო საქმეში მომხდარმა გადატრიალებამ მიაყენა – ომში ძირითადი ფიგურა მძიმედ შეიარაღებული ქვეითი, ჰოპლიტი გახდა, რამაც პოლისში საშუალო შეძლების მოქალაქეთა მნიშვნელობა გაზარდა. ხელისუფლების შესანარჩუნებლად არისტოკრატიამ ვერ მოახერხა გაერთიანება. პატარა პოლისებში ფუნქციადაკარგულ და არცთუ ძალიან მდიდარ წარჩინებულებს უჭირდათ მყარი სოციალური დასაყრდენის პოვნა. გარდა ამისა, ყოველ მათგანს პირველობა უნდოდა, ზოგი აღელვებულ ბრბოსაც კი ჩაუდგა სათავეში „თავისიანთა“ წინააღმდეგ და ხალხის ინტერესების დაცვის საბაბით საკუთარი ერთპიროვნული მმართველობა, ტირანია დაამყარა. თავდაპირველად ტერმინს „ტირანია“ არ ჰქონდა უარყოფითი ელფერი. ისტორიამ შემოგვინახა ტირანთა სახელები, რომელთა მოღვაწეობა პოლისისათვის სასიკეთო აღმოჩნდა. მაგრამ თავისუფლებისმოყვარე ბერძენი ძნელად ეგუებოდა ერთი კაცის ხელისუფლებას, სხვისი ბრძანებების შესრულებას. ამიტომ ტირანია იშვიათად ძლებდა ერთ თაობაზე მეტ ხანს. მმართველობის

ეს ფორმა არ იყო სავალდებულო ეტაპი არისტოკრატიული პოლისების დემოკრატიზაციის გზაზე – პროცესი ზოგგან უფრო მშვიდობიანად მიმდინარეობდა.

დემოსის, ხალხის ერთ-ერთი პირველი გამარჯვება არისტოკრატიაზე კანონების ჩაწერა იყო. მაგალითად, ათენში ხალხის ამბოხებისა და ტირანიის დამყარების პირველ უშედეგო მცდელობას მოჰყვა დრაკონის კანონები (ძვ. წ. 624 წ.). მართალია, პირველი წერილობითი კანონები ტრადიციული სამართლის ფიქსაციას არ გასცდენია და ათასი წლით უფრო ადრეულ შუამდინარულ კანონებთანაც შედარებით პრიმიტიულად გამოიყურებოდა, მათ გაჩენას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. შეიზღუდა წარჩინებულ მოსამართლეთა თვითნებობა. კანონების ჩაწერის, განსაკუთრებით კი ახალშექმნილ კოლონიებში მათი შედგენის პროცესში ბერძნებმა აღმოაჩინეს, რომ კანონი ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი კი არ არის ღმერთების მიერ, არამედ, ისევე როგორც ნებისმიერი პრაქტიკული გადაწყვეტილება, მოქალაქეთა შეთანხმების შედეგია. ამას მოჰყვა ფიქრი კანონმდებლობის, სამართლის პრინციპებზე, საზოგადოებისა თუ სამყაროს კანონზომიერებებზე. შემთხვევით არ არის, რომ ამ დროს ცხოვრობდა „შვიდი ბრძენი", რომელთაც ხალხმა ამა თუ იმ ფორმით წინამძღოლობა ჩააბარა: კორინთოს ტირანი პერიანდროსი, ათენელი სოლონი, ქილონ სპარტელი, მილეტელი თალესი, ბრიას პრიენელი, პიტაკოს მიტილენელი, კლეობულოს ლინდოსელი.

ბრძენი მმართველის მოღვაწეობის მაგალითი კვლავ ათენის ისტორიიდან შეიძლება მოვიტანოთ. ძვ. წ. 594 წელს სოციალური აფეთქების ზღვარზე მყოფ ათენში გამოსავლის მოძებნა სოლონს მიანდეს. ხალხის ძირითადი სატკივარი სავალო კაბალა იყო. ათენელთა დიდი ნაწილის მიწები ვალების გადაუხდელობის გამო წარჩინებულების, ეუპატრიდების ხელში აღმოჩნდა. ყოფილი მესაკუთრეები საკუთარ მიწაზე მოიჯარადეებად მუშაობდნენ, ზოგი მონადაც გაიყიდა. სოლონმა გააუქმა ვალები (სეისახთეია) და ათენელთა შელახული უფლებები აღადგინა. აიკრძალა ვალების გამო თავისუფალი ადამიანის მონად გაყიდვა. შეიცვალა მეურნეობის ორიენტაცია სასაქონლო წარმოების სასარგებლოდ, რასაც საერთაშორისო ვაჭრობაში ათენელთა ოდნავ დაგვიანებული, მაგრამ აქტიური ჩართვა მოჰყვა. ეუპატრიდების პოლიტიკურ პრივილეგიებს

დიდი დარტყმა მიაყენა მმართველობის სისტემის რეფორმამ. გაიზარდა სახალხო კრების (ეკლესია) მნიშვნელობა, შეიქმნა არჩეული ორგანო – ოთხასის საბჭო (ბულე), რომელიც კრებებს შორის მიმდინარე საკითხებს წყვეტდა. მოქალაქეები ქონებრივი ცენზის (და არა წარმოშობის) მიხედვით გაიყვნენ ოთხ ჯგუფად, რაც განსაზღვრავდა მათ ადგილს ჯარში და მათ უფლებას, დაეკავებინათ ესა თუ ის თანამდებობა. სოლონის რეფორმებმა ათენი სახელმწიფოდ აქცია, ერთი მხრივ, უზრუნველყო მოქალაქეთა პირადი თავისუფლების ხელშეუხებლობა და, მეორე მხრივ, გზა გაუხსნა ნაყიდი უცხოელი მონის შრომის ფართო გამოყენებას. „ბრძენმა მმართველმა" ეს ყოველივე მისი არქონტად ყოფნის ერთ წელიწადში განახორციელა და აქტიურ პოლიტიკას ჩამოშორდა.

არქაულ პერიოდში მოღვაწეობდნენ პირველი ფილოსოფოსებიც – თალესი, ანაქსიმანდრე, ანაქსიმენე, პითაგორა, ქსენოფანე, ჰერაკლიტე, პარმენიდე. მათი შემოქმედების ძირითადი საკითხი სამყაროს პირველსაწყისი იყო, რის კვლევაშიც ისინი სრულიად მოსწყდნენ ტრადიციულ რელიგიას და მითოლოგიას და აღმოსავლეთის მაღალი ცივილიზაციებისაგან შეთვისებულ თუ თავად ბერძნების პრაქტიკულ ცოდნასა და გამოცდილებას ემყარებოდნენ. ბერძენმა ფილოსოფოსებმა პირველად სცადეს ამ მასალის სისტემაში მოყვანა, მისი ანალიზი, რითიც მეცნიერების სხვადასხვა, ძირითადად საბუნებისმეტყველო დარგებს მისცეს დასაბამი.

ადამიანის სულიერი სამყარო და საზოგადოებრივი ცხოვრება არქაული პერიოდის პოეზიის საგანი გახლდათ. გასული, საგმირო ეპოქის შესაბამისი ჟანრი ეპოსი იყო, რომლის მწვერვალსაც ჰომეროსის პოემები წარმოადგენს – მათში ჟანრისათვის ჩვეული სიუჟეტის მიღმა ღმერთებისა და გმირების სამყაროს მთელი ენციკლოპედია იმალება. ჰომეროსის უმცროსმა თანამედროვემ, ჰესიოდემ ეპოსისავე ფარგლებში მნიშვნელოვანი სიახლე შემოგვთავაზა – ავტორის პიროვნება ჩართო პოემებში. მისი „თეოგონიაც", რომელსაც სისტემაში მოჰყავს ბერძნების მრავალრიცხოვანი ღმერთები და მათთან დაკავშირებული მითები, და დიდაქტიკური „სამუშაონი და დღენი", რომელიც ბერძენი გლეხის სამყაროს ასახავს, ავტობიოგრაფიულ ცნობებს შეიცავს. ახალი, მოუსვენარი, დაძაბული ეპოქის შვილი ლირიკაა. მოკლე, სხარტი და გულშიჩამწვდომი ფორმით პოეტი გვიზიარებს საკუთარ

განცდებს, მსოფლმხედველობას. ლირიკა მეტრული საზომის, პოეტური ხერხებისა და თემატიკის დიდ მრავალფეროვნებას გვთავაზობს. არქაული ლირიკის ბრწყინვალე წარმომადგენლები არიან: არქილოქე პაროსელი, კალინე ეფესოელი, ტირტეოსი, სიმონიდე, მიმნერმოსი, სოლონი, თეოგნიდე მეგარელი, ჰიპონაქტე, ალკეოსი, საფო, ანაკრეონტი, ალკმანი, სტესიქორე, იბიკოსი. აქ მათი შემოქმედების განხილვა შორს წაგვიყვანდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოეზიის, საკანონმდებლო აქტებისა თუ ფილოსოფოსთა ნააზრევის წაკითხვა ბერძენთა უმრავლესობას შეეძლო. ყურადღების ღირსი ნაშრომები სწრაფად მრავლდებოდა და ვრცელდებოდა ხალხში.

კოლონიზაციური მოძრაობის შედეგად გაჩენილ ახალ პოლისებში საჭირო იყო არა მარტო სოციალური ცხოვრების რეგლამენტაცია, არამედ ქალაქის აშენებაც. ასე ჩნდება დაგეგმარების პრინციპები – სად და როგორ უნდა აშენდეს ქალაქი, რომლებიც თანამედროვე ქალაქთმშენებლობისთვისაც არ კარგავენ აქტუალობას. ვითარდება ტაძრების არქიტექტურა. ძვ. წ. II ათასწლეულიდან გადმოყოლილი მეგარონი შეიცვალა ახალი ტიპის ტაძრით, რომლის სამშობლოც სპარტაა. ტაძრებთან არის დაკავშირებული ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარება. წარჩინებულები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ტაძრების აგებასა და მათ მორთვაში, ლაშქრობიდან დაბრუნებულები ნადავლის ნაწილს, ძირითადად ხელოვნების ნიმუშებს, ღმერთებს სწირავდნენ. განსაკუთრებით დიდი სიმდიდრე იყრიდა თავს ზოგადელინური მნიშვნელობის ტაძრებში (მაგალითად, დელფოსელი აპოლონის ტაძარში), რომელთა მოწყობაზეც მთელი პოლისები ზრუნავდნენ. ზოგი ტაძრის ტერიტორია ფაქტობრივად მუზეუმად იქცა. არქაიკაში გაჩნდა მონუმენტური სკულპტურა. თავდაპირველად იგი ხისგან იკვეთებოდა, ხშირად ირთვებოდა სპილოს ძვლითა და იფარებოდა ლითონის ფირფიტებით. სხვადასხვა მასალის დამუშავების ტექნიკის განვითარებასთან ერთად დაიწყო ქანდაკებების გამოკვეთა ქვისგან და ჩამოსხმა ბრინჯაოსაგან. ქანდაკებები, ტაძრების კედლების მსგავსად, მოხატული ყოფილა, მაგრამ ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ მოხატულმა კერამიკამ, რომლის მიხედვითაც გვექმნება წარმოდგენა ბერძენ მხატვართა ოსტატობაზე. საკუთარი განდიდებისა და ხალხის კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით, ტირანები მფარ-

ელობდნენ ხელოვნების სხვადასხვა დარგს, პოლიტიკურად სახიფათო ფილოსოფიასა და პოეზიასაც კი. ტირანთა კარზე საუკეთესო ინტელექტუალური, შემოქმედებითი ძალები იყრიდნენ თავს. მაგალითად, პისისტრატეს (ძვ. წ. 560-527 წწ.) დროს ათენში აკროპოლისის გამშვენებასთან ერთად ჩაიწერა ჰომეროსის პოემები.

პისისტრატეს აქტიურმა საგარეო პოლიტიკამ და აღმშენებლობითმა საქმიანობამ ათენი საბერძნეთის უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად აქცია. ტირანიამ თავისი პოზიტიური შესაძლებლობები ამოწურა და პისისტრატეს ვაჟებმა ვეღარ შეინარჩუნეს ხელისუფლება. ძვ. წ. 509 წელს კლისთენეს მიერ გატარებულმა რეფორმამ საბოლოოდ დაამკვიდრა დემოკრატია. გათანაბრდა მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებები (ისონომია), შემოღებულ იქნა პოლისის ახალი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა, შესაბამისად, შეიცვალა ბულეს შემადგენლობა და ფორმირების პრინციპები.

განვითარების განსხვავებული გზით წავიდა სპარტა, სადაც მომხდური დორიელები სამხედრო ელიტად იქცნენ და დაპყრობილ-დაყმევებული ადგილობრივი მოსახლეობის, ჰელოტების შრომის ხარჯზე ცხოვრობდნენ. ძვ. წ. IX საუკუნიდან შეიძლება სპარტაში სახელმწიფოს არსებობაზე საუბარი. ორი ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომის შედეგად (ძვ. წ. VIII-VII სს.) სპარტამ დაიმორჩილა მესენია, რითიც საბერძნეთის ყველაზე დიდი პოლისი გახდა. ხსენებული ომების დროს საბოლოოდ ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი წყობა, რომელსაც ტრადიცია ლეგენდარული კანონმდებლის, ლიკურგოსის სახელს უკავშირებდა და, რომელმაც სერიოზული ცვლილებების გარეშე რამდენიმე საუკუნე იარსება. ყოველ სპარტელს სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი ლაკონიისა და მესენიის მიწა გლეხებითურთ თანაბრად დაუნაწილდა დროებით მფლობელობაში. მათი თანასწორობა სხვა ზომებითაც იყო განმტკიცებული: იდეალური მებრძოლის აღსაზრდელად მიმართული წვრთნა, ცხოვრების ყველა სფეროს უმკაცრესი რეგლამენტაცია, სამეურნეო საქმიანობისა და საგარეო კონტაქტების შეზღუდვა.

სპარტელთა ცხოვრების წესი აისახა მათ არქიტექტურაშიც – დორიული კაპიტელი ისევე განსხვავდება იონიურისაგან, როგორც პირქუში სპარტელი ჯარისკაცი ლაღი და განებივრებული იონიელი

მოქალაქისაგან. საგანგებო აღნიშვნის ღირსია სპარტელთა ლაპარაკის ხელოვნება. მათი მოკლე და საქმიანი ფრაზები იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ აზრის გამოთქმის ეს სტილი დღესაც სპარტელთა მშობლიური მხარის სახელწოდების მიხედვით ლაკონურად იწოდება.

სპარტას სათავეში ორი მეფე ედგა, რომლებიც სარდლის, მოსამართლისა და ქურუმის ფუნქციებს ასრულებდნენ. უმნიშვნელოვანეს საკითხთა გადაწყვეტაში მონაწილეობდა უხუცესთა საბჭო – გერუსია და სახალხო კრება. მაგრამ რეალურად ხელისუფლება ხუთი არჩევითი ეფორისაგან შემდგარ კოლეგიას ჰქონდა – ის აკონტროლებდა ლიკურგოსის კანონების განუხრელ შესრულებას ნებისმიერი სპარტელის მიერ. პოლისის მეურნეობა ემყარებოდა სრულიად უუფლებო ჰელოტებსა და პიროვნულად თავისუფალ, მაგრამ პოლიტიკურ უფლებებს მოკლებულ პერიეკებს. ჰელოტები მოსავლის მეექვსედს აძლევდნენ სახელმწიფოს, ხოლო პერიეკები მიწათმოქმედების გარდა, ვაჭრობითა და ხელოსნობით იყვნენ დაკავებული და რიგ შემთხვევაში მათ სამხედრო სამსახურიც ეკისრებოდათ. სპარტასთან მიახლოებული საზოგადოებრივი წყობა დამყარდა დორიელების მიერ დაკავებულ ზოგიერთ ოლქში: კრეტა, არგოსი, თესალია.

ისტორიამ ბერძნებს აცალა რამდენიმე საუკუნის მანძილზე თავის ნებაზე მოეწყოთ საკუთარი ცხოვრება, მაგრამ ძვ. წ. VI საუკუნის მეორე ნახევარში მათ ძლიერი და სახიფათო მეზობელი გამოუჩნდათ სპარსეთის იმპერიის სახით. ლიდიის სამეფოს დაპყრობის შემდეგ სპარსელებმა თავიანთი ხელისუფლება იონიურ პოლისებზეც გაავრცელეს. იონიელები ამ ცელილებებს მტრულად შეხვდნენ, მაგრამ დამოუკიდებლობის დასაცავად გაერთიანება არ მოხერხდა. ტენოსისა და ფოკეას მოსახლეობამ სპარსეთის „მონობას“ სამშობლოს მიტოვებაც კი ამჯობინა. დარიოს I-ის სკვითების წინააღმდეგ წარუმატებელმა ლაშქრობამ იონიელებს იმედი გაუჩინა. მართალია, დამარცხებული სპარსელებისათვის უკან დასაბრუნებელი გზის მოჭრა მათ ვერ შეძლეს, მაგრამ ძვ. წ. 500 წელს იონიაში აჯანყება დაიწყო, რომელსაც ათენი და ზოგიერთი სხვა ბერძნული პოლისიც ეხმარებოდა. დარიოსმა ამბოხება სასტიკად ჩაახშო და იონიელთა მოკავშირეების, პირველ ყოვლისა, ათენის დასჯა განიზრახა. ათენი

ჯერ ქარიშხალმა იხსნა, როდესაც სპარსელთა ფლოტი დალეწა, შემდეგ კი, ძვ. წ. 490 წელს, საკუთარ მოქალაქეთა გმირობამ. მილტიადესის სარდლობით ათენელებმა მარათონის ველზე სძლიეს ძვირის მრავალრიცხოვან ლაშქარს. დარიოსის სიკვდილმა ბერძნებს აშოსუნთქვის საშუალება მისცა, მაგრამ მათთვის ცხადი იყო, რომ სპარსელები მარცხს ადვილად არ შეეგუებოდნენ. საკუთარ ძალებში დარწმუნებული სპარტა მშვიდად ადევნებდა თვალს მოვლენების განვითარებას, ხოლო ათენი ახალი ბრძოლებისათვის საშხადისს შეუდგა. თემისტოკლეს წინადადებით დაიწყო სამხედრო ფლოტის შენებლობა, რამაც გადაწყვიტა ომის ბედი და ათენის ომის შემდგომი აყვავება განაპირობა. ძვ. წ. 480 წელს საბერძნეთში შემოიჭრა სპარსელთა ძირითადი ძალები თვით მეფის, ქსერქსეს სარდლობით. „ისტორიის მამად" წოდებული ჰეროდოტე, რომლის „ისტორია" ბერძენ-სპარსელთა დაპირისპირების შესწავლის ფუძეარი წყაროა, გვამცნობს, რომ ქსერქსეს არმიაში მთელი მისთვის ცნობილი მსოფლიო იყო წარმოდგენილი მილიონობით მებრძოლის სახით. მტრის რაოდენობა გადაჭარბებული უნდა იყოს, მაგრამ ცხადია, რომ ქსერქსემ საბერძნეთის წინააღმდეგ ძველი მსოფლიოს კვალობაზე არნახულად დიდი ლაშქარი შეკრიბა. პირველი ბრძოლა თერმოპილეს კართან მოხდა, სადაც სამასმა სპარტელმა მეფე ლეონიდასის მეთაურობით საკუთარი სიცოცხლის ფასად რამდენიმე დღით შეაყოვნა ქსერქსე. სპარსელებმა შუა საბერძნეთში შეაღწიეს და ათენიც აიღეს, მაგრამ თემისტოკლემ მოსახლეობისა და ფლოტის გადარჩენა მოახერხა. მან კუნძულ სალამინთან ბრძოლაში ჩაითრია სპარსეთის ფლოტი, რომელიც ფინიკიური და იონიური ხომალდებისაგან შედგებოდა და ბრწყინვალე გამარჯვებაც მოიპოვა. მომდევნო წელს თავის გამოჩენის ჯერმა ისევ სპარტელებს მოუწია. ფლოტსა და გამართულ მომარაგებას მოკლებული ქსერქსე პლატეასთან ხმელეთზეც დამარცხდა და უკუიქცა. მართალია, ცალკეული შეტაკებები სპარსელებთან კიდევ ოცდაათი წლის მანძილზე ხდებოდა, მთავარი გამარჯვება უკვე მოპოვებული იყო: ბერძნებმა არა მარტო დაიცვეს საკუთარი თავისუფლება, არამედ ჩამოართვეს აღმოსავლეთს პირველობა, რაც ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობებმა დააგვირგვინა.

გამარჯვებით ფრთაშესხმულმა ბერძნებმა საბოლოოდ ირწმუნეს საკუთარი უპირატესობა სხვა ხალხებთან შედარებით, რაც, მათი

აზრით, მათი პიროვნული თავისუფლებით, პოლისების დემოკრატიული წყობით იყო განპირობებული. ომის დროს დანგრეული ქალაქები მალე ისევ აღდგა და კიდევ უფრო დამშვენდა. ქალაქების სახეს განსაზღვრავდა საჯარო ნაგებობები, პირველ ყოვლისა ტაძრები. არქაულ პერიოდში გაჩენილი ტაძრის ტიპი დაიხვეწა ბერძნებმა აღმოაჩინეს მთელისა და მისი დეტალების იდეალური პროპორციები, რაც არქიტექტურასა და სკულპტურაში ყველაზე თვალნათლივ გამოვლინდა. არქიტექტურული თვალსაზრისით საინტერესო ნაგებობაა ბერძნული თეატრი, რომელიც დღესაც გვაოცებს ბრწყინვალე აკუსტიკით. თეატრმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა კლასიკური პოლისის კულტურულ ცხოვრებაში. რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებით იმართებოდა თეატრალური ფესტივალები, რომლებსაც აგონის, შეჯიბრების სახე ჰქონდა. თითოეულ მონაწილეს უნდა წარმოედგინა ერთჯერადი ჩვენებისათვის დაწერილი სამი ტრაგედია და ერთი სატირული დრამა, გამარჯვებულის გამოვლენა მაყურებელს ჰქონდა მინდობილი. დრამა სინთეტური ჟანრია, იგი აერთიანებდა პოეზიას, საგუნდო სიმღერას, მუსიკას, მხატვრობას. თავდაპირველად გუნდთან ერთად ერთი მსახიობი გამოდიოდა სცენაზე, შემდეგ მათი რაოდენობა გაიზარდა. კლასიკურ ეპოქაში ამ ჟანრის უამრავი ნაწარმოები შეიქმნა, მათგან ჩვენამდე მცირე, მაგრამ, ალბათ, საუკეთესო ნაწილმა მოაღწია – ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს ტრაგედიებმა, არისტოფანეს კომედიებმა. ტრაგედია კარგად ცნობილი მითოლოგიური სიუჟეტების მხატვრულ დამუშავებას წარმოადგენდა, მაგრამ მასში აშკარად იგრძნობა როგორც ეპოქის სული, ასევე ავტორის პიროვნება, მისი მსოფლმხედველობა და ოსტატობა. ე.წ. ძველი ატიკური კომედია ძირითადად მძაფრ პოლიტიკურ სატირას მიმართავდა და ბერძნული დემოკრატიის ყველაზე მკაფიო გამოვლენად შეიძლება ჩაითვალოს.

პოლისებს შორის პირველობა ათენმა იგდო ხელთ. ათენში დემოკრატიამ განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. ერთი მხრივ, ჯერ კიდევ კლისთენეს რეფორმების შედეგად მოქალაქეთა უფლებები გათანაბრდა, მეორე მხრივ, თემისტოკლეს თაოსნობით ძლიერი სამხედრო ფლოტის შექმნამ გაზარდა უღარიბეს მოქალაქეთა მნიშვნელობა პოლისისათვის: ჰოპლიტების ფალანგას და ცხენოსან ჯარს ხომ შეძლებულები ქმნიდნენ, ხომალდზე

მენიჩბედ სამსახურს კი ღარიბიც ახერხებდა. მოქალაქეები არა მარტო განთავისუფლდნენ ყოველგვარი გადასახადებისაგან, არამედ ანაზღაურებასაც კი იღებდნენ პოლისის პოლიტიკურ თუ კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის. შესაბამისად, ათენში მოხერხდა მოქალაქეთა მეტ-ნაკლებად გათანაბრება არისტოკრატიულ სტანდარტთა დონეზე. სამაგიეროდ, უცხოელისათვის პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ათენის მოქალაქეობის მიღება. ასე მაგალითად, ძვ. წ. 443-429 წლებში არქონტ-სტრატეგოსის (მთავარსარდლის) როლში პოლისის რეალურმა ხელმძღვანელმა პერიკლემაც კი ვერ მოახერხა თავისი ცოლისათვის ათენელის სტატუსის მიცემა. ათენელის პრივილეგიური მდგომარეობა დაცული იყო კანონებით და ემყარებოდა პოლისის შემოსავლის სამ წყაროს: ათენში მცხოვრებ, მაგრამ მოქალაქის სტატუსს მოკლებულ ვაჭარ-ხელოსანთა (მეტოიკოსთა) გადასახადებს, სახელმწიფო მონების შრომას და მნიშვნელოვანწილად, მოკავშირეთა გადასახადებს.

რაც შეეხება „კლასიკურ მონობას", იგი მნიშვნელოვანი ფაქტორია ათენის (და ზოგიერთი სხვა დემოკრატიული პოლისის) საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ არა განმსაზღვრელი. მონები, ალბათ, პოლისის მთელი მოსახლეობის 20-25%-ს შეადგენდნენ. სახელმწიფო მონები, ძირითადად, ლავრიონის ვერცხლის საბადოებში იყვნენ დასაქმებული, ხოლო კერძო საკუთრებაში მყოფნი შინამოსამსახურეებად და ხელოსანთა შეგირდებად გვეელინებიან. ეკონომიკის წამყვან დარგში – სოფლის მეურნეობაში – მონების შრომა თითქმის არ გამოიყენებოდა. აღსანიშნავია, რომ თავისუფლებისმოყვარე ბერძენი „მონებად" აღიქვამდა პირად თავისუფლებას მოკლებულ, დაქვემდებარებაში მყოფ ადამიანთა საკმაოდ ფართო წრეს – სკვითური წარმოშობის ათენელ „პოლიციელსაც", სპარტელ ყმა-გლეხსაც (პელოტი), აღმოსავლეთის დესპოტურ სახელმწიფოთა მთელ მოსახლეობასაც და თანამედროვე გაგებით მონასაც, ანუ ადამიანს, რომელიც თეითონ წარმოადგენს საკუთრების ობიექტს და, რომელსაც არც საკუთრება, არც არავითარი უფლებები არ გააჩნია.

ჯერ კიდევ სპარსელებთან ომის დროს, ათენის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, შეიქმნა „საზღვაო კავშირი", რომლის ხაზინა კუნძულ დელოსზე მდებარეობდა და, რომელშიც მრავალი

ზღვისპირა პოლისი გაერთიანდა. თანდათანობით ათენმა მოკავ-შირეები დაიმორჩილა და ხაზინის ერთპიროვნული განმკარგველ-გახდა – შეგროვილი თანხა იხარჯებოდა არა მარტო კავშირის-თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე, არამედ ათენის პოლი-ტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული მოთხოვნილებების-შესაბამისად, თითოეული პოლისის გადასახადის ოდენობასაც ათენ-ადგენდა და მათ ურჩობასაც მკაცრად სჯიდა. „მოკავშირეთა“ მიმართ-ათენი, ფაქტობრივად, იმპერიულ ცენტრად იქცა.

ათენის გაძლიერებით შეშფოთებული სპარტა სათავეში ჩაუდგა ძირითადად ოლიგარქიული წყობის მქონე პოლისების გაერთიანებას, „პელოპონესოსის კავშირს“, რომელსაც საზღვაო ვაჭრობაში ათენის ტრადიციული კონკურენტი კორინთოსიც შეუერთდა. სპარსეთთან დაზავების შემდეგ ბერძნებს საერთო მტრის ხატი გაუქრათ და ორ დაჯგუფებას შორის საომარი დაპირისპირება გარდაუვალი გახდა. ხანგრძლივ და სისხლისმღვრელ ე.წ. „პელოპონესოსის ომში“ (ძვ. წ. 431-404 წწ.) ორივე მხარე საკუთარი უპირატესობის გამოყენებას ცდილობდა: სპარტა სახმელეთო ბრძოლებს ესწრაფვოდა და ათენის მოკავშირეებს აწიოკებდა, პერიკლეს მიერ აგებულ მტკიცე გალავანს თავშეფარებული ათენელები კი ზღვიდან ესხმოდნენ თავს სპარტის მოკავშირეებს და მტრის დასუსტებას ეკონომიკური ბლოკადის მეშვეობით ცდილობდნენ. ომის პირველი ეტაპი უშედეგოდ დამთავრდა. ხანმოკლე მშვიდობის შემდეგ ბრძოლა განახლდა. ომის მეორე ეტაპზე ცენტრალურ ფიგურად პერიკლეს ნათესავი და სოკრატეს მოწაფე, ნიჭიერი ავანტიურისტი ალკიბიადე გვევლინება. მასთან ურთიერთობაში აშკარად გამოჩნდა დემოკრატიის სისუსტე. სახალხო კრება ვერ გაერკვა ათენის დემოკრატიისათვის სპარტა უფრო სახიფათო იყო, თუ ალკიბიადე. იგი არაერთხელ დაინიშნა სარდლად, წარმატებებსაც მიაღწია, მაგრამ გაწვეულ იქნა უკან. საბრძოლო ოპერაციების ერთიანი გეგმის უქონლობამ, სარდლების ხშირმა ცვლამ და მოკავშირეთა უკმაყოფილებამ საბოლოოდ ათენის დამარცხება განაპირობა. ომმა სპარტაც ისე გამოფიტა, რომ მან ველარ ისარგებლა გამარჯვებით და საბერძნეთი საკუთარი ხელისუფლების ქვეშ ვერ გააერთიანა. ათენმა სწრაფად მოიშორა გამარჯვებულთა მიერ თავსმოხვეული ე.წ. „30-ის ტირანია“, დემოკრატია აღადგინა და თანდათანობით ძალები მოიკრიბა. სპარ-

ტის ჰეგემონიას ჯერ კორინთოსი აღუდგა წინ (ძვ. წ. 395-387 წწ.), შემდეგ კი თებე, დემოკრატიული ძალების დროშით. ეპამეინონდასის სარდლობით თებელებმა ძვ. წ. 371 წელს მარცხი აგემეს აქამდე ხმელეთზე უძლეველ სპარტელებს, მაგრამ სარდლის სიკვდილის შემდეგ (ძვ. წ. 362 წ.) საბოლოო გამარჯვებას ვეღარ მიაღწიეს.

ჯერ კიდევ პელოპონესის ომის დროს გამოიკვეთა პოლისის კრიზისი, რომელიც საბერძნეთმა დამოუკიდებლად ვერ დასძლია: ერთი მხრივ, მომწიფდა შედარებით დიდი პოლიტიკური ერთეულების, სახელმწიფოების წარმოშობა, მეორე მხრივ, ბერძნებს პოლისი იდეალურ სტრუქტურად მიაჩნდათ და ფილოსოფოსთა პოლიტიკურ ნააზრევშიც კი მხოლოდ პოლისის დახვეწის, მისი მართვის ოპტიმალური ფორმების დადგენის სურვილს ეხედავთ (პლატონი, არისტოტელე). ცხადია, რომ ბერძნულ დემოკრატიას მხოლოდ მცირე ტერიტორიაზე და მოქალაქეთა შეზღუდული რიცხვით შეეძლო არსებობა. დიდ სახელმწიფოში ცალკეული მოქალაქის როლი და უფლებები შემცირდებოდა, სახელმწიფოსა და მოქალაქის ინტერესები გარკვეულწილად დასცილდებოდა ერთმანეთს. ასეთ ცვლილებებზე ბერძნები შეგნებულად ვერ წაიდოდნენ, მაგრამ კოლექტიურსა და ინდივიდუალურს შორის ბალანსი, რაზეც პოლისი იდგა, მაინც დაირღვა. ძვ. წ. V საუკუნეში ცხოვრების გართულებასთან, ეკონომიკურ წინსვლასთან ერთად სწრაფი ტემპით მიდიოდა მოქალაქეთა პროფესიონალიზაცია და, შესაბამისად, ახალი ჯგუფური ინტერესების გაჩენა. პოლისს სერიოზული დარტყმა მიაყენა ფილოსოფიამაც. კლასიკურ ხანაში ადამიანით, მისი პრობლემებით პოეტების გარდა, ფილოსოფოსებიც დაინტერესდნენ. სოფისტებმა ყოველივეს საზომად ადამიანი გამოაცხადეს. სოკრატემ მათ დისკუსიაში ზნეობა დაუპირისპირა, მაგრამ პიროვნულის წინ წამოწევის წინააღმდეგ არ გაულაშქრია. ათენის ახლად აღდგენილი დემოკრატიის მიერ სოკრატეს სიკვდილით დასჯა (ძვ. წ. 399 წ.) პოლისის კრიზისის აღიარებადაც შეიძლება აღვიქვათ. ძვ. წ. IV საუკუნის სამეცნიერო თუ მხატვრული აზროვნების ბევრ სფეროს ეტყობა პიროვნულის პრიორიტეტი. ისტორიკოსები საკუთარი პოლისის წინააღმდეგ მებრძოლ მოქალაქეს არ აღიქვამენ მოღალატედ, მოქანდაკეები და მხატვრები იდეალურ, განყენებულ სილამაზეს წამიერი მოძრაობის გრაციასა და პორტრეტს ამჯობინებენ, კომედია არისტოფანეს პოლიტიკური

სატირის ნაცვლად, ყოფითი სიტუაციებით აცინებს მაყურებელს და ეს ტენდენცია უკვე ელინისტურ ხანაში მენანდრეს შემოქმედებაში პოვებს კულმინაციას. ეს ყოველივე მიუთითებს კულტურის განვითარების ახალ მიმართულებაზე, რომელიც გარკვეულ წინააღმდეგობაშია პოლისთან.

ბერძნების შინაური კონფლიქტებით გარეშე ძალები სარგებლობდნენ. სპარსელებმა, რაც ასი წლით ადრე იარაღის ძალით ვერ მოიპოვეს, ახლა, ნაწილობრივ მაინც, დიპლომატიისა და ოქროს მეშვეობით მიიღეს – ბერძნულ საქმეებში აქტიურად ჩარევის საშუალება.

პოლისების დამოუკიდებლობისათვის სპარსეთზე უფრო საშიში აღმავლობის გზაზე მდგომი ჩრდილოელი მეზობელი, მაკედონია იყო. ბერძენთა მონათესავე და მათი კულტურული გავლენის ქვეშ მყოფი მაკედონია ფილიპე II-ის (ძვ. წ. 359-336 წწ.) მიერ გატარებული რეფორმების წყალობით ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა.

ბერძნები ხედავდნენ გაერთიანების აუცილებლობას, მაგრამ პოლისურ მოწყობას ვერ ელეოდნენ. გამაერთიანებელ იდეას სპარსეთზე ლაშქრობა, მისი ქსერქსეს ცოდვების გამო დასჯა წარმოადგენდა. გამარჯვების იმედს შორეული თუ ახლო წარსულის მაგალითები იძლეოდა – ტროას ომი, ბერძენ-სპარსელთა ომი, ქსენოფონტის „ანაბასისში“ აღწერილი 10000 მოქირაჟნის თავგადასავალი.

სანამ ბერძნები ბჭობდნენ, მოქნილი პოლიტიკოსი და ნიჭიერი სარდალი ფილიპე ნაბიჯ-ნაბიჯ ჟრცელებდა თავის ხელისუფლებას საბერძნეთზე. თვით პოლისებში ფილიპეს მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანი იყო. ერთნი იმედოვნებდნენ, რომ ფილიპე საბერძნეთს გააერთიანებს და სპარსეთის წინააღმდეგ პანელინურ ლაშქრობას მოაწყობს. საპირისპირო ბანაკისათვის, რომელსაც ათენელი ორატორი დემოსთენე ედგა სათავეში, მაკედონელთა შეჩერება იყო პირველი რიგის ამოცანა. ორატორისა და მეფის ორთაბრძოლა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ დამთავრდა – ფილიპემ ქერონეასთან გამარჯვების შემდეგ (ძვ. წ. 338 წ.) საბერძნეთი დაიმორჩილა. პოლისებს შეუნარჩუნდათ გარკვეული თვითმმართველობა. დაიწყო სამზადისი აზიაში სალაშქროდ. ამ ჩანაფიქრის განხორციელება ფილიპეს აღარ ეწერა. მისი მკვლელობის შემდეგ ტახტი მის ვაჟს, ალექსანდრეს ერგო. ძვ. წ. 335-323

ნლებში ალექსანდრეს ბრწყინვალე გამარჯვებების შედეგად მაკედონიელები დაეუფლნენ მთელ სპარსეთის იმპერიას და ინდოეთამდეც მიაღწიეს. დაპყრობები მხოლოდ ალექსანდრეს სიკვდილმა შეაჩერა. ახალ მსოფლიო იმპერიას მისმა შემქმნელმა საფუძვლად დაუდო სამი ერთიანობის პრინციპი: პოლიტიკური, კულტურული და ენობრივი. იმპერიის პოლიტიკური ერთიანობა ალექსანდრეს სიკვდილისთანავე დაირღვა. მისი სარდლები დიდხანს ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას და საბოლოოდ სამფლობელოების დანაწილებას დასჯერდნენ. დანარჩენი ორი ერთიანობა – ბერძნული და აღმოსავლური კულტურების სინთეზი და ბერძნული ენის ხელოვნურად შექმნილი ზედიალექტი ე.წ. კოინე – უფრო დღეგრძელი და პროდუქტიული აღმოჩნდა. მათ ემყარება ახალი, ელინისტური ცივილიზაცია.

ელინისტური კულტურა

ელინიზმი, როგორც მსოფლიო კულტურის საგანგებო ხანა, მოიცავს პერიოდს ალექსანდრე მაკედონელის დროიდან რომაელთა მიერ ეგვიპტის დაპყრობამდე (324-30 წწ.).

ალექსანდრე მაკედონელმა შექმნა მაკედონიური იმპერია, რომელიც ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან დაწყებული ვრცელდებოდა აღმოსავლეთით, ვიდრე ირანამდე და ინდოეთამდე.

ელინიზმს წინ უძღოდა ბერძნულ-მაკედონიური და ადგილობრივი ელემენტების ურთიერთმოქმედების რთული და მრავალსაუკუნოვანი პროცესი ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ დარგში. ამ პროცესმა განსაკუთრებით ფართო და მნიშვნელოვანი ხასიათი მიიღო ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობათა შემდეგ.

თუ პოლიტიკური და ეკონომიკური ერთიანობა, რასაც ალექსანდრე და მისი მემკვიდრენი ესწრაფოდნენ, მტკიცე და ღრმა ვერ გამოდგა, სამაგიეროდ ელინიზმის ნიადაგზე შობილი კულტურა ელენისტური სამყაროს ფარგლებსაც კი გასცდა.

მაკედონიის ექსპანსიას აღმოსავლეთით და სამხრეთით შედეგად ის მოჰყვა, რომ ელინური კულტურის რკალში შემოვიდა მცირე აზიის, სირიის, პალესტინის, ეგვიპტისა და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნები. ეს უკანასკნელნი, თავადაც ძირძველი კულტურის მქონენი, ეზიარნენ ელინურ კულტურას და ბერძნებთან ერთად მონაწილეობას იღებენ კულტურის შემდგომ განვითარებაში. ყალიბდება ახალი კულტურა, ახალი საზოგადოებრივი ყოფა, ახალი ეკონომიკური ცხოვრება, როგორც შედეგი ელინურობისა და აღმოსავლურობის შერევისა. ამ ახალი კულტურის სამყაროს ეწოდება ელინისტური.

ელინისტურ ხანაში ბერძნულმა კულტურამ აღმოსავლეთით გასულმა და აღმოსავლურ კულტურასთან შერეულმა, შეიცვალა თავისი განვითარების გზები: გაჩნდა ეკონომიკური ცხოვრებისა და

კულტურის ახალი ცენტრები. თვით დედა საბერძნეთმა დაკარგა თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა, მისი ადგილი დაიკავეს ეგვიპტემ, მცირე აზიამ, სირიამ და პალესტინამ. ათენის ადგილი დაიჭირეს ალექსანდრიამ – ეგვიპტეში, პერგამონმა – მცირე აზიაში, სელევკიამ და ანტიოქიამ – სირიაში, სირაკუზმა – სიცილიაში და სხვა ქალაქებმა.

ბერძნული თამაშობანი და დღესასწაულები, ბერძნული გიმნასიები, სკოლები, თეატრი ფართოდ ვრცელდება აღმოსავლეთის ქვეყნებში და ხდება არა მარტო აღმოსავლეთის ელინიზაციის, არამედ დასავლეთის ორიენტალიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი.

აღმოსავლეთისათვის ელინიზმი იყო წინსვლა, ეკონომიკური და კულტურული აყვავების ხანა. ბერძნებმა თან მოიტანეს თავიანთი საწარმოო ჩვეულები, ანტიკური მონობის ფორმები, სახელმწიფო და სამართლებრივი ნორმები, ადათები, განვითარებული ფულადსასაქონლო ურთიერთობები, რელიგია და კულტურა. მეორე მხრივ, დასავლეთმა აღმოსავლეთისაგან მიიღო მიწაზე ხელმწიფის უზენაესი საკუთრება. სოფლის დამოკიდებული მოსახლეობის ექსპლუატაცია, სახელმწიფო წყობილების მონარქიული ფორმა, საგადასახადო სისტემა და სხვ.

თითქმის ყველა ელინისტური სახელმწიფოს მმართველი აარსებდა პოლისებს, ანდა პოლისების სტატუსს ანიჭებდა ძველ საქალაქო ცენტრებს. ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის მიერ დაარსებული მრავალი ქალაქი დიდ საავჭრო, სამეურნეო და კულტურულ ცენტრად იქცა. ბერძნულ პროდუქციაზე მოთხოვნილების ზრდა, რაც აზიური ბაზრისათვის ესოდენ დამახასიათებელი გახდა, იწვევდა მყარი, ელინისტური სტანდარტების გავრცელებას მთელ ელინისტურ სამყაროში. მართალია, ტექნიკური პროგრესი ელინისტური სამყაროს განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად იქცა, მაგრამ მის ინტენსიურ განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებდა მონათმფლობელური წყობილების სტრუქტურა, მონური შრომა. მთლიანად ელინიზმი, მაინც სამეურნეო აღმავლობის ეპოქად უნდა მივიჩნიოთ.

ელინისტურ ხანაში ძველი პოლისის მოქალაქის ნაცვლად, ასპარეზზე ახალი ადამიანი — სამყაროს მოქალაქე გამოჩნდა, რომლის აზროვნებას მარტოოდენ საკუთარი ქალაქის ან, თუნდაც,

ხალხის ინტერესები აღარ განსაზღვრავდა. ყურადღების ცენტრში მოექცა ადამიანი თავისი ყოველდღიური ცხოვრებითა და მარადიული პრობლემებით, მიუხედავად ეთნიკური წარმომაელობისა და პოლიტიკური შეხედულებისა. ეს ე. წ. ელინისტური ჰუმანიზმი გამოხატულებას პოულობს სულიერი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. წარსულის მემკვიდრეობის შეგროვება, შესწავლა და დაცვა, ჭიდილი ტრადიციულსა და ახალს შორის, ბერძნულის და აღმოსავლურის ურთიერთშერწყმა ელინისტური კულტურის არსებით ნიშანს წარმოადგენს.

ელინიზმის ხანა, როგორც აღვნიშნეთ, ძველი ბერძნული და აღმოსავლური სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა და კულტურების ურთიერთმოქმედებისა და თანაარსებობის პერიოდია. მაგალითად, ელინისტური მათემატიკა წმინდა ბერძნულია, ხოლო ამ მეცნიერების ყველაზე ახლობელი დარგი ასტრონომია, ბერძნულ-ბაბილონურია.

ეს არის სინთეზი ბერძნული და აღმოსავლური კულტურების. ამ სინთეზის წყალობით წარმოიქმნა ერთიანი კულტურული ენა, რომელიც საფუძვლად უდევს მთელი ევროპული კულტურის ისტორიას.

თუ ადრე ლიტერატურული ნაწარმოებები იწერებოდა სხვადასხვა დიალექტზე: ეოლიურზე, იონიურზე და დორიულზე, ელინისტურ პერიოდში ატიკური დიალექტის საფუძველზე მუშავდება საერთო-ბერძნული სამწერლობო ენა, ე.წ. კოინე. მან ისეთი ძალა მოიპოვა ელინისტური კულტურის რკალში შესულ ხალხებს შორის, რომ ზოგჯერ ოფიციალურ დოკუმენტებში მხოლოდ ბერძნულით სარგებლობენ. ამ ენაზე არის დაწერილი ელინისტური პერიოდის ლიტერატურული ძეგლები. იგი იქცა საზოგადოების, განათლებული ფენების ენად არა მარტო საბერძნეთში, არამედ აღმოსავლეთის ქვეყნებშიც, ამასთან, არა მხოლოდ ელინიზმის ეპოქაში, არამედ რომის იმპერიის დროსაც, როცა საერთო-ბერძნული ენა დასავლეთშიც იკიდებს ფეხს. ამ ენაზეა თარგმნილი ბიბლია და მთელი ადრექრისტიანული ლიტერატურა, რომის იმპერიის ხალხებისათვის რომ იყო განკუთვნილი. ლიტერატურის მეშვეობით კი ბევრი ტერმინი და სახე დამკვიდრდა ყველა ევროპულ ენაში. საერთო ენა იყო „ყოფა-ცხოვრებისა და ზნეობრიობის შერევის“ ერთ-ერთი ფრიად ქმედითი საშუალება.

ელინისტურ ხანაში განსაკუთრებით თვალსაჩინო პროგრესს მიაღწია მეცნიერებამ და ტექნიკამ. არისტოტელეს შემდეგ მეცნიერება სხვადასხვა დარგად გაიყო. საკუთრივ ფილოსოფია შემოიფარგლა იმ საზღვრებით, რომლებიც მას დღესაც აქვს, ხოლო სხვა დარგები (მათემატიკა, ასტრონომია, მედიცინა და ა. შ.) სამოყალიბდა დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინებად.

ალექსანდრიის მუსეიონი (ბერძნ. — „მუზების ტაძარი, მუზების სამყოფელი") ელინისტური სამყაროს ერთ-ერთი მთავარი სამეცნიერო და კულტურული ცენტრი იყო, რომელიც დაარსდა ბათენელი ფილოსოფოს-პათეტიკოსის დემეტრიოს ფალერონელის თაოსნობით. ალექსანდრიის მუსეიონს სათავეში ედგა მეფის მიერ დანიშნული უმაღლესი რანგის ქურუმი. აქ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია მათემატიკამ, ასტრონომიამ, ბუნებისმეტყველებამ, გეოგრაფიამ, მედიცინამ, ფილოლოგიამ და გრამატიკამ. აქ მოღვაწეობდა ცნობილი ფილოსოფოსი და ფიზიკოსი სტრატონი (ძვ. წ. III ს.), რომელმაც პირველმა სცადა ფიზიკური მოვლენების ასახსნელად ექსპერიმენტის გამოყენება. მისი მოწაფე არისტარქე სამოსელი (ძვ. წ. 310-230 წწ.) მზის გარშემო დედამიწისა და პლანეტების მოძრაობის ჰიპოტეზის ავტორი, მიჩნეულია კოპერნიკის წინამორბედად. ალექსანდრიის მუსეიონში მათემატიკას ასწავლიდა უდიდესი მეცნიერი ევკლიდე (ძვ. წ. III ს.). რამდენიმე წელს აქ მუშაობდა არქიმედეც. ცნობილი მეცნიერების ჰერონისა და დიონისე ალექსანდრიელის სახელთან არის დაკავშირებული მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩენები და გამოგონებები გამოყენებით მექანიკასა და, საერთოდ, ტექნიკურ დარგში. ჰერონ ალექსანდრიელმა გამოიგონა წყლის გასაყიდი ავტომატები, ორთქლის ძრავა, ანუ ე. წ. „ჰერონის ორთქლის ბურთი".

ტექნიკისა და საინჟინრო აზრის მიღწევა იყო ფაროსის 130-მეტრიანი მარმარილოს შუქურა, რომელიც ხომალდებს გზას უჩვენებდა ალექსანდრიისაკენ. ამ მუსეიონში მოღვაწეობდა ელინისტური სამყაროს გამოჩენილი გეოგრაფი, ასტრონომი, მათემატიკოსი და ფილოლოგი ერატოსთენე კირენელი (ძვ. წ. 275-208 წწ.), რომელმაც შექმნა ფიზიკა-მათემატიკური გეოგრაფიის საფუძვლები, შეიმუშავა მარტივ რიცხვთა მოძებნის მეთოდი (ე. წ. ერატოსთენეს საცერი), დაადგინა საბერძნეთის ისტორიის ძირითადი თარიღები. მის კალამს ეკუთვნის ნაშრომები „ძველი კომედიის

შესახებ“ (12 წიგნად), „ქრონოგრაფიათა შესახებ“ (9 წიგნად), „გეოგრაფია“ (3 წიგნად).

გეოგრაფიის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი შორეული ზღვაოსნობისა და მოგზაურობის პრაქტიკამ. მამაცმა ზღვაოსანმა პითუამ, რომელმაც ევროპასა და ბრიტანეთის კუნძულებს შემოუარა, პირველმა ახსნა სწორად მოქცევისა და უკუქცევის მოვლენა ატლანტის ოკეანეში, აღწერა ჩრდილოეთის ნათება და სხვ. აქ თვალსაჩინო განვითარებას მიაღწია მედიცინამ, აღმოსავლეთში (ბაბილონსა და ეგვიპტეში) საუკუნეთა მანძილზე დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება ნაყოფიერად დაუკავშირდა ბერძნულ სამედიცინო თეორიას და პრაქტიკას.

ალექსანდრიის მუსეიონის სკოლის დამაარსებლად ითვლება აღწერილობითი ანატომიის შემქმნელი და შესანიშნავი ექიმ-პრაქტიკოსი პეროფილე. მასვე ეკუთვნის ჭეშმარიტი ანატომიის შექმნა, მამოძრავებელი და მგრძნობიარე ნერვების არსებობის აღმოჩენა. მისი მოძღვრება შემდგომ განავითარა ერასისტრატემ (ძვ. წ. III ს.). მან აღწერა გულისა და ვენური სარქველები, ტვინის ხვეულები, ნერვების განშტოებები. მას მიაწერენ ტერმინ „არტერიის“ შემოღებას და კათეტერის გამოგონებას. აღსანიშნავია, რომ ეგვიპტის მეფეებმა ძვ. წ. III საუკუნეში ექიმებს სიკვდილით დასჯილთა გვამების ანატომირების ნება დართეს, ამ მეცნიერების პარალელურად განვითარდა სრულიად ახალი დარგი — ფილოსოფია. ალექსანდრიის მუსეიონის უდიდესი საგანძური იყო ბიბლიოთეკა. ამ ბიბლიოთეკაში 700 ათასი გრაგნილი ინახებოდა, მათ შორის იყო ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდესა და სხვათა ხელნაწერები. სხვადასხვა დროს ალექსანდრიის ბიბლიოთეკას სათავეში ედგნენ და მის სამეცნიერო-ლიტერატურულ საქმიანობას ხელმძღვანელობდნენ: ზენოდოტე, კალიმაქე, ერატოსთენე, აპოლონიოს როდოსელი, არისტოფანე ბიზანტიონელი, არისტარქე სამოთრაკიელი და სხვ. ამ ბიბლიოთეკაში ინახებოდა იმ დროის მეცნიერებისა და ლიტერატურის ძეგლები როგორც ბერძნულ, ისე აღმოსავლურ ენებზე. აქ იყო გაშლილი ინტენსიური ფილოლოგიური საქმიანობა — ბერძნული მხატვრული ლიტერატურის სისტემატიზაცია, ტექსტების დადგენა და კომენტირება, გრამატიკული ანალიზი.

ფილოლოგიას საფუძველი ჩაეყარა ჰომეროსის პოემების შესწავლის პროცესში, რადგანაც პოემათა ტექსტებს საუკუნეთა

მანძილზე დიდი ცვლილებები განეცადა და ტექსტის სხვადასხვა ვერსია იყო გავრცელებული, მკვლევრებმა ხელი მიჰყვეს ტექსტის გაწმენდას, ზედმეტი და ჩანართი ადგილების ამოგდებას და გამოტოვებული ადგილების აღდგენას. ამისათვის აუცილებელი იყო ჰომეროსის პოემების ტექსტის შესწავლა, ენობრივი თვისებების გამორკვევა და ლექსთწყობის თავისებურებათა დადგენა. ჰომეროსის შესწავლამ მიიყვანა ალექსანდრიისა და პერგამონის მკვლევარი-ფილოლოგოსები დანარჩენ ბერძენ მწერალთა შესწავლამდე.

ელინისტური პერიოდის ფილოლოგოსთა შორის ცნობილნი არიან: ზენოდოტე, კალიმაქე, დიონისიოს თრაკიელი და მრავალი სხვა, რომელთაც შექმნეს და განავითარეს შემდეგი ფილოლოგიური დისციპლინები: ტექსტუალური კრიტიკა, ჰერმენევტიკა, ლექსიკოგრაფია, გრამატიკა და რიტორიკა, ალექსანდრიელი მეცნიერები თავიანთი ფილოლოგიური მუშაობის ერთ-ერთ საფუძვლად თვლიდნენ ენობრივი მოვლენების გათვალისწინებას და ერთმა მათგანმა, არისტარქე სამოთრაკიელმა, კიდევაც ჩამოაყალიბა ის მოძღვრება მეტყველების ნაწილებზე, რომელიც შემდეგ მცირეოდენი ცვლილებებით შევიდა „ბერძნული ენის გრამატიკაში". მაგრამ პირველი ბერძნული გრამატიკა ეკუთვნის არისტარქეს მოწაფეს დიონისიოს თრაკიელს (170-90 წწ.), ელინისტური პერიოდის სახელგანთქმულ რიტორსა და გრამატიკოსს.

დიონისიოსის „გრამატიკა" საფუძვლად დაედო არა მარტო ბერძნული და ლათინური ენის „გრამატიკებს", არამედ იგი გამოიყენეს აღმოსავლეთის ხალხთა სკოლებშიც. ამ გრამატიკით ასწავლიდნენ ბერძნულ ენას ბიზანტიურ სკოლებში XIII საუკუნემდე და აღმოსავლეთის ერებმაც ჯერ გადათარგმნეს დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკა" და შემდეგ გამოიყენეს ის თავიანთი ენებისათვის. საქართველოს სკოლებშიც, ჩანს, იცნობდნენ დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკას".

ერთი მხრივ, წარსულისადმი მეცნიერულმა ინტერესმა და, მეორე მხრივ, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა ფართო ხასიათმა (ალექსანდრეს ხომ ლაშქრობის დროს თან დაჰყავდა ბერძენი მწერლები) ხელსაყრელი პირობები შექმნა საისტორიო პროზის განვითარებისათვის. ელინისტური პერიოდის ისტორიკოსთა — არისტობულეს, პოლიბიოსის, დიოდორე სიცილიელის, სტრაბონის თხზულებებზე აღიზარდა მთელი პლეადა ისტორიკოსებისა, რო-

გორც თვით ელინისტურ სამყაროში, ისე მის მეზობელ ქვეყნებში აღმოსავლეთსა და დასავლეთში...

ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობები, გამოჩენილი სარდლის ზღაპრული წარმატებები და მისი გარდაცვალების შემდეგ ატეხილი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები დიადოხოსებს შორის დიდ ინტერესს იწვევდა ისტორიკოსებში.

ერთი პირველთაგანი, რომელმაც ალ. მაკედონელის ლაშქრობანი აღწერა და შეაქო, იყო კალისთენე ოლინთიელი (370-327 წწ.) არისტოტელეს დისშვილი და მისივე მოწაფე. კალისთენეს დაუწერია „საბერძნეთის ისტორია", რომელიც შეიცავდა 387-353 წლების ამბებს და „ალექსანდრეს ისტორია", რომელშიც დიდი ხოტბით და საკვირველებათა ჩართვით იყო აღწერილი ალექსანდრეს ლაშ-ქრობები.

ალექსანდრე მაკედონელის ყველაზე პოპულარული ისტორიკოსია არისტობულე (375-285 წწ.). იგი მონაწილეობდა ალექსანდრეს მიერ წარმოებულ ლაშქრობაში. მან დაწერა ალექსანდრეს „ისტორია". ამ ნაშრომის დაწერის დროს არისტობულე სარგებლობდა ალექსანდრეს შესახებ არსებული მდიდარი ლიტერატურით (კლიტარქე, კალისთენე, ნეარქოსი, ონისიკრიტე, პტოლემაიოსი) და კრიტიკულად ეპყრობოდა მათ. არისტობულეს „ისტორიაში" განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა გეოგრაფიულსა და ეთნოგრაფიულ მასალას.

ძვ. წ. II საუკუნიდან ისტორიკოსები მიზნად ისახავდნენ ისეთი ისტორიული და გეოგრაფიული ნაშრომების შექმნას, რომლებშიც აღწერილი იქნებოდა მსოფლიო ისტორია. ისტორიკოსები და გეოგრაფოსები პოლიბიოსი, დიოდორე სიცილიელი, სტრაბონი და სხვები ამ მიზანს ემსახურებოდნენ.

პოლიბიოსის მთავარი ნაშრომია „ისტორია" 40 წიგნად. ეს არის „მსოფლიო ისტორია". მისი მნიშვნელობა როგორც ისტორიკოსისა, უაღრესად დიდია. თუ წინა პერიოდებში ისტორიკოსები წერდნენ ამა თუ იმ ისტორიული ეპოქის კერძოობით ისტორიას (პეროდოტემ, მაგალითად, თავის „ისტორიაში" ბერძენ-სპარსელთა ომი აგვიწერა, თუკიდიდემ — პელოპონესის ომის ისტორია), პოლიბიოსი არის პირველი, რომელმაც შექმნა „მსოფლიო ისტორია".

სტრაბონის (ძვ. წ. 64 – ახ. წ. 20 წწ.) თხზულება „გეოგრაფია" შედგება 17 წიგნისაგან: I-II წიგნებში სტრაბონი ეხება ფიზიკური

გეოგრაფიის ზოგად საკითხებს, III-X წიგნებში აღწერილია ევროპის ქვეყნები, XI-XVI წიგნები მიძღვნილია აზიის ქვეყნებისადმი, XVII წიგნი შეიცავს აფრიკის გეოგრაფიას.

სტრაბონის „გეოგრაფია" სცილდება ჩვეულებრივი გეოგრაფიული შრომების ფარგლებს. მასში უხვად არის ისტორიული ექსკურსები. იგი ამა თუ იმ ქვეყნის აღწერისას დაწვრილებით მიმოიხილავს ამ ქვეყნის ისტორიას, ფილოსოფიას, მეცნიერებას, რიტორიკასა და პოეზიას.

ზემოთ განხილულ ისტორიკოსთა და გეოგრაფოსთა გარდა, ელინისტურ პერიოდში იყვნენ კიდევ სხვებიც, რომლებიც ეპოქის შესაბამისად წერდნენ „მსოფლიო ისტორიებს". უმეტესი მათგანი ჩვენამდე მოღწეული არაა, ხოლო ზოგიერთის ნაშრომები გათვალისწინებული აქვთ მერმინდელ ისტორიკოსებს.

ელინისტური სამეფოების წვრილ-საქალაქო ცხოვრებამ თავისი მოთხოვნები წაუყენა პოეზიას. ამ ეპოქის ცხოვრების თავისებური ხასიათი იწვევს პოეზიის მცირე ჟანრების გაბატონებას, ნაცვლად ელინური პერიოდის მონუმენტური ჟანრებისა: ეპოსის გვერდით ვითარდება ეპილიონი, ტრაგედიისა და კომედიის გვერდით – მიმები (მიმიამბები და იდილიები – ჰერონდა, თეოკრიტე). ძველ ჟანრთაგან ლირიკა როგორც თავისთავად მცირე ჟანრი და ელინისტური საზოგადოების გემოვნებისათვის დამახასიათებელი ეროტიკული მოტივის შემცველი, უპირატესად, თვითონაც ვითარდება აღმავალი გზით და პოეზიის სხვა დარგებსაც იქცევს თავისი გავლენის ორბიტაში. ძველი ეპოსიდან წარმოშობილ ეპილიონში და ძველი დრამიდან მიღებულ მცირე სცენებში (მიმომბებსა და იდილიებში) იმდენად სჭარბობს ლირიზმი, რომ ზოგჯერ ძნელია საზღვარი დაუდო, თუ სად თავდება ეპილიონი ან იდილია და სად იწყება ლირიკული ნაწარმოები.

ქვემოთ ელინისტური მწერლობა განხილულია მისი ძირითადი ჟანრების მიხედვით. პოეზია მოიცავს ეპოსს, ლირიკასა და დრამას, ხოლო პროზა ფილოსოფიური, ისტორიული, რიტორიკული და ბელეტრისტული ნაწარმოებების სახით წარმოგვიდგება.

ელინისტური გაგებით, ეპოსი ისეთი ეპიკური ნაწარმოებია, რომელშიც ასახულია გმირის თავგადასავალი მთლიანად (მაგალითად, „ოდისეა"), ხოლო ეპილიონი ასახავს გმირის თავგადასავლის რომელიმე ეპიზოდს (მაგალითად, კალიმაქეს „ჰერაკლე").

ბრძოლა ამ ორ ლიტერატურულ მიმდინარეობას შორის მეტად მწვავე იყო. მათი წარმომადგენლები, დაჯგუფებულნი ლიტერატურულ წრეებში, გაშმაგებით ებრძოდნენ ერთიმეორეს. ეპოსის დარგში ამგვარ ბრძოლას მეთაურობდნენ III საუკუნეში კალიმაქე და აპოლონიოსი, ალექსანდრიის ბიბლიოთეკის გამოჩენილი მოღვაწენი. კალიმაქე „ახალი ეპოსის" — ეპილიონოს მიმართულებას მეთაურობდა, ხოლო აპოლონიოსი –„ ძ ვ ე ლ ი ეპოსისას".

აპოლონიოს როდოსელის (295-215 წწ.) მხატვრულ ნაწარმოებთაგან ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ „არგონავტიკა". პოემა აგებულია მითზე ოქროს ვერძის შესახებ და შედგება ოთხი სიმღერისაგან. მთავარი ღირსება ამ პოემისა არის ის, რომ ავტორმა პირველად ბერძნულ ლიტერატურაში ეპიკური სიუჟეტის განვითარება დაუმორჩილა სიყვარულის გრძნობას. არც „ილიადაში", არც „ოდისეაში" ტრფობა არ ასრულებდა წამყვან როლს: საგმირო საქმეების ბედს წყვეტდა გმირის სილამაზე, თავდადება და უმწიკვლოება. „არგონავტიკაში" კი საგმირო დავალების შესრულება მთლიანად დამოკიდებულია ტრფობაზე. იასონმა წარმატებით შეასრულა დავალება და ოქროს საწმისი მოიპოვა, არა თავისი მხნეობით და გმირული სივაჟკაცით, არამედ მედეას სიყვარულის წყალობით. ამ ძირითად მოტივს – ტრფობის მოტივს უმორჩილებს პოეტი თავისი პოემის ყველა ეპიზოდს.

ახალ ლიტერატურულ მიმართულებას, რომელიც ერთგვარად უპირისპირდებოდა აპოლონიოს როდოსელის ძველ ეპიკურ მიმდინარეობას, მეთაურობდა კალიმაქე კვირინელი (315-240 წწ.), რომელიც ფართო სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში. სადაც მას მეორე ბიბლიოთეკარის თანამდებობა ეჭირა, კალიმაქე ფართო სამეცნიერო მუშაობას აწარმოებდა. განსაკუთრებით ცნობილია მისი „პინაკეს" (ფირფიტები), რომელიც 120 წიგნისაგან შედგებოდა და წარმოადგენდა ალექსანდრიის ბიბლიოთეკის წიგნთა მეცნიერულ კატალოგს. ამ წიგნში წარმოდგენილი ისტორიულ-ლიტერატურული და ფილოლოგიური ცნობები მეტად მნიშვნელოვანია და მათ დღესაც ფართოდ იყენებენ ბერძნული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარნი. მისი ლიტერატურული შემოქმედებიდან ჩვენამდე მოღწეულია: ექვსი ჰიმნი, ეპიგრამები, „მიზეზების" ფრაგმენტები, „ჰერაკლეს" ფრაგმენტები,

�амбების ნაწყვეტები. კალიმაქეს უპირატესობა ელინისტური პოეზიის სხვა წარმომადგენლებთან შედარებით ის არის, რომ მან, საუხედავად მწიგნობრობისა, შეძლო თავისი მხატვრული ხერხების ხამარებით, თავისი დახვეწილი ლექსით, ამ ლექსში ჩაქსოვილი ცრძნობებით და მხატერული გემოვნების შემწეობით ეჩვენებინა პოეზიის მშვენიერი მხარე. მომდევნო საუკუნეებში მრავალი პოეტი ეცდილობდა მიებაძა მისთვის.

რამდენადაც ელინისტური პერიოდის ადამიანს მცირე ჟანრები აკმაყოფილებდა, ამდენად ელინისტურ ხანაში ყველაზე მეტად განვითარდა ლირიკა. ლირიკის მასაზრდოებელი, სხვა მოტივთა შორის, ყოველთვის იყო სატრფიალო მოტივი. ეს მოტივი განსაკუთრებით იკიდებს ფეხს ელინისტურ პოეზიაში. ტრფობის მოტივის გაბატონებას პოეზიაში უნდა მიეწეროს ისიც, რომ ელინისტურმა მწერლობამ მისცა მსოფლიო ლიტერატურას სრულიად ახალი, მანამდე უცნობი ჟანრი — რომანი.

ელინისტური რომანის წინამორბედად უნდა ჩაითვალოს სატრფიალო ნოველა, რომელიც ელინისტურ პერიოდში გადაიქცა დამოუკიდებელ ლიტერატურულ ჟანრად. ამგვარი სატრფიალო ნოველის განვითარებას, პირველ რიგში, ხელი შეუწყო ელინისტური პერიოდის პოეზიისათვის დამახასიათებელმა ეროტიკულმა მოტივმა.

ელინისტური ხანის რომანისტთაგან ჩვენთვის ცნობილი არიან ლონგე („დაფნისი და ქლოე"), ქსენოფონტ ეფესელი („ანთეა და აბროკომე"), აქილლევს ტატიოსი („ლევკიპე და კლატოფონტი"), ჰელიოდორე („ეთიოპკა"). სათავგადასავლო რომანთან ახლოს იდგა ისტორიული რომანი, რომელიც ისტორიული მასალის საფუძველზე მოგვითხრობდა გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. მაგალითად, ელინისტურ ეპოქაში არის დაწერილი რომანები ჰომეროსის, პითაგორასა და სხვათა ცხოვრებაზე. მაგრამ ამ ისტორიულ რომანებს შორის ყველაზე მეტად პოპულარული იყო საშუალო საუკუნეების განმავლობაში როგორც საბერძნეთსა და რომში, ისე აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებში ალექსანდრეს რომანი.

კლასიკური ეპოქის ტრადიციები გრძელდებოდა ელინისტურ პერიოდშიც, ოღონდ ფორმალურად. პლატონის აკადემია და არისტოტელეს ლიკეუმი (პერიპატოსი) განაგრძობდნენ არსებობას, მაგრამ. უმთავრესად თავიანთ დამაარსებელთა დიადი სახელებისა

და იმის მეოხებით, რომ ამ სკოლებს ჰქონდათ მატერიალური ბაზა: შენობები, ბიბლიოთეკები, ფულადი საშუალებები. ათენი კვლავ მიაჩნდათ ფილოსოფიური აზროვნების ცენტრად, რომის პერიოდშიც ფილოსოფოსს თავის მოვალეობად მიაჩნდა სწვეოდა ათენს და მოესმინა ათენელი ბრძენებისათვის, მაგრამ ფილოსოფიური შემოქმედება ათენში იშრიტებოდა. აქ უმთავრესად განმარტავდნენ კლასიკური ეპოქის დიდ ფილოსოფოსთა შემოქმედებას.

ელინისტური ეპოქის ადამიანის წარმოდგენამ ბედის ყოვლის-შემძლეობის შესახებ საფუძველი შექმნა ისეთი ფილოსოფიური სისტემების გავრცელებისათვის, რომლებიც მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდნენ ეთიკისა და ქცევის ნორმებს, ცხოვრების წარმართვის წესს. ელინისტურ პერიოდში გადამწყვეტი მნიშვნელობისა არ ყოფილა არც პლატონიზმი და არც არისტოტელიზმი. საზოგადოებრივ აზროვნებაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო მეტი გავლენის იყო ეპიკურეიზმი, კინიკოსთა და სტოელთა მოძღვრებები.

ეპიკურე (342-271 წწ.) იყო უდიდესი მატერიალისტი ელინისტური პერიოდისა. მან 305 წელს ათენში დააარსა სკოლა (ე. წ. „ეპიკურეს ბაღი"). ეპიკურეს აზრით, ბუნების მოვლენები აიხსნება ატომების — განუყოფელი მატერიალური ნაწილაკების შეერთებით, რომლებიც სიცარიელეში მოძრაობენ. მის ფილოსოფიას სამი ნაწილი შეადგენს: 1. ლოგიკა და შემეცნების თეორია, 2. ფიზიკა და 3. ეთიკა.

ეპიკურეიზმი ადამიანს ბედნიერების მისაღწევად საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ცხოვრებიდან ჩამოშორებასა და „შეუმჩნეველად ცხოვრებაში" ჭეშმარიტი სიამოვნების მიღებას ურჩევდა.

არისტოტელეს შემდეგდროინდელ ფილოსოფიურ მიმდინარეობათა შორის ყველაზე უფრო გავლენიანი იყო სტოელთა მიმდინარეობა. მათი ფილოსოფია უშუალოდ უკავშირდება სოკრატეს მოწაფის, კინიკოსთა მამამთავრის ანტისთენე ათენელის (440-364 წწ.) მოძღვრებას. კინიკოსთა მოძღვრება შეიქმნა სოკრატეს ეთიკურ შეხედულებათა გავლენით. კინიკოსთა ფილოსოფიაში აფასებდნენ მის პრაქტიკულ და არა თეორიულ ღირებულებას. ანტისთენე სცნობდა მხოლოდ ცალკეული საგნების რეალურ არსებობას, მათი გვარი და სახე რეალურად არსებული კი არაა, არამედ ჩვენი გონების წარმონაქმნია.

სტოიკოსების ფილოსოფიური სკოლა ძველი წ. III საუკუნეში დააარსა ზენონ კიტიონელმა (336-264 წწ.). სტოა ათენის პორტიკის სახელია, სადაც სკოლა იყო მოთავსებული. ამის მიხედვით ელინისტური ფილოსოფიის ერთ-ერთ მიმდინარეობას სტოიციზმი ეწოდა. სტოიციზმმა განვლო განვითარების სამი პერიოდი: ძველი, შუა და ახალი. პირველი პერიოდის სტოიციზმი (ძვ. წ. III-II სს.) საკუთრივ ბერძნულ ნიადაგზე განვითარდა. მისი მთავარი წარმომადგენლები არიან ზენონ კიტიონელი, კლეანთე, ქრისიპე. მათ ფილოსოფია სამ დარგად დაპყეს: ლოგიკად, ფიზიკად და ეთიკად. ამ უკანასკნელს დაუმორჩილეს ფიზიკა და ლოგიკა.

ბუნების ახსნის ოთხ მატერიალურ საწყისთან ერთად სტოიციზმმა აღიარა სულიერი საწყისი – აქტიური გონითი პრინციპი („ლოგოსი") და ამ გზით პანთეიზმად განვითარდა. ამასთან ერთად, გაიზიარა ტელელოგიზმისა და ფატალიზმის პრინციპები. ლოგიკაში, ერთი მხრივ, განვითარებულია ფორმალური ლოგიკის საფუძვლები, მეორე მხრივ, საფუძვლიანადაა დამუშავებული შემეცნების თეორიის არსებითი მომენტები, ასახვის ცნება („კატალეფსის"), ჭეშმარიტების რაობა, ცნებაში მნიშვნელობის (საზრისი –„ლექტონ") და გამოხატულებითი (სიმბოლო) მხარის ერთიანობა.

შუა პერიოდის სტოიციზმმა (ძვ. წ. II—III სს.) შეამზადა სტოიციზმის გვიანდელი ანუ ახალი სტოის პერიოდი, ე. წ. რომაული სტოიციზმი (ახ. წ. I-II სს.), რომლის მთავარი წარმომადგენლები არიან სენეკა, ეპიქტენე, მარკუს აურელიუს ანტონინუსი. სტოელთა კოსმოპოლიტიზმის მიხედვით, ადამიანთა სამშობლოა მსოფლიო: ყველა ადამიანი დაბადებით თანასწორია, შეუძლებელია სულის დამონება, ამიტომ მონაც თავისუფალია, ოღონდ ღმერთის წინაშე.

სტოელთა აზრით, მსოფლიო ერთიანი და ცოცხალი მატერიაა, ხოლო მსოფლიოს ყველა ძალას პირველწყაროდ აქვს შემოქმედი ცეცხლი, რომელიც იგივეა, რაც ღმერთი. ყველაფერი ვითარდება ცეცხლის საშუალებით: ცეცხლი და სითბო ანიჭებს საგნებს ცხოველმყოფელობას, წარმოქმნის და ამოძრავებს მათ.

სტოიციზმი ადამიანის უმაღლეს მიზანს აპათიის — მთელი ცხოვრების მიმართ უშფოთველი დამოკიდებულების გამომუშავების გზით სიკეთის მიღწევაში ხედავდა. ელინური და აღმოსავლური ტრადიციების ურთიერთშერწყმამ ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინება რელიგიაში პოვა.

ელინისტურ პერიოდს ახასიათებს რელიგიური ძიებანი. ახალ ღმერთებს უფრო მეტად უნდა მოეგოთ მორწმუნეთა გული, მიეცათ მათთვის შვება, შთაგონებინათ, რომ დედამიწაზე თუ არა, იმ ქვეყნად მაინც ექნებოდათ ხსნა. ამ ღმერთებს ეძებდნენ აღმოსავლურ კულტებში, სინკრეტულ ღმერთებში, თვით მეფეთა კულტშიც.

ელინური რელიგიის შეხვედრას აღმოსავლურთან მოჰყვა ცვლილებანი აღმოსავლეთის რელიგიებშიც, რომლებიც უფრო მყარი და კონსერვატიული აღმოჩდნენ, რადგან აღმოსავლეთში საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების შეცვლა ელინისტური მონარქიების შექმნის შედეგად საკმაოდ ღრმად არ შეხებია ხალხთა მასების ცხოვრების პირობებს. მაგრამ სინკრეტიზმის პროცესი აღმოსავლეთშიც მიმდინარეობდა. ისიდა, სერაპისი, კიბელა და სხვა აღმოსავლური ღმერთები თანდათანობით იძენენ მსოფლიო ღმერთების ფუნქციებს, ელინური კულტურის აღმოსავლურთან შერწყმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო იდეური მონოთეიზმის შექმნა.

მაგრამ ელინიზმს არ მოჰყოლია აღმოსავლურთან ელინურობის სრული შერწყმა, არ აღმოუფხვრია ტომთა და ხალხთა დაქსაქსულობა, განკერძოებულობა, ამიტომაც ერთიანი რელიგია ვერ შეიქმნებოდა. ძველი კვდებოდა, ახალი არ იყო მტკიცე და ღრმად ფესვგამდგარი. რელიგიური თვალსაზრისით, ელინისტური პერიოდი რელიგიისა და რელიგიური შეგნების ახალი ფორმების ძებნა-ძიების პერიოდია.

ელინისტური ხელოვნების მნიშვნელობა ძალიან დიდია, რადგან იგი საფუძვლად დაედო ძველი რომის, ბიზანტიისა და ახლო აღმოსავლეთის ხელოვნებას. ამ ეპოქის ხელოვნება გამოირჩეა კოსმოპოლიტური აზროვნებით. იგი უფრო ამქვეყნიური და რეალისტური გახდა. მან დაკარგა თავისი მაღალი იდეალური მისწრაფება. ერთი მხრივ, ის ასახავს თვალისმომჭრელ ფუფუნებას, ხოლო, მეორე მხრივ, შემაძრწუნებელი პირდაპირობით აშიშვლებს ადამიანურ ვნებათა უფსკრულს. ელინიზმმა პირველმა ასახა ხელოვნებაში ის, რაც ზოგადადამიანურია — თვითცნობიერება და საკუთარი უმწეობის შეგრძნება, ამქვეყნიური სიხარული და მწუხარება, სიმახინჯე და მშვენიერება.

თუ აქამდე არქიტექტურა მხოლოდ საკულტო მიზნებს ემსახურებოდა, ამიერიდან გაჩნდა სამეფო კარის ბრწყინვალე სა-

ერო ნაგებობები პერგამონში, ალექსანდრიაში, ანტიოქიასა და ათენში. ეს არის ვებერთელა სასახლეები, ბიბლიოთეკები, სკოლები და აკადემიები. სატახტო ქალაქები ახლებურად დაიგეგმა, მოედნები მკაცრად მოიხაზა. ელინისტური არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშია პერგამონის საკურთხეველი. ეს ვრცელი დარბაზული ნაგებობა დაახლოებით ძვ. წ. 170 წელს აშენდა.

ელინისტური ხანის საერო ნაგებობანი თავისი დანიშნულებითა და არქიტექტურით საკმაოდ მრავალფეროვანია. ერთ-ერთ წამყვანსა და საინტერესო ნაგებობას წარმოადგენს თეატრი ელინისტურ ხანაში. თეატრონის გეგმა საფუძვლად ედება ისეთ ფართოდ გავრცელებულ საერო ნაგებობას, როგორიც იყო ბელევთერიონი და ეკლესიასთერიონი, რომლებიც დახურული ტიპის შენობებს წარმოადგენდნენ. ამ შენობებთან ერთად, ელინისტურ ხანაში საკმაოდაა გავრცელებული, აგრეთვე, ფიზიკური ვარჯიშობებისათვის განკუთვნილი ნაგებობანი — გიმნაზიები, პალესტრები და სტადიონები.

საერო დანიშნულების საზოგადოებრივი შენობებიდან ელინისტური ეპოქისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია სვეტებით გარშემორტყმული გრძელი და ღია დერეფნები ე. წ. სტოა. ეს უკანასკნელი განკუთვნილი იყო საქალაქო დღესასწაულებისათვის.

ამ ეპოქისათვის დამახასიათებელ შენობათა რიგს მიეკუთვნება აგრეთვე ბიბლიოთეკები, რომელთაგან განსაკუთრებით ცნობილი იყო პერგამონისა და ალექსანდრიის ბიბლიოთეკები.

საკულტო ნაგებობებიდან აღსანიშნავია მონუმენტური საკურთხეველები, სადაც სამსხვერპლო გამართული იყო სკულპტურებით მორთულ მაღალ ცოკოლზე, გარშემორტყმული კოლონადებით. განსაკუთრებით სახელგანთქმულია პერგამონის საკურთხეველი.

ელინისტური ხმელთაშუაზღვისპირეთის ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან აღსანიშნავია კუნძულ სამოთრაკის კომპლექსი, რომელიც აგებულია ძვ. წ. III საუკუნეში. „დიდი ღმერთების" კულტის პატივსაცემად. მრავალრიცხოვან ნაგებობათაგან შედარებით უკეთაა შემორჩენილი, ე. წ. არსინეონი და კაბირების მისტერიალური ტაძარი, რომლებიც ნათელ წარმოდგენას

გვიქმნიან ელინისტური ხუროთმოძღვრების მრავალფეროვნებასა და თავისებურებაზე.

საინტერესოა და მეტად მნიშვნელოვანი ელინიზმის ხანის კონტინენტური საბერძნეთის არქიტექტურა. ამ დროს ათენში იქმნება რამდენიმე საკმაოდ თავისებური ძეგლი, რომელიც წარმოადგენს სრულიად ახალ სიტყვას ანტიკური ხუროთმოძღვრების ისტორიაში.

ათენის ელინისტური ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან, პირველ რიგში, აღსანიშნავია პერგამონის მეფეების ევმენოს II-ისა (ძვ. წ. 197-159 წწ.) და ატალოს II-ის (159-138 წწ.) მიერ აგებული სტოები. ევმენოს II-ის სტოა 163 მეტრი სიგრძისა და 16 მეტრი სიგანისაა.

ძვ. წ. I საუკუნის პირველ ნახევარში ათენის გორაზე იქმნება კიდევ ერთი მეტად საინტერესო ნაგებობა, ე. წ. „ქარებიანი კოშკი", რომელიც საათისათვის იყო განკუთვნილი. ესაა სამსაფეხურიან საძირკველზე აღმართული რვაწახნაგა კოშკი, რომლის სიმაღლე 21,1 მეტრია, ხოლო სიგანე 6,8 მ. მის გარე კედლის ზედა ნაწილზე მოთავსებული იყო მზის საათი (გრომონი), ხოლო შიდა ნაწილში – წყლის საათის მექანიზმი (კლეპსიდა).

ელინისტური ხანის ღირშესანიშნავ ძეგლს წარმოადგენს აგრეთვე ოლიმპეიონი – ოლიმპიელი ზევსის სახელზე აგებული ტაძარი. მისი მშენებლობა დაიწყო სელევკიდების მეფემ ანტიოქოს IV ეპიფანემ (ძვ. წ. 175-163 წწ.), მაგრამ ვერ დაამთავრა. მშენებლობა დასრულდა რომის იმპერატორის ადრიანეს (117-138 წწ.) დროს. ოლიმპეიონი ელინისტური ხანის ყველაზე უფრო გრანდიოზული ტაძარია. ესაა დიპტერის ტიპის ნაგებობა, რომლის სიგრძე 107,75 მეტრს უდრის, ხოლო სიგანე 41,1 მეტრს. ათენის ოლიმპეიონი იმითაა ღირსშესანიშნავი, რომ აქ ანტიკური ხუროთმოძღვრების ისტორიაში კორინთული ორდერი პირველად გვხვდება როგორც სრულიად დამოუკიდებელი მონუმენტური არქიტექტურული ტიპი.

ელინისტურ ხანაში საინტერესო არქიტექტურული ძეგლები იქმნება, აგრეთვე, დელფოში (ქარიქსენეს მონუმენტი), ოროპში (ამფიანეს ჰეროონი), ელევსინში (მცირე პროპილეუმი) და სხვ. ელინისტური ხანის ბერძნულ არქიტექტურაში ფართოდ იკაფავს გზას აღმოსავლური მოტივები. მაგალითად, დელოსის ე. წ. „ხარებიანი პორტიკის" გორელიეფი გამეორებაა ირანული არქი-

ტექტურისათვის დამახასიათებელი ანალოგიური მოტივების, ხოლო ელევსინის (დემეტრეს სახელზე აგებული სამლოცველო კომპლექსის) ერთ-ერთ ნაგებობაზე გამოსახულია ირანული გრიფონი. ეგვიპტური მოტივები გვხვდება პერგამონის ხუროთმოძღვრებაშიც (პალმისფოთლისებური კაპიტელი). ელინური და აღმოსავლური ხუროთმოძღვრების ურთიერთგავლენის საინტერესო ფაქტები შეინიშნება სირიის, პართიის, ეგვიპტის ძეგლებზე და სხვ.

ელინისტურმა ხუროთმოძღვრულმა მემკვიდრეობამ უდიდესი როლი შეასრულა მომდევნო ხანის რომაულ-ბიზანტიური არქიტექტურის განვითარებაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ რომაული ფორუმის, თერმების, თეატრალური მოედნების, ბიბლიოთეკების, პერისტოლური საცხოვრებელი სახლის და მთელი რიგი სხვა ნაგებობების დაგეგმარების პრინციპები ელინისტური ხუროთმოძღვრებიდან მომდინარეობს.

ელინისტური ხანის ქანდაკება არსებითად განსხვავდება წინამორბედი ხანის ბერძნული ქანდაკებისაგან როგორც მხატვრული სტილითა და პრინციპებით, ასევე თავისი თემატიკით. თუ კლასიკური ხანის ბერძნული სახვითი ხელოვნების ძირითად თემას ღმერთების, გმირებისა და, საერთოდ, მითოლოგიური სიუჟეტის ასახვა შეადგენდა, ელინისტური ქანდაკება უდიდეს ადგილს უთმობს ადამიანის და მისი ყოველდღიური ცხოვრებისა თუ განცდების გადმოცემას. ელინისტური ქანდაკების მხატვრული სახეები გასაოცრად მრავალფეროვანია: იდეალური სახე და ღრმა ფსიქოლოგიური ინდივიდუალური პორტრეტი, ინტიმური და ჟანრული სცენები, საზოგადოების ყველა ფენისა თუ წრის წარმომადგენლები (ვაჭარი და ხელოსანი, მწყემსი და მეთევზე, მოკრივე და ცირკის მსახიობი და სხვ.), სხვადასხვა ასაკის ადამიანები – ჩვილი ბავშვით დაწყებული ღრმა მოხუცამდე. ადამიანის ანატომიის ღრმა შესწავლამ ელინისტური ხანის მოქანდაკეებს საშუალება მისცა წარმოესახათ დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშნები, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული გუნება-განწყობა და ადამიანის ხასიათის მრავალფეროვნება, სულიერი და ფიზიკური განცდები.

ელინისტურ ხანაში ქანდაკების ხელოვნების ფართოდ განვითარებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ამ დროს ქანდაკება

მდიდრული არქიტექტურული ანსამბლის მორთულობის აუცილებელი ელემენტი ხდება. ქანდაკებები იდგმება არა მარტო ტაძრებსა და საზოგადოებრივ შენობებში, არამედ მეფეთა და მდიდარ მოქალაქეთა სასახლეებსა და სახლებში, ბაღებსა და პარკებში და ა. შ.

აღიარებულია, რომ ელინისტურ ხანაში რამდენიმე ძირითადი მხატვრული სკოლა-სტილი არსებობდა: ალექსანდრიის, პერგამონის, როდოსის. გარდა ამისა, იყო აგრეთვე დამოუკიდებელი მიმდინარეობანი. ელინისტური ქანდაკების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნადაა მიჩნეული უდიდესი ბერძენი მოქანდაკების — პრაქსიტელეს, სკოპასისა და ლისიპოსის ტრადიციების გაგრძელება. პრაქსიტელეს მიერ შექმნილი ქალის ნატიფი მხატვრული სახეები დაედო საფუძვლად ელინისტურ ხანაში გავრცელებულ აფროდიტეს, ნიმფებისა და მენადების, ეროტის მრავალრიცხოვან სკულპტურულ გამოსახულებას. ამ მხრივ საგანგებოდაა აღსანიშნავი ძვ. წ. III საუკუნის ბითინიელი მოქანდაკის დოიდალეოსის მიერ შექმნილი „მობანავე აფროდიტე", რომელიც ძალზე პოპულარული და სახელგანთქმული იყო მთელ ელინისტურ სამყაროში. ასევე საუკეთესო დადასტურებაა 1820 წელს კუნძულ მელოსზე ადგილობრივი გლეხის, იურგოსის მიერ აღმოჩენილი „მილოსელი ვენერას" სახელით ცნობილი აფროდიტეს ქანდაკება. როგორც ქანდაკების წარწერა გვამცნობს, ავტორია აგესანდრე ანუ ალექსანდრე. იგი ცხოვრობდა ძვ. წ. III საუკუნის დამლევს. პრაქსიტელეს გავლენას ხედავენ სახემშვენიერი ქალღმერთის მშვიდსა და გრაციოზულობით აღსავსე გამოსახულებაში. „ვენერა მილოსელი" ელინისტური ხანის ქანდაკების შესანიშნავი ნიმუშია. ლისიპოსის სტილის ტრადიციების ანარეკლს ხედავენ ძვ. წ. III საუკუნის ელინისტური პორტრეტული პლასტიკის ერთ-ერთ ბრინჯაოს ქანდაკებაში, რომელიც უცნობი მეფის მდგომარე ფიგურას გამოსახავს.

ელინისტური სახეითი ხელოვნება დიდ ადგილს უთმობს ბავშვის ქანდაკებებს. ამ მხრივ განსაკუთრებით სახელგანთქმული იყო ძვ. წ. II საუკუნის ქალკედონელი მოქანდაკე ბოეთოსი. ცნობილია მისი მარმარილოს ქანდაკება „ბიჭი და იხვი", რომელმაც ჩვენამდე რომაული ხანის ბრინჯაოს ასლის სახით მოაღწია. შესანიშნავია მხიარული პატარა ბიჭუნა იხვზე ოდნავ მაღალი და მასთან ამაყად

ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ — ᲔᲡᲐᲐ ᲔᲚᲘᲜᲘᲡᲢᲣᲠ ᲮᲐᲜᲐᲨᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲟᲐᲜᲠᲣᲚᲘ ᲡᲪᲔᲜᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲪᲮᲝᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ. ᲙᲝᲔᲗᲝᲡᲘᲡ ᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲐ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲥ ᲠᲔᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲐᲓᲐᲐ ᲒᲐᲓᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲛᲡᲣᲥᲐᲜ ᲢᲐᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲮᲕᲘᲡ ᲣᲮᲔᲨ ᲤᲠᲗᲝᲡᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲡᲢᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲐᲛ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲐᲛᲘᲓᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲘᲗ.

ᲟᲐᲜᲠᲣᲚᲘ ᲡᲪᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡᲐᲡ ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲘᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ ᲔᲚᲘᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲮᲐᲜᲘᲡ ᲑᲔᲠᲫᲔᲜ ᲛᲝᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲗᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲑᲐ. ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲟᲣᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲫᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲐᲢᲘᲠᲘᲡ ᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ „ᲑᲐᲠᲑᲔᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲢᲘᲠᲘᲡ“ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗᲐᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ. ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲐ ᲫᲕ. Წ. II ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲡ ᲔᲚᲘᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲓᲔᲙᲝᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲜᲘᲛᲣᲨᲐᲓᲐᲐ ᲛᲘᲩᲜᲔᲣᲚᲘ.

ᲔᲚᲘᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲫᲔᲒᲚᲘᲐ ᲙᲣᲜᲫᲣᲚ ᲡᲐᲛᲝᲗᲠᲐᲙᲔᲖᲔ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲜᲘᲙᲔᲡ ᲛᲝᲜᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲒᲠᲐᲜᲓᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲙᲕᲐᲠᲪᲮᲚᲑᲔᲙᲘ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓᲐᲐ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲣᲚᲘ. ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲤᲠᲗᲝᲡᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲔᲨᲕᲔᲑᲐ ᲖᲔᲪᲘᲓᲐᲜ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲡ ᲪᲮᲔᲘᲠᲖᲔ. ᲛᲘᲡ ᲛᲝᲮᲓᲔᲜᲘᲚ ᲢᲐᲜᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲡ ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲒᲐᲛᲭᲕᲘᲠᲕᲐᲚᲔ ᲙᲕᲐᲠᲗᲘ. ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲛᲐᲡ ᲫᲕ. Წ. II ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲗ ᲐᲗᲐᲠᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲠᲝᲓᲝᲡᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲗᲐ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲐᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲔᲜ. ᲐᲛ ᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲐ ᲞᲔᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲒᲐᲜᲗᲥᲛᲣᲚ ᲜᲘᲙᲔᲡᲗᲐᲜ (ᲫᲕ. Წ. 420 Წ.) ᲜᲐᲗᲔᲚᲧᲝᲤᲡ ᲘᲛ ᲓᲘᲓ ᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲤᲠᲗᲝᲡᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲮᲔᲛ ᲒᲐᲜᲘᲪᲐᲓᲐ. ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲣᲑᲘᲗ, ᲞᲔᲝᲜᲘᲡ ᲜᲘᲙᲔ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲘ ᲠᲘᲢᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲘᲔᲠᲔᲑᲐᲐ. ᲡᲐᲛᲝᲗᲠᲐᲙᲘᲡ ᲜᲘᲙᲔ ᲙᲘ — ᲓᲐᲣᲝᲙᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲒᲖᲜᲔᲑᲐᲠᲔ ᲐᲦᲢᲙᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐ.

ᲔᲚᲘᲜᲘᲡᲢᲣᲠ ᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲐᲨᲘ ᲪᲮᲐᲓᲐᲓ ᲕᲚᲘᲜᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲐᲮᲚᲔᲑᲣᲠᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ. ᲛᲙᲐᲪᲠ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲬᲔᲡᲠᲘ�გᲡ ᲗᲐᲣᲓᲐᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲐᲜ ᲮᲐᲖᲒᲐᲡᲛᲘᲗ ᲗᲐᲣᲓᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲨᲘᲨᲡ ᲨᲔᲣᲞᲧᲠᲘᲐ. ᲗᲐᲣᲓᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲘᲐ, Ე. Წ. „ᲐᲜᲪᲘᲣᲛᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ“ (ᲫᲕ Წ. III Ს.). ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲚᲐᲦᲘ ᲞᲝᲖᲐ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲣᲡᲕᲐᲛᲡ ᲮᲐᲖᲡ. ᲓᲔᲚᲝᲡᲔᲚᲘ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ (ᲫᲕ. Წ. I Ს.) ᲙᲘ ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲡ ᲛᲝᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲢᲠᲐ�გᲔᲓᲘᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲡ. ᲘᲒᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲡ ᲣᲘᲛᲔᲓᲝᲓ ᲨᲔᲡᲪᲥᲔᲠᲘᲡ. ᲐᲛ ᲡᲐᲮᲔᲡ ᲐᲙᲚᲘᲐ

ის კეთილშობილური უშფოთველობა, კლასიკური ხანის ქანდაკებებში რომ გამოსჭვივის. მისი ხორცსავსე სახე ნაოჭებითაა დაღარული, რაც რეალისტურ იერს ანიჭებს. ელინისტურ პლასტიკას თან სდევს სულიერი გაორებულობა, რაც ცხადად მოჩანს იმდროინდელი ქანდაკების მოქიშპე ფორმებში. ლაოკოონის ჯგუფს ძვ. წ. II საუკუნის დიაგონალური კომპოზიცია ამ სამი ფიგურის ბრძოლას დიდ დრამატულობას სძენს. თუ კლასიკურ ქანდაკებაში შიშველი სხეული ადამიანის სრულყოფილების იდეალს გამოხატავს, აქ იგი პანიკურ მღელვარებას გაუმსჭვალავს. მამის თაეგანწირული ბრძოლა ეფექტურად უპირისპირდება ბიჭების შიშით გარინდებულ სახეებს. ეს არის ადამიანის ჰეროიკულ-პათეტიკური შებმა ბედისწერის ულმობელ ძალებთან, რასაც მოძრაობაში მოყავს ცოცხალი არსების ბუნებრივი მისწრაფებები: ტანჯვა, განახლება, ამხედრება და თვითგადარჩენის ყოვლისწამლეკავი სურვილი. სხეულთა და ძალთა ასეთივე ჯანყია გამოსახული პერგამონის საკურთხევლის ფრიზზე. ღმერთების სასტიკი ბრძოლა გიგანტებთან შეშხარავი პარაბოლაა იმ თაეგანწირული შემართებისა, რითაც მაშინდელი საბერძნეთი დასავლეთიდან შემოჭრილ რომს წინ აღუდგა.

პერგამონის საკურთხეველი ძვ. წ. II საუკუნის პირველ ნახევარს განეკუთვნება. ეს ძეგლი საყურადღებოა, როგორც არქიტექტურული ნაგებობაცა და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებიც, სადაც მკაფიოდ ჩანს ელინისტური ბერძნული ქანდაკების განვითარების რთული და საინტერესო სურათი. ეს ძეგლი ძველადვე იყო მიჩნეული მსოფლიოს ერთ-ერთ საოცრებად. ამჟამად ზეუსის ტაძარი — საკურთხეველი ინახება საგანგებოდ აგებულ „პერგამონის მუზეუმში“ ბერლინში.

ელინისტური მხატვრობის რაიმე ღირშესანიშნავ ნაწარმოებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ დანგრეული პომპეისა და ჰერკულანუმის კედლის მხატვრობა (ძვ. წ. 79 წ.) გვაფიქრებინებს, რომ მათ წინ უძღოდა ძვ. წ. III-II საუკუნეების ელინისტური ორიგინალები.

მითოლოგიური სცენა — „ჰერაკლემ პოვა ტელეფოსი“ კომპოზიციურად დახვეწილი სურათია. აქ ცალკეული დეტალი დიდი ფერწერული სინატიფით არის დამუშავებული, თუნდაც, სულ განაპირას დახატული ნატურმორტი რად ღირს. ფიგურების

ნატიფი სილამაზე და ფიქრში წასული სახეები, აგრეთვე, ლომისა და ზეესის არწივის ცნობილი სიმბოლიკა სრულ უფლებას გაანიჭებს, კედლის მხატვრობის ეს ნიმუში გვიანელინისტურ ხელოვნებას მივაკუთვნოთ.

ელინისტურ ხანაში განსაკუთრებით განვითარდა გლიპტიკა (გონზაგას კამეა ძვ. წ. III ს.). აღმავლობას განიცდის პორტრეტული და ტერაკოტული პლასტიკა. ელინისტური ხელოვნება, რომელშიც თავი იჩინა ეპოქისათვის დამახასიათებელმა ყველა თავისებურებამ, გამოირჩევა ნატურალიზმისა და მონუმენტურობისაკენ სწრაფვით.

რომაული კულტურა

„მარადიული ქალაქის“ — რომის დაარსების ტრადიციულ თარიღად მიჩნეულია ძვ. წ. 753 წელი. როდესაც ამბობდნენ ქალაქიო (urbs) გულისხმობდნენ რომს. თანდათანობით ქალაქ-სახელმწიფოდან, რომელსაც ძვ. წ. 509 წლამდე მართავდნენ ეტრუსკული დინასტიის მეფეები, ის გადაიქცა ჯერ რესპუბლიკის დედაქალაქად, ძვ. წ. 31 წლიდან ახ. წ. 476 წლამდე კი მსოფლიო იმპერიას ედგა სათავეში, რომელსაც თავისი სახელწოდება მისცა.

შესაბამის ეტაპებად იყოფა რომაული კულტურის ისტორიაც. თუ ჩვენ წარმოდგენებში ბერძნები ცოცხლდებიან, როგორც ნატიფი კულტურის შემქმნელნი, უბადლო ფილოსოფოსები, გენიალური ლიტერატურული ძეგლებისა და სკულპტურების შემქმნელნი, შემოქმედი, თავისუფლად მოაზროვნე, ესთეტიკურად დახვეწილი ხალხი, რომაელები მათი მემკვიდრეები არიან, დამპყრობელი, მილიტარისტები, ცივი და ანგარიშიანები, ტექნოკრატიული მმართველობით, მკვეთრად გამოხატული სამხედრო სულისკვეთებით, გენიალური საინჟინრო აზრით, მმართველობის იურიდიული და ადმინისტრაციული სისტემით. რაც შეეხება სულიერ კულტურას, კერძოდ, მხატვრულ ლიტერატურას და ხელოვნებას, რომაელები თავიანთი დიდი მასწავლებლების, ბერძნების მიღწევების ჩრდილში იმყოფებოდნენ. აღნიშნული ვითარება კიდევ უფრო თვალნათლივ გამოჩნდა რომაელების მიერ მატერიკული საბერძნეთის დაპყრობის შემდეგ. ჰორაციუსი, ძვ. წ. მიწურულში, ერთ-ერთ თავის ლექსში აღნიშნავდა: დაპყრობილმა საბერძნეთმა თავის მხრივ დამპყრობელი დაიმორჩილა. მან სოფლურ ლაციუმს (იტალიის ოლქი, აქედან ლათინური) შეაყვარა ხელოვნება. ჰორაციუსის თანამედროვე ვერგილიუსმა შექმნა „ენეიდა“, ეპიკური პოემა ტროელთა შესახებ, რომლებსაც ის ლათინთა წინაპრებად თვლიდა. ტროადან ლტოლვილმა მეფე ენეასმა წამოიყვანა თავისი ხალხი ახალ საშობლოში

– იტალიაში და ადგილობრივ მკვიდრთ ომი გაუმართა. ეს ეპიკური ტილო, თავისი ჰეროიკული იმპერატიეით ღმერთების ზეგავლენით ადამიანების ბედ-ილბალზე, ომის ტრაგიკული და დიდებული სახეები ჰომეროსის პოემების ზეგავლენის შედეგია. ამასთანავე, „ენეიდა“ რომაული კულტურის, რომაული ეპოქის პირმშოა, ესაა რომისა და მისი იმპერიის ახლებური ხოტბა, მისი ისტორიული ბედის გაგრძელება. ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა მართალია საბერძნეთიდან მომდინარეობს, მაგრამ გამდიდრებულია რომაული ცივილიზაციის მონაპოვრით.

რესპუბლიკურ პერიოდში ქვეყანას მართავდა სენატი და სენატორების მიერ არჩეული კონსულები, არისტოკრატიული ელიტის წარმომადგენლები. ისინი წარმართავდნენ რომისა და მისი პროვინციების პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას. მდ. ტიბროსის ნაპირებზე, შვიდ ბორცვზე განლაგებული პატარა ქალაქი ჯერ ყველასთვის უცნობი ქვეყნის ცენტრი გახდა, მერე მძლავრი სახელმწიფოსა და შემდგომ მსოფლიო იმპერიის დედაქალაქი. კაპიტოლიუმის, პლატინის და ავენტინის ბორცვებიდან იმართებოდა მსოფლიო, ევროპა, აზია თუ აფრიკა, მისგან მშოშორებით რომაელი ინჟინრები ახალი სამშენებლო მასალების გამოყენებით აგებდნენ კომფორტულ ქალაქებს. გასათბობ სისტემებს და წყლის მომარაგების მონუმენტურ ქსელს, საგზაო კომუნიკაციებს (რომიდან ესპანეთში გაგზავნილი წერილი ერთ კვირაში აღწევდა ადრესატამდე). მაშინ გაჩნდა ფრთიანი ფრაზა „ყველა გზა რომში მიდის“. აქედან იწყებოდა ათეული კილომეტრების, ანუ რომაული მილების, იდგმებოდა გზის მაჩვენებლები. ავგუსტუსი ამაყად აცხადებდა, რომ მას მემკვიდრეობით ერგო აგურისაგან ნაგები ქალაქი და დატოვა მარმარილოსი. მის სახელთანაა დაკავშირებული რომში აგებული „მშვიდობის საკურთხეველი“, ლათინთა საზოგადოებრივი და წმინდა ადგილი. მშვიდობა რომაელთა შეგნებაში ასოცირდებოდა მხოლოდ სამხედრო გამარჯვებასთან. ეს ცნება შეიცავდა რომაელთა გამარჯვებების და დაპყრობების პირობებს. მშვიდობა მყარდებოდა ძლევამოსილი გამარჯვებების შედეგად. ასეთი მშვიდობა უზრუნველყოფდა მმართველობის რომაული სისტემის ეფექტურობას და ქვეყნის უშიშროებასაფრთხოებას, მოქალაქეთა ეკონომიკურ კეთილდღეობას. რომაელთათვის მშვიდობა უდრიდა ქვეყნის სტაბილურ მდგო-

მარეობას, რაც მის სამხედრო ძლიერებაზე იყო დაფუძნებული. ამიტომ Pax Romana – რომაული მშვიდობა გახდა სინონიმი რომის მსოფლიო იმპერიისა, რაც მოიცავდა რომის მთელ სამფლობელოებს. აქ მშვიდობას იცავდნენ დიდი საბრძოლო ტრადიციების მქონე, კერძოდ, გაწვრთნილი და კარგად აღჭურვილი ლეგიონები, ხოლო პროვინციები იმართებოდა ეფექტური მმართველი ადმინისტრაციული აპარატით და ყველასთვის საკალდებულო საკანონმდებლო ბაზით (რომაული სამართალი). რეგულარული არმიის შემადგენლობამ რომის იმპერიაში 400 000 მიაღწია. ამავე დროს, მთელი რომის მმართველობითი სისტემა ტრადიციულად სამოქალაქო კანონმდებლობაზეა გათვლილი, რომლის მიხედვით დამნაშავე აუცილებლად უნდა დასჯილიყო. ძვ. წ. 450 წლით თარიღდება რომაული კანონები, ე. წ. „თორმეტი ტაბულა", რომელიც ლათინურ ენაზე იყო ამოტვიფრული ბრინჯაოს დაფებზე.

ბერძნების გარდა, რომაულ კულტურაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მათი მეზობლების, ეტრუსკების კულტურამ. ქართველი მკითხველისათვის ამ უკანასკნელს დამატებითი ხიბლი აქვს, რადგანაც ეტრუსკებს ზოგი მკვლევარი ჩვენს მონათესავე ხალხად მიიჩნევს. სანამ თავად რომაული კულტურის სფეროებს განვიხილავდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ცალკე შეეჩერდეთ ეტრუსკებზე.

ეტრუსკული კულტურა

ეტრუსკული სამყარო ხმელთაშუა ზღვის ერთ-ერთი თავისებური კულტურული მოდელია, რომელიც აპენინების ნახევარკუნძულზე ჩამოყალიბდა I ათასწლეულში (ძვ. წ. VIII-I სს.). ცენტრალური იტალია მდ. არნოსა და მდ. ტიბრს შორის არსებულ მიწა-წყალზე, ტოსკანის, უმბრიისა და კამპანიის პროვინციები ეტრუსკული ტომებით იყო დასახლებული. ძვ. წ. V საუკუნეში მათ დაიკავეს ტერიტორიები დღევანდელი მილანიდან ბოლონიამდე. აქ არსებობდა ეტრუსკული ქალაქი-სახელმწიფოები, ისინი აკონტროლებდნენ იტალიის 1/3-ს. მართალია, მათ კულტურაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა იტალიაში არსებულმა ბერძნულმა პოლისებმა, მაგრამ ის დიდხანს ინარჩუნებდა თვითმყოფადობას. ძვ. წ. III საუკუნეში რომის

აღმაულობასთან ერთად იწყება ეტრუსკული ეთნოსის ასიმილაციური პროცესები, რაც საუკუნეთა მიჯნაზე მთავრდება. მისი კულტურის გაქრობით ეს „უცნაური ცივილიზაცია“ უკვე ძველ სამყაროში ბადებდა მრავალ კითხვას, რადგან ეტრუსკული ენა საგრძნობლად განსხვავდებოდა ახლობელი თუ შორეული ხალხის ენებისაგან. ეტრუსკების ეთნოგენეზით ჯერ კიდევ მათი თანამედროვე ბერძენ-რომაელი ავტორები დაინტერესდნენ, რაც თანამედროვე ეტრუსკოლოგიის უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება. ისტორიის მამა ჰეროდოტე (V ს.) აღნიშნავდა, რომ ეტრუსკები (ბერძ. — ტირენები) იტალიაში გადმოსახლდნენ ლიდიიდან მეფე ტირენის წინამძღოლობით. მოგვიანებით, დიონისე ჰალიკარნასელი, ტიტუს ლივიუსი და სხვები გადაჭრით უარყოფდნენ აღნიშნულ ვერსიას, რადგან ლიდიურსა და ეტრუსკულს შორის, არც ენაში, ყოფასა და ზნე-ჩვეულებაში, ისევე როგორც ანთროპოლოგიურ ტიპში არაფერი საერთო არ შეიმჩნეოდა. მიუხედავად ამისა, მკვლევართა უმეტესობა მიიჩნევს ეტრუსკულ კულტურაში თვალშისაცემ აღმოსავლური წარმოშობის ელემენტების არსებობის ფაქტს. ფიქრობენ, რომ ეტრუსკებმა მცირე აზიიდან მოიტანეს მთელი თავიანთი სულიერი კულტურა, რელიგიური წეს-ჩვეულებები, დაკრძალვის წესები (ინჰუმაცია). არქეოლოგები თვლიან, რომ ეტრუსკული არქიტექტურაც, კერძოდ, ცნობილი კამერიანი აკლდამები, კამარული ჭერით, თაღოვანი გადახურვის ხერხები, საიუველირო ხელოვნება, ტორევტიკა, ხეთური ელემენტების შემცველი სკულპტურა და სხვ. მცირე აზიიდან წამოიყოლეს. ამასთანავე, არავითარ ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ეტრუსკული კულტურა თითქმის ყველა პარამეტრით — ენით, მსოფლმხედველობით, მენტალიტეტით, სოციალური სტრუქტურით, რელიგიითა და ქვეყნის მართვის წესებით (კანონებით) მკვეთრად განსხვავდებოდა ბერძნულ-რომაული სამყაროსაგან. ანთროპოლოგიური მონაცემების თანახმად, ეტრუსკები თავის ქალების მიხედვით ორ ძირითად ჯგუფად იყოფა, ერთია ე. წ. „აბორიგენული ტიპი“, მეორე კი — მკვეთრად გამოხატული „აღმოსავლურ-მედიტერანული“. თავად ეტრუსკებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული საკუთარი აღმოსავლური ეთნიკური წარმომავლობა, რაც აისახა მათ ფოლკლორულ მახსოვრობაში.

არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა გაამდიდრა ინფორმაცია ეტრუსკული ენისა და დამწერლობის შესახებ. ეტრუსკულმა ეპიგრაფიკამ ჩვენამდე მოაღწია თითქმის თერთმეტი ათასი წარწერის სახით. აქედან დადგენილია მხოლოდ სამასი სიტყვის ზუსტი მნიშვნელობა. ენათმეცნიერებს უჭირთ იმის გადაჭრით მტკიცება, რომელ ცნობილ ენათა ოჯახს განეკუთვნება ეტრუსკული. არც იმის დამტკიცება ხერხდება, რომ ის სხვებისგან სრულიად დამოუკიდებელი ენაა. ის სუფიქსური წყობისაა, პრეფიქსები მას არ ახასიათებს. ეტრუსკული ზმნა მრავალფეროვანი, დიფერენირებული დაბოლოებებით გადმოგვცემს სუბიექტსა და ობიექტს შორის არსებულ მიმართებებს და სხვადასხვა დროის კატეგორიებს. ძველ არქაულ პელასგურთან ერთად, ეტრუსკულ ლექსიკაში გამოიყოფა შრე, რომელიც მას ბერძნულ-ლათინურ ენებთან აახლოებს.

ეტრუსკული ეპიგრაფიკული ძეგლები სამ ჯგუფად იყოფა. პირველში გაერთიანებულია რელიგიური ხასიათის ტექსტები, რომლებიც რაოდენობით ყველაზე მრავალფეროვანია, განსაკუთრებით ეპიტაფიები – წარწერები, რომლებმაც გაამდიდრეს ეტრუსკული ონომასტიკა. მეორე ჯგუფში ერთიანდება „ყოფითი წარწერები". ესაა სამშენებლო ტექსტები ხელოსნებისა, პირადობისა თუ კუთვნილების აღმნიშვნელი წარწერები, სასაზღვრო მიჯნების მაჩვენებლები, სტელები, მესამე ჯგუფს შეადგენს ორენოვანი (ბილინგვა) წარწერები. დღემდე არაა გამოვლენილი საისტორიო ხასიათის წარწერები ან ლიტერატურული ტექსტები, რომელთა არსებობა თავისთავად ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ეტრუსკების სახელს უკავშირდება ანბანური დამწერლობის გავრცელება იტალიაში. უძველესი ეტრუსკული წარწერა ძვ. წ. VIII საუკუნის ბოლოთი თარიღდება. დამტკიცებულია, რომ ეტრუსკული ანბანი სათავეს იღებს დასავლურ-ბერძნული დამწერლობიდან, ხოლო ლათინური წარმოიშვა ძვ. წ. VII საუკუნის ბერძნულ-ეტრუსკული კულტურული ზეგავლენის შედეგად.

რელიგიური ლიტერატურა. რომაელ ავტორებთან (ლივიუსი, ციცერონი, კლავდიუს პულხერი, ნიგიდუსი, ტარკვინიუს პრისკუსი, ავლუს კაესინა, იულიუს აქვილუსი, იმპერატორი კლავდიუსი და სხვანი) საყურადღებო და მდიდარი ცნობებია დაცული ეტრუსკული რელიგიური რწმენა-წარმოდგენების შესახებ, რომლებშიც ისინი

ეტრუსკული რელიგიის მრავალ ასპექტზე ამახვილებენ ყურადღებას. აღსანიშნავია, რომ ეტრუსკების რელიგიური წარმოდგენები დაფიქსირებული იყო წერილობით წყაროებში, რომელიც დღეს შემორჩენილია რომაელ ავტორთა თხზულებებში მხოლოდ ფრაგმენტების სახით.

ტრადიციის თანახმად, ეტრუსკების საკრალური სიბრძნე, რომელიც მათ ლეგენდარულ-მითიურმა გრძნეულებმა, ტაგესმა და ვეგოამ გაანდეს, დაფიქსირებული იყო ეტრუსკთა წმინდა წიგნში – Disciplina Etrusca. აღნიშნული წიგნი მოიცავდა მცირე ზომის თავებს, რომლებსაც ეწოდებოდათ „ჰარუსპექსების წიგნები", „ელვისნაირსახეობებზე", წიგნები „ფუგულატორთა შესახებ" — ეს ლიტერატურა გარკვეულწილად რიტუალურ-პრაქტიკული დანიშნულების სახელმძღვანელოებია. არსებობდა, აგრეთვე, სპეციალური სახელმძღვანელო — Libri Rituales, რომელშიც მითითებული იყო პრაქტიკული ხასიათის რჩევა-დარიგებანი, თუ როგორ უნდა დაეარსებინათ ქალაქები, სადაც უნდა აგებულიყო ტაძრები, რა გზით უნდა წარმართულიყო თემის ორგანიზაცია და სხვ.

Disciplina Etrusca-ში გაერთიანებული იყო წიგნები Libri Fatales — მომავლის წინასწარმეტყველება და Libri Acherontici, რომელშიც იყო ცნობები იმქვეყნიურ სამყაროსა და სულებზე.

მაკრობიუსის ცნობით, ეტრუსკ სწავლულს ტარკვინიუსს პრისკუსს, შეუდგენია სახელმძღვანელო – წიგნი „ხეებზე წინასწარმეტყველებისათვის", რასაც იყენებდნენ მომავლის განსაჯრეტად.

პანთეონი. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ეტრურიის თორმეტ ქალაქ-სახელმწიფოში არ არსებობდა კულტმსახურებისა და ღვთაებათა თაყვანისცემის ერთიანი სისტემა. სენეკა საინტერესო ცნობებს გვაწვდის ეტრუსკული პანთეონის შესახებ, ცნობები აქვს, აგრეთვე, პლინიუსსაც და მარციანე კაპელას „ღმერთების კატალოგში". პიაჩენცაში არქეოლოგების მიერ აღმოჩენილ ღვიძლის სამკითხაო მოდელზე კი, ეტრუსკული ღვთაებების თითქმის ოცდაერთი ნუსხაა წარმოდგენილი (40 ღმერთის სახელი).

ციურ ღვთაებათა ჯგუფში, ე. წ. Dii Consentes-ის შემადგენლობაში, შედიოდა 12 ღმერთი, 6 მდედრი და 6 მამრი ღვთაება. მათ შორის უმაღლესი სტატუსი ჰქონდათ ტინსა და ეოლტუმნუსს.

ღვთაება ტინი თავისი უზენაესობით ბერძნულ ზევსს და რომაულ იუპიტერს შეესაბამებოდა. ტინი ეტრუსკული სამყაროს შემოქმედი, უზენაესი ღვთაება იყო, მას მიეწერებოდა სამყაროს შექმნა და ადამიანები მისგან მომდინარე სულით იყვნენ განარსებულნი. ტინს განასახიერებდა ერთდროულად მოხუცი და უწვერული ყმაწვილი ხელოვნების ნიმუშებზე. მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ტინ-ველტუმნა სინკრეტული ღვთაებაა და ამ ღვთაების სრული სახელი „ტინ ველთუნა" (Tin-Velthuna) უნდა ყოფილიყო. ნაყოფიერების დიდ ქალღმერთს, ტურან-აისერას ბერძნულ-რომაული ეკვივალენტი აფროდიტა-ვენერაა, ხოლო ფუძე „ტურ" ნიშნავს „მიცემას", „მინიჭებას", რაც მედიტერანულ დიდი დედა-ქალღმერთის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, რომელიც სამყაროს ანიჭებს დოლათსა და სიუხვეს. ზევსი-პერას ეტრუსკულ პარალელად არის მიჩნეული ტინ-უნს (Tin-uni) წყვილი. ძალზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა ეტრურიაში აპლუ (ელინური აპოლონი), ტურმსი (ელინური ჰერმესი), არტიმი (არტემიდა), ნეთუნი (ნეპტუნი), რომელთა სახელებს ხშირად ვხვდებით შესაწირ საგნებზე და ბრინჯაოს სარკეების გარკვეული მითოლოგიური სიუჟეტების აღწერისას. ეტრუსკული ქალ-ღვთაებები ადამიანების ბედ-ილბალს განაგებდნენ.

ეტრუსკული რელიგიური პანთეონი მრავალშრიანია. როგორც ცნობილია, უძველეს ფენას წარმოადგენს დიდი დედა-ქალღმერთის დიდმედიტერანული სუბსტრატი, უფრო გვიანდელს მამრობითი ღვთაებების სტრადი და უახლოესი შრე კი, წარმოდგენილია იტალიკურ-ბერძნულ ღვთაებათა სინკრეტული პლასტით. და-ბოლოს, აღსანიშნავია, რომ ეტრუსკული პანთეონის ტრიადა, ორი ქალღმერთი (უნი და მენეგრა) და მამრი ღვთაება (ტინი), წარმო-ადგენდნენ უზენაეს ღვთაებას; ამ ღვთაებებმა მოგვიანებით რომაულ პანთეონშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრეს. უნი პოლისის მფარველ ქალღმერთად იყო მიჩნეული, იგი ქალაქ ვეის „დედა უფალი" იყო. ვიტრუვიუსის ცნობით, ეტრუსკ პარუსპიკების რეკომენდაციით, აუცილებელი იყო რომში in exceisissimo ioco იუპიტერის, უნისა და მინერვას ტაძრის აგება. სერვუსის ცნობით, etruska disciplina-ში მითითებული იყო ქალაქის დაარსების პროცესში სამი ტაძრის აღმშენებლობის აუცილებლობა, რომლებიც უნდა აგებულიყო იუპიტერის, იუნონასა და მინერვას სახელზე.

ეტრუსკთა ტაძრების არქიტექტურაში სამნაკიანობის პრინციპი პირდაპირ კავშირშია ამ „სამების“ სიმბოლიკასთან.

მარჩიელობა და წინასწარმეტყველება. ძველ რომში ეტრუსკ მარჩიელებს განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ. ეტრუსკების მარჩიელობის ხელოვნება მეცნიერების დონემდე იყო აყვანილი. ციცერონის ცნობით, „ეტრურია გულმოდგინედ აწარმოებდა სწავლულ დაკვირვებებს იმაზე, თუ რა ხდებოდა ცაში, ამასთანავე, ეტრუსკები გამოირჩეოდნენ ნიჭით სასწაულების გამოცნობაში. ამიტომ კარგად მოიქცა სენატი ჩვენი წინაპრების ხანაში... მან მიიღო გადაწყვეტილება, რომ თითოეული ეტრუსკული ტომიდან ათი ეტრუსკი წარჩინებული ვაჟი გაემწესებინათ ამ ხელოვნების შესასწავლად, რადგანაც თუკი ამ საქმეს მდაბიო მოპკიდებდა ხელს, საპატიო, წმინდა საქმიანობიდან შეიძლება სარფიან ხელობად ქცეულიყო და ანგარების მიზნით ყოფილიყო გამოყენებული“.

ტრადიციის მიხედვით, წინასწარმეტყველება ეტრუსკებს მითიურმა ტაგესმა და ნიმფა ვეგოიამ შეასწავლათ. ღმერთი ტაგესი ტარკვენიაში მიწის ბელტიდან ამოხტა და ღმერთს ჰარუსპიციის საიდუმლოებანი გაანდო. ჰარუსპექსები (მათ ეტრუსკულად netsvis უწოდებდნენ) განთქმულნი იყვნენ ღვიძლზე მარჩიელობით. ნიმფა ვეგოიას საკრალური სიბრძნე, რომელიც Libri ritualis და Libri fulgurales წიგნებში იყო ჩაწერილი, ეტრუსკებს ცაზე და ელვაზე მარჩიელობის ხელოვნებას ანდობდა. ამ მისნებს ფულგულიატორები, ხოლო ეტრუსკულად Trunt Frontac-ის უწოდებდნენ. ეტრურიაში გავრცელებული იყო აგრეთვე მკითხაობა, რომელიც ხორციელდებოდა ფრინველების ფრენაზე დაკვირვებით. ეს ტიპი მარჩიელობისა განსაკუთრებით პოპულარული იყო მცირე აზიაში, კარიაში. რომაელები დიდი კრძალვითა და რიდით ეპყრობოდნენ ეტრუსკ მარჩიელებს. ტაციტუსის ცნობით, თვით იმპერატორი კლავდიუსი მეცენატობდა ჰარუსპიკთა კოლეგიის დაარსებას რომში, რათა დავიწყებას არ მისცემოდა იტალიაში ეს უძველესი მეცნიერების დარგი.

კოსმოგონიური და ასტრალური წარმოდგენები. ეტრუსკები, ისევე როგორც სამყაროს სხვა ძველი ხალხები, თავიანთ კოსმოგონიურ სისტემაში სამყაროსა და სიცოცხლის წარმოშობის ფენომენს მითოპოეტურ, მითოლოგიურ პრიზმაში განიხილავდნენ; მესოპოტამიური, ეგვიპტური, ანატოლიური, ბერძნულ-რომაული

კოსმოგონიური წარმოდგენების გვერდით, საინტერესოა ეტრუსკული წარმოდგენები სამყაროს გაჩენის, მისი ბუნებისა და, საერთოდ, კოსმოსის გააზრების შესახებ. არსებითად ამ სფეროში ჩვენს ერთადერთ წყაროს წარმოადგენს ახ. წ. X საუკუნის ბერძნულ ენაზე შექმნილი ლექსიკონი, რომელიც ცნობილია სვიდას სახელწოდებით სვიდას ცნობები ეტრუსკთა კოსმოგონიაზე, ისევე როგორც სხვა ინფორმაცია ეტრურიის შესახებ, თავმოყრილია სიტყვაში – Tuppyvia.

„ტირნია, ქვეყანაა და ტირენები, ტუსკებად წოდებულნი. მათი ისტორია დაწერა სწავლულმა კაცმა. მან მოგვითხრო, თუ როგორ შრომობდა ღმერთი – ყოვლის შემოქმედი, 12000 წლის განმავლობაში თავის ქმნილებებზე, რომლებიც მან განალაგა 12 სახლში. პირველ ათასწლეულში მან შექმნა ცა და მიწა. მეორე ათასწლეულში — მთელი ხილული, ციური სამყარო, მესამე ათასწლეულში — ზღვა და წყლები, დედამიწაზე მდინარე, მეოთხეში დიდი მნათობები, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, მეხუთეში — ყველა სულიერი, მფრინავი, ქვემძრომი და ოთხფეხა, ჰაერში, მიწაზე და წყალში, მეექვსე ათასწლეულში – ადამიანი; დარჩენილი ექვსი ათასწლეული ადამიანთა მოდგმის სიცოცხლისთვისაა განწესებული, სანამ არ ამოიწურება მთელი დრო 12 ათასწლეულის ასრულებამდე".

ეტრუსკების აზრით, კოსმიურ და მიწიურ სამყაროებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობდა. პიაჩენცას ღვიძლის მოდელი, რომელიც ახალბედა მარჩიელთათვის იყო განკუთვნილი, კოსმოსს ასახავდა. მასზე აღნიშნული იყო სხვადასხვა პლანეტა შესაბამისი სახელწოდებებით, რომლებიც გარკვეულ ღვთაებათა ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ადამიანი, ეტრუსკთა რწმენით, დაკავშირებული იყო კოსმიურ სამყაროსთან, მისი ბედი ღვთაებრივი ძალებით იყო დეტერმინირებული. ადამიანის სიცოცხლე დაყოფილი იყო 12 შვიდწლეულად (ე. წ. hebdomades). პირველი ათი შვიდწლეული ცხოვრების ბედნიერი ხანა იყო, ხოლო ბოლო ორ შვიდწლეულში ადამიანს ჭკუა-გონება ეკარგებოდა. მეშვიდე შვიდწლეულის ბოლოს ჰარმონიული კავშირი კოსმოსსა და ადამიანს შორის ირღვეოდა. სწორედ ღვთაებრივი ნების აღქმის უნარი აძლევდა ადამიანს ჭკუა-გონებას, რომელსაც იგი ბოლო ორ შვიდწლეულში კარგავდა.

სოციალური ურთიერთობები. ეტრუსკული ქალაქები, რიცხვით 12, ქმნიდა ლიგას, რომლის სათავეში იყო მეფე, რომელსაც ირჩევდნენ 12 ქალაქის წარმომადგენლები. ამ მეფის ხელისუფლება ნომინალური უნდა ყოფილიყო, რადგანაც ცალკეულ პოლისს ჰყავდა საკუთარი მეფე, რომელიც ქალაქის მმართველი და მთავარსარდალი იყო. საკარაუდოა, რომ ქ. ვოლსინში არჩეული „მეფის" თანამდებობა რელიგიური ხასიათისა იყო. ეს მეფე უნდა ყოფილიყო, ე. წ. „მეფე ქურუმი", რომლის საქმიანობა საკულტო-რელიგიური ხასიათისა იყო. თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ მედიტერანული სამყაროსათვის ცნობილია „მეფე ქურუმის" ინსტიტუტი, შეიძლება ანალოგი ადვილად მოეძიოს ამ ფაქტს.

ეტრუსკები თავიანთ მეფეებს უწოდებდნენ Lauc (Luc-ფუძიდან ნაწარმოებ სახელს —Lauxume, luxum, lucumo), შეიძლება აქედან მომდინარეობს ტერმინი Lauxumna — „სამეფო". ეტრუსკ მეფეებს ჰქონდათ თავიანთი ძალაუფლების დამადასტურებელი ინსიგნიები – სამეფო ტახტი, ტოგა და სკიპტრა. მეფის გვირგვინს დეკორატიული მორთულობა ამშვენებდა, ოქროს ფირფიტებისაგან დამზადებული მუხის ფოთლები და რკოები.

განსაკუთრებით იპყრობს ყურადღებას მეფის ინსიგნიებს შორის, ე. წ. ორმაგი ცული, რომელსაც რომაელები Bipennis, ხოლო ბერძნები Labrys უწოდებდნენ. აღსანიშნავია, რომ ეტრუსკული ორმაგი ცული თავისი ფორმითა და ფუნქციით გარკვეულ მიმართებას ულენს მინოსური სასახლეების ლაბრისებთან. პლინიუსის ცნობით, კლუზიუმში მეფე ჰორსენას სამარხს „ლაბირინთს" უწოდებდნენ. ეტრუსკულ საზოგადოებაშიც ორმაგ ცულს საკრალური ფუნქცია ენიჭებოდა, ხოლო მისი მპყრობელი, მეფე, განაგებდა როგორც მიწიერ, ასევე იმქვეყნიურ სამყაროს.

ეტრუსკული საზოგადოების სოციალური სტრუქტურა იერარქიული იყო. მაღალ თანამდებობებზე დანიშვნა არჩევითი ხასიათისა იყო და ელიტარული ფენის უპირატესობად ითვლებოდა. ეტრუსკული საზოგადოების იერარქიულ სტრუქტურაში გარკვეული ადგილი ეკავათ მოხელეებს, Magistratus-ების ორგანოებს. მაგისტრატუსებში ყველაზე მაღალი თანამდებობა უნდა ყოფილიყო პრინციპესებისა, რომლებიც აუცილებლად წარჩინებული გვარის ხალხი იყო და მათ სენატში ენიჭებოდათ გარკვეული ფუნქციები. ერთ-ერთი ფუნქცია, რაც მათ უფლებამოსილებაში შედიოდა იყო

ქალაქის თუ სოფლის მოსახლეობის შრომისა და საბრძოლო მზადყოფნისათვის ორგანიზაცია. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ, ე. წ. principes civitates (სახელმწიფოს პირველი კაცი) ეტრუსკებთან რესპუბლიკის პრეზიდენტის ფუნქციას ასრულებდა.

ეტრუსკული მაგისტრატურის თანამდებობიდან ხშირად ფიგურირებს ე. წ. zilath, საფიქრებელია, რომ ეს თანამდებობა ათენში არსებული არქონტის ინსტიტუტს შეესაბამებოდა. ეტრუსკული სამარხის და მიძღვნითი ხასიათის წარწერებში ჩნდება ტერმინი Spurt (spureni), რაც ქალაქის და სიტყვა ქალაქიდან წარმოებული ტერმინების, მოქალაქე, მოქალაქეთა ორგანიზაციების აღმნიშვნელი იყო.

ეტრუსკული ეპიგრაფიკული მასალის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ „მონის" შესატყვისი ტერმინი არსად არ გვხვდება. საფლავის ქვებზე ფიგურირებს შემდეგი ტერმინები – Lautnite, Letheios, Penesti, რაც მოსახლეობის დაბალი ფენების შესატყვისი უნდა ყოფილიყო.

ეტრუსკული საზოგადოების კეთილდღეობა არ ეფუძნებოდა მონის შრომას, რომელიც არ ითვლებოდა მნიშვნელოვან ფაქტორად იმ დოვლათის წარმოებაში, რაც განაპირობებდა ეტრუსკული საზოგადოების განვითარების მაღალ დონეს.

ეტრუსკულ საზოგადოებაში არ არსებობდა მონების მრავალრიცხოვანი კლასი, რომელიც მატერიალური დოვლათის ძირითად მწარმოებლად ჩაითვლებოდა, ხოლო ის მონათა ფენა, რომელიც ეტრუსკულ საზოგადოებაში გვხვდება, ძირითადად შინამოსამსახურეთა ჯგუფს შეადგენდა და მას პატრიარქალური ხასიათი ჰქონდა. ეს ჩანს ჰეროდოტეს ცნობითაც. ეტრუსკები თურმე სამხედრო გამარჯვებების შემდეგ, ტყვეებს მონებად როდი აქცევდნენ; მათ ან მსხვერპლად სწირავდნენ, ან ადგილზევე ხოცავდნენ. ამიტომ ეტრუსკები არ იყვნენ დაინტერესებულები მონათა რიცხვის ზრდით, ბერძენ-რომაელებისაგან განსხვავებით.

ეტრუსკულ საზოგადოებაში ძირითადი მწარმოებლები არიან, ე. წ. თავისუფალი სასოფლო მეთემეები და ასევე თავისუფალი საქალაქო პლებსი. ასევე განსხვავებულია ეტრუსკების შეხედულება ქალზე და მის უფლებებზე, რაც აძლევს საშუალებას სპეციალისტებს აღნიშნონ მატრიარქატის ძლიერი გადმონაშთები ეტრუსკულ კულტურაში.

ეტრუსკ ქალს, რომაელი მატრონასაგან განსხვავებით, ჰქონდა საკუთარი სახელი, რომელიც არ იყო წარმოებული მამის სახელიდან. ეპიტაფიები, საფლავის ქვის წარწერები მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ გარდაცვლილის ვინაობის მოხსენიების შემდეგ ეტრუსკებს ნებსად ჰქონდათ მშობლების, დედისა და მამის სახელების აღნიშვნა. საფლავის ქვის წარწერებზე, რომლებიც მიცვალებულ მამაკაცს კუთვნის, იხსენიება მისი ცოლის სახელი. ეტრუსკულ საზოგადოებაში ქალს მამაკაცის თანასწორი სოციალური სტატუსი ქქონდა. ამ აზრს ადასტურებს ის მრავალრიცხოვანი სამარხის ფრესკები, სადაც ქალი მამაკაცის გვერდით არის საცირკო თუ თეატრალური წარმოდგენების დროს. ქალს უფლება ჰქონდა დასწრებოდა ნადიმებსა და მამაკაცების გვერდით კლინოსზე წამოწოლილს, თავი თანასწორად ეგრძნო წვეულებებზე.

პატრიარქალური რომისა და საბერძნეთისათვის წარმოუდგენელი ფაქტი იყო ქალის ესოდენ მძაფრად გამოკვეთილი პიროვნული თავისუფლება. ადრეული რომის ისტორიაში, სადაც გამეფებული იყო ადრეკლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი კონსერვატიზმი, ქალს საზოგადოებაში არ ჰქონდა სოციალური სტატუსი. იგი ან მამის საკუთრებად ითვლებოდა, ან ქმრის ოჯახის კუთვნილებად განიხილებოდა. ეტრუსკულ ოჯახში განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ დედას, სამარხის ფრესკებზე ხშირად არის გამოხატული ოჯახის ინტიმური გარემო, დედ-მამა შვილებით. განსაკუთრებით გრძნობისშემძვრელია ის სინაზე და სიყვარული ქალებისა თავისი ოჯახის წევრების მიმართ, რაც ჩნდება მიცვალებულთა სამარხის ფერწერაში.

ეტრუსკული ტრადიციის თანახმად, გარდაცვლილი მანდილოსნის სხეულს კლინოსზე დასვენებულს ათავსებდნენ სარკოფაგში, რათა უკეთ შენახულიყო ცხედარი, მაშინ, როცა ამგვარ პატივს არ მიაგებდნენ მამაკაცებს. ეტრუსკულ საზოგადოებაში ქალის მაღალი სოციალური სტატუსი განპირობებული იყო თვით ამ ხალხის რწმენა-წარმოდგენებით. ქალის მდგომარეობა ძველ მედიტერანულ კულტურებში განსაზღვრული იყო ამ სამყაროს რელიგიური შეხედულებებითა და შესაბამისად, კულტში ქალური საწყისის მნიშვნელობით. ცნობილია, რომ ამ კულტურებში თაყვანს სცემდნენ უზენაეს ღვთაებას, რომელიც ჩვილიანი მასაზრდოებელი „დიდი დედა ქალღმერთის“ სახით იყო გააზრებული, ხოლო ამ იდეოლოგიას

თავისი სოციალური გამოძახილი ჰქონდა საზოგადოებაში, კერძოდ
ქალის მაღალი, მამაკაცთან თანასწორი სტატუსი.

ქალის თავისუფალი მდგომარეობა ეტრუსკულ საზოგადოებაში
მისი წამყვანი როლი ოჯახში, საზოგადოებრივ და ეკონომიკურ
ურთიერთობათა მაღალი განვითარების მაჩვენებელია, რასაც ხან
გრძელი ისტორიული გზა უნდა გაევლო. ამ პროცესის შედეგ
იყო ეტრუსკული ქალაქ-სახელმწიფოების წარმოშობა. ის მიჩნე
ულია ეტრუსკული კულტურის სოციალურ და პოლიტიკურ ფე
ნომენად.

ერთიანი ეტრუსკული სახელმწიფო არასდროს არსებულა. ის
რასაც ანტიკური მწერლები „ეტრურიას" უწოდებდნენ, ხინამ
დვილეში დაქსაქსული, ცალკეული სუვერენული ქალაქ-სახელ
მწიფოების რელიგიურ და კულტურულ ერთიანობას უფრო
წარმოადგენდა, ვიდრე სახელმწიფოებრივ გაერთიანებას. ეტ
რუსკული ქალაქები (ვოლტერა, არეცცო, ვეი, კორტონა, ტარკვინია
ცერე, კლუზიუმი და სხვ.) ერთმანეთისაგან დამოუკიდებლები იყენ
და დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდნენ. ა
პოლისებს უძველეს დროში განაგებდნენ მეფეები, მოგვიანებით კ
მაგისტრატები. სამეფო ინსტიტუტს ძვ. წ. V საუკუნეში ა
არისტოკრატთა ოლიგარქიული მმართველობა ცვლის.

რომში, რომელიც ეტრუსკული წარმოშობის ქალაქი იყო, ძვ. წ
600-500 წლებში გამეფებული იყო ეტრუსკული წარმომავლობის
ტარკვინიუსების დინასტია. იგი მხოლოდ ტარკვინიუსის განდევნის
შემდეგ გამოცხადდა რესპუბლიკად...

ძვ. წ. VI საუკუნის შუა ხანებისათვის ეტრუსკების პოლიტიკურ
ეკონომიკური და კულტურული ზეგავლენის სფეროში მოქცეული
თითქმის მთელი იტალია როგორც ჩრდილო მიწები, ასევე ლაციუმის
კამპანიის ოლქები. ძვ. წ. VI საუკუნეში ეტრუსკები თავიანთი ძლი
ერი ფლოტით ცდილობდნენ კორსიკის დაპყრობას. ამ რეგიონში
ერთმანეთს დაუპირისპირდა ეტრუსკების და ბერძნების პო
ლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები. ამ კუნძულს გან
საკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ბერძნე
ბისათვის, რომლებიც ცდილობდნენ ხმელთაშუა ზღვაზე საკუთრ
მონოპოლიის მოპოვებას, მაგრამ იგი არანაკლებ მნიშვნელოვანი
იყო ეტრუსკებისთვისაც, რომელთა პოლიტიკური ძლიერება იზ
რდებოდა, სცილდებოდა რა საკუთრივ აპენინების ნახევარკუნძულს.

ამ დროისათვის ხმელთაშუა ზღვის აუზში ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა პუნიკური კართაგენი, რომელიც ეტრუსკების მოკავშირე გახდა. ძვ. წ. 540 წელს სარდინიის ზღვაში გაიმართა საზღვაო ბრძოლა, ეტრუსკებისა და კართაგენელების ფლოტი იბრძოდა ბერძნების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ბერძნებმა მოიპოვეს გამარჯვება, თუმცა, კორსიკა ხელთ ვერ ჩაიგდეს. ის ეტრუსკებს ემორჩილებოდა და ყოველწლიურ ხარკს უხდიდა.

ეტრუსკების, კართაგენელებისა და ბერძნების „დიდ სამეულს" მალე ღირსეული მოწინააღმდეგე შეემატა რომის სახით. რომაელებმა გავლენა მოიპოვეს ლიციუმში და დაუპირისპირდნენ ეტრუსკულ ქალაქ ვეის. ძვ. წ. V საუკუნეში საგრძნობლად გამწვავდა ურთიერთობები ეტრუსკებსა და სიცილიელ ბერძენ კოლონისტებს შორის. კართაგენის ფლოტის მარცხისა და სიცილიელ ბერძნების გამარჯვების შემდეგ კიდევ უფრო შეირყა ეტრუსკების პოზიციები ზღვაზე. ძვ. წ. 474 წელს, კუმის ახლოს (თანამედროვე ნეაპოლი), ბერძნულმა ფლოტმა გაანადგურა ეტრუსკების ფლოტილია. აქედან მოყოლებული ეტრუსკებმა დათმეს თავიანთი პოზიციები ხმელთაშუა ზღვასა და ხმელეთზე. მათ დაკარგეს კამპანიის ოლქიც. ძვ. წ. 406 წელს რომაელებმა ალყა შემოარტყეს ქალაქ ვეის, ათი წლის შემდეგ ეს ქალაქი რომაელებმა დაიპყრეს, თუმცა, იგი არ დაუნგრევიათ. რომის მეზობელი ქალაქი ცერე ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული...რომთან. მისმა ნეიტრალიტეტის პოზიციამ რომს მისცა საშუალება დაემარცხებინა მეტოქე – ქ. ვეი. ქ. ცერესთან რომის „ახლო მეგობრობა" (ლივიუსის ცნობით, ცერე სუვერენული ქალაქის სტატუსს ინარჩუნებდა) საბოლოოდ მჭიდრო პოლიტიკური კავშირით დაგვირგვინდა. ეს ალიანსი ცერესს ძალზე ძვირი დაუჯდა. ძვ. წ. III საუკუნეში ცერეს ზღვისპირა მხარე რომის საზღვრებში მოექცა. აქედან იწყება ეტრუსკული კულტურის დაქვეითება და ჩქარდება მისი ასიმილაციის პროცესი. ამას ხელს უწყობდა ეტრურიის შესვლა „იტალიკურ კავშირში", რომელსაც რომი თაოსნობდა. იწყება ტირენიის ზღვის სანაპიროების რომის ხელში გადასვლა. აქ გრძელდება ეტრურიის მნიშვნელოვანი ტერიტორიების ანექსია, სადაც იქმნება ლათინური კოლონიები და შესაბამისად რომაული პრეფექტურები, რომაული მმართველობითი სისტემის დამკვიდრება.

ეტრუსკები, რომლებმაც ერთიანი ფრონტი ვერ შექმნეს რომის წინააღმდეგ, დამარცხდნენ. ისინი საბოლოოდ რომის მოქალაქეობის „საპატიო“ წოდებით დაკმაყოფილდნენ. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ეტრუსკები რომაელებს ჩამორჩებოდნენ განვითარების საზოგადოებრივ-პოლიტიკური დონით, რაც ამ უკანასკნელების მაღალ სამხედრო ორგანიზაციასა და მოქნილი ტაქტიკის უპირატესობაშიც გამოიხატა. კონსერვატიზმი და დაქსაქსულობა იყო ძირითადი მიზეზი ეტრუსკული კულტურის დეგრადაციისა, რომელმაც ვერ გაუწია წინააღმდეგობა კარგად აწყობილ რომაულ მანქანას. ეტრუსკების მენტალიტეტი, აზროვნება გვაროვნული წყობის დონეზე რჩებოდა. მათ ვერ გადალახეს შიდა ტომობრივი წინააღმდეგობანი, რამაც გაუადვილა გამდიდრების სურვილით აღტკინებულ რომაულ საზოგადოებას მათი განადგურება და შემდგომ კულტურული ასიმილაცია.

ეტრურიაში რომანიზაციის პროცესი განსაკუთრებით თვალშისაცემი ხდება ძვ. წ. I – ახ. წ. I საუკუნეთა მიჯნაზე. ეტრურიის თითქმის ყველა ქალაქი რომის მოკავშირე გახდა. ახ. წ. 20-იან წლებიდან ეტრუსკული ენა და დამწერლობა ლათინურით შეიცვალა. ვარაუდობენ, რომ ეტრუსკული ენა ახ. წ. II საუკუნემდე გამოიყენებოდა „ჰარუსპექსთა კოლეგიის“ წევრების მიერ მხოლოდ საკულტო წესების შესრულებისას. იგივე ბედი გაიზიარა ეტრუსკულმა კულტურამ, მათ შორის თვითმყოფადმა ხელოვნებამ.

ეტრუსკული ხელოვნება. ნატიფი ბერძნული ხელოვნების ფონზე, ეტრუსკული ხელოვნების ნიმუშები ოდნავ ტლანქი შეიძლება მოგვეჩვენოს. როგორც აღნიშნავენ სპეციალისტები, ეტრუსკულ ხელოვნებას გარკვეულწილად „ელეგანტური მოუხეშაობის“ ფორმა აქვს, რომელიც განასხვავებს მას კლასიკური ხელოვნებისაგან, მისი ძირითადი ესთეტიკური პრინციპებისაგან.

ექსტაზური ჟესტებით გამოხატული ფიგურები, აბსტრაქტული ხედვა, დაუსრულებლობის შეგრძნება, მუსიკალური რიტმით აღსავსე პლასტიკა, ინტენსიური ფერები, ყოველივე ეს განსაკუთრებით გამოკვეთავდა ეტრუსკული ხელოვნების თვითმყოფად, ინდივიდუალურ საწყისებს ანტიკური ხელოვნების ფარგლებში. ხშირად განცდებისა და ემოციების ხაზგასმულად გამოხატვის მიზნით, ეტრუსკი ოსტატები განსაკუთრებულ ხერხებს მიმართავდნენ, ხდებოდა სხეულის ფორმების არაბუნებრივი

სახით გადმოცემა, პროპორციადარღვეული ფორმების გამოსახვა.

ეტრუსკულ ხელოვნებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია პლასტიკას სკულპტურისა და მცირე ზომის ქანდაკებების სახით, რომლებმაც ბერძნული ზეგავლენა განიცადეს. მაგალითად, ეტრუსკული აპოლონის ქანდაკება ქალაქ ვეიდან იონიური სტილის გავლენით არის შექმნილი. წინგადადგმული მიზანდასახული ნაბიჯი და ხელების მოძრაობა ქანდაკებას გარკვეულ დინამიურობას ანიჭებს. თავზე უწესრიგოდ დაყრილი კულულები და ტუნიკის ნაკეცებში გამოკვეთილი ფეხის ფორმა კი, თითქოს „აცოცხლებს" ქანდაკებას. განსაკუთრებით სპეციფიურია ეტრუსკული სარკოფაგები და მასზე გამოხატული სკულპტურები. ძირითადად, ეს სკულპტურები პორტრეტული ხასიათისაა, თუმცა, ოსტატი გარეგნული მსგავსების გამოხატვის გვერდით, ცდილობს, სკულპტურაზე ფსიქო-ინდივიდუალური საწყისებიც წარმოაჩინოს. ემოციები, განწყობილება, ხასიათი გარკვეული ეფექტური ხერხებით არის წარმოდგენილი. მაგალითად, ერთ-ერთ სკულპტურაზე (კიუზი. ძვ. წ. IV ს. პარიზი. ლუვრი. MA. 2348.) გამოხატულია წყვილი, ინტიმური გარემო, ნაზი, სათუთი ურთიერთობები ამ სკულპტურას განსაკუთრებულ ემოციურ დატვირთვას ანიჭებს. ხელჩაკიდებული წყვილი, თითქოს ოჯახურ გარემოში, მშვიდად ესაუბრებიან ერთმანეთს. მათი სიმშვიდე არაბუნებრივი და არაამქვეყნიურია. მაღალი ოსტატობით არის დამუშავებული სახის ნაკვთები, თმის ვარცხნილობა, ჟესტიკულაცია. შედარებით უგულვებელყოფილია სხეულის პროპორციები, ფორმები.

ეტრუსკული ფერწერის ძირითადი ნიმუშები შემოგვრჩა სამარხის ფრესკებიდან. ძვ. წ. 530 წლით თარიღდება, ე. წ. „ავგურთა სამარხი", რომელიც შედგება ორი კამერისაგან. ცენტრში გამოხატულია სპორტული ასპარეზის გლადიატორთა შერკინება. „ძუ ლომის" სამარხის ფრესკებზე წარმოჩენილია ეტრუსკების საყვარელი თემა – ნადიმობა და ცეკვა-თამაში. სამარხის ერთ-ერთ კედელზე გამოხატულია მუსიკოსების დასი, ლირაზე და ფლეიტაზე დამკვრელები. ლაბადამოსხმული ქალი კი, რიტმულ მოძრაობებს ასრულებს, მის გვერდით ახალგაზრდა ქალ-ვაჟი აღტკინებით ცეკვავს. ეს ფრესკები მდიდარია ექსპრესიული სცენებით და მრავალმხრივია

თემატიკით. ფრესკებზე გამოხატულია მცენარეული დეკორი, უხვი და ფერადი გამა მხიარულ განწყობილებას ქმნის.

მეტად უჩვეულო და ლამაზი პეიზაჟია გამოხატული, ე. წ. „ნადირობისა და თევზაობის" სამარხის ფრესკებზე. ორი მებადური ანკესმომარჯვებული გასულა ზღვაში, ლურჯ სივრცეში დაცურავენ სხვადასხვა თევზები, ცაში კი დანავარდობენ ფრინველები. ამ ხანის ეტრუსკ ხელოვანთა შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ბუნებას, ჰარმონია ბუნებასა და ადამიანს შორის — ეს ეტრუსკული ფერწერის საყვარელი თემაა. ეტრუსკ მხატვრებს საკუთარი ინტერპრეტაციით აქვთ გადმოცემული სიუჟეტები, რომლებიც დაკავშირებულია ტროას ომთან. ერთ-ერთ ფრესკაზე გიგანტურ ცხენზე ამხედრებული ტროელი უფლისწული ჩასაფრებული ელოდება აქილევსს. ირგვლივ გამოხატულია მშვიდობიანი გარემო: პალმის ხე. წიწვოვანი მცენარეები, ყვავილები, შადრევანი, რაც ფრესკის დეკორაციულ ფონს ქმნის. ბერძნული კლასიკური სტილის მიმართ გარკვეული ინტერესი ჩნდება ძვ. წ. V საუკუნის სკულპტურაში. ეს გავლენა განსაკუთრებით თვალში საცემი ხდება „ძუ მგელისა" და „ქიმერას" სკულპტურებზე. „ძუ მგლის" ავტორად მიჩნეულია ეტრუსკი სკულპტორი ქალაქ ვეიდან — ველვა. ეტრუსკული ხელოვნების ეს ორი ძეგლი წარმოადგენს ეტრუსკული და ბერძნული ტრადიციების სინთეზის ნიმუშს. ამ სკულპტურების სტილი, რომელიც კლასიკურია, ამავე დროს თითქოს აგრძელებს ეტრუსკული სკულპტურისათვის დამახასიათებელ დეკორატიულ-რომანტიკულ ბუნებას. ასევე, ე. წ. კლასიკური სტილისათვის დამახასიათებელი სრულყოფილი და პროპორციული „ძუ მგელი" ეტრუსკული „ექსპრესიულობით" არის გამოხატული გაავებული, პირდაფჩენილი ხახით, მზად არის საბედისწერო შეტაკებისათვის. მისი სხეული, თმა-ბალანი დეკორატიული სტილით არის წარმოდგენილი, ასევე ეტრუსკულ სტილშია შესრულებული ქიმერას სკულპტურა, დახვეწილი პროპორციები და კლასიკური სრულყოფილება ერწყმის ეტრუსკულ ფანტასმაგორიას, ურჩხული ქიმერა — წმინდა ეტრუსკულ-ორიენტალური მითოსის პერსონაჟს.

კლასიკური ხანის ეტრუსკული პორტრეტის საუკეთესო ნიმუშებია „ყმაწვილის თავი" და „ორატორის" სკულპტურები.

„ყმაწვილის თავი“ ახალგაზრდა კაცის პორტრეტია, ჯაბუკური სახე და სევდიანი მზერა მას გარკვეულ რომანტიკულ იერს ანიჭებს, ნატიფი ნაკვთები, თხელი ტუჩები, ხშირი წარბები, მის ინდივიდუალურ-პორტრეტულ ხასიათზე მიგვანიშნებს. ამასთანავე, ეტრუსკულ ხელოვნებას, ბერძნული ხელოვნების დარად, არ მიუღწევია სრულყოფილების უმაღლეს დონემდე. თუმცა, სილამაზე და სიმახინჯე, ჰარმონია და დისჰარმონია, ეს ორი პოლუსი ტოლფასად არის წარმოჩენილი ეტრუსკულ ხელოვნებაშიც. ეტრუსკები გარემომცველი, მათთვის ნაცნობი რეალური სამყაროდან ირჩევდნენ შთაგონების წყაროს. ამასთანავე, მათ არ ღალატობთ გარკვეულად ესთეტიზმის განცდაც. ეტრურიის პოლიტიკურ კრახთან ერთად იწყება ეტრუსკული ხელოვნების დეკადანსი. კლასიკური ხანის შემდგომ პერიოდში ეტრუსკული ტრადიციები თანდათან იკარგება, უფერულდება ეტრუსკული ფერწერისათვის დამახასიათებელი მხიარული ატმოსფერო, სჭარბობს მელანქოლიური და ტრაგიკული თემატიკა. ეტრუსკული ლიტერატურული წყაროების ეპოსის არარსებობის პირობებში ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ ეტრუსკული მითების გმირთა მეტად სქემატური აღწერით, რომლებიც ბერძენ-რომაელმა ავტორებმა შემოგვინახეს. ეტრურიის ერთ-ერთი ყველაზე თაყვანსაცემი გმირი ჰერაკლეა, რომელიც ბერძნული ჰერაკლეს — ჰერკულესთანაა გაიგივებული. ძვ. წ. VI საუკუნით დათარიღებულ პიდრიებზე, რომელიც ქალაქ ცერეშია აღმოჩენილი, აღწერილია მისი გმირობები. ხშირია მისი გამოსახულებები ეტრუსკულ სარკეებზე, ვერცხლისა და ბრინჯაოს ეტრუსკულ მონეტებზე. ყოველ ეტრუსკულ ქალაქს თავისი მითოლოგიური, ეთნარქი ჰყავდა. მაგალითად, ტარხონი იყო ქალაქ ტარკვინის დამაარსებელი და მამამთავარი. ეტრუსკულ სარკეებზე გამოხატულია მთელი რიგი მითოლოგიური სცენები, რომლებიც ანატოლიურ სამყაროს უნდა უკავშირდებოდეს. ეტრუსკულ ჭურჭელზე, ფრესკებზე და სხვ. ვხედავთ სხვადასხვა პროცესიას, მსვლელობის ექსპრესიულ გამოსახულებას, ისევე როგორც თამაშების სცენებს. ნიშანდობლივია, რომ ეტრუსკული კულტურა უკვალოდ არ გამქრალა, მან გარკვეული ზეგავლენა მოახდინა რომაელთა ყოფაცხოვრებაზე, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზე და ზოგადად მის კულტურაზე.

ლათინური ენა და დამწერლობა

ლათინები იტალიის ერ-ერთი უძველესი წარმომავლობის ტომია, რომლებიც ინდოევროპულ ენათა ჯგუფს განეკუთვნებოდნენ. გადმოცემით, მისი სახელი წარმოდგება მითიური მეფის ლათინუსის სახელიდან. სახლობდნენ ლიციუმის ოლქში. მჭიდრო კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდათ ეტრუსკებთან და ბერძენ კოლონისტებთან. ანტიკური ტრადიციით, რაც არქეოლოგიური მასალებითაც დასტურდება, ლათინები მიწათმოქმედნი იყვნენ, ჰქონდათ განვითარებული მესაქონლეობაც. ლათინებმა შექმნეს რომის სახელმწიფო. ლათინები ეწოდათ ჯერ ლაციუმის მკვიდრთ, შემდეგ კი რომის მოქალაქეებს. ტრადიცია ლათინური დამწერლობის წარმოშობას მეფეთა ეპოქას უკავშირებს. ახ. წ. I საუკუნის ისტორიკოსი დიონისე ჰალიკარნასელი თავის „რომაულ სიძველეებში" აღნიშნავდა, რომ ქალღმერთ დიანას სახელზე ავენტინზე აგებულ ტაძარში ინახებოდა ბრინჯაოს სტელა ლათინური ტექსტით. ეს იყო სამოკავშირეო ხელშეკრულება რომის მეექვსე მეფეს სერვიუს ტულიუსსა და ლაციოს ლათინურ ქალაქებს შორის. რომაელები, ისევე როგორც მეზობელი ეტრუსკები, თავიანთი დამწერლობის შექმნისას ეყრდნობოდნენ, ე. წ. დასავლურ ბერძნულ ანბანს. უძველეს რომაულ (ლათინურ) წარწერად მიჩნეულია მითიური რომულის, რომის დამაარსებლის, ე. წ. „შავი ქვა", რომელიც ძვ. წ. VIII საუკუნით თარიღდება. არქაული ხანის ლათინურმა წარწერებმა ჩვენამდე მცირე რაოდენობით მოაღწია, მოგვიანო ეპოქებისაგან განსხვავებით. ძვ. წ. VII საუკუნიდან ლათინური დამწერლობა ფართოდ ვრცელდება და რომაელთა ყოფის, კულტურული ცხოვრების აუცილებელი ელემენტი ხდება. ლაციუმის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა (მათ შორის, ხელოსნებმა) წერა-კითხვა იცოდა. რომაელები მას ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებდნენ და ეს არ ყოფილა რომელიმე წოდების პრივილეგია. ძვ. წ. III საუკუნეში ლათინური დამწერლობა საბოლოოდ ჩამოყალიბდა. წერდნენ მარცხნიდან მარჯვნივ, ჰორიზონტალური მიმართულებით. ლათინური ანბანის ასოების ძირითადმა ჯგუფმა შეინარჩუნა თავისი ბერძნული შესატყვისების მოხაზულობა და ეწერადობა. ოფიციალურად ამოღებულ იქნა „თეტა", ხოლო „გამმა" გაჟღერდა როგორც „კ". კლასიკური ლათინური შეიცავს 23 ასოს.

ლათინური ციფრები გამოირჩეოდა უბრალო მოხაზულობითა და ლიმარტივით. ძირითადი ნიშანი ერთიანის აღმნიშვნელი ვერტიკალური სწორი ხაზია (I), ხოლო ირიბად გადაჯვარედინებული ხაზები ათს აღნიშნავდა (X). ორმოცდაათის, ასის და ათასის გამოსახვისას, თავდაპირველად, გამოიყენებოდა ბერძნული Q (თეტა), F (ფი), Y (ფსი), შემდგომში — ლათინური L, C, M.

რომაული კალენდარი. თავდაპირველად რომაელები მთვარის კალენდარს იყენებდნენ, რომელიც ათი თვისგან შედგებოდა. ის იწყებოდა მარტში და მთავრდებოდა დეკემბერში. თავად ეს ბოლო სახელწოდება მიგვანიშნებს, რომ ის რიგით მეათე თვეა. შემდგომ რომაელები მეფე ტარკვინიუსის დროს გადადიან მთვარის, ოორმეტთვიან კალენდარზე, რომელიც 355 დღეს ითვლიდა. მზის კალენდართან მისი შესატყვისობისათვის საჭირო ხდებოდა დროდადრო მეცამეტე თვის დამატება. საბოლოოდ რომაული კალენდრის მოწესრიგება დაკავშირებულია იულიუს კეისრის სახელთან. ძვ. წ. 46 წელს მან შემოიღო მზის კალენდარული წელი 365 დღით, ყოველ ოთხ წელიწადში ერთი დღის დამატებით (ე. ი. ნაკიანი წელიწადი). აქედან მოყოლებული რომაელები ახალი წლის დადგომას პირველ იანვარს აღნიშნავდნენ. თვეების სახელწოდება – იანვარი და აგვისტო, იულიუს კეისრისა და ავგუსტუსის პატივსაცემად იქნა შემოღებული, მანამდე ისინი რიგითი ნომრებით მოიხსენიებოდა. ყოველი თვის პირველი დღე, რომელიც ახალი მთვარის დადგომას ემთხვეოდა კალენდად იწოდებოდა (აქედან კალენდარი), მთვარის 1/4 ნონი, ხოლო ნახევარმთვარეს იდი შეესატყვისებოდა. წლის ათვლას იწყებდნენ რომის დაარსებიდან (ძვ. წ. 753 წ.), ხოლო წელი კონსულების სახელით აღინიშნებოდა. დღე და ღამეს თანაბრად 12-12 საათად ყოფდნენ. დღე იწყებოდა მზის ამოსვლით და მთავრდებოდა მზის ჩასვლით. მზის ჩასვლიდან მის ამოსვლამდე – ღამე. პირველი საათით (hora prima) იწყებოდა დღე, რაც ჩვენს დილის 7 საათს შეესაბამებოდა. ამ დროს იწყებოდა სწავლა დაწყებით სკოლებში.

განათლება. დაწყებითი სკოლები რომში საკმაოდ ადრეული ხანიდანაა ცნობილი. რომში, ქალაქის მთავარ მოედანზე, ფორუმზე, არქეოლოგებმა მიაკვლიეს ძვ. წ. V საუკუნის სკოლას. განათლების ფართო გავრცელებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ არმიის ქვედანაყოფებში პაროლი წერილობითი სახით გადაიცემოდა. პომ-

პეისა და პერკულანუმში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი წარწერა. მათ შორის გრაფიტოები ადასტურებს წერა-კითხვის მცოდნეთა მაღალ პროცენტს ქალაქების მოსახლეობაში. სახელმწიფო განათლების საქმეში არ ერეოდა და ის მთლიანად კერძო ინიციატივაზე ყოფილა დამოკიდებული. მშობლები, რომლებსაც კარგად ჰქონდათ შეგნებული განათლების მნიშვნელობა თავად ზრუნავდნენ შვილების აღზრდა-განვითარებაზე. დაწყებითი სკოლის მასწავლებლები, რომლებსაც მშობლები უხდიდნენ გარკვეულ გასამრჯელოს სოციალური იერარქიის დაბალ საფეხურზე იდგნენ. მათ მასწავლებლის (ლათინურად პროფესორის) წოდების უფლებაც არ ეძლეოდათ. მათ „სკოლის ზედამხედველები" ერქვათ ან უკეთეს შემთხვევაში „სკოლის უფროსები" (Majister Ludi). მათზე არ ვრცელდებოდა ის პრივილეგიები, რითაც საშუალო და უმაღლესი სკოლის პედაგოგები სარგებლობდნენ. ბავშვები მთელ დღეს სკოლაში ატარებდნენ, გოგონები და ბიჭები ერთ კლასში სწავლობდნენ. ჯერ ზეპირად სწავლობდნენ ანბანს, მერე ასოების წერას და სიტყვების შედგენას. მხოლოდ ამის შემდეგ იწყებდნენ წერა-კითხვას. იწერდნენ „თორმეტი ტაბულის" კანონებს და მერე იზეპირებდნენ. დიდი დრო ეთმობოდა კარნახით წერას. ასწავლიდნენ არითმეტიკას, ძირითადად ზეპირ ანგარიშს. ჩვეულებრივ დაწყებით სკოლაში შვიდ წელს მიღწეულ ბავშვებს აგზავნიდნენ, სადაც ხუთი წლის განმავლობაში სწავლობდნენ. ღარიბი მშობლების შვილები ამ დაწყებითი განათლებით კმაყოფილდებოდნენ. სწავლას განაგრძობდნენ შეძლებული ოჯახის წარმომადგენლები. საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები დაკომპლექტებული იყო მაღალი კვალიფიკაციის, საზოგადოებაში დაფასებული განათლებული ადამიანებით, პროფესორებით. იქ ფიზიკურ წრთობასთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობდნენ ისტორიის, რიტორიკის, ლინგვისტიკის, ბერძნული ენის, ლიტერატურის, გრამატიკის, გეოგრაფია-ფილოსოფიის, მითოლოგიის, პოეტიკის და სხვა მეცნიერების (მათემატიკა, გეომეტრია, ასტრონომია) შესწავლას. ცნობილია, რომ მარტო რომში რესპუბლიკური პერიოდის მიწურულს ოცზე მეტი ასეთი სასწავლებელი არსებობდა და მათი რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. „საშუალო განათლების" დამთავრების შემდეგ 15 წელს მიღწეული ყმაწვილები უმაღლეს სასწავლებლებში განაგრძობდნენ განათ-

ლების მიღებას. იყო სპეციალიზებული უმაღლესი რიტორიკული სასწავლებლები, სადაც დეკლამატორ-ორატორებს ამზადებდნენ. რესპუბლიკურ პერიოდში ისინი საკმაოდ მძლავრ პოლიტიკურ ძალას შეადგენდნენ. ორატორები „წარმართავდნენ მოქალაქეთა გონს და ამშვიდებდნენ მათ გულებს". მათი მოღვაწეობის ძირითად ასპარეზს სასამართლოები შეადგენდა, სადაც ისინი ან მსჯავრმდებლების, ან დამცველების როლში გამოდიოდნენ. რომში უამრავი სასამართლო საქმეები იყო წარმოებაში, დიდი იყო მოსამართლეების რიცხვი. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლები ჰქონდათ დამთავრებული იმ დროის რომის გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებს, ადვოკატებს, მწერლებს, პოეტებს. აქედან ნათლად ჩანს, რომ რომაული, მათ შორის უმაღლესი განათლების სისტემამ შეასრულა მის წინაშე მდგარი პრაქტიკული ამოცანები. რიტორიკული სკოლის მოსწავლენი ღებულობდნენ კარგ საერთო- ჰუმანიტარულ და მათ შორის მუსიკალურ განათლებას (ნიშანდობლივია, რომ ახ. წ. III-IV საუკუნეებში საქართველოში, კერძოდ, ქალაქ ფასისში არსებულა ამ ტიპის უმაღლესი სასწავლებელი, რიტორიკული სკოლა). სკოლადამთავრებული ჭაბუკი მზად უნდა ყოფილიყო ჩამდგარიყო ქვეყნის მართვასა და მისი სამხედრო ძლიერების განმტკიცების სახელმწიფოებრივ საქმეში.

ამგვარად, რომაული უმაღლესი განათლების სისტემის საფუძველს რიტორიკა წარმოადგენდა. საჯარო დებატებში გამოსვლები განსაზღვრავდა ამა თუ იმ პიროვნების წარმატებას საზოგადოებაში. სენატის სხდომებზე, სასამართლო კომისიებზე, რომაელს უნდა შეძლებოდა მგზნებარე სიტყვით მიემართა თავისი მსმენელებისათვის. ორატორებმა არაერთი ლათინური ორატორული ხელოვნების ნიმუში შექმნეს.

გამოჩენილი რომაელი ორატორების რიცხვს მიეკუთვნებიან: გაიუს გრაკხუსი, მარკუს ანტონიუსი (მომავალი ტრიუმვირის პაპა), ლუციუს ლიციინიუს კრასუსი, გაიუს იულიუს კეისარი, მარკუს იუნიუს ბრუტუსი და სხვ. რომაული რიტორიკის ფუძემდებლად ციცერონია მიჩნეული. მან განსაკუთრებული წელილი შეიტანა გვიანი რესპუბლიკის კულტურის განვითარებაში და, აგრეთვე, დიდია მისი ღვაწლი ლათინური ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შემუშავებაში.

რელიგია. რომაული სამოქალაქო თემის, განვითარებულ კანონმდებლობასა და სამხედრო ხელოვნებასთან ერთად, საფუძველს ქმნიდა სახელმწიფოებრივი რელიგია. ის აუცილებელია ამ საზოგადოების ყოველი წევრისათვის, რაც იურიდიული თვალსაზრისითაც დაცულია. სახელმწიფო კულტების თაყვანისცემა კანონიზებული იყო და მითოლოგიას, პოეზიას, საკულტო ხელოვნებას თავისი კუთვნილი ადგილი ჰქონდა მიჩნეული. ეს მოითხოვდა რელიგიური წესების, ჩვეულებების, რიტუალის კანონიკურ შესრულებას. რომაული, ლათინური ცნება „religio," უპირველეს ყოვლისა, გამოხატავდა ღვთიური ძალებისადმი დამოკიდებულების გრძნობასა და მისი მფარველობის მადლს, რაც წეს-ჩვეულებების, რიტუალის ზუსტ დაცვაში, მის უნაკლო შესრულებაში გამოიხატებოდა. თუ თავდაპირველად რომაული პოლითეისტური რელიგია ეროვნულ ხასიათს ატარებდა, საზღვრების გაფართოებასთან ერთად სულ უფრო და უფრო განიცდიდა სხვა კულტურების ზეგავლენას, კერძოდ, ბერძნული და ეტრუსკული რწმენა-წარმოდგენებისა. პოლიტიკური საზღვრების გაფართოებასთან ერთად, რომის სახელმწიფოებრივმა რელიგიამ ინტერნაციონალური იერ-სახე მიიღო. მისთვის არც, ე. წ. აღმოსავლური ნაყოფიერების კულტები იყო უცხო.

ღვთაებებთან დაკავშირებული წესები, რიტუალი მკაცრად არის განსაზღვრული, ე. წ. საღვთისმეტყველო წიგნებში (libri rituales), რომლებიც ქურუმთა განკარგულებაშია. ბერძნული გავლენით ვრცელდება რომში „წინასწარმეტყველთა წიგნები", „ორაკულები", „libri Sibilini" და სხვ., რომლებსაც სპეციალური კოლეგიები მართავდნენ. ეტრუსკების მეშვეობით ერცელდება სამსხვერპლო ცხოველების შიგნეულზე მარჩიელობის წესი (harisficina). რესპუბლიკის პერიოდისათვის განსაკუთრებით ძლიერდება ბერძნული კულტების შემოჭრა რომაულ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში. რომაული ღვთაებებიც იღებენ ადამიანურ იერს. ნაცვლად მორიდებული იერის საკურთხეველებისა (arae) და ხატებისა (fana) იგება დიდებული ტაძრები, შესაბამისი ბერძნული ლიტურგიკით. არისტოკრატიული ზედა ფენებისაგან განსხვავებით, რომელთაც ბერძნული განათლება ჰქონდათ მიღებული, ხალხთა ფართო მასები კვლავ ინარჩუნებდნენ მამა-პაპათა რჯულს, ოფიციოზის წარმოდგენით კი ცრურწმენებს.

თუ ადრეულ ხანაში რომაელი ახალგაზრდის აღმზრდელი და დამრიგებელი ოჯახის მამა იყო, ის აზიარებდა ყმაწვილებს წერა-კითხვას, მათემატიკას, ადათ-წესებს, ძვ. წ. II საუკუნიდან სწავლა-განათლების სისტემა გაფართოვდა. საზოგადოებასა და ოჯახებში ჩნდებიან ბერძენი მასწავლებლები. 60-იანი წლებიდან რომში ბერძნული სკოლები იხსნება. რომაული მწიგნობრობის ლიტერატურისა და ფილოსოფიური აზროვნების ჩამოყალიბება-განვითარებასთან ერთად ჩნდება სკოლებში მილიტარიზებული ლათინური განათლების ტენდენციები, თუმცა, ძველი ადათ-წესების მომხრე რომაელთა (მაგ., უფროსი კატონის) პროტესტი ეელარ აიბრკოლებდა რომაელი ახალგაზრდების სწრაფვას ელინისტური შრავალფეროვანი და ღრმა განათლების მიღებისადმი. რომაელებს განათლების გარეშე ვერ წარმოედგინათ კულტურული ადამიანი.

რომაულ რელიგიაში ელინიზაციის პროცესი, ბოლოს და ბოლოს, ბერძნული ოლიმპიური პანთეონის ოფიციალური ცნობით დამთავრდა. თორმეტ ოლიმპიურ ღმერთს მიეკუთვნებოდნენ: იუპიტერი (ზევსი), იუნონა (გერა), ნეფტუნი (პოსეიდონი), მინერვა (ათინა), მარსი (არესი), ვენერა (აფროდიტე), დიანა (არტემიდე), ვულკანი (ჰეფესტო), ვესტა (ჰესტია), მერკური (ჰერმესი), ცერერა (დემეტრა) და აპოლონი, რომელსაც თაყვანს სცემდნენ რომში. ოლიმპიურ ღვთაებებთან ერთად რომში სხვა ბერძნული კულტებიც ჩნდება. ახალი რელიგიური წესები კანონდებოდა სენატში, ე. წ. ცივილური წიგნების საფუძველზე. უზენაესი ღვთაება იუპიტერი განაგებდა ყველა დიდი მნიშვნელობის საქმეს კოსმოსის მასშტაბით, ის, ისევე როგორც ბერძენთა ზევსი, არ გამოირჩეოდა ზნეობრივი სრულყოფით. მის მხოლოდ ძალას ეთაყვანებოდნენ. იუპიტერის ეპითეტი „სიხარულის მომნიჭებელი" მიგვანიშნებს მის დიდ მნიშვნელობაზე რომაელთა ცხოვრებაში. მისი ქალიშვილია მინერვა (ათინა) მეომრული ბუნების სიბრძნისა და რთვა-ქსოვის ბერძნული ღვთაება. ჰერმესი ვაჭრებისა და ქურდების მფარველი მერკურიოსად. მიუხედავად იმისა, რომ ის რიტორთა და მოგზაურთა ღვთაებაც იყო ოლიმპიურ იერარქიაში მან დაბალი საფეხური დაიკავა. მას რომაელები თაყვანს სცემდნენ როგორც ღმერთების უბრალო თანამემწესა და მოციქულს, კონკრეტულ ვითარებაში იუნონა იუპიტერის დაც იყო და ცოლიც. ის ისეთივე ეჭვიანი და შურისმაძიებელია, როგორც ბერძნული ჰერა. ვენერა, სიყვარულის ქალ-ღმერთი, ენე-

ასის დედა აფროდიტეს შეესაბამება. მუდმივი წესრიგის გარკვეულ ეტაპზე ის ვულკანის (ჰეფესტო) მჭედელ ღვთაების მეუღლე ხდება. ის ჭედდა იუპიტერისთვის ელვის კონებს. რომაელთა ღმერთებიც ოლიმპზე ბინადრობდნენ, თუმცა, რომაული აიდი (ჰადესი) აქვე იყო მიწისქვეშეთში. იქ ბინადრობდა პლუტონი, მკვდრეთის მეუფე. რომაელებს სწამდათ, თუ ისინი კეთილსინდისიერად შეასრულებდნენ რიტუალებს, მათი ვედრება შესმენილი იქნებოდა, მათ ქვეყანას საიმედოდ დაიცავდნენ მფარველი ღმერთები. ისინი ხომ ყოველთვის ამარცხებდნენ უცხოელების ღვთაებებს!

რომის მმართველებს კარგად ესმოდათ რელიგიის მნიშვნელობა სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში. ავგუსტუსი თავად ჩაუდგა სათავეში ქურუმთა კოლეგიას, როგორც „პონტიფექს მაქსიმუს ავგური" (Pontex Maximus Augur) დაამყარა რა პირდაპირი კავშირები რელიგიასა და საიმპერატორო ხელისუფლებას შორის. დაიწყო იმპერატორების გაღმერთების პროცესი, ასტროლოგების და მისტერიების პოპულარიზაცია, რამაც საერთო-პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე მიიყვანა რომი სახელმწიფო რელიგიის დაცემასა და ქრისტიანობის ტრიუმფალურ აღზევებამდე ახ. წ. IV საუკუნეში.

არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება. ძვ. წ. III-II საუკუნეები რომაული არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების მზარდი განვითარების პერიოდია. ერთ-ერთ უძველეს ნაგებობას წარმოადგენდა ქალღმერთ ვესტას მრგვალი ტაძარი, რომელიც თავისი არსით ეხმაურებოდა არა მარტო ეტრუსკული მონუმენტური საფლავების დაგეგმარებას, არამედ ენეოლითური ეპოქის ოვალურ საცხოვრებლებსაც მოგვაგონებდა. ეტრუსკული ტრადიციების მიხედვით აშენდა იუპიტერის ტაძარი კაპიტოლიუმზე (3.300 კვ.მ.). რომაული არქიტექტურა ადრეული ეტაპიდანვე განიცდიდა ბერძნული ხუროთმოძღვრების გავლენასაც.

საინტერესოა ავენტინის ბორცვზე აშენებული ტაძარი, რომელიც პლებეურ სამეულს – ცერერას, ლიბერსა და ლიბერას მიეძღვნა. ტაძარი თავისი გეგმარებით ეტრუსკულ-იტალიკურია, ხოლო დეკორირებულია ბერძნულ სტილში. ასევე ადრეულ ხანაშივე დაიწყეს რომში პრაქტიკული საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობების შენებლობა. გალების შემოსევის შემდეგ რომს ქვის გალავანი შემოავლეს. უფრო ადრე, ჯერ კიდევ მეფეების ეპოქაში, რომაელებ-

მა მთავარი საკანალიზაციო არხი გაიყვანეს. შემდგომ აშენდა აკვედუკები (წყალგაყვანილობები), ხიდები, გაიყვანეს გზები. რომაული სამშენებლო ტექნიკის გამორჩეული თვისება ყველა ნაგებობის, წყალ-გაყვანილობისა თუ ფილაქნიანი გზების განსაკუთრებული სიმტკიცე და გამძლეობა იყო. არქაული ხანის რომი თავისი გარეგნული იერით, დიდხანს რჩებოდა ხის სახლებით განაშენიანებულ დაბის ტიპის დასახლებად. ძველი რომაული სახლი ერთსართულიანი იყო. მის ცენტრში მდებარეობდა დიდი ოთახი – ატრიუმი, რომელშიც განთავსებულია ოჯახის სალოცავები და კერა. იქვე ჭყობოდა აუზი წვიმის წყლის შესაგროვებლად. ატრიუმის გარშემო კი საძინებელი ოთახები იყო განლაგებული. ძვ. წ. II საუკუნისათვის მომხდარმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ძვრებმა ძირეულად შეცვალა რომაული სახლისა და თვით ქალაქის იერი. მართალია საცხოვრებელი შენობების გეგმა ძირითადად იგივე დარჩა, მაგრამ სახლები უკვე დიდი ორ და სამსართულიანი შენდება. კოლონებით შემკული ატრიუმი სასტუმრო ოთახად იქცა, რომლის უკან განლაგებული იყო სასადილო, საძინებლები, აბაზანა, დახურული ეზოები და ბაღები, რომლებიც კოლონებითა და ქანდაკებებით იყენენ შემკული. კედლები მოხატულია და ფრესკებით შემკული. შესაბამისად თანდათან იცვლებოდა მთელი ქალაქის განაშენიანება. ფორუმი კარგავდა სოფლური ბაზრის იერს, რომელიც გარშემორტყმული იყო საუკეთესოებითა და საქონლის სადგომებით. იგი გადაიქცა დიდი ქალაქის ცენტრალურ მოედნად, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად, რომელსაც გარს ერტყა ტაძრები და საზოგადოებრივი ნაგებობანი. ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისში აიგო ბაზილიკები – საზოგადოებრივი ნაგებობანი, სადაც იმართებოდა სასამართლო სხდომები, იდებოდა საუკეთესო გარიგებები, პოლიტიკური თავყრილობები. მოქალაქეები აქ უბრალოდ თავს აფარებდნენ წვიმასა თუ მცხუნვარე მზეს. ძვ. წ. II საუკუნის დასაწყისიდან გამარჯვებული სარდლები ამკობდნენ ქალაქს ტრიუმფალური თაღებით, რომლებსაც დეკორატიულ-მემორიალური დანიშნულება ჰქონდათ. ფორუმზე გადიოდა ძველი სავაჭრო გზა. „Sacra via“, რომელიც გაცხოველებულ სავაჭრო რიგს წარმოადგენდა. აქ მდებარეობდა საუკეთესო ქულბაქები, სახელოსნოები და სხვა.

რომის სამოქალაქო ცხოვრების ცენტრს ფორუმი წარმოადგენდა. მისი სიგრძე 640 მეტრი იყო, ხოლო სიგანე 215 მეტრს აღწევდა. ის

არა მარტო საბაზრო, საუაჯრო მოედანს, არამედ მოქალაქეთა საჯარო თავშეყრის საყვარელ ადგილსაც წარმოადგენდა. აქ ტარდებოდა სადღესასწაულო საზეიმო შეხვედრები, ეწყობოდა სახალხო სეირნობები, ხდებოდა ინფორმაციის, ახალი ამბების გაცვლა. აქ უძველესი დროიდან იდგა გადახურული ნაგებობა „საბჭო სახლი" (curia Hostilia), სადაც შემდგომ სენატის სხდომები იმართებოდა. სამხრეთის მხრიდან, მას ეკვროდა „ორატორთა ადგილი". ძვ. წ. II საუკუნეში ფორუმზე ტარდებოდა ხალხმრავალი სახალხო კრებები. ფორუმის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობდა „რომულის აკლდამა" და იანუსის ტაძარი, დასავლეთით ვულკანის, სატურნის, კინკორდის (თანხმობის) ტაძრები. სამხრეთით ვესტასა და ვეგიას ტაძრებთან მდებარეობდა ქურუმთა უზენაესი კოლეგია და პონტიფეკს მაქსიმუსის რეზიდენცია. ძვ. წ. I საუკუნის ბოლოსათვის სახალხო კრებები მარსის ველზე იქნა გადატანილი, რის გამოც ფორუმმა დაკარგა თავისი პოლიტიკური მნიშვნელობა. გაჩნდა რამდენიმე საიმპერატორო ფორუმი (Fora Caesarum).

როგორც ცნობილია, რომაულ არქიტექტურაზე უზარმაზარი გავლენა იქონია ელინურმა საშენებლო ტრადიციამ. ქვის წყობა, მოპირკეთება და დეკორი ბერძნულ ყაიდაზე კეთდებოდა. რომაელი არქიტექტორები იყენებდნენ სამივე ელინურ ორდერს – დორიულს, იონურსა თუ კორინთულს, მაგრამ უპირატესობა ეძლეოდა კორინთულ ორდერულ სისტემას. რომაული არქიტექტურის წარმატებებზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმ ფაქტითაც, რომ ძვ. წ. 174 წელს რომაელმა არქიტექტორმა კოსუტიუსმა დაასრულა ათენის ოლიმპიონის რეკონსტრუქცია.

რესპუბლიკის გარიჟრაჟზე ჩნდება რომში შენობების ქანდაკებებით შემკობის ტრადიცია. ამ პერიოდში დაიდგა იუპიტერის ტერაკოტის დიდი ქანდაკება კაპიტოლიუმის ტაძარში. მასიურად დაიწყო ღმერთებისა და გმირების ქანდაკებების დადგმა იტალიის ტაძრებში.

დაპყრობილი ბერძნული ქალაქებიდან ძვ. წ. III-II საუკუნეებში რომაელებმა გამოზიდეს ცნობილი ბერძენი მოქანდაკეების უამრავი სკულპტურა, რომლებიც ამკობდნენ თავიანთ ტაძრებს რომში, სხვა საზოგადოებრივ შენობებსა და კერძო სახლებს. ამასთანავე, რომაელებმა ვერ შექმნეს ვერც ერთი ორიგინალური ქანდაკება. ისინი ბერძნული ქანდაკებების პირების, ასლების დამზადებით

მაყოფილდებოდნენ. რომაელთა დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს სკულპტურის ორი მიმართულების — „დაბურული ქანდაკებისა“ და რეალისტური პორტრეტის განვითარება. ბერძნული გაშიშვლებული სკულპტურების საწინააღმდეგოდ რომაელები ქმნიან, ე. წ. „დაბურულ ქანდაკებებს“, რომლებიც რომაელი მოქალაქის ამბიციების, ღირსებისა და დიდების შესაბამისად მაყურებლის წინაშე ტოგებში წარმოჩინდებოდნენ.

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ძველ რომში მხატვრობა, რომელსაც უძველესი ტრადიციები ასაზრდოებდა. ძვ. წ. III საუკუნის ბოლოთი თარიღდება კედლის ფრესკული ფერწერა, რომელიც ესკვილინის ბორცვზე აღმოჩენილი ერთ-ერთი მდიდრული სამარხის კედლებს ამშვენებდა. უნდა აღინიშნოს, რომ რომაულ ფერწერას, ისევე როგორც რომაულ სკულპტურას, ახასიათებდა ღრმა რეალიზმი. რომაული მხატვრობა აგრძელებდა ეტრუსკულ-ოსკოსამნიტურ უძველეს ფერწერულ ტრადიციებს.

სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის განვითარება რესპუბლიკის უკანასკნელ ასწლეულში იმავე კალაპოტში მიემართებოდა, როგორშიც წინამორბედ ხანაში. ძლევამოსილი დაპყრობითი ომების მეშვეობით რომში მოედინებოდა უზარმაზარი ქონება, რომლის დიდი ნაწილი ხმარდებოდა ახალი შენობა-ნაგებობების მშენებლობას. რომს აღარ აკმაყოფილებდა წყლითმომარაგების ძველი სისტემა. ძვ. წ. II საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში ქალაქში ორი ახალი გრანდიოზული წყალგაყვანილობის სისტემა აშენდა. ქალაქს 19 აკვედუკი აწვდიდა სასმელ წყალს. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ სულას, პომპეუსისა და იულიუს კეისრის მიერ აგებული სახლები. აღსანიშნავია პომპეუსის მიერ აშენებული უზარმაზარი (10 ათას მაყურებელზე) მთლიანად მარმარილოთი მოპირკეთებული თეატრონი. ავგუსტუსის დროს ქალაქს 800 საცურაო აუზი, ათეულობით კეთილმოწყობილი თერმა ჰქონდა. მარტო ტიბრზე აგებული იყო ქვისთაღებიანი მონუმენტური ხიდები, რომელთა ნაწილმა დღემდე მოაღწია. ქალაქს ემსახურებოდა სახანძრო რაზმები და პოლიცია.

რეალისტური პორტრეტის ხელოვნებაში რომაელები კვლავ ინარჩუნებდნენ თვითმყოფადობას. ამ დროს შეიქმნა მთელი რიგი ისტორიული პირების შესანიშნავი ქანდაკებები – პომპეუსის სკულპტურული პორტრეტი, ციცერონის ბიუსტი, იულიუს კეისრის

ბიუსტი და სხვა. ამავე პერიოდში ჩნდება რომაელი ქალის ინდივიდუალური პორტრეტული ნიმუშები.

ძვ. წ. I საუკუნიდან სულ უფრო ფართოდ ვრცელდება კედლის დეკორატიული მოხატულობა. ჩვენამდე მოაღწია ამ ეპოქის კედლის მხატვრობის შესანიშნავმა ნიმუშებმა კამპანიის ქალაქ პომპეიდან (Pompeji ნეაპოლის მახლობლად).

მხატვრული სტილი კარგად გამოიკვეთა არქიტექტურისა და პლასტიკური ხელოვნების ძეგლებში. რესპუბლიკური მმართველობის ბოლოდან იწყება მასშტაბური მშენებლობების ერა, რომელიც იმპერიის დაცემამდე გრძელდებოდა. რაც აქამდე ამ მხრივ გაუკეთებიათ წინამორბედ თაობებს, ახლოსაც ვერ მოვა იმპერიის პერიოდთან რაოდენობის, გრანდიოზულობისა და ბრწყინვალების მხრივ. იმპერიის დროინდელი შენობები, რომლებიც გამოირჩეოდნენ თავისი მასშტაბურობითა და მრავალფეროვნებით, იქმნებოდა სახელგანთქმული მხატვარ-არქიტექტორების მიერ ძვირფასი სამშენებლო მასალებისაგან, უმეტესად მარმარილოსაგან, რაც შეესაბამებოდა საზოგადოების განვითარების დონეს. ფორმების დახვეწილობით, ოსტატობითა და სინატიფით გამოირჩევა იმპერიის ეპოქის პლასტიკური და სახვითი ხელოვნების მრავალრიცხოვანი ნიმუში.

იმპერატორ აგუსტუსის დროს აშენებულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს შორის განსაკუთრებული მხატვრული ღირებულებით გამოირჩევა: „მშვიდობის საკურთხეველი", „მავზოლეუმი" — ულამაზესი პარკით გარშემორტყმული აგუსტუსისა და მისი ოჯახის აკლდამა და სხვ. შენობები შემკული იყო მაღალმხატვრული დეკორით, ბარელიეფებით, რელიეფებითა და ქანდაკებებით. ნაგებობის უმეტესი ნაწილი შენდებოდა თვით პრინცეპსის ან მისი მეგობრების პირადი თანხებით. აგუსტუსის მეგობრების მიერ აშენებულ ნაგებობათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს: აგრიპას „პანთეონი", რომელმაც ჩვენ დრომდე აპოლოდორის მიერ (II ს.) რესტავრირებული სახით მოაღწია, აგრიპას საზოგადოებრივი აბანოები (თერმები), აგუსტუსის სიძის, მარცელიუსის თეატრი, რომელიც ახლად რესტავრირებული პომპეუსის თეატრის გვერდით მდებარეობდა და სხვ. ყველა იმდროინდელი გრანდიოზული ნაგებობის ძირითადი იდეური დატვირთვა იყო – რომისა და მისი გაღმერთებული პრინცეპსის აგუსტუსის სიდიადე.

პრინციპატის ეპოქაში საზოგადოებრივ ნაგებობებთან, ტაძრებთან, სასახლეებთან და პორტიკებთან ერთად მრავლად შენდებოდა კერძო შენობებიც (palatia), რომლებიც გამოირჩეოდნენ ინტერიერისა და ექსტერიერის სიმდიდრით. ასეთი სახლები გაწყობილი იყო ძვირფასი ფეიჯითა და ფუფუნების საგნებით.

რომაულმა ბეტონმა გადატრიალება მოახდინა სამშენებლო ხელოვნებაში. ყველაზე მეტად თავისი თვითმყოფადობა რომაელებმა ამ დარგში გამოამჟღავნეს. რომაული არქიტექტურის ერთ-ერთ ორიგინალურ კონსტრუქციულ მიგნებას თაღების სხვადასხვა ნაირსახეობის გამოყენებას თვლიან. თაღები (კამარები) შენდებოდა ნახევარწრიული, ოთხკუთხა, ჯვარედინი და გუმბათოვანი. თაღები საშუალებას აძლევდა რომაელ არქიტექტორებს მრავალსართულიანი შენობები ეშენებინათ. იმპერიის პერიოდის რომში მრავალი თვალსაჩინო ნაგებობა აშენდა. მათ შორის აღსანიშნავია ძმვიდობის ტაძარი და ფლავიუსის კოლიზეუმი (Colosseum) – უზარმაზარი ამფითეატრი, რომელიც 90 ათასამდე მაყურებელს იტევდა. მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია გაუკეთდა კაპიტოლიუმს, იგი შეამკეს მრავალი სურათითა და ქანდაკებით. ასევე მონუმენტურია ტრაიანესა და მარკუს ავრელიუსის კოლონები, ტიტუსის ტრიუმფალური თაღი რომში, მარკუს ავრელიუსის ტრიუმფალური თაღი ტრიპოლიში, ადრიანეს კარიბჭე ათენში და სხვ.

საზოგადოებრივი და კერძო შენობები იმკობოდა სკულპტურებით – იმპერატორების, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეების, ვილებისა და სახლების მფლობელების, მათი ნათესავებისა და ახლობლების გამოსახულებებით. მხოლოდ რომში იდგა იმპერატორების 4 ათასი ბრინჯაოს ძეგლი. იმპერატორების ვილების არქიტექტურულ სტილზე წარმოდგენას გვიქმნის ტივოლიში ჰადრიანეს ვილა, რომელიც თვალნათლივ გვიჩვენებს თუ რა სიმაღლეებს მიაღწია რომაულმა სამშენებლო ხელოვნებამ, მხატვრულ-დიზაინურმა ფანტაზიამ და სიმდიდრემ. ვილა თავის მიდამოთი 15 კილომეტრზე იყო გადაჭიმული. აქ მოთავსებული იყო ყველაფერი საუკეთესო, რაც კი რომაულ სამყაროში არსებობდა: ულამაზესი ბაღები, შადრევნები, ბიბლიოთეკები, თეატრები, აკადემია, ჭრელი გალერეა და მრავალი სხვა.

სამშენებლო ხელოვნების ძეგლები, ქანდაკებები და სახვითი ხელოვნების ნიმუშები ცენტრის გარდა, იქმნებოდა პროვინციებშიც.

აიგო ზეესის კოლოსალური ტაძარი ათენში, აგრეთვე უზარმაზარი ბიბლიოთეკა და სხვა ნაგებობანი კარიაში, ჰელიოპოლსა, პეტრასა და რომის იმპერიის სხვა კუთხეებში. აღმოსავლეთ პროვინციებში ბერძნულ-რომაული სტილი აღმოსავლურს ერწყმოდა. გემა, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება, ზედა ნაწილში პრინცეპსი გამოსახულია იუპიტერის სახით, მას გარს არტყია ნეპტუნი, კიბელა და სხვა ნაყოფიერების ქალღმერთები; ქვედა მეორე ნაწილი ასახავს ტიბერიუსის გამარჯვებას პანონიელებზე.

მდიდარი ვილების კედლებს, კოლონებსა და იატაკებს ამკობენ ნატიფი ორნამენტით, დეკორატიული მხატვრობითა და ფერადი მოზაიკით. ამის შესანიშნავი ნიმუშია რომის გარეუბანში აშენებული პრინცეპსის მეუღლის, ლივიას ვილის დეკორატიული მოკაზმულობა. მოზაიკური ნამუშევრების მრავალი ნიმუში შემორჩა პომპეის შენობების კედლებსა და იატაკებზე. მაგალითად, ცნობილი ფრესკები „ბახუსის მოცეკვავე ქურუმი ქალები", „მეღვინეები", „ბაგირზე მოცეკვავენი", „მსახიობთა ნიღბები" და სხვ.

უნიკალურია რომაული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, მაღალმხატვრული გამოსახულებები ვაზებზე, თასებსა და სხვადასხვა სასმისზე. ერთ-ერთი უმდიდრესი კოლექცია მომდინარეობს იტალიის სოფელ ბოსკორეალედან (ძველი პომპეის მახლობლად). აქ აღმოჩენილი ნივთები ნათლად მეტყველებს ძველი რომაული საზოგადოების ნატიფ გემოვნებასა და სიმდიდრეზე. როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებულ წარმატებას რომაელმა მხატვრებმა და მოქანდაკეებმა პორტრეტების შექმნაში მიაღწიეს. ადამიანის პორტრეტის შექმნის დროს იდეალიზებულისა და რეალური ნაკვთების შერწყმის შედეგად, რომაული პორტრეტი წარმოგვიდგება როგორც ნახევრად რეალისტური. ასეთია, მაგალითად, ავგუსტუსის ცნობილი ქანდაკება (იმპერატორი მიმართავს არმიას). პორტრეტული მსგავსების შენარჩუნებასთან ერთად, ქანდაკება გამოირჩევა უმაღლესი ხელისუფალისთვის დამახასიათებელი იდეალური ნიშან-თვისებებით – დარბაისლური დიდებული იერით, ფოლადისებური ნებისყოფისა და იმავდროულად რბილი, ჰუმანური გამომეტყველებით. იმავე მხატვრული მეთოდებით არის შესრულებული იმპერიის ეპოქის მრავალი პორტრეტი – იულიუს კეისრის, ციცერონის, ლივიას, აგრიპასა და განსაკუთრებით ბავშვების პორტრეტები, რომლებშიც უხვად გამოსჭვივის უშუალობა, თვითმყოფადობა და რეალიზმი.

რომაული სამართალი. ადრეული რესპუბლიკის ეპოქაში ჩაეყარა საფუძველი ცივილურ სამართალს. დიდი მნიშვნელობა პქონდა ძვ. წ. 242 წელს მეორე პრეტორის თანამდებობის შემოღებას, რომელიც განაგებდა იურიდიულ საქმეებს რომის მოქალაქეებსა და უცხოტომელებს შორის. ამის შედეგად არსებული ძველი ცივილური სამართლის პარალელურად თანდათან შეიქმნა, ე. წ. საერთო-სახალხო სამართლის ნორმები (jusgentium). რესპუბლიკის უკანასკნელი ასწლეულისათვის იურისპრუდენცია გამოვიდა პონტიფიკების დაქვემდებარებიდან. იგი გადაიქცა განსაკუთრებულ სამეცნიერო დისციპლინად, რომელიც შეისწავლებოდა სპეციალისტების მიერ. იურისტის პროფესია პატუსაცემად ითვლებოდა. დიდი ცვლილებები მოხდა ამ ეპოქაში სამოქალაქო სამართალშიც. ამ დროის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე იყო საკუთრებისა და მფლობელობის გამიჯვნა. ცვლილებები განიცადა საკუთრების ფორმებმა, საოჯახო სამართალმა და სხვ. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების, საუაჭრო გარიგებების რაოდენობის, საკრედიტო ოპერაციების, მიწის ყიდვა-გაყიდვის მოცულობისა და სხვა საქმიანი ოპერაციების და შეთანხმებების ზრდამ, ხელი შეუწყო რომაული სამოქალაქო (ius civili) და საერთაშორისო (ius gentium) სამართლისა და სასამართლო პროცედურების შემდგომ სწრაფ განვითარებას.

რომაული სამართალი იქმნებოდა ძირითადად სასამართლო პრაქტიკის, მაგისტრატებისა და სენატის გადაწყვეტილებების მეშვეობით, აგრეთვე კანონების საკამათო ან ბუნდოვანი საკითხების გარშემო ავტორიტეტული იურისტების კომენტარებისა და გამონათქვამების საფუძველზე. დროთა განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა სასამართლო კაზუსების რაოდენობა, დაგროვდა ურთიერთგამომრიცხავი ედიკტები და გადაწყვეტილებები, რაც უარყოფითად მოქმედებდა სასამართლო პრაქტიკაზე. ამიტომ ჯერ კიდევ იულიუს კეისრის დროს გაჩნდა მოსაზრება იურიდიული კაზუსების სისტემატიზაციისა და კანონთა კრებულის შექმნის შესახებ. ამ მოსაზრებამ ხორცშესხმა პოვა იმპერატორ ავგუსტუსის დროს. ავგუსტუსით იწყება რომაული სამართლის სისტემატიზაცია, რამაც ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა ცნობილი რომაული სამოქალაქო კოდექსების (corpus iuris civilis) შექმნას. იურისტებს შორის არსებობდა სხვადასხვა მიმართულებები და სკოლები. ავგუსტუსის

დროს არსებობდა ორი გაელენიანი იურიდიული სკოლა – ანალოგისტების და ანომალისტების. პირველს სათავეში ედგა სახელგანთქმული იურისტი ლაბეონი (Quintus Antistius Labeo), მეორეს კი ასევე ცნობილი პიროვნება კაპიტონი (Capito). ლაბეონის კალამს მიაწერენ 400-ზე მეტ ნაშრომს. მისი მიმდევრები გამოირჩეოდნენ შედარებით ლიბერალური პოზიციებით. კაპიტონის მიმდევრები კი პირიქით, ცნობილი იყვნენ თავიანთი კონსერვატიზმითა და შეურიგებლობით კანონებში რაიმე სიახლისა თუ ამა თუ იმ კანონის შესახებ განმარტებებისა და კომენტარების მიმართ.

სრული სახით რომაული სამოქალაქო სამართალი ჩამოყალიბდა ახ. წ. II-III საუკუნეებში, ანტონინებისა და სეველრების დროს, დიდი კლასიკური იურისპრუდენციისა და იურისტების ეპოქაში. მართლმსაჯულება, სასამართლო ხელისუფლება რომში ჯერ კონსულების და მერე პრეტორების ხელში იყო. ის შედგებოდა ორი ნაწილისაგან, პირველი – წინასწარი გამოძიება და მეორე – საქმის გარჩევა სასამართლოში. სასამართლო ჩვეულებრივ რამდენიმე მოსამართლისგან შედგებოდა. ქალაქის პრეტორი ყოველწლიურად ამტკიცებდა საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე ნაფიც მსაჯულებს. დიდი ხნის განმავლობაში მოსამართლეებს სენატორებიდან ირჩევდნენ, შემდეგ კი მხედართა და ტრიბუნების წრიდანაც. თუ მანამდე სასამართლო პროცესები ფორუმზე მიმდინარეობდა, ცეზარის დროიდან საგანგებო სასამართლო შენობები — ბაზილიკები იგებოდა. გაყოფილი ჰქონდათ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების წარმოება. ყველაზე მძიმე დანაშაულად სამშობლოს ღალატი ითვლებოდა, რისთვისაც სიკვდილით სჯიდნენ. ვესტალებს, ვესტის ტაძრის ქურუმ ქალებს უბიწოების დაკარგვის გამო ცოცხლად მარხავდნენ.

რომაული ლიტერატურა. უძველესი დროიდან, ხალხური შემოქმედებიდან იღებს სათავეს რომაული პროზა და პოეზია. პირველი ტრაგედია ლათინურ ენაზე დაიწერა ძვ. წ. III საუკუნეში ლივიუს ანდრონიკუსის მიერ. ის ითვლებოდა პირველ რომაელ პოეტად (წარმოშობით მონადყოფილი ბერძენი). მან თარგმნა ბერძნულიდან „ოდისეა". მისი თანამედროვეა გნეუს ნევიუსი — ეპიკური მწერალი, დრამატურგი, ეპიკური ნაწარმოებების შემქმნელი პირველ პუნიკურ ომზე, რომის ისტორიაზე. გამოირჩეოდა თავისი დემოკრატიული სულისკვეთებით. ძვ. წ. III-II საუკუნეების

ბიჯნაზე პოპულარული იყო პოეტი კვინტუს ენიუსი, ავტორი „ეამთა აღწერის“. III საუკუნის მიწურულში პოპულარულია უმბრიის მკვიდრის ტიტუს მაქციუს პლავტუსის კომედიები: „ამფიტრიონი“, „სახედრები“, „ბაქია ჯარისკაცი“, „მოჩვენება“, „კურკულიონი“ და სხვ. ის ითვლება ერთ-ერთ ყველაზე უფრო ცნობილ რომაელ მწერლად. მის დროს ჩამოყალიბდა რომის ძირითადი პოლიტიკური დოქტრინა, რომლის თანახმადაც რომაელი ხალხი (populus Romanus) ერთიანია თავის მისწრაფებებსა და ინტერესებში, სურვილებში და მაღლა დგას ყველა სხვა ერებზე თავისი სიქველის, ხიმამაცის (vitrus) გამო (ამ სახელმწიფო იდეოლოგიის პირველი ლიტერატურული გაფორმება დაკავშირებულია პოეტ კვინტუს ენიუსის სახელთან).

პლავტუსის კომედიებს აშკარად ეტყობა ახალატიკური კომედიების გავლენა, რომლებიც კლასიკური ეპოქის პოლიტიკური კომედიებისაგან განსხვავებით, ყოფით თემაზე შექმნილ სიუჟეტებს წარმოადგენენ. პლავტუსს, გაკოტრებულ ვაჭარს და მეწისქვილეს, არ ჰყოლია მფარველი არისტოკრატი მეცენატები. მისი შემოქმედებითი წარმატება დამოკიდებული ყოფილა მასიურ მაყურებელზე ანუ ქალაქის პლებსის მასებზე. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ პლავტუსის კომედიები „ამფიტრიონი“ და „ბაქია ჯარისკაცი“. იტალიურ ჟურჟულზე შესრულებული მოხატულობის მეშვეობით, სურათებმა ამ კომედიებიდან ჩვენამდეც მოაღწია. ფაქტობრივად პლავტუსმა შექმნა ლათინური კომედიის ენა, რომელიც გამოირჩეოდა თავისი ხალხურობით, სისხარტითა და მრავალფეროვნებით. პლავტუსის კომედიების სიუჟეტისა და მოტივების ელემენტებს დღესაც იყენებს თანამედროვე კომედიური ჟანრი. მისგან განსხვავებით პუბლიუს ტერენციუსის (ძვ. წ. 190-159 წწ.) კომედიები განკუთვნილია რჩეული, განათლებული საზოგადოებისათვის. მისი უმცროსი თანამედროვის — გაიუს ლუცილიუსის სატირებიც ასახავდა იმდროინდელი საზოგადოების მანკიერ მხარეებს. საერთოდ, ტერმინი სატირა (satyra) ნიშნავდა სხვადასხვა ხილისაგან შედგენილ დომხალს (ასორტის). ლუცილიუსს ეკუთვნის ამ ტერმინის, სატირის, დამკვიდრება ლიტერატურაში. მან ამით ხაზი გაუსვა თავისი ნაწარმოებების შერეულ ლიტერატურულ ფორმებს. ლუცილიუსის დროიდან სატირა სუფთა რომაული ლიტერატურული ჟანრი გახდა, რამაც შემდგომ ეპოქებში პოვა განვითარება.

ახალი თაობის ნოვატორ პოეტებს შორის პირველი ადგილი უდავოდ ქალაქ ვერონის მკვიდრს გაიუს ვალერიუს კატულუსს (დაახლ. ძვ. წ. 87-54 წწ.) ეკავა. მსოფლიო ლიტერატურულ საგანძურში განსაკუთრებული ადგილი მის ლირიკას უჭირავს.

განსაკუთრებულად თანამიმდევრულად და მიზანდასახულად გადაამუშავა რომის, რომაელთა წარმოშობისა და მათი აღზევების ლეგენდები დიდმა რომაელმა პოეტმა პუბლიუს ვერგილიუს მარონმა (ძვ. წ. 70-19 წწ.). „ენეიდაში" იგი ლექსად გადმოგვცემს რომის ისტორიას. პოემის გმირი ენეასია, რომელიც იმპერატორ ავგუსტუსის პოეტიზირებულ პორტრეტად გვესახება. „ენეიდა" იქმნებოდა ავტორის უშუალო განცდების საფუძველზე.

დიდი პატრიოტული განწყობილებებით გამოირჩევა, აგრეთვე ავგუსტუსის ეპოქის კიდევ ერთი ბრწყინვალე პოეტის კვინტუს ჰორაციუს ფლაკუსის (ძვ. წ. 65-8 წწ.) ნაწარმოებები. ჰორაციუსი თავისი პოლიტიკური მრწამსით რესპუბლიკელი იყო. იგი გულწრფელად ცდილობდა, რათა შეწყვეტილიყო სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი, რომელსაც შეეძლო დაეღუპა რომაელი საზოგადოება და მისი კულტურული მემკვიდრეობა.

რომისა და კეისრების (იულიუსისა და ავგუსტუსის) განდიდებისა და ხოტბის იდეებით იყო შეპყრობილი ავგუსტუსის ეპოქის უდიდესი პოეტი პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი (ძვ. წ. 43 – ახ.წ. 17 წწ.). თავის „მეტამორფოზებში" ოვიდიუსი გადმოგვცემს მსოფლიო ევოლუციის ისტორიას, დაწყებული ქაოსიდან იულიუს კეისრის აპოთეოზამდე. ავგუსტუსის რომი ოვიდიუსის თვალში წარმოადგენს მსოფლიო კულტურის ევოლუციის უმაღლეს საფეხურს, რომელმაც შეისისხლხორცა კაცობრიობის ყველა მიღწევა. ლიტერატურის ისტორიაში ოვიდიუსი უფრო მეტად ცნობილია როგორც ეროტიული ჟანრის ოსტატი. მის კალამს ეკუთვნის ცნობილი სასიყვარულო ლეგენდები: „სიყვარულის ხელოვნება" (Ars amandi) და „სიყვარულის საწინააღმდეგო წამალი" (Remdia amoris). ბუნებრივია, გარკვეულ ეტაპზე ოვიდიუსის მსუბუქი ეროტიული პოეზია ველარ ეგუებოდა ავგუსტუსის პოლიტიკას, რაც ოვიდიუსის გასახლებით დამთავრდა პონტოს (შავი) ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროს ქალაქ ტომისში, სადაც გარდაიცვალა კიდეც.

რომაული ლიტერატურის „ოქროს ხანის" მწერლებისა და პოეტების (ვერგილიუსის, ჰორაციუსის, ოვიდიუსის და სხვების) შემოქ-

მედებაში პატრიოტულ მოტივებსა და რომის დიდებით აღფრთოვანებასთან ერთად, იკვეთება ეპოქის ერთი დამახასიათებელი შტრიხი – სოფლური ცხოვრების იდეალიზაცია და ნოსტალგია უბრალო, ძველი ცხოვრების წესებზე. ასეთი სახის პატრიარქალური განწყობილებანი სრულ ჰარმონიაში მოდიოდა ავგუსტუსის ოფიციალური პოლიტიკის კონსერვატიულ-რესტავრატორულ კურსთან. ვერგილიუსის მწყემსურ-გლეხური ელეგიები „ბუკოლიკები" და „გეორგიკები" რომაული იდილიური პოეზიის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენს, რომლებიც უმღერიან სისადავეს, ბუნებასა და ბუნების წიაღში ცხოვრებას. დახვეწილი ენითა და ჰაეროვანი სტილით დაწერილ ელეგიებში ვერგილიუსი უმღერის დედაბუნებას, სოფლური ცხოვრების წესს, სოფლის სურნელებას, ბუნების ძალასა და მიწაზე მუშაობის მაცოცხლებელ ზემოქმედებას. ულამაზესი, დიდებული ბუნების ფონზე ვერგილიუსი გვიხატავს ძლიერ, პატიოსან, შრომისმოყვარე მიწათმოქმედს – ახალი პოლიტიკური წყობილების დასაყრდენს, რომელმაც თავის დროზე საფუძველი ჩაუყარა რომაელთა სიძლიერეს.

რესპუბლიკის უკანასკნელი საუკუნე გამოირჩეოდა არა მარტო ლათინური პროზის აყვავებით, არამედ ამ ეპოქაში შეიქმნა მთელი რიგი შესანიშნავი პოეტური ნაწარმოებები.

იმდროინდელ რომაულ პოეზიაში გამოიკვეთა ორი მიმართულება: პირველი ცდილობდა მოეძებნა ახალი პოეტური ფორმები, გამოეყენებინა მრავალფეროვანი პოეტური ხერხები, რომელთა კულტივირება უხვად ხდებოდა ელინი, განსაკუთრებით ალექსანდრიელი პოეტების მიერ; მეორე იბრძოდა ლექსის წყობის ტრადიციული ფორმის შენარჩუნებისათვის, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ ენიუსის შემოქმედებიდან იღებდა. ამ მეორე მიმართულების მიმდევრების რიცხვს ეკუთვნოდნენ ციცერონი, ფილოსოფიური პოემის „საგანთა ბუნებისათვის" ავტორი ტიტუს ლუკრეციუს კარუსი და სხვ.

კულტურული განვითარების თვალსაზრისით რესპუბლიკის უკანასკნელი საუკუნე და იმპერიის პირველი ასწლეული დასრულებულ ერთიან პერიოდს წარმოადგენს. ეს არის კლასიკური სტილის, კლასიკური ლათინური ენისა და კლასიკური მხატვრული ლიტერატურის ხანა. ახ. წ. I საუკუნის მიწურულიდან შეიმჩნევა კლასიკური სტილის თანდათანობითი გადასვლა იმპერიულ სტილზე, რომელსაც ახასიათებდა გრანდიოზულობა, ექსტრავაგანტულობა

და დისპროპორციულობა. ნელ-ნელა ქრება კლასიკური სტილისათვის დამახასიათებელი უბრალოება, საზეიმო განწყობა, ჰარმონიულობა და სისადავე. ამასთანავე, იმპერიის პერიოდში შექმნილი ხელოვნების ნიმუშების რაოდენობით რომი სჯარბობს არა მარტო რესპუბლიკას, არამედ ბერძნულ-ელინისტურ სამყაროსაც კი.

ლამაზი შენობები შენდებოდა არა მარტო დედაქალაქსა და დიდ ქალაქებში, არამედ პატარა ქალაქებსა და დაბებშიც. პორტიკები იმკობოდა სურათებითა და ქანდაკებებით; ტაძრებში, რომლებიც მაშინ მუზეუმების ფუნქციასაც ასრულებდა, იფინებოდა ცნობილი მხატვრებისა და მოქანდაკეების ნამუშევრები, უნიკალური სიძველეების კოლექციები. თეატრებსა და ცირკებში, რომლებიც ყველა ქალაქის აუცილებელ ატრიბუტს შეადგენდა, იდგმებოდა დრამები, პანტომიმები და ფარსები, იმართებოდა გლადიატორთა ბრძოლები, უჩვენებდნენ ეგზოტიკურ ცხოველებს.

საიმპერატორო კარის მფარველობა და დიქტატი გარკვეულ გულენას ახდენდა მხატვრულ-ლიტერატურული ნაწარმოებების როგორც შინაარსზე, ასევე ფორმაზე. ლიტერატურული საღამოები, მხატვრული კითხვები და დეკლამაციები საფუძვლიანად დამკვიდრდა როგორც რომში, ასევე პროვინციულ ცხოვრებაში. გარკვეულ დღეებში საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლების ვილებსა და სახლებში, იკრიბებოდა იმპერიული რომის წარჩინებული საზოგადოება. შეხვედრებზე შეკრებილები მწერლისაგან, უპირველეს ყოვლისა, ითხოვდნენ ქვეშევრდომულ სულისკვეთებას, ნაწარმოების ფორმის სრულყოფას, მეტყველების დახვეწილობასა და ღრმა რითმს, შინაარსი მეორე პლანზე იდგა: პირველყოვლისა ფორმა, ხოლო შემდეგ დედააზრი. ამ საუკუნის ლიტერატურამი ფორმალისტური მიმართულების გამოხატულება, ე. წ. მეორე სოფისტიკაში გამოიხატა, სადაც ნაწარმოების ფორმა აყვანილია უმაღლეს სრულყოფამდე. სოფისტების უდიდესი ნაწილი წარმოშობით ბერძნები იყვნენ. განათლება მათ მცირე აზიისა და ეგვიპტის სახელგანთქმულ რიტორიკულ სკოლებში ჰქონდათ მიღებული. ეპოქის მწერლებსა და ორატორ-სოფისტებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ჰეროდე, ატიკე, პოლემონი, არისტიდე და სხვ. სოფისტურ მიმართულებასთან მშვიდობიანად თანაარსებობდა, აგრეთვე, არქაული მიმართულება, რომელიც გულისხმობდა ხან

ბეოლოგიზმების, ხან არქაიზმების მონაცვლეობას. ამ სტილით ყალიბირჩეოდა მარკუს აურელიუსის აღმზრდელი მარკუს კორნელიუს ფრონტონი.

არისტოკრატიული წრეების მწერალთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა პლინიუს უფროსის ბიძაშვილი პლინიუს უმცროსი. თავისი მაღალი ნიჭიერებისა და განათლების მეშვეობით პლინიუსმა დიდი პოპულარობა მოიხვეჭა. პლინიუსის ლიტერატურული მემკვიდრეობა შედგება მეგობრებთან და ტრაიანესთან მიმოწერისა და ტრაიანეს პატუსაცემ პანეგირიკისაგან. ციცერონის „წერილების" მსგავსად პლინიუს უმცროსის „წერილები" (Epistulae) გამოირჩევა თავისი ღრმა შინაარსით და მრავალფეროვნებით.

რადიკალურად განსხვავებული განწყობილებები ახასიათებს ამ დროის სატირულ ლიტერატურას, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი პირობითობისაგან, ასახავს ცოცხალ სინამდვილეს და გათვლილია დემოკრატ მკითხველთა ფართო წრეზე. II საუკუნის რომაელ სატირიკოსთა შორის აღსანიშნავია მარკუს ვალერიუს მარციალისი (42-102 წწ.), დეციმუს იუნიუს იუვენალისი (60-140 წწ.), მარკუს ანეუს ლუკანუსი (125-190 წწ.) და სხვ. რომაული სატირა მრავალფეროვანია და მწვავეა შინაარსით, სრულყოფილია ფორმით. მარციალისის 1500 ეპიგრამის, იუვენალისა და ლუკანუსის სატირის მეშვეობით, შეიძლება თვალნათლივ წარმოვიდგინოთ რომის სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ყოფა. სატირები შეიცავს, აგრეთვე, მდიდარ მასალას რელიგიის ისტორიის შესახებ. სხვადასხვა გარემოებასა და ეითარებაში სატირიკოსებს აღწერილი ჰყავთ სხვადასხვა ღმერთი, აგრეთვე, კულტი, ქურუმების რიტუალური წეს-ჩვეულება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ლუკანუსის ნაწარმოებები, რომლებშიც ასახულია ძველი ბერძნულ-რომაული რელიგიის – კერპთაყვანისმცემლობის კრიზისი და ახალი რელიგიის ქრისტიანობის პირველი ნაბიჯები. ლუკანუსის ნაწარმოებები შინაარსის სიმდიდრით, განუმეორებელი მხატვრული ფორმის წყალობით სამართლიანად ითვლება მსოფლიო ლიტერატურის შედევრებად. ზოგადად II საუკუნის რომაულ ლიტერატურაში რელიგიასა და მისტიკას საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობოდა. ეს კი, თავის მხრივ, მოწმობს იდეოლოგიური და საერთო კრიზისის საწყისს, რომელშიაც

რომაული საზოგადოება შედიოდა და რომლის სიმპტომები ესოდენ ნათლად გამოიკვეთა ანტონინუსთა „ბედნიერ ხანაში". რელიგიურ-მისტიკური განწყობილებებითაა გაჟღენთილი, მაგალითად, აპულეუსის ცნობილი „მეტამორფოზები", ანუ „ოქროს ვირი". მიუხედავად ნაწარმოების ფანტასტიკურ, სატირულ და ყოფით-დამრიგებლური პათოსისა, მთავარი სიუჟეტური კვანძი მაინც მისტიკურია. რომანის მთავარი გმირი ახალგაზრდა ყმაწვილი ლუციუსი, რომელიც ცოდვების მორევში ჩაეშვა, ჯადოქარმა ვირად გადააქცია და მხოლოდ განწმენდით, მისტიკური აქტების გავლის შემდეგ შეძლო ჭაბუკმა დაებრუნებინა ადამიანის სახე და, რაც მთავარია, დაბრუნებოდა ჯანსაღი და განწმენდილი ცხოვრების ახალ წესს.

პლასტიკურ ხელოვნებასა და ლიტერატურასთან ერთად იმპერიაში ფართო გავრცელება პოვა სცენურმა ხელოვნებამ – ცირკმა და თეატრმა. რომსა და პროვინციულ ქალაქებში იმართებოდა უამრავი სანახაობა, რომლებიც გათვლილი იყო იმპერიის ყველა სოციალური ფენებისათვის. ასეთ სანახაობებს მიეკუთვნებოდა ცირკისა და თეატრალური წარმოდგენები, გლადიატორთა შერკინებები, სახალხო დღესასწაულები, ტრიუმფალური სვლები, გამოფენები და ა. შ. II საუკუნეში სადღესასწაულო დღეების რაოდენობამ რომში წელიწადში 180 დღეს მიაღწია. პალატინსა და აევენტინს შორის მდებარე „დიდი ცირკი" (Circus maximus) აგუსტუსის ხანაში 150 ათას მაყურებელს, ხოლო ნერონის დროს კი 250 ათასს იტევდა. მოდა კლასიკურ ტრაგედიებზე და კომედიებზე შეიცვალა პანტომიმებით, რომლებიც წარმოადგენდნენ „ჰეროიკული ბალეტის" კომედიისა და მელოდრამის ნაზავს, უფრო ზუსტად კი ფარსისა და ოპერეტის ნაერთს. მაშინდელი თეატრალური ხელოვნების დეკიზი იყო: ნაკლები სიტყვები და, რაც შეიძლება მეტი მუსიკა, სიმღერა, ცეკვა და მიმიკა. ცირკები და ამფითეატრები შენდებოდა არა მარტო დიდსა და პატარა ქალაქებში, არამედ რომაელთა სალეგიონო სამხედრო ბანაკებშიაც.

რომაულ ლიტერატურაში როგორც რესპუბლიკის, ასევე იმპერიის პერიოდში, პირველხარისხოვანი როლი ენიჭებოდა ისტორიული ჟანრის ნაწარმოებებს. ისტორიული მოვლენები გადმოიცემოდა როგორც პროზაულ, ასევე პოეტურ ფორმაში. ვერგილიუსის დროიდან მოდაში ისტორიული ეპოსი შემოვიდა. რომაული სა-

ხოგადოება ისტორიას ძალზე რთულ და საპასუხისმგებლო მოთხოვნებს უყენებდა. ისტორია ხსნიდა არსებული წყობილების წარმოშობის მიზეზებს, ამართლებდა ან ეწინააღმდეგებოდა მას, კონკრეტული გმირების მაგალითზე უჩვენებდა წარსულიდან თავდადებისა თუ ღალატის მაგალითებს. II საუკუნეში ისტორიული ჟანრის მწერლობის დამახასიათებელი ნიშანია წარსულის იდეალიზაცია, ქება-დიდება (laudatio temporis acti). ამ დროის ეპიკურ ნაწარმოებებს მიეკუთვნება: ვალერიუს ფლაკუსის „არგონავტიკა" (Argonautica 8 წიგნად), პუბლიუს პაპანიუს სტაციუსის „ფივაიდა" (Thebais 12 წიგნად), რომელშიც მოთხრობილია ოიდიპოსის შვილების ბედზე, სილიუს გაიუს იტალიკუსის პოემა „პუნიკა" (Punica 17 წიგნად), რომელშიც აღწერილია მეორე პუნიკური ომი და სხვ.

ისტორიულ-ლიტერატურული ჟანრის ერთ-ერთ უბრწყინვალეს ნიმუშს წარმოადგენს პლუტარქეს (46-120 წწ.) „პარალელური ბიოგრაფიები". პლუტარქე იყო ჰადრიანე იმპერატორის აღმზრდელი. „პარალელურ ბიოგრაფიებში" პლუტარქე მხატვრული ხერხებით გვიხატავს საბერძნეთისა და რომის რიგი უმნიშვნელოვანესი ისტორიული პიროვნებების ცხოვრებას. ესაა „დიდების გალერეა". იგი ადიდებს მათ გმირობასა და ქვეყნისათვის თავდადებას, გმობს ჩადენილი ცოდვებისათვის...

აღსანიშნავია რომის იმპერატორთა ბიოგრაფიების თავისებური კოლექტიური კრებულიც „აუგუსტუსთა ისტორიის მწერლები" (Scriptiores historiae Augustae). ძველ ნუსხებში ხსენებული ნაშრომი მოიხსენიება როგორც „სხვადასხვა პრინცეპსთა და ტირანთა ცხოვრება ღვთაებრივი ადრიანედან ნუმერიანამდე, შედგენილი სხვადასხვა პირის მიერ". შრომა შეიცავს 30 ბიოგრაფიას და ქრონოლოგიურად 117-284 წლებს მოიცავს. ნაწარმოების ავტორებია: სპარტიანუსი, გალიკანუსი, ლამპრიდიუსი, კაპიტოლინუს, პოლინი და ვოპისკუსი.

ამგვარად, გვიანი იმპერიის ლიტერატურა გამოირჩევა დიდი კონტრასტულობით, მომაკვდავი ანტიკურობისა და ახლად ჩასახული დასავლეთევროპული სამყაროს შერწყმით. წარმართული რომის დახვეწილობა, მრავალფეროვნება, გრანდიოზულობა და სინატიფე შეხამებულია ადრეული ქრისტიანობისათვის დამახასიათებელ პრიმიტივიზმთან, სტილიზაციასთან, მონოტონურობასა და ასკეტიზმთან. გვიანი ანტიკურობის სულიერ შემოქმედებას

აშკარად ემჩნევა უძრაობის, მიმბაძველობის, დოგმატურობისა და ეკლესიურობის დალი, რაც უნდა მეტყველებდეს ანტიკური სამყაროს შემოქმედებითი ძალების დაკნინებაზე. კნინდება ყველაფერი, რაც ძველი წარმართული სამყაროს შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენდა და, რომელიც მისი სოციალურ-ეკონომიკური ფესვებით იყო ნასაზრდოები. ამასთან ერთად, არ უნდა დავიიწყოთ ის გარემოებაც, რომ გვიანი იმპერიის პერიოდი 200 წელიწადზე მეტ ხანს გრძელდებოდა და ამ დიდი დროის მონაკვეთში იყო თავისებური აღზევებისა და დაცემის პერიოდები. განსაკუთრებულად გამოიკვეთა კულტურის დაცემა უშუალოდ III საუკუნის კრიზისისა და მის მომდევნო ათწლეულში.

III-IV საუკუნეების ქრისტიანი და წარმართი რომაელი მწერლებიდან უმეტესობა პროვინციელი იყო (ბერძნები, გერმანელები, ესპანელები, აფრიკელები და ა. შ.). აღსანიშნავია იდილიური ლექსის „Mosella"-ს ავტორი, გალიელი პოეტი ავზონიუსი და ლიტერატურულ-ისტორიული შინაარსის სანადიმო საუბრების „სატურნალების" ავტორი მაკრობიუსი. გვიანი ანტიკური ხანის ფართო მკითხველის გემოვნების ტიპურ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს სენტიმენტალურ-ეროტიკული ჟანრის რომანები. მაგალითად, სირიელი ჰელიოდრეს „ეთიოპიკა". ამავე ჟანრის ცნობილი მწერლის, ქალაქ ეფესოს მკვიდრის, ქსენოფონტეს ნაწარმოებები და სხვ. ორიგ მწერალი III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა, ეპოქაში, როდესაც ყველაზე მწვავედ იგრძნობოდა კრიზისის შედეგები. IV საუკუნის ბოლოს გვიან რომის იმპერიაში ფართო საზოგადოებრიობის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ბერძენი მწერლის ლონგეს რომანი „დაფნისი და ქლოე".

ბიზანტიური კულტურა

ბიზანტიის იმპერიას, რომელმაც 1000 წელზე მეტ ხანს იარსება, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში. ის წარმოადგენდა შუა საუკუნეების უდიდეს ქრისტიანულ სახელმწიფოს ევროპისა და აზიის გზაშესაყარზე. ბიზანტიის კულტურა განეკუთვნება შუა საუკუნეების ქრისტიანულ კულტურას, მაგრამ მას გააჩნია სპეციფიკური თავისებურებანი დასავლეთის ქრისტიანულ კულტურასთან შედარებით.

ბიზანტიის ისტორიისა და კულტურის თავისებურებას განსაზღვრავდა იმპერიის ეთნიკური შემადგენლობა, გეოგრაფიული მდებარეობა, ეკონომიკის განვითარების დონე, იდეური პრიორიტეტები და სახელმწიფოს პოლიტიკური დოქტრინა, რომლის საფუძველსაც წარმოადგენდა იმპერიის განსაკუთრებული დანიშნულების იდეა.

ბიზანტია იღებდა თავისთავზე ძველი რომის მისიას, კონსტანტინოპოლი გამოცხადდა ახალ რომად. ახალი რომის თეორია იყო მსოფლიო იმპერიის პოლიტიკური კონცეფციის ძირითადი ელემენტი, რომლის მიხედვითაც ბიზანტია იყო მართლმადიდებლური ქრისტიანობის ცენტრი, კონსტანტინოპოლი კი ქრისტიანთა დედაქალაქი. კონსტანტინოპოლის პატრიარქი იწოდებოდა მსოფლიო პატრიარქად და ქრისტიანთა მამად. ჩამოყალიბდა სახელმწიფოსა და იმპერატორის ხელისუფლების ერთიანი ქრისტიანული კონცეფცია, რომელსაც საფუძვლად ედო ავტოკრატორის (თვითმპყრობელის) კულტი. იმპერატორი იყო ღვთისრჩეული. ღმერთი არის პანტოკრატორი, ყოვლისმპყრობელი, რომელიც ზეციურ და მიწიერ არსებებს აწესრიგებს, ხოლო იმპერატორი არის კოსმოკრატორი – მიწიერი, ხილული სამყაროს მეთაური. ბიზანტია, რომეების იმპერია, არის არა მხოლოდ რომეების, არამედ ყოველთა ქრისტიანთა სახელმწიფო. ეს თეორია იმპერიის ისტორიის მთელ

პერიოდს გასდევს და არასოდეს არ გადადის უკანა პლანზე მის წინაშე წარმოქმნილი მრავალი განსაცდელის მიუხედავად, პირიქით, „ღვთისრჩეულობის“ კონცეფცია უფრო აქტუალური ხდება ძნელბედობის პერიოდებში.

ბიზანტიის იმპერია, თავისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობით, ეთნიკური შემადგენლობით და ეკონომიკური მდგომარეობით იყო არც მხოლოდ ევროპული და არც მხოლოდ აღმოსავლური სახელმწიფო. ეგვიპტე, სირია, პალესტინა, სომხეთი, საქართველო, მცირე აზია, რომლებიც სხვადასხვა დროს შედიოდნენ იმპერიის შემადგენლობაში ახდენდნენ გავლენას მთლიანად ქვეყნის საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა და კულტურის ჩამოყალიბებაზე. იმპერიის ევროპულ ნაწილში ძირითადად ბერძნული ტრადიცია იყო გაბატონებული. ევროპულისა და აღმოსავლეთის კულტურის ურთიერთშეხამება ბიზანტიურ ცივილიზაციას აძლევდა სრულიად სპეციფიკურ ხასიათს. ბიზანტიის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ამ სინთეზში უპირატესობას იღებდა ხან აღმოსავლური და, ხანაც დასავლური ელემენტი. მის ადრეულ ეტაპზე XI საუკუნის I ნახევრის ჩათვლით ბიზანტიის სახელმწიფოს კულტურაში, მის საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაბატონებული იყო აღმოსავლური გავლენა, ხოლო კომნენოსთა დინასტიის ხელისუფლების სათავეში მოსვლიდან, როდესაც უფრო ღრმა გახდა ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები დასავლეთთან, უკვე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს დასავლური კულტურა. ბიზატიური კულტურა წარმოადგენს დასავლური და აღმოსავლურ ელემენტების სინთეზს საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

ბიზანტიის კულტურის მრავალფეროვნებაზე შესაბამის გავლენას ახდენდა მასში შემავალი ხალხების თვითმყოფადობა, მათი ყოფითი და ტრადიციული ჩვეულები და, საერთოდ, კულტურა. ბიზანტიურ კულტურაზე გარკვეული გავლენა მოახდინა მის ტერიტორიაზე ბარბაროსი ხალხებისა და სლავთა მიგრაციამ, კავკასიისა და აზოვისპირეთის ხალხებმა. ასევე განვითარებული ირანისა და ისლამის (არაბები, თურქები) კულტურებმა თავიანთი წვლილი შეიტანა ბიზანტიის კულტურის განსაზღვრაში.

ბიზანტიის კულტურა არის აღმოსავლეთის ქრისტიანული კულტურა.

დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ისტორიული განსხვავება ორ არის შემთხვევითი და მხოლოდ გარკვეულ ისტორიულ პერიოდებში, არამედ არსებობს არსებითი განსხვავება, რაც უნდა ვეძებოთ მოსახლეობათა კულტურულ თავისებურებებში, ტემპერამენტსა და ხასიათში. ისევე როგორც რომს და რომაულ კულტურას მიიჩნევენ დასავლეთ ევროპის ქვეყნები თავიანთი ისტორიული განვითარების საწყისად, ასევე უნდა ჩაითვალოს ბიზანტია აღმოსავლეთ ევროპისა და სხვა აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ქვეყნებისათვის.

ბიზანტიის ფენომენს, როგორც რომის სახელმწიფოს ტრადიციების გამგრძელებელს, როგორც ქრისტიანული კულტურის სათავეს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სლავების, საქართველოს და სომხეთის ისტორიული განვითარების პროცესში.

აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის დაცილება და დაპირისპირება იწყება არა რომის იმპერიის გაყოფით IV საუკუნის მიწურულს, არამედ დაპირისპირებით ევროპის ქრისტიანობის ორ ცენტრს — კონსტანტინოპოლსა და რომს შორის. ამ დაპირისპირებაში უფრო მნიშვნელოვანია ის პოლიტიკური პრეტენზიები, რომლებიც გაჩნდნენ დასავლეთის ახლად ჩამოყალიბებულ ეთნიკურ ელემენტებში, ვიდრე დოგმატური შეუთავსებლობა. დასავლეთში რომის დაცემის შემდეგ ახლად ჩამოყალიბებული სახელმწიფო ერთეულები იწყებენ ბრძოლას რომის იმპერატორის გვირგვინის გადმოსატანად კონსტანტინოპოლიდან დასავლეთში. ბიზანტიიდან დასავლეთში მსოფლიო იმპერიის ცენტრის გადატანის მცდელობას წარმოადგენდა დასავლეთში იმპერატორის წოდების გაჩენა და გერმანელთა მიერ რომის საღვთო იმპერიის შექმნა. ეს უკვე ნიშნავდა ბიზანტიისათვის, რომელიც თავისთავს რომეების იმპერიას უწოდებდა, მემკვიდრეობითი პრეტენზიის წაყენებას. დაპირისპირება საბოლოოდ გაფორმდა XI საუკუნეში კათოლიკური ეკლესიის გამოყოფით მსოფლიო ეკლესიისგან.

ბიზანტიის კულტურის მნიშვნელოვან ტიპოლოგიურ თავისებურებას წარმოადგენდა ბიზანტიაში მნიშვნელოვანი მასშტაბებით ანტიკური კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება. ამ ტიპოლოგიური თავისებურების წარმოქმნისათვის ობიექტური ისტორიული კანონზომიერებანი არსებობდა, იგულისხმება იმპერიის საზოგადოებრივი და პოლიტიკური განვითარების ტენდენციები.

ბიზანტიისათვის მემკვიდრეობის პრობლემა პირველხარისხოვან როლს ასრულებდა. ტრადიციის ძალა და სტერეოტიპები ბიზანტიის კულტურასა და ხელოვნებაში იყო ძალიან დიდი. მეცნიერებისა და ხელოვნების ნებისმერი დარგი ბიზანტიაში წარმოადგენდა ელინური და რომაული მემკვიდრეობის გაგრძელებას, რომელსაც ეძლეოდა თავისებური მიმართულება, ანუ ხდებოდა მისი გადამუშავება ქრისტიანული სწავლების შესაბამისად. ვინაიდან შუა საუკუნეების მსოფლმხედველობა თავისი არსით იყო თეოლოგიური, ბიზანტიაში ანტიკურმა ფილოსოფიამ ადგილი დაუთმო ღვთისმეტყველებას. საეკლესიო დოგმა წარმოადგენდა ამოსავალ წერტილსა და საფუძველს ყოველგვარი აზროვნების. საერო მეცნიერება, ისევე როგორც ყველგან, შუა საუკუნეებში ბიზანტიაშიც ღებულობს საღვთისმეტყველო შეფერილობას. მიუხედავად ამისა, ბიზანტიაში ყოველთვის იბადებოდა ახალი იდეები, ყალიბდებოდა ახალი ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო, პოლიტიკური, სამხედრო-თეორიული, ეთიკური და ესთეტიკური შეხედულებანი. მუდმივი იდეური ბრძოლა ძველსა და ახალს შორის — ეს არის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი ბიზანტიის როგორც საზოგადოებრივი, ასევე კულტურული ცხოვრების. ანტიკური ტრადიციების განვითარების საფუძველზე აღმოცენდა ჰუმანისტური იდეები, რომელთა გადატანამ დასავლეთში გაამდიდრა რენესანსის ეპოქის ევროპის კულტურა. ბევრი კულტურული ღირებულება გადავიდა ბიზანტიიდან დასავლეთში. ბიზანტია, რომელიც ინახავდა თავის წიაღში ანტიკურ ცივილიზაციას, იყო დასავლეთის ხალხებისათვის განათლებისა და ცოდნის წყარო. თვით ლათინური ეკლესიის ღვთისმსახურება, საეკლესიო წეს-ჩვეულებანი, საეკლესიო სამართალი დიდად არის დავალებული ბიზანტიისაგან.

ბიზანტიის კულტურის სხვა თავისებურებანი აღმოცენებული იყო არსებითი განსხვავებით აღმოსავლეთ ორთოდოქსალურ და დასავლეთის კათოლიკურ ეკლესიებს შორის. ეს განსხვავება ელინდება ფილოსოფიურ-თეოლოგიურ შეხედულებათა თავისებურებებში, მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიების დოგმატიკაში, ლიტურგიკაში ესთეტიკურ ღირებულებებსა და ქრისტიანულ ეთიკურ სისტემაში.

ბიზანტიის სახელმწიფოს მოწყობას არანაკლები გავლენა ჰქონდა მის კულტურაზე. დასავლეთისაგან განსხვავებით ბიზანტიაში

არსებობდა ენობრივი და კონფესიული ერთიანობა ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში. ბიზანტია ყოველთვის ინარჩუნებდა მტკიცე სახელმწიფოებრიობას და ცენტრალურ მმართველობას. ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს და იმპერატორის ხელისუფლებამ დიდი გავლენა მოახდინა ბიზანტიის კულტურაზე. განსხვავებით დაქსაქსული შუა საუკუნეების ევროპისაგან ბიზანტიას ჰქონდა ერთიანი პოლიტიკური დოქტრინა და იმპერატორის კულტი, რაც აისახა საზოგადოების კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

ბიზანტიის ისტორიულ განვითარებაში დომინირებს იმპერიის დედაქალაქი, რომელსაც ერთიანობაში მოჰყავდა ბიზანტიური კულტურა და იმავდროულად ინარჩუნებდა საქალაქო კულტურას, რაც გამოარჩევდა ბიზანტიურ კულტურას ევროპული მედიევალური კულტურისაგან. მთელი თავისი არსებობის მანძილზე კონსტანტინოპოლი ასრულებდა განმსაზღვრელ როლს იმპერიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. პროვინციების დაკარგვისა და სახელმწიფოს ტერიტორიის ევროპის რაიონამდე დაყვანისას, თვითონ კონსტანტინოპოლი განასახიერებდა იმპერიას. თვით იმპერიის ხანგრძლივობის განსაზღვრა შეიძლება კონსტანტინოპოლის არსებობის ხანით 330 წლის 11 მაისიდან, ქალაქის საზეიმო გახსნიდან 1453 წლის 29 მაისამდე კოსტანტინოპოლის დაცემით.

ბიზანტიაში ქრისტიანობის მზარდ გავლენასთან ერთად ყოველთვის ჩქეფდა საერო კულტურა და განათლება, რომელიც ეყრდნობოდა, ერთი მხრივ, ბიზანტიის არისტოკრატიას და ქალაქის ინტელიგენციას, ხოლო, მეორე მხრივ, სახალხო კულტურას. ბიზანტიის მოსახლეობის წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებს, სახალხო რელიგიურ და თეატრალურ რიტუალებს შენარჩუნებული ჰქონდა ანტიკური მისტერიების ნიშან-თვისებები. სახალხო მუსიკა და ცეკვები, ხალხური ეპოსი, სატირული იგავ-არაკები ბიზანტიურ კულტურაში მეტად მნიშვნელოვანია და თავისებურ გავლენას ახდენს მის განვითარებაზე ანტიკურ კულტურულ მემკვიდრეობასთან ერთად.

ადრებიზანტიური კულტურა. IV საუკუნის დასაწყისისათვის, როდესაც ხმელთაშუა ზღვის აუზში მძაფრ სახეს იღებს დაპირისპირება ქრისტიანობასა და წარმართულ რელიგიას შორის, უძლიერესი რომის იმპერია იძულებული ხდება თავისი არსებობის

გასახანგრძლივებლად გაბედული პოლიტიკა აირჩიოს. ამ პერიოდს დაემთხვა რომში იმპერატორ კონსტანტინე დიდის მოღვაწეობა, რომელმაც არჩევანი წარმართობასა და ქრისტიანობას შორის, უკანასკნელის სასარგებლოდ გადაწყვიტა. 313 წლიდან ქრისტიანობა გამოცხადდა ლეგალიზებულ რელიგიად რომის იმპერიაში, სხვა რელიგიებთან ერთად, ხოლო თეოდოსი დიდის დროიდან (IV საუკუნის მიწურული) გახდა გაბატონებული რელიგია. აღმოსავლეთ რომის იმპერიაში წარმართული კულტურა უკვალოდ არ ქრება. ელინიზმი და ქრისტიანობა დროთა განმავლობაში ნელ-ნელა შეერწყა ერთმანეთს და წარმოიშვა ქრისტიანულ-ბერძნული აღმოსავლური კულტურა.

ბიზანტიის, როგორც ანტიკური რომის და დასავლეთის მედიევალური კულტურისაგან განსხვავებული კულტურული ფენომენის საწყისად უნდა ჩაითვალოს 330 წელი, როდესაც რომის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა იმპერიის დედაქალაქი რომიდან ძველ ბერძნულ საკაჭრო ქალაქში ბიზანტიონში გადაიტანა..ეს ქალაქი, რომელსაც კონსტანტინე დიდის სახელის უკვდავსაყოფად კონსტანტინოპოლი ეწოდა, გახდა ფეოდალური ხანის ორთოდოქსული ქრისტიანული კულტურის ცენტრი.

ბიზანტია, რომელიც ელინურ-რომაული კულტურის საფუძვლებზე ჩამოყალიბდა თავს რომის იმპერიის ერთადერთ მემკვიდრედ აცხადებდა, რაც აისახებოდა ქვეყნის სახელწოდებაში. ისინი თავიანთ თავს რომეებს, ხოლო სახელმწიფოს რომეების იმპერიას უწოდებდნენ.

რომი იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში რეფორმების გატარებით ღებულობს ბიზანტინიზმის ნიშნებს — თანდათანობით ლათინური ენა შეიცვალა ბერძნულით, უფრო მკაფიო ხდება ეთნიკურ ერთეულთა განცალკევება და დაპირისპირებანი, ახალი მოტივები აღმოცენდა ხელოვნებასა და ლიტერატურაში. ქრისტიანობისა და აღმოსავლური კულტურის ელემენტების ურთიერთზემოქმედებით VII საუკუნისათვის საბოლოოდ ჩამოყალიბდა ბიზანტიური კულტურა, როგორც საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების ერთიანი სისტემა.

ბიზანტია, როგორც რომის იმპერიის დიდებული მემკვიდრე განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა იმისათვის, რომ ამ იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში, რომელსაც იგი წარმოადგენდა აღმო-

ცეხებულიყო კულტურისა და განათლების ძლიერი კერები. იგი მთელი თავისი არსებობის მანძილზე უდიდეს ყურადღებას უთმობდა მეცნიერებასა და განათლებას. ბიზანტიაში განათლების სისტემა — სკოლების ორგანიზაცია და სწავლების წესი გადმოღებული იყო ანტიკური სამყაროდან. სკოლები იყო კერძო, ასევე სამონასტრო, საეკლესიო და საქალაქო, სადაც შეეძლო ესწავლა ყველას. ამ სკოლებში სხვადასხვა საფეხურზე ისწავლებოდა ტრივიუმის (გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა) და კვადრიუმის (არითმეტიკა, გეომეტრია, მუსიკა, ასტრონომია) საგნები. მაგრამ იმავდროულად იქ ისწავლებოდა სხვა მეცნიერებებიც: ფილოსოფია, იურისპრუდენცია. ბიზანტიის სკოლებში საეკლესიო მოღვაწეთა ნაწარმოებებთან ერთად ასწავლიდნენ ძველ ბერძენ მწერლებსაც. ჰომეროსი მოსწავლეებისათვის სამაგიდო წიგნს წარმოადგენდა.

IV-VI საუკუნეებში ბიზანტიის ქალაქები ათენი, ანტიოქია, ბეირუთი, ღაზა, ალექსანდრია ანტიკური კულტურისა და განათლების მნიშვნელოვან ცენტრებს წარმოადგენდა, სადაც თავს იყრიდნენ იმდროინდელი კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები. ეს ქალაქები თანდათან კარგავს თავიანთ მნიშვნელობას. V საუკუნეში დაიწვა ალექსანდრიის ცნობილი ბიბლიოთეკა, იუსტინიანე დიდის ბრძანებით 529 წელს დაიხურა ათენის ფილოსოფიური სკოლა.

ქრისტიანობის გამარჯვებასთან ერთად, შუა საუკუნეების განათლების სისტემაში მეცნიერების ადგილი დაიკავა ღვთისმეტყველებამ, მაგრამ ბიზანტიაში ანტიკური ფილოსოფია, მაინც ინარჩუნებს თავის პოზიციებს. ბიზანტიელმა ღვთისმეტყველებმა შეისწავლეს და შეინარჩუნეს ბერძნული ფილოსოფიური აზროვნება, რასაკვირველია, მისი გარკვეული შეხამებით ქრისტიანულ ღვთისმეტყველებასთან.

ქრისტიანულ მოძღვრებას, როგორც ერთიან სისტემას საფუძველი ჩაუყარეს „კაპადოკიელმა მამებმა" — ბასილ დიდმა (კესარიელმა), გრიგოლ ნაზიაზანელმა, გრიგოლ ნოსელმა და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა 398-404 წლებში, იოანე ოქროპირმა. წმინდა თეოლოგიურ კონცეფციებთან ერთად, მათ შრომებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქრისტიანული ანთროპოლოგიის, ფსიქოლოგიის და ეთიკის პრობლემებს.მათ შემოქმედებაში ადრექრისტიანული იდეები შერწყმულია ნეოპლატონურ ფილოსოფიასთან. ახალი

იდეების გადმოცემისას ისინი ქრისტიანულ თეოლოგიას შესანიშნავად უხამებენ ანტიკური რიტორიკის ფორმას.

ქრისტიანული დოგმატიკის თავისებურ სინთეზს ნეოპლატონურ ფილოსოფიასთან წარმოადგენს ფსევდო დიონისე არეოპაგელის შეხედულებანი. ფსევდო დიონისე არეოპაგელი წარმოშობით შესაძლოა ყოფილიყო ქართველი საეკლესიო მოღვაწე პეტრე იბერი. მისი შემოქმედება, განსხვავებით ადრინდელი ნეოპლატონიკოსებისაგან, დამყარებულია ბიბლიასა და საღვთო წერილებზე და მიმართულია ქრისტიანული სარწმუნოების განსამტკიცებლად. ფსევდო დიონისე არეოპაგელის თხზულებებმა „საღრმთო სახელისათვის", „ზეცათა მღვდელთ-მთავრობისათვის", „საიდუმლო ღვთისმეტყველებისათვის", რომლებიც შესულია არეოპაგიტულ კორპუსში (Corpus Areopagiticum), განსაკუთრებული გავლენა იქონია შუა საუკუნეების საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაზე.

IV-VI საუკუნეების ბიზანტიის საზოგადოების ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს დოგმატურ დავებს. ახლად აღმოცენებული ერესების, არიანელობის, ნესტორიანელობის თუ მონოფიზიტობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ღვთისმეტყველები გარდა საღვთო წერილებისა, ფართოდ იყენებდნენ ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა ნააზრევს.

ძველი ანტიკური ცოდნა და წარმოდგენები ქრისტიანული იდეოლოგიის გამარჯვების შემდეგ ქრისტიან ავტორებს თანდათან მოჰყავთ საღვთო გადმოცემებთან შეთანხმებაში. ამ გამარჯვებას თან ახლდა დიდი კულტურული გადატრიალება, რამაც მოიცვა საზოგადოების სულიერი ცხოვრების მთელი სფერო. ანტიკური კოსმოლოგიის ადგილს იკავებს ბიბლიური წარმოდგენები სამყაროს შექმნის შესახებ. VI საუკუნეში კოზმა ინდიკოპლევსმა თავის ნაშრომში „ქრისტიანული ტოპოგრაფია" დედამიწის შესახებ შექმნა ბიბლიის შესაბამისი წარმოდგენა, რომელიც ავტორიტეტი გახდა შუა საუკუნეების აზროვნებაში. მისი აზრით, დედამიწა წარმოადგენდა ბრტყელ ოთხკუთხედს, გარშემორტყმულს წყლით და ცის თაღით გადაფარებულს.

ბიზანტიური ლიტერატურის ძირითად ჟანრს წარმოადგენდა საღვთისმეტყველო ნაწარმოებები, მაგრამ ის მაინც განსხვავდებოდა დასავლეთის შუა საუკუნეებისაგან. ელინური ტრადიციის შენარჩუნება წარმოადგენდა ბიზანტიური ლიტერატურის თავისებურებას.

რადგანაც ბერძნული ენა იყო იმპერიის სახელმწიფო ენა, ძველი ბერძნული ლიტერატურა ხელმისაწვდომი იყო ყველასთვის და იწვევდა საერთო აღტაცებას. ბერძენი კლასიკოსებისადმი მიბაძვამ ფარკვეული დაღი დაასვა ბიზანტიური მწერლობის განვითარებას. ანტიკურ გენიალურ პოეზიასთან შეპირისპირების აუცილებლობა ზღუდავს ბიზანტიელი მწერლების შემოქმედებით ძალებს.

ადრებიზანტიურ პერიოდში საზოგადოების სულიერი ცხოვრება გამოირჩევა დრამატული დაძაბულობით. მეცნიერების ყველა სფეროში, ლიტერატურაში, ხელოვნებაში შეიმჩნევა წარმართობისა და ქრისტიანული იდეების აღრევა, წარმართული მითოლოგიის კოლორიტული ერთიანობა ქრისტიანულ მისტიკასთან. შუა საუკუნეების კულტურის დასაწყის ეტაპზე მოღვაწეობდნენ ისეთი ნიჭიერი მწერლები, მოაზროვნეები და პოეტები, როგორებიც არიან ფსევდო დიონისე არეოპაგელი, გრიგოლ ნაზიანზელი და რომანოზ მელოდოსი.

ბიზანტიური ლიტერატურა IV-VI საუკუნეებში წარმოდგენილია როგორც ფილოსოფიური, რიტორიკული, ბელეტრისტული, ასევე საისტორიო ჟანრით. მაშინდელ მსოფლიოში ბიზანტიური საისტორიო მწერლობა შეუდარებელი იყო. ბიზანტიაში ცნობილი იყო საისტორიო მწერლობის სამი სახე: ზოგადად ისტორიები, საეკლესიო ისტორია და ქრონოგრაფია. ბიზანტიელი ისტორიკოსები, უპირველეს ყოვლისა, აგრძელებენ ძველ ელინურ და ელინისტურ საისტორიო პროზას და ასევე რომაული ისტორიოგრაფიის ტრადიციებს. იმპერიის მემატიანეები ბაძავენ მათ წინაპრებს ჰეროდოტეს, თუკიდიდეს, პლუტარქეს და ქსენოფონტეს. ადრებიზანტიურ ხანას განეკუთვნებიან ისეთი ცნობილი ისტორიკოსები, როგორებიც არიან: ევნაპი სარდელი, ამიანე მარცელინე (IV ს.), ზოსიმე, პრისკუს პანონელი (V ს.), ხოლო ამ ეპოქის საისტორიო მწერლობის მწვერვალს წარმოადგენს VI საუკუნის ისტორიკოსების — პროკოპი კესარიელის, აგათია სქოლასტიკოსისა და მენანდრე პროტიქტორის შრომები.

ამ ეპოქის ზოგადი ისტორიის ცნებიდან გამოიყოფა საეკლესიო ისტორია, რომელიც ზოგადი ისტორიიდან განსხვავდება იმით, რომ მათი ავტორები (ევსევი კესარიელი, გელასი კესარიელი, სოკრატე სქოლასტიკოსი, სოზომენე, თეოდორიტე კვირელი...) მოვლენებს უდგებიან ეკლესიის თვალსაზრისით.

III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნის დასაწყისში ჩაისახა საისტორიო მწერლობის სახე ქრონოგრაფია, რომელიც წარმოადგენდა არა რომელიმე კონკრეტული ეპოქის და ქვეყნის ისტორიას, არამედ მსოფლიო ისტორიას „სამყაროს შექმნიდან" ქრონოგრაფოსის დრომდე. ძირითად წყაროს ქრონოგრაფიისათვის წარმოადგენდა ძველი და ახალი აღთქმა. ქრონოგრაფები ამბის მოყოლას იწყებდნენ ადამის დროიდან, მოკლე მიმოხილვით ბიბლიაში გადმოცემულ ხალხთა ისტორიით და მხოლოდ შემდეგ აღწერდნენ თავიანთი ეპოქის ამბებს. „მსოფლიო ქრონიკებს" არ ჰქონდათ ლოგიკური დასასრული. ისინი თხრობას წყვეტდნენ იქ, სადამდეც მიაღწევდა ავტორი. ინდივიდუალურობა და ანალიტიკური ანალიზი უცხო იყო ქრონოგრაფებისათვის. ქრონოგრაფიები განსხვავებით მისი თანამედროვე საისტორიო მწერლობისაგან, რომელიც იქმნებოდა კლასიკურ ატიკურ ბერძნულ ენაზე, იწერებოდა ხალხური ენით, ვინაიდან მისი ავტორები ძირითადად იყვნენ დაბალი წრიდან გამოსული ბერები, რომლებიც მთელი არსებით იდგნენ ქრისტიანულ პოზიციებზე და ისტორიას მხოლოდ თეოლოგიური თვალსაზრისით განიხილავდნენ. ქრონოგრაფები ყოველგვარი კრიტიკის გარეშე ურთავდნენ თავიანთ ნაშრომებს ლეგენდებს. ყოველგვარი სასწაული, გმირთა საარაკო თავგადასავალი აისახებოდა როგორც ფაქტი. ქრონოგრაფია საბოლოოდ ჩამოყალიბდა VI საუკუნეში. მას დასრულებული სახე მისცა იოანე მალალამ.

ადრეულ შუა საუკუნეებში ბიზანტიაში ჩამოყალიბდა საეკლესიო პოეზია, ანუ ჰიმნოგრაფია. VI საუკუნეში ცხოვრობდა უდიდესი ჰიმნოგრაფი რომანოს მელოდოსი. მის მიერ შეთხზულ რიტმულ ლექსებში არ ჩანს ანტიკური მეტრიკის წესები და რიტმულობა. იგი ემყარება ხალხური ენის ბუნებრივ თვისებებს და ხალხურ მელოდიებს. რომანოს მელოდოსის უბრალო ხალხურ ენაზე დაწერილი კონდაკები გათვალისწინებული იყო იმისათვის, რომ ბიბლიის თემატიკა და ბიბლიური ისტორიები უფრო გასაგები გამხდარიყო ფართო მასებისათვის. ორთოდოქსული ეკლესიის ლიტურგიკაში ამ კონდაკების შეტანამ ჭეშმარიტად გააძლიერა ქრისტიანობა ბიზანტიაში, ვინაიდან ლიტურგია წარმოადგენდა მის ღერძს.

ბიზანტიური ხელოვნების ჩამოყალიბებისათვის უმნიშვნელოვანესი იყო ბერძნულ-რომაული მემკვიდრეობა და აღმოსავლეთის ხალხების ტრადიცია. IV-VI საუკუნეებში ჩამოყალიბდა ბიზანტიური

ესთეტიკის ძირითადი პრინციპები. იგი ვითარდებოდა ანტიკური კულტურის საფუძველზე ქრისტიანობის შერწყმით. ანტიკური კულტურის ახალი, ქრისტიანული მსოფლმხედველობის შესაბამისად გადაშუშავების პროცესი მოიცავდა ხელოვნების ყველა დარგს. ბიზანტიური ესთეტიკისათვის დამახასიათებელი იყო ღრმა სპირიტუალიზმი, იგი სულს ანიჭებდა უპირატესობას. ქრისტიანული იდეოლოგია მოითხოვდა სინამდვილის არამატერიალური ფორმებით გამოხატვას. რასაკვირველია, ბიზანტიელი მოაზროვნეები არ გამორიცხავდნენ მატერიალურ მშვენიერებას, მაგრამ სულის მშვენიერებას, სიკეთეს, ზნეობრივ სრულყოფილებას აყენებდნენ ყველაზე მაღლა. მიუხედავად ქრისტიანული დოგმების გაბატონებისა ხელოვნებაში, შარლ დილი ადრებიზანტიური ხანის შესახებ წერდა: „ხელოვნება არასოდეს არ ყოფილა უფრო მრავალფეროვანი, უფრო ნაყოფიერი და უფრო თავისუფალი“.

ბიზანტიას განსაკუთრებული როლი ენიჭება შუა საუკუნეების არქიტექტურის განვითარებაში. V—VI საუკუნეების ბიზანტიელი ხუროთმოძღვრები ქმნიან ქალაქების ახალ დაგეგმარებას, რომელიც შემდეგში დამახასიათებელია ზოგადად შუა საუკუნეებისათვის. ტაძარი შენდებოდა ქალაქის ცენტრში, მოედანზე, გზაჯვარედინზე.

მსოფლიო არქიტექტურის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ბიზანტიურ საეკლესიო არქიტექტურას. საეკლესიო არქიტექტურაში დამკვიდრდა ბაზილიკური და ცენტრალური გეგმის მქონე გუმბათოვანი შენობები. ქრისტიანული არქიტექტურის შედევრს წარმოადგენს კონსტანტინოპოლში 532-537 წლებში აგებული წმ. სოფიის ტაძარი, რომლის ავტორები არიან ისიდორე მილეტელი და ანთიმოზ ტრალელი. მისი თანამედროვენი მას „ეპოქის სასწაულს და დიდებას“ უწოდებდნენ. არსად არასოდეს არ შერწყმია ერთმანეთს ასე ჰარმონიულად რომისა და აღმოსავლეთის გენია. წმ. სოფიის ტაძარი წარმოადგენდა ცენტრალური გეგმის მქონე გრანდიოზული ტაძრის პირველ განხორციელებას, რომელიც მთავრდებოდა კოლოსალური გუმბათით.

ადრებიზანტიურ ხანას განეკუთვნება ასევე ბიზანტიური ხუროთმოძღვრების ღირსშესანიშნავი ძეგლები: თორმეტი მოციქულის ტაძარი კონსტანტინოპოლში, სან ვიტალის ეკლესია რავენაში, წმ. დიმიტრის ტაძარი სალონიკში.

ბიზანტიურ სახვით ხელოვნებაში მისი ადრეული პერიოდიდან წამყვანი ადგილი დაიკავა მოზაიკამ. მიუხედავად იმისა, რომ მოზაიკაში აშკარა იყო ანტიკურობის კვალი (იმპერატორის სასახლის მოზაიკაში არის სცენები რეალური ცხოვრებიდან, რავენის ტაძარში იუსტინიანეს და თეოდორას გამოსახულება), მასში მაინც განმსაზღვრელი იყო ქრისტიანული ესთეტიკური ღირებულებანი. ხშირად მასში გადმოცემული იყო არა რაიმე რეალობა, არამედ რელიგიური იდეა.

ბიზანტიური ესთეტიკის პრინციპები მკაფიოდ აისახა ხატწერაში. ხატწერა წარმოადგენდა აღმოსავლეთის ქრისტიანობის სახვითი ხელოვნების ყველაზე მეტად დამახასიათებელ და ორიგინალურ სტილს. ხატის მთავარი დანიშნულება იყო არა ამა თუ იმ წმინდანის გარეგნობის გამოსახვა, არამედ წმინდანისათვის დამახასიათებელი მადლის გადმოცემა.

ადრებიზანტიურ ხანაში ისახება ბიზანტიური კულტურის ძირითადი თავისებურებანი, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდა შემდგომ პერიოდში. მასში თანდათან ნელდება ანტიკურობა. ბიზანტიური კულტურა მთლიანად განიმსჭვალა ახალი სულიერი იდეალებით. მაგრამ, რადგანაც იგი არ თმობდა რომის მემკვიდრისა და მსოფლიო იმპერიის პრეტენზიას, მას მაინც თავისი განსაკუთრებული სახე ჰქონდა მედიევალურ კულტურაში.

•

შუაბიზანტიური კულტურა. VII საუკუნეში დაწყებულმა სოციალ-ეკონომიკურმა კრიზისმა, საქალაქო ცხოვრების დაცემამ, მძიმე ომებმა არაბებთან, რელიგიურმა არეულობებმა გავლენა იქონია ქვეყნის არა მხოლოდ მატერიალურ ცხოვრებაზე, არამედ მოსახლეობის საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარებაზე. ინგრეოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ტრადიციული ფორმები, ვითარდებოდა და მკვიდრდებოდა ახალი ესთეტიკური ღირებულებანი. შუაბიზანტიურ ხანაში მშვენიერების იდეა დაკავშირებული იყო სამყაროს მედიევალურ აღქმასთან, სიკეთისა და ჭეშმარიტების იდეასთან. მშვენიერება დგას ხელოვნების გარეთ. შუა საუკუნეებში არსებობს არამატერიალური მშვენიერება, რომლის გაგება შეიძლება გონით, რომელიც გასხივოსნებულია ღვთაებრივი ნიჭით.

VII საუნის ბოლოსათვის ბიზანტია უკვე არ წარმოადგენდა ხმელთაშუა ზღვის ირგვლივ განლაგებულ უზარმაზარ იმპერიას,

მისი ადგილი დაიკავა შუაბიზანტიის სახელმწიფომ შეკვეცილი ტერიტორიით, მაგრამ უფრო ერთიანმა ეთნიკურად და უფრო ერთსულოვანმა რელიგიურად. ბერძნული ეთნოსი ხდება წარმმართველი ბიზანტიის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ბერძნული ენა – სახელმწიფო ენა. იმპერატორის ძველი რომაული ტიტულის ნაცვლად ჩნდება ბერძნული წოდება ბასილევსი.

ბარბაროსთა შემოსევების შედეგად ძლიერ დაზიანდა ბიზანტიური ქალაქები, არაბებმა დაიპყრეს აღმოსავლეთის ქალაქები ანტიოქია, ალექსანდრია, დამასკო, ედესა. მცირე ქალაქებმა დაკარგა ქალაქური ხასიათი და სოფლის ტიპის დასახლებებად გადაიქცა. ეს ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ნიშანი, დასავლეთ ევროპასთან შედარებით, ბიზანტიას ნაკლებად შეეხო. მან შეინარჩუნა ისეთი დიდი ქალაქები, როგორებიცაა კონსტანტინოპოლი, თესალონიკი, კორინთო, ეფესი, ნიკეა და არა მხოლოდ, როგორც ადმინისტრაციული ერთეულები, არამედ როგორც კულტურისა და განათლების კერები და საეკლესიო-სახალხო ცენტრები.

შუაბიზანტიურ ხანაში კულტურის დაცემის ფონზე გარკვეული აღმავლობა ჰქონდა თეოლოგიას. საზოგადოების ღრმა რელიგიურობა განპირობებული იყო ისლამის შემოტევით, მძიმე ყოფითმა პირობებმა, უცხო დამპყრობლების სისტემატურმა ლაშქრობებმა გაამძაფრა ბიზანტიელთა რელიგიური გრძნობები. გაიზარდა მონასტერთა და მონაზონთა რაოდენობა.

სასულიერო ხელისუფლების ძალაუფლების გაზრდას VIII საუკუნეში დაუპირისპირდა საერო ხელისუფლება, რის შედეგსაც წარმოადგენდა ხატმებრძოლეობა, რომელმაც თავისებური გაულენა იქონია ბიზანტიის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

იკონოკლასტურ პერიოდში განვითარებულმა დავებმა წარმოშვა ქრისტიანული ღვთისმეტყველების საერთო სისტემაში მოყვანის აუცილებლობა. ჯერ კიდევ VI საუკუნეში მაქსიმე აღმსარებლის მიერ დაწყებული თეოლოგიური ძიებანი სრულყო VIII საუკუნის წარმოშობით სირიელმა სასულიერო მოღვაწემ იოანე დამასკელმა. მისი ნაშრომი „ცოდნის წყარო“ დღემდე შეუზღუდავი ავტორიტეტით სარგებლობს.

VIII საუკუნიდან სკოლებში ძველი ბერძნული ლიტერატურის ადგილს თანდათან იკავებს ბიბლიისა და წმინდა მამათა წერილების

შესწავლა. უპირველესი არის რწმენა და არა ცოდნა. „რწმენა“ იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას საზოგადოებაში. ყველაზე პოპულარული ჟანრი ლიტერატურაში არის წმინდანთა ცხოვრების აღწერა. ქვეყნის ერთიანობა წარმოდგენილია ქრისტიანული სარწმუნოებით. ლიტერატურაში ფართოდ დაინერგა რიტორიკული მეთოდი, რაც მიუთითებდა, რომ იგი იწერებოდა უპირატესად არა მკითხველისათვის, არამედ მსმენელისათვის.

ხატმებრძოლეობამ განსაკუთრებული გავლენა იქონია ბიზანტიის სახვით ხელოვნებაზე. ამ პერიოდში თითქმის შეწყდა შუა საუკუნეების ხელოვნების ყველაზე მეტად გავრცელებული სახე — ხატწერა და საეკლესიო ფრესკა. იგი მხოლოდ იკონოკლასტური მოძრაობის დამთავრების შემდეგ აღდგა და ჩამოყალიბდა ხატწერის მკაცრი კანონები თავისი მყარი ნორმებით. პარალელურად ამისა, ბიზანტიის სახვითი ხელოვნება ვითარდება საერო მიმართულებით, სადაც ანტიკური ტრადიციები იზრდება, ვინაიდან ხელოვანი არ არის შეზღუდული რელიგიური თემებით.

ხატმებრძოლეობის პერიოდში ბევრი სასულიერო თუ სხვა საზოგადო მოღვაწე იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო. მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს იმ ქვეყნების კულტურის განვითარებაში, სადაც ისინი გადავიდნენ სამოღვაწეოდ. ეს იყო უმთავრესად დასავლეთ ევროპის ქვეყნები.

იკონოკლასტური მოძრაობის დასრულებამ ახალი ბიძგი მისცა ანტიკური კულტურის განვითარებას, რომელიც შეზღუდული იყო ხატმებრძოლი იმპერატორებისა და ხატთაყვანისმცემელთა დაპირისპირების გამო.

სასულიერო კულტურის აღმავლობის პირობებში ბიზანტიის ფილოსოფიურ აზროვნებაში ახალ მიმართულებას წარმოადგენს პატრიარქ ფოტიოსის შემოქმედება. ფოტიოსი თავის ირგვლივ შემოკრებილ ახალგაზრდებს ქრისტიანულ ლიტერატურასთან ერთად უკითხავდა, განუმარტავდა ანტიკური ლიტერატურის ძეგლებს. ამ მიზნით, მან შეადგინა კრებული „მირიობიბლიონ“, რომელშიც შედიოდა ნაწყვეტები ქრისტიან ძველ ბერძენ ავტორთა 280 ნაწარმოებიდან. გარკვეული ნაწილი ამ ნაწარმოებებისა დღეისათვის ცნობილია მხოლოდ ამ კრებულით. ბიზანტიის ისტორია, კულტურა, მისი ყოფა-ცხოვრება, საიმპერატორო კარის ცერემონიალები და, საერთოდ, ცენტრალური პერიოდის ბიზანტიის საზოგადოების

ცნობიერება შესანიშნავად არის ასახული მაკედონიელთა დინასტიის იმპერატორის კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებებში – „სახელმწიფოს მართვის შესახებ“, „თემების შესახებ“, „ბიზანტიის სამეფო კარის ცერემონიების შესახებ“, „ბასილი დიდის ცხოვრება და მოღვაწეობა“.

X—XI საუკუნეებში ხალხური თქმულებებისა და გადმოცემების საფუძველზე აღმოცენდა ხალხური ეპოსი, რომლის ძირითად თემას არაბი და სხვა დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა. პოემა „დიოგენის აკრიტასი“ არის მთელი მედიევალური ხანის საგმირო ეპოსის საუკეთესო ნიმუში.

X—XI საუკუნეებში ბიზანტიის კულტურაში ორი ტენდენცია არსებობდა, მოაზროვნეთა ნაწილი გატაცებული იყო ანტიკური ფილოსოფიით და ადამიანის სრულყოფისათვის უპირატესობას რწმენასთან შედარებით განათლებას, გონებას ანიჭებდნენ. ხოლო მეორენი ძირითადად გაბატონებულნი ქრისტიანული ეთიკის სულისკვეთებით ამტკიცებდნენ, რომ მხოლოდ ლოცვითა და სულიერი განწმენდით იყო შესაძლებელი ერთიანობა ღმერთთან. ამ უკანასკნელს წარმოადგენდნენ მისტიკოსები, რომელთა შორის გამორჩეული იყო სიმეონ ახალი ღვთისმეტყველი (949-1022 წწ.).

ძველი ბერძენი ფილოსოფოსების არისტოტელესა და პლატონის გავლენა აშკარაა შუა ბიზანტიური ხანის ფილოსოფოსების მიქაელ პსელოსის და იოანე იტალოსის შემოქმედებაზე. „ფილოსოფოსთა წინამძღოლის“ ტიტულის მქონე მიქაელ პსელოსი მრავალმხრივი მოღვაწე იყო. იგი შესანიშნავად უთავსებდა სამეცნიერო და ლიტერატურულ მოღვაწეობას სახელმწიფოებრივ საქმიანობას. პსელოსი ცდილობს ქრისტიანობის სამსახურში ჩააყენოს ანტიკური ფილოსოფია, მას არისტოტელეს „ლოგიკისა“ და რაციონალური ელემენტებისათვის საყვედურობენ მისი თანამედროვენი, ხოლო მისი მოწაფე იოანე იტალოსი „პლატონით გატაცების“ გამო განკვეთა ეკლესიამ.

საერო ლიტერატურის განვითარების ნათელი დადასტურებაა მიქაელ პსელოსის „ქრონოგრაფია“, რომელიც ბიზანტიის ისტორიულ მემუარული ლიტერატურის ახალი ეტაპია. XI—XII საუკუნეებში ბიზანტიაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ისტორიული ლიტერატურის ჟანრი. ამ პერიოდში შექმნილი ქრონიკები თავიანთი ხასიათით ადრებიზანტიური ხანის „ისტორიების“

გაგრძელებაა. კომნენოსების ხანის ისტორიკოსები წერის მანერით ბაძავენ ბერძენ ისტორიკოსებს. ცნობილი მემატიანე, იმპერატორ ალექსი კომნენოსის ქალიშვილი ანა კომნენოსი იყო თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებულესი ადამიანი. მისი თხზულება შეეხება მამამისის მოღვაწეობას და დაწერილია თუკიდიდეს მიბაძვით, ბრწყინვალე ატიკური ბერძნულით. ანა კომნენოსის „ალექსიადას" გაგრძელებას წარმოადგენს ნიკიტა ხონიატის „რომეების ისტორია", რომელშიც აღწერილია ჯვაროსანთა მიერ 1204 წელს კონსტანტინოპოლის აღების ტრაგიკული ამბები.

IX—X საუკუნეებში ბიზანტიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამონასტრო მშენებლობას, შემუშავებულ იქნა სამონასტრო ხუროთმოძღვრების ძირითადი პრინციპები. მონასტერი წარმოადგენდა შენობათა კომპლექსს, რომელიც შემოკავებული იყო ქვის კედლებითა და კოშკებით. X საუკუნეში ათონის მთაზე დაარსდა მონასტრები, რომელთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო ქართველთა მიერ დაარსებული იერონის მონასტერი. ათონის ოერთა მონასტერი შუა საუკუნეების საქართველოს კულტურისა და განათლების მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. ბიზანტიის კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა იყო 1088 წელს დაარსებული იოანე ღვთისმეტყველის მონასტერი კუნძულ პატმოსზე.

X საუკუნეში ბიზანტიაში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ჯვარ-გუმბათოვანი ტიპის არქიტექტურა, რომელიც ჯერ კიდევ VI საუკუნეში ჩაისახა მახლობელი აღმოსავლეთისა და კავკასიის ქვეყნებში. ჯვარ-გუმბათოვანი ტიპის მშენებლობის დასრულებულ სახეს წარმოადგენს ათონის მთის მონასტრის ეკლესიები.

მაკედონიური დინასტიის პერიოდში ბიზანტიის ხელოვნებაში განსაკუთრებით დაიხვეწა მინანქრის ტექნიკა, რითაც განთქმულები იყვნენ ბიზანტიელები მთელ მსოფლიოში. ეს ტექნიკა ბიზანტიაში აღმოსავლეთიდან შემოვიდა, მოგვიანებით ბიზანტიიდან ფართოდ გავრცელდა დასავლეთში.

შუა საუკუნეების ქრისტიანულ კულტურაში ბიზანტიურ და დასავლეთევროპულ კულტურულ ღირებულებათა ურთიერთგამიჯვნაში არსებითი როლი შეასრულა 1054 წლის საეკლესიო განხეთქილებამ. ამის შედეგად XII საუკუნის დამდეგისათვის ევროპაში ჩამოყალიბდა ორი მკაფიოდ გამიჯნული რელიგიურ-

კულტურული არეალი — მართლმადიდებლური და კათოლიკური. ეს ორი ქრისტიანული კულტურა არა მხოლოდ პოლიტიკურად შორდება ერთმანეთს, არამედ ყალიბდება როგორც გარეგნული სარიტუალო, ასევე თვისობრივი ხასიათის განსხვავებებიც.

კათოლიკურ სამყაროში უფრო სრულყოფილი ხდება ეკლესიის მონოპოლია კულტურაზე, ლათინურმა ეკლესიამ თავის კონტროლს დაუქვემდებარა მთელი დასავლური საზოგადოების სულიერი ცხოვრება. პაპის ცენტრალიზებული იდეოლოგიური პოლიტიკა, დასავლეთის უფრო მეტად ცენტრალიზებული საეკლესიო სისტემა პრეტენზიას აცხადებდა საერო და სასულიერო ხელისუფლების თავისი გავლენის ქვეშ მოქცევაზე, ხოლო აღმოსავლეთის ღარიბი ეკლესია ნაკლებად იყო ცენტრალიზებული და მეტად დამოკიდებული საერო ხელისუფლებაზე. დასავლური ეკლესიისათვის დამახასიათებელი იყო უფრო მძაფრი ემოციები. საერო ხელისუფლებასთან უპირატესობის განსამტკიცებლად, დასავლეთის ეკლესიაში წინა პლანზე დგება ასკეტური იდეალები, ჩნდება ინკვიზიცია. ბერძნული ეკლესია უფრო თანამიმდევრულად თანამშრომლობდა საერო ხელისუფლებასთან. მართლმადიდებლობისათვის დამახასიათებელი იყო განზოგადებული ფილოსოფიური აზროვნება. ამ განსხვავებამ ასახვა პოვა ბიზანტიურ და დასავლეთევროპულ კულტურაში, კერძოდ, ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

XI—XII საუკუნეებში, მიუხედავად დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის განხეთქილებისა ამ ორ კულტურულ არეალს შორის მაინც არსებობდა ინტენსიური კავშირები. ამ პერიოდიდან ბიზანტიური კულტურა აქტიურად ვრცელდება არა მხოლოდ იტალიასა და გერმანიაში, არამედ აღწევს საფრანგეთსა და ინგლისში. ბიზანტია, როგორც ანტიკური ტრადიციების მატარებელი და დამცველი საგანგებო ყურადღებას იქცევს დასავლეთში.

ჯვაროსანთა ლაშქრობებმა XI-XIII საუკუნეებში გააქტიურეს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის კონტაქტები. გამოცოცხლდა დასავლეთ ევროპის ინტერესი ანტიკური ლიტერატურისადმი, რომელსაც ისინი ბიზანტიელებისაგან ეცნობოდნენ. საფრანგეთში შეიქმნა „რომანი ტროას შესახებ“, გერმანიაში — „სიმღერა ტროაზე“, ასევე იტალიაში — „ტროას დანგრევის ისტორია“, ლათინურ ენაზე ითარგმნება ბიზანტიელ წმინდანთა ცხოვრება.

გვიანბიზანტიური კულტურა. 1204 წელს ჯვაროსანთა მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ ბოლო მოუღო კონსტანტინოპოლის კულტურულ მონოპოლიას. ლათინთა მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა რამდენიმე დამოუკიდებელი სამეფო და სამთავრო. ერთ ნაწილზე წარმოიშვა ლათინთა სენიორიები — კონსტანტინოპოლში ლათინთა იმპერიის სახით, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ფლანდრიის გრაფი ბალდუინი; თესალონიკის სამეფო მონფერატის მარკიზის ბონიფაციუსის მეთაურობით. ხოლო თვით ბერძნული სახელმწიფოებიდან წარმოიშვა ძირითადად სამი ცენტრი ნიკეის იმპერია მცირე აზიის ჩრდილოეთ ნაწილში, ეპირის დესპოტატი ბალკანეთზე და ძველი პონტოს ტერიტორიაზე შავი ზღვის სამხრეთით ტრაპიზონის იმპერია, რომელიც საქართველოს მეფის — თამარის უშუალო ჩარევით ჩამოყალიბდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ბერძნული სამეფო-სამთავრონი 1261 წლამდე თითქმის იზოლირებული იყვნენ ერთმანეთისაგან, მათ ტერიტორიებზე ბიზანტიის სახელმწიფოს საუკუნოვანი ტრადიციები და ღირებულებები ხელშეუხებელი რჩებოდა. ბიზანტიური კულტურის ცენტრს ამ ეტაპზე ნიკეა წარმოადგენს, ნიკეა ხდება „კონსტანტინოპოლი დევნილობაში".

ლათინთა აგრესიამ, კათოლიკურსა და ორთოდოქსალურ ეკლესიებს შორის დაპირისპირებამ, ბიზანტიელების განსაკუთრებული ყურადღება გადაიტანა იმ განმასხვავებელი ნიშნების ძიებაზე, რომლებიც მას გამოარჩევდნენ რომაელებისაგან და ლათინებისაგან. ბიზანტიაში ჩნდება ელინური უპირატესობის შეგრძნება და მართლმადიდებელი ეკლესია ხდება შემაკავშირებელი საყრდენი სახელმწიფოებრივი ერთიანობისა. ამ ერთიანობით შეძლეს უკანასკნელად მოეხდინათ ბიზანტიის გაერთიანება კონსტანტინოპოლის ცენტრით. მიუხედავად ამისა, ერთ დროს უძლიერესმა იმპერიამ მაინც დაკარგა თავისი სიდიადე, ჰალეოლოგებმა ვერ შეაჩერეს დაწყებული რღვევის პროცესი, ბიზანტიამ ვერ გაუძლო ყოველი მხრიდან აგრესიას და XV საუკუნის შუა ხანებში შეწყვიტა არსებობა.

კონსტანტინოპოლის ტრაგედიამ ახალი ბიძგი მისცა ელინისტური კულტურისადმი ბიზანტიელთა დაინტერესებას. გარდა იმისა, რომ ბერძნულ კულტურაში ხედავდნენ იდეურ კულტურულ გამა-

ურთიანებელ ფაქტორს, ისინი ანტიკურ ფილოსოფიაში ეძებდნენ შათი უბედურებების მიზეზების ახსნას.

ლათინთა და ბიზანტიელთა დაპირისპირებას თან სდევდა ბერძნული და დასავლეთის კულტურის ურთიერთგაცნობისა და ურთიერთგაზიარების პროცესი. ადგილობრივი და დასავლეთის კულტურული კავშირი ძირითადად ბიზანტიური კულტურის უპირატესობის ფონზე მიმდინარეობდა. ლათინ დამპყრობელთა მაღალი წრის წარმომადგენლები დიდი სიამოვნებით ეწაფებოდნენ ბერძნულ კულტურას. თავის მხრიდან დასავლეთის გავლენა თავს იჩენს ბიზანტიურ ხელოვნებასა და ლიტერატურაში. დასავლეთის გავლენით აღმოცენდა ბიზანტიაში სარაინდო რომანი, ასევე შეაღწია პოეზიაში კურტუაზული ლირიკის მოტივებმა. XIII —XIV საუკუნეების ბერძნული სარაინდო პოემები „ბელთანდრე და ხრიზანცა", „კალიმახე და ხრისოროე" აღმოცენდა ძველბერძნული სატრფიალო-სათავგადასავლო რომანის ტრადიციებზე, მაგრამ ისინი მაინც უფრო ახლოს დგანან დასავლეთის სარაინდო ეპოსთან.

თურქთა აგრესიულმა თავდასხმებმა, რომელიც იმპერიას დღე-დღეზე განადგურებით ემუქრებოდა „ღვთისრჩეული იმპერია" მძიმე ალტერნატივის წინაშე დააყენა — ან კონფესიული დათმობის ფასად მიეღოთ დახმარება დასავლეთისაგან, ან წასულიყვნენ თურქებთან კომპრომისზე მართლმადიდებლობის შენარჩუნების იმედით.

ლათინურ ეკლესიასთან, კათოლიციზმთან მართლმადიდებელი ეკლესიის კავშირი — უნია, რომელიც სამჯერ იქნა ხელმოწერილი, პალეოლოგების ხანაში გახდა დავისა და დაპირისპირების მიზეზი ბიზანტიის საზოგადოებაში. ბიზანტიელ სწავლულთა ერთი ნაწილი, რომელთაც ბიზანტიელ ჰუმანისტებს უწოდებდნენ, ესწრაფოდნენ ერთიანი ქრისტიანული ეკლესიის აღდგენას და ხსნას დასავლეთში ეძებდნენ. ეს მეცნიერები, მაშინდელი საზოგადოების წარჩინებული ადამიანები თეოდორე მეტოხიტი, ნიკიფორე გრიგორა, დიმიტრი კიდონისი, გეორგ პლეთონი, ბესარიონ ნიკეელი არისტოტელესა და პლატონის მოძღვრებებთან ერთად დიდ ინტერესს იჩენდნენ დასავლეთის ისეთი პროგრესული მოღვაწეების შემოქმედებისადმი, როგორებიც იყვნენ თომა აკვინელი, პიერ აბელარი და სხვები.

ალყაშემორტყმულ კონსტანტინოპოლში, დიდ ნაწილს ნაკლები იმედი გააჩნია დასავლეთის დახმარების და ქვეყნის ხსნას მხოლოდ

მართლმადიდებლობასა და ელინიზმში ხედავს. ეს გახდა ძირითადი მიზეზი მისტიკური მოძრაობის გაძლიერების, რომელიც ჩაისახა სინასა და ათონის მონასტრებში და ცნობილია ისიხისტების მოძრაობის სახელით (ისიხია – ბერძნ. სიმშვიდე, მეუდაბნეობა). მისი წარმომადგენლები გრიგოლ სინაიტი, გრიგოლ პალამა და ნიკოლოზ კავასილა ქადაგებდნენ ღვთისადმი სრულ მორჩილებას, სულიერი მოღვაწეობის მიზნად მიაჩნდათ სამყაროს შემეცნება, არა გონებითა და ლოგიკით, არამედ ლოცვით, ვნებების დაძლევით, ასკეტიზმით. ამ იდეებს მხარი დაუჭირა მართლმადიდებელმა ეკლესიამ და ხელისუფლებამ. 1351 წელს საეკლესიო კრება მიესალმა გრიგოლ პალამას მოძღვრებას, ხოლო მისი მოწინააღმდეგეები ვარლამ კალაბრიელი, გრიგოლ აკინდინი და ნიკიფორე გრიგორა ანათემას გადასცა. ისიხისტებმა, მართალია თავისი იდეებით ვერ შეძლეს გადაერჩინათ თავიანთი სამშობლო, მაგრამ განუზომელი იყო მათი როლი მოსახლეობის დასარაზმავად თავსდატეხილი უბედურების წინააღმდეგ, ქრისტიანული მორალის განმტკიცებასა და ჰუმანური ზნეობის დამკვიდრებაში. ისიხიზმი გახდა გაბატონებული იდეოლოგიური დოქტრინა როგორც ბიზანტიაში, ასევე სხვა ორთოდოქსული ქრისტიანობის ქვეყნებში.

ბიზანტიის იმპერიის უკანასკნელ პერიოდში, როდესაც უმძიმესი თავდაცვითი ბრძოლები თითქმის არ ტოვებდა მშვიდობიანი მოღვაწეობის პირობებს, ქვეყანაში მაინც არ ჩამკვდარა კულტურული ცხოვრება. ნაციონალურმა გრძნობებმა და წარსულის დიდებისადმი უაღრესად დიდმა ნოსტალგიამ განაპირობა ამ პერიოდში საისტორიო მწერლობისადმი განსაკუთრებული ინტერესი. პალეოლოგების ხანის ისტორიული ქრონიკები იძლევა არა მხოლოდ ეპოქის აღწერას, არამედ ავტორები საკუთარი თვალთახედვით განიხილავენ ფაქტებს და მოვლენებს. ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნიკიფორე გრიგორას ნაშრომი „რომაული ისტორია", რომელიც მემუარული ხასიათისაა, აღწერს იმპერიის ისტორიის უმძიმეს წლებს 1204 დან 1359 წლამდე. ამ პერიოდის გამორჩეულ ისტორიკოსთა შორის უნდა დავასახელოთ უზურპატორი იმპერატორი იოანე კანტაკუზინი, რომელმაც აღწერა ოსმალთა შემოსევების დასაწყისი ეტაპი. კონსტანტინოპოლის დაცემის, ბიზანტიის უკანასკნელი ტრაგიკული დღეების თვისებური შეფასებები გადმოცემულია გამოჩენილი ისტორიკოსების გიორგი

ფრანძესის, დუკას, ლაონიკე ხალკონდილეს და კრიტობულის შრომებში.

პალეოლოგების ხანაში ხელოვნების განვითარების ტემპები ჯერ შენელებულა, მიუხედავად მძიმე პირობებისა, იქმნება ახალი არქიტექტურული ნაგებობანი კონსტანტინოპოლსა და ბიზანტიის სხვა ქალაქებში: თესალონიკში, მისტრაში, ასევე ტრაპიზონის იმპერიაში. XIV—XV საუკუნეების არქიტექტურის საუკეთესო ძეგლებს წარმოადგენს წმ. მოციქულების ეკლესია თესალონიკში, პანტანასა ეკლესია მისტრაში, ხორას ტაძარი კონსტანტინოპოლში (კახრიე-ჯამე), აღდგენილი 1320 წელს, ცნობილი საზოგადო მოღვაწის თეოდორე მეტოხიტის ხელმძღვანელობით.

ბიზანტიური ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებისათვის დამახასიათებელ ახალ სტილს შეესაბამებოდა ესთეტიკური განვითარების ახალი ეტაპი — სულისა და გარეგნული ფორმის ჰარმონია. ამ პერიოდში ხატი, არა მხოლოდ ქრისტიანული მოძღვრების ქადაგების საშუალებაა, არამედ ხელოვნების ნაწარმოები. თეოდორე მეტოხიტი ფერწერას ადარებდა მუსიკას და ბიზანტიური ესთეტიკის ძირითად პრობლემად მრავალფეროვნების ერთ მთლიანში გაერთიანებას მიიჩნევდა.

გვიანბიზანტიური ხანის კულტურა ვერ იქნება სრულყოფილად წარმოდგენილი იმ ბერძნული სახელმწიფოების კულტურული ცხოვრების შესწავლის გარეშე, რომლებიც აღმოცენდნენ ბიზანტიის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჯვაროსანთა მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ. ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან, დამოუკიდებელ სახელმწიფო ერთეულს წარმოადგენს ტრაპიზონის იმპერია (1204-1461 წწ.).

ტრაპიზონის იმპერია, რომლის სათავეში იყვნენ ქართველ ბაგრატიონთა ნათესაები კომნენოსები, მოწყვეტილი იყო საერთო-ბერძნულ-ბიზანტიური კულტურის ცენტრებიდან. ტრაპიზონის იმპერიის კულტურას განსხვავებული თავისებურებანი ჰქონდა, რაც განპირობებული იყო, ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობითა და მისი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობით. ტრაპიზონის იმპერია ინარჩუნებდა მჭიდრო კავშირებს როგორც აღმოსავლეთის მუსლიმურ ქვეყნებთან, ასევე იტალიასთან, განსაკუთრებით ვენეციასთან და გენუასთან. ტრაპიზონის იმპერია მთელი თავისი არსებობის მანძილზე, ყველაზე მჭიდრო ურთიერთობაშია საქართველოსთან.

ტრაპიზონში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მთარგმნელობით მოღვაწეობას. რადგანაც მათ გააჩნდათ აღმოსავლეთის ქვეყნებთან აქტიური ურთიერთობის საშუალება, XIII საუკუნეში ტრაპიზონში ითარგმნა სპარსული და არაბული ენებიდან ბერძნულ ენაზე სხვადასხვა ტრაქტატი ასტრონომიაში, მედიცინაში, მათემატიკაში. ტრაპიზონის კულტურა, მასში ქართული და აღმოსავლეთის სხვა ხალხების მნიშვნელოვანი გავლენის მიუხედავად, მაინც ბერძნული იყო. XV საუკუნის ტრაპიზონელმა მეცნიერებმა და მწერლებმა იოანე ევგენიკმა და გიორგი ამირუციმ წარუშლელი კვალი დატოვეს მედიევალურ ბერძნულ კულტურაში. გარკვეული პერიოდი ტრაპიზონში მოღვაწეობდა აგრეთვე ბესარიონ ნიკეელი.

ბიზანტიური კულტურა იმპერიის დაცემის შემდეგაც, დაპყრობილი ქვეყნის უმძიმეს პირობებში აგრძელებდა არსებობას ხალხის ჩვევებსა და ყოფა-ცხოვრებაში. ბიზანტიური კულტურა ოსმალთა ბატონობის პერიოდში ძირითადად მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში ვითარდებოდა. ბიზანტიური კულტურის წარმომადგენლებმა კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ გადაინაცვლეს სხვა ქვეყნებში, ძირითადად იტალიაში და მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს იტალიელ ჰუმანისტებზე და უდიდესი წვლილი შეიტანეს იტალიური რენესანსის კულტურაში. როდესაც ბიზანტია უკვე არ არსებობდა ბიზანტიური კულტურის ცენტრები გახდა კრეტა, კვიპროსი და, უპირველესად, ქალკედონის ნახევარკუნძულზე ათონის მონასტერი. ათონის წმინდა მთაზე ბერებს მეტი თავისუფლება ჰქონდათ, მაშინ, როდესაც საბერძნეთში მხოლოდ მცირე ზომის ეკლესიათა აშენება იყო ნებადართული, მონასტრის ტერიტორიაზე შენდებოდა დიდი ტაძრები. ათონის მთაზე XVI საუკუნეში იყო აყვავებული კულტურული ცხოვრება.

ბიზანტიური კულტურის სულიერი ღირებულებანი დღესაც აგრძელებს არსებობას. ბიზანტიური ფენომენის მდგრადობის გამო გაჩნდა ტერმინი „ბიზანტია ბიზანტიის შემდეგ". ბიზანტიურ კულტურას გამორჩეული ადგილი უჭირავს მედიევალურ კულტურაში, ის ორთოდოქსული ქრისტიანული კულტურის სახით არის საფუძველი არა მხოლოდ ბერძნული, არამედ სხვა აღმოსავლეთ ევროპის მართლმადიდებელი სახელმწიფოების კულ-

ტურათა განვითარების. როგორც შარლ დილი აღნიშნავს „მისი გულენის კვალი დღესაც ატყვია იდეურ მიმდინარეობებსა თუ პოლიტიკურ გეგმებს და იმ ხალხებისათვის, რომლებმაც მემკვიდრეობით მიიღეს იგი, თავის წიაღში დღესაც ინახავს ძომავლის დვრიტას და თესლს. სწორედ ამიტომაც ბიზანტიური კულტურა ორმხრივი თვალსაზრისით იმსახურებს ყურადღებას: ჩვენთვის თანაბრად საინტერესოა ისიც, რაც იყო ეს კულტურა თავისთავად, და ისიც, რაც მას შეაქვს ჩვენი დროის ისტორიაში.

არაბულ-მუსლიმური კულტურა

მსოფლიო კულტურის საგანძურში გამორჩეული ადგილი უჭირავს არაბულ-მუსლიმურ კულტურას. ამ ტერმინში მოიაზრება არაბეთის ნახევარკუნძულისა და იმ ქვეყნების კულტურა, რომლებმაც არაბთა დაპყრობების საფუძველზე, არაბიზაცია განიცადეს. თავის დროზე ეს მაღალგანვითარებული კულტურა უკიდეგანო სივრცეს მოიცავდა: პირენეის ნახევარკუნძულიდან დაწყებული, ახლო და შუა აღმოსავლეთს ინდოეთამდე, ასევე ჩრდილო აფრიკას.

არაბულ-მუსლიმური კულტურა მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. მათგან ერთ-ერთი ძირითადი ის არის, რომ ხსენებული კულტურა, ერთი მხრივ, ძველი, საკუთრივ არაბულ ნიადაგზე აღმოცენებული ტრადიციების გამგრძელებლად გვევლინება, მეორე მხრივ, წინა აზიის კულტურულ ხალხთა ძლიერ ზეგავლენას განიცდის. აქედან მომდინარეობს არაბულ-მუსლიმური კულტურის არანაკლებ მნიშვნელოვანი სხვა მახასიათებელი; მასში ორგანულად იყო შერწყმული აღმოსავლური და დასავლური წარმოშობის კულტურული ელემენტები: აღმოსავლეთიდან (ირანი, შუა აზია, ინდოეთი) ჰუმანიტარული მეცნიერებანი, დასავლეთიდან (ბერძნულ-რომაული სამყარო) – საბუნებისმეტყველო დარგები. არაბულ-მუსლიმური კულტურის თავისებურება კი მაინც ისლამის (არაბულად – მორჩილება) თავისებურებებითაა განპირობებული, რომელიც არა უბრალოდ მსოფლიო რელიგიაა, არამედ კულტურათა მთელ ერთობლიობას განასახიერებდა: ფილოსოფიის, ხელოვნებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგს, ადათ-წესს, ტრადიციას, სამართალს, ამიტომ ამ კულტურის განხილვისას, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ისლამისა და მისი არსის წარმოჩენა. მაგრამ ვიდრე უშუალოდ ამ საკითხს შევეხებოდეთ, უპრიანია თავად არაბულ-მუსლიმური კულტურის რაობა განვსაზღვროთ.

ორიენტალისტურ სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ გამოთქმა „არაბულ-მუსლიმური კულტურა“ პირობითი მნიშვნელობით იხმარება და სრულიად არ გულისხმობს საკუთრივ არაბულს ან მუსლიმურს, რადგანაც ამ კულტურის განვითარებაში არაბებთან ერთად სხვა წარმოშობისა და სარწმუნოების (იუდეველები, ქრისტიანები) მოღვაწენიც მონაწილეობდნენ: პოეტები, მწერლები, ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, მხატვრები და სხვ. ყველა ისინი თავიანთი შემოქმედებით ავითარებდნენ და ამდიდრებდნენ არა საკუთრივ ისლამის რელიგიურ იდეოლოგიურ-მოთხოვნებს, არამედ მთელ აღმოსავლურ კულტურას. არაბთა მიერ დაპყრობილ ქვეყნებს (ირანი, ბიზანტია, სირია, პალესტინა, ჩრდილო აფრიკა, შუა აზია...) კულტურული განვითარების თავ-თავისი დონე ჰქონდათ, რაც ღრმად ფესვგამდგარი იყო საკუთარ ტრადიციებსა და ისტორიულ წარსულში. ამ თვალსაზრისით, არაბული, ანუ მუსლიმური კულტურა წინა აზიის ხალხთა კულტურულ მიღწევათა შერწყმას წარმოადგენდა. ამასთან, ვინაიდან აღმოსავლეთის ხალხთაგან ზოგი ადრე გამოვიდა კულტურული ცხოვრების ასპარეზზე, ზოგი კი გვიან, აშკარა იყო კულტურულ ურთიერთობათა ზეგავლენის კვალი. მაგალითად, არაბებმა ბევრი რამ გადაიღეს წინა აზიის კულტურული მონაპოვრიდან, ეზიარნენ ირანულ და ინდურ კულტურებს. ირანმა, საერთოდ, ძალზე დიდი გავლენა მოახდინა მუსლიმური კულტურის შემდგომ განვითარებაყოველებაზე. მოგვიანებით თურქული წარმოშობის ხალხი არაბების და ირანელების მოწაფეები აღმოჩნდნენ. პროფ. ვალერიან გაბაშვილი თავის გამოკვლევაში ამ საკითხებთან დაკავშირებით (აღმოსავლური კულტურა, არაბულ-მუსლიმური კულტურა) ხაზს უსვამს, რომ უეჭველად გასათვალისწინებელია ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ „არაბი“ და „მუსლიმანი“ ან „არა-ბობა“ და „ისლამი“ სრულიადაც არ ფარავს ერთმანეთს....მათი ოდინდელი ერთობის გათიშვა მოხდა მაშინ, როდესაც ისლამი მსოფლიო რელიგიად იქცა. ასე რომ, არაბობა და ისლამი ერთმანეთთან დაკავშირებული იყო მხოლოდ ადრინდელი ისლამის არსებობის პერიოდში, ანუ VII საუკუნის პირველი მეოთხედიდან VIII საუკუნის 50-იან წლებამდე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, არაბულ-მუსლიმურ კულტურას იმთავითვე სრულიად განსხვავებულ გამოხატულებას ანიჭებდა ისლამი, რომელიც VII საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა არაბეთის

ნახევარკუნძულზე იუდაიზმისა და ქრისტიანობის ტრადიციებზე და ზოგი რამ მათი დოგმებიდან შეითვისა. კერძოდ, ისლამმა აღიარა იესო ქრისტეს (რომელიც ისას სახელით მოიხსენიება) სასწაულები და იუდაიზმის დებულებათა გარკვეული ნაწილი. მაგრამ მის თანახმად, ებრაელებმა და ქრისტიანებმა არასწორად გაიგეს ერთი და იგივე ღმერთის ზეშთაგონების არსი და მხოლოდ წინასწარმეტყველი მუჰამედი მოევლინა ქვეყანას ჭეშმარიტი ზეშთაგონებით, რომელმაც თავის წინამორბედთა შეცდომები გამოასწორა. რამდენადაც ისლამის საწყისი პრინციპები ქრისტიანობისა და ისლამის საფუძვლებს ემსგავსებოდა, იმდენადვე მისი დებულებების შემდგომი განვითარება სრულიად საპირისპირო მიმართულებით წარიმართა. მომთაბარეთა და ვაჭართა გარემოში ჩასახული ერთი შეხედვით მარტივი და პრიმიტიული იდეები, ახლო აღმოსავლეთში ფეოდალიზმის განვითარების პროცესში, სულ ახალ-ახალი დებულებებით ეზსებოდა. ამიტომ ისლამის დოგმები იმთავითვე არაბთა სახალიფოს ბატონობაში მოქცეულ ხალხთა ცხოვრების მთავარ წარმმართველ პრინციპად იქცა. ისლამი საზოგადოების სოციალური სტრუქტურებისა და მორალური ნორმების განმსაზღვრელი კანონი გახდა, რომლის დასაბუთებაც მუსლიმთა წმინდა წიგნში – ყურანში იყო მოქცეული.

სანამ უშუალოდ ისლამური პერიოდის კულტურას განვიხილავდეთ, ორიოდე სიტყვით წინაისლამური – წარმართული ხანის არაბული კულტურის შესახებ; ეს პერიოდი ჯაჰილიის სახელითაა ცნობილი, რაც არაბულად უმეცრებას, არცოდნას ნიშნავს. მუსლიმებმა ამ სიტყვას საგანგებო მნიშვნელობა მიანიჭეს: ჭეშმარიტი რწმენის არცოდნა, ანუ ისლამური რელიგიის არცოდნა. ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს სახელწოდება იმ პერიოდის აღსანიშნავად გამოიყენება, რომელიც უშუალოდ წინ უძღოდა ისლამის წარმოშობას. მუსლიმური თვალსაზრისით, ჯაჰილია ისლამის განათლებულმა ეპოქამ შეცვალა. ჯაჰილიის პერიოდში არაბეთის ნახევარკუნძულზე დასრულდა შრომის საზოგადოებრივი განაწილება – ხელოსნობა გამოეყო მიწათმოქმედებას. ამ დროისათვის არაბებს უკვე ათვისებული ჰქონდათ მეთუნეობა, საფეიქრო საქმე, მეტალის დამუშავება. მაღალ განვითარებას მიაღწია არაბთა საქარავნო ვაჭრობამ, რომლებიც შუამავლის როლს ასრულებდნენ საერთაშორისო ვაჭრობაში ინდოეთს, ჩინეთსა და ხმელთაშუა ზღვის

ქვეყნებს შორის. საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს ისლამამდელი არაბული პოეზია, განსაკუთრებით მომთაბარე-ბედუინების ლირიკა, სახოტბო და პოეტური ნაწარმოებები, რომლებიც ჟანრისა და სტილის საოცარი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდნენ. ამ პოეზიის ნიმუშები თავისი დონით ტოლს არ უდებდა ხმელთაშუა ზღვის ხალხთა ანტიკურ პოეტურ შემოქმედებას.

ჯაჰილიას პერიოდში პოეზიის ენამ ისეთ დახვეწილ დონეს მიაღწია, რომ ის თითქმის მთელი არაბეთის ნახევარკუნძულის საერთო ენად იქცა, აგრეთვე, პალესტინაში, სირიასა და მესოპოტამიაში მოსახლე არაბებისათვისაც. ძველი არაბული პოეზიისა და ყურანის საფუძველზე კლასიკური არაბული ენა ჩამოყალიბდა, რომელიც VII-X საუკუნეების განმავლობაში მუსლიმური ქვეყნების საერთაშორისო ენად იქცა. პარალელურად იხვეწებოდა არაბული დამწერლობა. თავისი არსით, ის არამეული დამწერლობის იმ სახეობათა განვითარებას წარმოადგენს, რომლებიც ნაბატეური და ნეოსინური სახელითაა ცნობილი. არაბული დამწერლობის უძველესი დღემდე შემონახული ძეგლებია 328 წლის ან-ნამრას და 512 წლის ზაბადის წარწერები (იორდანიისა და სირიის ტერიტორიებზე). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უძველესი არაბული დამწერლობის სახეობა გაცილებით ადრინდელი პერიოდით თარიღდება. ძველი დამწერლობა საფუძველად დაედო შუა საუკუნეების არაბული დამწერლობის განვითარებას.

რაც შეეხება რელიგიას, ჯაჰილიას პერიოდში ის ფეტიშიზმის, ანიმიზმისა და ტოტემიზმის ნაჯერით იყო წარმოდგენილი. განსაკუთრებით გავრცელებული იყო ფეტიშიზმი, რაც მეტეორიტული და ვულკანური ქვების თაყვანისცემაში გამოიხატებოდა. ისლამში შემონახული შავი ქვის კულტი სწორედ აქედან იღებს სათავეს, რომელმაც ისლამურ ხანაში თავისი შინაარსი შეიცვალა. როგორც ცნობილია, მუსლიმთა წმინდა ქალაქის მექის ქაბას ტაძარში დაცულია შავი ქვა, რომელიც ისლამამდეც წმინდა ადგილს წარმოადგენდა არაბთათვის. ისლამის გამარჯვების შემდეგ კი, შავი ქვის თაყვანისცემა ჰაჯის რიტუალის შემადგენელი ნაწილი გახდა. არაბებში გავრცელებული იყო, აგრეთვე, კერპთაყვანისმცემლობა, რაც მსხვერპლშეწირვისა და მარტივ რიტუალებში გამოიხატებოდა. მეზობელი ცივილიზებული ქვეყნებიდან არაბეთში ქრისტიანობამ (მონოფიზიტობისა და ნესტორიანელობის) და იუდაიზმმა შეაღწია.

ეს უკანასკნელი იქ ქრისტიანობას უპირისპირდებოდა და უმთავრესად არაბეთის ჩრდილო-დასავლეთ ოაზისებში იყო გავრცელებული. იემენში კი იუდაიზმი IV საუკუნის დასაწყისში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

ისლამის ჩამოყალიბების ხანაში (VII საუკუნის დასაწყისი) არაბთა უმეტესობისათვის დამახასიათებელი იყო მომთაბარული ცხოვრება და ჯოგური მეურნეობა. ბიზანტიურ-ირანულ ცივილიზაციას ზიარებული იყვნენ მხოლოდ სამხრეთ-არაბეთიდან გამოსული ლაჰმიდები (სირიაში) და ჰასანიდები (ერაყში). ჩრდილოეთის არაბები – ბედუინები მუდამ მტრულად უყურებდნენ სამხრეთის მკვიდრ ბინადარ არაბებს, მიწათმოქმედ ფელაჰებს. ბედუინთა სამასამდე ტომი იყო, რომელიც საქარავნო გზებზე ყაჩაღობით ირჩენდა თავს.

ისლამს ჰიჯაზის რაიონში ჩაეყარა საფუძველი, რომლის მთავარი ქალაქები იყო მექა და მედინა (ყოფილი იასრიბი). ისინი დიდი სავაჭრო-საქარავნო გზების გასწვრივ მდებარეობდნენ, რომელთა საშუალებით ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნები ინდოეთს უკავშირდებოდნენ. ამის წყალობით ეს ქალაქები ძველთაგანვე ვაჭრობითა და აღებ-მიცემობით იყვნენ განთქმულნი, მაგრამ ახლო აღმოსავლეთში იმხანად მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გამო (რაც გამოიხატებოდა ირანისა და ბიზანტიის მცდელობაში არაბეთის ნახევარკუნძულს დაპატრონებოდნენ), ამ გზამ სხვა მიმართულებით – ჩრდილოეთით გადაინაცვლა და მექა-მედინის გაღატაკება გამოიწვია. ვაჭრობის დაცემის შედეგად მექელმა ვაჭრებმა მევახშეობას მიჰყვეს ხელი და თანდათან სავაჭრო კაპიტალის საუხშო კაპიტალად გადაქცევა დაიწყო, რეგიონი მძლავრმა საზოგადოებრივმა მოძრაობამ მოიცვა: დაჩქარდა გვაროვნული წყობილების დაშლის პროცესი, შეიქმნა საზოგადოებრივი კლასები და საბოლოოდ მომწიფდა პირობები სახელმწიფოს ფორმირებისათვის. ამასთან, აუცილებელი იყო ერთიანი მონოთეისტური რელიგიის შექმნა. ზემოხსენებული პროცესები ყველაზე მკაფიოდ მექაში გამოვლინდა, სადაც ყურეიშების ტომი იყო გაბატონებული. თავის მხრივ, იგი ათი გვარისაგან შედგებოდა, მათგან ყველაზე მდიდარი ომაიას გვარი იყო, ყველაზე ღარიბი – ჰაშიმის გვარი. სწორედ აქედან იყო ისლამის ფუძემდებელი მუჰამედი (570-632 წწ.) – მექის გვაროვნული დემოკრატიის ტიპური წარმომადგენელი. მისი ბიოგრაფია კარგადაა

ცნობილი ისტორიოგრაფიაში, ამიტომ ამჯერად მოკლე მიმოხილვით შემოვიფარგლებით. მუჰამედი ადრე დაობლდა და ჯერ პაპასთან, შემდეგ ბიძის – აბუ ტალიბის ოჯახში იზრდებოდა, რომელიც ვაჭრობით ირჩენდა თავს. წლების მანძილზე მუჰამედი ბიძის ხაქონელს მწყემსავდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც თავისი ბედი მდიდარი ვაჭრის ქვრივს, სადიჯეს (წყაროების გადმოცემით მასზე 15 წლით უფროსი იყო) დაუკავშირა, მისი ცხოვრება ერთბაშად შეიცვალა. ამიერიდან მუჰამედი მატერიალურად მომძლავრდა და თავისი ნაფიქრალ-ნააზრევის, იდეების განხორციელების ფართო შესაძლებლობები მიეცა. მართალია, მუჰამედი ვაჭრობდა კიდეც, მაგრამ ეს არ იყო მისი მთავარი საქმიანობა; ყველაზე მეტად ის რელიგიური საკითხებით იყო დაინტერესებული და მხოლოდ ამ თემებზე საუბარი იტაცებდა. 610 წელს მუჰამედმა ქადაგება დაიწყო სახალხო კრებებზე გამოსვლით, როდესაც ღმერთის მოციქულად გამოეცხადა ხალხს და თავი მოსესა და ქრისტეს გაუტოლა. მუჰამედი ღარიბ-ღატაკთა ინტერესების დამცველად გამოდიოდა, ის ალაჰის სახელით (ასე უწოდა მან თავის ღმერთს) იმთავითვე დაემუქრა მეუხშეებს და ბრძოლა გამოუცხადა მათ. სწორედ ამ დაპირისპირების გამო 622 წელს ის იძულებული გახდა მექადან მედინაში გადასახლებულიყო. ამ წელს ეწოდა ჰიჯრა (არაბ. – გადასვლა, გადასახლება), ხოლო მუჰამედთან ერთად წასულ მის თანამოაზრე-მიმდევრებს – მუჰაჯირები, ანუ ჰიჯრის შემსრულებლები. ჰიჯრა ეწოდა ასევე მუსლიმთა კალენდარს – ეს გახდა მათი კალენდრის პირველი წელი.

სწორედ მედინაში მოიპოვა მუჰამედმა აღიარება, როგორც ახალი სარწმუნოების ფუძემდებელმა. იმავდროულად იასრიბს წინასწარმეტყველის ქალაქი – მადინათ ალ-ნაბი (მოკლედ – მადინა, მედინა) დაერქვა. მედინის მოსახლეობამ მუჰამედი არა მარტო რელიგიურ, არამედ პოლიტიკურ ლიდერადაც აღიარა და მხარს უჭერდა მას მექის წინააღმდეგ ბრძოლაში. ორი ქალაქის მწვავე დაპირისპირება მედინის გამარჯვებით დასრულდა. 632 წელს მუჰამედი ზარ-ზეიმით შევიდა მექაში, რომელიც ისლამის ცენტრად გამოცხადდა. 632 წელს მუჰამედი მედინაში გარდაიცვალა და თავისი დანაბარების თანახმად, იქვე თავისი საყვარელი ცოლის – აიშეს სახლთან დაასაფლავეს. ეს ადგილი ისლამის უწმინდეს ადგილად ითვლება. მუჰამედის სიკვდილმა დიდი არეულობა გამოიწვია, რადგან არაბებს

ის უკვდავად ჰყავდათ წარმოდგენილი, ამიტომ მისი სიკვდილით იმედები გაუცრუვდათ და ბევრი განუდგა კიდეც ახალ რელიგიას. მიუხედავად ამისა, მუჰამედის ერთგულ თანამოაზრეთა ძალისხმევით მალევე არაბთა თეოკრატიული სახალიფოს (632-661 წწ.) ფორმირება მოხდა.

მუჰამედი სიცოცხლეშივე მოესწრო თავისი სარწმუნოების გამარჯვებას, რის შემდეგაც ის მსოფლიოს რელიგიებს დაუპირისპირდა და ყველა მუსლიმს ურწმუნოთა წინააღმდეგ საღვთო ომისაკენ მოუწოდებდა. ამასთან დაკავშირებით, ფრანგი აღმოსავლეთმცოდნე ა. მასე აღნიშნავდა, რომ „ისლამის გავრცელება იარაღის ძალით რელიგიურ მოვალეობას წარმოადგენდა; ომი კი სამართლიანად ითვლებოდა, თუკი მიზანი ხალხის ჭეშმარიტ რწმენაში მოქცევა იყო". მუსლიმთათვის ხუთი ძირითადი პრინციპის აღიარება დაწესდა: 1. შაჰადა – არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა და მუჰამედია მისი მოციქული, 2. ნამაზი – დღეში ხუთჯერ ლოცვა, 3. ჰაჯი – მექის მოხილვა და იქ ქააბას ტაძარში რელიგიური რიტუალის შესრულება, 4. ზაქათი – ღარიბთა სასარგებლოდ გაღებული გადასახადი, 5. მარხვა რამაზანის თვეში (მუსლიმური მთვარის წლის მეცხრე თვე) შუის ამოსვლიდან მის ჩასვლამდე. ამ პრინციპებს შემდეგ დაემატა ჯიჰადი (იგივე ჰაზავათი) – საღვთო ომი ურწმუნოთა წინააღმდეგ, რომელიც მექის კერპთაყვანისმცემლებთან და მედინის იუდეველებთან ბრძოლის პროცესში ჩამოყალიბდა. მუჰამედის მემკვიდრეების დროს ჯიჰადმა ახალი მნიშვნელობა შეიძინა, როგორც არაბთა დამპყრობლური პოლიტიკის იდეოლოგიურმა იარაღმა.

მუჰამედის სიკვდილის შემდეგ, ხელისუფლებისათვის ბრძოლის პროცესში, ისლამის ორთოდოქსალური მიმდინარეობის – სუნიზმის გვერდით, საფუძველი ჩაეყარა მეორე მიმდინარეობას შიიზმს, რომელიც მუჰამედის სიძის (ქალიშვილის – ფატიმას ქმრის) და იმავდროულად ბიძაშვილის, ალის მომხრეთაგან შეიქმნა. სუნიტები ყურანთან ერთად აღიარებდნენ სუნას (მუჰამედის ქცევა, გამონათქვამები). მათი აზრით, შესაძლებელი იყო ხალიფას (არაბ. – მოადგილე) არჩევითობა, ოღონდ ის ყურეიშების ტომიდან უნდა ყოფილიყო. შიიტები კი ხალიფობის მემკვიდრეობითობას ამტკიცებდნენ: ხალიფა მხოლოდ და მხოლოდ მუჰამედის სისხლით მონათესავე უნდა ყოფილიყო. მათი აზრით, ასეთი იყო ალი – მუჰამედის ახლობელი, აბსოლუტური და შეუცნობელი ავტორი-

ტეტი სარწმუნოების საკითხებსა და საერო ცხოვრებაში. ალი გახდა არაბთა თეოკრატიული სახალიფოს უკანასკნელი ხალიფა (656-661 წწ.). ის მოკლულ იქნა ქ. ქუფას მეჩეთთან მოწინააღმდეგე რელიგიური დაჯგუფების (ხარიჯიტების) მიერ, შემდეგ იქ შიიტთა წმინდა ქალაქი ნაჯაფი აშენდა, რომელიც შიიტთა პილიგრიმობის ერთ-ერთ უდიდეს ცენტრს წარმოადგენს. VII საუკუნის მეორე ნახევარში ისლამის კიდევ ერთი მიმდინარეობა – ხარიჯიზმი შეიქმნა (არაბ. – ამბოხებულები, გამოსულები). მისი მიმდევრები ხელისუფლების თემურ ხასიათსა და თემის მეთაურის არჩევითობას იცავდნენ, ამასთან, რაიმე მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ ხალიფას ეთნიკურ ან სოციალურ წარმომავლობას.

რაც შეეხება ყურანს (არაბ. – წაკითხვა, დეკლამაცია), ისლამური სარწმუნოების ძირითად წყაროს, თავდაპირველად ის ზეპირი გადმოცემების სახით არსებობდა, მოგვიანებით მისი წერილობითი გაფორმება მოხდა, როგორც მუსლიმთა საღვთო წიგნისა. მისი უძველესი ხელნაწერი შესრულებულია ხალიფა ოსმანის (644-656 წწ.) დროს. ყურანი წარმოადგენს რელიგიურ-ფილოსოფიურ და საკანონმდებლო ძეგლს, იმავდროულად ის უნიკალური ისტორიულ-კულტურული და ლიტერატურული ნაწარმოებია. ესაა ღრმად ფილოსოფიური დატვირთვის მქონე დოკუმენტი, რომელშიც მუჰამადის პიროვნების ევოლუციის ეტაპებია აღბეჭდილი. ყურანმა განსაკუთრებული როლი შეასრულა არაბი ხალხის ერთიანი ლიტერატურული ენის ფორმირებასა და მის გავრცელებაში აზია-აფრიკის ქვეყნებში. ყურანი 114 სურისაგან (თავისაგან) შედგება, რომელთა შორის რაიმე ქრონოლოგიური თანამიმდევრობა და აზრობრივი კავშირი არ არსებობს. სურები თავის მხრივ, დაყოფილია აიებად (ლექსებად). მუსლიმთა რწმენით, ყურანი ალაჰის სიტყვაა; მასში ჩვეულებრივ, ღმერთი ლაპარაკობს, იშვიათად – ანგელოზები და მუჰამედი. ტექსტის დიდი ნაწილი პოლემიკაა დიალოგის ფორმით ალაჰსა და მოციქულის მოწინააღმდეგეთა შორის, ასევე ალაჰის მოწოდება – დარიგებები მუჰამედის მიმდევრებისადმი. საგულისხმოა, რომ ზოგიერთ სურაში მეგობრული განწყობაა გამოთქმული ქრისტიანებისა და იუდეველების მიმართ. საერთო ჯამში კი ყურანში სხვა რელიგიების მიმართ დამოკიდებულება წინააღმდეგობრივია.

მუსლიმთა რელიგიური ცხოვრებისა და ქცევის იურიდიული ნორმების, პრინციპებისა და წესების თავმოყრა მოხდა შარიათში – ისლამის რელიგიურ კანონში, რომლის ფორმირება VII-VIII საუკუნეებში მიმდინარეობდა, შარიათი არეგულირებს ალაჰთან ადამიანის ურთიერთობის გარეგნულ ფორმებს (კულტის წესების დაცვა, ღვთისმსახურება და ა. შ.), ასევე ადამიანთა ურთიერთობას ერთმანეთთან და განსაზღვრავს სასჯელს ამ წესების დარღვევისათვის.

არაბულ-მუსლიმური კულტურის არსებით ელემენტს არაბული ენა წარმოადგენდა, რომელიც განუყოფლად იყო დაკავშირებული ყურანთან. ისლამის საღვთო წიგნი წინასწარმეტყველ ჯაბრაილისაგან ხომ სწორედ არაბულ ენაზე გამოეცხადა მუჰამედს ქადაგებისათვის. აქედან დაიწყო არაბულ-მუსლიმური კულტურის, ამ ორი არსებითი შემადგენელი კომპონენტის ურთიერთგავლენა. კერძოდ, ყურანისთვის კომენტარების გაკეთების აუცილებლობის წყალობით, დაიწყო არაბული ენის სიღრმისეული კვლევა-ძიება. თავის მხრივ, ყურანი ხელს უწყობდა არაბული ენის პოზიციების განმტკიცებას ყველგან, სადაც არაბები ან გამუსლიმებული სხვა ხალხი ცხოვრობდა. ეს იმით იყო განპირობებული, რომ ყველა მუსლიმს, წარმომავლობის განურჩევლად უნდა შეძლებოდა ყურანის ციტირება არაბულად და, ამდენად, სცოდნოდა არაბული ენა. ამრიგად, არაბიზაცია მუსლიმური კულტურის ფორმირების უმთავრეს ელემენტს წარმოადგენდა.

ახალი რელიგიის შექმნის პროცესში მუჰამედისთვის ნათელი გახდა, რომ საჭირო იყო ბრძოლა სხვა სარწმუნოებათა წინააღმდეგ. თავდაპირველად მან დააწესა, რომ მლოცველებს ლოცვისას პირი იერუსალიმისაკენ უნდა ჰქონოდათ. მედინაში მოღვაწეობის დროს (622-630 წწ.) მან აზრი შეიცვალა და ლოცვისას მექისკენ მიბრუნება დააკანონა, მუსლიმთა დასვენების დღედ პარასკევი დააწესა (შაბათს ებრაელები ისვენებდნენ, კვირას – ქრისტიანები). ვინაიდან ქრისტიანებს სალოცავად ზარებით უხმობდნენ, ებრაელებს კი – საყვირით, მუჰამადმა აზანი (არაბ. – შეტყობინება, გამოცხადება) შემოიღო, რომელიც სალოცავად უხმობდა მუსლიმებს. აზანს მუეძინი ასრულებდა. სიმდიდრისა და ნადავლის მოპოვების მიზნით, მუჰამედმა და მისმა მიმდევრებმა დაპყრობითი ომები გააჩაღეს, რათა ამ გზით ხალხი დაეკმაყოფილებინათ და არ გამწვავებულიყო

ურთიერთობა თვით მუსლიმთა შორის. არაბთა დაპყრობების შედეგად მათი ბატონობა სამ კონტინენტზე გაერცელდა: აზიაში, ჩრდილო აფრიკასა და ევროპის ნაწილზე. მათი წინსვლა დასავლეთით 732 წელს პუატიესთან ფრანკებთან მარცხის შედეგად იქნა შეჩერებული. არაბების მიერ კულტურულად გაცილებით მაღალ დონეზე მყოფ ხალხთა (მაგალითად, სასანური ირანი, ბიზანტია) დაპყრობა-დამორჩილებას ხელს უწყობდა სოციალური დაპირისპირების გამწვავება ამ ქვეყნებში. ასე რომ, იმ ეტაპზე არაბთა რელიგიური ფანატიზმი არ ყოფილა მათი გამარჯვების უმთავრესი მიზეზი.

როდესაც VII საუკუნის 30-იანი წლებიდან არაბებმა დაპყრობითი ომები გააჩაღეს და დიდ ისტორიულ ასპარეზზე გამოვიდნენ, ცხადია, უცხო ქვეყნებში მათ შეიტანეს ყურანისა და ძველი არაბული პოეზიის ენა, რელიგია – ისლამი, რომელმაც ისინი იდეოლოგიურად გააერთიანა. ამიტომაც არაბული ენა და ყურანი ახალი, არაბულ-მუსლიმური კულტურისა და ცივილიზაციის ფორმირების ძირითად კომპონენტებს წარმოადგენდა. მეცნიერება, ხელოვნება და კულტურის სხვადასხვა სფერო ამ ორი ფაქტორის ძლიერი ზეგავლენით ეითარდებოდა. არაბული ანბანი კი გამოიყენებოდა, როგორც ორნამენტული მოტივი მუსლიმურ ხელოვნებასა და არქიტექტურაში, განსაკუთრებით საკრალურ არქიტექტურაში.

არაბულ-მუსლიმური კულტურის განვითარებაში არაბებზე არანაკლები წვლილი მიუძღვით სპარსელებს, ინდოელებს და ისლამიზებული სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს, როგორც ერთიანი დიდი ისლამური საზოგადოების წევრებს. კულტურის წარმატებულ აღმასვლას განაპირობებდა ის, რომ საერთო იყო არაბული ენა, რომლითაც სარგებლობდნენ მუსლიმი სწავლულები, ფილოსოფოსები, პოეტები თავიანთი ნაშრომების წერისას არაბული კულტურის კლასიკური ეპოქის მთელ მანძილზე, ანუ IX-XII საუკუნეებში. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დაპყრობითმა ომებმა ღრმა კვალი დაამჩნია მრავალი ქვეყნისა და ხალხის ეთნიკურ ისტორიას. მათი დიდი ნაწილი, არაბული ენის ათვისებასთან ერთად, გაარაბდა კიდეც. თვის მხრივ, როგორც ზემოთ ითქვა, არაბებმაც აითვისეს უცხო კულტურათა მონაპოვარი და სწორედ ამის საფუძველზე ჩამოყალიბდა შუა საუკუნეების მძლავრი ისლამური კულტურა.

პირველ სამეცნიერო ცენტრებს ისლამურ სამყაროში მეჩეთები წარმოადგენდა, რომელთა დიდმა ნაწილმა ნამდვილი უნივერსი-

ტეტების სტატუსი მოიპოვა არაბულ-მუსლიმური მეცნიერების ისტორიაში. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ ომაელთა დიდი მეჩეთი დამასკოში (დაარსდა 732 წ.), კაიროს ალ-აზჰარის ცნობილი მეჩეთი (აიგო 970-972 წწ.) თავისი მედრესეთი, რომელიც ისტორიულ-თეოლოგიური დისციპლინებისა და არაბული ფილოლოგიის სწავლების ცენტრად იქცა მთელ ახლო აღმოსავლეთში. განსაკუთრებულ აღმავლობას ფილოსოფიურმა მეცნიერებამ, ლიტერატურამ და ხელოვნებამ აბასელთა სახალიფოს (750-1258 წწ.) პერიოდში მიაღწია, რომლის სატახტო ქალაქს ბაღდადი წარმოადგენდა. აბასელთა სახელმწიფო ომაელთა სახელმწიფოსთან (661-750 წწ.) შედარებით ახალ, უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენდა და სახელმწიფოებრივ განვითარებაში – ეს იყო ადრეფეოდალური სახელმწიფო, მისთვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურით. ამის პირდაპირი შედეგი იყო ახალი ფორმები და სტილი კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. უკვე VII საუკუნის მიწურულიდან ინტენსიური მუშაობა გაჩაღდა ბერძნულ, სირიულ, სპარსულენოვან ნაშრომთა არაბულ ენაზე სათარგმნელად. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უმთავრესად ფილოსოფიური, მათემატიკური, ასტრონომიული და სამედიცინო ნაშრომები ითარგმნებოდა. რაც შეეხება ისტორიულ და მხატვრულ ნაწარმოებებს, მათი თარგმნა არაბულ ენაზე პირველად სპარსელებმა დაიწყეს. მათივე მეშვეობით სახალიფოში ათვისებულ იქნა ინდოელ მათემატიკოსთა და ასტრონომთა მიღწევები; ცნობილია, რომ არაბებმა ინდოეთიდან გადმოიღეს ციფრები, რომლებსაც მოგვიანებით ევროპელებმა არაბული ციფრები უწოდეს.

არაბულ-მუსლიმური სამყაროს კულტურის მთავარ ცენტრს VIII-X საუკუნეებში ქ. ბაღდადი წარმოადგენდა, სადაც არაბებთან ერთად წარმატებით მოღვაწეობდნენ სახალიფოს შემადგენლობაში მყოფი სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც. ქ. ბაღდადის აგება ხალიფა ალ-მანსურის (755-775 წწ.) სახელს უკავშირდება, რომელმაც 762 წელს ის დედაქალაქად გამოაცხადა. მასზე მნიშვნელოვანი საკავშირო-საქარავნო გზები გადიოდა, მისი ადგილმდებარეობის შერჩევას პოლიტიკური მოსაზრებაც ედო საფუძვლად: ბაღდადი სასანური ირანის ისტორიული ქალაქის ქტეზიფონის ადგილას აიგო. ის სიმდიდრე და პომპეზური დიდებულება, რაც ძველი ირანისთვის იყო დამახასიათებელი, თითქმის ზუსტად იქნა გადმოღებული ახალ

დედაქალაქში. ისტორიიდან ცნობილია, რომ აბასელებმა გამარჯვებას ირანელი ფეოდალების დახმარებით მიაღწიეს. ამის წყალობით ირანელი დიდგვაროვნები იმთავითვე დაწინაურდნენ პოლიტიკურ სარბიელზე, სახალიფოს კარის არისტოკრატიას სპარსული ტანსაცმელი ეცვა, ბევრი თანამდებობა, მენიუ, ქცევის ეტიკეტი ასევე სპარსული იყო, გავრცელდა ირანული წარმოშობის დღესასწაულები. ეს ყველაფერი მეტყველებს ირანული ეთნიკური ელემენტისა და კულტურის დიდ გავლენაზე ხსენებული პერიოდის სახალიფოში. არც ერთ ხალხს არ მიუღია ისეთი აქტიური მონაწილეობა არაბულ-მუსლიმური კულტურის განვითარებაში, როგორც ირანულ ეთნიკურ ელემენტს. ამასთან ერთად, ის (სირიელებთან ერთად) შუამავლის როლს ასრულებდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობებში. ბაღდადში დაიდო ბინა „სიბრძნის სახლმა", რომელშიც გაერთიანებული იყო ბიბლიოთეკები, ობსერვატორიები და მთარგმნელთა კოლეგიები. მსხვილ სამეცნიერო ცენტრებს წარმოადგენდა ქუფა და ბასრა, არსებობას განაგრძობდა ასევე ელინისტური კულტურის ძველი კერები: ალექსანდრია, ანტიოქია და სხვა.

ისლამური კულტურა წარმატებით ვითარდებოდა არა მარტო არაბულ აღმოსავლეთში, არამედ არაბულ დასავლეთში, კერძოდ, ესპანეთში – კორდოვას სახალიფოში (ანდალუზია). „ესპანელ" არაბთა დედაქალაქმა კორდოვამ, ასევე სხვა ქალაქებმა: სევილიამ, ტოლედომ, გრანადამ სახელი გაითქვა როგორც შუა საუკუნეების კულტურის მძლავრმა ცენტრებმა. როდესაც XII საუკუნიდან აღმოსავლეთის ისლამურ ქვეყნებში სამეცნიერო დარგებმა დაქვეითება დაიწყო, სწავლულებმა საფრანგეთიდან, იტალიიდან და ინგლისიდან სწორედ კულტურის ზემოხსენებულ კერებს მიაშურეს, რათა სათანადო დონეზე შეესწავლათ მედიცინა, ასტრონომია, გეოგრაფია, ფილოსოფია. ამ შემთხვევაში არაბულ-მუსლიმური კულტურა განიხილება, როგორც შუალედური რგოლი აღმოსავლეთის და დასავლეთის კულტურათა შორის. როგორც ცნობილია, არაბთა სახალიფოს შემადგენლობაში ახლო აღმოსავლეთის მსხვილი კულტურული ცენტრები იყო მოქცეული, რომლებშიც კონცენტრირებული იყო შუმერის, აქადის, ძველი ეგვიპტის და სხვა კულტურათა ათასწლოვანი გამოცდილება. ყველა ეს კულტურული ფასეულობა, რომელთა გადამუშავება დროთა განმავლობაში

სხვადასხვა აღმოსავლური ცივილიზაციებისა და ელინიზმის მიერ მიმდინარეობდა, არაბებმა აითვისეს, არაბულ ენაზე აამეტყველეს და დასავლეთ ევროპას გადასცეს. არაბ სწავლულთა ნაშრომები ითარგმნებოდა ესპანეთში, სიცილიაში, სირიაში, რის წყალობითაც მათი უმრავლესობა ხელმისაწვდომი გახდა ლათინური თარგმანის სახით. მიუხედავად შედარებით დაბალი დონის თარგმანებისა, ეს ლათინური ტექსტები გვიანშუა საუკუნეების ევროპაში ცოდნისკენ სწრაფვის აღორძინებას უწყობდა ხელს.

თუ რა განაპირობებდა სამეცნიერო ცოდნის აყვავებას სწორედ არაბულ-მუსლიმურ კულტურაში, აქ, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ისლამს საფუძვლად ედო მართლმორწმუნეებზე მზრუნველობა ამქვეყნიურ, მიწიერ ცხოვრებაში. სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინა კი მას ქმედით დახმარებას უწევდა ამაში. ჰადისების (გადმოცემები მუჰამედის ქმედებებსა და გამონათქვამებზე) შესაბამისად, ისლამი იმთავითვე ყოველმხრივ უჭერდა მხარს განათლებასა და მეცნიერებას, დაკანონებულია დოგმიდან გამომდინარე – ცოდნის ძიება დაბადებიდან სიკვდილამდე. ხალიფები, ამირები, მუსლიმური იმპერიის სხვადასხვა პროვინციის მმართველები ზრუნავდნენ ფილოსოფიის და მეცნიერების სხვა დარგების განვითარებაზე, მეცენატობას უწევდნენ ხელოვნებასა და ლიტერატურას, განსაკუთრებით პოეზიას. ისინი იყვნენ დამაარსებლები და მფარველები კელეფითი ცენტრებისა: მაშინდელი უნივერსიტეტებისა და მეცნიერებათა აკადემიისა, ბიბლიოთეკებისა. X საუკუნეში უკვე ბევრ ქალაქში ფუნქციონირებდა მდიდარი საერო და რელიგიური ლიტერატურით აღჭურვილი საჯარო ბიბლიოთეკები, იმავე პერიოდში საბოლოოდ ჩამოყალიბდა მუსლიმური საშუალო და უმაღლესი სასწავლებლის სახეობა – მედრესე. ზუსტი მეცნიერებანი, მათემატიკა, ასტრონომია, ასევე მედიცინა და ფარმაკოლოგია ხელს უწყობდა ცივილიზაციის განვითარებას, რადგანაც მოსახლეობის ცხოვრების და ინტელექტუალურ დონეს ამაღლებდა, და რაც მთავარია, არავითარ საფრთხეს არ უქმნიდა ისლამის იდეოლოგიას. ყოველივე ამან სამეცნიერო დისციპლინათა დაბრკოლების გარეშე განვითარება და, შესაბამისად, მათი მაღალი დონეც განაპირობა.

ფასდაუდებელია არაბ მეცნიერთა მიღწევები ალგებრაში, ტრიგონომეტრიაში, მათემატიკურ ფიზიკაში, ქიმიაში, ოპტიკაში.

ასტრონომია და ასტროლოგია არაბებში ძველთაგანვე ძალზე პოპულარული იყო, ჯერ კიდევ ისლამამდელ ეპოქაში მათ უდიდესი მიღწევები ჰქონდათ ამ სფეროში. დიდი ხნის მანძილზე ევროპულ მედიცინას არაბული მედიცინა ასაზრდოებდა. მუსლიმური მედიცინის პირველი უდიდესი წარმომადგენელი იყო წარმოშობით სპარსელი აბუ ბაქრ მუჰამად ალ-რაზი (865-925 წწ.), რომლის ნაშრომები ნამდვილ სამედიცინო ენციკლოპედიადაა აღიარებული. შუა საუკუნეების არაბულ მედიცინას საქვეყნოდ გაუთქვა სახელი საყოველთაოდ ცნობილმა იბნ სინამ – ავიცენამ (980-1037 წწ.), თეორიული და კლინიკური სამედიცინო ენციკლოპედიის „სამედიცინო მეცნიერების კანონის" ავტორმა. უნდა დავასახელოთ ასევე ესპანეთში მოღვაწე იბნ ზუჰრი (ავენზოარი, 1094-1160 წწ.), რომლის ნაშრომები მაღალი სამეცნიერო დონის სახელმძღვანელოებს წარმოადგენდა მედიკოსთათვის. არაბული სამკურნალო ხელოვნება შესანიშნავად იცნობდა ქიმიოთერაპიას, წყალთერაპიას, ფსიქოთერაპიას და სამკურნალო დიეტას. აღსანიშნავია, რომ არაბულ სამყაროში ძალიან მრავალი ჰოსპიტალი იგებოდა, მათ შორის სპეციალურად ფსიქიურად დაავადებულებისათვისაც. არაბულ-მუსლიმური ტრადიციების შესაბამისად, ახალი ქალაქის დაარსებისას ჯერ მეჩეთი იგებოდა, შემდეგ ჰოსპიტალი, სასწავლებელი და სხვა საზოგადოებრივი ნაგებობანი, რომლებიც ადამიანის ფიზიკურ და სულიერ სიჯანსაღეს უწყობდა ხელს.

ინტერესს იმსახურებს მუსლიმური ფილოსოფიური აზროვნების ტრადიცია, რომელიც ორი მთავარი კომპონენტისაგან შედგებოდა: ელინიზმისა და ისლამისგან. არაბული ფილოსოფია ხომ მნიშვნელოვანწილად ანტიკური მემკვიდრეობის ბაზაზე ვითარდებოდა. IX საუკუნის 50-იან წლებში ბერძნული ფილოსოფიური შრომების მთარგმნელებისა და კომენტატორების წრეში ჩაისახა არაბულ-მუსლიმური ფილოსოფია, რომელიც იმთავითვე ნეოპლატონიზმის გავლენის ქვეშ მოექცა. ყურანის წყალობით კი არაბული კლასიკური აზროვნება, ცოდნის ყველა სფერო და დისციპლინა, რელიგიურ გააზრებას დაეფუძნა. ყურანი, გარდა იმისა, რომ ალაჰის ერთადერთობას ამტკიცებდა (როგორც შემქმნელისა და მსაჯულისა) და რელიგიურ კავშირს ამყარებდა მორწმუნეებსა და ღმერთს შორის, იმავდროულად დაუოკებელი შემოქმედებითი ძიების იმპულსს იძლეოდა ცოდნის ყველა სფეროში. საგულისხმოა

ის გარემოებაც, რომ სპეციალიზაცია მეცნიერებაში არასოდეს უშლიდა ხელს არაბ სწავლულებს ერთმანეთთან შეეთავსებინათ სხვადასხვა დისციპლინა ან ერთ მთლიანობაში შეეკავშირებინათ ცოდნის სხვადასხვა სფერო. არაბულ-მუსლიმური ფილოსოფიის გაცნობის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ ხშირ შემთხვევებში ის თეოლოგიას ერწყმოდა, მაგალითად, როდესაც საქმე ეხებოდა ეთიკას, მეტაფიზიკას და პოლიტიკას; ზუსტად ისევე, როგორც კანონიკური სამართალი ცოდნის იმ სფეროებს იყენებდა ხოლმე, რომლებსაც ფილოსოფოსები იკვლევდნენ — ლოგიკას, მათემატიკას, რიტორიკას, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს. ფილოსოფიისა და თეოლოგიის ურთიერთშერწყმის პროცესი ნათლად ვლინდება X საუკუნის სამართალმცოდნეთა, თეოლოგთა, მედიკოსთა, ლიტერატორთა ნაშრომებში. მაგალითისათვის აღსანიშნავია „ათას ერთი ღამის" ზღაპრები, რომლებშიც ასახულია ადამიანთა სულიერი განცდები, რწმენა-წარმოდგენები, მათი სურვილები და ფიქრები.

ფილოსოფიისა და თეოლოგიის სინთეზის პროცესისათვის დამახასიათებელი იყო ორი ძირითადი მიმდინარეობის მუდმივი შეჯახება: 1. რაციონალისტური, რომელიც ბერძნული ტრადიციების გამგრძელებელი იყო. ის ვითარდებოდა პლატონის, არისტოტელეს, ნეოპლატონელთა და ნეოპითაგორელთა მემკვიდრეობაზე, 2. ტრადიციული, რომელიც წმინდა წიგნების (ყურანი, ჰადისები) განმარტებებს ეფუძნებოდა. მაგრამ სწავლულთა უმრავლესობა ამგვარ გამიჯვნას არ იცავდა. კერძოდ, ისეთი დიდი ფილოსოფოსები, როგორებიც იყვნენ: აბუ იუსუფ ისჰაკ ალ ქინდი (801-873 წწ.) – არაბული ფილოსოფიის ფუძემდებლად აღიარებული, რომლის მრავალრიცხოვანი ნაშრომი ეძღვნებოდა ფილოსოფიას, ლოგიკას, არითმეტიკას, ასტროლოგიას, მედიცინას და ფსიქოლოგიას; ასევე ალ-ფარაბი (X ს.), იბნ ალ-ხაისამი (გარდაიცვალა 1039 წ.), იბნ სინა (ავიცენა), ანდალუზიაში მოღვაწე იბნ რუშდი (ავერროსი), რომელიც არაბული ფილოსოფიური აზრის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია; ხორეზმელი ალ-ბირუნი (გარდაიცვალა 1048 წ.), რომელმაც სახელი გაითქვა როგორც ფილოლოგმა, ისტორიკოსმა, მათემატიკოსმა და ასტრონომმა.

რაც შეეხება ისტორიულ მეცნიერებას, IX-X საუკუნეებში არაბულენოვანმა ისტორიოგრაფიამ გამოკვეთილი და დასრულებული სახე მიიღო. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ სფეროში არაბები

სპარსელთა მოწაფეები იყვნენ. მიუხედავად ამისა, არაბულ ისტორიოგრაფიაში თავიდანვე იჩენდა თავს ისლამამდელი და ისლამის დროინდელი წმინდა არაბული ელემენტები. IX საუკუნიდან იქმნება ფუნდამენტური საისტორიო ნაშრომები, რომელთა ავტორები იყვნენ ისეთი ცნობილი ისტორიკოსები, როგორებიცაა: ალ-ბალაზური, იბნ-კუთაიბა, ალ-იაკუბი, ათ-ტაბარი და ალ-მასუდი (X ს.). სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი არაბულ ისტორიოგრაფიაში მსოფლიო ისტორიის ჟანრს და გზა გაუკვალეს მომდევნო თაობებს. XIV-XV საუკუნეების ისტორიკოსებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შარკიზის და იბნ ხალდუნის ნაშრომები.

აბასელთა სახელმწიფოს არსებობის მთელ მანძილზე (750-1258 წწ.) არაერთგზის იყო აღმავლობა-აყვავებისა და დაქვეითების პერიოდები, რაც შესაბამისად ცხოვრების ყველა სფეროზე ახდენდა გავლენას. ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი იყო X საუკუნის I ნახევარი, როდესაც სახელმწიფომ დამოუკიდებელ საემიროებად დაიწყო დაშლა, 945 წელს კი ირანული ბუვეიანების დინასტიის (935-1055 წწ.) მიერ აღებულ იქნა სახალიფოს დედაქალაქი ბაღდადი. ამიერიდან ხალიფებმა საერო ძალაუფლება დაკარგეს და მხოლოდ სასულიერო ფუნქცია დარჩათ, საერო ხელისუფლების აღმნიშვნელი გახდა სულთანი (არაბ. – მბრძანებელი). მიუხედავად ამისა, ხალიფებმა მაინც შეინარჩუნეს ძალა და ავტორიტეტი იმის წყალობით, რომ მათ ხელთ იყო სარწმუნოებრივი საკითხები. შემუშავდა ასეთი წესი: საერო მბრძანებელი იმ შემთხვევაში ითვლებოდა კანონიერად, თუ ის ხალიფას მიერ იქნებოდა ნაკურთხი.

ცხადია, რომ სახალიფოში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ძვრები კულტურულ ცხოვრებაზეც ახდენდა გავლენას. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ არაბულ-მუსლიმური კულტურა მთლიანობაში, მისი წარმოქმნის დროიდან მოყოლებული (VII-VIII სს.), კლასიკურ (IX-XII სს.) და პოსტკლასიკურ ეპოქებშიც მუდამ მაღალ დონეზე იმყოფებოდა. ამასთან, ის ცალკილებით უსწრებდა წინ იმჟამინდელი ევროპის კულტურას. არაბული კულტურისა და ქართულთან მისი ურთიერთობის (ეს უკანასკნელი შესწავლის ცალკე თემაა და ამჟერად მასზე ყურადღება არ მახვილდება) განხილვისას, აკად. კ. კეკელიძე წერდა, რომ არაბები ველური ქვეყნიდან გამოვიდნენ, მაგრამ მათ მალე განუვითარდათ ინტერესი ბუნებრივი შრომისადმი, რომელიც გან-

საკუთრებით გაცხოველდა აბასელთა დინასტიის დროს; ისინი კრებდნენ ბერძნულ ხელნაწერებს, თარგმნიდნენ და ისე აერცელებდნენ, ხსნიდნენ სკოლებს, ხელს უწყობდნენ და ახალისებდნენ მეცნიერებს. ერთი სიტყვით, მათ სურდათ სახალიფოში მეცნიერება დაენერგათ და ეს სურვილი არ იყო უნაყოფო, რამდენადაც ისინი გახდნენ ანტიკური ფილოსოფიის დამცველებად, მის გამავრცელებლად ევროპულ ქვეყნებში.

ძალზე საინტერესოა განსახილველი პერიოდის არაბული თეატრალურ-სანახაობრივი კულტურა (რომლის ანალოგები საქართველოშიც იყო). არაბეთში თეატრის სამი ძირითადი სახეობა იყო გავრცელებული: სამაკათი – ნიღბოსანთა, ჰიქაიათი – მიმოსთა და ჰაიალათი – ჩრდილების თეატრი, რომელიც განსაკუთრებულ აყვავებას XI საუკუნეში განიცდიდა. იყო ასევე თოკინების და საოცრად ორიგინალური მაიმუნების თეატრი. წარმოდგენები უმთავრესად სახალხო დღესასწაულებზე იმართებოდა, სადაც თავს იყრიდნენ სხვადასხვა ქვეყნისა და მხარის მსახიობები, მოხეტიალე დასები, მომღერლები და მოცეკვავეები. ჰიქაიათი ეწოდება მიმოსების – მიმბაძველთა წარმოდგენას (თვით მიმოსს ჰიქაიას უწოდებდნენ), რომლის რეპერტუარში შედიოდა სცენები ბედუინების, ბოშების, ზანგების, ასევე მექის მცხოვრებელთა თავგადასავლებიდან, განსაკუთრებით ამოჩემებული ჰყავდათ საჭურისები. ხსენებულ თეატრალურ სახეობათა გარდა, არსებობდა მომღერალთა, მოცეკვავეთა და მუსიკოსთა ანსამბლები, რომლებიც უმეტეს წილად მონები იყვნენ. სახელგანთქმული მომღერლები მონებს თავიანთ ხელოვნებას ასწავლიდნენ და შემდეგ მათ დიდ ფასად ყიდდნენ; დახელოვნებული მსახიობი ვაჟისა და ქალის შესაძენად საკმაოდ დიდი თანხები იხარჯებოდა. მუსლიმი ფანატიკოსები თავგამოდებით ებრძოდნენ თეატრსა და სანახაობებს: თავს ესხმოდნენ დიდებულთა სასახლეებს, სადაც წარმოდგენები იმართებოდა ხოლმე, სცემდნენ მომღერალ ქალებს, მუსიკალურ საკრავებს უმტვრევდნენ და ა. შ. რაც შეეხება ხალიფებს და სხვა დიდებულებს, ზოგჯერ ისინიც კრძალავდნენ სანახაობრივ ხელოვნებას, მაგრამ სინამდვილეში ხელს უწყობდნენ მის შენარჩუნებას სასახლეებსა და სახალხო დღესასწაულებზე ქალაქის უბნებსა და მოედნებზე. თეატრალურ-სანახაობრივი დასები აუცილებელი იყო არა მარტო სასახლის კარის და სახალხო დღესასწაულების საჭიროებისათვის, არამედ სხვა ქვეყნებთან

ურთიერთობის თვალსაზრისითაც, რათა ხელისუფლების წარმომადგენელს ეამაყა, რითაც შეეძლო. ადრეული შუა საუკუნეების არაბულ სამყაროში უკვე არსებობდა სანახაობრივი ნაგებობანიც: სასახლეები აღჭურვილი იყო საგანგებოდ მოწყობილი დარბაზებით, სადაც მსახიობებისათვის, მომღერალ-მოცეკვავეებისათვის, მუსიკოს-დამკვრელთათვის ფარდით გამოცალკევებული ადგილი იყო. ამასთან ერთად, იქ ეწყობოდა ცხოველთა წარმოდგენა-თამაშობები: ლომისა და სპილოს შებმა, აქლემებისა და ყოჩების, ძაღლების ჭიდილი, მამლებისა და მწყრების ძიძგილი, მტრედების ფრენაში შეჯიბრი და სხვა.

არაბულ-მუსლიმურ კულტურას არ შეუქმნია პლასტიკური ხელოვნება – ფერწერა და სკულპტურა ევროპული და ანტიკური გაგებით. ცნობილია, რომ ისლამი უარყოფითად უყურებდა ცოცხალი არსების (ადამიანთა და ცხოველთა) გამოსახვას, რადგან ეს შექმნის პროცესზე მიუთითებდა, რაც მხოლოდ ღმერთისთვისაა ხელმისაწვდომი. მუსლიმური ღმერთის ირაციონალიზმს თან სდევს მისი გარეგნული სახის გაურკვევლობაც. ასეთ პირობებში მკრეხელობად იქნა მიჩნეული ღმერთის გამოსახვა და აღიქმებოდა, როგორც სარწმუნოების ხელყოფა. რელიგიური გამოსახულების მნიშვნელობა შეიძინა კალიგრაფიული ხელით განხორციელებულმა წმინდა ტექსტმა. ირაციონალიზმი, მუსლიმური ღმერთის მიუწვდომლობა არა მარტო კრძალავდა მის გამოსახვას, არამედ მნიშვნელოვანწილად ზრდიდა მისი რეალური განსახიერების საკრალურ აზრს. ყოველივე ამის გამო, არაბულ-მუსლიმურ კულტურაში პლასტიკური ხელოვნების ეკვივალენტებს ქმნიდა მხატვრული კალიგრაფია, ორნამენტი და მინიატურული ფერწერა. კალიგრაფიის ხელოვნება ისლამურ სამყაროში ყველაზე კეთილშობილურ ხელოვნებად ითვლებოდა. კალიგრაფებს თავიანთი „აკადემიები“ ჰქონდათ და დიდი პატივით სარგებლობდნენ. არაბული კალიგრაფიის ესთეტიკური ხელწერის ნიმუშს წარმოადგენს, ეგრეთ წოდებული არაბული ხვეული, იგივე არაბესკა (როგორც მას ევროპაში დაარქვეს), რომელიც სტილიზებულ, ორნამენტებიან წარწერებს წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა გავიხსენოთ, რომ არაბები ნაწერს ადარებდნენ ძვირფასეულობას და ყვავილებს, მელანს – სუნამოს, სხეულის სილამაზეს კი პოეზიაში ასოთა მოხაზულობას უდარებდნენ. ამრიგად, ხელოვნების ისეთ

დარგებში, როგორიცაა ფერწერა, არქიტექტურა, მეხალიჩეობა, კალიგრაფია, დომინირებდა სხვადასხვა სახის გეომეტრიული ორნამენტები, არაბესკები, სიმეტრიული მოხატულობანი და ა. შ. ამგვარი ხერხებით გამოსახავდნენ მუსლიმი ოსტატები თავიანთ გულისნადებს, ბუნების სილამაზესა და მთლიანად სამყაროს. რაც შეეხება ფერთა გამას, ის საოცრად მსუყე და მრავალფეროვანი იყო, რომელიც ასევე ისლამურ სიმბოლიკას ემორჩილებოდა: საუკეთესო ფერად წითელი ითვლებოდა – ქალის, ბავშვებისა და სიხარულის ფერი; თეთრი, შავი და იისფერი გლოვის ფერებად აღიქმებოდა. საძულველი იყო ნაცრისფერი, განსაკუთრებით პრესტიჟული კი მწვანე ფერი იყო.

არაბულ-მუსლიმურ სამყაროში კალიგრაფია ფართოდ გამოიყენებოდა არქიტექტურაში როგორც ტექსტის გადმოცემის საშუალება, ისე გაფორმების მიზნით. მეჩეთებისა და სასახლეების კედლებს არქიტექტორები არაბული ხეეულით, გეომეტრიული მოხატულობებით და სტილიზებული მოტივებით ფარავდნენ. საერთოდ, არქიტექტურაში სილამაზის ისლამური გაგების ფორმირებას საფუძველად მეჩეთის არქიტექტურული ელემენტები დაედო; კერძოდ, ჯამალ – ღვთიური სრულყოფილი სილამაზე (მეჩეთის გუმბათი), ჯალალ – ღვთიური დიდებულება (მინარეთი) და საფათ – ღვთიური სახელი (მეჩეთის კედლებზე ყურანიდან ამოღებული წარწერები). სანამ არაბულ-მუსლიმური არქიტექტურის რამდენიმე საუკეთესო ნიმუშს დავასახელებდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეების ეს არქიტექტურა ვითარდებოდა, უწინარეს ყოვლისა, ბერძნულ-რომაული და ირანული მხატვრული ტრადიციების გადამუშავების საფუძველზე. განსაკუთრებით საინტერესო იყო ბიზანტიური ხუროთმოძღვრების და პლასტიკური ხელოვნების გამოვლინება ომაელთა დინასტიის ბატონობის ხანაში (661—750 წწ.). საკმარისია აღინიშნოს, რომ დამასკოს განთქმული მეჩეთი (705—715 წწ.) თავდაპირველად იოანე ნათლისმცემლის ტაძარს წარმოადგენდა, რომელიც შემდეგ გადაკეთდა. როგორც ცნობილია, ქრისტიანულ საკულტო ნაგებობათა მეჩეთებად გადაკეთების არა ერთი ფაქტია დაფიქსირებული ისტორიაში. დასავლური კულტურის გავლენას რომაელთა პერიოდის ახლო აღმოსავლურ სამყაროში უმთავრესად ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ რომისა და ბიზანტიის ყოფილ აღმოსავლურ პროვინციებში (ეგვიპტე, სირია, პალესტინა), სადაც

არაბები ბატონობდნენ, ჯერ ისევ ძლიერი იყო მონათმფლობელური ურთიერთობანი. მაგრამ თანდათან, რომაელთა მმართველობის მიწურულს, აქ უკვე გზას იკვლევდა ფეოდალიზმი, დაჩქარდა ურბანიზაციის ტემპი, მომთაბარეულიდან საქალაქო ცხოვრებაზე გადასვლის პროცესი. ეს კი თავის მხრივ, მოითხოვდა ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნას. სწორედ ასეთ ვითარებაში დაიწყო შემობრუნება აღმოსავლეთისკენ — ირანისკენ. პროფ. ვ. გაბაშვილის მართებული აღნიშვნით, აღმოსავლეთისკენ შემობრუნება არ ნიშნავდა მხოლოდ სტილის ცვლილებებს კულტურულ სფეროებში; ეს იყო სახალიფოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი განვითარების თანმხლები მოვლენა. მიუხედავად ამისა, რომაულ-ბიზანტიური წარმოშობის ელემენტებს მომდევნო დინასტიის — აბასიდების დროსაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, მაგრამ უპირატესობა უკვე აშკარად ირანული ელემენტის მხარეზე იყო.

ადრინდელი ხანის მუსლიმური არქიტექტურის ძეგლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ქააბას ტაძარი მექაში, რომელმაც ეს სახელწოდება თავისი გარეგნული ფორმების გამო მიიღო (არაბ. ქააბა — სათამაშო ძვალი, კუბი). ტაძრის გარე კედლის აღმოსავლეთ კუთხეში მდებარეობს შავი ქვა, რომელიც მუსლიმთა მიერ ალაჰის სიმბოლოდ აღიქმება, VII საუკუნეში აგებული საკრებულო მეჩეთი ქ. ქუფაში, ზემოხსენებული მეჩეთი დამასკოში, რომლებიც მოზაიკითა და ფერადი მარმარილოთია გაფორმებული, კაიროს იბნ-ტულუნის მეჩეთი (აგებული 876—879წწ.). საგანგებო ყურადღებას იმსახურებს, აგრეთვე, იერუსალიმის გუმბათოვანი მეჩეთი კუბათ ას-საპრა, ანუ „კლდის გუმბათი“, რომელიც ხალიფა აბდ ალ მალიქმა ააგო 686—691 წლებში. ეს ულამაზესი ნაგებობა მუსლიმური არქიტექტურის ერთ-ერთ ყველაზე ორიგინალურ ძეგლად ითვლება. მუსლიმური ტრადიცია მას უკავშირებს მუჰამადის ცად ამაღლებას და ღამით მოგზაურობას იერუსალიმში. მექისა და მედინის (სადაც მუჰამედია დასაფლავებული) მეჩეთების შემდეგ, კუბათ ას-საპრა თავისი მნიშვნელობით მესამე წმინდა სალოცავია მუსლიმთათვის. VII—VIII საუკუნეებში მეჩეთებს ჰქონდა მართკუთხა ან კვადრატული ფორმა, გალერეებით გარშემორტყმული სწორკუთხოვანი ეზო და მრავალსვეტიანი სამლოცველო დარბაზი. მოგვიანებით გაჩნდა მონუმენტური პორტალები მთავარ ფასადზე,

ასევე არაბესკები, რომელთა ორნამენტები გარკვეული ნაგების უსასრულო და რითმულ გამეორებას გამოსახავდა.

რაც შეეხება დასავლური, კერძოდ, მავრიტანული ესპანეთის არქიტექტურას, მის საოცრებად აღიარებულია ქ. კორდოვას მეჩეთი (აგება დაიწყო 875 წ. – დასრულდა X საუკუნის დამდეგს), რომლის უზარმაზარი დარბაზი ფერადი მარმარილოს ქვებით და დაკიდული ვერცხლის ლამპადებითაა მორთული. გრანადაში არის ალ-ღამბარის სასახლე (XIV ს.), რომლის კედლები, თაღები და კარნიზები ოქროთა მოვარაყებული, ინტერიერის გასაფორმებლად კი გამოყენებულია ფერადი მარმარილო, მოზაიკა, კერამიკა და ალებასტრი. არაბთა მიერ დაპყრობილ სხვა რეგიონებში, მაგალითად, ირანსა და შუა აზიაში, სვეტებიან მეჩეთებთან ერთად, იგებოდა ოთხაივნიანი საკულტო კომპლექსები, რომლის არქიტექტურაც მოგვიანებით საერო მშენებლობაში გამოიყენებოდა. საუკეთესო არქიტექტურული ანსამბლებიდან აღსანიშნავია ხალიფა მაჰდის მეჩეთი (IXს.), უფრო მოგვიანო ხანის ისპაჰანისა და სამარყანდის ცისფერგუმბათიანი მეჩეთები, მავზოლეუმები, ბიბი-ხანუმის მეჩეთი (აგებული 1404 წ.) სამარყანდში, რომელიც თემურ ლენგის ჩანაფიქრით, ყველაზე დიდებული ნაგებობა უნდა ყოფილიყო მსოფლიოში.

ცალკე განხილვის თემას წარმოადგენს მუსლიმური ინდოეთის არქიტექტურა, რომელიც განსაკუთრებულ აყვავებას XIII საუკუნიდან განიცდის. საქმე ისაა, რომ 1206 წელს ინდოეთში შეიქმნა დელის სასულტნო და იქ მუსლიმური მმართველობის ხანგრძლივი პერიოდი დაიწყო. ამიერიდან ინდური არქიტექტურის (და მთლიანად კულტურის) მთავარი მახასიათებელი ხდება ადგილობრივი ინდური ტრადიციების და ისლამური ელემენტების ჰარმონიული შერწყმა, რის საფუძველზეც მან ინდურ-მუსლიმური კულტურის სახელწოდება მიიღო. ახალი სტილის თვალსაჩინო ნიმუშებია ქ. დელიში აგებული საკულტო ნაგებობა ქუთბ-მინარი, ყოვათ ულ-ისლამის მეჩეთი, ილთუთმიშის მავზოლეუმი და სხვ., რომლებიც ფორმათა სინატიფით და დახვეწილობით, დიდებული თაღებით, ფერთა საოცარი შეხამებით და მრავალფეროვნებით გამოირჩევიან.

არაბულ-მუსლიმური სამყაროს გამოყენებითმა ხელოვნებამ დეკორატიულ ნაკეთობათა ნამდვილი შედევრები შექმნა, რაშიც არაბების გარდა, დიდი წვლილი მიუძღვით მათ იმპერიაში მოქცეულ სხვადასხვა ეროვნების ხალხს. ესენია: ჩრდილოეთ აფრიკის

ოქროსფერი ბრწყინვალების მქონე კერამიკა, ინკრუსტაციით დაფარული მეტალის ნაკეთობები, ძვირფასი ჯიშის ხეებით და სპილოს ძვლით გრავირებული ნივთები, დაჩითული სხვადასხვა სახის ქსოვილები, ფარდაგები და ხალიჩები ირანიდან და შუა აზიიდან; მაურიტანულ ესპანეთში გრანადის სასახლის მოსართავად მზადდებოდა სხვადასხვა ზომის კვერცხისებრი ვაზები, განთქმული იყო ოქროთი მოვარაყებული ქაშანური ჭურჭელი ვალენსიიდან და სხვ.

მუსლიმურ ხელოვნებაში განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა წიგნის მინიატურამ. როგორც უკვე აღინიშნა, ისლამი კრძალავდა ცოცხალ არსებათა გამოსახვას, მაგრამ ეს ყველა ეპოქისა და ისლამის მიმდევარ ყველა ხალხზე როდი ვრცელდებოდა. ეს იმით აიხსნება, რომ ხსენებული აკრძალვა უმთავრესად მუჰამედის ზეპირი გადმოცემის სახით არსებობდა, რომელიც მოგვიანებით ჩაიწერა, შემდეგ ის ყურანის კომენტარებშიც აისახა. თვით ყურანში აკრძალვა ეხება ქანდაკების, სკულპტურის შექმნას, რაც ტომობრივი კერპების ხსოვნის აღმოფხვრას ისახავდა მიზნად. ასე რომ, არ არსებობს საფუძველი იმის დასაშვებად, რომ მუჰამედი და თოკრატიული სახალიფოს (632—661 წწ.) ხალიფები ეწინააღმდეგებოდნენ ცოცხალი არსების გამოსახვას ხელოვნების ნიუთებზე, გარდა კერპებისა, როგორც ისლამთან დაკავშირებული წარმართული რელიგიების ფეტიშებისა.

723 წელს გამოიცა ხალიფა იეზიდ II-ის პირველი საგანგებო ბრძანებულება ქანდაკებათა განადგურების შესახებ, IX საუკუნეში ცოცხალ არსებათა გამოსახვის აკრძალვა ჰასიდებში და სხვა წმინდა ტექსტებშიც გამოჩნდა. ამის გამო ფერწერამ არაბულ კულტურაში იმ ეტაპზე მნიშვნელოვანი განვითარება ვერ პოვა და ის მხოლოდ ორნამენტს სჯერდებოდა, მხოლოდ XII საუკუნიდან დაიწყო მინიატურის ხელოვნების აღმავლობა. არაბეთის საზღვრებსმიღმა, აკრძალვების განხორციელება ისლამურ ხელოვნებაში მაურიტანულ ესპანეთში და ჩრდილო აფრიკაში დაიწყო, XIV საუკუნიდან – წინა აზიასა და ოსმალო-თურქეთში, ხოლო შიიტი სპარსელები და ინდოელი მუსლიმები ამ დოგმას არ ემორჩილებოდნენ, გამონაკლისს უშვებდნენ მხოლოდ მეჩეთებისა და საკულტო ნაგებობათა გაფორმებისას.

ორიოდე სიტყვით უშუალოდ მინიატურის შესახებ. კლასიკური გაგებით, მინიატურა ხელნაწერი წიგნის სამკაულს წარმოადგენდა, ხასიათდებოდა ზომის სიმცირით, მრავალფეროვანი ფერადოვანი

გამით, დეკორატიულობით, ფერწერისათვის დამახასიათებელი პერსპექტივის კანონების უგულებელყოფით და გამომსახველობითი ხერხების პირობითობით. აღმოსავლურმა მინიატურამ მესოპოტამიის ერაყში დაიწყო განვითარება, რომელიც მუსლიმური კულტურის ცენტრს წარმოადგენდა ხალიფების ეპოქაში, კერძოდ, მუსლიმური მინიატურის საფუძვლები აბასელთა პერიოდშია საძიებელი. მის წარმოქმნაზე მრავალმა ფაქტორმა მოახდინა გავლენა, მათ შორის უმთავრესად მიჩნეულია ნესტორიანელთა, სირია-ეგვიპტის ქრისტიანთა და მანიქეველთა გავლენა, რომლებმაც მესოპოტამიაში VIII საუკუნეში შეაღწიეს. X საუკუნის არაბი ისტორიკოსი მასუდი უფრო ადრინდელი ხანის ხელნაწერს მოიხსენიებს, რომელსაც ირანელ ხელნაწერთა პორტრეტები ჰქონდა დართული. მოგვიანებით მუსლიმური მინიატურა შემდეგნაირად დანაწევრდა: არაბული, სპარსული, თურქული და ინდური მინიატურის ხელოვნების სკოლები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მუსლიმი მხატვარ-მინიატურისტები ილუსტრაციებს უკეთებდნენ მხოლოდ საერო შინაარსის მქონე წიგნებს. მათ შორის პირველი იყო სამეცნიერო ხასიათის, ისტორიული ხელნაწერები, მაგრამ მხატვართა შემოქმედების უშრეტ და უსაყვარლეს წყაროს აღმოსავლური კლასიკური პოეზია წარმოადგენდა. ასე რომ, მხატვრობა და პოეზია განუყრელად იყო ერთმანეთთან დაკავშირებული.

მუსლიმური მენტალიტეტის ჩამოყალიბებაზე უაღრესად ძლიერ ზეგავლენას ახდენდა სხვადასხვა არაბული ტომის პოეზია, განსაკუთრებით მეომარ ბედუინთა. მათი პოეზიის ერთ-ერთი მთავარი ჟანრი იყო ყასიდა, რომელიც ისლამურ ქვეყნებში პოეტური ფორმების მთელი სისტემის წარმოქმნის საფუძველი გახდა. ყასიდა სამი ნაწილისაგან შემდგარ (1. ლირიკული, 2. გმირობის, კეთილშობილების ხოტბა, 3. მოგონებები მიტოვებულ მხარეზე) პატარა პოემებს წარმოადგენდა. VII-VIII საუკუნეების არაბული პოეზია უმღეროდა საბრძოლო გმირობას, კეთილშობილებას, სიყვარულს და ერთგულებას, მიჯნურთა განცდებს, სევდას და მხიარულებას. ამ პოეზიის საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ: ზურ-რუმა, ალ-ფარაზდაკი, ჯარირი. არაბული პოეზიის აყვავების ხანად მიჩნეულია IX-XI საუკუნეები, როდესაც მოღვაწეობდნენ სიტყვის ისეთი აღიარებული ოსტატები, როგორებიცაა: აბუ ნუვირი (762—813 წწ.) – სიყვარულის, ღვინის, სიცოცხლის მეხოტბე, აბულ

ათაპა (748—828 წწ.) – რელიგიურ-ასკეტური ლექსების ავტორი, პოეტი მეომარი აბუ ფირასი (გარდაიცვალა 868 წ.), სატირიკოსი ალ-მუთანაბი (გარდაიცვალა 965 წ.), რომლის ბევრი ლექსი აფორიზმად და ანდაზად იქცა, შუა საუკუნეების არაბული პოეზიის მწვერვალადაა მიჩნეული სირიელი აბულ-ალა ალ მაარის (973—1057 წწ.) შემოქმედება, რომლის ნაწარმოებებიდან ძველი არაბული გადმოცემებისა და პოეზიის, მუსლიმური სამართლის, ასევე ასტრონომიის, მათემატიკის, ისტორიის, ბერძნული ფილოსოფიის ღრმა ცოდნა გამოსჭვივის.

არაბთა სახალიფოში შემავალ ქვეყნებში ინტენსიურად მიმდინარეობდა არაბული ლიტერატურული ტრადიციების ადგილობრივ ჟანრებთან შერწყმა, ასიმილაცია, რამაც ლიტერატურულ ნაწარმოებთა თემატიკის გაფორმებას და ახალი ჟანრების ფორმირებას შეუწყო ხელი. ინტენსიურად დაიწყო სხვადასხვა ენაზე შექმნილ თხზულებათა თარგმნა არაბულად და შედეგად, VIII საუკუნიდან X საუკუნის ბოლომდე მუსლიმური ლიტერატურა ფაქტობრივად ერთეროვანი ხდება.

რაც შეეხება პროზას, IX საუკუნეში მან თანდათან პოეზიის შევიწროება დაიწყო. ეს განპირობებული იყო ქალაქების აღმავლობითა და საქალაქო ცხოვრების გართულებით. განახლებული არაბული პროზის ბრწყინვალე წარმომადგენლები იყვნენ: იბნ ალ-მუკაფა (720—757 წწ.) და ალ ჯაჰიზი (775—868 წწ.), რომლებმაც მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვეს. ყველაზე პოპულარული გახდა ქალაქის სხვადასხვა ფენის ცხოვრების აღწერა, სასიყვარულო-სათავგადასავლო მოთხრობები, ანეგდოტები. აღსანიშნავია აბუ ხაიან-ათ თუხიდიდის (გარდაიცვალა 1122 წ.) ნოველების კრებულები (მაკამები). მაკამა არაბული ლიტერატურის ევოლუციის გვირგვინად იქცა, რომელიც კლასიკურ პოეზიასა და ნოველას აერთიანებდა. უმეტეს პოეტურ ნაწარმოებთა მთავარი მახასიათებელი ფილოსოფიური აზრისადმი მიდრეკილება და სუფიური კონცეფციები გახდა.

სუფიზმი – მუსლიმური მისტიციზმი VIII საუკუნეში ჩამოყალიბდა, რომელიც ასკეტურ ცხოვრებასა და შემეცნების მისტიკურ ფორმებს ქადაგებდა. სუფიები თავს არ იზღუდავდნენ ყოველდღიური ქცევის ნორმებით, წესებითა და პირობითობით (რაც მკაცრად მოეთხოვებოდა მართლმორწმუნე მუსლიმებს). მათი

ცხოვრება ალაპს ეძღვნებოდა და აქედან მომდინარეობდა მათი არასტანდარტული ქმედებანი და თავისებური ლიტერატურული ჟანრიც. სუფიზმი უაღრესად ფართო შესაძლებლობებს ხსნიდა შემოქმედებისათვის, რომელშიც მგრძნობელობა და სიყვარულის გაღმერთება არ უპირისპირდებოდა მისტიკურ სწრაფვას ღვთიური ჭეშმარიტებისაკენ. სუფი პოეტები მრავალრიცხოვან სიმბოლისტურ კომპოზიციას ქმნიდნენ, რომელშიც ერთმანეთს იყო შერწყმული სასიყვარულო ლირიკა და ფილოსოფია. ისინი გულისყურით იკვლევდნენ და აანალიზებდნენ ადამიანთა პირად განცდებს, მათ ქმედებათა ფარულ მოტივებს, დიდ ყურადღებას უთმობდნენ რელიგიური ჭეშმარიტების შინაგან აღქმას. IX საუკუნიდან სუფიზმის ახალი სხვადასხვა მიმდინარეობა შეიქმნა, განსაკუთრებით პოპულარობა მოიპოვა ფარსის ენაზე შექმნილმა სუფიურმა ნაწარმოებებმა აღანეთის, ინდოეთის, ირანისა და დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე.

VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე ისლამურ პოეზიაში ახალი მიმდინარეობები გაჩნდა: კიტა – ლექსი, რომელიც სახოტბოდ, გლოვის ან წყევლისათვის იწერებოდა; რობაი – ფილოსოფიური ხასიათის მოკლე გამონათქვამები; ღაზალი – ლირიკული სასიამოვნო ლექსები. ამავე პერიოდს განეკუთვნება საქეეყნოდ ცნობილი „ათას ერთი ღამის“ პირველი ხალხური ზღაპრები. მისი სრული კრებული კი საუკუნეთა მანძილზე ივსებოდა სპარსული, ინდური, ბერძნული და თვით არაბული ხალხური ზღაპრების გადამუშავების საფუძველზე. ეს იყო ყველა თაობისა და ხალხისათვის საყვარელი ზღაპრები ალი-ბაბაზე, ალადინზე, სინდ-ბადზე, ზღაპრის გმირები იყვნენ ასევე სულთნები, ვაჭრები, უფლისწულები, განსაკუთრებული პოპულარობით კი ბედუინები სარგებლობდნენ, როგორც მამაცი, მოხერხებული, სამართლიანი და სხვა ვაჟკაცური თვისებებით დაჯილდოებული რაინდები. არაბულენოვანი პროზის განვითარების უშუალო შედეგს წარმოადგენდა მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ნაშრომის შექმნა საისტორიო და გეოგრაფიულ მწერლობაში (რომლის სახელოვანი წარმომადგენლები იყვნენ ათ-ტაბარი, ალ-მასუდი, ჰამზა ისპაჰანელი, ალ-ისთაჰრი, იბნ ჰაუქალი, ალ-მუკადასი), ასევე ფილოსოფიაში, მათემატიკასა და მედიცინაში.

არაბულ ლიტერატურაში განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენდა ესპანეთის მუსლიმ ავტორთა შეხედულება. არაბული დასავლეთის ლიტერატურის განვითარება ჯერ კიდევ VIII საუკუნეში დაიწყო. XI საუკუნიდან მოყოლებული ამ რეგიონების პოლიტიკური და კულტურული ისტორია სრულიად დამოუკიდებლად ვითარდებოდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ მუსლიმური აღმოსავლეთისგან განსხვავებით, აქ ვერ შეაღწია სპარსულ-მუსლიმური კულტურის გავლენამ. საერთო-კულტურული აღმავლობის ფონზე არაბული ესპანეთის პოეზიაში საინტერესო ნოვაციები გაჩნდა, კერძოდ, ლირიკული და სასიყვარულო ჟანრები: მუვახაში და ზაჯალი, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ ანდალუზიელი პოეტები: იბნ კუზმანი, იბრაჰიმ იბნ საჰლ ალ-ისრაილი და ალ-ხატიბი. სხვა მიმართულებით წარიმართა სევილიის არაბულ-ესპანური სკოლა, სადაც რაინდული პოეზია დომინირებდა, მთავარი რომანტიკული გმირით – რაინდით. ცხადია, ზემოქმედებას ახდენდა რა ევროპულ ლიტერატურაზე, არაბული კლასიკა თავადაც განიცდიდა სახეცვლილებას. მომდევნო ხანებში, კერძოდ, XIII-XIV საუკუნეებში არაბული ლიტერატურის კლასიკურ ფორმებში (და მთლიანად კულტურაში) დაქვეითება-დაცემის ნიშნები გამოიკვეთა, რაც მთელი რიგი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური გარემოებებით იყო განპირობებული,[1] უმთავრესი მათგან მონღოლთა შემოსევები და მისი თანმდევი მოვლენებია.

არაბულენოვანი ლიტერატურის განხილვისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ სპარსულ-მუსლიმურ კლასიკურ ლიტერატურას, რომელიც არაბოა სახალიფოს სინამდვილეში დიდი წარმატებით ვითარდებოდა. საქმე ის იყო, რომ არაბულ ენასთან ერთად, მდიდარი მხატვრულ-ლიტერატურული ტრადიციების მატარებელი იყო ფარსის ენა, ანუ ახალ-სპარსული, რომლის ჩამოყალიბება-გავრცელების ფონზე, ლიტერატურა IX-XV საუკუნეების მთელ მანძილზე განსაკუთრებულ აყვავებას განიცდიდა. მხატვრული სიტყვის სპარსელი ოსტატები თანაბარი წარმატებით იყენებდნენ ოფიციალურ არაბულ და თავიანთ მშობლიურ ენას შემოქმედების სფეროში. ახალ

[1] აღმოსავლური კულტურის განვითარების მომდევნო ეტაპები [illegible] ჩვენი თემის (არაბულ-მუსლიმური კულტურის) ქრონოლოგიურ ჩარჩოებს და ამიტომ ამჯერად მათზე ყურადღება არ მახვილდება.

სპარსულ ენაზე შექმნილმა პოეზიამ თანდათან დახვეწილ და მაღალ მხატვრულ დონეს მიაღწია, რის საფუძველზეც ის უკვე კონკურენციას უწევდა არაბულ ლიტერატურულ ქმნილებებს. ხსენებული პროცესი უშუალო კავშირში იყო ისლამურ სამყაროში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ძვრებთან, კერძოდ, აბასელთა სახალიფოს დაქვეითება-დასუსტების კვალდაკვალ დამოუკიდებელი სამეფოების წარმოშობასთან. სწორედ იმ დროიდან შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ირანული კულტურის აღმავლობისათვის, რომლის ბუნებრივი შედეგი ის იყო, რომ XI-XII საუკუნეებში არაბულ-მუსლიმური კულტურის ადგილი (სახალიფოს აღმოსავლეთ ნაწილში) სპარსულ-მუსლიმურმა კულტურამ დაიკავა. ამით კი, მუსლიმური ცივილიზაციის ვრცელ ტერიტორიაზე არაბული ენისა და არაბულენოვანი ლიტერატურის დომინირების პერიოდიც დასრულდა. როგორც პროფ. ვ. გაბაშვილი მიუთითებდა, ზემოხსენებული ისტორიული მოვლენის გათვალისწინება აუცილებელია ფეოდალური ახლოაღმოსავლური კულტურის პერიოდიზაციის დროს; თუ არაბულ-მუსლიმური კულტურა წინა ახიის ისტორიის ადრეფეოდალურ საფეხურს მიესადაგება, სპარსულ-მუსლიმური კულტურა არაბულის გაგრძელებას წარმოადგენდა, მაგრამ გაცილებით უფრო რთულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებში ვითარდებოდა. თავად სპარსულ-მუსლიმური კულტურის აღმავლობა კი მონღოლთა გამანადგურებელმა შემოსევებმა შეაჩერა და გარკვეულწილად მიმართულებაც შეუცვალა.

სპარსულ-მუსლიმური კულტურისათვის დამახასიათებელი იყო ახალი კულტურულ-იდეოლოგიური მოტივები და თემები. პოეზიაში ყველაზე მეტად გავრცელებული იყო: მასნავი (არაბ. — ორმაგი) – მოზრდილი პოემა, რომელშიც მთავარი იყო პწკარების დაწყვილებული რითმა, ასევე რობაი – ოთხპწკარიანი გალექსილი აფორიზმები. რობაის უბადლო ოსტატი იყო სახელგანთქმული პოეტი, მათემატიკოსი, ფილოსოფოსი და ასტროლოგი ომარ ხაიამი (1048—1122 წწ.), ასევე უნდა დავასახელოთ „შაჰ ნამეს“ ავტორი დიდი პოეტი ფირდოუსი (934—1025 წწ.), „ვის ო რამინის“ ავტორი გორგანი, ნიზამი განჯელი (1141—1203 წწ.). მონღოლთა შემოსევების შემდგომ პერიოდში მოღვაწეობდნენ ისეთი სახელოვანი პოეტები, როგორებიც იყვნენ: საადი (1184—1291 წწ.), ჯალალედინ რუმი (1207—1273 წწ.), ჰაფეზი (1320—1390 წწ.) და ჯამი (გარდაიცვალა

1492 წ.). XII—XIII საუკუნეებში გაჩნდა ახალი ენციკლოპედიური ჟანრი — ანთოლოგიურ-ბიბლიოგრაფიული ხასიათის შრომები, რომლებსაც თეზქერე ეწოდა.

1258 წლის 10 თებერვალს ოცდღიანი ალყის შემდეგ, მონღოლებმა აბასელთა დედაქალაქი ბაღდადი აიღეს, რითაც არაბთა ბატონობის ხანა და მასთან თანაარსებული არაბულ-მუსლიმური კულტურის ეპოქაც დასრულდა. ყოველივე ზემოთქმული ნათელი დასტურია იმისა, თუ რაოდენ დიდია არაბულ-მუსლიმური კულტურის წილი შუა საუკუნეების მსოფლიო კულტურის საგანძურში, რომელიც ასწლეულების მანძილზე წარმატებით ერცელდებოდა და მყარად მკვიდრდებოდა ბევრ ქვეყანაში. არაბთა სახალიფოში მოქცეულმა ხალხმა, არაბებთან ერთად შექმნეს ერთიანი დიდი კულტურა, რომელშიც ადგილობრივი ტრადიციები შერწყმული იყო ისლამური კულტურის ელემენტებთან. ამის დასტურია შესანიშნავი ლიტერატურული ნაწარმოებები, ფუნდამენტური მეცნიერული ნაშრომები, ულამაზესი სასახლეები, მავზოლეუმები, მეჩეთები და მინარეთები, მხატვრული ხელოსნობის ნატიფი ნიმუშები, ქსოვილები, ხალიჩები და ფარდაგები, სამინიატურო ხელოვნება და ა. შ.

არაბულ-მუსლიმური კულტურა მოიცავდა აღმოსავლურ და დასავლურ ელემენტებსაც. ამასთან, აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა გამოვლინება სხვადასხვა რეგიონში ერთმანეთისაგან განსხვავებული იყო. კერძოდ, ახლო აღმოსავლეთის დასავლეთ ნაწილში ძლიერი იყო რომაულ-ბიზანტიური გავლენა, აღმოსავლეთ ნაწილში კი — ირანული. ცხადია, ეს განპირობებული იყო რეგიონის დასავლეთ ნაწილში რომისა და ბიზანტიის ბატონობით, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში — ირანისა. მაგრამ მთელი ისლამური აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის კულტურის განვითარებაში და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში განმსაზღვრელი როლი სარწმუნოებას — ისლამს ეკუთვნოდა. ისლამური ცივილიზაცია ხომ რელიგიური დოგმებისა და კანონების მარტივი საწყისი კონცეფციების საფუძველზე ყალიბდებოდა, რომლებიც ყურანიდან და სხვა წმინდა წიგნებიდან მომდინარეობდა. სწორედ ისლამის ალმის ქვეშ გაერთიანებით დაიწყო არაბმა ხალხმა თავისი ისტორია, შექმნა უზარმაზარი იმპერია, შემდეგ კი სახალიფოს შემადგენლობაში მოქცეულ სხვადასხვა ეროვნების ხალხთან ერთად არაბულ-მუსლიმური ცივილიზაციისა და კულტურის ფორმირება.

დასავლეთევროპული შუა საუკუნეების კულტურა

შუა საუკუნეების კულტურას საფუძვლად უდევს ორი საწყისის ურთიერთქმედება: საკუთრივ დასავლეთ ევროპის „ბარბაროსი" ხალხების კულტურა (გერმანული საწყისი) და დასავლეთ რომის იმპერიის კულტურული ტრადიციები — სამართალი, მეცნიერება, ხელოვნება, ქრისტიანობა (რომაული საწყისი). ეს ტრადიციები, რომლებიც „ბარბაროსებმა" აითვისეს რომის დაპყრობის დროს, გავლენას ახდენდა გალების, გოთების, საქსების, იუტების და დასავლეთ ევროპის სხვა ტომთა წარმართულ კულტურასა და საგვარტომო ცხოვრებაზე. ამ საწყისთა ურთიერთქმედებამ მძლავრი იმპულსი მისცა საკუთრივ შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის კულტურის ჩამოყალიბებას.

შუა საუკუნეების კულტურა ყალიბდება ჩაკეტილი სასოფლო ნატურალური მეურნეობის საფუძველზე, სავაჭრო – ფულადი ურთიერთობის არარსებობის პირობებში. შემდგომში, კულტურის საყრდენად გვევლინება ქალაქი, ბიურგერობა, ხელოსნობა, ვაჭრობა, ფულადი მეურნეობა.

შუა საუკუნეების სოციალური კულტურა, უპირველეს ყოვლისა, მკაცრად განსაზღვრული ურთიერთქმედებაა სოციალური ჯგუფებისა, დამყარებული მიწაზე უფლებასა და საზოგადოებაში ადგილის შეთავსებაზე. სენიორისა და ვასალის ურთიერთობა აგებულია ურთიერთშეთანხმებაზე, ერთგულებასა და მფარველობაზე. სწორედ ეს ურთიერთობები წარმოშობს საზოგადოებას. ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა წარმოქმნასთან ერთად ყალიბდება წოდებანი, რომლებიც შეადგენენ შუა საუკუნეების საზოგადოების სტრუქტურას — სასულიერო, სათავადაზნაურო წოდებანი და დანარჩენი მოსახლეობა, ე.წ. „მესამე ფენა". სასულიერო წოდება ზრუნავდა

ადამიანთა სულებზე, თავადაზნაურობა (რაინდობა) დაკავებული იყო სახელმწიფო საქმიანობით, ხალხი კი — შრომით.

ნებისმიერი ეპოქის კულტურის არსი გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, იმაში, თუ როგორ აღიქვამს ადამიანი საკუთარ თავს, მიზნებს, შესაძლებლობებს და ინტერესებს. შუა საუკუნეებში ამ წარმოდგენებს ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავდნენ ეკლესიის მსახურნი. ისინი საზოგადოებრივი ურთიერთობების ახსნას ცდილობდნენ ადამიანსა და ღმერთს შორის დამოკიდებულების მსგავსად. ქრისტიანული მორალიდან გამომდინარე, მორჩილება, არსებულისადმი შეგუება საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარ ფასეულობად იქცეოდა. ის იდეურად ამართლებდა საზოგადოებრივი ცხოვრების წოდებრივ ორგანიზაციას, მის იერარქიულობას, მაშინ როცა თითოეულმა ადამიანმა იცოდა თავისი ადგილი სამყაროში და ცხოვრობდა სოციალური ჯგუფების — უმაღლესიდან (სამღვდელოება, თავადაზნაურობა) უმდაბლესამდე (გლეხობა, ხელოსნები) მოწესრიგებულ ეითარებასთან შესაბამისობაში.

სოციალური კულტურის მთავარი ელემენტია ბერ-მონაზვნობა. იგი განასახიერებდა ღვთის სასუფევლის საყოველთაო მოლოდინს დედამიწაზე, რომლის მიღწევაც შესაძლებელი ხდებოდა ასკეტური ცხოვრებით.

დასავლური ეკლესიის ერთ-ერთი პირველი ორდენი ბენედიქტიანელების ორდენი იყო (VI ს). ის წარმოადგენდა მონასტერთა გაერთიანებას საერთო წესდების ქვეშ. ბენედიქტიანელების დამახასიათებელი თავისებურება იყო გულმოწყალეობა, შრომისმოყვარეობა, აქტიური მონაწილეობა საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში. დომინიკელების ორდენის (XIII ს.) მთავარ მიზანს კი ერეტიკოსებთან ბრძოლა წარმოადგენდა. ფრანცისკანელების ორდენის ბერები (XIII ს.) ცდილობდნენ მიებაძათ ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრებისათვის.

საზოგადოების მეორე წოდებას — თავადაზნაურობას რაც შეეხება, მისთვის დამახასიათებელია განსხვავებული შეხედულებები ადამიანსა და მის ადგილზე სამყაროში. რაინდის იდეალი ითვალისწინებდა წარჩინებულ წარმომავლობას. ისეთი თვისებები, როგორიცაა სიმამაცე, ღირსება, გმირული საქმეებისკენ სწრაფვა, კეთილშობილება, ერთგულება ღმერთისადმი და თავისი სენიორისადმი, მანდილოსნისადმი და სიტყვისადმი. ყველაფერი ეს ზედა ფენის

პრივილეგია იყო და არა უბრალო ხალხისა. ამ პირობებში ადამიანის პირადი თავისუფლება, ბატონის არჩევის თავისუფლებას არ სცილდებოდა. თუ ანტიკურ სამყაროში პოლისის მოქალაქე თავს მოიაზრებდა სახელმწიფოსთან მთლიანობაში, შუა საუკუნეების საზოგადოება მკვეთრად განსხვავდებოდა პოლისის საზოგადოებისაგან თავისი იერარქიულობით. შუა საუკუნეების ადამიანი თავის ერთიანობას საზოგადოებასთან განიცდის მხოლოდ სულიერად, ღმერთის მეშვეობით. ამასთანავე, ადრე შუა საუკუნეებში ხორციელდება თავისუფალ მეთემეთა გადასვლა ფეოდალურ საწყისებზე, სახელმწიფო მსახურებიდან ბატონის მსახურებაზე.

შუა საუკუნეების კულტურის უმთავრეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს ადამიანის, როგორც პიროვნების გააზრების პრობლემა. XIII საუკუნემდე გაბატონებული იყო მისწრაფება საზოგადოსადმი, პრინციპულად უარყოფილი იყო ინდივიდუალობა. ევროპელი ცხოვრობდა საზოგადოებაში, სადაც ადამიანი ცდილობდა ისეთი ყოფილიყო, „როგორც ყველა სხვა", ცხოვრების წესი წარმოდგენილი იყო როგორც ქრისტიანული მორალის განსახიერება. შუა საუკუნეების ადამიანი წარმოადგენდა პიროვნებას, რომელიც პირადულს უქვემდებარებდა საზოგადოებრივს, საყოველთაოდ მიღებულს და რელიგიით კურთხეულს.

XIII საუკუნის შემდეგ თვალშისაცემი ხდება მსოფლმხედველობრივი შემობრუნება, უფრო მეტად ხდება ცალკეულ პირთა მოთხოვნების აღიარება. ეს პროცესი მიმდინარეობს თანდათანობით, ეტაპობრივად, ადამიანის მიერ იმის გააზრებით, რომ იგი განეკუთვნება არა მარტო ქრისტიანულ სამყაროს, არამედ საკუთარ ფენასაც.

შემდეგი ეტაპი ადამიანის მიერ მისი სოციალური დანიშნულების შესრულებაა. განვითარებულ შუა საუკუნეებში ადამიანი გვეელინება არა მხოლოდ როგორც ინდივიდი, არამედ როგორც პროფესიონალი (ვაჭარი, რაინდი, ხელოსანი), ვინაიდან ადამიანის ცხოვრება გამოიხატებოდა თავისი სოციალური როლის შესრულებაში, რომელიც პროფესიაში ვლინდება.

პიროვნების ასეთი სტერეოტიპი ნგრევას იწყებს ბურჟუაზიული ურთიერთობების ჩასახვა-განვითარებისას. გრძნობს რა თავის შზარდ დამოუკიდებლობას ეკონომიკის სფეროში, პიროვნება უფრო და

უფრო აცნობიერებს უთანხმოებას კოლექტივთან და ისწრაფვის პირადი თავისუფლებისაკენ.

შუა საუკუნეების სულიერ კულტურაში მთავარი როლი ეკუთვნის ქრისტიანობას. მისი მსოფლმხედველობის საფუძველია ერთმორწმუნეთა კავშირი. ამ პირობებში ქრისტიანული იდეოლოგიის ზნეობრივი იდეალის ბუნება შეიძლება წარმოვიდგინოთ რწმენის, იმედისა და სიყვარულის ერთიანობად. ამ „ტრიადაში" რწმენა გვევლინება როგორც სულის განსაკუთრებული მდგომარეობა, როგორც ღმერთთან მიმავალი წმინდა უბრალოება. იმედი განასახიერებს იმქვეყნიურ ცხოვრებაში ცოდვისაგან ხსნის იდეას ღმერთის მეშვეობით, ხსნისკენ გზაა მორჩილება და ეკლესიის მოთხოვნების შესაბამისი ქცევა. სიყვარული გაიგება როგორც ღმრთის სიყვარული და მისკენ სწრაფვა.

ამგვარად, შუა საუკუნეების სულიერი კულტურის მთავარ მახასიათებლად მისი რელიგიურობა გვევლინება. ის ადამიანის შემეცნების ახალი მსოფლმხედველობრივი საყრდენია, რომელიც ვლინდებოდა ასკეტურ ცხოვრებაში, რაც არ იყო წარმართულ რელიგიებში. ისინი არ იყვნენ იმისთვის მზად, რომ ადამიანთა უმრავლესობა გამხდარიყო ასკეტი და პრაქტიკულად მთლიანად უარი ეთქვა ამქვეყნიურ სიამოვნებებზე. ქრისტიანობა მოგვევლინა ერთგვარ „ოქროს შუალედად", სულისა და ხორცის კომპრომისად, რადგან მიუხედავად მთელი თავისი სულიერებისა, ქრისტე აღსდგება როგორც სხეულებრივი არსება, მას აქვს ხორცი და სისხლი.

შუა საუკუნეების დახასიათებისას მეორე მთავარ ნიშნად შეიძლება ჩავთვალოთ ტრადიციონალიზმი, მიბრუნება წარსულისადმი — „რაც უფრო ძველია, მით უფრო სარწმუნოა". ასეთია პრინციპი ახლისა და ძველის კავშირისა სულიერ ცხოვრებაში. ნოვატორობა ითვლება „სიამაყის" გამოვლინებად, სიძველისაგან განდგომა კი – ჭეშმარიტებისაგან განდგომად. აქედანაა თხზულებათა ანონიმურობა, შემოქმედებითი თავისუფლების შემოფარგვლა რელიგიურ-მსოფლმხედველობითი ჩარჩოებით.

მესამე ძირითადი თვისება – კანონიკურობა, დაყრდნობა ეკლესიის მამათა შრომებზე, მათი უკრიტიკოდ მიღება, მკაცრად დადგენილ და საყოველთაოდ მიღებულ ნორმათა პრინციპების გატარება ადამიანის ცხოვრებაში.

მეოთხე თვისებად გვევლინება სიმბოლიზმი. ბიბლიის ტექსტი იძლევა იმის საშუალებას, რომ განმარტებული იყოს მისი შინაარსი. შუა საუკუნეების მთელი სულიერი კულტურა დამყარებულია ბიბლიის განსხვავებულ კომენტარებსა და თეოლოგიურ შრომებზე. ასეთი კომენტირება ხორციელდებოდა სამ დონეზე. პირველი მდგომარეობდა ბიბლიის კონკრეტული სიტყვების გაშიფვრასა და მათ ახსნაზე მორწმუნეთათვის. მეორე დონეზე ხდებოდა ბიბლიაში ჩადებული იდეების გაშიფვრა, ხოლო მესამე — უმაღლეს დონეზე, შესაძლებელი იყო ამ იდეათა განვითარება საკუთარი აზროვნებით, რომელიც აუცილებლად უნდა გამოსულიყო ავტორის მიერ პირველწყაროს სიღრმისეული გაგებიდან.

მეხუთე ნიშანია დიდაქტიკა და სწავლება. შუა საუკუნეების კულტურის მოღვაწენი, უპირველეს ყოვლისა, ღვთისმეტყველნი არიან. მათ მოღვაწეობაში მთავარია არა მარტო განმარტება ღვთიური განზრახვისა, არამედ მისი გადაცემა სხვებისათვის. ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინტელექტუალური საქმიანობის ისეთ ფორმებს, როგორებიცაა დისკუსია, ქადაგება და სხვა.

შუა საუკუნეების კულტურისათვის დამახასიათებელია აგრეთვე უნივერსალურობა, ენციკლოპედიური ცოდნა, როცა მოაზროვნის მთავარ ღირსებად ითვლება მისი ერუდიცია.

მეშვიდე ნიშანი არის სულიერი ცხოვრების ფსიქოლოგიური თვითჩაღრმავება. ეს ვლინდება იმ უზარმაზარ როლში, რომელიც ადამიანის სულიერ ცხოვრებაში აღსარებას ეკისრება.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს შუა საუკუნეების სულიერი ცხოვრების ისტორიზმი, რომელიც განპირობებულია ქრისტიანული იდეის მოვლენათა განუმეორებლობით. ეს გამოწვეულია ქრისტეს, როგორც მოვლენის და როგორც ისტორიის დასაწყისის ფაქტორით. ანტიკურობის ციკლურობისაგან განსხვავებით, როცა ხდება მოვლენათა განმეორება დროში, შუა საუკუნეები განმსჭვალულია საშინელი სამსჯავროს მოლოდინით, ადამიანისა და, საერთოდ, მთელი სამყაროს საბოლოო მიზნის გააზრებით.

რელიგიურობა, როგორც განსაკუთრებულობა შუა საუკუნეების სულიერი ცხოვრებისა, განაპირობებს ეკლესიის უმნიშვნელოვანეს როლს კულტურაში. ეკლესია გვევლინება უმაღლეს ძალად, პაპის სახით მიილტვის ქრისტიანულ სამყაროზე ბატონობისაკენ. ეკლესიის ამოცანა განსაკუთრებით რთული იყო: თავისი კულტურის ცხო-

რებაში გატარება და მისი განვითარება ეკლესიას მხოლოდ საერო საქმეებში „ჩაფლობით“ შეეძლო. შემდეგ კი უნდა მომხდარიყო ცოდვილი სამყაროსაგან განყენება. აკითარებდა რა თავის „ზეციურ“ ცხოვრებას თავის რელიგიურობის უმაღლეს ფორმებში, ეკლესია უნდა დასულიყო სამყაროამდე და გარდაექმნა ის, მაგრამ ამავე დროს უნდა ეცხოვრა „მიწიერი“ ცხოვრებით. ეს წინააღმდეგობრიობა გამოთქმული აქვს ცნობილ თეოლოგს ნეტარ აგუსტინეს თავის ცნობილ ტრაქტატში „საღვთო ქალაქისათვის“ (413—426 წწ.), რომელშიც მას კაცობრიობის ისტორია წარმოუდგენია დასაბამიდან ორ ქალაქს — მიწიერ ქალაქსა (საზოგადოება დამყარებული საერო ხელისუფლებაზე, საკუთარი თავისადმი სიყვარულზე და დაყვანილი ღმერთისადმი სიძულვილზე) და საღვთო ქალაქს (სულიერი საზოგადოება დამყარებული ღმერთისადმი სიყვარულზე და დაყვანილი საკუთარი თავის უარყოფამდე) შორის ბრძოლად.

შუა საუკუნეების კულტურის მთელი ისტორია არის ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ბრძოლის ისტორია, მათი შერწყმა, ეკლესიის (პაპობა) დამსგავსება სახელმწიფოსადმი და ღვთაებრივი მიზნების რეალიზაცია სახელმწიფოს მეშვეობით. სახელმწიფოებრიობის განდიდება აუცილებელი იყო არა მარტო მაღალი საზოგადოებისათვის, არამედ თავად ეკლესიისათვისაც, როგორც ქრისტიანობის სიძლიერის რეალურობის მტკიცებულება საღვთო ქალაქის შექმნისა დედამიწაზე. მთავარი იარაღი ეკლესიის განდიდებისა იყო რაინდობა, რაც საშუალებას გვაძლევს, სარაინდო კულტურა უმნიშვნელოვანეს მოვლენად ჩავთვალოთ შუა საუკუნეების კულტურულ ცხოვრებაში. ამ მოთხოვნათა აშკარა გამოხატულება იყო ჯვაროსნული ლაშქრობები — მცდელობა ხმლით გაერთიანებინათ და გაეფართოებინათ ქრისტიანული სამყარო პაპის ძალაუფლების ქვეშ. მას საფუძველში ედო ფეოდალური ევროპის დაქუცმაცებულობა მაშინ, როცა სწორედ ეკლესია იყო ქრისტიანული სამყაროს გამაერთიანებელი და დასაყრდენი ძალა მუსლიმური აღმოსავლეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ევროპული იმპერიის და პაპობის იდეა ამოდის ერთი ფესვიდან — ეს არის ერთიანი ევროპის რელიგიურ-საზოგადოებრივი აუცილებლობის იდეა.

მაგრამ ორი ქალაქის რეალიზაციის იდეა, როგორც აღვნიშნეთ, გადაუჭრელ სიძნელეებს აწყდება: რელიგია იძულებულია მიიღოს თავის თავში საერო, ამავე დროს, უარყოს ის პრინციპულად, ხოლო

საერო ნაწილობრივ რელიგიურად გარდაიქმნება თავის საპირისპიროდ. ხსნა ამქვეყნიურ „სამყაროში“ სულ უფრო ნაკლებ რეალური ხდება და რელიგიური აზრის მცდელობას ხორცი შეასხას მიწაზე ღვთის ქალაქის გაჩენას, უპირისპირდება ქრისტესმიერი ხსნა ზეცაში. ეს განწყობილება ძლიერდება ეროვნული ეკლესიის ჩამოყალიბებასთან ერთად, რომელიც უარყოფს ვატიკანზე დაქვემდებარებას. ეროვნული სახელმწიფოების გაძლიერებასთან ერთად ცხოვრებაში გაბატონებული რელიგიური წესი სულ უფრო იცვლება „საეროთი“. საუკუნეობრივი მცდელობების ცვლასთან ერთად, შეექმნათ ერთიანი რელიგიური სამყარო, მისი სულიერი გარდასახვის მეშვეობით და, ამასთანავე, მოეძებნათ გზები ამქვეყნიური ცხოვრების გაერთიანებისათვის, რათა შემდეგ გაცნობიერებული ყოფილიყო სამყაროს რელიგიური ერთიანობა და ამით მიახლოება მომხდარიყო საღვთო ქალაქის კარიბჭესთან. შუა საუკუნეების სულიერი კულტურის ტრაგიკულობა მდგომარეობს ღმერთისა და ადამიანის ერთიანობისაკენ განუხორციელებელ ლტოლვაში, რაც არ ხერხდება არც მიწაზე და არც ცაში. XIV საუკუნიდან იწყება ძლევამოსილი გზა ამქვეყნიური, უპირველეს ყოვლისა, ქალაქური ცხოვრებისაკენ, სადაც სწრაფად ვითარდება საეკლესიო-სამრევლო ურთიერთობები, რომელიც ძირს უთხრის მსოფლიოს მხოლოდ რელიგიური კუთხით ათვისების იდეას, მიისწრაფვის და ბადებს დამოუკიდებლობის, ინდივიდუალიზმის სურვილს.

ამან გამოიწვია ცოდნისა და რწმენის ურთიერთმიმართების პრობლემა. პირველი მცდელობა რწმენის შერიგებისა გონებასთან („მწამს, რათა გავიგო“) ღმერთის არსებობის ლოგიკური დასაბუთება მოხდა XI საუკუნეში ინგლისელი ეპისკოპოსის ანსელმ კენტერბერიელის მიერ. ცოტა მოგვიანებით გონების როლის წამოწევას რელიგიური დოგმების დასაბუთებისათვის („მესმის, რათა ვირწმუნო“) შეეცადა ფრანგი ღვთისმეტყველი პიერ აბელიარი. საბოლოო ჯამში, XIII საუკუნის იტალიელი ფილოსოფოსი თეოლოგი თომა აქვინელი თანხმდება, რომ გონების დახმარებით შესაძლებელია რწმენის ნაწილობრივი დასაბუთება.

ინგლისელი ფილოსოფოსი და ბუნებისმეტყველი როჯერ ბეკონი თვლიდა, რომ რწმენისა და ცოდნის გაერთიანება შეუძლებელია არც რწმენის მხრიდან, რომელსაც არ სურს დაემორჩილოს გონებას, და არც ცოდნის მხრიდან, რომელიც გვერდს უვლის რწმენის მისტიკურ

ბუნებას. მისი შემოქმედებით იწყება შედარებით დამოუკიდებელი არსებობა რწმენისა და ცოდნისა. ბურჟუაზიული ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება მძლავრ იმპულსს იძლევა სამეცნიერო ცოდნის განვითარებისათვის.

შუა საუკუნეების მეცნიერება გამოდიოდა ბიბლიის ავტორიტეტული მონაცემების გააზრების მცდელობით. საეკლესიო იდეოლოგების აზრით, ცოდვად ითვლება ყოველგვარი ცოდნა, თუ მისი მიზანი ღმერთის შეცნობა არ არის. შუა საუკუნეების მეცნიერება იყოფა დაბალ — ადამიანის შესაძლებლობაზე დამყარებულ და მაღალ — ღვთაებრივი ზეშთაგონების მფარველ მეცნიერებებად. ამ პირობებში შემეცნების მთავარ მეთოდად გვევლინება ღვთაებრივი სიმბოლოების გაგება. შუა საუკუნეებში სამყარო განიხილებოდა როგორც ღმერთის მიერ დაწერილი წიგნი, რომლის აღქმაც საჭირო იყო.

შუა საუკუნეების მეცნიერების მეორე მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ორიენტირება არა საგნებს შორის არსებულ მიზეზობრივ საგამოძიებო კავშირზე, არამედ იერარქიაზე, როცა კვლევა მიმდინარეობს ზეციურ და მიწიერ საგნებს შორის. შემეცნება არის აღმოჩენა საგნებსა და მათ უკან მდგომ იდეებს შორის კავშირისა და არა თავად საგნებს შორის. სამყარო არ საჭიროებდა განსაკუთრებულ ახსნას, ლოგიკა და მისტიკა ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებოდა, რადგან პირველი ემსახურებოდა „ღმერთის საიდუმლოებათა“ მისტიკურ აღქმას, დაფარულ საგნებში.

შუა საუკუნეების სამყაროს ერთიანობა განსახიერებული იყო ღმერთით, ის საზღვრავდა საგანთა ბედს და არა მათ დამოკიდებულებას სამყაროს სხვა საგნებისადმი. თავად სამყაროში ვერ პოულობდნენ გამაერთიანებელ საწყისს და ამიტომაც ღმერთი თავისთავად იყო მისი ახსნა. შუა საუკუნეების მეცნიერებაში არ არსებობდა წარმოდგენა სამყაროს დამოუკიდებლობაზე, არ არსებობდა ნიადაგი ბუნების კანონზომიერებათა შესახებ. წმინდა საგნობრივი, ღმერთისაგან არაზეშთაგონებული კავშირები არ ითვლებოდა ჭეშმარიტებად. ღმერთი საგანთა ბუნების უკან იდგა ისევე, როგორც ოსტატი დგას მის მიერ შექმნილი საგნების უკან. აქედან მოდის სამყაროს წიგნებიდან შესწავლა, ცნობილი თეოლოგებისა და ანტიკური ავტორების ნაშრომების კომენტირება (როგორც, მაგალითად, მზეზე ლაქების არსებობის შესახებ

მსჯელობდნენ არა მასზე უშუალო დაკვირვებით, არამედ არისტოტელეს თხზულებების მიხედვით). ასეთ პირობებში ძირითადი მეცნიერებები იყო ღვთისმეტყველება და ფილოსოფია, ხოლო მთავარი ავტორიტეტი (ღმერთის შემდეგ) იყო არისტოტელე. მაგრამ მეურნეობის განვითარება მოითხოვდა ნიადაგის, მეტალების შესწავლას, დაკვირვებას ბუნებაზე, ფიზიკური და ქიმიური ცდების ჩატარებას და ა. შ. ასეთ პირობებში იზრდება ექსპერიმენტების როლი სამყაროსთან დამოკიდებულებაში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარება თანდათანობით წინ წევს ექსპერიმენტის როლს ავტორიტეტების ადგილზე. აღნიშნული წინააღმდეგობრიობა კარგად ჩანს შუა საუკუნეების ერთ-ერთ წამყვან მეცნიერებაში — ალქიმიაში. იყვნენ რა თავგამოდებული ექსპერიმენტატორები, ალქიმიკოსები ახალი ცოდნის მიღების გზად ხედავდნენ მხოლოდ ზეშთაგონებას, რომელსაც სჭირდებოდა ცნობიერების განსაკუთრებული მდგომარეობა. ჭეშმარიტი ალქიმიკოსი იღვწოდა არა ოქროს მისაღებად, არამედ მისი მოპოვების პრინციპის მისაღწევად.

მიუხედავად სამეცნიერო ძიების ასეთი იდეოლოგიისა, შუა საუკუნეების ევროპაში გამოიგონეს საათი, ქაღალდის წარმოების ტექნოლოგია, სარკე, სათვალე. ტარდებოდა სამედიცინო ცდები. პრაქტიკული საქმიანობის განვითარებისა და ცდებით დაგროვილი ცოდნის შემდეგ პრინციპი – „მწამს, რათა გავიგო", მტკიცედ განიდევნა ახლით – „მესმის, რათა ვიწამო". ამან ნიადაგი მოამზადა ექსპერიმენტული მეცნიერების განვითარების ნახტომისათვის, სამეცნიერო შემეცნების ახალი იდეოლოგიისათვის, რომელიც თავისთავად დაუჯდნო სამყაროს.

ზემოთ განხილული სამეცნიერო მსოფლმხედველობა რეალიზდებოდა განათლების სისტემაშიც. უპირველეს ყოვლისა, ის ვლინდებოდა რელიგიურ განათლებაში, მონასტრებში, სადაც მოწაფეები კითხულობდნენ და კომენტირებას უკეთებდნენ ბიბლიას და ეკლესიის მამების თხზულებებს. საღვთისმეტყველო განათლება გაბატონებული იყო სამოქალაქო სკოლებში და ამავე დროს უნივერსიტეტებშიც, რომლებიც გაჩდნენ XI საუკუნეში. თუმცა, უკვე XV საუკუნისათვის, როცა ევროპაში 65-მდე უნივერსიტეტი არსებობდა, იქ ღვთისმეტყველების გარდა, ასწავლიდნენ სამართალს, მედიცინას, ხელოვნებას, ხოლო შემდეგ – საბუნებისმეტყველო საგნებსაც.

შუა საუკუნეების ევროპის სულიერ კულტურაში საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი ადგილი ეკავა ხელოვნებას, რაც გამოწვეული იყო მისი ქრისტიანულ იდეოლოგიასთან ურთიერთმიმართებით. ქრისტიანობა უარყოფდა იმ იდეალებს, რომლებითაც აღფრთოვანებული იყვნენ ანტიკური მხატვრები (სიცოცხლის სიყვარული, მგრძნობიარობა, სხეულებრიობა, ადამიანისათვის ხოტბის შესხმა და გაცნობიერება იმ ფაქტისა, რომ ის სამყაროს უმშვენიერესი ელემენტია), ანგრევდა სულისა და სხეულის, ადამიანისა და სამყაროს ჰარმონიის ანტიკურ გაგებას. შუა საუკუნეების მხატვრები მთავარ ყურადღებას უთმობდნენ იმქვეყნიურ ღვთიურ ცხოვრებას, მათი ხელოვნება, ეს იყო ბიბლია უწიგნურთათვის, როგორც საშუალება ღმერთთან ზიარებისა.

გარეგანი სამყაროს გადატანა შინაგანში, ადამიანის სულიერ სამყაროში – ხელოვნების მთავარი მიზანი იყო, რაც კარგად იყო გამოხატული ნეტარი ავგუსტინეს ცნობილ ფრაზაში – „ნურას ეძიებ გარეთ, ეძიე საკუთარ თავში". ეს გადასვლა ცხადად ჩანს სატაძრო ხუროთმოძღვრებაში. თუ ანტიკური ტაძარი ღმერთის ადგილი იყო და ბერძენი ახლომახლო ლოცულობდა, შუა საუკუნეების ტაძარი შიგნით იღებდა მორწმუნეს, ზეგავლენას ახდენდა მასზე არა იმდენად გარეგანი იერით, არამედ უფრო შიდა მორთულობით.

მეორე ათასწლეულის დასაწყისში ჭარბობს რომაული მხატვრული მემკვიდრეობისა და ევროპული ხელოვნების ქრისტიანული საწყისების გაერთიანება. მის მთავარ სახეობად იქცა ხუროთმოძღვრება, რომლის მწვერვალი იყო, ე. წ. რომანული სტილის კათოლიკური ტაძარი და, რომელიც წარმოადგენდა რომაული, უფრო სწორად, ბერძნული ბაზილიკის იდეის ხორცშესხმას. XIX საუკუნის ფრანგი მოქანდაკის ოგიუსტ როდენის სიტყვებით, რომანული არქიტექტურა, რომელიც „ადამიანს მუხლებზე აჩოქებს", აღიქმება, როგორც მძიმე, დიდებული მდუმარება, რომელიც ასახიერებს ადამიანის ცხოვრების მდგრადობას.

XIII საუკუნის ბოლოს წამყვანი ხდება ევროპის ქალაქურ ცხოვრებაში გაჩენილი გოთური სტილი. მას თავისი სიმარტივისა და სიფაქიზისათვის უწოდებდნენ გაქვავებულ ან მდუმარე მუსიკას, „სიმფონიას ქვაში". მკაცრი, მონოლითური და შთამბეჭდავი რომანული ტაძრებისაგან განსხვავებით, გოთური ტაძრები მორთულია

დეკორით (ჩუქურთმებითა და ქანდაკებებით), სავსეა სინათლით, ცისკენ მიმართული მათი კოშკები აღმართული იყო 150 მეტრის სიმაღლეზე. ამ სტილის შედევრებია პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, ასევე რეიმსისა და კიოლნის ტაძრები.

იმ ეპოქაში, როცა ადამიანთა დიდი უმრავლესობისათვის მიუწვდომელი იყო ბიბლიის კითხვა (ლათინურიდან მისი თარგმნა მოხდა მხოლოდ XVI საუკუნეში), ქრისტიანობის მთავარ ენად გამოდიოდა სახვითი ხელოვნების სახეობები, რომლებიც თვალნათლივ გვიქმნიდნენ წარმოდგენას ღვთიურ სილამაზეზე. ფერწერა განიხილებოდა როგორც უტყვი ქადაგება. მთავარი ჟანრი იყო ხატწერა. ხატები გაუნათლებელი მასებისათვის ერთგვარი საშუალება იყო ღმერთთან ემოციური ურთიერთობისა. მაგრამ ღმერთის, წმინდანების, მადონას ამსახველი ხატები ღრმად სიმბოლური იყო, რათა შეერბილებინა მათი გრძნობიერება და სხეულებრიობა. გამოსახვა აღქმული უნდა ყოფილიყო როგორც ღვთიურობის განსახიერება. მას არ უნდა გაეღვიძებინა მიწიერი განცდები, არამედ უნდა ეჩვენებინა ღმერთის მწუხარება თავისი ცოდვილი და ტანჯული შვილების გამო. გამოსახვის დროს მთავარი იყო თვალები (სულის სარკე), ფიგურა თითქოს მოწყვეტილი იყო მიწიდან. ფერწერაში უგულებელყოფილი იყო პეიზაჟი დიდი ხნის მანძილზე (ქრისტიანობა დიდ ყურადღებას არ უთმობდა ბუნებას, ბიბლიაშიც ის ძალზედ იშვიათად იხსენიება). შუა საუკუნეების სახვითი ხელოვნება ხატების გარდა, წარმოდგენილი იყო ნუსხებით, მოზაიკებით, მინიატურებითა და ვიტრაჟებით.

შუა საუკუნეების ლიტერატურა ატარებს რელიგიურ ხასიათს. მოჭარბებულია ბიბლიურ მითებზე, ღმერთისადმი მიძღვნილი და წმინდანთა ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებები, რომლებსაც წერდნენ ლათინურ ენაზე. საერო ლიტერატურა ასახავს არა სინამდვილეს, არამედ ადამიანსა და მის ცხოვრებაზე შექმნილ იდეალურ წარმოდგენებს. მთავარი ჟანრებია ეპოსი, ლირიკა, რომანი. პოეტები წერდნენ პოემებს ფეოდალების საომარ და საგმირო საქმეებზე. გერმანულ საგმირო-სარაინდო პოემაში „სიმღერა ნიბელუნგებზე", გმირი ზიგფრიდი დიდი მსხვერპლის ფასად ამარცხებს ბნელ ძალებს და გამარჯვებას ზეიმობს წყვდიადზე.

განსაკუთრებულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს სარაინდო ლიტერატურა, რომელიც ხოტბას ასხამდა მეომრის სულს, ვასალურ

მსახურებას, ლამაზი ქალბატონის თაყვანისცემას. ტრუბადურები, რომლებიც ლაპარაკობდნენ სიყვარულზე, გამარჯვებებზე, იყენებდნენ სალაპარაკო ცოცხალ ენას. XII საუკუნის ფრანგული პოემა „სიმღერა როლანდზე" ქებას ასხამს კეთილშობილი და შამაცი რაინდის საგმირო საქმეებს, რომელიც სიცოცხლეს თმობს ქრისტიანობისა და მეფისათვის.

მიუხედავად თავისი მისწრაფებებისა იმქვეყნიური სამყაროსაკენ, ხელოვნებაში მიწიერი ცხოვრებისაკენ სწრაფვის ტენდენციაც ჩნდება. პოეტები აგროვებდნენ ხალხურ სიმღერებსა და თქმულებებს. ლიტერატურაში ადამიანისადმი, როგორც პიროვნებისადმი მზარდი ინტერესი კარგად ჩანს დანტესთან. „ღვთაებრივ კომედიაში" ის წარმოგვიდგენს ცოდვილ ადამიანებს, რომლებიც დარდობენ მიწიერ ცხოვრებაზე და აკლენს ინტერესს ადამიანისა და მისი ვნებებისადმი: „თქვენ შექმნილნი ხართ არა ცხოველური ხვედრისათვის, არამედ სიქველისა და ცოდნისათვის".

მუსიკალური კულტურის საფუძველს წარმოადგენდა ლიტურგიული გალობა, რომელიც თავის მისამღერებსა და პიმნებში ადიდებდა ღმერთს და ჰარმონიულად აკავშირებდა ლექსს მელოდიასთან. კანონიზებული მუსიკა – გრიგორიანული ქორალი – წარმოადგენდა რელიგიურ-გუნდურ სიმღერათა სისტემას ლათინურ ენაზე, რომელიც ძირითადად განკუთვნილი იყო საეკლესიო კალენდარული მსახურებისათვის. გარდა წმინდა რელიგიური ხასიათისა, სხვა მუსიკალური ნაწარმოებები გამოხატავს რაინდულ იდეოლოგიას (ტრუბადურების ცნობილი ლირიკა, რომელიც ქებას ასხამს რაინდობას და სიცოცხლის სიყვარულს). ასევე იყენენ პროფესიონალი მუსიკოსები და მომღერლები – მენესტრელები, რომლებიც თავიანთ შემოქმედებას საგანგებოდ ქმნიდნენ დიდი სენიორის დაკვეთით. ხოლო გვიან შუა საუკუნეებში იწყებენ მოხეტიალე ცხოვრებას სოფლებსა და ქალაქებში.

შუა საუკუნეების ხელოვნებისათვის, საერთოდ, დამახასიათებელია რელიგიურობა, სიკეთისა და ბოროტების უკიდურესი დაპირისპირება, ღრმა სიმბოლიზმი, ხელოვნების სრული დაქვემდებარება რელიგიური იდეალებისადმი, იერარქიულ იდეათა ხოტბა. შუა საუკუნეების ხელოვნების ნიმუშებში, უპირველეს ყოვლისა, ხუროთმოძღვრებასა და არქიტექტურაში აისახა

კაცობრიობის კულტურული ცვლილება. თავდაპირველად ქაოსი მატერიალურ და სულიერ კულტურებში შეიცვალა გარემომცველ სამყაროზე შექმნილი წარმოდგენებით, რომელიც ეყრდნობოდა მიწათმოქმედი გლეხის ცხოვრებასა და სპეციფიკურ შრომას. ამასთანავე, რადიკალურად იცვლება წარმოდგენა სამყაროს შესახებ. შუა საუკუნეების ხელოვნებისათვის დამახასიათებელია ტრადიციებისადმი ერთგულება, სადაც ჯერ კიდევ არ არის განვითარებული პიროვნული „მე". მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ხელოვნება წარმოადგენს არა მარტო უძრაობაში მოქცეულ ადამიანს, არამედ მის ცვლილებასა და განვითარებას.

შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელია კულტურის დაყოფა წოდებრიობის საფუძველზე. სასულიერო და სათავადაზნაურო, ოფიციალურ და საეკლესიო კულტურას ბევრ საკითხში უპირისპირდება სახალხო კულტურა. მისთვის დამახასიათებელია ფოლკლორული ტრადიციები, ქრისტიანული ასკეტიზმის მიუღებლობა და მიწიერი ცხოვრების საყრდენ ძალად გამოცხადება. ამ კულტურის არსი აშკარად გამოიხატება მასკარადებში, სადაც კოსტუმები შერჩეულია იერარქიული დაყოფისა და საერო და სასულიერო ჩაცმის მიხედვით. ამ კულტურათა ურთიერთქმედება ბევრ რამეში განსაზღვრავს შუა საუკუნეების კულტურულ განვითარებას.

ზემოთქმულის გათვალისწინებით აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეების კულტურა ქმნიდა ერთიან სისტემას, რომელიც განისაზღვრებოდა ფეოდალიზმითა და ქრისტიანობით. ამ კულტურას საფუძვლად ედო ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის, ადამიანსა და საზოგადოებაში მისი ცენტრალური როლის და ღმერთის ნებაზე მათი სრული დამოკიდებულების პრინციპები. ხოლო გაბატონებული პრინციპი მომდინარეობდა ქრისტიანული იდეიდან, რომლის მიხედვით ღმერთი ყოველისშემძლეა და ყოველი უნივერსალურის საწყისად ევლინება კაცობრიობას. შუა საუკუნეების კულტურისათვის დამახასიათებელია არაკრიტიკული დამოკიდებულება ტრადიციებისა და არსებული ფასეულობებისადმი, ასევე იდეური შეურიგებლობა.

შუა საუკუნეების კულტურა ღრმად წინააღმდეგობრივია. მასში აისახა ფეოდალური დაქუცმაცებულობა. ეს წინააღმდეგობა წარმოადგენდა მამოძრავებელ ძალას კულტურული განვი-

ბარებისათვის, რომლის მსვლელობის პროცესში ადამიანი თანდათანობით უფრო მეტად იხრება თავის თავისაკენ. მაგრამ ამისათვის, რომ ეს სინამდვილეში განხორციელებულიყო, საჭირო იყო ადამიანთა მსოფლმხედველობაში ისეთი პროგრესული გადატრიალების მოხდენა, რომელიც განსხვავდებოდა კაცობრიობის ისტორიაში აქამდე არსებული ყველა ცვლილებისაგან, ის, რასაც აღორძინება ჰქვია.

აღორძინების ეპოქის კულტურა

„აღორძინების ეპოქა“ თვით ისტორიის ნაკლებადმცოდნე ადამიანშიც კი ასოცირდება კაცობრიობის ისტორიის კაშკაშა და თვითმყოფად პერიოდთან. იგი ჩაისახა იტალიაში, მოიცავს XIV-XVI საუკუნეებს და წარმოადგენს ერთგვარ გარდამავალ ეტაპს შუა საუკუნეებიდან ახალ დროზე.

ტერმინი „Renaissance“ (აღორძინება) ხმარებაში შემოიღო ცნობილმა ფერმწერმა, არქიტექტორმა და ხელოვნების ისტორიკოსმა ჯ. ვაზარიმ (1512-1574 წწ.), თავის წიგნში „განსაკუთრებით გამოჩენილ ფერმწერთა, ხუროთმოძღვართა და მოქანდაკეთა ცხოვრების აღწერა“ (XVI ს.). ვაზარი ამ ტერმინით აღნიშნავდა იტალიური ხელოვნების განვითარების ეტაპს 1250-დან 1550 წლამდე და ანტიკური კულტურის აღორძინების ხანას გულისხმობდა. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა ანტიკურობასთან დაბრუნების იდეა. იმ დროს მცხოვრები მოღვაწენი თავს მიიჩნევდნენ ხელოვნურად შეწყვეტილი ანტიკური ეპოქის, ისტორიის გამგრძელებლებად. XIV-XVI საუკუნეების იტალიელი მოღვაწენი კი მიმართავდნენ რა ძველ კულტურას და ხელოვნებას, ამოცანად ისახავდნენ, არათუ აღედგინათ ანტიკურობა, არამედ გაესწროთ მისი მიღწევებისათვის.

ამ ტერმინის კულტურული მიმოქცევის საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულეს XIX საუკუნეში ჟიულ მიშლემ და იაკობ ბურკჰარდმა. ტერმინი „აღორძინება“ ფრიად ტევადია და მისი მრავალგვარი ახსნა არსებობს. ფართოდაა გავრცელებული აღორძინების განმარტება, რომლის მიხედვითაც აღორძინება არის ჰუმანიზმის ეპოქის დასაწყისი, ადამიანის სწრაფვა შუასაუკუნეობრივი დოგმებისგან, შეზღუდვებისაგან განსათავისუფლებლად.

აღორძინება ემიჯნება შუა საუკუნეებს იმითაც, რომ ამ დროის განმავლობაში ხდება ქრისტიანული ეთიკის მოდიფიკაცია,

ჰეცნიერებისა და ხელოვნების თანდათანობითი ემანსიპაცია ღვთისმეტყველების მფარველობისაგან, ჩნდება ნაციონალური ლიტერატურო სკოლები. ამასთან, აღორძინება განსხვავდება ახალი დროისაგანაც, რადგან მიუხედავად ხელოვნებისა და მეცნიერების სფეროში გარკვეული დამოუკიდებლობისა, მისი კულტურა ჯერ ცოცხლობს წარსული მსოფლმხედველობის გარეშე. მისი საყრდენია ანტიკურობა. კულტურის ისტორიაში ამ გარდამავალი სპეციფიკური პერიოდის გამო, აღორძინების ეპოქის მკაცრ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ჩასმა ძნელია. მაგალითად, მას რეფორმაციამდელი რუსი ისტორიკოსები განსაზღვრავდნენ დანტედან მიქელანჯელომდე. ბუნებრივი იქნებოდა ეპოქის ქრონოლოგია დაგვეკავშირებინა აღორძინების კულტურის უმთავრეს შტრიხებთან: ანთროპოცენტრიზმი, ჰუმანიზმი, შუა საუკუნეების ქრისტიანული ტრადიციის მოდიფიკაცია, ანტიკურობასთან სიახლოვე.

საინტერესოა თუ რასთანაა დაკავშირებული მკვეთრი ორიენტაცია ადამიანზე იტალიური აღორძინების კულტურაში. ადამიანთა თვითდამკვიდრების პროცესში საკმაო როლი ითამაშა სოციალ-ეკონომიკურმა ფაქტორებმა, კერძოდ, სასაქონლო ფულადი მეურნეობის განვითარებამ. აღსანიშნავია, რომ სწორედ ქალაქებში იყრიდნენ თავს გლეხურ მეურნეობას ჩამოშორებული ხელოსნები და ოსტატები, რომლებიც იძულებული იყვნენ ხელობით ერჩინათ თავი, ასევე გამორჩენის, სარგებლის მოსურნე ადამიანები. სწორედ ქალაქურმა კულტურამ შექმნა ახალი პიროვნებები, ჩამოაყალიბა ახალი მიდგომა ცხოვრებისადმი, შექმნა ატმოსფერო, რომელშიც საბოლოოდ განხორციელდა ახალი იდეები და შემოქმედების ნიმუშები. ქალაქურმა კულტურამ გააძლიერა თავისუფალი აზროვნება. სწორედ ქალაქში ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ადამიანის ტიპი. იტალიური ქალაქების აყვავებას ხელი შეუწყო სატრანზიტო ვაჭრობამაც. შიდა ბაზარზე არსებულმა კონკურენციამ გამოიწვია შუა საუკუნეების იტალიის დაქუცმაცება. ითვალისწინებდა რა სავაჭრო ოპერაციების როლს იტალიის ქალაქთა განვითარების საქმეში, ფრანგი ისტორიკოსი ფერნარ ბროდელი აღნიშნავდა, რომ უკვე VIII-IX საუკუნეებში გარკვეული შესვენების შემდეგ, ხმელთაშუა ზღვა ისევ იქცა სავაჭრო გზათა თავმოყრის ადგილად. აქედან ადგილობრივი მცხოვრებლები კარგად სარგებლობდნენ. ბუნებრივი რესურსებისა და ნაყოფიერი მიწების

უქონლობა აიძულებდა მათ „გადაშვებულიყვნენ საზღვაო საქმიანობაში". ისტორიკოსის აზრით, პატარა ქალაქთა მოვალეობას შეადგენდა „ერთმანეთთან დაეკავშირებინათ ზღვისპირა, მდიდარი ქვეყნები, ისლამური ქალაქები, კონსტანტინოპოლი, რათა მიეღოთ ოქროს მონეტა". ქალაქთა გაძლიერება-გამდიდრებაში დიდი როლი შეასრულა ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა.

გასაგებია, რომ იტალიის ქალაქთა განვითარების მიზეზები მრავალფეროვანია, მაგრამ სწორედ ქალაქურმა კულტურამ წარმოშვა ახალი ადამიანები. აღორძინების ეპოქაში პიროვნების თვითდამკვიდრებას ჰქონდა არა ვულგარულ-მატერიალური, არამედ სულიერი ხასიათი. გადამწყვეტი როლი შეასრულა ქრისტიანულმა ტრადიციამ. აღორძინების ეპოქა მოღვაწეებს აიძულებდა ყოფილიყვნენ პასუხისმგებელნი, თავი მნიშვნელოვან არსებად ეგრძნოთ, მაგრამ მათ უჭირდათ შუა საუკუნეებიდან გამოსელა. აღორძინების ადამიანებმა არ დაკარგეს ღმერთი, რწმენა, მაგრამ ახლებურად შეხედეს თავიანთ შესაძლებლობებს. შუასაუკუნეობრივი შეგნების მოდიფიკაცია შენდებოდა ანტიკურისადმი დაჟინებულ ინტერესზე, რაც უნიკალურ და განუმეორებელ კულტურას ქმნიდა.

ადამიანთა ახალი მსოფლშეგრძნება მსოფლმხედველობით საყრდენს საჭიროებდა. ამ საყრდენად ანტიკურობა იქცა. XX საუკუნის დასაწყისში რუსი ისტორიკოსი ნ. კარეევი წერდა, რომ „კლასიკურ სიძველეებთან დაბრუნება აიხსნება ახალი ცხოვრებისეული მისწრაფებებისა და გონებრივი მოთხოვნილებებისათვის საყრდენის პოვნის სურვილით". თუმცა, ანტიკური სამყაროს მთელი მემკვიდრეობა ბრმად როდი იქნა შეთვისებული. იტალიელები ანტიკურობას გარკვეული აკვიატებითაც უყურებდნენ და მასში მხოლოდ იმას ხედავდნენ, რაც უნდოდათ. შემთხვევითი არაა, რომ ამ დროს განსაკუთრებულ დამუშავებას ნეოპლატონიზმი განიცდის. ა. ფ. ლოსევმა ბრწყინვალედ ამოხსნა იტალიური აღორძინების ეპოქაში ამ ფილოსოფიური კონცეფციის ასეთი გავრცელების მიზეზები. იგი თვლიდა, რომ აღორძინების ხანის მოაზროვნეთა მიერ ახსნილი ნეოპლატონიზმი, მათთვის იდეურ გასაღებს წარმოადგენდა. რენესანსმა გაწმინდა ნეოპლატონიზმი შუასაუკუნეობრივი დოგმატური გავლენისაგან და ახლებურად გაიაზრა მისი ანტიკური შინაარსიც. ანტიკური ნეოპლატონიზმი, რომელმაც ანთროპოცენტრული ხასიათი მიიღო, გადაეჯაჭვა ქრისტიანულ მსოფლ-

მხედველობას და აღორძინების ხანის ოსტატებს წარმოუდგა სამყაროდ, რომელიც გაჯერებული იყო ღვთაებრივი აზრით. ამ სამყაროში ადამიანი ისწრაფოდა ბოლომდე შეეგრძნო და წარმოეჩინა თავი. ღვთაებრივი სილამაზით აღსავსე, ღვთისგან შთაგონებული სამყაროს წვდომა ხდება ამ ეპოქის მსოფლმხედველობის უმთავრესი ამოცანა. საკუთარი განცდები ადამიანს სამყაროს ამოცნობაში ყველაზე უკეთ ეხმარება. აღორძინების კულტურის მოღვაწენი თვლიდნენ, რომ ამ თვალსაზრისით, ადამიანის ჭვრეტა შეუდარებელია. ამიტომაა, რომ იტალიური აღორძინების ეპოქაში შეიმჩნევა სწრაფვა ვიზუალური აღქმისადმი, იფურჩქნება ფერწერა და სხვა სივრცითი ხელოვნების დარგები, რაც განაპირობებს ღვთაებრივი სილამაზის აღქმას და გადმოცემას. ამ დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ხელოვნების კანონებს და მხატვრები შესაბამისად იოლად ახერხებენ მსოფლმხედველობითი ამოცანების გადაჭრას. სამყაროს აღქმის თვალსაზრისით, მხატვარი ფლობს უპირატესობას და ამიტომაა იტალიური აღორძინების ეპოქა ხაზგასმით მხატვრული ხასიათის მატარებელი.

იტალიური აღორძინების ეპოქაში ანტიკურობა ერწყმის სხვა კულტურულ ღირებულებებს, კერძოდ, ქრისტიანულ (კათოლიკურ) ტრადიციებს. სწორედ ეს შერწყმა ანიჭებს იტალიის XIV-XVI საუკუნეების კულტურას უნიკალურობასა და განუმეორებლობას. არ დაკარგეს რა უფალი და რწმენა, ამ დროის მოღვაწეებმა ახლებურად შეხედეს თავიანთ თავს, გახდნენ პასუხისმგებელი თავიანთ ბედ-იღბალზე, დაიწყეს თვითშემეცნება, მაგრამ მაინც დარჩნენ შუა საუკუნეების ადამიანებად.

აღორძინების კულტურაში წინააღმდეგობრიობის წარმოშობა განაპირობა ამ ორი მნიშვნელოვანი ტენდენციის არსებობამ. ეს არის ეპოქა როგორც ადამიანის თვითდამკვიდრებისა, ისე მის მიერ თავისი არსებობის ტრაგიკულობის შემეცნებისა. რუსი ფილოსოფოსი ნ. ბერდიაევი თვლიდა, რომ ანტიკური და ქრისტიანული საწყისების შეჯახებამ გამოიწვია ადამიანის ღრმა გაორება. მისი აზრით, აღორძინების ხანის უდიდესი მხატვრები შეპყრობილი იყვნენ ქრისტეს მიერ ნაჩუქარ ტრანსცენდენტალურ სამყაროში შეჭრის იდეით. ისინი ორიენტირებული იყვნენ სხვაგვარი ყოფიერების შექმნაზე, გრძნობდნენ შემოქმედის მსგავს ძალებს, უყენებდნენ თავს არსებითად ონტოლოგიურ, თუმც, რეალურ ცხოვრებაში (ბერდიაევი

– კულტურულ სამყაროში) განუხორციელებელ ამოცანებს, რადგან ფსიქოლოგიური და არა ანთოლოგიური ბუნებით გამორჩეული შემოქმედება ასეთ ამოცანებს ვერ წყვეტს.

მხატვართა მიერ საყრდენად აღებული ანტიკური ეპოქის მიღწევები და სწრაფვა ქრისტეს მიერ მინიჭებული უმაღლესი სამყაროსაკენ, ერთმანეთს არ ემთხვევა. სწორედ ეს ქმნის მსოფლიოს ტრაგიკულ აღქმას, აღორძინებისეულ სევდას. ბერდიაევი წერს: „აღორძინების საიდუმლო ისაა, რომ იგი არ შედგა. არასოდეს ყოფილა მსოფლიოში ასეთი შემოქმედებითი ძალები და არასდროს ყოფილა ასეთი ძლიერი შემოქმედების ტრაგედია“.

იტალიური აღორძინების დახასიათებისას არ უნდა დაგვიწყდეს, რომ ჰუმანისტურმა განათლებამ, რომელიც იმ დროს მხოლოდ უმაღლესი წრის მცირე ნაწილს ჰქონდა, მიიღო არისტოკრატიული ხასიათი. მისი გაულენა ხალხის ფართო ფენებს შედარებით გვიან დაემჩნა. იტალიელი უბრალო ადამიანებისათვის არ იყო ახლობელი არც ძველი ანტიკური, ჩამქრალი კულტურა და არც ახალი, რომელიც საყრდენს წარსულში ეძებდა. სულიერი ელიტის ხალხისაგან მოწყვეტა იმითაც იყო განპირობებული, რომ მსოფლიოში აღიარებული ჰუმანისტები იტალიაში ხშირად ემსახურებოდნენ ტირანებს, რომლებიც ქვეყნის თავისუფლებას ზღუდავდნენ, არ აკლენდნენ პატრიოტიზმს უცხოელთა თავდასხმებისას და ხშირად კოსმოპოლიტურ აზრებს გამოთქვამდნენ. მსოფლიო მასშტაბით კი, ჰუმანისტები წარმოგვიდგებიან ახალ საზოგადოებრივ ფენად, სადაც არ არის კლასობრივი დიფერენციაცია და ყველა იკავებს იმ ადგილს, რომელსაც იმსახურებს პირადი განათლებითა და ტალანტით.

იტალიური აღორძინების დახასიათებისას, აუცილებელია აღნიშვნა იმისა, რომ იგი არის არა საერთოიტალიური, არამედ ზოგჯერ ერთდროული, ზოგჯერ ერთმანეთთან მონაცვლე მოძრაობა იტალიის სხვადასხვა ცენტრში. ამისი მიზეზი ქვეყნის დაქუცმაცებულობაა.

აღორძინების ზემოაღნიშნული მახასიათებლები ყველაზე მეტად ფლორენციაში გამოვლინდა, მოგვიანებით – რომში. მილანმა, ნეაპოლმა და ვენეციამ განვლო ეს ეპოქა, თუმცა, ნაკლები ინტენსივობით.

დასავლეთ ევროპის აღორძინება ქრონოლოგიურად იკუმშება რეფორმაციული მოძრაობის გამო და ამიტომაც იტალიური

აღორძინებისაგან მკვეთრად განსხვავდება. გერმანული რეფორმაციის წარმატებამ განაპირობა აღორძინების იდეების თანდათანობითი ჩაცხრომა, რის გამოც კათოლიკური ეკლესია შეეცადა რევანშის აღებას. მიუხედავად ამისა, აღორძინების იდეებმა დასავლეთ ევროპაში ფესვები გაიდგა და თავისებური კვალი დატოვა.

როგორც აღვნიშნეთ, ეპოქის გარდამავალი ხასიათის გამო, იტალიური აღორძინების ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენა საკმაოდ რთულია. ეს ეპოქა განსხვავდება როგორც შუა საუკუნეებისაგან, ისე ახალი დროისაგან, თუმცა, ამ ორივე პერიოდთან ბევრი საერთო აქვს. თუ დაკვირდნობით იტალიური აღორძინების კულტურის თვისებებს (ჰუმანიზმს, ანთროპოცენტრიზმს, ქრისტიანული ტრადიციის მოდიფიკაციას, ანტიკურობის აღდგენას), მისი ქრონოლოგია შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

1. აღორძინების წინა პერიოდი (პროტორენესანსი), დროის დაყოფის მიხედვით დუჩენტო (1200 – XIII ს-ის ბოლომდე) და ტრიჩენტო (1300 – XIV ს-ის ბოლომდე) – ესაა დრო, როცა ზემოთ მითითებული თვისებები მხოლოდ მეღავნდება.

2. ადრეული აღორძინება – კვატროჩენტო (1400 –XV ს-ის ბოლომდე) – აქ კულტურული ტრადიციის თვისებები მკვეთრადაა გამოხატული.

3. მაღალი აღორძინება – ჩინკვეჩენტო (1500 – XVI ს-ის ბოლომდე) – ესაა პერიოდი, როგორც იტალიური აღორძინების კულტურის იდეებისა და პრინციპების გაფურჩქვნისა, ისე მათი კრიზისის დასაწყისისა.

იტალიურმა აღორძინებამ მსოფლიოს მისცა პოეტი დანტე ალიგიერი (1265-1321 წწ.), ფერმწერი ჯოტო დი ბონდონე (1226-1337 წწ.), პოეტი-ჰუმანისტი ფრანჩესკო პეტრარკა (1304-1374 წწ.), პოეტი, მწერალი-ჰუმანისტი ჯოვანი ბოკაჩო (1313-1375 წწ.), შოქანდაკე დონატელო (დონატო დი ნიკოლო ბეტო ბარდი) (1386-1466 წწ.), ფერმწერი მაზაჩო (გომაზო დი ჯოვანი დი რიმონე გეიდი) (1401-1428 წწ.), მწერალი-ჰუმანისტი ლორენცო ვალა (1407-1457 წწ.). მწერალი-ჰუმანისტი პაკო დელა მირანდოლა (1463-1494 წწ.), ჰუმანისტი ფილოსოფოსი მარსილიო ფიჩინო (1433-1499 წწ.), ფერმწერი სანდრო ბოტიჩელი (1445-1510 წწ.), ფერმწერი, მეცნიერი ლეონარდო და ვინჩი (1452-1519 წწ.), ფერმწერი, მოქანდაკე,

არქიტექტორი მიქელანჯელო ბუონაროტი (1475-1564 წწ.), ფერმწერი ჯორჯონე (1477-1510 წწ.), ფერმწერი ტიციანი (ტიციანო ვეჩელიო დი კადორე) (1477-1566 წწ.), ფერმწერი რაფაელ სანტი (1483-1594 წწ.) და ბევრი სხვა გამოჩენილი პიროვნება.

აღორძინების კულტურის მოღვაწეთა შორის არიან ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებული სისრულით გამოხატავენ აღორძინების ამა თუ იმ პერიოდის თვისებებს. პროტორენესანსის უდიდესი წარმომადგენელია დანტე ალიგიერი, რომლის შემოქმედებაშიც გამომჟღავნდა იტალიური ლიტერატურისა და კულტურის განვითარების ტენდენციები ისეთი მასშტაბით, რომ იგი საუკუნეებით წინ უსწრებს თავის ეპოქას. დანტეს კალამს ეკუთვნის ლირიკული ავტობიოგრაფია „ახალი ცხოვრება", ფილოსოფიური ტრაქტატი „ნადიმი" (ორივე თხზულება დაწერილია იტალიურ ენაზე), ტრაქტატი „ხალხური ენის შესახებ", სონეტები, კანცონები და სხვა ნაწარმოებები. მისი შემოქმედების მწვერვალია — „კომედია", რომელსაც შთამომავლებმა „ღვთაებრივი" უწოდეს, ხოლო ვ. გ. ბელინსკიმ — „შუა საუკუნეების ილიადა". აქ დიდი პოეტი იყენებს შუა საუკუნეებისათვის ნიშანდობლივ სიუჟეტს, მოგზაურობს ჯოჯოხეთში, სალხინებელსა და სამოთხეში, ძვ.წ. 19 წელს გარდაცვლილ რომაელ პოეტ ვერგილიუსთან ერთად. სიუჟეტის მიუხედავად, ნაწარმოები აღსავსეა თანამედროვე იტალიის სურათებით, გაჟღენთილია სიმბოლური სახეებით და ქარაგმებით.

დანტე დარწმუნებული იყო შემოქმედებითი აქტის შეპირობებულობაში. პოეტის აზრით, ბუნება მხოლოდ უმნიშვნელო ხარისხით გამოხატავს ღვთაებრივ სრულყოფილებას და მხატვარი ვალდებულია შეამჩნიოს ღვთაებრივი იდეა, „წმინდა სილამაზის გენია", მაქსიმალური სიზუსტით ასახოს იგი თავის ქმნილებაში.

მარადიულ არსთა სამყაროსთან, ღვთაებრივ იდეასთან მიახლოების ამოცანა აღორძინების ყველა მხატვრის წინაშე დგას. აღსანიშნავია, რომ დანტეს სიმბოლიზმი იზიდავს (მისი განთქმული ტრაქტატი „ნადიმი" მიძღვნილი სწავლების სიმბოლიზმისადმი შეიცავს ტექსტთა განმარტების ოთხ მნიშვნელობას). ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ღვთაებრივი იდეის გამოსააშკარავებლად აუცილებელია ნაწარმოების სიმბოლური მნიშვნელობის ცოდნა.

დანტეს პიროვნული დამოკიდებულება ცოდვებისადმი „ღვთაებრივ კომედიაში", ეწინააღმდეგება საღვთო მართლმსაჯულების

მიღებულ ნორმებს. დიდი პოეტი ახლებურად გაიაზრებს შუა საუკუნეების ცოდვათა სისტემას, სასჯელს ჩადენილი ცოდვების გამო. იგი ემხრობა არისტოტელეს კლასიფიკაციას ბიწიერებისა და დანაშაულის შესახებ, რის მიხედვითაც საქციელი ითვლება ცოდვად არა შინაარსობრივად, არამედ მოქმედებითად. დანტემ შეძლო ეჩვენებინა, რომ სასჯელი იფარება თვით დანაშაულში, საზოგადოებრივ გაკიცხვაში ჩადენილის გამო. პრაქტიკულად, ეს თეორია უახლოვდება ზნეობის თეორიას, რომელიც არ საჭიროებს იმქვეყნიურ მისაგებელს. დანტეს უარყოფითი აზრი აქვს სიამაყეზე, ეთანხმება რა ამ საკითხისადმი ქრისტიანულ მიდგომას, თვლის, რომ „სიამაყე დაწყეველილია, სატანისეულია". პოეტი ვერ იტანს ვერც ქედმაღლობას და აკრიტიკებს მას ლომის ალეგორიულ სახეში.

ამგვარად, დანტემ თავისებური დამოკიდებულება გამოავლინა სიამაყისადმი, როგორც ადამიანური თვითშეგნების აქტისადმი, რაც პიროვნებისადმი ახლებურ მიდგომას მოასწავებს, ათავისუფლებს მას ეკლესიის სულიერი ბატონობისაგან. პოეტს, ისევე, როგორც აღორძინების ხანის ყველა შემოქმედს ამაყი სული ჰქონდა. თავის ქმნილებებში მან შეცვალა დამოკიდებულება მიწიერი დიდებისადმი და აღნიშნა, რომ გარდაცვლილთა სულები გულგრილი არ არიან ამქვეყნიური ცხოვრების ხსოვნისადმი.

დანტე თანაუგრძნობს სიყვარულისთვის გასამართლებულ ცოდვილებს.

რა თქმა უნდა, ასეთი მიდგომა მხოლოდ ახალი ეპოქის ადამიანს შეეძლო, ეპოქისა, რომლის კონტურებიც ჯერ კიდევ იხაზებოდა, მაგრამ უკვე გამოირჩეოდა ორიგინალურობითა და თვითმყოფადობით. დანტეს მთელი შემოქმედება: „ღვთაებრივი კომედია", კანცონები, სონეტები, ფილოსოფიური თხზულებები დასტურია იმისა, რომ იწყება ახალი ეპოქა, სავსე ნამდვილი, ღრმა ინტერესით ადამიანისა და მისი ცხოვრებისადმი. პოეტის მოღვაწეობაში ამ ეპოქის სული იკითხება.

დანტეს გვერდით რენესანსის უდიდეს ფიგურად გვევლინება ფრანჩესკო პეტრარკა. იგი საყოველთაოდაა აღიარებული პირველ ევროპელ ჰუმანისტად. პეტრარკა ერთ-ერთი პირველი მიუბრუნდა ციცერონისა და სენეკას თხზულებებს, გაეცნო პლატონის შემოქმედებას, რადგან ძალიან იტაცებდა ძველი ლათინური ლიტერატურა. 1326 წელს პოეტმა მიიღო სასულიერო ხარისხი, თუმცა, ამას ხელი

არ შეუშლია მისი ინტელექტუალური საქმიანობის ინტენსიფობისათვის.

პეტრარკა, როგორც მისი შემოქმედებიდან ჩანს, დამცველია ადამიანის მიწიერი ბედნიერებისა, რაც აშორებს კათოლიკური ეკლესიის დოგმატებს. იგი განსაკუთრებულ ინტერესს ამჟღავნებს პიროვნული განცდების, სულიერი ძიებებისა და მოთხოვნილებებისადმი. ყოველივე ეს მთელი ძალითაა გადმოცემული მის ბრწყინვალე სონეტებში. სონეტთა დიდი ნაწილი მოგვითხრობს პოეტის სიყვარულზე მშვენიერი ლაურასადმი, რომელსაც იგი უმღეროდა როგორც დედამიწაზე მისი სიცოცხლის დროს, ისე სიკვდილის შემდეგ. ლექსებში გადმოცემული ეს გრძნობა დიდი სულიერებით გამოირჩევა. ლაურა არის ცოცხალი ქალი, რომელსაც პოეტი ოდესღაც შეხვდა.

პეტრარკა ქმნის იდეალური სატრფოს ხატებას, უნარჩუნებს ამქვეყნიურ სახეს, მაგრამ მაქსიმალურად ასულიერებს მას.

ამგვარად, პოეტის ინტერესი პიროვნული მე-სადმი, ადამიანური გრძნობებისადმი, კათოლიკური ეთიკის ახლებურად გააზრება, ანტიკურობისადმი ინტერესი (ანტიკურობას იგი მოიხმარს საკუთარი აზრების დასამტკიცებლად), მას ჰუმანისტთა რიგებში აყენებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პეტრარკა დიდი პატრიოტი იყო და იბრძოდა იტალიის გაერთიანებისათვის.

აღორძინების ეპოქის სხვა პერიოდის მხატვარია სანდრო ბოტიჩელი. მან სხვებზე მკვეთრად გადმოსცა გვიანი კვატროჩენტოს სულიერი შინაარსი. ნ. ა. დიმიტრიევა წერდა, რომ ადრინდელი რენესანსი „გვაჯადოებს მხატვრული შემოქმედების გადაჭარბებული რაოდენობით, რომელმაც თითქოს სიუხვის რქიდან იხუვლა". ბოტიჩელის შემოქმედება ადრინდელი რენესანსის ყველა მახასიათებელს პასუხობს. ეს პერიოდი ყველაზე მეტადაა ორიენტირებული გარემომცველ სამყაროს გადმოცემის შესაძლებლობებზე. სწორედ ამ დროს იწყება ხაზობრივი, ჰაეროვანი პერსპექტივების, პროპორციების, შუქ-ჩრდილების, სიმეტრიის, მთლიანი კომპოზიციის, კოლორიტის, რელიეფური გამოსახულების და სხვათა ძიება. ეს დაკავშირებულია მხატვრული ჭვრეტის მთელი სისტემის გარდაქმნასთან. სამყაროს ახლებური შეგრძნება მის ახლებურ დანახვას ნიშნავდა, და ბოტიჩელიც გამოსახავდა მას, ატარებდა რა აღმოცენებული ეპოქის პრიზმაში. მხატვრის მიერ შექმნილი

სახეები გვაოცებს შინაგან განცდათა არაჩვეულებრივი ინტიმურობით. ბოტიჩელის შემოქმედებაში გიზიდავს ხაზების ნერვულობა, მოძრაობათა აღტყინება, სახეთა სინატიფე, პროპორციათა შინაარსობრივი ცვლილებანი – გამოხატული ფიგურათა უკიდურეს სიგამხდრესა და დაჭიმულობაში, თავისებურად ჩამოშლილი თმები, ტანსაცმლის კიდეთა მოძრაობაში. ყოველივე ეს გაჟღენთილია ღრმა ფსიქოლოგიზმით, რაზედაც მეტყველებს მხატვრის სურათები: „გაზაფხული“ და „ვენერას დაბადება“.

ბოტიჩელის შემოქმედებას არამხოლოდ სულიერება და პლასტიკურობა ანიჭებს აღორძინებისეულ ხასიათს. ნ. ა. ბერდიაევი აღნიშნავდა: „ბოტიჩელი ყველაზე ბრწყინვალე, ამაღელვებლად პოეტური მხატვარია, მაგრამ ამავე დროს იგი გაორებულია და ვერ აღწევს კლასიკურ დასრულებულობას. მისი ვენერები მადონებს გვანან, მადონები კი ვენერებს“.

სამყაროს ტრაგიკული აღქმა და ნატიფი სულიერება აახლოებს მხატვარს XIX ს. მხატვრებთან და პოეტებთან. ბოტიჩელის შემოქმედება აღაფრთოვანებდა ბოდლერს, მანეს, მოდილიანს და სხვ. ისინი, მართალია, სხვა ფესვებით საზრდოობენ, მაგრამ მისი სულიერების სიახლოვეს განიცდიდნენ.

აღორძინების ხანის მოღვაწეებზე დიდი გავლენა მოახდინა ჯიროლამო საონაროლას პიროვნებამ (1452-1498 წწ.). თუმცა, თუ დავეთანხმებით საკმაოდ ტრადიციულ მოსაზრებას, ძნელია იგი ჩაითვალოს აღორძინების კულტურის მოღვაწედ. საონაროლას იდეები რენესანსული მსოფლმხედველობისგან საკმაოდ განსხვავდება, თუმცა, მეორე მხრივ, იგი ამ კულტურის ჭეშმარიტი წარმომადგენელია. საონაროლა ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა ღრმა რელიგიურობით და მოწიფულ ასაკში ცნობილი ბერი გახდა. იგი ჯერ ბოლონიის დომინიკანელთა მონასტერში, შემდეგ კი ფლორენციის წმინდა მარკოზის მონასტერში მოღვაწეობდა. თანდათანობით საონაროლას ბევრი თაყვანისმცემელი და მიმდევარი გამოუჩნდა. მისი თხზულებები საკმაო პოპულარობით სარგებლობდა. იგი მუდმივად აკრიტიკებდა არისტოკრატიას, სასულიერო პირების, განსაკუთრებით კი პაპების ნაკლოვანებებს, რომელმაც ბოტიჩელის მოღვაწეობის დროს უკიდურეს ზღვარს მიაღწია. სახელგანთქმული ბერის კრიტიკის ობიექტებს წარმოადგენდნენ პაპები: სიქსტი IV, ინოკენტი VIII,

ალექსანდრე IV ბორჯა. სავონაროლას ავტორიტეტი იმდენად გაიზარდა, რომ იგი XV საუკუნის 90-იან წლებში ფლორენციის პრაქტიკულ გამგებლად იქცა, სადაც საკმაოდ მკაცრი სამონასტრო რეჟიმი დაამყარა. ღრმა ორთოდოქსული რწმენა ახასიათებს სავონაროლას, როგორც შუა საუკუნეების ადამიანს. ამაზე მეტყველებს მისი დამოკიდებულება პლატონის ფილოსოფიისადმი, რომელიც კარგად იცოდა. იგი წერდა: „ერთადერთი სიკეთე, რაც პლატონმა და არისტოტელემ ჩაიდინეს, არის ის, რომ მოიგონეს ერეტიკოსების საწინააღმდეგო არგუმენტები, თუმცა ისინი, ისე, როგორც სხვა ფილოსოფოსები, ჯოჯოხეთში იმყოფებიან. ნებისმიერმა მოხუცებულმა უფრო მეტი იცის სარწმუნოებაზე, ვიდრე პლატონმა. ძალიან კარგი იქნებოდა, თუ განადგურდებოდა ადრე სასარგებლოდ მიჩნეული ბევრი წიგნი. რომ არ იყოს ამდენი წიგნი, ყოველგვარი დისპუტები და ბუნებრივია დასკვნები, სარწმუნოება უფრო მალე გავრცელდებოდა“. ამ ტექსტიდან ირკვევა, რომ სავონაროლას ნებით აგიზგიზებულ კოცონებზე წიგნების დაწვა, მისი აზრით, სარწმუნოების დაცვას ემსახურებოდა.

პრინციპში, სავონაროლა მაინც იმ ეპოქას ეკუთვნოდა, რომელშიც ცხოვრობდა. მისი ქრისტეს ჯეშმარიტი რწმენა, მოუსყიდველობა, წესიერება, აზრის სიღრმე მეტყველებს, რომ იგი აღორძინების კულტურის ჯეშმარიტი წარმომადგენელია. მისი სიკვდილი: ჩამოხრჩობა და შემდეგ კოცონზე დაწვა ააშკარავებს, რომ აღორძინების კულტურა იყო ნათელი, ამაღლებული და, ამასთანავე, პირქუში და მდაბალი, ხასიათდებოდა წინააღმდეგობრიობითა და არაერთგვაროვნებით. სავონაროლას მხოლოდ გამოჩენაც კი ამტკიცებს აზრს, რომ აღორძინების კულტურა შეეხო მხოლოდ საზოგადოებრივ ზედაფენას და მას არ გააჩნდა ხალხური საფუძველი. რენესანსული აზროვნების საერთო სტილმა, რელიგიური შეგნების მოდიფიკაციამ ვერ პოვა გამოხმაურება უბრალო ხალხში, ხოლო სავონაროლას ქადაგებამ, გულწრფელმა რწმენამ შეაძრწუნა ისინი. ხალხის ფართო გაგება დაეხმარა მას დაეძლია ფლორენციელთა ჰუმანისტური ენთუზიაზმი. ინდივიდუალიზმის იდეები მთლიანი მოცულობით აღორძინდა საკმაოდ გვიან XVIII საუკუნეში. XVI საუკუნეში კი ისინი მხოლოდ უდიდესი მოაზროვნეებისა და მხატვრების ხვედრს წარმოადგენდნენ.

მომხიბლავი იქნებოდა საეონაროლას მიკუთვნება რეფორმაციის წინამორბედებისათვის, თუმცა, იგი ასეთი არასოდეს ყოფილა, რადგან იყო და დარჩა მკაცრი კათოლიკური რწმენის ერთგულად. შემთხვევითი არაა, რომ XVI საუკუნეში პაპმა პავლე IV გაამართლა იგი და მისი სწავლება, ხოლო XVII საუკუნეში საეონაროლაზე შედგენილ იქნა საეკლესიო მსახურება. რეფორმატორებთან მას აახლოებდა მხოლოდ ეკლესიისა და პაპობის მძაფრი მხილება, თუმცა, ახალი ეკლესია არ შეუქმნია და ახალი რელიგიური პრინციპები არ წამოუყენებია. საეონაროლა დარჩა ისტორიაში აღორძინების ეპოქის მოღვაწის მკაფიო მაგალითად, თუმცა, იგი აშკარად განსხვავდებოდა ჰუმანისტ ფ. პეტრარკასა და ლ. ვალასგან, მხატვარ ლეონარდო და ვინჩისა და რაფაელისაგან. ეს კი მხოლოდ აფართოებს წარმოდგენას აღორძინების კულტურაზე, მშფოთვარე დროზე, როცა როგორც ხატოვნად აღწერს ა. ბლოკი: „ადამიანი იწყებს თავისუფლებისაკენ სწრაფვას, სული წყვეტს სახელმწიფოსა და ეკლესიის ბორკილებს, სხეული იფურჩქნება მძიმე ტანსაცმლის ქვეშ, სურვილი ძლევს გონებას. შუა საუკუნეების საფლავიდან ამოიზარდა ამაღლებული ზრახვები და ყველაზე მდაბალი ინსტინქტები“ ამ დროს „ადამიანის ცხოვრებას გაეცნო გრიგალისებრი მოძრაობა და იგი გაზაფხულის ფერხულში ჩაება“.

ე.წ. ჩრდილოეთის აღორძინების თვითმყოფადი ხასიათი გამოვლინდა, უპირველეს ყოვლისა, ნიდერლანდებისა და გერმანიის კულტურაში. ამ კულტურის ცენტრებად გვევლინება ქალაქები: ანტვერპენი, ნიურნბერგი, აუგსბურგი, ჰალე, მოგვიანებით მათ შორის ლიდერობა მოიპოვა ამსტერდამმა. გერმანული აღორძინების განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ეკონომიკურ ფაქტორს, სამთო საქმისა და ტექსტილის წარმოების განვითარებას, ფულადსასაქონლო ურთიერთობებს, საერთოევროპულ საბაზრო პროცესებში ჩართვას, რაც აისახა ხალხის მასებზე, შეცვალა მათი აზროვნება. ანტიკური კულტურის გავლენის ტრადიციული ფაქტორი ჩრდილოეთის აღორძინებისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანია. ჩრდილოელები მას უფრო ზედაპირულად აღიქვამენ და ამიტომაა, რომ აღორძინების წარმომადგენლებს შორის აქ უფრო იოლია ბოლომდე არგამქრალი გოტიკის ნაკვალევის აღმოჩენა, ვიდრე ანტიკური მოტივებისა. ჩრდილოური აღორძინების წარმომადგენლები

მტკიცე კავშირში არიან რეფორმაციასთან და გლეხთა აჯანყებებთან. ჩრდილოურმა აღორძინებამ დიდხანს ვერ იარსება, თუმცა, მისი გავლენა ევროპულ კულტურაზე დღესაც შეიმჩნევა.

დაქუცმაცებულ გერმანიაში ამ თვალსაზრისით არსებობდა გამაერთიანებელი ფაქტორი – კათოლიკური ეკლესიისადმი დაპირისპირება, რომელმაც ქვეყანა სულიერი ცხოვრების შემზღუდავ რეგლამენტაციებში და მრავალმხრივ გამომსახველობაში გაახვია. ამის გამო ეკლესიის რეფორმაციისათვის ბრძოლა პაპობასთან იქცა უმთავრეს მიმართულებად „დედამიწაზე უფლის სასუფევლის დამკვიდრებისათვის".

ჩრდილოური აღორძინების დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს მარტინ ლუთერის მიერ ბიბლიის გერმანულად თარგმნა, ეს პროცესი ოცი წელი გრძელდებოდა. ლუთერისეულმა ბიბლიამ გერმანულ ენაში ახალი ეპოქა შექმნა და იგი გერმანული სალიტერატურო ენის საფუძვლად იქცა. ამან გამოიწვია ბიბლიის ფრანგულ და ინგლისურ თანამედროვე სალიტერატურო ენებზე თარგმნაც.

ლუთერანულმა იდეებმა გააერთიანა გერმანიის პროგრესული წრეები: მოაზროვნე ჰუმანისტები, მხატვრები, მღვდლები და იდეოლოგები (მელანხტონი, დიურერი, ჰოლბეინი, თომას მიუნცერი). ლუთერანობა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ვითარდებოდა და აუნჯებდა სხვადასხვა ფილოსოფიურ, რელიგიურ, მისტიკურ, უტოპიურ, ეთიკურ იდეებს.

თომას მიუნცერი ასპარეზზე გამოვიდა როგორც უტოპისტი, რომელიც მიწების განაწილების მომხრე იყო. მისი რელიგიური მსოფლმხედველობა პანთეისტურ ხასიათს ატარებდა, თუმცა, ლუთერის ზომიერმა, ბურჟუაზიულმა პოზიციამ გამოიწვია კონფლიქტი მათ შორის, რაც დაშორებით დამთავრდა 1524 წელს. შემდგომში თომას მიუნცერი რეფორმაციულ მოძრაობაში ჩაება, შექმნა ტიურინგია-საქსონიის რაიონში გლეხთა ომის კერა, შეეცადა შეერთებოდა ჩეხ აჯანყებულებს, მაგრამ დამარცხდა გაერთიანებულ თავადთა ლაშქართან, ტყვედ ჩავარდა და 1525 წელს სიკვდილით დასაჯეს.

გერმანიაში აღორძინების ლიტერატურა ეყრდნობოდა მაისტერზინგერთა შუასაუკუნეობრივ ტრადიციებს. აღორძინების პოეზიის გამორჩეულად სრულყოფილი ნიმუშები შექმნა ჰანა საქსმა, რომელიც ლუთერთან ერთად თანამედროვე გერმანული ენის

შემქმნელად ითვლება. გერმანულ ლიტერატურაზე გავლენა მოახდინა გოტიკურ ეპოქაზე დამოკიდებულებამაც. ამ პერიოდში მეტნაკლებად საინტერესო პროზის არარსებობამ განაპირობა საქსონელ ლუთერის შემოქმედებისადმი ინტერესის ზრდა. მათი ლექსები ყველასათვის ცნობილი გახდა. ნიდერლანდებში პროზა უფრო ადრე შეიქმნა. ჩრდილოური აღორძინების გამოჩენილი წარმომადგენელი გახდა ერაზმ როტერდამელი (1469-1536 წწ). მისი საუკეთესო ნაწარმოები „ქება სისულელისა" შეიქმნა 1509 წელს.

ჩრდილოეთის აღორძინების მიმდინარეობათა შორის, უდიდესი როლი ფერწერამ ითამაშა. ამ პერიოდის უდიდეს ხელოვანთა შორის აღსანიშნავია იერონიმუს ბოსხი (1450/60-1516 წწ.). მისი სურათები, შექმნილნი უმეტესად რელიგიურ თემებზე, გვაოცებს ფოლკლორისა და შუასაუკუნეობრივი ფანტაზიის ელემენტების შერწყმით, მისტიკური სიმბოლიკითა და რეალისტური დეტალებით. ბოსხის ყველაზე საშინელი ალეგორიებიც კი ისეთი ლამაზი, სადღესასწაულო კოლორიტითაა მოცული, რომ სიცოცხლისმოყვარულ თვალებს ტოვებს. აღსანიშნავია, რომ მომდევნო ხანის მხატვრები უკვე აღარ ქმნიან ასეთ ფანტასტიკურ, შეზღუდულ სახეებს, მაგრამ ბოსხის გავლენა გარკვეულწილად განიცადეს სიურეალისტებმა.

ჩრდილოეთის აღორძინების გამომსახველობითი ხელოვნების უდიდეს ოსტატად შეიძლება ჩაითვალოს ალბრეხტ დიურერი (1471-1528 წწ.). იგი იუველირის ოჯახში დაიბადა და ძალიან ადრე გამოაცალინა ხატვის ნიჭი; მისი თორმეტი წლის ასაკში შექმნილი ავტოპორტრეტი და მამის პორტრეტი გვაოცებს ოსტატობით. დიურერმა დაგვიტოვა კოლოსალური მემკვიდრეობა: სურათები, გრაფიკული ნამუშევრები, სტატიები, მიმოწერა. მან 1495 წელს იმოგზაურა იტალიაში, რამაც მასზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. მოგვიანებით იგი იტალიაში ხშირად მოგზაურობდა და განსაკუთრებით შეუყვარდა ვენეცია. არ არის შემთხვევითი, რომ მისი ხელოვნება ახლოა იტალიურთან, თუმცა, შორს დგას იტალიური აღორძინების იდეალიზებული რეალიზმისგან, რადგან ყოველთვის ცდილობდა სამყაროს ობიექტურად ასახვას, უნდოდა მიეღო ნახატისა და ფერწერისაგან მეცნიერული დადასტურება. ამ პათოსითაა გაჟღენთილი მისი (განსაკუთრებით კი ფანქრით შესრულებული, ძმისადმი გაგზავნილ წერილში არსებული) ავტო-

პორტრეტები. დიურერის მიერ დახატული დედის პორტრეტიც მკვეთრად რეალისტურია. ესაა ჩანახატი ტკივილებით გატანჯული ქალისა, რომელიც ასევე შესულია ძმისადმი გაგზავნილ წერილში, და რომელშიც ავტორი აღნიშნავს: „მე თვითონ ვიხილე, რომ სიკვდილმა მას ორი მძიმე დარტყმა მიაყენა გულში“.

დიურერის გრაფიკა აღსავსეა შუასაუკუნეობრივი მისტიკით, რომლის გასაღებიც რეფორმაციის ეპოქაშია საძიებელი. ავტორის ქმნილებები კარგად ასახავს მასზე გამოსახული ადამიანების სულიერ სიმტკიცეს, მხადყოფნას, დაძლიონ ნებისმიერი ცდუნებები, შეაფასონ მომავალი ბრძოლის შედეგები. სწორედ ესაა გამოსახული სურათზე „მელანქოლია“, გრავიურაზე „სიკვდილი, ეშმაკი და რაინდი“. დიურერის გრაფიკას ლირიული საწყისიც გააჩნია. ამისი დამადასტურებელია გრავიურათა ციკლი „მარიამის ცხოვრება“, რომელიც რილკეს და ჰინდემიტის შემოქმედების წყაროდ იქცა XIX და XX საუკუნეებში.

დიურერის მხატვრობის მწვერვალად ითვლება ოთხი მოციქულის გრანდიოზული გამოსახულება, ჭეშმარიტი ჰიმნი ადამიანისადმი, ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა გამოვლინება აღორძინების ჰუმანიზმისა.

აღორძინების ეპოქამ გვლენა ვერ მოახდინა ლუკას კრანახ უფროსის (1472-1553 წწ.) შემოქმედებაზე. მის მხატვრობაში ხაზგასმულია გოტიკური მოტივები. აქ ბევრი დეტალი შემჭიდროებულია, თუმცა, ამას ანეიტრალებს კოლორიტის საოცარი სილამაზე. ეს განსაკუთრებით თავს იჩენს ქალთა გამოსახულებებში, რაც დღესაც გვაოცებს. მხატვრის მადონები და ბიბლიური პერსონაჟი ქალები, მისი თანამედროვე ქალაქელი ქალები არიან. მათ თხელი აღნაგობა აქვთ და მდიდრული ტანსაცმელი აცვიათ. ამ ქალთა რთული, რენესანსის დროინდელი ვარცხნილობა და სახის საუცხოო ფერი მეტყველებს არა იმდენად ბუნებრივ სიჯანსაღეზე, არამედ ნებიერ, სათუთ აღზრდაზე. მოგვიანებით ეს თვისებები მხატვრის მანერად იქცა, მას მრავალი მოწაფე, მიმდევარი გამოუჩნდა და ოსტატის ფერწერა მანერიზმის ნიმუში გახდა. კრანახის XVI საუკუნის დასაწყისში შექმნილი ნახატები მაინც აღსავსეა სამყაროს აღორძინებისეული აღქმით, შესაძლოა მის ყველაზე ნოვატორულ ქმნილებად ჩაითვალოს „ჯვარცმა“ (1503 წ.). ამ სურათის მკვეთრად ასიმეტრიული კომპოზიცია, ტრადიციული ფიგურების არაჩვეულებრივი რაკურსი, ნაჯერი კოლორიტი მნახველს აძრწუნებს.

მატის ნიგპარტის (გრუნევალდის) (1470/75-1528 წწ.) სახელი საზოგადოებისათვის ნაკლებადაა ცნობილი. მისმა შემოქმედებამ ეპოქის ყველა წინააღმდეგობრიობა აირეკლა. მხატვრის სურათები აღსავსეა საოცარი რელიგიური ფანტაზიით. იგი ხატავს არფაზე და ვიოლაზე დამკვრელ ანგელოზებს, რომლებიც ატკბობენ მარიამისა და იესოს სმენას. ეს გამოსახულება არის იზენპაიმის საკურთხველის მთავარი ნაწილი და ნიგპარტის შემოქმედების მწვერვალად ითვლება. საკურთხველი 9 ნაწილისაგან შედგება. მარიამისა და იესოს საზეიმო, სიცოცხლის სიყვარულით გაჟღენთილი სახეები მკვეთრ კონტრასტში იმყოფება ნატურალისტურ, სვედიან „ჯვარცმასთან". ნიგპარტი თავის შემოქმედებაში ხშირად უბრუნდებოდა ამ თემას და იესოს გამოხატავდა უბრალო ადამიანად, რომელიც ხშირად დადიოდა ფეხშიშველი და მწუხარებით იყო აღსავსე. იგრძნობა, რომ ეს სახე გლეხთა ომის მონაწილის სახეა, რომელშიც თვით მხატვარი იბრძოდა 1524-1526 წლებში. იესოს გარდა, ნიგპარტის სურათების სხვა ბიბლიური პერსონაჟებიც ამჟღავნებენ მსგავსებას მხატვრის თანამედროვე, დემოკრატიულ ფენებთან.

იზენპაიმის საკურთხველში შეტანილია ნიგპარტის ერთ-ერთი ყველაზე მისტიკური სურათი „ქრისტეს ამაღლება". აქ დამაჯერებლადაა გადმოცემული ცისფერი შუქით გაჟღენთილ ჰაერში ქრისტეს ფიგურის საოცარი ლივლივი, რომელთანაც კონტრასტს ქმნის აბჯარასხმულ მცველთა მძიმეწონიანი ფიგურები, რომლებიც მიწაზე დანარცხებულ, მჭმუნვარე, საცოდავ რაინდებს გვანან. საკურთხველის მხატვრობაში აღორძინების ნამდვილ ნიმუშს წმინდა სებასტიანეს ფიგურა წარმოადგენს.

როგორც ფერმწერი, ნიგპარტი, უპირველეს ყოვლისა, გატაცებულია ემოციურად დატვირთული, ეკსტატური კოლორიტით, ფანტაზიით, დიდ სურათებში აზრობრივად დასრულებული პეიზაჟებისა და ნატურმორტების ჩართვით. გერმანელი მკვლევრები ვარაუდობენ, რომ ნიგპარტმა ზოგიერთი სურათი შექმნა მონაზონ-ვიზიონერთა მიერ აღწერილი ხილვების გავლენით. უდავოა, რომ ნიგპარტის ხელოვნებამ გავლენა იქონია როგორც XVII-XVIII საუკუნეების ჰოლანდიელ მხატვრებზე, ისე XX საუკუნის გერმანულ ექსპრესიონიზმზე.

ამ დროის ფერწერაში რევოლუციური მიღწევებით გამოირჩევა დუნაის ფერწერული სკოლა. ამ სკოლას მიეკუთვნებიან: ლუკას

კრანახი, ჰ. ლაუტენზაკი; მის მეთაურად კი აღიარებულია ალბრეხტ ალტდორფერი (1480-1538 წწ.). სწორედ მას ენიჭება პრიორიტეტი პეიზაჟის ჟანრის განვითარებაში. დუნაის სკოლის მხატვრებმა დაიწყეს პირველად ბუნების ხატვა, მიიჩნიეს რა იგი პოეტურად. ალტდორფერის სურათებში ვხვდებით ზუსტად ტიპირებულ წმინდანთა და ახალი აღთქმის პერსონაჟებს. ალტდორფერის ყველაზე საინტერესო სურათად ითვლება 1529 წელს შექმნილი „ალექსანდრე მაკედონელის ბრძოლა დარიოსთან". აქ ბატალურ სურათებს ამუქებს გამოკვეთილი, მზესთან მდგომი ღრუბლები. სურათი აღსავსეა ბევრი დეკორატიული დეტალით და აღტაცებას იწვევს ფერწერული ოსტატობით. ამასთან, იგი ერთ-ერთი პირველი ბატალური სურათია, რომელიც ზეთის საღებავებითაა დახატული, ასე რომ, ალტდორფერი შეიძლება კიდევ ერთი ფერწერული ჟანრის ფუძემდებლად ჩაითვალოს.

პორტრეტის ჟანრის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატია ჰანს-ჰოლბაინ უმცროსი (დაახლ. 1497-1543 წწ.). მას ეკუთვნის ერაზმ როტერდამელის, ასტრონომ ნიკოლას კრატცერის, თომას მორისა და ჯეინ რეიმერის პორტრეტები. იგი თანამედროვეებს გამოსახავს როგორც ღირსეულ, სულიერი ძალით აღსავსე ადამიანებს. ჰოლბაინი მუშაობდა ილუსტრატორად და შექმნა საკმაოდ დამაჯერებელი ილუსტრაციები ბიბლიისათვის, „ქება სისულელისათვის" და სხვა. ჰოლბაინის შექმნილია აგრეთვე გრაფიურათა ციკლი „სიკვდილის როკვა", რომელიც დიურერის შემოქმედებას ეხმიანება.

არქიტექტურის სფეროში აღორძინების დაგეგმარებითი და პლასტიკური პრინციპები თავს იჩენს აუგსბურგში, ნოიერბურგში, ჰალეში. ისინი ერწყმიან გოტიკის ტრადიციებს, რის გამოც გერმანული აღორძინების არქიტექტურას გამახვილებული, ღვარჭნილი სტილი აქვს. ბევრი არქიტექტურული ძეგლის კვლევისას ძნელია დაადგინო საზღვარი გოტიკასა და აღორძინებას შორის. ამ ძეგლებს განეკუთვნება კათოლიკური სამყაროს ყველაზე გრანდიოზული კელნის ტაძარი (მისი მშენებლობა დაიწყო 1248 წელს, ხოლო რემონტი, სრულყოფა დღემდე გრძელდება), ულმის ტაძარი (1377-1529 წწ.), ასევე ციხე-სიმაგრეები და სასახლეები. ეკლესიათა ინტერიერები ირთვებოდა ქანდაკებებით, ფრესკებით, მოგვიანებით — ვიტრაჟებით გაწყობილი საკურთხევლებით და დაზგური ფერ-

წერით ეკლესიები მუზეუმის ფუნქციასაც ითავსებდა. ჩრდილოეთის აღორძინების არქიტექტურული მიღწევები ბევრად უფრო თვითმყოფადია, ვიდრე ფერწერისა, ასევე შეიძლება ითქვას ქანდაკებაზეც. საინტერესოა, რომ გოტიკური ქანდაკება გადადის მანერულ მორთულობაში და თითქმის არ ჩერდება რენესანსის საფეხურებზე.

გამორჩეულია ჩრდილოეთის აღორძინების მუსიკა. XVI საუკუნისათვის არსებობდა მდიდარი, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ფოლკლორი. მუსიკა გერმანიაში ყველგან ეღერდა: სეირნობებზე, ეკლესიებში, ელიტარულ თავყრილობებზე, სამხედრო ბანაკში. გლეხთა ომმა და რეფორმაციამ გამოიწვია სასიმღერო ხალხური შემოქმედების ახალი აღმავლობა. შემორჩენილია უცნობი ავტორის მიერ შექმნილი, რამდენიმე მეღერადი, ლუთერანული ჰიმნი. საგუნდო მუსიკა იქცა ლუთერანული ღვთისმსახურების განუყოფელ ნაწილად. პროტესტანტულმა ქორალმა მოახდინა გავლენა მთელი შემდგომი ევროპული მუსიკის განვითარებაზე. უპირველეს ყოვლისა, კი თვით გერმანულ მუსიკაზე.

XVI საუკუნის გერმანული მუსიკალური ფორმები გვაოცებს. ყველიერში იდგმებოდა ბალეტები და ოპერები. არ შეიძლება არ აღინიშნოს ისეთი სახელები, როგორიცაა: კ. პაუმანი, პ. ჰოფჰაიმერი, გ. იზაკი; ეს კომპოზიტორები ქმნიდნენ ელიტარულ, საეკლესიო, საორღანო მუსიკას. მათ რიცხვს მიეკუთვნება გამოჩენილი ნიდერლანდელი ოსტატი თ. ლასრი.

გერმანულ მუსიკაში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა თ. შუტცმა. იგი ასპარეზზე შედარებით გვიან გამოჩნდა პიტერ ბრეიგემელთან ერთად და შეიძლება ჩრდილოური აღორძინების უკანასკნელ პერსონაჟად ჩაითვალოს. შუტცმა შექმნა პირველი გერმანული ბალეტი „ორფეოსი და ევრიდიკა“ და პირველი გერმანული ოპერა „დაფნა“.

ჩრდილოეთის აღორძინების ეპოქა ხანმოკლე აღმოჩნდა. ოცდაათწლიანი ომის დაწყებამ დიდი ხნით შეაფერხა გერმანული კულტურის განვითარება, მაგრამ კულტურის ისტორიაში იგი დარჩა როგორც სრულფასოვანი მოვლენა, როგორც გენიოს მხატვართა და სიტყვის ოსტატთა დრო. ისინი ეხმიანებოდნენ ერთმანეთს, მონაწილეობდნენ საერთო ბრძოლაში, მოგზაურობდნენ, ხატავდნენ ერთმანეთის საოცარ პორტრეტებს. დიურერმა, რომელიც ულმობლად ობიექტური იყო საკუთარი გარეგნობის მიმართ, ისეთი სიმპათიით,

გატაცებით შექმნა ჰუმანისტ ფილიპე მელანჰტონის სურათი, რომ დღესაც მელანჰტონი ცნობილია არა იმდენად როგორც მეცნიერი, რომლის ნაშრომები მხოლოდ მეცნიერთა ვიწრო წრისთვისაა ხელმისაწვდომი, არამედ აღორძინების ხანის საოცრად ლამაზი, ახალგაზრდა მამაკაცი.

გოტიკური მისტიციზმი დიდი ძალით ემსახურებოდა ჩრდილოეთის აღორძინების საფუძველს. გერმანელთა საერთოევროპული კულტურის ფერხულში ჩაბმა, სწორედ ჩრდილოეთის აღორძინების დროიდან დაიწყო.

რეფორმაციის ეპოქის კულტურა

დასავლეთ ევროპის კულტურულ-ისტორიულ განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეფორმაციას – ფართო რელიგიურ და სოციალურ-პოლიტიკურ მოძრაობას, რომელიც ჩაისახა გერმანიაში XVI საუკუნის დასაწყისში და მიმართული იყო ქრისტიანული ეკლესიის სრულყოფისაკენ.

რეფორმაცია გახდა ბურჟუაზიის პირველი გაბედული გამოსვლა შუა საუკუნეების დრომოჭმული წესების წინააღმდეგ. ქრისტიანული ეკლესიის გარდაქმნის საშუალებით, სარწმუნოებრივი აღმსარებლობისა და რიგითი ადამიანის მსოფლშეგრძნების შეცვლით, მან ძლიერი ბიძგი მისცა ახალი კაპიტალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებას და ადამიანის ახლებური ტიპის ჩამოყალიბებას.

რეფორმაციის უშუალო და ხილული შედეგი იყო კათოლიკური სარწმუნოებრივი აღმსარებლობისაგან განდგომა ქრისტიანობის მესამე ნაირსახეობის – პროტესტანტიზმისა, რომის კათოლიკური ეკლესიის და მის სათავეში მყოფი პაპის ყოვლისშემძლეობის შეზღუდვა. უმსხვილეს პროტესტანტულ კონფესიებად გადაიქცა ლუთერანობა, კალვინიზმი, ანგლიკანობა და მთელი რიგი პროტესტანტული სექტებისა – ბაპტისტების, მეთოდისტების, ადვენტისტების, კლაკერების და სხვა.

ქრონოლოგიურად რეფორმაცია ემთხვევა აღორძინების ეპოქის ბოლო პერიოდს და ერთგვარად დაასრულებს ამ უდიდეს პროგრესულ გადატრიალებას ევროპული კულტურის განვითარებაში. მაგრამ ჩვეულებრივ აღორძინების ეპოქის ისტორიულ მნიშვნელობას უკავშირებენ ჰუმანიზმის იდეებსა და მხატვრულ მიღწევებს, რამაც შუა საუკუნეების ქრისტიანული ასკეტიზმის საწინააღმდეგოდ გამოაცხადა ადამიანის ღირსება და დიდებულება, მისი უფლება

შემოქმედებით, გონივრულ მოღვაწეობაზე, მიწიერი ცხოვრებით ტკბობასა და ამქვეყნიურ ბედნიერებაზე.

ჰუმანისტები ადამიანში ხედავდნენ ღვთის ყველაზე უფრო მშვენიერ და სრულყოფილ ქმნილებას. ბიბლიური გამონათქვამისა არ იყოს, რომლის მიხედვითაც ღმერთმა კაცი შექმნა „ხატად და მსგავსად თვისა", ისინი ადამიანს მიაწერდნენ ღმერთისათვის ჩვეულ შემოქმედებით უნარს და მის დანიშნულებას ხედავდნენ სამყაროს შეცნობასა და გარდაქმნაში, საკუთარი შრომით მის შემკობაში, ხელოვნების, მეცნიერებისა და ხელოსნობის განვითარებაში.

რეფორმაციამ ჰუმანისტების მიერ ადამიანის გაღმერთებას დაუპირისპირა ღვთის წინაშე ადამიანის არარაობის იდეა, ხოლო მათ ოპტიმისტურ და სიცოცხლით სავსე მსოფლშეგრძნებას – საკუთარ ნებით თვითშეზღუდვისა და თვითდამორჩილების მკაცრი სული. ადამიანური გონების ყოვლისშემძლეობით აღტაცებას მათ დაუპირისპირეს პროტესტანტული ზიზღი ყოველგვარი „ტვინის უნაყოფო ჭყლეტისადმი" და სრული ნდობა რელიგიური სარწმუნოებისადმი, რაც სიბნელემდე და მეცნიერების ზიზღამდე მიდიოდა.

თავად რეფორმაციის მოღვაწეები, ძირითადად, უბრალო ხალხიდან გამოსულები, შეუპოვარი შრომით აკითარებდნენ საკუთარ უნარს, ფანატიკურად მტკიცენი საკუთარ რწმენაში, სრულ წინააღმდეგობას აცხადებდნენ ჰუმანისტების ბრწყინვალედ განათლებული არისტოკრატების, ფილოსოფიის, პოეზიისა და ხელოვნების მცოდნეების მიმართ.

ამგვარადა აქვს რაიმე საერთო აღორძინების ეპოქის ჰუმანისტურ კულტურას, რომელიც ადამიანის დიდებულებას ამკვიდრებდა ხელოვნების ბრწყინვალე ძეგლებსა და ლიტერატურულ ნაწარმოებებში, რეფორმისტულ ქრისტიანობასთან, რომელმაც შექმნა პიროვნების და მსოფლშეგრძნების ახალი ტიპი...

ერთი მხრივ, მათ ჰქონდათ საერთო-ისტორიული საფუძველი, რომელიც თანდათანობით აღმოცენდა ფეოდალიზმის წიაღიდან, უპირატესად სოფლის მეურნეობის ნატურალური წარმოებიდან, რომელიც დაფუძნებული იყო გლეხთა პიროვნულ დამოკიდებულებებსა და მათ იძულებით შრომაზე, საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის სულ უფრო ახალ და ეფექტურ საშუალებებზე.

ფეოდალიზმი, რომელმაც ათას წელზე მეტ ხანს იარსება ევროპაში, ხასიათდებოდა განსაკუთრებული მდგრადობითა და

სტაბილურობით. თუმცა, შრომის იარაღების თანდათანობითმა გაუმჯობესებამ და მათი დამზადების სპეციალიზაციის გაღრმავებამ გამოიწვია ხელოსნური წარმოების გაფართოება და გარე საშუალის გაჩენა. ამან განაპირობა ხელოსნური წარმოების გამოყოფა მიწათმოქმედებისაგან და მრავალი ახალი დასახლების – მომავალი ქალაქების, როგორც ახალი ქალაქის კულტურის ცენტრების წარმოქმნა.

ქალაქები სწრაფად იზრდებოდა და ვითარდებოდა, შრომის ინტენსიური დანაწილების, ჯერჯო საკუთრების მატების, სასაქონლო წარმოებისა და ვაჭრობის განვითარების საფუძველზე. სასაქონლო წარმოება ათავისუფლებდა ნატურალურ მეურნეობას მისთვის ჩვეული შეზღუდულობისაგან, ხელს უწყობდა საწარმოო ძალთა განვითარების მოთხოვნილებათა გაზრდას, წარმოების საშუალებათა და მშრომელის უნარის განვითარებას.

ფეოდალთა მხრიდან საკუთარი ძალების გაცნობიერების შემდეგ, ქალაქების დამორჩილების მცდელობამ მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია. ამას მოჰყვა ხანგრძლივი ბრძოლის პერიოდი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, რის შედეგადაც ფეოდალები იძულებული გახდნენ ელიარებინათ ქალაქთა ცნობილი ავტონომიები. ქალაქები თანდათანობით გადაიქცა ანტიფეოდალური განწყობილების ცენტრებად და ფეოდალური ჩაგვრისაგან შედარებით თავისუფალი მოქალაქეების საყრდენს შეადგენდა. გლეხები ხშირად გარბოდნენ თავიანთი ფეოდალებისაგან და ქალაქებს აფარებდნენ თავს. არსებობდა ასეთი გამოთქმაც: „ქალაქის პაერი თავისუფალს ხდის ადამიანს“.

ამგვარად, ქალაქების ზრდა, საზოგადოებრივი წარმოების განვითარება სასაქონლო ფულად ურთიერთობებზე დაყრდნობით, საგაჭრო კავშირების და საქალაქო კულტურის განვითარება, ფეოდალური დამოუკიდებლობისა და თავისუფალი წოდებების გაჩენა – ყოველივე ეს ფეოდალიზმის ნგრევას იწვევდა.

მწარმოებლობითი ძალების განვითარების მოთხოვნილებამ ბიძგი მისცა ბუნების ექსპერიმენტულ შეცნობას, ხოლო გარეგანი იძულებითი შრომისაგან თავისუფალი, დამოუკიდებელი მშრომელის საჭიროებამ ახლებური წარმოდგენა შექმნა ადამიანზე, მის ღირსებებსა და თავისუფლებაზე.

საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა უნივერსალურ გამოხატულებად იქცა აღორძინების ეპოქის ჰუმანისტური იდეოლოგია, მაგრამ

მის საფუძველზე შექმნილი კულტურა – ფილოსოფიური სწავლებანი, მეცნიერული მიღწევები, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები – განათლებულ მოქალაქეთა მცირე ნაწილის საკუთრებას წარმოადგენდა და მას არ შეეძლო გავლენა მოეხდინა მასების ცნობიერებაზე, რათა ხელი შეეწყო ახალი წყობის გაძარჯვებისათვის. ამ დროისათვის ხალხთა უმრავლესობის სულიერ ცხოვრებას რელიგია განსაზღვრავდა.

რატომ აღმოჩნდა კათოლიკური ეკლესია ესოდენ უნარმოკლებული, რათა პასუხი გაეცა დროის გამოწვევისათვის – ხალხისათვის ადვილად მისაწვდომი კულტურის რელიგიური ფორმით გადმოეცა საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნები და სათავეში ჩადგომოდა ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობების გარდაქმნის ისტორიულ პროცესს?

კათოლიკური ეკლესიის მხარეს ხომ სულიერი მზრუნველობის ათასწლოვანი ტრადიცია არსებობდა, იგი უზარმაზარი ავტორიტეტით სარგებლობდა მორწმუნეებში, საერო ხელისუფლების ძალას ეყრდნობოდა და მკაცრად უსწორდებოდა ყოველგვარ გადახვევასა და ერესს. მიუხედავად ამისა, მან ვერ შეძლო წინ აღდგომოდა პროტესტანტი თეოლოგების იდეებს, რომლებმაც მიიზიდეს ადამიანთა ფართო მასები, მათ კი საეჭვოა ერთმანეთისაგან განერჩიათ თეოლოგიური და აღმსარებლობითი სხვაობები ახალ და ძველ სარწმუნოებას შორის.

ასე გამოვიდა იმიტომ, რომ პასუხი, რომელიც ისტორიის გამოწვევას გასცეს რეფორმაციის მოღვაწეებმა, უფრო ახლობელი და გასაგები აღმოჩნდა რელიგიური, მაგრამ თეოლოგიურ დეტალებში გაურკვეველი მასებისათვის: კათოლიკური ეკლესია ხალხის ზურგის შექცევას იმსახურებდა, რადგანაც იგი ზნედაცემული და, აქედან გამომდინარე, ულმერთო იყო!

სწორედ ამ „ულმერთო“ ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულმა ზნეობრივმა პროტესტმა ძლიერი გამოძახილი პოვა მორწმუნეთა გულებში, ამასთან ერთად, განსხვავებულ წოდებებშიც. მაგრამ საიდან უნდა წარმომდგარიყო რწმენა კათოლიკური ეკლესიის ულმერთობისა, რომელიც თავად ქრისტეს მოწაფის – მოციქულ პეტრეს მიერ იყო დაარსებული?

რომაულ-კათოლიკური ეკლესია წარმოადგენდა ფეოდალური დასავლეთ ევროპის საერთაშორისო ცენტრს, რომელიც თავისი

სულიერი და პოლიტიკური ძალაუფლების ქვეშ აერთიანებდა მას. ის იყო შუა საუკუნეების უმსხვილესი ფეოდალი, ფლობდა მთელი მიწებისა და მამულების მესამედ ნაწილს, განაგებდა მასზე მცხოვრები გლეხების შრომის ნაყოფს. მას ერგებოდა საეკლესიო „მეათედი" – სხვა დანარჩენი ფეოდალებისა და გლეხების ყოველი შემოსავლის მეათედი ნაწილი.

იგი თავგამოდებით იცავდა ფეოდალურ წყობილებას, კლასებისა და წოდებების ფეოდალურ იერარქიას, ხალხთა მასების ჩაგვრასა და ექსპლუატაციას ღვთაებრივი წყალობის სახელით. ეკლესიის ძალაუფლება უზარმაზარი იყო. საკმარისია ითქვას, რომ თითქმის XIV საუკუნემდე ევროპის მეფეებს რომის პაპი აკურთხებდა და ისინი მისი დამოკიდებულების ქვეშ იმყოფებოდნენ.

მას შემდეგ, რაც სამეფო ხელისუფლებამ ქალაქის წოდებებზე დაყრდნობით თანდათანობით შეარყია ფეოდალ დიდგვაროვანთა ძლიერება და დაიწყო მსხვილი ცენტრალიზებული მონარქიების შექმნა, ასეთი მდგომარეობა უფრო და უფრო მიუღებელი ხდებოდა საერო ხელისუფლებისთვისაც.

რომის პაპის თეოკრატიულ მოთხოვნას ღვთისაგან მინიჭებულ უმაღლეს ძალაუფლებასა და სრულ უცთომელობაზე, არა მარტო საეკლესიო, არამედ საერო ხელისუფლების დამტკიცების ან ჩამოგდების უფლებას პირველი დარტყმა მიაყენა XIV საუკუნეში საფრანგეთის მეფე ფილიპე ლამაზმა, როდესაც პაპობა თითქმის სამოცდაათი წლის მანძილზე საფრანგეთის მეფის მორჩილების ქვეშ მოექცა. პაპის რეზიდენციის მდებარეობიდან გამომდინარე, ამ პერიოდმა მიიღო „პაპის აავინიონური ტყვეობის" სახელი.

მეორე დარტყმა იყო მარტინ ლუთერის უშუალო წინამორბედის, ჩეხი ღვთისმეტყველისა და პროფესორის იან ჰუსის მოღვაწეობა. იგი მოითხოვდა კათოლიკური ღვთისმსახურების შეზღუდვას და გამარტივებას, მის ნაციონალურ ენაზე ჩატარებას და ფაქტობრივად რომისაგან დამოუკიდებელი, ნაციონალური ეკლესიების შექმნას. ამის გამო, გერმანიის იმპერატორის მიერ მისთვის გადაცემული დაცვის სიგელის მიუხედავად, ის ვერაგულად შეიპყრეს და დაწვეს 1415 წელს.

მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკურმა ეკლესიამ არნახულ ძალაუფლებას მიაღწია დასავლეთ ევროპის ქვეყნებზე, ფლობდა აურაცხელ სიმდიდრეს, XIV საუკუნის ბოლოსათვის ის ძალზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

თავიდან აღმოცენდა რა როგორც დამცირებულთა, დამონებულთა, ღარიბთა და დევნილთა სარწმუნოება, შუა საუკუნეებში ქრისტიანული რელიგია გაბატონდა მთელ ევროპაში. თუმცა, ამ პერიოდში, მხოლოდ კათოლიკურმა ეკლესიამ მოიპოვა უმაღლესი საერო მბრძანებლობა. არსად და არცერთ სხვა ეკლესიას არ ჰქონია საქმე მსგავს საშიშ ცდუნებასთან, როგორიც იყო შეუზღუდავი საერო ძალაუფლება. რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მსგავსმა განუყოფელმა გაბატონებამ ცხოვრების ყველა სფეროში, მისმა სრულმა მონოპოლიამ ძალაუფლებაზე, საბოლოოდ ეს ეკლესია შინაგან კრიზისამდე მიიყვანა.

კათოლიკურმა ეკლესიამ თავისი ძალაუფლების განმტკიცებისათვის XIII საუკუნეში შექმნა ინკვიზიცია – ეკლესიის წინააღმდეგ შემცოდე, საშიში „ერეტიკოსების" დევნის (დამსჯელი) დაწესებულება.

მისი საინკვიზიციო ტრიბუნალები გადაიქცა „ეკლესიის მთავრების" – ეკლესიის ნომენკლატურის ბრძოლის იარაღად თავიანთ მოწინააღმდეგეებთან. ინკვიზიციის მსხვერპლი გახდა ბევრი გამოჩენილი მეცნიერი, მწერალი, ექიმი, აგრეთვე, ათასობით უბრალო ადამიანი, რომლებმაც ეკლესიის მსახურთა რისხვა დაიმსახურეს ან არაკეთილმოსურნეთა მსხვერპლი შეიქმნენ. ერეტიკოსების ქონება ექვემდებარებოდა კონფისკაციას, ამასთან, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ტრიბუნალის შენახვას ხმარდებოდა.

სულ მცირე ეჭვის შეტანაც კი ეკლესიის არაერთგულებაში ან ცრუ დასმენა საკმარისი ხდებოდა ციხეში მოთავსებისათვის, იქ მოწყობილი იყო ჯურღმულები, ნესტიანი სარდაფები. ციხეები გადავსებული იყო პატიმრებით, სადაც თვეებისა და წლების განმავლობაში ბრალდების გარეშე იმყოფებოდნენ. როდესაც სასოწარკვეთილებამდე მისული უდანაშაულო პატიმრები ითხოვდნენ სასამართლოს, მაშინ მათ დასმენებზე შეთხზულ ბრალდებებს უყენებდნენ. თუ მსჯავრდებული აღიარებდა თვით ყველაზე აბსურდული ან დახვეწილი ბრალდების სამართლიანობას, მას შესაბამის სასჯელს გამოუტანდნენ, ხოლო თუ უარყოფდა დანაშაულს, მას ერესში სდებდნენ ბრალს. მაშინ სასტიკად სჯიდნენ — საწამებელ ძელზე, მარწუხების, გავარვარებული ნახშირის გამოყენებით ან გადაპარსულ თავზე წყლის წვეთების მონტორული, ხანგრძლივი დაცემით.

წამების ქვეშ დანაშაულის აღიარებას და მონანიებას უკეთეს შემთხვევაში თან სდევდა სამუდამო პატიმრობა. მაგრამ თუ გაუძლებდნენ წამებას და არ აღიარებდნენ ცრუ ბრალდებებს – მათ კოცონზე დაწვა ელოდებოდათ.

გამამართლებელი განაჩენი ინკვიზიციამ არ იცოდა.

ინკვიზიცია განსაკუთრებით მძვინვარებდა ესპანეთში, სადაც სახელი გაითქვა უდიდესმა ინკვიზიტორმა თომა ტორკვემადამ, რომელმაც ცოცხლად დაწვა ათიათასზე მეტი ადამიანი.

ქადაგებდა რა მორჩილებასა და თავშეკავებას, კათოლიკური ეკლესია მდიდრდებოდა მომხვეჭელობით. გარდა მისთვის განკუთვნილი „მეათედისა“, მან გადასახადი დაუწესა ღარიბ მრევლს შობაზე, ნათლობაზე, ჯვრისწერაზე, აღსარებაზე, წესის აგებასა და სხვა წეს-ჩვეულებებზე.

XV საუკუნის ბოლოს პაპის ტახტს ინტრიგებისა და მოსყიდვის გზით დაეუფლა როდრიგო ბორჯია, რომელსაც ეწოდა პაპი ალექსანდერე VI. მის დროს საეკლესიო ხელისუფლების მაღალმა ფენამ გახრწნილების უმაღლეს საზღვარს მიაღწია. ქრისტეს სწავლებისადმი და საწმუნოებისადმი გულგრილი ალექსანდრე VI გასართობებსა და მეჯლისებზე ატარებდა დროს, სხვა დაახლოებულ კარდინალებთან ერთად ორგიებს აწყობდა. ხოლო თავისი ძალაუფლების გამყარებისათვის არ თაკილობდა ყველაზე დანაშაულებრივი საშუალებების გამოყენებას. მოწამვლა, მოსყიდვა, მკვლელობა, ფიცის გატეხა – ყოველივე ეს გამოიყენებოდა თავიანთი მოწინააღმდეგის მიმართ.

საკუთარ ვაჟს – ჩეზარეს თვრამეტი წლის ასაკში უბოძა კარდინალის წოდება და მომავალშიც ყოველმხრივ ეხმარებოდა მას დანაშაულებრივ ავანტიურაში. მისი ქალიშვილი ლუკრეცია ძმის და თავად პაპის საყვარელი გახდა.

რომის პაპს ალექსანდრე VI, სამღვდელოებას და კათოლიკური ეკლესიის უმაღლეს წარმომადგენლებს სულიერ გახრწნაში, ძალაუფლების სიყვარულსა და ანგარებაში ამხილებდა დომენიკანელი ბერი ჯიროლამო საონაროლა, რომელიც ასევე შეიძლება ჩაითვალოს მარტინ ლუთერის წინამორბედად.

ჯიროლამო მიმართავდა ეკლესიას უარი ეთქვა სიმდიდრესა და ფუფუნებაზე, სინანულისა და ასკეტიზმისკენ მოუწოდებდა მათ. თავის მხურვალე ქადაგებებში იგი ამხელდა ალექსანდრე VI

არაქრისტიანობაში. იგი განკვეთეს ეკლესიიდან, შეიპყრეს და წამების შემდეგ დაწვეს.

ფაქტობრივად, კათოლიკური ეკლესია, რომლის ცენტრიც იყო ქალაქი რომი, დაუბრუნდა თავის საწყის წერტილს – პირველდელი ქრისტიანობის წინააღმდეგ აღმდგარ, ნერონისა და კალიგულას დროინდელ, სრულიად გახრწნილ და კორუმპირებულ რომის იმპერიის ეპოქას. მარტინ ლუთერმა სამართლიანად დაუბრუნა რომს „ბაბილონელი მეძავის“ სახელი.

საქმის ასეთი ვითარებისას, ყოველი წესიერი ქრისტიანი უბრალოდ ვალდებული იყო, მტკიცედ გამოსულიყო ოფიციალური კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ, რადაც არ უნდა დასჯდომოდა ეს. სწორედ ეს ვალდებულება ამოძრავებდა ლუთერს, როცა მან, უკვე მოკვეთილმა ეკლესიისგან, მიიღო გადაწყვეტილება, მისულიყო ვორმესის რაიხსტაგში 1521 წელს, თავისი პოზიციის ასახსნელად. იან ჰუსის მაგალითი ჯერ კიდევ სრულიად ახალი იყო და იმპერატორის დაცვის სიგელს პაპისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ლუთერმა უარი განუცხადა თავის მომხრეებს შეიარაღებული ამალის ხლებაზე, რამდენადაც ის ხელმძღვანელობდა არა საფრთხის ხარისხით, არამედ პატიოსანი ქრისტიანის მოვალეობის შესრულებისგან თავის არიდების შეუძლებლობით „... მათ ცად აწვდილი ცეცხლიც კი რომ წაეკიდებინათ ვიტენბერგიდან ვორმესამდე, მე მაინც მოვიდოდი იქ ღმერთის სახელით და პირდაპირ ბეჰემოთის ხახაში ჩავდგებოდი, მის უზარმაზარ კბილებს შორის“ — ამბობდა იგი.

თავისი პოზიციის გადმოცემა მან დაასრულა ცნობილი სიტყვებით: „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს. უფალო, შეგეწიე!“

ამგვარად, სწორედ კათოლიკური ეკლესიის შიდა განხეთქილებამ, სიძუნწემ და სიხარბემ აქცია ეს ეკლესია უუნაროდ სათავეში ჩასდგომოდა პროგრესულ გარდაქმნებს და წარმოშვა მძლავრი პროტესტი მის შიგნით, რომელიც რეფორმაციის სახელითა არის ცნობილი.

რა სიახლე მოუტანა ადამიანს რეფორმაციამ და პროტესტანტიზმის ფასეული დოგმები რატომ იქცა მთელი თანამედროვე დასავლეთის ცივილიზაციისა და კულტურის ჩამოყალიბების მნიშვნელოვან ფაქტორად?

რატომ არ დარჩა რეფორმაცია ვიწრო მოელენად ეკლესიის ისტორიაში და რატომ წარმოშვა მან ახალი მსოფლმხედველობა, იქცა ახალი ეპოქის დასაწყისად? როგორია ამ მსოფლმხედველობის ძირითადი იდეები და პრინციპები და რა გავლენა მოახდინეს მათ მსოფლიო ცივილიზაციის ჩამოყალიბებაზე?

ჩვეულებრივ, რეფორმაციის დაწყებას უკავშირებენ ვიტენბერგის 1517 წლის 31 ოქტომბრის მოელენებს, როცა ყველასთვის უცნობმა ადგილობრივმა ბერმა, თეოლოგიის დოქტორმა მარტინ ლუთერმა ეკლესიის კარებს მიაჭედა თავისი თეზისები, სადაც კიცხავდა „წმინდა საქონლის" – ინდულგენციების, ანუ ცოდვების მისატევებელი საეკლესიო სიგელების გამყიდველების საქციელს.

ცოდვების მიტევება კათოლიკური ეკლესიის პრაქტიკაში ჯერ კიდევ XI საუკუნეში დამკვიდრდა, როგორც მონაზვნური პრაქტიკის გავრცელება საერო ცხოვრებაზე. თავდაპირველად იგი ხორციელდებოდა ნატურალური ფორმით – „ღვთის სასურველი" საქმისათვის – მონაწილეობის მიღება ჯვაროსნულ ლაშქრობებში, მომლოცველობა წმინდა ადგილებში, შეწირულობანი ეკლესიებისა და მონასტრების სასარგებლოდ. მოგვიანებით, ვაჭრობისა და ფულად-სასაქონლო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად, ცოდვების მიმტევებელი სიგელები უკვე ფულზე გაიცემოდა და თანდათანობით ამ ვაჭრობამ ყველაზე ცინიკური ფორმები მიიღო. ეკლესიის მიერ „შეგროვილი" „წმინდა ნაწილების" მარაგი იცვლებოდა გარკვეული ნიხრით ყველა წარმოუდგენელ ცოდვაზე. შემდგომში პაპის ეკლესიამ შემოიღო ინდულგენციები ჯერ კიდევ ჩაუდენელ ცოდვებზე და მომდევნო თაობების ცოდვებზეც კი!

ინდულგენციების გაყიდვა ეკლესიის შემოსავლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილად იქცა, და, ცხადია, ხელს უწყობდა მანკიერებისა და ბოროტების გავრცელებას. მაშინ გავრცელებული იყო ანდაზა, რომ „ეკლესია შეგინდობს ყველა ცოდვას, გარდა ერთისა – უფულობას".

ეს სამარცხვინო პრაქტიკა მორწმუნეების აღშფოთებას იწვევდა და განიხილებოდა, როგორც ეკლესიის კრიზისი.

ლუთერი უფრო შორს წავიდა. სააშკარაოზე გამოტანილი, ქრისტიანობის შეურაცხმყოფელი, ეკლესიის ვაჭრული სულის გარდა, მან დაგმო ეს ნამდვილი „სატანური გამოგონება" – ადამიანის

ანთავისუფლება შინაგანი მონანიების აუცილებლობისაგან ფულის ჭეშვეობით.

ფაქტობრივად, ლუთერმა მოითხოვა დაბრუნება პირველსაწყისი ქრისტიანობის ზნეობრივი პრინციპებისაკენ, მისი უბრალოებით, ჯულწრფელობით და სრული რწმენით. ადამიანმა არ უნდა ეძებოს შუალედური ინსტანციები გადარჩენისთვის – არ უნდა მიენდოს მათ და არ მიანიჭოს დასჯის და მიტევების უფლება, ამით იგი ღალატობს ღმერთს.

სასულიერო პირთა არაკეთილსინდისიერების გამოაშკარავებამ რომის პაპის მეთაურობით, გადაიბირა ლუთერის მხარეს ყველა, ვინც უკმაყოფილო იყო შექმნილი ვითარებით.

ამგვარად, საზოგადოების ზნეობრივმა უკმაყოფილებამ და აღშფოთებამ უძლიერესი იმპულსი პოვა, რამაც რეფორმატორული იდეების პოპულარობას შეუწყო ხელი.

დააყენა რა კითხვის ნიშნის ქვეშ ეკლესიის უფლება, იყოს შუამავალი ადამიანსა და ღმერთს შორის, ლუთერი კიდევ უფრო შორს წავიდა და საბოლოოდ უარყო საკუთარი თავის მაკომპრომეტირებელი ეკლესიური იერარქია „ეშმაკეული თავადის" – რომის პაპის მეთაურობით.

პაპობას ის უწოდებს „ანტიქრისტეს დადგენილებას", რომელიც აცდუნებს ადამიანს, უბიძგებს ცუდი საქციელისკენ, რაც ადვილად ინიღბება, მოისყიდება გარეგნული ღვთისმოსაობით, ეკლესიურ წესებსა და საიდუმლოებებში მონაწილეობით. სწორედ ასე იქცევიან ყველაზე მძიმე ცოდვილნი, რომლებიც ცოდვების მიტევებას ყიდულობენ. პაპობამ პრაქტიკულად, ადამიანს ღმერთი მოპარა და ღვთის წყალობის სპეკულაციურ გაყიდვას მიჰყო ხელი. მშრომელთა და გაჭირვებულთა ღმერთი მდიდრებისა და თვითკმაყოფილი ხალხის ღმერთად იქცა.

თავისი იდეების საღვთო წერილთან სისტემატური შედარების შედეგად, ლუთერმა უარყო საზოგადოების დაყოფა მღვდლებად და საეროებად, ვინაიდან არც პაპობა და არც მღვდლობა იქ ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები. მის წარმოსახვაში პაპი წარმოჩინდა წინამძღოლად ადამიანსა და ღმერთს შორის თვითმარქვია შუამავლებისა, რომლებიც კი არ ეხმარებიან, არამედ ხელს უშლიან ადამიანის ურთიერთობას უფალთან.

ლუთერმა ასევე უარყო კათოლიკური კულტის და წესების შემადგენელი წმინდა საიდუმლოებების უმრავლესობა: წმინდანები და ანგელოზები, ღვთისმშობლის კულტი, ხატებისა და წმინდა ძალების თაყვანისცემა, განსაწმენდელი, და განიხილავდა მათ, როგორც ეკლესიური მაგიის ნაირსახეობას, რომლის დახმარებითაც იგი მიილტვის, რომ თავად ღმერთი დაუმორჩილოს ხალხის მიზნებსა და ინტერესებს.

ლუთერი თვლიდა, რომ არ დაიბნეთ რწმენის საკითხებში, აუცილებელია მისი სისტემატური შეპირისპირება საღმრთო წერილთან, როგორც ქრისტიანული მოძღვრების ჭეშმარიტ კრიტერიუმთან. საღმრთო წერილის ავტორიტეტის ჭეშმარიტების მტკიცებისას, ლუთერი მოითხოვდა, რომ ყოველ მორწმუნეს ჰქონოდა უფლება, თავისებურად გაეგო საღმრთო წერილი, აგრეთვე, პირადი აზროვნების დამოუკიდებლობას რწმენისა და მორალის საკითხებში და, საბოლოო ჯამში, სინდისის თავისუფლებას. ამ უფლების უზრუნველსაყოფად მან თვითონ გადათარგმნა ბიბლია გერმანულ ენაზე და ამით საფუძველი ჩაუყარა გერმანულ ლიტერატურულ ენას. ამით მან ბიბლია აქცია ხალხისთვის ხელმისაწვდომად და ხელი შეუწყო წერა-კითხვის განვითარების მოთხოვნილების განმტკიცებას.

ლუთერის რეფორმაციის ძირითადი არსი მოგვიანებით შემოკლებით გადმოსცა მისმა თანამოაზრემ ფილიპ მელანქტონმა „აუგსბურგის სარწმუნოებაში" (1530 წ.), რაც მოიცავდა პირადი ხსნის იდეას მხოლოდ რწმენით, პაპობისა და საეკლესიო იერარქიის პირობითობის აღიარებას, ყველა მორწმუნის თანასწორუფლებიანობას რწმენის საკითხებში, ე. წ. „საყოველთაო ღვთიურობას".

პროტესტანტული მსოფლმხედველობის ღერძად იქცა დებულება „ყველაფერი ღვთისაგან", რომელმაც ადამიანი გაათავისუფლა ფუჭი და ამაო განცდებისაგან ამქვეყნიური საქმეების მსვლელობისა და შედეგების შესახებ და მას დაუტოვა მხოლოდ ერთი – ღმერთის იმედი და საკუთარი ხსნის რწმენა. ეს არის ახალი მსოფლმხედველური და ზნეობრივი დებულება, განმსჭვალული მზადყოფნით, მიიღოს და გადაიტანოს ყველა სირთულე და გამოცდა, რომელიც ადამიანს ეგზავნება ზევიდან და სასოწარკვეთილი სწრაფვით მხოლოდ შინაგანი განწმენდისაკენ და სულიერი სიმტკიცისაკენ შეინარჩუნოს სულში ღვთის სახე, არ გატყდეს, სულით არ დაეცეს,

პირიქით, აკეთოს თავისი საქმე მეთოდურად და კარგად ყველაფრის მიუხედავად და ყველაფრის საწინააღმდეგოდ!

და თუ ასეთი ქმედება ჩადენილი სასიკეთო შედეგის და იმედის გარეშე და არა ამ შედეგისათვის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ რწმენის განმტკიცებისათვის, მოულოდნელად მართლაცდა წარმატებული აღმოჩნდება, სწორედ ეს იქნება ღვთის წყალობისა და ხსნის შესაძლებლობის აშკარა ნიშანი. ამიტომ პროტესტანტული ეთიკის ფატალიზმი არ უარყოფს აქტიურ მოღვაწეობას საკუთარი საერო პროფესიის ფარგლებში სისტემატური შრომის, მატერიალური კეთილდღეობის შეძენის აუცილებლობას. იგი მხოლოდ უარყოფს ასეთი მოღვაწეობის ტრადიციულ მოტივაციას – სიმდიდრე და კეთილდღეობა აუცილებელია არა თვითონ მათთვის, არა გართობისა და თავაშეებული ცხოვრებისათვის, არამედ კმაყოფილების მისაღებად საკუთარი გამორჩეულობის შეგნებით.

მოვალეობის შესრულება საერო პროფესიის ფარგლებში ადამიანის უმაღლესი ამოცანაა, რისი მეშვეობითაც იგი რწმუნდება საკუთარ გამოსადეგობაში ღვთისადმი. ის, ვინც შეუპოვრად და კეთილსინდისიერად შრომობს, მაღლდება ღვთის თვალში, ვინც არ უნდა იყოს ის, თუნდაც მისი წოდება დაბალი იყოს, თანამდებობა კი შეუმჩნეველი. ის კი, ვინც დაუდევრად შრომობს შემოქმედის თვალში მაინც მდაბალია, რამდენად მაღლაც არ უნდა აყიდეს.

ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოება, როგორც უანგარო სწრაფვა სიკეთისაკენ, ნიშნავს უბრალოდ გულმოდგინე და ბეჯით კონცენტრაციას და შეუპოვარ მეთოდურობას თავისი ჩვეულებრივი ამქვეყნიური სამუშაოს შესრულებაში. კარგად მუშაობა მხოლოდ იმიტომ არის საჭირო, რომ ღმერთს ასე სურს. ამასთან, ადამიანთა საქმიანობის წარმატება, თავისთავად არაფერს არ ნიშნავს ხსნისათვის, მაგრამ რამდენადაც კარგად შესრულებული სამუშაო მშრომელის შეუპოვრობასა და კეთილსინდისიერებას ადასტურებს, და ესე იგი, მისი რწმენის სიმტკიცესაც, წარმატებული შედეგი შეიძლება განხილული იყოს, როგორც ხსნის გარეგნული ნიშანი.

ასეთია ლუთერისტული რეფორმაციის ლოგიკა, რომელმაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ახალი ტიპის მუშაკისა და შრომის პრინციპულად განსხვავებული კულტურის წარმოშობას, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ნებისმიერი მაღალეფექტური წარმოება.

ქრიატიანობის ახალი გაგება, როგორც უშუალოდ პირადი კავშირისა ადამიანის ღმერთთან, უძლიერესი დარტყმაა კათოლიკურ ეკლესიაზე, როგორც ფეოდალიზმის სულიერ და პოლიტიკურ ბურჯზე, შეზღუდვაა ეკლესიის აუტორიტეტისა სარწმუნოებისა და ზნეობის საკითხებში, ეს არის სინდისის თავისუფლების გაგება, როგორც პიროვნების ღირსებისა, შრომის ზნეობრივი ფასეულობების დაცვა – აი ლუთერის დამსახურებების არასრული ჩამონათვალი, მისი წვლილი ადრებურჟუაზიული იდეოლოგიისა და კულტურის ჩამოყალიბებაში.

რეფორმაციის რადიკალური გამგრძელებელი გახდა ჟან კალვინი, პროტესტანტობის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი მიმდინარეობის დამაარსებელი. კალვინიზმმა უფრო მეტად გაამარტივა ქრისტიანული კულტი და ღვთისმსახურება, ეკლესიისათვის დემოკრატიული ხასიათის მიცემით (ეკლესიის ხელმძღვანელობის არჩევითობა საერო პირების მიერ), გამოყო იგი სახელმწიფოსაგან, თუმცა, დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად დატოვა.

კალვინმა გააძლიერა და გაამარტივა მოძღვრება ღვთიური ბედისწერის შესახებ, მისი აბსოლუტურ ფატალიზმამდე დაყვანით: თითქოსდა ხალხის ერთი ნაწილის ბედი ჯერ კიდევ დაბადებამდე არის განსაზღვრული ხსნისა და ღვთიური ნეტარებისათვის, მეორენი კი – დაღუპვისა და მუდმივი ტანჯვისათვის, და ამის შეცვლა არაფერს არ შეუძლია – არც ადამიანის მოქმედებას და არც მის რწმენას. ადამიანი იმიტომ კი არ ღებულობს ხსნას, რომ სწამს, არამედ სწამს იმიტომ, რომ ღვთისაგან წინასწარ მინიჭებული აქვს ხსნა.

თუმცა, ღვთიური ბედისწერა დაფარულია ხალხისაგან და ამიტომ ყოველმა ქრისტიანმა თავისი ცხოვრება ისე უნდა ააგოს, თითქოს მისი ბედისწერა ხსნა ყოფილიყოს. კალვინიზმი ქადაგებდა ცხოვრებისეული მოთხოვნილებების შეზღუდვას, მომჭირნეობას, გამუდმებულ გულმოდგინე შრომას და პროფესიული ოსტატობის სრულყოფას. ამასთან, საქმეებში მიღწეული წარმატებები ადასტურებდა ადამიანის შესაძლო ხსნას, ხოლო უსაქმურობა, სიზარმაცე, მიდრეკილება სიამოვნებისაკენ, რომლებსაც უცილობლად მიჰყავდათ ადამიანი მანკიერებისა და სიღატაკისაკენ, მისი დაღუპვის უტყუარ სიმპტომებს წარმოადგენდა. არამწარმოებლური მოხმარება, კაპიტალის გაფლანგვა, უქმი დროსტარება კალვინიზმის მიერ განიხილებოდა, როგორც დიდი ცოდვა.

ამასთან, ფუფუნებისა და უსაქმურობის კრიტიკა კალვინთან გადადიოდა მხატვრული შემოქმედების, ლიტერატურისა და ხელოვნების უარყოფაში, ყოველგვარი მხიარულებისა და გართობის აკრძალვაში, მორწმუნეთა პირადი ცხოვრების მკაცრ წვრილმან რეგლამენტაციაში და სხვაგვარი აზროვნების სასტიკ დევნაში.

ბურჟუაზიული ცხოვრების წესისათვის დამახასიათებელი სულიერი და იდეოლოგიური პლურალიზმისადმი სწრაფვის შესაბამისად, კალვინიზმმა წარმოშვა მთელი რიგი მიმდინარეობები და პროტესტანტული სექტები – პრესვიტერიანელები, კონგრეგაციონალისტები, პურიტანები, ბაპტისტები და სხვა.

მართლაც, მათი საერთო სულიერი არსი და ნათესაობა კალვინიზმთან, შედარებით სრულიად და თანამიმდევრულად ასახა პურიტანიზმმა (ინგლისურად, „სუფთა", „ჭეშმარიტი"), რომლის დამაარსებელი იყო ინგლისელი ჯონ ნოქსი. ტერმინი „პურიტანობა" ყველა ამ მიმდინარეობის საერთო სახელწოდებად იქცა. პურიტანობას უწოდებდნენ კალვინისტური ეკლესიის მიმდევრებისათვის დამახასიათებელ მსოფლმხედველობას და სტილს, რომლებიც დაკავშირებული იყო ზნეობის ასკეტური სიმკაცრის, მომჭირნეობის, წვრილმანი ღვთისმოსაობის და რელიგიური გულმოდგინების აბსოლუტიზაციასთან.

პურიტანობის ეთიკა გამოირჩეოდა ვალდებულებების მკაცრი დაცვით, უბრალოების მოთხოვნით ადამიანებს შორის ურთიერთობაში, მოთხოვნების ყოველგვარი შეზღუდვისა და გამარტივების ქადაგებით, უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულებით ფუფუნების, გამფლანგველობისა და უსაქმურობისადმი. მისი წარმომადგენლები გამოირჩეოდნენ მკაცრი პუნქტუალობით და პედანტიზმით მკაცრი ზნეობის დაცვაში, რაც ხაზგასმული იყო მოკრძალებული ცხოვრების წესით და ღვთისმოსაობით.

ამავე დროს, ეს მოკრძალება და თავშეკავება მათთან შერწყმული იყო უაღრესად მაღალ რელიგიურ თვითშეფასებასთან, წარმოდგენასთან საკუთარ თავზე არა როგორც უბრალოდ, ქრისტიანობის ერთ-ერთ სახესხვაობაზე, არამედ ღვთიური ისტორიული მისიის მატარებლებზე. თავიანთი ცხოვრებით ისინი ცდილობდნენ ეჩვენებინათ, რომ ღმერთმა სწორედ პროტესტანტებზე მიუთითა, როცა კაცობრიობის ხსნის ჭეშმარიტი გზა იწინასწარმეტყველა.

ეს სტიმულს აძლევდა მათ სოციალურ აქტიურობას და რელიგიურ ურყევობას, როგორც საიმედო საშუალებას დევნის ეჭვების, მერყეობის, სულიერი სისუსტისა და სასოწარკვეთილების წინააღმდეგ. სწორედ ქრისტიანობის რადიკალური პროტესტანტულ-პურიტანული შტოს წარმომადგენლებმა, რომლებიც რელიგიური და პოლიტიკური დევნის გამო იძულებული გახდნენ 1620 წელს ევროპიდან ჩრდილოეთ ამერიკაში გაქცეულიყვნენ, ჩაუყარეს საფუძველი ახალი ნაციის დაბადებას, რომელიც დასავლური ცივილიზაციის ლიდერი გახდა.

ამგვარად, აშკარა ხდება ის უაღრესად მნიშვნელოვანი როლი, რომელიც ითამაშა რეფორმაციის ეპოქამ მსოფლიო ცივილიზაციისა და კულტურის ჩამოყალიბებაში. რეფორმაციამ შეცვალა ადამიანის აზროვნება, მის წინაშე გახსნა ახალი სულიერი ჰორიზონტები. ადამიანმა დამოუკიდებლად აზროვნების შესაძლებლობა მიიღო, ანუ მხოლოდ საკუთარ გონებას და სინდისს შეუძლია უკარნახოს მას როგორ იცხოვროს.

რეფორმაციამ ხელი შეუწყო ბურჟუაზიული საზოგადოების ადამიანის წარმოშობას – დამოუკიდებელი ინდივიდის ზნეობრივი არჩევანის თავისუფლებით, პასუხისმგებლობით თავის აზროვნებაზე და საქციელზე. პროტესტანტული იდეის მატარებლებში გამოიკვეთა პიროვნების ახალი, ბურჟუაზიული ტიპი ახალი კულტურით და სამყაროსადმი ახლებური დამოკიდებულებით.

დასავლეთ ევროპაში წარმოშობილმა კაპიტალიზმმა, ინდუსტრიულმა ბურჟუაზიულმა ცივილიზაციამ პროტესტანტიზმში თავისი იდეოლოგიური, სულიერი დასაბუთება მიიღო. თავის მხრივ, პროტესტანტიზმმა ხელი შეუწყო ახალი წყობის ჩამოყალიბებას, საზოგადოების წინსვლას პროგრესის გზაზე.

ბიბლიოგრაფია

ავალიშვილი გ. ადამიანის გარიჟრაჟზე. თბ., 1987.

ალექსიძე ა., ბერძნული სარაინდო რომანის სამყარო XIII–XIV სს. – თბ., 1976.ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები, თბ., 1998.

გაბაშვილი ვ., შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლური კულტურა, – აღმოსავლური კულტურა, თბ., 1982.

გაბაშვილი ვ., აღმოსავლური კულტურის ძირითადი თავისებურებანი- (არაბულ-მუსლიმური კულტურა), თსუ შრომები, 250, თბ., 1985.

გორდეზიანი რ., ბერძნული ცივილიზაცია, I-II, თბ., 1988, 1997.

დილი შ., ბიზანტიის იმპერიის ისტორია, თბ., 1998.

ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი, თბ., 1999.

კასირერი ე. რა არის ადამიანი. თბ., 1983.

კასირერი ე. ცდა ადამიანის კულტურის ფილოსოფიის გაგებისა. თბ., 1983.

კერამი კ. ღმერთები, აკლდამები, მეცნიერები. თბ., 1972.

თამუზის სიზმარი. ძველი შუამდინარული პოეზია. თბ., 1969.

კიკნაძე ზ., საუბრები ბიბლიაზე, თბ., 1989.

კიკნაძე ზ. შუამდინარული მითოლოგია. თბ., 1988.

კრამერი ს.ნ. ისტორია იწყება შუმერიდან. თბ., 1988.

ლეკიაშვილი ა. კულტურის დიფუზია და კულტურულ-ისტორიული სკოლის მეთოდოლოგიური პრინციპები. – წიგნში: ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა. თბ., 1964, გვ.86-119.

ნადირაძე ე. მსოფლიოს რელიგიები. თბ., 1996.

ნადირაძე ჯ. მზით განათებული ათასწლეულები. თბ., 1988.

ნიცშე ფ. ესე იტყოდა ზარატუსტრა. თბ., 1993.

ორტეგა ი გასეტი ხ. ხელოვნების დეჰუმანიზაცია. თბ., 1992.

პერშიცი ა., მონგაიტი ა., ალექსეევი ვ. პირველყოფილი საზოგადოების ისტორია. თბ., 1986.

საბაშვილი მ., არაბული კულტურის ძირითადი თავისებურებანი, აღმოსავლური კულტურა, თბ., 1982.

სტრუვე ვ. ძველი აღმოსავლეთის ისტორია. თბ., 1946.

ფანჯიკიძე თ, ბიბლია გუშინ, დღეს, თბ., 1982.

ფუკუიამა ფ. ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი. თბ., 1999.
ქავთარია გ. მსოფლიოს შვიდი საოცრება. თბ., 1997.
ყაუხჩიშვილი ს., ბიზანტიის ლიტერატურის ისტორია, თბ., 1973.
შარაშენიძე გ. შუმერები და მათი კულტურა. თბ., 1983.
შჩეპანსკი ი. სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები. თბ., 1997.
ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია. თბ., 1971.
წერეთელი ა., ძველი საბერძნეთი, ტ.I, თბ., 1956.
ჭანტურიშვილი ს. ეთნოლოგია. თბ., 1993.
ჯანელიძე დ., არაბული კულტურა და მისი შესწავლის მნიშვნელობა შუა საუკუნეების თეატრის ისტორიისათვის, თეატრმცოდნეობითი ძიებანი, ტ. X, თბ., 1980.

Beck H.-G., Geschichte der orthodoxen Kirchen im Byzantinischen Reich, Gottingen, 1980.
Beckwith J., Early Christian and Byzantine Art, Haramansworth, 1970.
The Cambrige History of Later Greek and Early Medieval Philosophy, ed. by A.H. Amstrong, Cambrige,1967.
Brown P. Indian Architecture (Buddism and Hindu). Bombay, 1965.
Chakraverti. Ancient Indian culture and civilization. Bombay, 1952.
Francfort H.P. The Harrapan settlement of Shortugai. FIC, 1984.
Geanakopolos D.J., Byzantium Church, Society and Civilisatia Seen through Contemporary Eyes, Chicago, 1984.
Edward Gibbon. The History of the Decline Fall of the Roman Empire. New York, 1979.
Grabar A., La peintura Byzantina, Geneva, 1953.
Ghrishman. Perse-Proto-iraniens, Medes, Achemenides. Paris, 1963.
Guillou A., La Civilisation Byzantine, Paris, 1974.
Hallok R.T., Persepolis Fortification Tablets, Chicago, 1969.
Haussig H.-W, Kultukgeschichte von Byzanz, Stuttgart,1966.
Herskovits M. Cultural Anthropology. N.Y., 1955.
Hunger H., Byzantinische Geiswelt, Baden-Baden, 1958.
Hussey J.M,, The Orthodox Church in the Byzantine Empire, Oxford, 1990.
Kitto H.D.F. *The Greeks*. Penguin Books, 1971[21].
Kulturgeschichte der Antike. I. Griechenland, II. Rom. Berlin, 1976.

Kroeber A.L., Kluckhohn C. Culture: A Critical Review of Concepts and Definitions. N.Y., 1952.
Lindstrom L., White G.M. Anthropology's New Cargo: Future Horisons. – Ethnology. Pittsburg, 1995, vol.34, № 3.
Lindstrom L., White G.M. Anthropology's New Cargo: Future Horisons. – Ethnology. Pittsburg, 1995, vol.34, № 3.
Mackay E. Early Indus civilizations. London, 1978.
Mackay E. Further excavations at Mohendjo-Daro. New Dehli, 1938, vol. 1-2.
Man and Culture. An Evolution of the Work of Bronislav Malinovski. L., 1957.
Mango C., The Art of the Byzantine Empire:312-1453, Englewood Chiffs, 1972.
Mango C., Byzantinische Architectur, Stuttgart, 1975.
Ostrogorsky G., Geschichte des Byzantinischen Staates, Munchen, 1963.
Porada E. The Art of Ancient Iran. New York, 1965.
Possehl G.L. Indus civilization in Saurastra. Dehli, 1980.
Talbot Rice D., Byzantinische Kunst, Munchen, 1964.
Tatakis B., La philosophie byzantine, Paris, 1859.
Tosi M. Prehistoric Sistan. Rome, 1983.
Unger F.W., Quelle der Byzantinischen Kunst Geschichte, 2bd. Wien, 1878.
Vanden Berghe L. Archeologie de l'Iran ancien. Leiden, 1959.
Vryonis D.J., Byzantium and Europe, London, 1967.
Walter CH., Art and Ritual of the Byzantine Church, London, 1982.
Wessel K., Die Kultur von Byzanz, Frankfurt, 1970.
White L.A. The Science of Culture: A Study of Man and Civilization. N.Y., 1949.
Young T.C. Comparative ceramic chronology of Western Iran 1500-500 B.C. Chicago, 1965.

Аверинцев С. С., Поэтика ранневизантийской литературы, М., 1977.
Авеста. Избранные гимны из Вендидата. М., 1993.
Алексеев В.М. Китайская литература. М., 1978.
Амберт Давид. Доисторический человек. Кембриджский путеводитель. Л., 1991.
Амусин Д., Находки у Мертвого моря.

Античная Греция. Проблемы развития полиса. т. I-II. М., 1983.
Античня цивилизация. М., Наука, 1973.
Апиас Ж.-К., Бенбасса Э., Еврейская цивилизация. М., 1997.
Арабская средновековая культура и литература, М., 1978.
Арнольдов А.И. Введение в культурологию. М., 1993.
Бартольд В.В., Культура мусульманства, Сочинения, т. VI, М., 1966.
Башкин А.М. Итальянское Возрождение в пойсках индивидуальности, 1989г.
Белик А.А. Культурология. Антропологические теории культуры. М., 1999.
Белик А.А. Психологическая антропология. М., 1993.
Белинский М. Забытый мир шумеров. М., 1980.
Беляев Е. А., Аравы, ислам и аравский халифат вранее средновековье, М., 1966.
Бенедикт Р. Модели культуры. – В кн.: Хризантема и меч. Антология культурной антропологии.М., 1998.
Бецольд Ф., История Реформации в Германии, М. 1, сиб., 1900г.
Библейская энциклопедия. 1996.
Блок М. Апология истории или ремесло историка. М., 1973, 1986.
Бонгард-Левин Г.М. Древнеиндийская цивилизация. М., 1993.
Бонгард-Левин Г.М., Ильин Г.Ф. Индия в древности. М., 1985.
Боннар А., *Греческая цивилизация.* т. I-III. М., 1958-62.
Брабич В., Плетнева Г., Зрелища древнего Мира. Ленинград, Искуство, 1971.
Брагина Л. М., Итальянский гуманизм, Эпические учения XIV-XV. М., 1977.
Бродель Ф. Свидетельство историка. – Французский ежегодник. 1982. М., 1984.
Буддизм. История и культура. М., 1989.
Бычков В.В. Византийская эстетика. М., 1977.
Васильев А.А. История Византийской империи. В 2-х томах. М., 1998.
Васильев Л.С. История религий Востока. М., 1988.
Васильев Л.С. Проблемы генезиса китайской цивилизации. Формрование основ материальной культуры и эпоса. М., 1976.
Вассерман. Лекции по Иудаизму. Вил. 1990.

Введение в культурологию. Учеб. пособие для вузов. Под ред. Е. В. Попова, М., 1995.
Вейнарн Б. В., Искуство Арабских стран и ирана, М., 1974.
Войс М. Зороастрийцы: верования и обычаи. М., 1987.
Всемирная история. Т.1, М., 1996.
Всеобщая история искусств. Т.1., М., 1996.
Гарен Э., Проблемы Итальянского Возрождения, М., 1986.
Гаспаров М.Л. *Занимательная Греция*. М., 1995.
Гердер И.Г. Идеи к философии истории человечества. М., 1977.
Гирц К. Влияние концепции культуры на концепцию человека. – Антология исследований культуры. Т.1. Интерпретации культуры. СПб., 1997.
Гонейм З. Потерянная пирамида. М., 1959.
Гофф Ж. А., Цивилизация средневекового запада, М., 1992.
Грановский Т. Н., Лекции по истории средневековья, М., 1986.
Громов И., Мацкевич А., Семенов В. Западная теоретическая социология. СПб., 1996.
Гуревич А.Я. Исторический синтез и школа «Аналлов». М., 1993.
Гуревич А.Я. Категории Средневековой Культуры, М., 1984.
Гуревич П.С. Культурология. М., 1996.
Дандамаев М.А. Иран при первых Ахеменидах. М., 1988.
Дандамаев М.А., Луконин В.Г. Культура и экономика древнего Ирана. М.,1980.
Данилевский Н. Россия и Европа. М., 1991.
Димитриев М.А., Виноградова Н.А. Искусство древнего мира. М., 1986.
Дьяконов И.М. Языки древней Передней Азии. М., 1967.
Дьяконов М.М. Очерки истории древнего мира. М., 1961.
Древние цивилизации. Ред. Г.М. Бонгард-Левин. М., 1989.
Еремеев Д. Е., Ислам: образ жизни и стиль мышления, М., 1990.
Жегин Л. Ф., Язык живописного произведения, М., 1970.
Заблоцка Ю. История Ближнего Востока в Древности. М., 1989.
Завадская Е.В. Эстетические проблемы живописи старого Китая. М., 1975.
Иванов М.С. История Ирана. М., 1977.
История Византии, в 3-х томах., М., 1967.

Искусство Китая. М., 1988.
История древнего мира. Ранняя древность. М., 1989.
История древнего мира. Расцвет древних обществ. М., 1989.
История Европы 2., М., 1992.
История зарубежной литературы – Средние века и Возрождение, М., 1987.
История Иранского государства и культуры. М., 1971.
История китайской философии. М., 1989.
История эстетической мысли. М., 1989.
Индуизм. Традиции и современность. М., 1985.
Ислам. Исторический очерк, под ред. Прозорова С. М., 1991.
Ислам. Энциклопедический словарь, М., 1991.
Каждан А.П. Византийская культура XI-XII вв., 1968.
Карпинская Р.С., Никольский С.А. Социобиология. Критический анализ. М., 1988.
Касамби Д. Культура и цивилизация древней Индии. М., 1968.
Каунельсон Н.С. Тутанхамон и сокровище его гробницы. М., 1976.
Каутский К. Происхождение христианства, М., Ростов н/Д., 1923.
Кикнадзе З.Г. Шумеро-картвельские языковые параллели. – კრ.: ძველი ისტორიის საკითხები (კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული. ტ.4).
Климович Л. И., Книга о коране, его происхождение и мифологии, М., 1988.
Кон И.С. Маргарет Мид и этнография детства. – Мид М. Культура и мир детства. Концепции зарубежной этнологии. Критические этюды. М., 1976.
Коран. Перевод и комментари И. Ю. Крачковского, М., 1986.
Крюков М.В., Малявин В.В. Китайский этнос в средние века. М., 1984.
Крюков М.В., Переломов Л.С. Древние китайцы в эпоху централизованных империй. М., 1983.
Кузьмина Е.Е., Матюнина Е.В. Почему начался культурологический бум в России. – Социально-политический журнал. М., 1998. № 3.
Культура древнего Египта. М., 1976.
Культура Византии. Под ред. З.В.Удальцовой, Г.Г.Литаврина. В 3-х

томах. М., 1984-1991.
Культура древнего Рима. М., Наука, 1985, I-II.
Культурология. Под ред. Г.В.Драча. Ростов-на-Дону, 1996.
Культурология, История мировой культуры, под ред. А. Н. Марковой, М., 1999.
Культурология. Учебное пособие, Под ред. Радугина А.А., М., 1998.
Куманецкий. *История культуры древней Греции и Рима.* М., 1990.
Лазарев В.Н., История византийской живописи. М., 1986.
Лазарев В.Н., Начало раннего Возрождения в итальянском искусстве, М., 1979.
Леви-Провансаль Э., Арабская культура в Испании, М., 1967.
Леви-Стросс К. Первобытное мышление. М., 1994.
Леви-Стросс К. Печальные тропики. М., 2000.
Леви-Стросс К. Структурная антропология. М., 1985.
Лейбин В.М. Психоаналитическая антропология. – Буржуазная философская антропология XX в. М., 1986.
Лихачева В.Д., Искусство Византии IV-XV вв., 1986.
Майендорф И., Византийское богословие, М., 2001.
Лоренц К. Кольцо царя Соломона. М., 1995.
Луконин В.Г. Искусство древнего Ирана. М., 1961.
Лунья Б. История индийской культуры, с древних веков до наших дней. М., 1961.
Лурье С.В. Историческая этнология. М., 1997.
Малюга Ю. Я., Культурология, М., 1998.
Маккей Е. Древнейшая культура долины Инда. М., 1951.
Мамонтов С.П. Основы культурологии. М., 1994.
Маркарян Е.С. Теория культуры и современная наука. М., 1983.
Массон В.М. Первые цивилизации. Л., 1989.
Массэ А., Ислам, М., 1982.
Матье М.Е. Древнеегипетский мир. М.-Л., 1956.
Матье М.Е. Искусство древнего Египта. Л., 1961.
Маяк И.Л., Рим первых царей. Генезис римсково полиса. М., 1983.
Мень А., История религии: В 7 т., М.. 1990. Т, VII: Сын человеческий.
Мец А., Мусульманский ренесанс, М., 1966.
Мид М. Культура и мир детства. М., 1988.
Монгайт А. Археология Западной Европы. 1. М., 1973.

Мостова Л.А. Антропологическая традиция в исследовании культуры. Антология исследований культуры. Т.1. Интерпретации культуры. СПб., 1997.
Ольденбург С.Ф. Культура Индии. М., 1991.
Опренхейм А.Л. Древняя Месопотамия. М., 1990.
Орлова Е.А. Введение в специальную культурную антропологию. М., 1994.
Очерки истории Арабской культуры V-XV вв., М., 1982.
Павлов В.П. Скульптурный портрет древнего Египта.
Панов Е.Н. Этнология – ее истоки, становление и место в исследовании поведения. М., 1975.
Первобытное общество. Основные проблемы развития. М., 1957.
Пигалев А.И., Культурология, Волгоград, 1998.
Поликарпов В. С., Лекции по культурологии, М., 1997.
Поляков С.И. Искусство Индии. М., 1968.
Поляковская М.А., ЧекаловаА.А., Византия: Быт и нравы. Свердловск, 1989.
Поршнев Б.Ф. Социальная психология и история. М., 1979.
Раули Дж. Принципы китайской живописи. М., 1989.
Роберт Т., Бойд. Курганы, гробницы, сокровища. М., 1969.
Сидорова В.С. Культура древней Индии. М., 1971.
Свенцицкая И. С., Раннее христианство: страницы истории, М., 1989.
Силичев Д. А., Культурология, М., 1998.
Соколов-Ремизов С.Н. Литература, каллиграфия, живопись. М., 1985
Сорокин П. Социодинамика культуры. – Сорокин П. Человек, цивилизация, общество. М., 1992.
Сравнительное изучение цивилизаций. Хрестоматия. М., 1998.
Тавризян Г.М. Шпенглер О., Хейзинга Й.: Две концепции кризиса культуры. М., 1989.
Тайлор Э. Первобытная культура. М., 1996.
Темкин Е.Н., Эрман В.Г. Мифы древней Индии. М., 1982.
Тойнби А.Дж. Постижение истории. М., 1996.
Тойнби А.Дж. Цивилизация перед судом истории. М.-СПб., 1996.
Токарев С.А. История зарубежной этнографии. М., 1978.
Тримингэм Д., Суфийские ордены в исламе, М., 1989.
Тураев Б.А. Древний Египет. Пг., 1922.

Гураев Б.А. Египетская литература. Т.1. М., 1920.
Гураев Б.А. История Древнего Востока, Т.1-2. Л., 1935.
Уайт Л. Понятие культуры. – Антология исследований культуры. Т.1. Интерпретации культуры. СПб., 1997.
Уайт Л. Наука о культуре. – Антология исследований культуры. Т.1. Интерпретации культуры. СПб., 1997.
Удальцова З.В. Византийская культура. М., 1988.
Успенский Ф.И. Очерки по истории византийской образованности. М., 2001.
Утченко С. Л., Древний Рим. События. Люди. Идеи. М., 1969.
Февр Л. Бои за историю. М., 1991.
Фейблман Дж. Концепция науки о культуре. – Антология исследований культуры. Т.1. Интерпретации культуры. СПб., 1997.
Фильштнский И. М., Арабская литература в средние века, М., 1978.
Фон Грюнебаум Г.Э., Основные черты арабо-мусульманской культуры, М., 1981.
Франкфорт Г., Франкфорт Г.А., Уильсон Дж. Яковцен Т. В преддверии философии. М., 1984.
Фрай Р. Наследие Ирана. М., 1971.
Фрезер Дж. Золотая ветвь. М., 1983.
Фрейд З. Введение в психоанализ: Лекции. – Фрейд З. Психоанализ, религия, культура. М., 1992.
Фром Э. Бегство от свободы. М., 1990.
Фром Э. Иметь или быть. М., 1990.
Фуко М. Слова и вещи: археология гуманитарных наук. М., 1977.
Хейзинга Й., Осень средневековья М., 1988.
Штаерман Е. М. Социальные основы религии древнего Рима. М., 1987.
Черезов Е.В. Техника сельского хозяйства древнего Египта. Черновцы, 1969.
Шпенглер О. Закат Европы. Т.1. М., 1993. Т.2. М., 1998.
Юнг К. Архетип и символ. М., 1991.
Юнг К. Психологические типы. М., 1995.
Яковлев Е. Г., Искуство и мировые религии, М., 1985.
Ясперс К. Истоки истории и ее цель. – Ясперс К. Смысл и назначение истории. М., 1994, с.28-287.

ფარაონი პეპი I

ფარაონის ნადირობა

ფარაონი ეხნატონი

სპარსული და მიდიელი მეომრე

ლეონაკის სახელური
(V-IV სს. ჩ.წ.აღ-მდე.)

ნეფერტის ქანდაკებ

სიუტის მეუღლე ს
ქანდაკების ფრაგმ

სარჩევი

წინასიტყვაობა 3
I. კულტურის თეორია 5
კულტუროლოგიის საგანი და რაობა 5
კულტურისა და ცივილიზაციის ცნებები 20
კულტურა როგორც სისტემა 41
კულტურის ისტორიული ტიპოლოგია 55
მასობრივი და ელიტარული კულტურა 73
XIX-XX საუკუნეების ძირითადი კულტუროლოგიური
სკოლები და კონცეფციები 81
II. მსოფლიო კულტურის ისტორია 149
პირველყოფილი (პრეისტორიული) საზოგადოების
კულტურა 149
ძველი ეგვიპტის კულტურა 196
შუამდინარეული კულტურა (მესოპოტამია) 241
ინდური კულტურა 266
ჩუნური კულტურა 273
ირანული კულტურა 285
ებრაული კულტურა 300
ძველი საბერძნეთის კულტურა 330
ელინისტური კულტურა 358
რომაული კულტურა 378
ბიზანტიური კულტურა 419
არაბულ-მუსლიმური კულტურა 442
დასავლეთევროპული შუა საუკუნეების კულტურა 470
აღორძინების ეპოქის კულტურა 484
რეფორმაციის ეპოქის კულტურა 503
ბიბლიოგრაფია 518

გამომცემლობის რედაქტორი ლამარა ბახტაძე

ტექნიკური რედაქტორი ფრიდონ ბუდაღაშვილი

კორექტორი ნ. ვაშაკიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 31.03. 03
საბეჭდი ქაღალდი 60×84
პირ. ნაბეჭდი თაბახი 14,25
სააღრიცხვო-საგამომც. თაბახი 10,92

შეკვეთა 9 ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზ., 1